

ISSN 0182-609 X

საქართველოს  
საბჭოთაო კომუნისტური  
პარტია

# განათლება



2

---

1987



# მწერთა

საქართველოს მწერთა კავშირის მუშაკთა და მწერთა კრებულის გამომცემი-გამომცემელი და გამომცემელი

წელიწადი 63-0

№ 2

თბილისი 1987 წ.

საქართველოს საბჭოთა მწერების კავშირის ორგანო

## შ ი ნ ა რ ს ი

### პროზა, პოეზია

ოთარ ზილქაძე — მარტის მამალი, რომანი, გაგრძელება	3
თედო ბაქიშვილი — ლექსები	89
ჯარჯი ფხოველი — ლექსები	93
დარიჯან ბატიაშვილი — ლექსები	97
გივი ალხაჯიშვილი — ლექსები	99
ამირან ზიზინაძე — უხმარი თოფი, მოთხრობა	103

### 150 — ილია ჭავჭავაძე — 150

ალექსანდრო ლლოსიძე — „შინი სამშობლო და ღვაწლი თავისთვისად ილაღადობენ“	117
---	-----

### ქრიტიკა, პუბლიცისტიკა

თენგიზ ჩხაიძე — ზოგი რამ დღევანდელი ქართული ლიტერატურულ-ქრიტიკული აზროვნების ბაზო	125
---	-----

### 100 — აკაკი შანიძე — 100

ირაკლი აბაშიძე — აკადემიკოსი აკაკი შანიძე 100 წლისა	137
ფრიდონ ხალვაში — სივთხლეშივე ხალხის ბულში კვლავადგმული	138
ქორნელი მანელია, ზურაბ სარჯველაძე — ქართველოლოგიის ბურჯი	139

### მეხნიერება

ნოდარ კანელიანი, გურამ ციციშვილი — კალენდრულ-ქრონოლოგიური გაკვირვებელი „94 წელი“ და ქართული წელთაღრიცხვა	148
--	-----

(მ. ზეიტე ყარაღა)



შინაარსი (გაგრძელება)

**მომზადებული, ფაქტები**

სიკვამლე და მკვლელობა — ბიოგრაფიული წიგნები . . . . . 160

**უცხოეთის ლიტერატურა**

ნან-პოლ-სარტრი — რისთვის ვფიქრობთ? . . . . . 168

**წიგნების მიმოხილვა**

ამიანს რომელია — „შვილთან საუბარი“ . . . . . 174

---

**მთავარი რედაქტორი არჩილ სულაბაური**

სარედაქციო კოლეგია:

ბრ. აბაშიძე, ი. აბაშიძე, რ. ამაშუკელი, მ. ბერძენიშვილი, ალ. გომიზიშვილი, ბ. დონანაშვილი, კ. კალაძე, მ. ლასური, მ. ლეგანიძე, ე. მალრაძე, ლ. მრეღაშვილი, ბ. ნატროშვილი, რ. პატარიაძე, ჯ. ნატროშვილი, ნ. წულუბსკირი, ი. შილაძე, ბ. ხარანაული (პ/მგ. მდივანი) რ. ჯაფარიძე, ბ. ჯიბლაძე.

---



მთარ შილაქა

# მარტის გამალი

რომანი

6

უბატრონო მკედრისთვის მილიციის სარდაფზე უკეთეს ადგილს მართლაც რომ ვერ მონახავთ მთელს სიღნაღში. ერთხელ ნიკომაც ჩაიხედდა იმ სარდაფში სათოფურით ვიწრო სარკმლიდან და იატაკი არ გამოჩნდა, ვერ ჩაუწვდინა თვალი ძირამდე. რასაკვირველია, საფლავზე ბევრად ღრმია და ზამთარ-ზაფხულს, დღისითა და ღამით, ნესტიანი, სუნიანი ბინდი დგას შიგ. ნასაყდრალთან მოკლულ ყაჩაღსაც იქ ჩაიტანდნენ ალბათ — მილიციისთვისაც მოსახერხებელია და გვამსაც იქ ურჩევნია: სიბნელეში, სიცივეში, მარტო... იქ წევს ალბათ, ბრეზენტის ქვეშ, გულხელდაკრეფილი, ნიკოსავით. ის კი არა, ლეიტენანტიც სარდაფში დარჩებოდა, გვამთან ერთად. აბა, დღესაც ჩვეულებრივად ხომ არ დაბრუნდებოდა შინ, სამსახურის შემდეგ?! ჩვეულებისამებრ ხომ არ აკოცებდა ლოყაზე თავის ფეხმძიმე მეუღლეს?! ჩვეულებისამებრ ხომ არ გაეხუმრებოდა: რა ხდება, ქალბატონო, აღარ აპირებს თქვენი ვაჟიშვილი დღის სინათლეზე გამობრძანებასაო?! (ისე, თუ ქეთა აქვს, იქ ერჩიოს.

დედის მუცელში. გამოვა და, ბაც, დაახლის ტყვიას ვინმე, გოგიასნაირი). ნიკოს ბებია ამბობს, ცხვირს მოვიჭრი, ტყუბი თუ არ ეყოლებათ. და მაინც, არავითარ შემთხვევაში არ წავიდოდა დღეს ლეიტენანტი შინ. არც სადღილი გაახსენდებოდა და არც ვახშამი. დღეს კი არა, კარგა ხანს ვერ ჩაყლაპავს ალბათ ლუქმას თავისუფლად, თავის გემოზე. ზის გვამის გვერდით, მობუზული, ფიქრში დანთქმული. „ნათქურას მაინც ჩამოგიტანთ, უფროსო, შეგცივათ ამ საყინულეშიო“ — ეტყვის, მისი საქციელით, ცოტა არ იყოს, გაკვირვებული მორიგე მილიციელი, დაეუშვათ, იგივე უფარაანთ გიორგი. მაინცდამაინც. არც იმას მიუწევს შინისკენ გული. მისი ცოლშვილის პატრონს, შინ ყოფნას ისევ აქ ურჩევნია, მილიციაში. უფრო მშვიდად გრძნობს თავს. იქ ცოცხლად ჰამენ, აქ ვილაცას მაინც ჰირდება. მაგრამ ლეიტენანტი იუარებს, თუ დამკირდა, დაგიძახებთ და ისიც, უფარაანთ გიორგი, ქეჩოს ფხანითა და ფეხის თრევით, აუყვება სარდაფის კიბეს. ისე, კაცმა რომ თქვას, განა არ არის გასაკვირი?! განა ყველა ერთნა-

გაგრძელება. იხ. „მნათობი“, № 1.

საქ. სსრ კ. მარტისის  
საქ. სსრ. რესპუბ.  
ჯიგლილოთი ა

ორად არ იციოხავს, რა უნდა მკვდართან მარტოს, ამ ბნელ სარდაფშიო? რა უნდა და... როგორ თუ რა უნდა? აღამიანია. გული აქვს. ხვალ-ზეგ მამა უნდა გახდეს. შვილი რომ ეტყვის, მომიყვები შენი თავგადასავალი, რა დავითესავს, რა მოგიმეიას, რას მოუყვება? სიყმაწვილეში, ჭერ კიდევ შენს გაჩენამდე, ვილაკამ ამბავი მომიტანა, ნასაყდრალში ყაჩაღი იმალებოა, და ისე დავიბენი, გამოუტყდელიობისაგან, ისე ავლელდი, იმდენი რამე წარმოვიდგინე ერთბაშად, კარგიცა და ცუდიც, ყუყუჩ გოგოას მოვაკვლევინე, თუმცა, წესიერად ახლაც არ ვიცი, ის ყაჩაღი მართლა იყო თუ არა ყაჩაღიო? ამგვარი აღსარების შემდეგ, რა თქმა უნდა, შვილის თვალში ფასი არ აწეწვა, მაგრამ, შეიძლება, უარესიც მოხდეს: კი არ შეიბრალოს, კი არ თანაუგრძნოს, არამედ — მასხრად აიგდოს შვილმა, ამის გულისთვის, ამდენი ხანი, თავი რატომ გაიმწარეო, როგორ უნდა შეგემოწმებინა, ის ყაჩაღი მართლა იყო თუ არა ყაჩაღიო, შუბლზე ხომ არ ეწერებოდა, ანდა, ნასაყდრალიდან ხომ არ დაგიძახებდა — ყაჩაღი ვარ, ვინმე წესიერ კაცში არ შეგეშალოო. ღმერთმა ნუ ქნას, ასე რომ უპასუხოს მომავალმა შვილმა, მაგრამ თუკი დღეს დასაშვებია ამგვარი შეცდომის ჩადენა, ხვალ შვილსაც ვეღარ გაამტყუნებ, ეს რა უჯულო გავზარდილხარო. არადა, სავსებით დასაშვებია, ნამდვილი ყაჩაღი მილიციის მოსვლამდე წასულიყო ნასაყდრალიდან. ტანმა უგრძნო ალბათ, საფრთხე რომ ელოდებოდა და დაუფიქრებლად მიატოვა იქაურობა, ნადირივით გადაიხვეწა მაშინვე, ბევრი ყოყმანი არ დაუწყია, არც ქარისგან დასაცავი კედლები დაენანა, არც ძლივს დანთებული ცეცხლი. ნასყიდას სუნი იქრა და გაიქცა, თავს უშველა. აბა, რილას ყაჩაღი იქნებოდა, ასე რომ არ მოქცეულიყო? სამაგიეროდ, სწორედ ამ დროს, ანუ, ნამდვილი ყაჩაღის გადახვეწვიდან მილიციის მოსვლამდე, კიდევ ვილაკამ გამოიარა, ნასყიდასავით, ნასყიდას შემდეგ, ვილაკამ, აბსტრაქ-

ტულმა აღამიანმა, რა მნიშვნელობა აქვს, ვინ, ვანა ცოტა ეკადმიენოდვას გზაზე? მკვდრეთით უკანმდგრებოც ბრუნდებიან, დალუპული რომ ეგონათავის პატრონს აქამდე. ვანა მარტო ნასყიდა დაწაწალებს ამ გზაზე? მარტო ნასყიდასი ხომ არ არის ეს გზა? ხოდა, კიდევ ვილაკამ გამოიარა, შეციებულმა, სიცივისგან ალოოდაკარგულმა, და ნასაყდრალიდან ამომავალი ბოლი რომ დაინახა, გაუხარდა, ცოტას მინც გავთბები, ვიდრე აღმართს შევუდგებოდეთო. კი არ დაეპყვდა, კი არ დაფიქრდა, ასე ნანატრივით, ვის უნდა დაეხვედრებინა იმისთვის ცეცხლი, გაუხარდა, ცოტას მინც გავთბები, ესეც ხეირიაო. გაუხარდა და დაილუპა. გაუტკბა ყაჩაღის დანატოვარ ცეცხლთან ყურყუტი და ძვირი დაუჭდა ეს მოულოდნელი სიამოვნება, რადგან ნასყიდას უკვე ატანილი ჰქონდა მილიციაში ამბავი: ნასაყდრალში ყაჩაღები (შიშს დიდი თვლები აქვს) იმალებიანო. აბა, ნიკო იოტის ოდენადაც არ დაეპყვებულა, ცალყბადაც არ შეპკითხვია თავს, შემთხვევით, ყაჩაღი ხომ არ არის ეს კაციო. მაგრამ, ასეა თუ ისე, ახლა ბედის ბორბალს ველარაფერი დააბრუნებს წალმა. ყაჩაღია ის კაცი, თუ ზღაპრის გმირი, უკვე მკვდარია. მილიციის სარდაფში, გაყინულ ფილაქანზე წევს, ვულხელდაკარეფილი (ნიკოსავით), ბრეზენტგადაფარებული, და ფერხითი უნებლიე მკვლელი, უფრო ზუსტად, მკვლელობის უნებლიე მონაწილე უზის. გარეთ ქარს მიაქვს ქვეყანა. სულ ექვსიოდმ სახლის იქით, თბილ ლოგინში, ლამარას ძინავს (ლეიტენანტის ფეხშიმე მეუღლეს), ქარის მომამებრებელ ზუზუნზე მძინარეც იბურძგნება. ხელები ფეხებს შორის ჩაუწყვია. ძინავს. მაგრამ მძინარეც ყურდაცქვეტილია, ქარის გაუთავებელ ბუბუნში მისკენ მომავალი მეუღლის ნაბიჯების ხმა უნდა გამოარჩიოს. ჭერ არ იცის ალბათ, რა ამბავია მისი მეუღლის თავს. თუმცა, არა, როგორ არ იცის, აქამდე ათასჯერ ეტყოდნენ. პაპა ამბობს, ცულ ამბავს

ფრთები ასხიო. ვის მოუთმენდა გული, აქამდე არ მიეხარებინა: შენმა ქმარმა დღეს ნასაყდრალთან კაცი მოკლაო; მართალია, თვითონ არ უსვრია, მაგრამ ვინც ისროლა, მისი ნებართვით, მისი მითითებით ისროლაო. თქვენ ასწავლით ხალხს ამბის მიტანას?! ანდა, თქვენ დაასწრებთ?! მაშინ, თუკი ასეა, ლეიტენანტის ფეხშიძე ცოლს თბილ ლოგინში კი არ ძინავს, ღამის პერანგზე ხალათი შემოუცვამს და სარკმლიდან გასცქერის ჩაბნელებულ ქუჩას. კი გასცქერის, მაგრამ არაფერი არ ჩანს. ქარი თუ შემოზმუვლებს ხოლმე გარედან და შემავფოთებლად შეაზრიალებს სარკმლის მინებს. ღამერა კი ისედაც შემფოთებულია, დღეს: სად არის აქამდეო, რამე ხომ არ აუტეხა თავსო. თან ზედმეტი განცდებისაც ეშინია, ფეხშიძედაა, ბავშვსაც უნდა გაუფრთხილდეს და თავსაც. პაპა ამბობს, ორსულ ქალს ცალი ფეხი სამარეში უდგასო. გაუფრთხილდეს კი არა, სარკმელთან ატუზულა, თითქმის შიშველი, თბილი ლოგინიდან წამომდგარი. ორსული ქალები სიცივეში ორ წყვილ წინდას იცვამენ, წელზეც სქელ შალს შემოიხვევენ ხოლმე. თეფშს არ მოგაწოდებს ზოგიერთი — არ შეიძლება ჩემთვის სიმძიმის აწევად. ის კი, ლეიტენანტის ფეხშიძე მეუღლე, არც სიცივეს დაგიდევთ და არც მღელვარებას. ქარი კი ზუზუნებს, წივის, სისინებს — კედლებშიც ატანს, სულში უძვრება ქმრის მომლოდინე ქალს და უარესად უწეწავს ისედაც აწეწილ ფიჭრებს. სამსახურს უნდა დავანებებინო თავიო ფიჭრობს ღამერა, აფორიაქებული, შემკრთალი, დაბნეული. პატარა ამბავია?! კი შეატუბინეს ალბათ, ასე და ასე მოხდაო, მაგრამ მაინც არაფერი იცის ჭერ, ვინ მოკლეს, ვინ მოკლა, ვის რა მოეციხებდა, რისთვის და რატომ. თანაც ოთახში ცივა (როგორც ნიკოანთას). ღუმელი ჩამქრალა (როგორც ნიკოანთას). არავის უნთია მთელი ღამე ღუმელი. რა ჯიბე გაუძლებს! მაგიდაზე ღამა ბეჭუტაეს (როგორც ნიკოანთას ბეჭუტაედა,

ჩაქრობამდე). აბა, იმათ ვინ დაუკადრებდა ბროლის ქალებს?! ჭვარტლის სუნი დგას (როგორც ნიკოანთას), მაინც დამაინც, ალბათ არც ესაა სახარბიელო მომავალი სიცოცხლისთვის; ალბათ იმასაც დიდი მნიშვნელობა აქვს, თუ როგორ ჰურს ჩაისუნთქავ თავიდანვე, პირველად. „როგორც კი მოვრჩები — ესეიგი, როგორც კი ბავშვს გავაჩენო — სამსახურს დავიწყებო — ფიჭრობს ღამერა. კი, როგორ არა! ბავშვი რომ გაჩნდება, მერე უნდა მოახლე და გაღია; როგორც ციხიდან გამოსულ კაცს, მერე უნდა, თუ უნდა, მოვლა და პატრონობა. — ის კი იჯდეს შინ, ბავშვს უყუროსო; ანდა რამე უფრო მშვიდ საქმეს მრეკიდოსო; ცოდოა, დაიღუპება ეგ უბედური, თუკი ჭერ კიდევ არ დაღუპულაო — ასე ფიჭრობს, უარესზე რომ არ იფიჭროს, უარესი საშინელება რომ არ წარმოიდგინოს და მუცელშივე არ გადარიოს თავისი პატარა, თავისი მომავალი. — ახლავე მოვა ჩვენი მამიკო — ეუბნება იმას, მომავალს. — დღეს ალბათ ლუქმა არ ჩაუღია პირში, საცოდავსო“.

— ბაბლი-ბიბლი-ბებლი-ბუბლი, — ამბობს ის, მომავალი.

— ხო, შეილო, ღამეა, ქარი ქრის და მამაშენი ჭერ არ მოსულა — პასუხობს ღამერა.

ტყუილად ხომ არ არის ნათქვამი, მუნჯის ენა დეღამ იცისო.

— ბაბლი-ბიბლი-ბებლი-ბუბლი, — ამბობს მომავალი.

— მართალი ხარ, ჩვენი მამიკო ყველაზე კარგია. რა თქმა უნდა, უგონებენ. ენა უძვლოა, ყველაფერს იტყვის. ჩვენი მამიკო კი ყველაზე კარგია, ყველაზე გულადი. ხელს ვერავინ გვახლებს იმის შიშით. — უფრო ხალისიანად, უფრო გამოცოცხლებული პასუხობს ღამერა.

რასაც ამბობს, სჯერა კიდევ. როცა გჯერა, რა გიჭირს — როცა არ გჯერა, მაშინა ხარ ცოდო. „ბაბლი-ბიბლი-ბებლი-ბუბლი“ — ისევ თავისას მირეკავს მომავალი. ჭერჭერობით, ეს

იცის მხოლოდ, ეს შეუძლია, მაგრამ დედამისის ესეც ყოფნის, დრო რომ გაიყვანოს როგორმე, სხვაზე არ იფიქროს, უარესად არ აიყოლიოს, უარესად არ ჩაითრიოს გაურკვეველობამ, მოლოდინმა, შიშმა, ათასნაირმა ექვემა და ვარაუდმა, თორემ, ერთი წუთითაც თუ აპყვა იმათ, ისე შეესევინან, როგორც აბრეშუმის ქიები — თუთის ფოთოლს. ხრამ-ხრუმ, ხრამ-ხრუმ, ხრამ-ხრუმ, და გათავდა, აღარაფერი დარჩება იმისგან — ხალათი და ფლოსტები — რქები და ჩლიქები. „ცოტაც მოვიცადოთ და მერე წაივიდეთ, ვნახოთ, სად არის ჩენი მამიკო“ — ეუბნება ლამპარა თავის მომავალს. იმათი მამიკო კი გვამთან ზის, მილიციის გათოშულ სარდაფში, სამარისებურ სიბნელეში, თუმცა, ქუჩიდან მკრთალი შუქი ჩამოდის, ქუჩის ნათურისა, რომელსაც ქარი აკონწიალებს, რის გამოც, ცხადია, შუქიც აკონწიალებულია. ასე რომ, ქუჩიდან მკრთალი და აკონწიალებული შუქი ჩამოდის, მაგრამ, რაც უნდა იყოს, მაინც შუქია, რაღაცას გაარჩევს კაცი. თუმცა, ლეიტენანტს ნაკლებად აინტერესებს ეს ამბავი. იმას სულ სხვა შუქი ჭირდება, გონების შუქი, გზა რომ გაიკვლიოს თავის ექვემსა და ვარაუდებში. ადამიანი ხომ ისეთია, როგორადაც ვიციას (მე, შენ, იმას) წარმოუდგენია, ყოველშემთხვევაში, იმ ვილაციისთვის (ჩემთვის, შენთვის, იმისთვის) მაინც. ხოლო ეს თუ მართლა ასეა, მაშინ ნიკოს თვალსაზრისით, ლეიტენანტი სწორედ ისე იქცევა, როგორც უნდა მოიქცეს, სწორედ იქა ზის, სადაც უნდა იჯდეს. რასაკვირველია, ცივ სარდაფს თბილი ლოჯინი სჭობია, გვამთან უბრაოდ ჭდომას, ფეხშიძე მეუღლესთან საუბარი, მაგრამ ჯერ ბევრი რამეა დასადგენი, გასარკვევი. უპირველეს ყოველისა კი, მოკლულის ვინაობა. და ისიც ზის გვამის ფერხთით, სარდაფის იატაკზე (პლანშეტი ამოუღია ქვეშ და კარგადაც მოუფიქრებია — მტერი დაჟდა გათოშულ ფილაქანზე), თავი მუხლზე ჩამოუღია და გეგონებათ, სძი-

ნავსო, ადენი შფოთისა და მღვლეარების მერე, კინწი მოსწყვეტილია, მაგრამ ძილის ნატამალიც არ უჭავნებს იმის თვალში. დახუჭვით კი იმიტომ დაუხუჭავს, გონების შუქს რომ არ შეუშალოს გარე სამყაროს შუქმა, თუნდაც მკრთალმა, აკონწიალებულმა. ძინავს კი არა, ვინ იცის, მერამდენად იხსენებს და ჩხრეკს ყოველ წვრილმანს, ყოველ ნაბიჯს, ყოველ სიტყვას, ყველაფერს, მთელ გზას, ნასაყდრადან სარდაფამდე. სხვები სად გაქრენო — ჭიუტად ეკითხება საკუთარ თავს, როგორც გამომძიებელი გამოცდილსა და ვერაგ დამნაშავეს. ნასყიდას სამი დაუნახავს — რეზინის ნაფუწებსა და ფიჩხს აგროვებდნენ თურმე ნასაყდრალის გარშემო. დანარჩენები (რამდენი?) შიგნით ყოფილან, ნასაყდრალში, ხმები გამოდიოდნო. კი მაგრამ, რას ვაიგებდა ამ ქარში ის ყრუჩუნა, ისა?! ანდა, რა ისეთ კრიამულს გამართავდნენ საშოგარზე გამოსული მგლები?! ვინ იცის, ყურდაცქვეტილები ისხდნენ კუდებზე აბრჩოლებული ცეცხლის გარშემო, თუკი ისხდნენ საერთოდ. თუკი საერთოდ იყვნენ ნასაყდრალში ყაჩაღებო — ამის თქმა უნდა ლეიტენანტს. შიშს ყურებიც დიდი აქვს, მაგრამ მაინც ძნელი დასაჭირებელია ადენი ხალხის ასე უყვალოდ გაქრობა. საიდუმლო ხერედი ჰქონიათ და ეგაა. მაშინ, ამასაც ხომ თან წაიყვანდნენ?! ამას რაღაზე გასწირავდნენ ვითომ?! თავი დასდო სხვებისათვის?! ვიდრე მე მომკლავენ, თქვენ სამშვიდობოს გახელოთ?! მიდი და გაარკვიე. ნასყიდა თუ მართალს ამბობს, ყაჩაღები მილიციის მოსვლამდე არიან წასულები, ეს კი... „ღმერთმა ნუ ქნას, ღმერთმა ნუ ქნას, ღმერთმა ნუ ქნას“ — შფოთავს, გულს ასკდება მუხლზე თავჩამოდებული ლეიტენანტი და ისევ ჩხრეკს, ისევ ხელახლა ქეჭავს საკუთარ მახსოვრობას, ცდილობს, მისხალ-მისხალ ადადგინოს ყველაფერი, უკანასკნელ წვრილმანამდე. საქმე ადამიანს ეხება, ხალხნო, ადამიანს! კი ამბობს, რად გავჩნდი ადამიანადო, მაგრამ რა-

კი გაჩნდა, ჩვენ მაინც ისე უნდა მოვეპყრად, როგორც ადამიანს ეკადრება. ისიც კი ახსენდება, წაქცევისას, ცალი ფეხსაცმელი რომ გასძვრა მოკლულს. თავისი მახსოვრობის შესამოწმებლად, მაინც წამოდგება, მაინც გადასწევს ბრეზენტის კიდეს და საბოლოოდ დარწმუნებული, უფარაანთ გიორგის ასძახებს: გვამს ცალი ფეხსაცმელი რატომ აკლია, მეორე სადღააო.

— მაგ უბედურის ნივთებში იქნება, უფროსო — მაშინვე უპასუხებს უფარაანთ გიორგი, გეგონებათ, ელოდებოდა დაძახებას და ისიც წინასწარ იცოდა, რას დაუძახებდნენო.

სხარტად კი უპასუხებს, მაგრამ მაინც დაეკვდება, დაფიქრდება, გონების თვალთვლით ერთხელ კიდევ გადასინჯავს მოკლულის ნივთებს. ოღონდ შინ ნუ გაუშვებთ და არაფერზე დაგზარდებათ, სულ მორიგე იქნება, სხვების მაგივრადაც, სულ „სლურზე“ იდგება. არადა, ფეხს ძლივს დაათრევენ, საცოდავი, რალა დროს მავის მილოციელობაა, მაგრამ შინ ყოფნას ისევ აქ ურჩენია, აქ კაცად მაინც აგდებენ, რალაცას ეკითხებიან, შინ კი პურიც ვერ დაუღეპავს მშვიდად, არ იცის, როდის ჩაუბარტყუნებენ თავში. თვალი ვერ მოუტყუებია, ისეთი ხასტაბუგო აქვს მის ცოლშიც გამართული. საბლი კი არა, უფასო თეატრია. ხალხი თავშესაქცევად იკრიბება მაგათი სახლის წინ. რას არ ეძახიან, რას არ აბრალებენ ერთმანეთს, არც არავისი რცხენიათ, არც არავისი ერიდებათ. ყველაფერს ამბობენ, რაც უნაზე მოადგებათ. სხვები კი სიცილით იხოკებიან, მსმენელები, მაყურებლები, სეირის მოყვარულნი. ქვეყანამ იცის მაგათი ამბავი. ბაზრის აშარი არ იტყვის ბაზრის აშარზე, ისინი რომ ერთმანეთზე ამბობენ, ორივენი ერთად კი — თავიანთ მარჩენალზე, ერთის ქმარსა და მეორის მამაზე. ისაა ცოლო, თორემ მისი ცოლშილი შორს არ წაუვა ერთმანეთს. ფერი ფერსო და მადლი დმერთსო — იმათზეა ნათქვამი. პაპა

ამბობს, კაცს რომ საკუთარ ოჯახში აიგდებენ, ჯობია, ქული დაიხუროს და გადაიკარგოსო. მართალია, ბენიაც უჩხუბება ზოლზე პაპას, იმანაც იცის მწარე-მწარეების თქმა, მაგრამ უფარაანთ ოჯახი მაინც სხვაა, ცნობილია, დღე ერთია და ათჯერ მაინც უნდა დაერივნენ ერთმანეთს, მართო სიტყვით კი არა, ხელითაც. დაწყველილი ოჯახია, თუკი ოჯახი ეთქმის წაწყვედილთა თავყრილობას. მართლაც რომ ცოდაო იმათ ხელში უფარაანთ გიორგი, ცხვარივით კაცია, მაგრამ არც ქმარია, არც მამა — ცოლიც თავზე აზის და შეილიც. ერთხელ სცემეს კიდევ. მთელი თვე თავშეხვეული დადიოდა, კინოს გმირივით. აღარ იცოდა, სად დამალვოდა სიღნაღელ ლაზღანდარებს — რამდენი შეხვედებოდნენ, იმდენჯერ უნდა ეკითხათ, რა იყო, რა გჭირს, რა დაგე-მართა თავზეო. ხომ არ ეტყობათ, ცოლშილია გამლახაო, იცინოდა — ყბაყურა შემეყარა სიბერეშიო.

— აბა, ერთი ნახე, მეგობრულად, და ჩამომაწოდე, — ეტყვის ლეიტენანტი უფარაანთ გიორგის და ისიც მაშინვე მოკლულის ნივთებს მიამურებს, გამჭვრალი ფეხსაცმლის მოსაძებნად.

რა დიდი მოძებნა კიდევ იმას უნდა, რა იმდენი ნივთი ექნებოდა იმ უბედურს?! დაეუშვათ — ცოტადენი ფული, თუკი რამე გაეგებოდა ფულისა-ალბათ — ცხვირსახოცი — ყველას ჭირდება. შეიძლება — ჭაყუა, იქნებ ლერწმიდან სალამურის გამოთლა იცოდა და იმით ინახავდა თავს?! სალამურს გაყიდდა, პურს იყიდდა — ელენიცას მამსავით. და ასევე შეიძლება — ღილი. ღილი აკლდა პალტოზე. მაშინვე თვალში ეცა ნიკოს, იმიტომ რომ, იმასაც აკლია ერთი ღილი თავის ამერიკულ ჟილეტზე და ძალიან ეხამუშება, ასე ჰგონია, ყველა ამჩნევს, თითქოს ყველას, მაინცდამაინც, ის ხვდება თვალში, რაც დაიკარგა, რაც აღარ არის, ბოლო, რაც დარჩა, ანუ, მთელი ჟილეტი, იმ ერთი ღილის გარდა, გინდ ყოფილა, გინდ არა. იგივე ნივთები, თავისუფლად შეიძლება, ნებისმიერ



გამეღელს აღმოაჩნდეს ჯიბეში, რის გამოც ვერაინ დაახლის ტყვიას, ყოველ შემთხვევაში, არ უნდა დაახლოს, მაგრამ იმას, მოკლულს, რადაცის, ამის მსგავსის მოლოდინი ნამდვილად ჰქონდა — ასე ეჩვენება ახლა ნიკოს — უფრო მეტიც, თითქოს იცოდა, რა უნდა მოსვლოდა, მაგრამ, რაც უფრო საკვირველია, მოსახდენს კი არ ემალებოდა, კი არ გაუბრბოდა — მშვიდად, უდრტვინველად უცდიდა. მშვიდად და უდრტვინველად კი არა, მღელვარებით, მოუთმენლად, თითქოს ერთი სული ჰქონდა, როდის მოხდებოდა მოსახდენი და თითქოს ცოტა ეშინოდა კიდევ, ბოლო წუთს რამე არ შეიცვალოს, არ გადაიფიქროს განგებაში. ამას ადასტურებდა მისი გარეგნობაც, საქციელიც, გამოხედვაც, ღიმილიც, ყოველი მისი სიტყვა... ამას ადასტურებდა რეზინის ნაუჭუჭებით დანთებული ცეცხლიც (ვისი დანთებულის არ უნდა ყოფილიყო), აყროლებული, ახრჩოლებული ცეცხლი, რაც მოლოდინის გასაიოლებლად, დროს გასაყვანად უფრო ჭირდებოდა ალბათ, ვიდრე გასათბობად, რადგან, როგორც კი იგრძნო აღსასრულის მოახლოება, თავშეტრუსული, ნაპერწკლებიანი ჯოხი ცეცხლში ჩააგდო და ლამის ძალით გამოიყვანა ნიკო ნასაყდრალიდან. კი დაემშვიდობა, კი უთხრა, კარგი ბიჭი ჩანხარ, არ დამივიწყო, მაგრამ ეს ზრდილობიან გამოძევებას უფრო გავდა, ვიდრე გამოცილებას. მაგრამ ნიკომ იმაზედაც მადლობა თქვას, გვერდით რომ დაიყენეს ცეცხლთან, თანატოლივით, ყური რომ არ აახიეს — უფროსებს უყვართ ყურის აწევა და შემთხვევა თუ მიეცათ, არ გაუშვებენ ხელიდან, მაშინვე ყურში გწვდებიან. თუმცა, ის იმათ არ გავდა, იმათნაირი არ იყო. ისინი, ყურის ამწევები, ერთმანეთსა გვანან, ერთი დედამამის შვილებივით. შორიდანვე შეატყობთ, ათას კაცში გამოარჩევთ. ერთი წამით, მაინც მოეჩვენა ნიკოს, მგონი, ესეც მიპირებს ყურის აწევასო, როცა ნასაყდრალიდან გამოყავდა იმას, და ერთი-

ანად აიბურკუნა ზღარბივით, საბრძოლველად შეიშართა, როგორც იმ დღის შესანიშნავ დღეს, ეგგენია დღემდამდე ჯერ ლექსების რვეული რომ დაახია თავზე, მერე კი ყურის აწევაც დაუპირა, მაგრამ ნიკოს, ეტყობა, ისეთი სახე დაედო, ისე მოეზარცა ნიკავი, პატივცემულ მასწავლებელს ჰაერში გაუშეშდა უკვე მოწაფის ყურთან მიტანილი ხელი და სხვა რომ ველარაფერი მოიგონა უფროსი აღმამისა და პედაგოგის ღირსების გადამრჩენელი — ახლავე გაიმეორე, რა სიტყვი, შე უზრდელიო — ჩააცივდა უტიფრად, ვითომ იხტიბარი არ გაიტეხა, თუმცა, ძველებური რიხისა და მედიდურობისა ბევრი აღარაფერი შერჩენოდა, რაც მაშინვე იგრძნო ნიკომაც, მაგრამ კი არ გაახარა მასზე ბევრად უფროსი და ბევრად ძლიერი მტრის მოულოდნელმა მარცხმა, უარესად შეაწუხა და, ცოტა არ იყოს, დაახინა კიდევ, რადგან ისიც პირველად იგრძნო მაშინ, თავდაც რომ წარმოადგენდა რაღაც გარკვეულ ძალას და, რაც მთავარია, საბოლოოდ ირწმუნა უკვე შეგნებული თუ შეუგნებელი, მოჩვენებითი თუ გულწრფელი მორჩილება, კიდევ უფრო რომ უღვივებს ეგგენია დღეგამდინაირ პედაგოგებს მოწაფეთა დათრგუნვისა და მათთვის ყურის ახევის სურვილს, როცა ნებისმიერი, თუნდაც სულ უმნიშვნელო, თუნდაც ბრმა, შემთხვევითი, გაუთვალისწინებელი, წამიერი გაბრძოლება, წინააღმდეგობა თუ ამბოხი მოწაფისა — იმავე ეგგენია დღეგამდინაირ არა მარტო უკლავს მსგავს სურვილს, არამედ, საკმაოდ ურყევს აღსაზრდელთა უსიტყვო, ლამის ცხოველური მორჩილებიდან აღმოცენებულ რწმენას, ყველაფერი ნებადართული რომ არის მათთვის. საბედნიეროდ, ნასაყდრალში მსგავსი არაფერი მომხდარა. მაგრამ არც ზრდილობიანმა გამოპანდურებამ ატკინა ნიკოს გული ნაკლებად, ვიდრე ყურის ახევა ატკენდა. პირიქით, შეიძლება, ყურის ახევა ერჩია კიდევ — ეცოლინებოდა მაინც ვისთან ჰქონდა

საქმე და წინააღმდეგობას გაუწევდა, თავს დაცავდა, ბოლო-ბოლო, თავისი ნებით წამოვიდოდა, ანდა სულაც გამოიქცეოდა იქიდან. არადა, ისიც ვერ უთხრა: იქნებ, ჯერ არ ვაპირებ აქედან წასვლას, იქნებ, ჯერ არ გავმთბარვარო: იქნებ, საერთოდ აქ ვაპირებ დარჩენას, კაცია და გუნებაო. მართლაც, კაცია და გუნება — ზოგი შინ ზის, ზოგი კიდევ აყროლებულ ცეცხლთან ყურუტებს ნასაყდრალეში. ვინ დათვალოს, რამდენი ასეთი ნასაყდრალია საქართველოში. მაგრამ როცა საჭიროა, მაშინ დაებმება ხოლმე ნიკოს ენა და იცით რატომ: თანდაყოლილი მორიდებულობა სჭირს, მათი საგვარეულო სენია, შთამომავლობით მიღებული. რასაკვირველია, არც მოურიდებელი კაცი ვარგა, ვარგა კი არა, უარესია, საერთოდ შეგაზიზღებს სიცოცხლეს, მაგრამ შენზე უნდა იყოს დამოკიდებული, რას მოერიდო და რას არა. პირველ რიგში, ისევ მოურიდებელ კაცს უნდა მოერიდო, მთვრალს, გიჟს, კეთროვანს, მატარებელს, ავტომობილს, ცეცხლს, წყალს, ათაშანგს... მაგრამ სათქმელი უნდა ითქვას, გასაკეთებელი უნდა გაკეთდეს, კართაგენი უნდა დაიგრას, ნიკოს, რა თქმა უნდა, ეწყინა, აიმრიზა დიდუც, მაგრამ თავს ძალა დაატანა, უკანმოუხედავად რომ გასცლოდა იქაურობას. ასე გამოეხატა თავისი გულისწყრომა, თუმცა, ძალიან უნდოდა, დღის სინათლეზე შეეხედა იმისთვის, საბოლოოდ დარწმუნებულიყო, მართლა გამოირჩეოდა სხვებისაგან (ყველასაგან) რაღაცით (ყველაფრით), თუ ასეთი შთაბეჭდილება ნასაყდრალის ბინდისა და დამწვარი რეზინის მწარე კვამლის ბრალი იყო მხოლოდ. ეტყობა, იმანაც იგრძნო. განაწყენებული რომ მიდიოდა ნიკო და მოაბრუნა, ეიო — დაუძახა. რადგან არც იმას უკითხავს (რაში აინტერესებდა?) და არც ნიკოს უთქვამს თავისი სახელი. დამახება კი გაუხარდა, მაგრამ მოლუშული შემობრუნდა მაინც, ვინ არის შენი „ეიო“, და ალბათ ბევრად უკეთესი გამოჩნ-

დებოდა იმის თვალში, ქარს რომ არ შეერცხვინა მოულოდნელად. ისეთი ძალით უბიძგა უცებ ზურგში, ძალიან უნებურად, რამდენიმე ნაბიჯი გააქცია ნასაყდრალისკენ, თითქოს დამახილზე გარბოდა, უპატრონო ძალივით — ყველასი და არავისი. — ის კი ნასაყდრალის კარში იღგა და ულიმოდა. ნიკომაც მაშინ გაიფიქრა სწორედ, ეს აქედან აღარსად წამსვლელი არ არისო. არადა, დღის სინათლეზე გაცილებით ახალგაზრდა ჩანდა; ისევ მიამსგავსა მამას — იმასაც უცნაური, ამაფორიაქებული ფერი დაკრავდა სახეზე, აღზევებული, მოზეიმე სიკვდილისა თუ მობეზრებული, მოყირკებული სიცოცხლისა. ერთი წამით, ისევ ის დღე გაახსენდა, მამასთან გამოსამშვიდობებლად რომ წაიყვანა დედამ საავადმყოფოში. ფეხები უკან რჩებოდა, სულ მამაზე ფიქრობდა გზაში, ანუ, უსასრულოდ იტანჯებოდა. რადგან ისეთი აღარ ახსოვდა, როგორც ავადმყოფობამდე იყო, ფეხზე მდგარი, ფეხზე მოსიარულე. სხვების დაუხმარებლად, მთელი თავით მაღალი ქვითვისის ღობეზე, რომელზედაც ნიკო ძლივდევნობით უნდა აფორახებულიყო, ელენიკას ეზოში გადასახედად. ისეთი მამა აღარ არსებობდა. ამას უფრო გრძნობდა, ვიდრე იცოდა, და, ამიტომაც, არ მიყვებოდა ხოლმე საავადმყოფოში დედას. შეცვლილი (დედა ეუბნებოდა — ველარ ცნობო), გარდაქმნილი, სხვანაირი მამის სანახავად, მაგრამ დეიღამ რომ ჩამოაკითხა სიღნაღში წასაყვანად, უბრალოდ, იბულებული გახდა. გამომშვიდობებოდა მამას და აი, საავადმყოფოსკენ მიმავალი, მთელი გზა სულ მამის წარმოდგენას ცდილობდა, აღრინდელისა კი არა, ამჟამინდელისა, რომელიც ჯერ კიდევ არ ენახა: სნეული, დავრდომილი, ლოგინად ჩაყარნილი. ეს კი მტკივნეულად აღიზანებდა მის ბავშვურ პატივმოყვარეობას და როგორც საერთოდ სჩვეოდა, ათას რამეს იგონებდა, ანუ, თავს იტყუებდა, სიძარტლისთვის რომ აერიდებინა თვალი. რაც

მთავარია, დავრდომილი მამის წარმოდგენას, მით უფრო — ნახვას, ყველანაირი მამის წარმოდგენა და, რასაკვირველია, მით უფრო — ნახვა ერთი, თუნდაც, ჭვარცმულისა, ანდა ჭაჭვით დაბმულისა... და ამიტომაც იყო, მის აღზნებულ გონებაში, წარამარა, გრუხუნით რომ იხსნებოდა საავადმყოფოს ნაცრისფერი კედელი და შიგნით, სიღრმეში, თანდათანობით გამოიკვეთებოდა ხოლმე პალოზე დაბმული კაციის მოღუშული სახე, მუზარადივით აელვებულნი წამლებისა და სამზარეულოს სუნით გაელენთილი ბინდ-ბუნდში. „რატომ მოიყვანე, ხომ გითხარი, ასეთი არ უნდა მნახოს ჩემმა შვილმა მეთქი“ — ბრაზიანად ეუბნებოდა ჭაჭვით დაბმული კაცი დედას და იმავე წამს ისევ გრუხუნით იხურებოდა საავადმყოფოს ნაცრისფერი კედელი. დაბმული მამის წარმოდგენა ნაკლებად შეურაცხყოფელი იყო ნიკოსთვის. ბოლოს და ბოლოს, ამირანიც ხომ ასე ყავდა ლმერთს დაბმული და თუკი ამირანს არ აკნინებდა, არც ნიკოს მამას დააკნინებდა ამგვარი სასჯელი, მხოლოდ და მხოლოდ, გმირებისთვის განკუთვნილი. „წინ არ უნდა იყუროო“ — დაუძახა ამდროს დედამ და მტკივნეულად ჩამოქაჩა მხარი. ოფლისაგან ბალანაშლილმა ცხენმა საბარგო მანქანის ბორბლებზე შემდგარი საზიდარი უხმაუროდ ჩაუტარა ცხვირწინ. ნიკოც მაშინვე გამოფხიზლდა და გული აუჩუყდა, ნიკაპი აუცახცახდა რატომღაც — ესეც საზიზღარი თვისება აქვს: საკმარისია, რამე ეწყინოს, ვინმე შეეცოდოს, აღელდეს ან გაბრაზდეს — მაშინვე ნიკაპი აუცახცახდება. მტერს ხომ საერთოდ ვერ დალაპარაკებია, ნიკაპი ხელით უჭირავს — და რომ აღარ იცოდა, რა ეთქვა, რა გაეკეთებინა, ბედად, კუ გაახსენდა ახლა, ამასწინებზე რომ მოკლეს სადღაც აქ იმან და ვალო ბადალაშვილმა. უფრო სწორედ, კუ ვალო ბადალაშვილმა მოკლა, ის კი, ნიკო, მაშინაც მხოლოდ მოწმე იყო მკვლელობისა (პაპა ამბობს, სამი მკვლელობის მოწმე ერთ მკვლელს

უდრისო). უნებურად, კუს ჩაჩეჩვილ ბაკანს დაუწყო ძებნა, მკვრამე უკრავლივ, თვალის საწიერზე მსგავსი ცარაფერი ჩანდა. ან ადგილი ეშლებოდა, ანდა, ის კუ, თავის ბაკნიანად, ტურამ წაათრია სოროში. შეიძლება, სულაც იმ ტურამ, ოდესღაც, უხსოვარ დროს, ნიკოს პატარაობისას, დედის სიმღერაში რომ დაუცხუებებდა, წითლად გაბურჭნული და სასაცილოდ თვალბაწრიალებული, რადგან ვერ გაეგო, რატომ აძევებდნენ, რას აშავებდა და, საერთოდ, რა ესაქმებოდა იმას ნიკოსთან, ანდა — ნიკოს იმასთან.

წადი, ტურავ, დაიკარგე აქედან,

შენთვის აღარ გვცალია —  
გვეძინება ძალიან...

ხოდა, იმანაც დაელო პირი მკვდარ კუს და ბაკნიანად წაათრია. ვინ იცის, როგორ გაახარა ლეკვები, ჩააწყნარა შიმშილისაგან აღნავებული სორო. ვილაყას რომ უჭირს — ესეც პაპის სიტყვებია — ვილაყას უღბინს. ვილაყა კვდება, ვილაყ იბადება — ასეა ქვეყანა მოწყობილი. მკვდარი კუც აღბათ ყაჩაღის სევდიანმა ღიმილმა და სახის უცნაურმა ფერმა გაახსენა ნიკოს. ერთი წამით, ისევ თვალწინ დაუდგა, როგორ ჩათხლიშა ვალო ბადალაშვილმა ქვა, როგორ წაჰკრა ფეხის წვერი უკვე მკვდარ კუს და როგორ გადაიხსნა იგი. მოხარულ ვოგარასავით. შიგნიდანაც ვოგარასავით ყვირთელი იყო და იმდენი კვერცხი ჰქონდა ერთმანეთზე ასხმული, ზოგი მსხვილი, ზოგი წვრილი, მთელი მათლაფა აივსებოდა. „შენ ისეთი ყოჩალი ბიჭი ჩანხარ, იქნება, რიყეზე ქვაც იპოვოო“ — დაუძახა ყაჩაღმა. თან ისევ ისე იღიმებოდა, სეგდიანად, მშობლიურად. „არ გინდათ, თუ მეუბნებით, სიხარულისგან პურს აღარ შევქამ დღესო“ — გაიცინა ნიკომ, თავისი მოულოდნელი მღელვარება რომ დაემალა როგორმე. „ბიჭოს! შენ მართლა როგორი მიხვედრილი ყოფილხარო — კიდევ უფრო გაიღიმა ყაჩაღმა — ან ბოდბელი იქნები, ან მოხისელი, ან ხორგელი ან ოკრიბელი, ანდა ლაბსყალდელიო“. „ვერ

გამოიცანით, ბათუმელი ვახლავართო — ცხერი აუბზუა ნიკომ და გამობრუნდა, წამოვიდა ნიკაპაცხცახებულო, გულგასიებული, გულმოკლული, რადგან დარწმუნებული იყო, რალაცის, მნიშვნელოვანის სათქმელად რომ მოაბრუნა იმან, მაგრამ ბოლო წუთას მაინც გადაიფიქრა, არ მოუვიდა თვალში, არ ჩათვალა ღირსად და, რაც მთავარია, არ ენდო! ისიც ადგა და წამოვიდა. აბა, რა უნდა ექნა?! ფეხებში ხომ არ ჩაუვარდებოდა, გინდა თუ არა, გამანდე შენი საიდუმლო, გინდა თუ არა, მენდეო?! მაგრამ მეორე აღმართიც არ ჰქონდა ათავებულო, ცხენების ფრუტუნ-ხეიხეინი რომ გაიგონა, რალაცნაირად მოულოდნელი, არაბუნებრივი, დამაფრთხობელი, დამაეჭვებელი, და უფრო აღრე ისკუბა ჯაგებში, ვიდრე გაიფიქრებდა, სასწრაფოდ, რამენაირად უნდა გავაფრთხილო ჩემი ყაჩაღიო. გაიფიქრა, მაგრამ ვერ კი შეასრულა. ვერ მოასწრო და იმ ეკლიან, ჯაგებში გდია თითქოს აქამდე, მილიციას კი დაემალა, მაგრამ საკუთარ თავს როგორ გინდა დაემალო, უფრო სწორედ — საკუთარ სინდისს?! სინდისს ხომ სულ თან დაატარებს კაცი, სულ ალყად არტყია ირგვლივ, როგორც ჭარი — ასაღებ ციხეს. არა, პირიქით, როგორც ასაღები ციხის კედლები — ციხის ერთადერთ დამცველს, რომელიც ამ ციხის კედლებში უნდა ჩაკედეს, რადგან მხოლოდ ამ კედლებს შორისაა მისი ადგილი, სხვაგან არსად არ ეცხოვრება, მაგრამ იქამდე, ვიდრე ჩაკედებოდეს, უნდა იბრძოდოს, თავი უნდა დაიცვას, ვიდრე ტყვია-წამალი გაუთავდება, კბილები დასცივია, ფრჩხილები დაატყდება, ფურთხი გაუშრება. ადამიანი სინდისია. სინდისის გარდა, რაც არ უნდა წაართვა, მაინც ადამიანი იქნება. მაგრამ სინდისი რომ წაართვა და სხვა ყველაფერი დაუტოვა, ვეღარ იქნება ადამიანი. სიკედილის მერეც ადამიანისგან მარტო სინდისი რჩება. სინდისი იგივე სულია ადამიანისა, ანუ, სული იგივე სინდისია. აქედან თავისთავად შეგიძლია დავასკვნათ, რომ თუკი რამე ყოფილა, სინდისი, ყველაფერი უკვდავი, ოღონდ, ისეთივე, როგორც თოვლი დევს უშმაზე; ისეთივე მშვიდი, როგორი მშვიდიც კვერტხია ბუდეში და ისეთივე მტკიცე, როგორი მტკიცეც ცვილის გრდემლია, მუყაოს ფარი და პანტის ზარბაზანი, დიახ, ცვილის გრდემლი, მუყაოს ფარი და პანტის ზარბაზანი, რამდენადაც მათი სიმტკიცე უსაზღვრო რწმენისა და შეუვალი გულუბრყვილობის ნახავია და სხვა არაფერი. ამიტომაცაა, აქამდე ჯაგებში რომაა ჩამალული ნიკო, დაბლორტნილი, დაკაწრული, კურდღლეოვით გულაბაგუნებული, თუმცა, ახლა ნიკოსა და ნებისმიერ ბიჭს, შეიძლება, გაცილებით მეტი საერთო ჰქონდეთ, ვიდრე ჯაგებში ჩამალულსა და საკუთარ ლოგინში გამოტილ ნიკოს, ანუ, ნიკოს და ნიკოს, მაშინდელი და ახლანდელი ჯაგებით. იმ ბრწყინვალე გოგამ ერთი კაცი კი მოკლა, მაგრამ არც მეორეს დააყარა ნაკლები დღე: გააორა, ორად გაგლიჯა და ის ორი ნაწილი სამკედრო-სასიციოცხლოდ გადაჰქიდა ერთმანეთს. ახლანდელი (საწოლზე გამოტილი) ნიკო სიამოვნებით მოკლავს მაშინდელს (ჯაგებში ჩამალულს), სიამოვნებით მოიშორებს, როგორც მუწუქს, მეჭექს, სურდოს... როგორც ნებისმიერ ცუდ რალაცას, ზედმეტს, შემაწუხებელს, მაგრამ უბედურებაც ისაა, არცერთის გამოკლება რომ არ შეიძლება მთელიდან — ადამიანი ბევრი რალაცის ჯამია, ბევრი მუწუქისა, მეჭექისა, სურდოსი, და ვერაფერზე იტყვის უარს, თუმცა, უარი შეიძლება თქვას, მაგრამ მოშორებით ვეღარ მოიშორებს, რაც გაჩენის დღიდან გადახდენია თავს, რაც შეუქმნია თუ შეუქმნივნივნივით, რაც ჩაუდენია თუ ჩაუდენივნივნივით — გუშინდელმა ისევე უნდა აგოს პასუხი დღევანდელზე, როგორც დღევანდელმა — გუშინდელზე, ორივემ ერთად კი — ხვალის დღეზე. ლეო მოგონილია, ლეო თავის ორივე ბუნებას მშვენიერად ეგუება, ორი ბუნება აქვს. ორნაირი და

ვალ შეგიძლია დავასკვნათ, რომ თუკი რამე ყოფილა, სინდისი, ყველაფერი უკვდავი, ოღონდ, ისეთივე, როგორც თოვლი დევს უშმაზე; ისეთივე მშვიდი, როგორი მშვიდიც კვერტხია ბუდეში და ისეთივე მტკიცე, როგორი მტკიცეც ცვილის გრდემლია, მუყაოს ფარი და პანტის ზარბაზანი, დიახ, ცვილის გრდემლი, მუყაოს ფარი და პანტის ზარბაზანი, რამდენადაც მათი სიმტკიცე უსაზღვრო რწმენისა და შეუვალი გულუბრყვილობის ნახავია და სხვა არაფერი. ამიტომაცაა, აქამდე ჯაგებში რომაა ჩამალული ნიკო, დაბლორტნილი, დაკაწრული, კურდღლეოვით გულაბაგუნებული, თუმცა, ახლა ნიკოსა და ნებისმიერ ბიჭს, შეიძლება, გაცილებით მეტი საერთო ჰქონდეთ, ვიდრე ჯაგებში ჩამალულსა და საკუთარ ლოგინში გამოტილ ნიკოს, ანუ, ნიკოს და ნიკოს, მაშინდელი და ახლანდელი ჯაგებით. იმ ბრწყინვალე გოგამ ერთი კაცი კი მოკლა, მაგრამ არც მეორეს დააყარა ნაკლები დღე: გააორა, ორად გაგლიჯა და ის ორი ნაწილი სამკედრო-სასიციოცხლოდ გადაჰქიდა ერთმანეთს. ახლანდელი (საწოლზე გამოტილი) ნიკო სიამოვნებით მოკლავს მაშინდელს (ჯაგებში ჩამალულს), სიამოვნებით მოიშორებს, როგორც მუწუქს, მეჭექს, სურდოს... როგორც ნებისმიერ ცუდ რალაცას, ზედმეტს, შემაწუხებელს, მაგრამ უბედურებაც ისაა, არცერთის გამოკლება რომ არ შეიძლება მთელიდან — ადამიანი ბევრი რალაცის ჯამია, ბევრი მუწუქისა, მეჭექისა, სურდოსი, და ვერაფერზე იტყვის უარს, თუმცა, უარი შეიძლება თქვას, მაგრამ მოშორებით ვეღარ მოიშორებს, რაც გაჩენის დღიდან გადახდენია თავს, რაც შეუქმნია თუ შეუქმნივნივნივით, რაც ჩაუდენია თუ ჩაუდენივნივნივით — გუშინდელმა ისევე უნდა აგოს პასუხი დღევანდელზე, როგორც დღევანდელმა — გუშინდელზე, ორივემ ერთად კი — ხვალის დღეზე. ლეო მოგონილია, ლეო თავის ორივე ბუნებას მშვენიერად ეგუება, ორი ბუნება აქვს. ორნაირი და

არა გაორებული, ამიტომ, არცერთი არ აწუხებს — მაინცდამაინც, არც ვაჟაკობაზე იკლავს თავს და, მაინცდამაინც, არც გოგოობა ეთავილება, არის თავისთვის მშვენიერად, როცა უნდა ბიჭია, როცა უნდა გოგო. ნიკო კი, ყოველთვის ბიჭი უნდა იყოს, ბიჭად გააჩინა ღმერთმა და ბიჭად ჩაეა სამარეშიც. ამიტომ, მეტი მოეთხოვება, შიშის დაძლევა იქნება თუ ტყვილის მოთმენა. შიშის დაძლევა თუ ტყვილის მოთმენაა სწორედ ვაჟაკობა, თორემ, არაფრის შიში თუ არა გაქვს და არავითარი გრძნობა არ გაგაჩნია, არც აღამიანი ყოფილხარ და, აქედან გამომდინარე, არავისთვის არავითარ ღირებულებას არ წარმოადგენს, გულადი იქნები თუ მხდალი. შორს წასვლა არ დაგვჭირდება მაგალითისთვის, ნიკოს ბებიაც საუკეთესო მაგალითია ამისა. არადა, რომ შეხედოთ, ხმელი ფოთოლივითაა, ცარიელი სულია, ანუ, ცარიელი სინდისი, მაგრამ განსაცდელი თუ შეხვდა რამე, ერთბაშად გასაღკდედება, ხმალოვანულ მტერს წაახდენს, ხმალს უკანვე ჩააბრუნებინებს ქარქაშში, გარეწარსა და ქურდბაცაცას ხომ მთლად მტვრად აქცევს, არაფრად, არაზობად. თან თავსაფარს ისწორებს, ვითომ მშვიდად, დინჯად, აუღელვებლად, ხელები კი უცახცახებს. წვრილი, ვადათეთრებული ტუჩებიც უთრთის, მაგრამ შიშისაგან კი არა, შიში უკვე დასძლია, დაძლეული შიშისაგან, სიბრაზისაგან, მრისხანებისგან. „შენ ჩემს ოჯახთან რა ხელი გაქვს! ხომ არ გგონია, ქალია და მოვერევიო?“ — თან ნელა, ლამის შეუმჩნევლად მიიწევს მტრისკენ, გარეწარისკენ. ქურდბაცაცისკენ. იმის მერე აღარც გამოჩენილა ის ბინძური ნასყიდა. ნიკოს პაპაზე ამბობს, ფარული მიმოწერა აქვს გაქცეულ მთავრობასთანო. იუდა! თუმცა, იუდაც არ არის. იუდა იმასთან ქრისტეა. იუდამ დაასმინა და თავი ჩამოიხრჩო, ეს რა ჩავიდინეო, ნასყიდას ხე კი, არც არასდროს ყოფილა და არც არასდროს იქნება. ნასყიდები თავს არ იკლავენ.

ნასყიდები თავს უფროთხილდებიან, რადგან უტყუარი ალლოთუქცა გრძნობენ, საჭირონი რომ არიან ცხოვრებისთვის, იციან ცხოვრების მულამი. კაცმა რომ თქვას, არც უნდა გაუკვირდეს ვინმეს ეს ამბავი. განა ბუნებაში ყველაფერი მშვენიერია?! რამდენი რამეა ამზრუნენი, საზიზარო, გაუგებარი, მიუღებელი — ცხოველი იქნება, მცენარე თუ მწერი. ცხოვრება კი ბუნებისაგან იღებს მაგალითს, ბუნების მიმბაძველია, კარგის გვერდით ცუდიც უნდა ყავდეს, ლამაზის გვერდით მახინჯი. ნასყიდაც ერთი ჩვეულებრივი აფერი-სტია, რა ნიჭითაც ბუნებამ დააჯილდოვა, იმით შოულობს ერთ-ორ ლუკმა პურს. რა იმის ბრალია, თუკი მის ხელობას ჯერ კიდევ გასაჯალი აქვს?! თევზაობა იქამდე არ მოიშლება, ვიდრე თევზი ანკესის ყლაპვას არ მოიშლის. ისიც ასეა, ვიდრე კაცს იმის შიში და შორიდება არ გაუჭრება, ისიც იარსებებს. ათასნაირ სისაძაგლეს უგონებს ხალხს, ფული რომ გამოსძალოს. ყველანი დაშინებული ყავს, დამნაშავეა თუ ალაღმართალი. ამდენს თუ მომცემ, მოვსაობ ამ საქმესო — არადა, არავენ იცის, რა საქმეზეა ლაპარაკი, შიშით კი ყველას ერთნაირად ეშინია და ყველა ერთნაირად უყუქავს ფულს. მაგრამ ამათან მაინც შეცდა, პაპის მაგივრად, ბებიას გადაეყარა. ეს კი, ეტყობა, ველარ გაითვალისწინა წინასწარ. „იმიტომ კი არა ვართ მშიშრები, შენიც რომ გვეშინოდეს, შე წუნკალოო“ — უთხრა ბებიამ. მერე აღარც გამოჩენილა, აღარც გამოუხედავს აქეთკენ, თუმცა, როგორც ამ ბოლო დროს გამოირკვა, მაინც დაუცანცლავს პაპისთვის ერთი ფუთი ღვინო.

უფარაანთ გიორგის კი, ამასობაში, უპოვნია მოკლულის ფეხსაცმელი და გვერდულად ჩამოდის სარდაფის კიბეზე. ასაკი მაინც თავისას შვრება. ექიმისა არ იყოს, აღარ არის ძველი ჯანი, დრომ წაიღო, ცხოვრებამ, ოჯახმა (თანაც რა ოჯახმა!), სამსახურმა. ყველასა და ყველაფერს რალაც მიაქვს,

თანაც სამუდამოდ. ადამიანიც ხესავითაა: აყვავდება, კვირტს გამოიტანს, ნაყოფს დაისხამს, დაიკრიფება და გათავდება, დასცივია ფოთოლი. პოეტისა არ იყოს: ქორი მიაქვს ქარს, რაღაც მიაქვს ქორს. „უბედურ ვარსკვლავზე ყოფილა ჩემი ბიჭი დაბადებული — შესჩივის ლეიტენანტს. მოკლულის ტალახშემხმარი ფეხსაცმელი ორივე ხელით უჭირავს, ფოსტის მტრედით, თითქოს ცაში უნდა აისროლოსო. — თვითონ ხომ დაიღუპა და დაიღუპა, ჩვენც რამოდენა ცოდვაში ჩავყვარა, რამოდენა ლოდი აგვიცოდა, თითქოს გვაკლდა ბიძამისისგან ან ერთი და ან მეორეო — ჩივის ბებრულად, უმწეოდ. — ჩავკიდოთ უნდა მე და ჩემმა დედაბერმა ერთმანეთს ხელი და გადავცივდეთ ალაზანშიო“. კი, აბა! ჩქარ-ჩქარა თქვას! ერთი თავის დედაბერსაც შეეკითხოს ჭერ, უნდა თუ არა, გათოშილ ალაზანში ჰყუშებოლაობა. სულ მაგ ჰკუთხება. ჭერ არ გადუხვევია ქმრის სიტყვისთვის და ამ სიბერეში რა ღმერთი გაუწყრება?! არცკი შეეპასუხება ალბათ, რაკი ჩემს ქმარს ასე მიაჩნია, ეტყობა, ასეა საჭიროო, ალბათ ესაა ერთადერთი გამოსავალი, ადამიანმა ხელი რომ აილოს ცოდვაზეო. ქმარს რომ პატივს სცემს, იმიტომ ფიქრობს ასე და, იმიტომაცაა, აქამდე სული რომ უდგას ქვეყანას, ჭერ კიდევ რომ არსებობს ოჯახი. ბოლოს და ბოლოს, ქალი კაცის მტრად კი არა, მეგობრად გააჩინა ღმერთმა, თანამესაყდრედ, თანამეცხედრედ, თანამდგომად, თანამზრახველად. პაპა ამბობს, ქალის გაბედნიერებული ღმერთმაც ვერ გააუბედურაო, თუმცა, ვეღარც ქალის გაუბედურებული გაუბედნიერებია ღმერთს. მაგრამ ახლა ამის დრო არ არის. ნიკოს პაპას ანდაზა არ დაეღუვა — რა უნდა მოხდეს, რა უნდა ითქვას ისეთი. ანდაზა ვერ მიუსადაგოს მაშინვე.

— ამ... ამ... ამ... — უყუფს ლეიტენანტი უფარაანთ გიორგის, თითქოს ეთამაშება, ეხუმრება, თითქოს სიცივისა და ბევრი ფიქრისაგან, ჰკუდიან

გადასცდა უცებ. სინამდვილეში კი მლეღვარებისაგან ენა ებმის. ვერ აგრძელებს სიტყვას. — ამ... ამ... ჩაკმა უნდა, აღარც დახურვა, — ამბობს ბოლოს. — მაგრამ ჩვენ მაინც უნდა ჩავაცვათ თავის ფეხსაცმელის რა დაუშავდება, რომელი კანონი დაირღვევა ამით?! — ბრაზდება უცებ.

თავსაც ეკითხება, უფარაანთ გიორგისაც და სარდაფის თალსაც. თუმცა, თალი არც გამოჩნდება ალბათ. პირიქით, უფრო მეტი წყვილია იქნება იქ შეუყუფული.

— უნდა ეცვას, რატომ არ უნდა ეცვას, ეგ უკვე ყველასთან მართალია. — ამბობს უფარაანთ გიორგი, ფიქრიანი, დაეჭვებული. უყვარს სიტყვის აწონა, თქმამდეც და მერცე. იცის, ყველაფრის თქმა რომ არ შეიძლება, რაც ენაზე მოგადგება. ამითაც განსხვავდება თავის ცოლშვილისგან. ანდა, სულაც იმათი შემხედვარე მიხვდა, კარგი რომ არაფერი მოსდევს დაუფიქრებელ, მოუზომავ სიტყვას.

ნელა აღის კიბზე. ხვენის, ოხრავს ბებრულად, ვიდრე აათავებდეს კიბეს და კარს გაიხურავდეს. ლეიტენანტი კი გვამის ფეხითთ ჩაუმუხლავს და მეორე ფეხსაცმელსაც აცმევს, თან ელაპარაკება, როგორც ქირისუფლები ელაპარაკებიან ხოლმე თავიანთ მკვდრებს სასაფლაოზე: ეს რა მიყავი, როგორ დამღუპე, როგორღა უნდა შევხედო შეილს თვალეშიო.

უცებ, მოკლული ბრეზენტს გადაიძრობს, წამოჭდება და ეტყვის: რა გინდა, ადამიანო. რატომ თავს არ გამანებებო.

ესეც თქვენნი სასწაული! ეტყობა, ავად როა, სხვანაირად ფიქრობს კაცი, სხვანაირად კი არა, უჩვეულოდ. უცნაურად, უფრო თამაშად, თავისუფლად. აღარაფრის ერიდება, აღარაფრის ეშინია, აღარც წესი ახსოვს, აღარც ადათი, თითქოს რაკი ავადაა, ყველაფერი ეპატიება: კიდევ უარესი — თითქოს რაკი ლოგინში ჩააწეინეს, აღარასოდეს წამოდგება ლოგინიდან, ანდა, თითქოს ლოგინი, ჯადოსნურ ხა-

ლიჩასავით, სულ სხვა ქვეყანაში გადაიყვანს, სადაც არც მტერი ეყოლება, არც მოყვარე; სადაც საკუთარი სინდისის გარდა, ვერაფერ ვერაფერზე ვერ მოთხოვს პასუხს, რაზეც უნდა, იმაზე იფიქრებს და რასაც უნდა, იმას წარმოიდგენს. შეუძლია იძახოს, მე ვარ და ჩემი ნაბადიო, ანდა, პოეტი ვარ მისტიკოსი, წინდები მაქვს ფილტიკოსისო. ამიტომ, არც ლეიტენანტს გაუკვირდება მკვდრის გაცოცხლება — ბრეზენტს რომ გადაიძრობს, წამოჯდება და კითხავს: რა გინდა, ადამიანო, რატომ თავს არ გამანებებო — კი არ შეიცხადებს, რა ხდება, რა ამბავია, ცხადია თუ სიზმარიო, კითხვას შეუბრუნებს მხოლოდ: შენ თუ იცი, მამა რომ უნდა გავხდე დღე-დღეზეო. მოკლული კი უკვე წამომდგარა, ბრეზენტი მხრებზე მოუხურავს — რაც არ უნდა იყოს, სარდაფში ერთნაირად ცივა ცოცხლისთვისაც და მკვდრისთვისაც — და ბოლთას სცემს, ფეხსა შლის სარდაფის ერთი კედლიდან მეორემდე, ეტყობა, გზაში სახსრები გაუშეშდა, ცხენის ზურგზე გადაკიდულს. ტყაყტაყი გაუდის. იღიმება, სიამოვნებს საკუთარი სახსრების ხმა. სხვა არავითარი გრძნობა არა აქვს, მით უფრო ლეიტენანტის მიმართ, არც ძულს, არც ეცოდება, არც... თუმცა, რა გრძნობა უნდა ჰქონდეს მკვდარს ცოცხლის მიმართ?! თუ საერთოდ თავს გაანებებს ცოცხალი, მით უკეთესი, მკვდრისთვისაც და ცოცხლისთვისაც, ტყუილად ხომ არ მიამხებს ხოლმე ცოცხალი მკვდარს: ჩვენსკენ აღარ გამოგებდოსო. ასეა მკვდარიც. ის უკვე საიქიოს ეკუთვნის და სააქოსიო აღარაფერი გაეგება. აღარაფერა არ უნდა, დამარხვის მგტი. არც ანტიტრესებს. მართლაც, რა საინტერესოა, რას ფიქრობს მასზე ლეიტენანტი, რას ამბობს ნასყიდა, რას ყვებიან ქალაქში, რა მნიშვნელობა აქვს, რა შეიცვლება მისთვის. მართლა ბაზრიდან მობრუნებული ხალხის ვასაძარცვავად იძალეობდა ნასაყდრალში თუ შეყვარებულს უნდა შეხედროდა იქ; სხვაგან აღარ-

სად ჰქონდა წასასვლელი, რაკი ომიდან დაბრუნებულს, დედამამედახორცილი, ცოლი გათხოვილი, მშენებლისკა გამძიავებული დაუხვდა, თუ, როგორც სულელმა ბავშვმა, მისტიკოსმა პოეტმა წარმოიდგინა, ამირანის შვილი იყო, გაცოცხლებული, ზღაპრებიდან გადმოსული და, ძალაუვნებურად, ამ აყროლებულ ნასაყდრალში შეაფარა თავი. შეიძლება, თვითონ არც აპირებდა და თავისთავად მოხდა ასე: შემთხვევით შეიხვდა ნასაყდრალში, ვის უნთია, ნეტავ, ცეცხლიო, და რალაცნაირად მოეწონა იქაურობა, მიიზიდა, მონუსხა, მოაჯადოვა ძველისა და ახლის, გარდასულისა და გადასატანის უცნაურმა, უჩვეულო შერწყმამ, შერწყმამ კი არა, სიბინძურისა და სიწმინდის თანაარსებობამ... თუმცა, ახლა ამასაც არა აქვს მნიშვნელობა. უკვე მკვდარია, ხოლო, რაკი მკვდარია, სრულებითაც არ აწუხებს, არ ეჩოთირება სიკვდილი. მკვდრისთვის სიკვდილი იგივეა, რაც ცოცხლისთვის — სიცოცხლე. ოღონდ, ზუსტად არაფერ არ იცის, რომელი რომელია — იქნებ, სწორედ სიკვდილია სიცოცხლე, სიცოცხლე კი — სიკვდილი?!

მოკლული სარდაფის კუთხეში ჩერდება, მობუზული, ბრეზენტმოხურული (ნახევარი ძირს დასთრევს) და იცინის. „რა გაცინებსო“ — უკვირს ლეიტენანტს. რომ გაცოცხლდა, არაფერი; რომ იცინის, ისაა საკვირველი. „მართლაც, რა მაცინებსო“ — არანაკლებ უკვირს მოკლულსაც. იცინის კუთხეში ატუზული, დასჯილი ბავშვივით, ბრეზენტმოხურული ღამის დარაჯივით. მაღლა კი, ქალაქში, ქაირი დაძრწის, ყველგან ცხირსა ყოფს, უპატრონო ძაღლების ზროვასავით, ღმუის, წყავწყავებს, გამწარებული დაეძებს რალაცას, სამუდამოდ, უიმედოდ დაკარგულს, თავისივე უუურადღებობის გამო. რა დაკარგვია ნეტავ?! ანდა, თავად ვის დაკარგვია?! აღარ უნდა დაწყნარდეს?! პაპა ამბობს, ამერიკელებმა ყუშმარა რომ ჩამოაგდეს იაპონიაში, იმის ბრალია. იმან შეცვალა ბუნებაო.

ბებია კი არ ეთანხმება. ბების აზრით, გასაკვირი ის იქნება, ამ დროს ქარი რომ არ ქროდეს. ჩემს სიყვარულს ასე იყო — ძახის ჭიუტად. — ძველი აღარაფერი გვწამს, მაგრამ ქარი მაინც ძველებურად უბერავსო. ხალხი სახლებში შეყუყულა, ლოგინებში ჩათბუნებულა და დამფრთხალი, განაბული ელოდება ქარის ჩადგომას. განაბვაც, გაუჩნებაც, დაცდაც ნიჭია. თუ ვერ დაეწევი, დაჭევი და დაუცადეო — იტყვის ხოლმე პაპა. ის კი, მოკლული. ფეთიანივით გამოვარდა ნასაყდრალიდან: აქა ვარ, მესროლეთო, ახლა კი თუთონვე იცინის თავის სულსწრაფობაზე: ისე გივივით გამოვვარდი ნასაყდრალიდან, მგონი, ცოტა შეგაშინეთ კიდევო. „იცი, მე არ დამიბეზღებიხარო“ — ეძახის ნიკო ლოგინიდან, პირმოკუმული, მაგრამ მაინც არავის არ ესმის მისი — მოკლული არც იხელება იმისკენ, ლეიტენანტთან აქვს საქმე და სწორეკაა: ლეიტენანტი დამეს უთევს სარდაფში, ნიკო კი თავის ლოგინში კოტრილობს. მოკლული თან იცინის, თან ლეიტენანტს ეხვეწება, თავი გამანებეო. მკვდარსაც დასვენებენო, მე არც არავის ვამტყუნებ, არც არავის ვუჩივიო, არც მონანიების სურვილი მაწუხებს, არც შუროსიძებისაო, უკვე გავასწორე ქვეყანასთან ანგარიშებით.

— ერთი კი მიკვირს, — აგრძელებს ცოტა ხნის შემდეგ, ისევ სიცილით. — ასე ბრმად, ასე ჰაიპარად რატომ გამომიყვანეთ წირვა? სახელი მაინც გეკითხათ, იქნებ, არ ღირდა ჩიტი ბღვენად?!

— მართალი ხარ, — ეთანხმება ლეიტენანტი მხურვალედ. — ამიტომაც ვერ წავსულვარ შინ, სინდისი არ მიშეებს...

— აბა, არ ვყოფილვარ მთლად დაღუპული, — იცინის მოკლული, იქით ამშვიდებს ლეიტენანტს. — ვიღრე ადამიანს სინდისი აწუხებს, ყველაფერს ეშველება კიდევ, რადგან მთავარი ის კი არ არის, ღმერთმა ტალახისგან რომ შექმნა ის, არამედ, მთა-

ვარია თავისი სული რომ ჩაჰბერა იმ ტალახს.

— მაინც, ვინ ხარ? რა გვინდა? ფრთხილად ეკითხება ლეიტენანტი, ვითომ სხვათაშორის.

— ტანტრე მქვია, დაჯარგულ ვირს დავეძებდი და თქვენს ყუყუჩ გოგონას კი გადავეყარე. — იცინის მოკლული.

— მართლა გეკითხები, რა მენუმრება — ცხარდება უცებ ლეიტენანტი.

მოკლული კი ისევ იცინის: სიმართლისთვის ცოტა დაგვიანებული ხომ არ არისო.

სწორედ ამ დროს, ზემოთ, კიბის თავში, სარდაფის კარი ღრჭილით იღება და მოკლულიც სასწრაფოდ ბრუნდება თავის ადგილას, ბრეზენტს ისევ ზემოდან იფარებს და გულადმა, გულხელდაკრეფილი წვება გათოშილ ფილაქანზე, როგორც იქამდე იწვა, აღდრე წამოჯდება და ლეიტენანტს ეტყობა: რა გინდა, ადამიანო, რატო თავს არ გამანებებო. ლეიტენანტიც ისევ ისე ფერთხით უჯდება ბრეზენტ-გადაფრებულ გვამს და სარდაფის კიბეს ასცქერის, ყურადღებად, მოლოდინად ქცეული, ცოტა გაღიზიანებულიც, მკვდარი რომ დაუფრთხო ვილაკამ, შეაწყვეტინა ძლივს გაბმული საუბარი. არადა, შეიძლებოდა, მართლა ეთქვა მკვდარს თავისი ვინაობა, აღსარების გუნებაზე იყო მოსული და, მაინცდამაინც, მაშინ მოუნდა უფარაანთ გიორგისაც (კიდევ ერთხელ) თავის გამოჩენა უფროსის დასანახად, ვითომ, ნახეთ, როგორი ყურადღებიანი ვარო, მეც თქვენთან ერთად ვფიხზლობ, მეც თქვენთან ერთად ვათევ დამესო. „სხვათაშორის, ზედმეტი, თვალშისაცემი თავგამოდებაც ხშირად აფუქებს საქმესო“ — ბრაზიანად ფიჭრობს ლეიტენანტი. კიბის საფეხურები კი თანდათანობით ნათდება მოუსვენარი, აფორიაქებული სინათლით. ლეიტენანტი უფარაანთ გიორგის ელოდება, მაგრამ ამჯერად ლამაზა ჩამოდის კიბეზე, მისი ფეხშიძე მეუღლეს, ერთ ხელში ჭრაქი უჭირავს, მეორეთი



კი ხალათის კალთები მოუბოჭავს მუხლს ზემოთ. ხალათის ქვეშ ყვაი-  
ლებიანი ბამბაზიის შარვალი აცვია.  
თუმცა, რა ჩანს იმ სიბნელეში, რა აც-  
ვია ლამარას ხალათის ქვეშ. რაც აც-  
ვია, ის აცვია. ეს კი არ არის მთავა-  
რი, მთავარია, ქმარს რომ მოაკითხა,  
გულმა რომ ვერ გაუძლო და არაფერს  
მოერიდა ამ შუალამისას, არც სიბნე-  
ლეს, არც ქარს, არც ორსულობას.  
ქმართან გამოიქცა. იქნებ, როგორ  
უჭირს, იქნებ, როგორ ჭირდება მეგო-  
ბრის თანაგრძნობაო. ბარაქალა იმის  
ქალობას! კიდევ ყოფილან ღირსეული  
ქალები. ქრატის შუქით დაფლეთილი  
წყვდიადი აქეთ-იქით აწყდება სარდა-  
ფის კედლებს. ხან ბრეზენტგადაფა-  
რებული გვამის წინ ჩამჭდარი კაცის  
ჩრდილი (ათმაგად გაზრდილი) გადაი-  
რბენს კედელზე, როგორც ეკრანზე,  
ხან თავად ბრეზენტგადაფარებული  
გვამისა — დევის საფლავის ბორცვი-  
ვით უზარმაზარი. ლანდები იწვლები-  
ან, გრძელდებიან, ითიშებიან და ერთ-  
დებიან ისევ. ლამარა შუაქიბებზე ჩერ-  
დება და წინ გადმოხრილი ჩასიქერის  
სარდაფის იატაკს. „როლანდ, რო-  
ლანდ“ — იძახის გაუბედავად. საკუ-  
თარ მუხლებზე ხელემშემოხვეული  
ლეიტენანტი კიბებზე შეყოვნებულ  
ცოლს აპყურებს, გაფაციცებული ას-  
იქერის, თითქოს მისი ცოლი კი არ  
არის, მის ცოლს ანსახიერებს და სწო-  
რედ ის ვერ გამოუცენია ჯერ, თუ ვინ  
ანსახიერებს მის მეუღლეს ასე მშვე-  
ნიერად (სხვათაშორის, ბათუმის თეა-  
ტრისგან განსხვავებით, აქაურ თეატრ-  
ში მთავარია, მსახიობი გამოიყენო —  
იმას კი არ უსმენენ, რას ამბობს ესა  
თუ ის მსახიობი, იმაზე კამათობენ,  
სიკოია თუ გიგუშაო. მსახიობებიც,  
როლის დაზეპირებაზე მეტად, იმაზე  
ფიქრობენ, როგორი გრიმი წაისვან,  
რა ჩაიცივან და დაიხურონ, მაყურებე-  
ლი რომ დააბნიონ, მაყურებელმა რომ  
ვერ იცნოს, გაუჭირდეს მაინც მათი  
ცნობა, და არის ერთი გაბმული, განუ-  
წყვეტელი სიცილ-ხარხარი, დარბაზშიც  
და სცენაზეც. მაგრამ ჯერ არ ყოფი-

ლა შემთხვევა, რომელიმე მსახიობს  
ეჯობნოს დარბაზისთვის და ხახამშრა-  
ლი დაეტოვებინოს ბოლომდე) უბნოდ  
ასიქერის კიბებზე შეყოვნებულ მეუღ-  
ლეს, რომელსაც ერთ ხელში აპარბა-  
რებული ქრატის უჭირავს, მეორეთი ხა-  
ლათის კალთები მოუბოჭავს და მართ-  
ლაც მსახიობივით იყურება აქეთ, სი-  
ბნელისკენ. უკვე ისიც ხედავს თავის  
ქმარს და ცოტათი მშვიდდება. აღარ  
ეძახის, აღარ უხმობს. წესით, ახლა  
ქმარი უნდა შეშფოთდეს, წამოხტეს,  
შეეგებოს — ოჯახიც თავისებური თე-  
ატრია, ცოლ-ქმრობა ძალაუფლებისთ-  
ვის ომია და ქმარი, თურმე, სულ იმის  
ცდაშია, ცოლი როგორმე თავის ად-  
გილს მიახვიოს, როგორც ლეკვი —  
თავის ფიჩვებსა და თავის ძვალს. მა-  
გრამ ცოლი სულ განზე იწევს, თურ-  
მე, სულ მალა და მალა იცქირება,  
და იქამდე არ მოისვენებს, ვიდრე  
ქმარს მთარახს არ ააღებინებს ხელში,  
ანდა, ფიჩვზე ფიჩვსა და ძვალზე  
ძვალს არ დაამატებინებს. გაანჩია, ვინ  
უფრო მტკიცე აღმოჩნდება ბოლომდე.  
ასე ყოფილა და ასე იქნებაო — ამ-  
ბობს პაპა. და მართლაც, „ლამარაო“  
— შესძახებს ცოლის გულისხმიერე-  
ბით, ცოლის ერთგულებით შეძრული  
ლეიტენანტი, სხარტად წამოხტება, კი-  
ბებზე აირბენს, ცოლს შეეგებება, სა-  
თუთად, ნახად შემოხვევს ხელს საკმა-  
ოდ გამსხვილებულ წელზე და ახლა  
უკვე ფრთხილად, თითქოს გაუბედა-  
ვდაც, უკანვე ჩამოყვება ახლახან არ-  
ბენილ საფეხურებს, ცოლთან ერთად,  
ცოლიანად. თან ეფერება, თან ტუქ-  
სავს ცოლს: რამ გამოგიყვანა ამ შუა-  
ლამისას ქუჩაშიო; ხომ ხედავ, როგო-  
რი ქარიაო; შენთვის ვაციება არ შე-  
იძლებათ; თავს უნდა გაუფრთხილ-  
დეთ: არ მაყლია მე სადარდელო —  
თავს გაიქნევს ბრეზენტგადაფარებუ-  
ლი გვამისკენ — მაგრამ უცებ ცოლის  
ნამტირალეე თვალბს დაინახავს და  
გული მოერღვევა: ნამტირალეევი რადა  
ხარ, ლამარაო! — შესძახებს ხმათრ-  
თოლებული. ჯოყოლაც ხომ ასე ეკით-  
ხება თავის ცოლს, ნამტირალეევი რადა

ხარო, რადგან ძალიან უნდა, უცხო კაცს გლოვობდეს მისი ცოლი, უფრო სწორედ, ძალიან უნდა, მისი ვარაუდი გამართლდეს, არ მოატყუოს გულმა, წინათგრძნობამ, რადგან კარგად იცნობს თავის ცოლს და დარწმუნებულია, არაფერი შეეშლება იმას, ისე მოიქცევა, როგორც უნდა მოიქცეს, როგორც თავისი ქალობა უკარნახებს. მერე რაა, რომ უცხოა?! თუ ღირსეული ქალი ხარ, მკვდარი ვეცაკი უნდა დაიტირო, ვინც არ უნდა იყოს ის. სიკვდილსა გლოვა უხდება, ლამაზა. ვახსოვს? ხომ ვისწავლეთ სკოლაში?! სიკვდილსა გლოვა უხდება... მერე? მერე როგორ არის? აღარ მახსოვს. — შუბლზე ითამაშებს თითებს, ამოდ ცდილობს დიდი ხნის წინად დაიწყებული ლექსის გახსენებას. „რას უზიხარ აქ, რატომ არ მოხვედი?! — აწყვეტინებს ლამაზა. — რაღა არ ვიფიქრე, რაღა არ წარმოვიდგინე... მეშინია, როლანდ! არა, ნუ მეტყვი. ისედაც ვიცი (რა თქმა უნდა, იცის. მთელი ქალაქი ამაზე ლაპარაკობს ალბათ). მაგრამ, რა ჩვენი ბრალია?! რა შენი ბრალია?! რა შენი ბრალია მეთქი, როლანდ! მომხდარა და კიდევაც მოხდება, მაგრამ მე არაფერი არ ვიცი. არც მინდა, ვიცოდე, როლანდ. მე მხოლოდ ის ვიცი, რაც ვიცი, რისი ცოდნაც მყოფნის. ვიცი, რომ ქალი ვარ, ვიცი, რომ ქმარი მყავს, ვიცი, რომ შვილი მეყოლება. როგორც არ უნდა ეცადოთ, სხვას ვერაფერს შემავანებინებთ. ტყუილად კი არ მეძახდა მამაჩემი ბენტერას! ჩემი ბენტერა გოგო — თითქოს უხაროდა, ბენტერა რომ ვიყავი. თითქოს კი არა, მართლა უხაროდა, იმიტომ რომ მამა იყო და გული შესტკიოდა ჩემზე. ქალი ბენტერა უნდა იყოს. თუ უნდა რომ ქალი იყოს — ცოლი, დედა, დიასახლისი. გეომეტრია და ისტორია რა ჩემი საქმეა, როლანდ! რა ჩემი საქმეა, როდის იყო პომპეუსი საქართველოში! იყო? თუ იყო, თქვენი ბრალია, კაცებისა. მე ბავშვის საფენები უნდა ვრეცხო. შენი წინდები კვამსო, სადილი დავდგა. სა-

ხლი დავგავო და თან იმაზე ვიფიქრო, კიდევ რა გავაყეთო. რა ესკამოვნებოთ ჩემს ბატონებს მეთქი. ქალი მამინაა ბედნიერი, როცა ქმარშვილის ქვეშევრდომია. იმიტომ რომ, ნებაყოფლობითი ქვეშევრდომობა იგივე სიყვარულია. რომ გიყვარს, იმიტომ ემსახურები და არა იმიტომ, ქალის ხვედრი როა ასეთი, როგორც ზოგიერთები ამბობენ. მაგრამ მე არც ვუსმენ და არც მიინტერესებს იმათი ნალაპარაკები. აგერ, ევგენია დუგლაძე სასწავლო ნაწილის გამგეა, პაპიროსსაც ეწევა, ლენოსაც სვამს, ტოლს არ უღებს კაცებს, მაგრამ, ლეთის წინაშე, მიინც უბედურია. მიინც საბრალოა და საცოდავი. ქალი რომ სარკეში ჩაიხედავს და ქალურობის ნასახსაც ვერ აღმოაჩენს იქ. უბედურიცაა და მეტიც. ერთხელ... არ უნდა ვამბობდე, მაგრამ თავგზა მამქვს არეული, ღმერთი მამატიებს ალბათ — მთვრალს ჩაუხედავს სარკეში და დაუყვირია: ვინა ხარ, რას მიბღვერ, ყაძახო! ქალი რომ შვილს არ იყოლიებს, სხვისას რატომ ვაზრდის, ანდა, როგორ ვაზრდის?! ქალი ბოროტიცაა, როლანდ, შურიანიცაა. თვითონ თუ არ ყავს, ყველანიჩრად ეცდება, სხვასაც არ ყავდეს. ანდა, სხვისას ისე მოაქცევს, საკუთარმა დედამაც ველარ იცნოს, საკუთარმა დედამაც აღარ იცნომოს, გააყაჩაღებს. გაასულელებს, საკუთარმა დედამაც რომ თქვას, შენს გაჩენას, მერჩია ლეკვი გამეჩინაო, ტუჩებში შემოპკრავს ბეჭდიან ხელს... თუმცა, რა დროს ესაა, ღმერთმა აცხონოს მამაჩემი, სულმთლად გამოვბენტერდი. იმის მაგივრად, როგორმე ამოგიტყუო აქედან, როგორმე შინ მიგიყვანო, როგორმე დაგამშვიდო, გაგათბო, დაგაპურო, გუნება გამოგიყეთო — ვდგავარ და ევგენია დუგლაძეს ვპორავ. კისერი უტეხია! რა ჩემი საქმეა, თუნდაც გალოფე ჩაუცვამს და წვერ-ულვაში დაუხატავს. ჩვენ ჩვენს გზას მივხედოთ, იქ მივიღეთ. სადაც მიგვიყვანს. ხვალ-ზეგ შვილი გვეყოლება, პატარა ბეყეკო. ბაჭია, ფისუნია. გოგო გინდა თუ ბიჭი? არ მიპასუხო.

არ მიპასუხო! მაპატიე. რა თქმა უნდა, სულერთია. რასაც ღმერთი მოგვცემს, ჩვენც იმის მადლობლები ვიქნებით. არადა, უკვე არის. უკვე არსებობს. გიცნობს და უყვარხარ კიდევ. მართო რომ ვართ, სულ შენზე ვლაპარაკობთ. ყველაფერი ესმის, იმიტომ კი არა, ჩემი რომაა, მართლა ესმის. მე რომ ვღელავ, ისიც ღელავს. მე რომ მეშინია, იმასაც ეშინია. მე თუ ძილი გამიტყდა, ვერც ის იძინებს. შენი ჭირიმე, როლანდ, წამიყვანე შინ! წაგვიყვანე. ცუდად ვარ, როლანდ, თავბრუ მესხმის. დღეს ორჯერ შემიღონდა გული, სიმართლეში, შიშში, მოლოდინში... ჩემს თავს არ ვჩივი, ამას არ ვატყინო მეოქი რამე, — კისერზე ეხვევა ლეიტენანტს, ვითომ, მართლა უღონდება გული. ქმარს ატყუებს, აშინებს, ისევ ქმრის სასარგებლოდ, იქნებ, როგორმე მართლა აიტყუოს ამ გათოშილი სარდაფიდან. აიტყუებს კიდევ — ისაა ლეიტენანტის ფასკუნჯი. მართო ოცნების ამარა ჭერ არავინ ამოსულა ქვესკნელიდან. ოლონდ, საკუთარი ხორცი უნდა შეაჭამო ფასკუნჯს, საკუთარი ბარძაყი უნდა გამოიჭრა საკუთარი ხელით და ასევე საკუთარი ხელით ჩაუღო პირში გაუშაღლარ ფრინველს, თუ გინდა რომ ქვესკნელიდან ამოგიყვანოს, სამზეოზე ამოხვიდე როდისმე, გაიხედ-გამოიხედო, თავი დააღწიო მარადიულ ნესტსა და წყვიდადს, გულის დამზაფრავ ფიქრებს. მაგრამ სამზეოზე ამოსული, შენც მაშინვე ისეთი გახდები, როგორც შენს გარშემო მცხოვრები ხალხია. მერე რა მოხდა, რითია ცუდიო — იკითხავ შენ და მართალიც იქნები, პირიქით, ცუდი კი არა, კარგია. შენს გარშემო ყველანი ჩვეულებრივი ადამიანები არიან: პაპაც, ბებიაც, დედაც, ძია სანდროც, მარგალიტიც, იოსებაც, გიეკოლაც, ვეგენია დუგლაძეც, ვანო მასწავლებელიც, გოგიაც... ყველანი. საერთოდ, ადამიანი ჩვეულებრივია და ასეთიც უნდა იყოს — ჩვეულებრივი — ანუ, ცოტა გულადიცა და ცოტა მშვიდარაც, ცოტა გულუხვიცა და ცოტა ძუნწიც, ცოტა

კეთილიცა და ცოტა ბოროტიც, ცოტა ჭკვიანიცა და ცოტა ბრუყვიც, ცოტა ბედნიერიცა და ცოტა უბედურიც, ჭედგან ეს „ცოტა-ცოტაობა“ აძლებინებს სწორედ — ბევრი ყველაფერი მავნებელია, ძალიანაც რომ უნდოდეს, ჩვეულებრივი ადამიანი ბევრს მაინც ვერ მოერევა, ვერც სიყვარულს, ვერც სიძულვილს, ვერც სიმდიდრეს, ვერც სიღარიბეს, ასე რომ, მართლა არაფერი დაშავდება, თუკი შენც ჩვეულებრივი ადამიანი იქნები, არ ვაამართლებ ძუძუმთშიშვლებული მარჩიელის წინასწარმეტყველებას და, სხვებივით, მართო საკუთარ მუცელზე იფიქრებ. მართალს ამბობს ლამარა, მომხდარა და მოხდება კიდევ, მაგრამ რა შენი ბრალია და, საერთოდ, რა შენი საქმეა, ვინ ვის კლავს, ვინ ვის ძარცვავს და ვინ ვისი დამქაშია. ერთი ჰიტლერი, ერთი ური ჰიბი და ერთი კაციქაშია ღორი ყოველთვის უნდა იყოს და იქნება კიდევ ამ ქვეყანაზე. ზღაპრებს შენ რაც სწერია, ცხოვრებიდანაა აღებული, ოლონდ, კაცს ეშინია სიმართლისა და ათასნაირად აფუჩჩებებს, თავის სივერაგეს მელიას მიაწერს ხოლმე, თავის სიხარბეს — მგელს, თითქოს ასე განიწმინდება, განიკურნება, თვითონ ცხოველივით კარგი გახდება, ცხოველი კი — იმასავით ცუდი. შენი კარგი მე, ჩემი ცუდი შენ. მაგრამ, ვიდრე თავისი ნაკლისა და თავისი სიგლაბის დამალვასა და გადაბრალებას არ მოეშვება, ვერც ჰიტლერს, ვერც ური ჰიბსა და ვერც კაციქაშია ღორს მოიშორებს თავიდან. აკი, ლამის მართლა შეჭამა ღორმა მანია ძალო ისე იყო დაკბენილი, საეადმყოფოში დააწვინეს. შვილი დიდი კაცი ჰყავს თბილისში. ექიმთანად ჩამოვიდა. აქაურ ექიმებს არ ენდო. მაგრამ იმან რა ჰქნას, ვისაც შვილი დიდი კაცი არა ჰყავს?! ის უნდა ენდოს — სხვა რა გზაა?! იმას კი, დიდ კაცს, მატარებლისთვისაც არ დაუცდია და სწორედაც მოქცეულა. თქვენც კარგად მოგხსენებათ კახეთის მატარებლის ამბავი: აღმართს რომ შეუღდება, მგზავრები

ჩამოხტებიან ხოლმე და გვერდით მისდევენ, როგორც ვირიტაქკას. თან ხელითაც აწევიან, ეხმარებიან. ტყუილი ხარჯია და მეტი არაფერი. მაგრამ რა უნდა ჰქნან? ყველანი მატარებლით დადიან და ისინი ხომ არ გამოირჩევიან ყველასაგან, ვინმეს ხომ არ ათქმევინებენ, ეს რა აჯამი ხალხი ყოფილაო? დაცივნის რომ არ ეშინოდეთ, დაადგებოდნენ ლიანდაგს და, შეიძლება, მატარებელზე ადრეც ჩამოსულიყვნენ თბილისიდან წნორში. ის კი, დიდი კაცი, ჯერ თელავში ჩაფრინდა თვითმფრინავით, თელავში კი მანქანა იჭირავა, მანქანა კი არა, მთელი ავტობუსი (სწორედ იმათ გაიტანეს გზაზე მგელი). მოკლედ, ისე ჩქარობდა, ოღონდ დედას რამე ვუშველოო, არაფერზე დაუხევიდა უკან. ხოლო, დედა რომ გადაურჩა, ერთი კარგადაც იქეიფა, დოღგარმონზე, ქალაქურად. დამკვრელები დაქმუქნული თუმნიანების აკრეფას ვერ ასწრებდნენ თურმე, ცალი ხელით ფულსა კრეფდნენ, ცალით დოღსა სცემდნენ და გარმონს ჭიმავენდნენ. მაგრამ მანია ძალოს მანც ვერ შეუფერებია შვილის პატივისცემა და უთქვამს: რაც დამკვრელებს ფული მიეცი, იმის კოპტონი რომ გეყიდა თავის დროზე, იქნება. არც მე შევექამე ღორებსო.

უცებ მოკლული ისევ გადაიძრობს ბრეზენტს და ფეხზე წამოდგება (ბრეზენტს, ამჯერად, იატაკზე დატოვებს — ერიდება, ბრეზენტმოხურული ეჩვენოს უცხო ქალს) ამის შემხედვარე ლამარას, ვითომ გულისშეღონებაც დაავიწყდება და მართლა ორსულობაც: ერთს ისეთს იკვილებს, ღამურები დაფრთხებიან, ერთბაშად გამოერკვევიან ზამთრის ძილქუშიდან და უთავბოლოდ აფარფატებიან სანახევროდ ჩაბნელებულ სარდაფში. მთელი სარდაფი ღამურებით გაივსება უცებ (ვინ იცის, იქიდან მოფრინდნენ ნიკონთანაც). წივიან, წრიპინებენ. რა ამბავია? რა მოხდა? ვინ იკვილა? რა სულიერია? ვის შეიძლება ჰქონდეს ასეთი ხმა? ვის შეიძლება არ ეძინოს ამ სი-

ცივეში? წივიან, წრიპინებენ, წრიპინებენ. ველარც ძველი, ჩამბუნებული ადგილებისთვის მიუგნის, უნდაც ახალისთვის. ახია რატომ იუკადრისეს თავგობა? ისხდებოდნენ ახლა თავიანთ სარობებში, თბილად, მშვილად, არხეინად, ღრმად, ღრმად, რაც შეიძლება ღრმად, რაც შეიძლება შორს ზიფათისაგან, ზიფათმა რომ ვერ მიავნოთ, სანამ თვითონვე არ ჩაუცივდებიან პირში ზიფათს. თუმცა, ვინ იცის, სად სჯობს, მიწაზე თუ მიწაში? მიწაზეც ის არის, რაც მიწაშია. მიწა კაცად იქცევა, კაცი მიწად. მიწიდან ამოსული მიწას უბრუნდება. მიწა თავისას მოითხოვს, და მანც, ვიდრე მიწაზე ხარ, მიწაზე ყოფნა სჯობია. მიწა კი გვიყვარს ვითომ, მაგრამ უფრო გვეშინია მიწისა. შიში შეიქმს სიყვარულსაო — ამაზეა ალბათ ნათქვამი. გულგრილობას ვიჩენთ, შიში რომ დავშალოთ. მაგრამ მანც ყველაფერი კარგად იქნება — ასე უკვალოდ არ ქრებიან ამ ქვეყნიდან. ჯერ აქ უნდა წარმოადგენდე რაღაცას, მიწამ რომ მიგიღოს. რაღაცა უნდა გააკეთო აქ, ჩაიღინო მანც, ლექსებგადამტერებული მასწავლებლის ჯიბრით ყაჩაღად გავარდნა, თანაც ორი დღით, სათვალავშიც არ არის ჩასაგდება.

„ნუ გეშინიაო — ეუბნება მოკლული ლამარას. — რაც აქ ხდება, მართლა აქ კი არ ხდება, არამედ — ერთი მშიშარა ბიჭის გონებაშიო“. ლამარა ხელს მანც არ უშვებს ქმარს. ჯერ ისევ ეშინია, მაგრამ უკვე ქალური ცნობისმოყვარეობით ათვალერებს მოკლულს. თუკი ბოროტი კაცი დანიავს ბოროტია, ჩვეულებრივი ქალი მშიშარა ბიჭის გონებაშიც ჩვეულებრივი ქალია. „მკვდარი ადგა, აღარ დადგაო — იცინის მოკლული თავის თავზე. — იცით, რომელი ზღაპარი მიუვარდა ბავშვობაში ყველაზე ძალიან? — ეკითხება უცებ ლამარას. ლეიტენანტს ველარც ამჩნევს თითქოს (პაპა ამბობს — ქალმა თქვა, ზღვას ცეცხლს წავუტიდებო) — აი, ბავშვი სიკვდილს ცხენს რომ მოპარავს. არ გახსოვთ?

არავის მოუყოლია?“ „როგორ არა, ალბათ. რა ვიცი“. — დაბნეულად პასუხობს ლამარა. „აბა, როგორ მთავრდება?“ — სცდის მოკლული (კუზიანმა ქეთომ იცის ასე, ბიბლიოთეკარმა — წიგნს რომ დაუბრუნებთ, აუცილებლად უნდა გკითხოთ, როგორ თავდებაო, იმიტომ რომ, ისიც კარგად იცის, ბიბლიოთეკის ყველა წიგნს ბოლო გვერდები რომ აკლია). „რა? რა როგორ მთავრდება?“ — ერევა საუბარში ლეიტენანტი. თავს ახსენებს მოკლულს, მეც აქ ვარო. მოკლული კი წარამარა ისწორებს პალტოს საყელოს, თავაზიანობად, გულისხმიერებად, ზრდილობადაა ქცეული. ასე მხოლოდ წინად, ოდესღაც, უხსოვარ დროს ელაპარაკებოდა მამაკაცი ქალს. მაგრამ ლეიტენანტი, უპირველეს ყოვლისა, თავადაც მამაკაცია, რაც არ უნდა სასიამოვნო იყოს საცქერლად, უცხოს ვერ შეატოვებს ხელში თავის ფეხშიძემე მეუღლეს. უცხო უცხოა, გინდ მკვდარი, გინდ ცოცხალი. სხვათაგან რომ ვთქვათ, უცხო არც მკვდარია სახლო და არც ცოცხალი. „რა და, ზღაპარი. ბიჭმა სიკვდილს ცხენი რომ მოპარა“ — ლეიტენანტს პასუხობს მოკლული, მაგრამ ისევ ლამარას შესცქერის სახეში“. „არ მახსოვს. არ ვიცი. რა დროს ზღაპრებია“ — ამბობს ლეიტენანტი. „მე კი მიყვარს“ — ქმრის მაგივრად, მოკლულს ეუბნება ლამარა. „ჩემმა ცხენმა ცაში რომ ავიყვანა, რა დანიხზე იქიდანო, ჰკითხა სიკვდილმა ბიჭს. — ლამარას უყვება ზღაპარს მოკლული. — რა დავინახე და, დედამიწა კვერცხისოდენა მოჩანდაო, უპასუხა ბიჭმა. მერე, შე კარგი დედამისი შეილო, როგორ გგონია, ამ კვერცხისოდენა დედამიწაზე უცხენოდ ვერ გიპოვიდიო, უთხრა სიკვდილმა. არც ახლა გაგახსენდათ?! თუმცა, რა მნიშვნელობა აქვს, მთავარი ის არის, ამ კვერცხისოდენა დედამიწაზე ვერსად რომ ვერ დაემალები სიკვდილს. არა, არც ესაა მთავარი. ეგ კარგია. ცუდია, სიკვდილი რომ სანატრელი გაგიხდება კაცს. არა, მაინც ვერ ვამბობ ზუსტად.

ცუდია, როცა მკვდარი ხარ და არც იცი. რაც მთავარია, სხვაყველაფერ იცის, მკვდარი ხარ თუ [ხა... ხარ...] ანდა რავის ახსოვს, აღარავინ იცის შენი ვინაობა. კაცი ჭერ თავს უყვდება, მაგრამ საბოლოოდ, სამუდამოდ მაშინ კვდება, როცა ყველა დივიწყებს, როცა ყველასთვის სულერთია, მკვდარი თუ ცოცხალი. მკვდარს თუ გამხსენებელი ყავს, თავისი მომავალიც აქვს. გამხსენებელთან ერთად გადადის ხვალისდღელ დღეში. ყველაზე მწარე სიკვდილი, სწორედ, უმომავლო სიკვდილია. საშინელებაა. საშინელებაა. ღმერთმა ნუ გამოგაცდევინოთ. არც შენ იცვლება, არც არაფერი იცვლება შენს გარშემო. ღრუბელი რომ ღრუბელია, ისიც თითქოს ლურსმნითაა ცაზე მიქედებული. ზიხარ სარკმელთან, გასცქერი სიციარიელეს და ვერ გაგიჩქევი, რა უფრო მეტი სიციარიელია, რასაც გასცქერი, თუ რასაც წარმოადგენ. ძალიან ბევრი დრო გჭირდება, ეს რომ გაარკვიო. დრო კი არ არსებობს, ველარ ბრუნავს. წარსულიდან აწმყოში კი გადმოვიდა, მაგრამ ისევ წარსულს რომ დაუბრუნდეს, მომავალი უნდა გაიაროს ჭერ. მომავალი კი არ არსებობს, იმიტომ რომ, არავის აღარ ახსოვხარ და არავინ აღარ გახსოვს. არაფერს აღარ წარმოადგენს: არც დაბადების დღეა შენთვის, არც სიკვდილისა, არც მშობლებთან შეხვედრისა და არც შურისძიებისა, რადგან არც ცოცხლისა გაგეგება რამე, არც სიკვდილისა, არც მშობლებისა და არც მტრისა — ტიკინა ხარ, სარკმელში გამოდგმული. განა დასანანია ასეთი კაცის სიციცხლე?“ „დასანანია — კი არ პასუხობს, თავისთვის ამბობს ლეიტენანტი. ფიქრში წასული, თითქოს რაღაცას იხსენებს, თითქოს მსგავსი რამ, რაც ეს წუთია მოისმინა, ადრეც გაუგია, ანდა, წაუკითხავს, ოღონდ, სად და როდის, ველარ აღუდგენია. — დასანანია — იმეორებს სევდიანი სიმტკიცით. — სიკვდილისთვის ყველა ცოდოა“. „ვინმეს რომ დანანებოდა, უშველიდა კიდევ. სიკვდილიდანაც შეიძლება გამო-

ბრუნება. ოღონდ, ძალიან უნდა გინდოდეს და არ უნდა დაგეზაროს" — იცინის მოკლული. რაც მართალია, მართალია! თავად ნიკოა მსგავსი სასწაულის მოწმე. ჭერ კიდევ ბათუმში, ჭერ კიდევ ომადე... ოთხი-ხუთი წლის თუ იქნებოდა, მაგრამ ახლაც ცხადად ახსოვს ის ღღე. ხმებიც კი ახსოვს იმდღევანდელი. მაგალითად, ბოლომდე მოშვებული წყლის ხმა, წყლის დგაფენი აბაზანაში, სადაც, ეს წუთია, ნიკოს თვალწინ გაცოცხლებული, მკვდრეთით აღმსდგარი თევზები დასრიალებდნენ. ის თევზები ერთი საათის წინ ბაზარში იყიდეს იმან და მამამ, დიდხანს იარეს ვერცხლისფრად გადაბრწყვიალებულ დახლებს შორის, ვიდრე, მაინცდამაინც, იმ თევზებს აარჩევდნენ. ისიც ახსოვს, როგორი კმაყოფილი იყო ნაეპკრით. დედასაც არ დაანება თევზების ამოლაგება ჩანთიდან. თუმცა, თვითონ ძლივს ერეოდა საკმაოდ მძიმე და სლიპინა თევზებს და ვიდრე მაგიდამდე მიიტანდა, რამდენჯერმე გაუსხლტა კიდეც ხელიდან. „გაანებე თავი. შენ რალაზე ისვრებიო“ — უთხრა დედამ. მერე წინსაფარი გაიკეთა, თევზის საფხეკი დანა აიღო და უცებ, შეძრწმუნებულმა თუ ალტაცებულმა, შესძახა: ცოცხალია, სუნთქავსო! დედის მოულოდნელ შეძახილზე მამაც შემოვიდა სამზარეულოში. ჭერ ისევ საგარეო ნაკრისფერი კოსტუმში ეცვა, წითელი პალსტუხი ეკეთა. ფეხები კი ფლოსტებში წაეყარა. ერთ ხელში გამოლილი ვაზეთი ეჭირა, მეორე სამზარეულოს გამოღებულ კარს მიამბჩინა და თქვა: რა იყო, რა მოგივიდათ, ორ საწყალ თევზს ვერ უნდა მოერიოთ ორი ადამიანიო. „ნახე, სუნთქავსო“ — დანა მიუშვირა დედამ თევზებს. „ძალიანაც კარგი, ესეიგი, ახალიაო“ — გაიცინა მამამ. მერე რა ილაპარაკეს, ნიკოს აღარ ახსოვს. იმიტომ რომ, აღარ მოუსმენია იმათთვის. ყურადღებად, მოლოდინად ქცეული დასცქეროდა თევზებს როდეს ამოისუნთქავდნო, ერთს, მობოშებულ, უსიცოცხლო კუდი, მეორის

თეთრად მბზინავ მუცელზე გადაედო მერე მამამ აბაზანა წყლით დათვევები შიგ ჩაყარა. სამდევნიო ტიპი უვნენ, სააბაზანოში, ძლივს ეტეოდნენ, ფეხებში ებლანდებოდნენ ერთმანეთს, მაგრამ სამივე ისე შეეპყრო ამ უჩვეულო საქმიანობას, ვერცკი ამჩნევდნენ ერთმანეთს — სამივეს გულისყური აბაზანაში იყო ჩაპირქვავებული, ჩაღრმავებული. თევზები ჭერ ჩვეულებრივი უსულო საგნებივით ტრიალებდნენ, ბრუნავდნენ აქოთქოთებულ, აშხუვლებულ წყალში. მაგრამ მალე, გაცილებით მალე, ვიდრე ელოდებოდნენ, ერთმა პირი დააღო და ლაყუჩები ამოძრავა. ცოტა ხანში ფარფლებიც შეუთრთოლდა, მაგრამ ვერკი გასწორდა, რალაცნაირად გვერდულად დაეკრა და, ეტყობა, ფარფლები ჰქონდა დაზიანებული. მაგრამ ბოლოს მაინც იმარჯვა, მაინც გაიტანა თავისი და, არა მარტო აღიდგინა წონასწორობა, რამდენჯერმე ხალისიანად შემოუარა აბაზანას, თითქოს. გადაზომა, შეამოწმა, შეისწავლა თავისი ახალი ადგილსამყოფელი. ამასობაში მეორემაც ააცმაცუნა პირი, ამოძრავა ლაყუჩები, იმანაც ჭერ ფრთხილად, გაუბედავად შეათრთოლა ფარფლები და მალე გვერდშიც ამოუდგა თავის მართლაც რომ უცნაური ბედის მოზიარეს. მერე აღარც მოშორებთან ერთმანეთს. გვეგონებოდათ, უხილავ უღელში არიან შემბულებიო. წინასწარ შეთანხმებულებივით, ღამის ერთმანეთს მიხუტებულნი, ერთნაირი სიჩქარით, ერთნაირად დაეკრავენდნენ, დასრიალებდნენ, გაწვრთნილებივით, და იმათი შემხედვარე, ვერაფრით დაიჭერებდით. სულ რალაც ერთი საათისა თუ საათნახევრის წინ, მკვდრები რომ ეყარნენ მირიად თანამომქმეთა ქერქლით გადაპრიალებულ დახლებზე. „ვერ უყურებ ამით! რალა ესენი და რალა შენ და ელენიკაო“ — უთხრა მამამ ნიკოს. დედამ კი წინსაფარი მოიხსნა, თევზის საფხეკ დანას ზემოდან დაადო და მტკიცედ განაცხადა: სულ რომ მშვივები მოკვდეთ, მაინც არ შეგიწვამთ ამ თევზებსო.

თევზები მეორე დღესაც აბაზანაში დასრიალებდნენ. როცა აბაზანა ჭირდებოდათ, ისინი ფეხსაბან ტაშტში გადასაყვდათ დროებით. მერე კი სადღაც გაქრნენ. ალბათ დედამ ვილიცას გაატანა და ზღვაში გააშვებინა. „იცი, რა არის მთავარი — ამბობს მოკლული — სიკვდილამდე არ უნდა ვიხოცებოდე. სიკვდილს რომ თავისი მიაქვს, ჩვენ მეტი არ უნდა გავატანოთ. მაინც ვერ ზიდავს, ვერ მოერევა, გზადაგზა დაეფანტება, მკვდრები ისევე მიწაზე დარჩებიან, ცოცხლებში აირევიან და თანდათან გამოჩრევეს გაჭირდება, აირ-დაირევა ყველაფერი. მერე, გინდაც მკვდარი დაგიგდიათ დაუშობრხავი და გინდაც ცოცხალი დაგიმარხავთ. ერთი და იგივეა. — ორივეს ერთდროულად მიმართავს, ლამარასაც და ლეიტენანტსაც, მაგრამ სწორედ ამ დროს, სადღაც ზემოთ, ცოცხლების ქვეყანაში, მამალი დაიყოლებს და საძიებნი (ოთხივენი), უნებლიედ, სარდაფის თაღს მიაჩრდებიან დაძაბულნი. ეს უკვე ნამდვილად მარგალიტას მამალია და არა ელიასი, ნიკოს მახსოვრობის ქანდარაზე კი არა, იოსებას დროვის კოფოზე შეფერენილი. — აგე, აგე! — ცალ ხელს მალა სწევს მოკლული, მამლის ყვილისკენ უთითებს ცოლქმარს. — თქვენთვის ყივის. თქვენ გეძებთ. თქვენ დააკლდით სათვალავში. იქ არ დახვდით, სადაც ეგულებოდით, სადაც უნდა იყოთ წესით. იმიტომაც ყივის ასე გამწარებული. სანამ არ დავინახავთ, არ მოიხვენებს. აბა, ღმერთმა ხელი მოგიმართოდ. ყველაფერს თავისი დრო აქვს და ყველაფერი მთავრდება ბოლოს. რა გაეწყობა, ვიდრე არეული ქვეყანა დაწყნარდება და კალაოტში ჩადგება, ძნელი გასარჩევია მტყუანი და მართალი. გაჭირვება კაცს კიდევ უფრო უარესად რყვნის და აეშმაკებს. რაღას არ იკადრებს, ქვეშ რომ არ მოჰყვეს დასაწყნარებელ, დასალაგებელ ცხოვრებას. მერე კი ნანობს, აქ რომ ჩამოვა, მაგრამ რაღა დროსია. სინანული მალა უნდა — ამბობს შემამფოთებელი. შემამფხებელი სედი-

თა და სინანულით. — მოკლულმა ყველას მოგვიკლა გული უკმაყოფილებს სიცილით — მერე როგორ უარისმქმეც აღარ მახსოვს. მოკლულმა ყველას მოგვიკლა გული, თორემ ისე, საგანგაშო არაფერია. ყველანი ჩვეულებრივი ადამიანები ხართ და ასეთებიც უნდა იყოთ, ჩვეულებრივები; ღმერთმა ნუ ქნას, მეტი გესმოდეთ, ვიდრე გესმით; ნაკლები გინდოდეთ, ვიდრე გინდათ. სწორედ თქვენი ცოდნისა და თქვენი სურვილის ეს შეუსაბამობა აწონასწორებს ქვეყანას. ნუ მიეცემით წუხილს. სანამ დროა იცხოვრეთ. იტანჯეთ მეტი — მინდოდა მეთქვა“.

მამალი კი ყივის, გაბმულად, ომახიანად, მამლურად. რა თქმა უნდა, მარგალიტას მამალია. პირველი ის ყივის ყოველთვის. სხვები მერე აჰყვებიან ბოლმე, ციხის უბნიდან თუ დაბახანიდან. ის კი არა, ნუკრიანელი მამლებიც ამას ელოდებიან. მგონი, მართლა თენდება ავადმყოფობის პირველი და, ამიტომაც, ყველაზე სახიფათო ღამე. უცებ მოკლული მუხლებზე დაეცემა და, ლამარასკენ ხელებგაწვდილი, მხურვალედ, ვნებიანად შეჰლაღადებს: ბოლო სათხოვარი შემისრულებო. ლამარა აიწურება, დაიბნევა. მართლაც, რა გინდა რომ ჰქნას; როგორ გინდა, ან დათანხმდე, ან უარი უთხრა მკვდარ კაცს რამეზე? ბოლოს და ბოლოს, ვაღდებულცივა ხარ, შეუსრულო, რაც არ უნდა ვთხოვოს. „სიცოცხლის ხმა მომასმენინე უკანასკნელად, დაო, მომავლის ხმა“ — ევედრება ბრეზენტის გუბეში დაჩოქილი მოკლული. ლამარა თანახმაა, ოღონდ, ვერ ხედება, რას თხოულობენ მისგან, როგორ უნდა მოიქცეს, ეს უცნაური თხოვნა რომ შეუსრულოს მოკლულს. დაბნეულად მომღიმარი, ხან დაჩოქილ მოკლულს შეხედავს, ხან განზე გამდგარ ქმარს. მაშინ, თავად მოკლული ჩოქვით ამოვა ბრეზენტის გუბიდან, ჩოქვით მივა ლამარასთან და უკვე საკმაოდ გამობერილ მუცელზე მიადებს ყურს. თითქოს ბავშვები არიან და ექიმობანას თამაშობენ. მოკლულს თანდათან ელი-

მება, თანდათანობით ებადრება სახე. „ბაბლი-ბიბლი-ბებლი-ბუბლი“ — იმანის მომავალი სიკაცხლე დედის მუცლიდან. „ბაბლი-ბიბლი-ბებლი-ბუბლი“ — პასუხობს უკვე დამთავრებული, გარდასული. ერთმა ჭერ არ იცის ლაპარაკი, მეორემ აღარ იცის, დაავიწყდა, აღარ ჰქონდა. მათ შორის, მეტი თუ არა, ხუთი ათასი წელია, მაგრამ ერთმანეთს მაინც მშვენივრად აგებინებენ. „როლანდ, როლანდ!“ — იმანის ხმათროლებული, გაბედნიერებული, გაამყებულო ლამარა. მაგრამ. მოკლულისა არ იყოს, ყველაფერს თავისი დასასრული აქვს. ავად თუ კარვად, ყველაფერი მთავრდება. ალბათ სიკვდილიც. შეიძლება, სიკვდილის ლამეც ვათენდეს როდისმე. „ცხვირს მოვიჭრი, თუ არ თენდებოდესო“ — ფიქრობს ნიკო. მართლაც, სარკმლის კრილში შავი ხავერდით მბზინავი წყვილიანის ნაცვლად, ახლა ლურჯად აბურძგნული წყვილიანი დგას. წყვილიანებშიც არის გარჩევა. წყვილიანი, მაინცდამაინც, სიკვდილს როდი ნიშნავს, განა სიყვარულიც წყვილიანი არ არის?! არის წყვილიანი დასასრულისა და არის წყვილიანი დასაწყისისა. იმედი უნდა ვიქონიოთ, იმედი ყოველთვის თან უნდა ვიქონიოთ, როგორც ჭარისკაცმა — მათარა, მალაროელმა — ნათურა, მთასვლელმა — წრიანი. იმედი ნუ მოგიშალის ღმერთმაო — ასე ილოცება კაცი. იმედიანი სიკვდილიც ადვილია. ადვილია, მაგრამ სასიამოვნოაო; მაინც ვერ იტყვიო. წიგნარ გამოტოლი, რაც მთავარია, გულზელდაკრეფილი და რაც კიდევ უფრო მთავარია, ღამურების დასკინტლული. თუმცა, ნიკო კი არ არის ის — გამოტოლი, გულზელდაკრეფილი და ღამურების დასკინტლული — ის ოდესღაც იყო. ახლა კი ზემოდან დაკუთრებს იმას, როგორც ალი — ნაცარს. მაგრამ ზემოდანაც ვერაფერს ხედავს სახარბილოს, იმედის მომცემს: ყველას ძინავს, ის კი მკვდარია. პაპა არ ამოსულა, ეტყობა, არ გაუგია ჭერ. მით უკეთესი. ვიდრე წნორიდან ამოაღწევდა, ათ-

ჯერ გაუსკდებოდა გული შიშისგან. საშიში კი არაფერია. ეგაა რამე მუდმივად ცას სარკმლის თვალი დაჩქუნდა და ოთახში ჰაერი გაყინულა, როგორც წყალი იყინება ჩრდილოეთ ყინულოვან ოკეანეში. შეიძლება, ჭარმა შემოგლიჯა სარკმლის თვალი და, ყველა სიკეთესთან ერთად, თუკი სადმე ხმელი ფოთოლი იყო, აქ შემოხვეტა. მკვდარი ფოთლები — მკვდარს. სამართლიანი გადაწყვეტილებაა: გვირგვინს გაიკეთებს, გაერთობა. მაგრამ მკვდარი ფოთლები რატომღაც გაცოცხლებულან, იუკადრისეს ალბათ ფოთლობა, და ღამურებდალ გადაქეულნი, წივიან, წრიბინებენ, წივიან. ნიკოს ესმის, ხედავს, გრძნობს, მაგრამ არ იცის, რატომ ესმის, რაც ესმის, რატომ ხედავს, რასაც ხედავს და რატომ გრძნობს, რასაც გრძნობს. ერთი რამე აიცის მხოლოდ საფუძელიანად: რაც ძირს დარჩა, თვითონ იყო, და რაც მალაა, ისიც თვითონაა. ბავშვებს კი, თურმე, ღრმა ძილითა ძინავთ. ესეც კიდევ ერთი დადასტურებაა იმისა, ბავშვი რომ აღარ არის ნიკო, ანდა, კიდევ უარესი — არასოდეს არ ყოფილა. ღრმა ძილისა არაფერი გაიგება. სამაგიეროდ, კურდღელივით თვალდაპყეტილი ძილის ოსტატია, თითქოს არ იცის, რა წუთას მოუწევს წამოხტომა. ჭერ კიდევ ბათუმში მიეჩვია, დედის დაბრუნებას რომ ელოდებოდა სულ, განუწყვეტლივ: როგორ მოვა, რა აზბავს მოიტანსო. სულ, სულ, განუწყვეტლივ, იმის შიში რომ კლავდა, ადგომა არ დამიგვიანდეს და სხვამ ჩემზე ადრე არ დაიკავოს ნავთისა თუ პურის რიგიო. ამაში ვავიდა დრო — შიშში, მოლოდინში, წუხილში. თოვლის პაპას კი ხურჩინში ჩაულბა ნიკოსთვის მისაცემი საჩუქრები, შეეშინდა მიწაზე ჩამოსვლა, ვიდრე მიწაზე ომი მძინეზარებდა. შეეშინდა, მეც არ დამახალონ ტყვიო. მაგრამ ჩავლილ დროს ჭაჩიც ვეღარ დააბრუნებს უკან. ამიტომ, როგორმე, ნიკომაც უნდა მოიკლას წარსულ დროებზე დარდი და, როგორც შეუძლია, მამლისა და ძალ-



ლის არ იყოს, ხელი შეუწყოს გათენებას. იქნება, მართლა დაადგეს საშველი ამ გაუთავებელ ლამეს! მაგრამ ნიკოს რა შეუძლია, რის მაქნისია, როგორ მიეხმაროს ძალსა და მამალს, ვერც ერთივით იყვება და ვერც მეორესავით იყივება. თუმცა, როგორ თუ რა შეუძლია, განა იმათი ხმა რომ ესმის, იმათ ხმას რომ არ უყრუებს, ესეც თავისთავად მიხმარება არ არის? ისინი ხომ ნიკოს გასაგონადაც ყვირიან და ყვფენ? ნიკოს უყვფენ და ნიკოს უყვირიან, პირველ რიგში, რათა როგორმე სძლიოს იმან მოულოდნელ, გაუთვალისწინებელ სიკვდილს: ნიკოს თხოვენ, ავალდებულებენ, აიძულებენ, ერთხელ და სამუდამოდ, გამოფხიზლდეს და დასიზმრებულიდან, წარმოდგენილიდან, მოლანდებულიდან, ნამდვილად ნანახი, ნამდვილად განცდილი და ნამდვილად გადატანილი გამოაჩინოს, მაგრამ სამისოდ ჭერ კიდევ უძლორია ნიკო და ისეც ერთმანეთში ირევა ნასაყდრალიდან გამოვარდნილი ყაჩაღი თუ მკვდარი კუ, გოჯოლას მამის კუბო თუ სოსნებით გადაღურებული მინდორი, გოვიას გასისხლიანებული ხელით თუ მგელს გამოკიდებული ავტობუსი, აბაზანაში მოსრიალე თევზები თუ ნუკრიანელი მათუსალა, ბრმების მოხამხამე ქუთუთოები თუ საავადმყოფოს ბინდბუნდში მუზარადივით აელეებული მამის სახე. ნიკოც, ძალაუნებურად, მაგრამ სიამოვნებითაც, დაბორილობს ამ უცნაურ ფიქრებში. ჩვენებებში, სიზმრებში და, ისეც და ისეც, ერთ რამეშია მხოლოდ დარწმუნებული: სულერთია, მკვდარია თუ ცოცხალი! ამიტომაც, ყოვის მარგალიტას მამალი ასე თავგამოდებულ, რანდისა თუ მონადირის ბუკივით, — უხმობს, მოუწოდებს, ახსენებს. უპატრონო ძაღლი კი საერთოდ არ გაჩუმებულა. მთელი ღამეა ყეფს. ყველასი და არავისი. ღმერთს რომ არ შესცოდებოდა, თავის დროზე, რა ეშველებოდა, უბედურს, როგორ მოიხდინდა ოცდაათწლიან სიცოცხლეს?! ვინ იცის, უკვე ყელში აქვს ამოსუ-

ლი. რამდენი წლისა იქნება თქვენი აზრი? ნიკო რომ ჩამოიყვანეს, უკვე აქ იყო და ძველი მეგობარებში შეგება, ფეხებში გაუფორდა, მთლად გაუფხრათ საგულდაგულოდ მოპრიალეული იატაკი. ვაღი ძაღლო, შე უპატრონო — ძლივს გააგდო ბებიამ. ესეიგი, ბებიამ უკვე იცოდა, უპატრონო რომ იყო. უფრო მეტიც, შეჩვეულიც იყო იმის უცნაურ გულითადობას; გაბეზრებულიც იყო უკვე იმისი გულითადობით. ამას კი გარკვეული დრო სჭირდება, მით უფრო ბებიასავით მომთმენი და ლმობიერი ადამიანისთვის, სამი-ოთხი წელი მაინც. იმ სამ-ოთხ წელიწადს კიდევ სამი რომ მიეუმართო (ნიკომ ხომ უკვე სამი წელი მოათავა აქ), მაშინ, სულ ცოტა, შეიძირვა წლისა ყოფილა და, საბედნიეროდ, ბევრი აღარ დარჩენია. მალე დაადგება იმასაც საშველი. მშვიდობით, ქვავ და წიხლო. სხვა არც არაფერი ახსოვს ალბათ. არაფერი. ქვა, წიხლი და გინება. შე უპატრონო, შე ვერანაო — თითქოს იმის ბრალია, უპატრონოდ რომ დარჩა, არავინ რომ ინდობა, არავის რომ მოუწვა გული იმისმა სიობლემ, საცოდაობამ, წკმეტუნმა და წკაქწკაქმა. თითქოს ადამიანმა კი არ შეაქცია იმას ზურგი, იმან — ადამიანს. თითქოს ადამიანმა კი არ იუყადრისა ის, იმან — ადამიანი. თუმცა, მაინც არ კარგავს იმედს, როდისმე რომ გალღევა გულგრილობის ყინული. ადამიანი თავის ადამიანობას შეიგრძნობს როდისმე და ჭიბრში კი აღარ ჩაუდგება ცხოველს, შემწედ და მფარველად მოველინება, როგორც სიძულვილში, ისევე სიყვარულშიც. ამიტომაც ცდილობს, ასე თავგამოდებული, ძაღლობის გამოჩენას — ხან ვის ეზოში ყეფს, ხან ვის სახლკარს ურბენს ირგვლივ. მაგრამ, ჭერჭერობით, მაინც ვერ მოიწყობ თავისი ძაღლური ცხოვრება. ვერაფრით ვერ მოიპოვა ერთი ხელის დადება საყუთარი ადგილი, ფიჩვი რომ დაეგო და ზედ დაგდებულიყო, თუნდაც გოვიას ბიძასავით. იქ ელოდნა, იქ ელოკა ნაწყალობევი ძვალი. სულ გუ-

ლისხმეტიკაში. სულ შიშში რომ არ ყოფილიყო. ვაი თუ. პეტრეს არ მოეწონოს, იმის ეზოში რომ ვლონდი პავლეს გადმოგდებულ ძვალსო. ძალსაც უნდა ჰქონდეს ერთი თავისი ადგილი. საკუთარი სიტბოთი და საკუთარი სუნით გაუღენთილი, სადაც დაწვება, დაეძინება და გულხელი დაეკრიფება... გულხელი ნიკოსაც ეკრიფება, მაგრამ დაძინებისა რა მოგახსენოთ. თუმცა, არც მთლად ასეა ალბათ საქმე — შიგადაშიგ, ეტყობა, იმასაც ჩასთვლემს ხოლმე, კიდევ ერთი უცნაური სიზმრის სანახავად. ახლა, მაგალითად, ცარცის ძროხა ესიზმრება. თეთრი კი არა, ცარცისა. ყველაფერი ცარცისა აქვს: რქებიც, ჩლიქებიც... ცარცისგანაა მთლიანად გამოკვეთილი, ოღონდ, სული უდგას, ცოცხალია და, რაც მთავარია, ნიკოს ჭავრი სჭირს, ნიკოს დასდევს მოსაკლავად. ცარცის რქებს უღერებს, ცარცის თვალებს უბრიალებს, ცარცის მტვერს აფრქვევს ცარცის ნესტოებიდან და ცარცის ჩლიქით ჩიჩქნის მიწას. ირგვლივ, სადამდეც თვალს მიუწვდება ნიკოს, ყველაფერი იმის ნაფშხენითაა გადათეთრებული. ცარცის ნაფშხენი თოვლივითაა ღვეს ქვეყანაზე. ნიკო კი, ვითომ, გიგო პაპას ვენახში ემალება ამ ახალ საოცრებას. კარდენახში როგორ აღმოჩნდა, გაურკვეველია, არ უჩვენებია სიზმრის მექანიკოსს, მაგრამ ცხადში რომ დიდი მეგობრები არიან ისა და გიგო პაპა, ეტყობა. სიზმარშიც იჩინა ამან თავი და, მართლაც, გიგო პაპას ვენახი ყველაზე საიმედო თავშესაფარი აღმოჩნდა — ვერაფრით ვერ შეებდა ცარცის იროხამ, შეეშინდა ნაყოფით დაძძიმებული, მზით ჩახურებული, კოლო-მუმიით დაბურული ვენახისა. გარეთ ელოდება ნიკოს, სარქვენად გამზადებული, ცარცის კბილებს აღჭრიალებს და ცარცის დორბლს აფრქვევს... ათასში ერთხელ, ამოდენა სიმახინჯე, ვენახის ლობეზე მაღლა შეხტება ხოლმე პაერში და იქიდან, პაერიდან, ჩააშტერებს ნიკოს ბატის კვერცხივით თვალს — იქ არის თუ გამეპარაო. ნიკო კ

ვანის რიგებს შორის დგას და თან ეშინია, თან იცინის, თუმცა არ ეტყვევებს ხვდება, ვერ აუხსნიდა ან სიზმრებზე რა აქვს იმ ცარცის ძროხას, ან სასაცილო. ტყუილად ხომ არ ეუბნება ბებია — სიზმრები გიშვრება ყველაფერსო. მაგრამ განა ნიკოზეა დამოკიდებული, რა დაესიზმროს და რა არა?! ბებიას ის აშფოთებს, ნიკოს ყველა სიზმარი ერთნაირად დაბნეული, ბუნდოვანი, ერთნაირად ძნელი ასახსნელი რომაა — აუხსნელი სიზმარი კი ისევე აფრთხობს და აშინებს, როგორც ბათუმისა და მიღებული დეპეშა. ვიდრე გახსნიდეს და წაიკითხავდეს — მისთვის სიზმარიც, დეპეშასავით, ყოველთვის რალაციის მათუყებელია, კარგისა ან ცუდისა, საწყენისა ან გასახარისა, რადგან სათამაშოდ და გასართობად არც ღმერთს სცალია, არც ეშმაკს, სიზმარი კი, აუცილებლად, ან ერთისაგანაა ან მეორისგან, ისევე, როგორც ბათუმისა და მიღებული დეპეშა მისი უფროსი ქალიშვილისაგანაა ყოველთვის. ამიტომ, თვითონ თუ გაუჭირდა სიზმრის ამოხსნა, მარგალიტას უნდა დაუძახოს მისი მკითხა მისი მშველელი, მისი მკითხავი და მარჩიელი, და ისიც, მართლა ჭადრაქივით, დაუყოვნებლივ აქ განჩნდება ხოლმე — თავშეშველი, მკლავშიშველი, ცეცხლთან ჭდომით ფეხებდაბარაშული — შემოხსნის უარს, გააბღღერილებს აქაურობას და ხალისიანი, იმედიანი ხმით იტყვის: როგორი მშიშრები ხართ, ხალხნო, როგორ უნდა იცხოვროთ ასეო...

7

მეორე დღეს გოგიას დედა ესტუმრათ, ძღვენით ხელდაშვენიებული, თუმცა, აშკარად ეტყობოდა, კარგ საქმეზე არ უნდა ყოფილიყო მოსული — წარამარა იცინოდა, უმიზეზოდ, თვალები კი, დატყვევებული ტურებივით, აქეთ-იქით დაურბოდა დაკეცილი და დაძაბულ სახეზე. ავადმყოფს ლომონი მოართვა — პირს გაიკეთებსო — დეიდას კი ვარდისფერი ატლასის ლიფი — მაგათი დროა ახლა, მაგათი უხა-

რიათ ლიფიცა და ტრუსიკიცო. ბებიას მოეროდა სტუმრის გაწბილება, მით უფრო რომ, არც სტუმრობას იყენენ იმისგან მიჩვეულნი, არც საჩუქარს: დეიდა ჯერ არ დაბრუნებულყო სამსახურიდან. ხოლო ნიკო, ლამის წელამდე ამოიწია ლოგინიდან, როგორც წყალბურთელი წყლიდან, ვადმოგდებული ლიმონი რომ დაეჭირა ჰაერში. ამის შემდეგ კი, თავისთავად ცხადია, აზრი აღარ ჰქონდა უარის თქმას. ოღონდ, ბებიისა არ იყოს, ისიც გაღიზიანებული და ცოტა დამფრთხალიც კი ელოდებოდა, როდის გაუმხელდათ სტუმარი-სტუმრობის ნამდვილ მიზეზს. საბედნიეროდ, არც იმას გაუწვალებია დამხედურები დიდხანს. მოამთავრა თუ არა საჩუქრების დარიგება, ანუ, როგორც კი მოქრთამულად დაიგულა ყველანი, ყოველგვარი შესავლისა და შემზადების გარეშე, განუცხადათ: იქნება, თქვენმა ბიჭმა ორი სიტყვით დაგვიწეროს ჩემმა ბიჭმა რომ მოკლა ნასაყდრალთან ყაჩაღიო.

— რას ამბობ, ადამიანო! — შეიცხადა ბებიამ.

მლელვარებისგან, თავსაფარი მოიხსნა და იმავე წამს ხელახლა მოიხვია.

— მამა. ქა! — ვერ მიუხვდა სტუმარი და უფრო ხალისიანად გააგრძელა. — არ გვიჩერებენ, ქალო, არ გაუთენდეს ხვალინდელი დღე ჩემს მტერსა და დამაწყევლარს. ვაგონილა ასეთი უსამართლობა?! — უცებ გაუშინაურდა ბებიას. თუმცა, იმას უკვე უცახცახებდა მჭიდროდ მოკუმული უარესად დაეწროებული ტუჩები. — ჩემმა მდგმურმა, თავი გაუხმეს, ვინც იმას მასწავლებლობა დასწამა, ევაო, ლიკიდაციააო, ვითომ. თქვენ კი არ მოკალით, მილიციამ მოკლა და გვამიც იმას ეკუთვნისაო. გვამს რა თავში ვიხლოთ, ქალო, განა ჩვენ გვამსა ვთხოვლობთ?! აღმასკომმა კიდევ, ეგ ჯერ უნდა დამტყიცოთო. ასე ზეპირად, ცარიელ სიტყვაზე ვინ დაგიჩერებთო, მაგას უფრო უნდა დამტყიცება, ვიდრე უდანაშაულობასო. გესმის, ქალო?!

— მიაჩერდა ბებიას თანაგრძნობის/მოლოდინში.

— არაფერიც არ მესმის... მისწიპები შეიკრა ბებიამ.

ბევრი აღარაფერი აკლდა, კარისკენ რომ მიეთითებინა, მაგრამ ბოლო წამს მაინც დაზოგა სტუმარი, მაინც მასპინძლობამ გადასძლია და თავისი მოულოდნელი და, ამიტომაც, კიდევ უფრო მწელად მოსათოკი რისხვა სრულიად უდანაშაულო შვილოშვილს დაატეხა თავზე — ახლავე ჩაყავი ხელები საბანშიო — დაუყვირა ტუჩებგადაფითრებულმა.

ნიკომ მშვენიერად იცოდა, ვის უყვიროდა სინამდვილეში ბებიაშისი, მაგრამ ხელები მაინც უსიტყვოდ შეკუო საბნის ქვეშ და მორთმეული ლიმონიც თან შეიყოლა, ოფლიან მკერდზე დაიგორა და ძალიანაც ესიამოვნა მრგვალი, გლუვი, გრილი ნაყოფის შეგრანება.

— აი, ჩემი ქალიშვილი მოვა და იმას ვკითხავთ.—თქვა ბოლოს ბებიამ.

— თქვენმა ქალიშვილმა რა იცის, ქაა?! — ყალბად გაიციხა გოგიას დეიდა. — ნასაყდრალთან ის იყო თუ ესა?! — თავი გადაიქნია ნიკოსკენ, როგორც ცარიელი ადგილისკენ, თითქოს, დეიდაშისივით, არც ნიკო იყო შინ, ანდა, ჯერ არაფერი ეკითხებოდა მას.

— ალბათ იცის, რაბან ვამბობ! — ცივად მოუჭრა ბებიამ.

— რა იყო, რა მოგივიდათ, ისე კი არ ვთხოვთ... — აიძრინა გოგიას დეიდა. დონჩშემოყრილი, ახლა ღვარძლიანად ილიმებოდა. — ჯერ ჩვენი ავალეზინეთ მეთქი... რაკი ღარიბი ვარ, აჯამიც კი არა ვარ. ქალო, ჩვენც ვიცით მადლობის თქმა...

— ნიკო! — ისევ ნიკოს დაუყვირა ბებიამ, მოთმინებადაკარგულმა, გაგულისებულმა.

როგორც პაპა იტყოდა — ნახა დაბალი ლობე. ცბენს ვერაფერი დააყოლო და უნაგირს წაუშინა.

— უიმეთ, ეს ვინა ყოფილან, გენაცვათ! — შესძახა გოგიას დეიდა და

კი არ წამოღდა, წამოვარდა სკამიდან, თითქოს კაბაზე ცეცხლი წაჰკიდებოდა.

მაგრამ წესიერად წასულიც არ მგონათ, ახლა მისი ვაეიშვილი მოუვარდათ, დედისაგან გაქვზებული — უარით როგორ გამოისტუმრეთ დედაჩემიო. შემოსულიც არ იყო ოთახში, ჩხუბი რომ დაუწყო ბებიას — მე ბათუმი-მათუმი არ ვიციო, თუ ბიჭია, ერთი ჩემი თანდასწრებითაც თქვას, როგორ თუ მე არ მოვკალი ყაჩაღიო.

— მა, რალაზე დამიძახე გუშინ, კაცისმკვლელი ხარო?! — შემოსვლისთანავე უყვირა ნიკოს.

გაეგო თუ არა გოგიას ხმა, ნიკოს გუშინდელმა ელდამ შეუბრუნა და რაკი ველარსად გაიქცეოდა, მაშინვე თავი მოიმკვდარუნა, როგორც განსაცდელში ჩავარდნილმა ვირთხამ იცის თურმე. ისე ძალიან მოუნდა უცებ სიკვდილი, ისე ცხადად წარმოიდგინა, როგორ იქნებოდა კუბოში გამოტოლი, ყველაფრისგან და ყველასაგან სამუდამოდ დაცული, სუნთქვაც მართლა შეეკრა და გულიც მართლა გაუჩერდა. ისეთი გრძნობა ჰქონდა, თითქოს პარაშუტიტი ეშვებოდა რომელიღაც სხვა პლანეტიდან და დედამიწა ჯერ კვერცხისიოდენადაც არ მოჩანდა. არასოდეს ყოფილა უფრო მარტო, უფრო უმწიო, ვიდრე — წარმოდგენილ კუბოში. კუბოში, უბირველეს ყოვლისა, ყველა გზა მოუჭრა, საძრაობა წაართვა და თვალნათლივ დაანახვა, რა პატარა ადგილი ჰქონდა მარტოს, როცა სიკვდილამდე, ვერსად ვერ პოულობდა ადგილს, მთელს სიღნაღში არ ეტეოდა და განუწყვეტლივ გრძნობდა, როგორ ვიწროვდებოდა გალავანი დღითიდღე, ვიწროვდებოდა, ვიწროვდებოდა, რათა ერთ მშვენიერ დღეს ყველანი ერთად მოესრისა თავისი ქვის თითებით. ეტყობა, ადამიანის ფიჭვი და ოცნება მოითხოვს სივრცეს და არა თავად ადამიანი: ადამიანი, საჭირო თუ შეიქნა, მისის ხოცოსავით, ასანთის კოლიფშიც თავისუფლად ჩაეტევა. ყოველშემთხვევაში, ნიკო ნამდვილად ჩაეტეოდა ახლა ასანთის კოლოფში და

ალბათ უკეთესადაც იგრძნობდა იქ თავს. მაგრამ უკვე გვიან იყო. გოგია უკვე თავზე ეღმა და დაჰყარდა მუთუ არ მომიკლავს, აბა, რატომ მეძახდი გუშინ კაცისმკვლელსაო.

— ვა, გოგია?! — რაც შეეძლო მშვიდად თქვა, გულაბაგუნებულმა.

თვალი კი არ გაუხელია. ისევე თვალდაბუქული იწვა, მამასავით, როგორც მამამისი — მათი განშორების დღეს. და ასე არა მარტო იმიტომ იქცეოდა, სხვა რომ არაფერი ესწავლა მამისგან, რითაც თავის დაცვას შესძლებდა — თვალდაბუქული უფრო იოლად იჭერებდა, მოსახდენი რომ მომხდარიყო უკვე და წინ აღარაფერი ელოდებოდა, სიკვდილის მეტი. არაფერზე ამბობდა უარს, რაც ამ თხუთმეტი წლის განმავლობაში გადახდენოდა თავს, მაგრამ ეს მაინც არ იყო ყველაფერი. მეტი რალა გინდაო — შეიძლება, ეკითხა ვინმეს, უფრო ახლობელსა და უფრო კარგად ჩაბედულს მისი ცხოვრების სკივრში და, თქვენ წარმოიდგინეთ, უცებ ალბათ თავადაც გაუჭირდებოდა შეკამათება, სიტყვის შებრუნება, რადგან უცებ ვერც ის იტყოდა, რა უნდოდა, რალას ელოდა კიდევ ცხოვრებისგან — თითქოს ყველაფერი განეცადა, ეგრძნო, ეწვინა, მაგრამ ერთი ცხადი იყო: ვერც ხორცისთვის მიემატებინა რაიმე სასარგებლო და ვერც სულისთვის, ისეთივე უპოვარი დარჩენილიყო, როგორიც მოვლენოდა ამ ქვეყანას. კიდევ უარესი, არათუ მიემატებინა რაიმე, დედის მუცლიდან გამოყოლილი ნიშან-თვისებებიც, რითაც მისიანები მაინც განასხვავებდნენ სხვებისგან, სამუდამოდ დაჰკარგვოდა, გადაშლოდა სხვა, უამრავი, ცხოვრებისგან შემოჩენებული, ერთ წუთას საჭირო და მეორე წუთას დასავიწყებელი ნიშან-თვისებებით, რომლებიც მის წარმოშობას, მის მეობას კი არ წარმოაჩენდნენ უკეთესად, არამედ, ისეთად გარდაქმნიდნენ ხოლმე, როგორიც გარკვეულ დროსა და გარემოს ჰქონდა, უფრო სწორედ, როგორიც შესძლებდა დროისა და გარემოს

დაძლევის, ანუ — გადარჩენას, ერთ-ზელ კიდევ გადარჩენას, ჯერ გადარჩენასა და მერე ცხოველური ბუნების მოთხოვნათა დამკვიდრებას, რამდენადაც ასე და მხოლოდ ასე ძალუქს ნებისმიერ ცოცხალ არსებას, არ მოისპოს, არ გაცამტვერდეს თავად — სხვათა დაზოგვა საკუთარი თავის ლატია მხოლოდ — მაგრამ ამის აღმოჩენა და აღიარება არათუ საბრძოლველად აღაგზნებდა ნიკოს, არამედ იმის ექვსაც უჩენდა, ღირდა თუ არა საერთოდ დაბადება, თუკი სხვანაირად, ანუ, სხვათა დაზოგვით, ვერც თავს გაიტანდა და ვერც სულს დაიცავდა წაბილწვისაგან. მაგრამ მთავარი უბედურება მაინც ის იყო, არავითარ შევებას, არავითარ ტკობას, არც ზორციელსა და არც სულიერს, რომ არ განაცდევინებდა ყოველი მორიგი გადარჩენა. პირიქით, კიდევ უფრო მძლავრად, დაუნდობლად ეუფლებოდა შიშისა და სევდაც და, სხვა თუ არაფერი, ისევ შიში და სევდა მოუღებდა ალბათ ბოლოს, თუმცა, იმდენად თავად შიში და სევდა არა, რამდენადაც ამ შიშისა და სევდის სიძულვილი, სიძულვილი, შეიძლება, ბავშვური, მაგრამ... მაგრამ კი არა, სწორედ ამიტომაც, მოურჩეველი, დაუოკებელი, ყველაფრის გადამწონავი, რადგან შიშისა და სევდის გარდა, სხვა არავითარი გრძნობა არ აკავშირებდა იმათთან, ვინც თავს ერჩია, არ შეეძლო უბრალოდ, ჩვეულებრივად, მარტივად, გაუზვიადებლად და გაუზღაპრებლად ეფიქრა მამაზე, თუნდაც იმიტომ, ჯერ ისიც გასარკვევი რომ ჰქონდა, გადარჩებოდა თუ არა იგი საერთოდ. ასევე არ შეეძლო ბუნებრივი ნეტარებით, შევებითა და რწმენით წარმოედგინა დედა, რადგან გულის სიღრმეში, ყველაზე ბოროტი, ყველაზე არაადამიანური, ალბათ ქაჭური გრძნობით გრძნობდა, დედას რომ აღარ ახსოვდა, არ ეცალა იმისთვის. ასე კი იმიტომ ხდებოდა, ღვთის რისხვა რომ დასტყდომოდა ქვეყანას და, რასაკვირველია, მათ ოჯახსაც — ბედისწერამ მათ ოჯახ-

საც დაჰკრა თავისი მიძიმე ტარი და ნიკოც, როგორც ყველაზე უსუსტო და უმნიშვნელო ნაწილი *არქანთისა* მთლად მოსწყდა მთავარს, როგორც კული მოსწყდება ხოლმე ხელიკს, და იი, ისიც (ანუ, ნიკო), მართლაც ხელიკის კუღევით ფართხალებდა ბედისწერის ბალახებში, შორს, ძალიან შორს მშობლებისგან, იმდენად შორს, თვალსაც ვერ გაახვლდა იმათი იმედით, უფრო თამამად რომ შეეხედა თავსადამტყდარი უბედურებისთვის, გაერკვია, მამისგან ნასწავლი ნებაყოფლობითი სიბრძავის გამო წარმოედგინა მოუჩუქველ საშინელებად, თუ სინამდვილეშიც ასეთი იყო ის, უბედურება, იგივე გოგია, მკვლელის დიშვილი და თავადაც მკვლელი, რომელიც ახლა თავზე ედგა და (ნიკოსაც ეს უფრო აფრთხობდა და აბნევდა ალბათ) ნიკოსაგან ნიკოს თვალწინ ჩადენილი მკვლელობის უარყოფას კი არ მოითხოვდა, არამედ — დადასტურებას.

ნიკო კი გულზელდაკრეფილი, თვალდაბუქული წევს და ეს უკვე იმდენად არაჩვეულებრივი, არაბუნებრივი მდგომარეობაა მისთვის, მართლა მკვდარი გონია თავი — ვითომ სასაფლაოზეც გაუტანიათ უკვე (რაც შეიძლება, შორს გოგისაგან), სასაფლაო კი მწვანეში ცურავს, გაფუებული, გალაღებული სიმწვანე მოსდებია ყველაფერს. ათასნაირ ბუჩქსა და ყვავილს ათასნაირად ფრთამოხატული პეპელა დაჰფარფატებს. დაბურულ ტოტებში ჩიტები ეივფივებენ. რამდენადაც ნიკო დაჰკვირვებია, სასაფლაოზე განსაკუთრებულად მკვეთრად ისმის ჩიტის ხმა. ერთი დიდი, გულჭრელა ჩიტი, ალბათ აქაურობის სული, ადგილის დედა, კვიპაროსის კენწეროზე ზის და დროგამოშვებით, ნაწყვეტ-ნაწყვეტ უსტვენს, თითქოს კი არ უსტვენს, მოკლე, საქმიან ბრძანებებს იძლევა მკახე და ღონიერ ხმით. გადმოზნექილი ბალახის ღეროზე თვალზეგადმოკარკლული მწვანე კალია ირწყვია, თითქოს უკეთესად რომ დაინახოს მკვდარი, ესეიგი, ნიკო. მიკომ უკვე მშვენივრად იცის, რატომ

მოხდა ასე, მაგრამ ადრე, სიკვდილამდე, მაინც პატარა ბიჭი იყო, სიცოცხლე წყურთდა, ღამღამობით მზეთუნახავები ესიზმრებოდა და არც მოყვრისა ესმოდა, არც მტრისა, უფრო სწორედ, ცდილობდა შორს დაეჭირა იმათგან თავი, რადგან მოყვარემ მტერი გაუჩინა მხოლოდ, მტერმა კი, პირველ რიგში, მოყვარე მოუსპო, დაუყარგა, გაუუცხოვა, და მაინც გზისკენ გაუბრუნის ნიკოს თვალი, იმედი აქვს, ძალიან უნდა, ბოლო წუთას მაინც მოვარდეს დედა, სულზე მოუსწროს, ვიდრე სამარეში ჩაუშვებენ სამარადისოდ, მოვარდეს გააფთრებული, თავზე პატარაშალმობვეული, როგორც იქ, ბათუმში მოვარდა პურის მალაზიასთან და სწორედ რომ უკანასკნელ წამს ააწყვიტა მიწას გათოშილი, გონდაკარგული შვილი. მაგრამ, ეტყობა, ამჭერად არ გაუმართლებს მხოლოდინი ნიკოს. ბოლოს და ბოლოს, რამდენჯერ შეიძლება დედის იმედით სიკვდილი?! ის დრო წარსულს ჩაბარდა. დროც შეიცვალა და ნიკოც, რასაკვირველია, დედაც. სასაფლაოზე კი ყველაფერი მზითაა გაჩახჩახებული. ჩიტები ეჩევიებენ, პეპლები ფარფატებენ, ყვავილები ათასფრად; ათასნაირად მიმოიჩხევიან. მოკლედ, იქაურობა საგანგებოდ მორთულ-მოკაზმულსა გავს. ალბათ, ძალიან რომ არ დასწყუდეს მიცვალებულს გული, ის კი არ თქვას, სად ვიყავი და სად მომიყვანესო, არამედ — აქ უკეთესი ყოფილაო. მაგრამ ნიკოს არაფერი ეტყობა დამშვიდებისა. პირიქით, რაც დრო გადის, მით უფრო მეტად ღელავს, რაღაცის, გაურკვეველის, მაგრამ უაღრესად მნიშვნელოვანის მოლოდინი ავანგაშებს, აფორიაქებს, როგორც მაშინ, საავადმყოფოში, მამასთან გამოთხოვების დღეს. ისეთი გრძნობა გასჩენია, თითქოს ასე გაუნძრევლად წევს გაჩენის დღიდან, გაჩენამდეც, სულ, უსასრულოდ, თითქოს ასე უძრავად წოლაა მისი მთავარი, მისი გამოსარჩევი თვისება და ისიც წევს, თვალდაბუქული, გულზელდაკრეფილი, თუმცა, თვითონაც არ

იცის, რატომ ანდა როდემდე უნდა იწვეს ასე. უძრავობისგან მთელი სხეული ტყევა, მაგრამ მაინც უძრავად მენს ტყვილს. თითქოს ასეა საჭირო, თითქოს განცდილი სიყვარული, გაღატანილი შიში და დაკარგული მშობლების ხათრი ავალდებულებს ასე წოლას. ანდა, პირიქით — სწორედ სიყვარულის, შიშისა და ხათრის ჭიბრით არაფრად აღარ აგდებს სიცოცხლეს, ოღონდ, შეგნებულ სიცოცხლეს; დედის საშოდან კი არა, უმწეობის, სიმატრთვის ორმოდან შობილს და სიყვარულის, სიბნელის პურით გამოკვებილს, რომელსაც ქეშმარიტი სიცოცხლისგან განსხვავებით, რძისა და ცრემლის სუნი კი არ ასდის, არამედ — სინესტისა, დამპალი, დაგლეჯილი ფესვებისა და ცარიელი სოროებისა. მაგრამ იმასაც გრძნობს, ეს მოულოდნელი ეჩინი თუ მოთხოვნილება უძრავობისა, ეს ყოვლად უმიზნო და უშიზნო გაქვავება, თავად მას ანიჭებს გარკვეულ მნიშვნელობას, თავად მას ტვირთავს გარკვეული აზრით, თუნდაც ჭერ ბოლომდე ამოუხსნელი, ჭერ მასავით მოუნათლაფი, მაგრამ მაინც მნიშვნელობითა და აზრით, რის გამოც, უფრო მეტი მორიდებით ეპყრობიან მტრებიცა და მოყვრებიც. „რათა წევს ასე თვალდაბუქული“ — ეკითხება, მისი უჩვეულო დახვედრით, ცოტა არ იყოს, შემცბარი გოგია ბებიას. „ეგ სულ ასეაო“ — პასუხობს ბებია. ნიკოს კი აღარ შეუძლია ასე თვალდაბუქული წოლა. კი არ ეხმარება, უარესად აბნევს და აფორიაქებს ეს ნებაყოფლობითი სიბრმავე. დამაბულობისგან ღამის გული შეუღონდეს. ასე დაემართა მაშინაც, ბათუმში, საავადმყოფოში, როცა მამას ემშვიდობებოდა, ოღონდ, მაშინ მამის ნებაყოფლობითი სიბრმავეთ იყო დაბნეული, რის გამოც, ყველაფერი კიდევ უფრო უცხო, გაურკვეველი და მიუღებელი იყო მისთვის: თვითონ საავადმყოფოც, ავადმყოფებიც, აწეწილი ლოგინებიც, შეშფოთებული, დამფრთხალი სახეებიც, მოულოდნელი, კანის ამბურძენავი ხმებიც.

უჩვეულო, არაფრისმსგავსი, მოულოდნელი და განუმეორებელი სუნიც... ყველაფერი, ყველაფერი, რასაც მამამისი შეგნებულად უხუტავდა თვალს. თავად კი, მამის სიბრმავეში ჩაქარგული, არასწორად, გამძაფრებულად აღიქვამდა: თვალდაბუქულ (ალბათ მღელვარების დასაფარავად) მამასაც, უხურგო სკამზე გაუბედავად ჩამოჭდარ დეიდასაც (რომელსაც არაფერი ეტყობოდა „სხვათა გადამჩრჩენლისა“, „ციო მოვლენილი გვირისა“ — როგორც მამამ უწოდა იმ დღეს), მხრებზე თეთრხალათობურულ დედასაც, რომელსაც აქ, ამ აქოთებულ პალატაში უფრო ხალისიანად და თამამად ეჭირა თავი, ვიდრე შინ, შვილთან... „მარტო დაგვტოვეით“ — თქვა უცებ მამამ და დედაცა და დეიდაც (სხვათაშორის, ნიკოც), მაშინვე მიხვდნენ, ვისთანაც უნდოდა იმას მარტო დარჩენა. მაშინვე ადგნენ და გვიდნენ პალატიდან, მაგრამ ვიდრე კარს გაიკეტავდა, დედამ ერთი წამით მაინც მოხედა ნიკოს, თითქოს რაღაცის თქმაც დააპირა, თუმცა, ადვილი შესაძლებელია, ნიკოს მოეჩვენა ასე, რადგან ძალიან უნდოდა, ვიდაცა ყოლოდა გვერდით ახლობელი, მისიანი — გულადმა გაშოტილი, გულხელდაკრეფილი და თვალდაბუქული მამა უცხო იყო, აბნევედა, აფრთხობდა, აშინებდა და მთელი მისი არსება ყრუმუნჯის გააფთრებით უჯანყდებოდა ასეთი მამის არსებობას. ის კი აშკარად არსებობდა. შუბლზე ოფლის მსხვილი წვეთები ეყარა, მძიმედ სუნთქავდა და, მოულოდნელად, რომელიღაცა კუნთი თუ ძარღვი შეუკრთებოდა ხოლმე სახეზე. საწოლის თავთან, პატარა მაგიდაზე, მისი მჯიხის საათი გამალებული ითვლიდა მამა-შვილის ამ უჩვეულო შერკინების, საშუდამოდ შემაერთებელ თუ საშუდამოდ გამთიშველ წამებს. მთელს საავადმყოფოში მამის პატარა საათის წიკწიკი ისმოდა მხოლოდ. საათის გვერდით სიცხისაზომი, წყლიანი ჭიქა და ქალაღის ხელსახოცში გახვეული (ცუდად გახვეული) კატლეტი იდო — ცივი ქონით

თეთრად დათრთვილული. როგორც არ უნდა გასძლიანებოდა ნიკო თავს, როგორ განცდებშიც არ უნდა ყოფილიყო ჩაეარდნილი, იმ კატლეტის დანახვაზე მაშინვე ნერწყვი მოადგებოდა ხოლმე პირზე და პალატაში ჩაბუდებულ მისთვის უცხო სუნს, მოულოდნელად, მართალია სუსტად, მაგრამ მაინც საგრძნობლად გამოეყოფოდა ოდინდელი, ხანმოკლე ბავშვობის დროინდელი სუნი აშინინებული ტაფიდან, ეს წუთია, გადმოღებული კატლეტებისა, თუმცა, თავის დროზე, არასოდეს მიუქცევია განსაკუთრებული ყურადღება ამ სუნისთვის და არც ეგონა, თუ ახსოვდა. ამავე დროს, შეგრძნებებზე მალა მდგომი მისი გონება გამალებული მუშაობდა, გადაიწვებოდა, გასკდებოდა, თუ ეერ ამოხსნიდა, რა შეიძლებოდა მოჰყოლოდა ამ განმარტოებას, რატომ უნდა გამოერჩია მამას, რატომ უნდა დაეთოვებინა პირისპირ — გასაწყრომად (კი მაგრამ, რა დააშავა?), თუ შესაქებად, დედას რომ ეხმარებოდა, „მის კისერზე რომ იყო ოჯახი“. მაგრამ განა მართლა იმსახურებდა შექებას? რას აკეთებდა განსაკუთრებულს, რასაც მისი ტოლი ბიჭები არ აკეთებდნენ? თუმცა, ასევე ადვილი შესაძლებელი იყო, დედას მაინც გაემხილა მამისთვის პურის წიგნაკების დაქარგვის ამბავი და ახლა, მართალია დაგვიანებით, მაგრამ რაკი სხვა, უკეთესი შემთხვევა ალბათ კარგა ხანს აღარ მიეცემოდათ, ვალდებულად თვლიდა თავს, საყვედური ეთქვა შვილისთვის, შეეხსენებინა, ის რომ უკვე დიდი იყო, რომ არც გამართლება არსებობს კაცისთვის და არც პატიება (მიუხედავად ასაკისა), როცა იმ კაცს სხვათა ბედი აბარია. მაგრამ თავდაც კარგად იცის, რა დააშავა და რას იმსახურებს — აქამდე იხდის სასჯელს, თვითონვე რომ მიუსაჯა თავს — მესამე თვეა პურის ნამცეცი არ ჩასვლია პირში. თავის წილ პურს ბიძას აძლევს, მამიდის ქმარს, რომელიც ეგვიპტელ მონასავით, დილიდან საღამომდე ორმოს თხრის შუა ეზოში, თავშე-

საფრისთვის, და ამ უაზრო, უშედეგო შრომისაგან (რაც უფრო მეტი მიწა ამოაქვს, მით უფრო მეტი წყალი დგება ორმოს ფსკერზე), ქანცი აქვს გაწყვეტილი. ნიკო კი ჩაიხევა ამხნის განმავლობაში — მდულარე წყალი და მარილზე დაწებული თითი — აი, მთელი მისი სარჩო. მაგრამ სხვანაირად ვერ გადარჩებოდა, ასე რომ არ დაესაჭაოთავი, ველარ ირწმუნებდა, ღირსი რომ იყო სიცოცხლისა და, არა მართო თვითონ, საერთოდ, ადამიანი. დაძაბულობისგან ყურები უწივის, ოფლადაა გაღვრილი, აღარ იცის, რა იფიქროს, რადგან, რაც არ უნდა იფიქროს, სულერთია, არაფერი არ იცვლება ამით. საათი გამალებული წიკწიკებს, თვალდახუჭული მამა უხმოდ, უსიტყვოდ შფოთავს. ოფლის წვეთები აყრია შუბლზე. ეტეი წვეთი წარბიდან თვალის ღრმულში ჩაუცურდა, იქიდან ყვრი-მალს ჩამოჰყვა და სადღაც, ყურის ძირში ჩაიყარვა. იქნებ ცრემლის წვეთი იყო? არა. ცრემლისა გავდა, ცრემლის გზა გამოიარა და იმიტომ დააეჭვა ნიკო. მამები არ ტირიან. მამები არ უნდა ტიროდნენ. დედა რომ ტირის, ისიც გულსაკლავი სანახაობაა, მაგრამ დედას მაინც უფრო შეეფერება ტირილი, უხდება კიდევ. ცრემლი დედას აძლიერებს, ყოვლისშემძლეს ხდის. მამას კი, პირიქით, ასუსტებს, აკნინებს, ასა-ცოდავებს, აუფასურებს. ქალის ტირილი კიდევ ერთი, მცირე ან დიდი, ომის მაუწყებელია: რალაცა უნდა მოხდეს, რალაცა უნდა შეიცვალოს და, ამიტომაც, ყველაფრისთვის მზად უნდა იყვნენ ყველანი; ხოლო, როცა კაცი ტირის, არაფერს აღარა აქვს აზრი, არც სიმტკიცეს, არც სიჭიჭტეს, არც მოთმინებას, არც იმედს, რადგან უკვე ყველა ომი წაგებულია, ხმალი გადატეხილი, მუხარადი გაჩეჩქელი, ფარი გაგლეჯილი, ცოლი შერცხვენილი. შეი-ლი დამონებული, მოკლედ, ეს უკვე აღსასრულია ოჯახისა, თუ მთელი ქვე-უნისა არა. ამიტომაც, ურჩევნია ნიკოს, ეს ბრძკვიალა, ზანტი წვეთი ოფლისა იყოს და არა ცრემლისა. „მამა — ამ-

ბობს გუნებაში — მამა“. თითქოს თავს ახსენებს, ყველაზე აბლობელი რომაა ეს თვალდახუჭული კაცი მისთვის, სისხლი და ზორცი, ოდესღაც ერთნი იყვნენ და როდისმე ისევ გამთლიანდებიან ვიღაცის არსებაში. მაგრამ ბრმა შემთხვევის, საქვეყნო უბედურებისა თუ კიდევ სხვა, ნიკოსთვის სრულიად გაუგებარ მიზეზთა გამო ჩატეხილი ხიდი არაფრით არ მთელდება, არ უჭრება ნიკოს სიუცხოვის გრძნობა და მაინც ჭიუტად, ბრაზიანად, დაეინებით იმეორებს გუნებაში — მამა, მამა, მამაო — როგორც ჭურვების ღრიალით დაყრუებული ტელეფონისტი — მოულოდნელად ჩაჩუმებული, მაგრამ უაღრესად საჭირო სადგურის სახელს. პალატაში სამარისებური დღემილი დგას. საათის წიკწიკი ისმის მხოლოდ. არა, ხანდახან, ვიღაც გმინავს კედელთან მიდგმულ საწოლზე, თავზე საბან-წაფარებული, რის გამოც, ტიტველი, ჩაყვითლებული ტერფები საბნის ვარეთ დარჩენია. მაგრამ საათის წიკწიკიცა და ვიღაცის გმინავც კიდევ უფრო ამძაფრებს საავადმყოფოს ღუმილს და ეს აუტანელი ღუმილი ოფლიანი ხელებით თითქოს კისერზე აწევბა ნიკოს. ცდილობს მოუდრიკოს კისერი, მაგრამ ნიკოც, როგორც შეუძლია, უძალიანდება, თუმცა, რამე თუ არ მოხდა, მშველელი თუ არ გამოუჩნდა, შეიძლება ველარ გაუძლოს და უკანმოუხედავად მიატოვოს აქაურობა, როგორც პაპამისმა სანგარი მიატოვა ერთხელ. თუმცა, ნიკომ უკვე იცის, კარგი ჯარისკაცობა შიშის დაძლევა და მოთმენა რომაა სწორედ — ზიხარ სანგარის ფსკერზე, მუხლებში თავჩარგული, აბოლებ მსხვილად, ჯარისკაცულად, გინდაც გლხზურად გახვეულ წეკოს, მუ-ქში რომ მოგიმწყვდევია ცოცხალ არსებასავით, სანგარის ფსკერზე დაიჭირე თითქოს, და მართლაც, ისაა იმ წუთას ყველაზე ცოცხალი არსება, მთელს ტანში გაქვს გამჭდარი იმისი სიმხურვალე. მოქაჩავ, აგწევება ხელისგული, ნეკა თითი და სასიამოვნოდ დაგებერება მარღები, გამაბრუებლად დაგიტრი-



აღდება გულმუცელში მწარე, სქელი, თბილი ბოლი. მიწა გეყრება ჩაქინდრულ თავზე, მტერი ცოცხლად დამარხვას გიპირებს. ხანდახან ქვასაც მოგიკაჭუნებს მუზარადზე, შეგამოწმებს, კიდევ ცოცხალია თუ არაო. შენ კი წეკოს ექაჩები და შიშისაგან თვალბედაყვლეფილი, დაზაფრული ფიქრობ: მთავარია, ასე ვიკდე, მთავარია, არ გავინძრე, მთავარია, მოვითმინოო, იმიტომ რომ, ვინც ვერ მოითმინა, თავახდილი, ცხვირიბირდაჩეჩვილი, ყელგაგლეჯილი გდია მიწაყარილზე. ასე რომ, არც გაქცევია ხსნა. უნდა იკდე და ითმინო, რაკი სხვა არაფერი შეგიძლია. ნიკოც ზის და ითმენს. მამაც ასევე თვალდახუჭული წევს, თითქოს შვილის მოთმინებას, შვილის ნებისყოფას ამოწმებს (იქნება ჩაეძინა?). გასაპარსია. „გასაპარსიაო“ — ამჩნევს ნიკოც. ახლა ამჩნევს პირველად და რალაცნაირი კმაყოფილების გრძნობა უჩნდება უცებ, თუნდაც უმნიშვნელო, თუნდაც ასე სუსტი კავშირი რომ დამყარა მამის სახესთან. აღრე არასოდეს უნახავს გაუპარსავი. იმ უკეთეს დროს, რამდენადაც ახსოვს, სულ ახალი გაპარსული იყო — დილას, შუადღეს, საღამოს — თითქოს ეს წუთია დაბრუნდა საპარიკმახეროდანო. სისუფთავის მძაფრ სურნელს სტოვებდა გზადგზა. ახლა კი გაუპარსავი წევს, თვალდახუჭული, და, რასაკვირველია, არ ძინავს, რალაც აწუხებს, იღუმალი, საიდუმლო. ოფლიანი ჩრდილი გადაუვლის ხოლმე სახეზე და თავი ოდნავ შეუქანდება ბალიშზე, თითქოს პალატა დაიძრა უცებ, მატარებელივითო. „ეს კატლეთი შენია. შენ შეგინახე. საგზულად წაიღე, დაგჭირდება“ — ამბობს მშვიდად, ოღონდ, ისევ ისე თვალდახუჭული. ნიკო არ პასუხობს, რადგან ძნელი გასარკვევია, მართლა იმას მიმართავს მამა, თუ ბოდავს სიცხიანი. სუნთქვაშეკრული, დაძაბული ზის და, თუმცა, მამის სახეს თვალს არ ამორებს, თვალის უმცირესი, უმნიშვნელო ნაწილით იმასაც ხედავს, თეთრად დათრთვილულ კატლეთს. იმდროინდელ

საოცრებას, ნებისმიერი ცოცხალი არსებისთვის საუკეთესო, შევიდა შევეცვლელ მისატყუარს. „გესმის? რა უკეთესობა თვალდახუჭული მამა. „ხო... დიახ“ — დაბნეულად, ფაცაფუციო პასუხობს ნიკო. „კარგად მომისმინე და დაიმახსოვრე“ — აგრძელებს მამა, ისევ თვალდახუჭული, თითქოს რცხენინა შეილისა, თვალი ვერ გაუსწორებია შვილისთვის, რაკი ვერ მოუარა და სხვათა საპატრონებელი გახადა. „ჭერ ეს კატლეთი აიღე — ცხარდება უცებ. ხმასაც უწევს. თვალები კი ძველებურად დახუჭული აქვს. — შენია მეთქი, ხომ გითხარი?! შეინახე.“ ნიკოს, რა თქმა უნდა, შია, ძველი, უკეთეს დღეთა მოსაგონარი სუნეც აღიზიანებს, მაგრამ დანახვაც აღარ უნდა იმ კატლეთისა. ის კატლეთი რომ აიღოს, თითქოს გაუგონარ ბოროტებას ჩაიდენს, მაგრამ მაინც უსიტყვოდ დგება სკამიდან, ცუდად გახვეულ კატლეთს უკეთესად, უფრო მკიდროდ ახვევს გაქონილ ქალაღში, ფრთხილად იდებს შარვლის ჭიბეში და ისევ ძველ ადგილს უბრუნდება. ოღონდ, ახლა უფრო დაძაბული ზის სკამზე, ცალი ფეხი გაშლილი აქვს მთელ სიგრძეზე, კატლეთი რომ არ ჩაეზილოს ჭიბეში. „მეტი არაფერი მაქვს — ამბობს მამა — გახსოვს? ეკითხება უცებ და თანდათან სახე ებადრება, ღიმილის მსგავსი რალაც დაძვარფატებს სიცხისაგან დახეთქილ ტუჩებზე (ამასაც პირველად ახლა ამჩნევს ნიკო) — გახსოვს?“ — უმეორებს ბავშვური მოუთმენლობით, მღელვარებით. თითქოს თვალბედა უნდა გაახილოსო, შეუკრთენ, შეუთრთოდნენ ქუთუთოები. ნიკო თანხმობის ნიშნად თავს უქნევს მხოლოდ და, რატომღაც, ის დღე ახსენდება, ბაზრიდან მობრუნებულგზა, „მკვდარი“ თევზები რომ ჩაყარეს აბაზანაში. ხედავს კიდევ ვაცოცხლებულ თევზებს — დაწყვილებულნი, ლალად დასრიალებენ აქოთქოთებულ, აქაფქაფებულ წყალში, დუნედ, თითქოს უხალისოდ, უსურვილოდ ამოძრავებენ კუდებსა და ფარფლებს. შეიძლება,

მამა სულ სხვა რაღაცის ვახსენებს ავალდებულებდა, მაგრამ არცერთს არ გასჩენია დაზუსტების, შემოწმების სურვილი. არც იყო საჭირო, რადგან ყველაფერი, რაც იმ წუთას ვახსენდებოდა ორივეს, ანდა რომელიმე მათგანს, აუცილებლად მათ საერთო ცხოვრებასთან იქნებოდა დაკავშირებული. მთავარი კი ეს იყო—გააზრება. შეცნობა, შეგრძნება იმისა, არც თუ ისე დიდი ხნის წინ, საერთო ცხოვრება რომ ჰქონდათ და ორივენი ერთნაირად ბედნიერები იყვნენ, იმდენად ბედნიერნი, შეეძლოთ სასწაული მოემოქმედათ, მკვდარი გაეცოცხლებინათ. სწორედ ამის თქმა სურს ნიკოს მამისთვის, ბედნიერი ვიყავით, მაგრამ რცხვენია, ენოთიერება ამ სიტყვის თქმა, თითქოს მიუტყვებელი სისუსტე და ქალაჩუნობა ოდესღაც განცდილი, გადავლილი ბედნიერების აღიარება, თანაც მამასთან, მით უფრო — ავადმყოფთან. მაგრამ გაცოცხლებული თევზების ვახსენება მაინც რაღაცნაირად ამშვიდებს, ახლისებს და აღარ ზის ადრინდელივით დაძაბული, დაბნეული, გარემოც შედარებით ასატანი ეჩვენება, თუმცა, ფეხი, რომლითაც განუწყვეტლივ გრძნობს ცივი კატლეტის ამფორიაქებელ სიმკვრივეს, ისევ ბოლომდე აქვს გაშლილი, თითქოს საერთოდ არ ელუნება სახსარში. იმასაც გრძნობს, მთავარი სათქმელი ჯერ რომ წინაა, ჯერ რომ არ უთქვამს მამას ის, რის მოსამენდაც დაიბოვა, მაგრამ უკვე ყველაფრის მოსამენდაა მზად, დარწმუნებულიცაა, ყველაფერს რომ გაუტებს ამ უცხოვრებას, უცხოვრებას, უცხოვრებას და უცხოვრებას მშფოთვარე კაცს, რადგან უსიამოდ წამოზრდილი წვერის, სიმწრის ოფლისა და ავადმყოფური შფოთვის მიღმა უკვე მკვეთრად იკვეთება (ან როგორ შეიძლებოდა ამის დავიწყება) უძვირფასესი, უსაყვარლესი, უახლოესი სახე სიკვდილის დამთრგუნველი და სიცოცხლის მომნიჭებელი ჭადოქრისა, სასწაულმოქმედისა... მამისა! საათი კი წიქრიკებს. კედლისკენ გადაბრუნებული, თავზე

საბანწაფარებული ავადმყოფი გმინავს. უსიამოდ აჭყეტენ იმისი გამოყვრთლული ფეხისგულები. ქუსლგუნჯი [სრქვან] მოსდებია თეთრად. ახლა ზურგიც მოშიშვლებია. პერანგის ამხანაგი ჩასჩაჩვია დუნდულების განშტოებამდე. მაგრამ იმისთვის ყველაფერი სულერთია, ყველაფერზე თანახმაა, ოღონდ იცოცხლოს, ოღონდ, ათასში ერთხელ, ასე შემადრწუნებლად ამოიგმინოს ხოლმე. „მამ ასე, — ამბობს მამა. — მომიმინე და დაიმახსოვრე“. სახე უარესად დანაშვია ოფლით, წამოთებია, ეტყობა; სიცხემ აუწია, თანაც, ალბათ ღელავს, დიდ განცდებშია ჩავარდნილი — პირველად ელაპარაკება შეილს, როგორც თანატოლს, თანამზრახველს, თუნდაც, როგორც მამაკაცი მამაკაცს. რაც აქამდე უთქვამთ ერთმანეთისთვის, სერიოზულ საუბრად არც ჩაითვლება, როგორც ბაზარში, დახლებს შორის სერიოზობისას, გლეხებთან შევკრება, ანდა, სამწვადის დახლიდართან ვახუმრება. ეს სხვაა. ამდენს ნიკოც ხვდება და მოუთმენლად ელოდება, მოლოდინადაა ქცეული. ამ ორ წელიწადში იმდენი ნახეს და გაიგეს შეილებმა, ბევრ რამეში გადასწრეს კიდევ თავიანთ მშობლებსა და მასწავლებლებს. ცოდნას მარტო წიგნი ხომ არ იძლევა, ბოლოს და ბოლოს. მაგრამ ნიკომ ჯერ არ იცის, ეს რომ შენებელი ცოდნაა, ეშმაკისეულია, ბოროტებას ემსახურება, რადგან, უპირველეს ყოვლისა, მშობელსა და მასწავლებელს აქნინებს შეილისა და მოწაფის თვალში, ღვთაებრივობის ელფერს უქარგავს ორივეს, თითქოს ჩვეულებრივი ადამიანი იყოს ან ერთი, ან მეორე, და მართლაც, განა შეიძლება მშობელი გებრალეობდეს, ანდა მასწავლებელს დაცინო? არ შეიძლება, მაგრამ იძულებული ხარ — ქუჩაში მიღებული ცოდნა გაიძულებს — იცი, იმასაც რომ ისევე შია, როგორც შენ, იმასაც შენსავით ტყვია, ეშინია და ისიც იმავე მიზნით შედის ფეხსადგილში, რა მიზნითაც შენ შედიხარ. „შეიძლება, ადრეა, მაგრამ, ღმერთმა იცის, როდისღა შევხვდებით,

— ამბობს მამა. — ახლა თუ ვერ გაიგებ, არა უშავს, ნუ შეშფოთდები. მთავარია, გახსოვდეს. თავის დროზე გაიგებ, მიხედვით. — თვალდახუჭული ლაპარაკობს, ხმა უთრთის, არ ემორჩილება, რის გამოც, სიტყვებს შორის შემაწუხებელი, გამაღიზიანებელი შუალედები ჩნდება უნებურად, არაბუნებრივი, მოულოდნელი. ეტყობა, თვითონაც გრძნობს ამას და კიდევ უფრო უჭირს ლაპარაკი. გაჩერებაც აღარ შეიძლება, როდემდე ისხდნენ ასე უბრადა ამ აქოთებულ პალატაში? დროც განსაზღვრული აქვთ, სულ რამდენიმე საათის შემდეგ, მისი შვილი პირველად უნდა გავიდეს ცხოვრების უსასრულო გზაზე და, ღმერთმა იცის, გავილის თუ არა ამ გზას ბოლომდე, ანუ, დაბრუნდება თუ არა უკან. ეს, მხოლოდ და მხოლოდ, მგზავრზეა დამოკიდებული და არა გზაზე. გზას იმიტომ ჰქვია გზა, უსასრულოდ რომ გაგრძელდეს, ყველაფერს მისწვდეს, ფიქრით, ყველაფერზე გადაიაროს, დროყამივით, და ისიც პირნათლად ასრულებს აქამდე თავის მოვალეობას — ურჩხულოვით შემოხვევია ქვეყანას, საკუთარი კლდი პირში ჩაუღია და მშვიდად ძინავს, რადგან აღარაფერი არსებობს მისთვის მოულოდნელი, დამაეჭვებელი, განუცდელი, გაუთვალისწინებელი. არც ფეხის ხმა აფრთხობს, არც ფლოქვის თქარუნი, არც ჩლიქის ბაყუნი და არც ბორბლის რახრახი — ძინავს საღათას ძილით, რადგან გასარკვევი უკვე გაურკვევია, თავიც იქ უდევს, სადაც ბოლო — იქ იწყება, სადაც მთავრდება, ხოლო, ვისაც ჭერ ერთიც გასარკვევი აქვს და მეორეც, იქამდე უნდა იაროს, ვიდრე ურჩხულის ხახიდან ისევ ურჩხულის ხახაში დაბრუნდება. მაგრამ განა ამდენს შესძლებს მისი შვილი ერთი ცივი კატლეთის ამარა? უნდა შესძლოს. სხვა გზა არა აქვს. სხვა გზა არა აქვთ. იმიტომ, ვალდებულია, ყველანაირად შეეხმაროს გზაზე დამდგარ შვილს, ავადმყოფის ულუფიდან დაზოგილი კატლეთი არ ეყოფა ამ საქმეს,

ვერც ნებაყოფლობითი სიბრძნით გაიტანს დიდხანს თავს. უპირველეს ყოვლისა, სიმართლე უნდა გავიგოდე. უკლებლია, ანუ, ის უნდა იცოდეს, უპირველეს ყოვლისა, თუ რას წარმოადგენს მამამისი, ანუ, რა ეკუთვნის და რა არა, რას შესძლებს და რას ვერ შესძლებს, ანუ, პირნათლად გავილის ცხოვრების გზას, თუ სხვა გაატარებს თავის ჭკუაზე. „არც არაფერს გამადლო, არც არაფერს გავალდებულე, იცოდე. უბრალოდ, ამის ცოდნა აუცილებელია. არ მინდა არასწორედ იფიქრო ჩემზე, — ამბობს მამა და ცოტა ხნის შემდეგ, სუსტი, ძლივს შესამჩნევი ღიმილით აგრძელებს — არადა, სულ ტყუილად გიხეთქე გულს, სათქმელიც არაფერი. შენც მშვენივრად იცი, ორჯერ ორი რომ ოთხია. მაგრამ მაინც ჩვენს შორის უნდა დარჩეს, დედამ არ უნდა გავიგოს, ეს მართო ჩვენი, კაცების საქმეა“. ნიკო უარესად იძაბება, ისევ უჭირება ძლივს აღდგენილი გრძნობა სიახლოვისა, სისტხოორციული კავშირისა და ამ წვევრმოშეებულ, ოფლიან, დღის სინათლეზე გამწყრალ ავადმყოფთან. ისევ უწივის ყურები, ისევ ებინდება გონება გაურკვეველობის, უაზრობის სქელი, წებოვანი ბურუსით. ისევ ეუფლება გაქცევის მოურეველი ეინი, სურვილი, მოთხოვნილება და ისევ უიმედოდ ელოდება დედისა და დეიდის დაბრუნებას, ანდა, ამ მგმინავი მეზობლის წამოჯდომას, მაინც, სულერთია რას, ოღონდ, ასე დათრგუნული, ასე დამბული აღარ იჯდეს აქ, მამის საწოლთან, უმწივობის, განწირულობის სუნით აქოთებულ პალატაში. ხელისგულები ისე გაოფლიანებია, ვეღარ დაუბჯენია სკამის კიდზე — უცურს, უსხლტება. და უცებ, ის დღე ახსენდება, უფრო სწორედ, ის დამე, საავადმყოფოდან დაბრუნებულმა დედამ აბდაუბდად, უთავბოლოდ რომ მოუყვა, სადაც, ქუჩაში გავიწილ ამბავით, როგორ დაუბირებია მამამისს საავადმყოფოს საკმლიდან გადავარდნა და. საარკმელთან ძლივს მიფოფებულნი, რო-

გორ გამობრუნებულა უკანვე. „შვილს ვერ ვუღალატეო“ — ვითომ ასე უთქვამს მაშინ მამას დედისთვის, მაგრამ დედა ისე ყვებოდა ამ ამბავს (სიცილიტირით), გჯეროდა და არც გჯეროდა, უფრო სწორედ, იმის საშუალებასაც გიტოვებდა (გზოგავდა), სისულელედ, მართლა აბდაუბდად ჩაგეთვალა ყველაფერი. მაგრამ თუკი მართლა მოხდა ამგვარი რამ, განა ეს მამის სისულეტეზე მეტყველებს?! პირიქით. ეს მხოლოდ მამის სიძლიერის დადასტურებაა და მეტი არაფერი. ვილაციის გამო, გინდაც შეილის გამო, უარს ამბობ მარადიულ შეებაზე, სრულ, განუსაზღვრელ თავისუფლებაზე, სიკვდილზე, სადაც არც წვერის გაპარსვასა საჭირო, არც სიმწრის ოფლი გასხამს და არც არაფერი გაუფოთებს... მაგრამ, ღვთის წყალობით თუ ღვთის სურვილით, ლამის უკვე მისული იმ მართლაც რომ ზღაპრული, მართლაც რომ ალტმული ქვეყნის მიჯნამდე (ნიკომ, უნებურად, სარკმლისკენ გაიხედა, რომელზედაც მარლის ნაჭრები აეკრათ ჭვარდინად), უკანვე ბრუნდები, ახლა უკვე შენი ნებით, ფაცა-ფუციით, ფართი-ფურთით გამოირბინარ უკან, ორჯერ გიღანდებდა გზაში გული, ვიდრე იქიდან გამოაღწევდე, და მხოლოდ და მხოლოდ იმიტომ იქცევი ასე, შეილის რომ გერიდება, შეილისთვის რომ ვერ გიღალატია, შეილმა არ თქვას: თვითონ თავს უშველა, მე კი უპატრონოდ დამავდო, შემატოვა პირში ამ კაცის-მკვლელ გოგისო.

— განა არ ვიცი, რაზეც ხარ ნაწყენი?! — თქვა უცებ გოგიამ და ნიკომ, გაოცებისაგან, თვალეზი დააქციტა. რატომღაც, დარწმუნებული იყო, გოგიას მოსვლაც მე წარმოვიდგინეო. არადა, მისი ლუმელის წინ იჭდა, მის სკამზე. კი არ იჭდა, ბატონკატურად გადათხლეშლიყო და თავისი დამპალი, დაქობებული ჩექმები ლუმელისთვის მიეშერა გასაშრობად. ისეთი ბული ასდიოდა ფეხებზე, პირველად, წესიერად ვერ გაარჩია იმის სახე. ჩექმის ლანჩაზე ნერწყვილი დამპალი პაპიროსის

ნამწვი აპკროდა.— განა არ ვიცი? — გაიმეორა შემპარავი, ვერაგული არხეინობით, ვითომ ზრდილობის გამოცლაუ პარაკობდა მხოლოდ, ავადმყოფის გასართობად, მაგრამ დაფარული მღელვარებისგან, ხმა უსიამოდ ეხრინწებოდა წარამარა. — ბოიშვილი ვიყო, ლეომ აიხემა, მოდი ერთი ჭკუა ვასწავლოთო, თავი რომ მოაქვს ძალიანი. ლეოს ამბავი ხომ იცი? თუ თქვა, გთავდა, არ მოისვენებს. აკი არც მოისვენა. მკლავი ხომ ამოუგდე? ამოუგდე. ველოსიპედი ხომ დაუმტვრიე? დაუმტვრიე. კიდევ აქეთ იბუტები, ვერანა?! დიდი-დიდი მუხლი გაგეკაწრა ცოტაზე... — (თვითონ, გადახვეული მარჯვენა, შინნაკეთი თოჯინასავით მიეხუტებინა გულზე და უცებ, რომ არ გცნობოდათ, დებილი გეგონებოდათ, წლები რომ ემატება, ჭკუა კი არა, კაცია და ისევ თოჯინით თამაშობს).

— მართალია, ლეოს ირთავს ცოლადო? — ჰკითხა ნიკომ და სასწრაფოდ დახუჭა თვალები, ისევ ნებაყოფლობით სიბრმავეში შეიკეტა, როგორც, იმ წუთას, ყველაზე საიმედო ციხეში.

— შენა... მართლა და მართლა... ცოტა ენა დაიმოკლე... — დაიბნა, დაბლუვდა გოგია.

— ასე ამბობენ. — თქვა ნიკომ მშვიდად.

თვალეზი კი დაეხუჭა, მაგრამ გული გამალებით უცემდა.

— მაინც ვინ ამბობს?! — უარესად აიფოფრა გოგია. — იქნებ ჩვენც გაგვაგებინოთ, ფული თუ არ ღირს?!

— ვინა და, ლეო ამბობს თვითონ. სხვებთან ისე ვარ, გასართობად, ცოლად კი, თუ წაყვები, მარტო გოგიას წაყვებიო, — რაც შეეძლო, მშვიდად თქვა ნიკომ, თუმცა, გული შიშით უსკდებოდა, რამე არ ჩამარტყას, თვალდახუჭულს, თავშიო, — ძალიან შევეფერებით ერთმანეთსო, — გააგრძელა საკუთარი გამბედაობით გაქვზებულმა. თვალს კი ჭიუტად არ ახელდა მაინც, ბოლომდე რომ ეთქვა სათქმელი, მამისგან განსხვავებით, არ დაეზოვა

ისმენლი. — მე მეგონა, იმის დასა-  
ხიშნად გინდოდა ბეჭედი, მკვდარს რომ  
ჩაძვრე გუშინ თითიდან. — მოაყოლა  
ერთმ სხვათაშორის, მხოლოდ და  
მხოლოდ, სიტყვის მასალად, ადრე ნა-  
თქვამის გასამაგრებლად.

მაშინ კი ველარ მოითმინა გოგამ,  
დუდაშისივით, ისიც უცებ, ფეთიანი-  
ვით, წამოვარდა სკამიდან და, საღი  
ხელით, ღუმელის ქვეშ დაყრილ შეშას  
წუტანა. მაგრამ, სწორედ ამ დროს,  
ბგბია შემოვიდა ოთახში. გოგამ შე-  
შას ხელი გაუშვა და — ამოხვალ მოე-  
დნზეო — ამოიხრიალა სიბრაზისგან  
ყელგაგლდულმა.

— ილოცე, დიდხანს არ ავდგე ლო-  
გინიდან. — მიიძახა ნიკომ უფრო გულ-  
მიცემულმა, მაგრამ არც ახლა გაუხე-  
ლია თვალი, თუმცა, ძალიან უჭირდა  
თვალდაბუქული წოლა, კი არ ეხმარე-  
ბოდა, უარესად აფორიაქებდა ეს ნებ-  
ყოფლობითი სიბრმავე, მამისაგან შე-  
მკვიდრეობით მიღებული ხერხი თუ  
მეთოდი გარე სამყაროსთან ბრძოლი-  
სა. წარმოდგენილი ყველაფერი (რა-  
საკვირველია, გოგაიც) ვაცილებით სა-  
შისი და სახიფათო ჩანდა, ვიდრე სი-  
ნამდვილეში შეიძლებოდა ყოფილიყო.

მაგრამ თვითონ რა იცოდა ჯერ, სხვე-  
ბის მსაჯულად რომ დგებოდა? ხომ  
შეიძლებოდა, სხვებისთვის ის ყოფი-  
ლიყო მოსაწონი, რაც მას არ მოსწონ-  
და, ის ყოფილიყო წესი და წესრიგი,  
რაც მას უწესობად და უწესრიგობად  
მიიჩნდა? კანონს ალბათ ერთეულები  
წერენ, მაგრამ ყოველთვის ის დაუწე-  
რელი კანონი მოქმედებს, რომელიც  
უმრავლესობას აძლევს ხელს. რაღაც-  
რაღაცეები კი ჰქონდა გაგონილი ცხო-  
ვრებაზე. დაუშვათ, იმავე პაპისგან,  
ბებისგან, იოსებასა თუ ძია სანდროს-  
გან, მაგრამ „გაგონილი“ ცხოვრებას  
კი არ ასწავლიდა — აყვარებდა. თა-  
საც, ის ცხოვრება, რითაც იმათ ეცხო-  
ვრათ და რომელსაც, უნებლიედ, აყ-  
ვარებდნენ ნიკოს, აღარ არსებობდა,  
ქარდასული, დამთავრებული ცხოვრე-  
ბა იყო და, რაც მთავარი, ვიღაცისგან,  
უფლებამოსილისგან, უარყოფილიც.

ნიკო კი, ჯერჯერობით, უპატრონო და-  
ლივით, სხვათა ეზოებში, ანუ სხვა-  
თა ცხოვრებებში ყველგან იქვე უღე-  
ვდა, იქ იშუშებდა ნატყენ კოჭსა თუ  
კანჭს და თავისი ფიჩვი და ძვალი, ანუ,  
საკუთარი ცხოვრება, რასაკვირველია,  
არ გააჩნდა — ზოგადი, საერთო ცხო-  
ვრებიდან, ჯერჯერობით, ვერ გამოე-  
ცალკევებინა თავისი წილი, თავისი  
არჩივი და, ამიტომაც, საერთო, ზოგა-  
დი ცხოვრება ერთფეროვან, ერთნაი-  
რად გამოხუნებულ მინდორივით გა-  
დაშლილიყო მის გარშემო. მინდორი  
ბზუოდა, ჭრიჭინებდა, კუთავდა, წიო-  
და, კაკანებდა, წიწინებდა — დანახვით  
კი ვერაფერს დაინახავდა თვალი: სი-  
ცოცხლე ყველანაირად მალავდა თავს.  
ერთი შეხედვით, ჩვეულებრივი ტრი-  
ალი მინდორი იყო თითქოს, სინამდვი-  
ლეში კი, ამ თვალუწვდენელ სივრცე-  
ზე ათასნაირი მწერი, ქვეწარმავალი,  
ცხოველი და ფრინველი აშენებდა და  
ანგრევდა საკუთარ წუთისოფელს,  
იქნდა და კარგავდა, იყვარებდა და  
იძულებდა, ივიწყებდა და იმახლოვრე-  
ბდა, კვდებოდა და ხელახლა, კვლავად  
უფრო იზადებოდა, რადგან ასე ებზუ-  
ვლა, ეჭრიჭინა, ეკუთა, ეწივლა, ეკაკა-  
ნა და ეწიწინა მინდორს. ხოლო, მინ-  
დორის შემყურე, მინდორის საიდუმ-  
ლოებათა ამოხსნის ენით შეპყრობი-  
ლი ბავშვი, ბავშვი კი არა, თხუთმეტი  
წლის კაცი, კიდევ უფრო ღრმად ჩა-  
ფლულიყო თავის ფიჭრებში, კიდევ  
უფრო ცხადად და ცხოველმყოფელად  
მოსჩვენებოდა ის, რაც ეჩვენებოდა.  
მაგრამ ნიკოს მთავარი უბედურება მა-  
ინც ის იყო, თავიდანვე რომ ჰქონდა  
წართმეული ცხოვრების უნარი —  
ფეხსადგილის ორმოს წარმოდგენილმა  
ნესტმა და სიბნელემ დააკარგინა ის,  
რაც დედის მუცლიდან გამოიპოოდა,  
რაც ქეშმარიტად მისი საკუთრება იყო,  
რამდენადაც უამუნაროდ არაფერი  
იზადება, ეს უნარი დაბადებაშივეა ნა-  
გულისხმევი, გინდა მწერი იყავი, გინდა  
ადამიანი. მაგრამ ნიკო იქამდე გადმო-  
აგდეს მშობლებმა ბუდიდან, ვიდრე  
ფრთები შეეზუმბლებოდა, ხოლო ტიტ-

ველი ფრთებით. რა თქმა უნდა, დიდხანს ვერც ის შეიკავებდა თავს ჰაერში, ადრე თუ გვიან, მიწაზე მოადენდა ბრავანს და მოადინა კიდევ. მაგრამ ნიკოს სრულებითაც არ უნდოდა მაშინ მშობლიური ბუდიდან აფრენა — იძულებული იყო, ასე მოქცეულიყო. უფრო სწორედ, მისი მშობლები იყვნენ იძულებულნი, ასე მოქცეულიყვნენ, ვიდრე გალანებული ომი იმათ ერთადერთ ნაშვირს ბუდიანად ჩამოაგდებდა ტოტიდან. ნიკოს დანაშაული მხოლოდ ისაა, მშობლებს რომ დაუჯერა. მაგრამ, განა ყოველთვის იმას აკეთებს კაცი, რისი გაკეთებაც თავად უნდა?! იმის გაკეთება უფრო ხშირად უწევს, რასაც, მასზე რომ ყოფილიყო დამოკიდებული, არასოდეს გააკეთებდა. და მხოლოდ იმიტომ კი არ იქცევა ასე, ბუნებით რომ მშინშარაა და დამთმობი, უბრალოდ, ნაადრევად, ტყუილუბრალოდ უშედეგოდ რომ არ დაიღუპოს, რამის გაკეთება თუ არა, თქმა მაინც მოასწროს. ამიტომ, როგორც მარგალიტა ამბობს, სიკვდილამდე უნდა იცოცხლო, არ უნდა დაემონო სიკვდილს, სულ ჯობრში უნდა ედგე, სულ უნდა ეომებოდეს, როგორც ეს ქმარი ეომება ჭვეყანას, თუკი გინდა, დროზე მიხვდე, რა შეგიძლია და დროზე შეუდგე საქმეს, რომელმაც სიკვდილამდე უნდა შეგიწახოს, სიკვდილის მერე კი გამოგანინოს. განა ეს ქარიც სულ იქნება? ისიც მოკვდება, ანუ, ჩადგება, ადრე თუ გვიან, მაგრამ იქამდე არ მოისვენებს, ვიდრე ღრუბლებს არ გაჰფანტავს ან არ მოაფროვებს, ვიდრე მიწას არ დაამაკებს ან არ გააბერწებს, ვიდრე წელიწადის ერთ დროს მეორეთი არ შეცვლის, ბოლოს და ბოლოს. ცოტაც და, აისრულებს საწადელს. თებერვალი ბოლო თვეა ზამთრისა. ამიტომ, ყველაზე მკაცრიცაა აღსასრულის მოახლოება აკაპასებს. იცის, რომ ბოლოა, აღარაფერი ეშველება, და ყველანაირად ცდილობს ჭვეყნის გამწვარებას, ცდილობს, რაც შეიძლება დიდხანს დაამახსოვროს ჭვეყანას თავი.

თითქოს იმავე წამს არ დაივიწყებენ, როგორც კი მზე გამოაჭყიტავს ღრუბლებიდან. მაგრამ იქამდე, ვერც იქამდე უღიღინებს დიდი დროა. ხალხი ტყე-ტყე დაძრწის, ფიჩხს აგროვებს. თოვლს კენკავენ გათოშილი შაშვები. იმათ რა უჭირთ, ვისაც გამოუღვევლადა აქვთ შეშა. იხუხებიან მთელი დღე ღუმელთან. „სკამი უკან დასწი, გო, ცეცხლი არ შეგიფარდეს“. „რა ძალიან გაგიხურებიან“. ამწინებზე, ნიკოს პაპამაც მოიტანა შეშა. ვიდრე ვირს ჰქონდა აკიდებული, ბევრი ჩანდა, მიწაზე დაიყარა და განახებერდა. „მთლად ნედლიაო“ — თქვა პაპამ. „რას ამბობ, კაცო, რცხილაა, ეგეთ შეშას სად იშოვი, თანაც ამ ფასადო“ — გაწყრა შეშის გამყიდველი. კარგი რომ იყო, პაპამაც იცოდა, თორემ ისე, მუჭოთადაც რომ მიეცათ, შინ არ შემოიტანდა. პაპა თუ რამეს იყიდის, კარგს იყიდის მხოლოდ. ცოტას, მაგრამ კარგს. „უსახსრობის გამო კი არ ცხოვრობს ასე, ვეღარაფერს შოულობს თავის გემოვნების შესაფერსაო“ — ხუმრობს ხოლმე ბებია, გაბრაზებული თუა პაპაზე. პაპას კი მართლა უყვარს ნავაჭრით თავის მოწონება, ერთი ათჯერ მაინც უნდა დაიტრახახოს, მე მელოდებოდაო. შეშის გამყიდველი ტანმორჩილი, ჭალარა გლეხი იყო. დაბამბული, იდაყვებ-გამოხეული ჯუბა ეცვა. თავზე გაქუცული თუშური ქუდი ეხურა. ადრე მუზარადის ქვეშ იხურაედნენ თურმე მეომრები ამ ქუდს, მაგრამ ეს ადრე იყო — ფოლადის მუზარადი გაქრა, ნაბდის ქუდი კი დარჩა. მაგრამ თუკი მაშინ მუზარადიც ვერ გვიცავდა, ახლა ნაბდის ქუდმა როგორ უნდა დაგვიცვას?! ყურები თითქოს სიცივისგან გავრდოდა — წითლად უღოპლიპებდა. პაპამ ფული რომ ჩაუთვალა — აგაშენოთო — და ტვირთისგან განთავისუფლებულ ვირს ფულიანი მუშტი დაჰკრა გავაზე. მოკლე სახრე მეორე ხელის იღლიაში ჰქონდა ამოდებული. პაპის წითელ სამთუმნიანს დაკვეთილი ყური გამოეყო იმის მუშტიდან, თითქოს „ჭიტას“ ეძახდა ყოფილ პატ-

რონს. მაინც კარგახანს ეყოთ. აქამდე იწვის და ათბობთ, შეძლებისდაგვარად. შეიძლება, ესენი ძალიან ვერ ახურებენ ღუმელს, ზოგზოგებივით, მაგრამ ოთახში უფრო თბილა, ვიდრე ცივა. თავდახურულ ტაფაზე გაფუებული, გაბერილი წაბლი ხმაურით სკდება. ვილაყას მიუცია დეიდისთვის სამსახურში, იმან კი შინ წამოიღო. მიუხედავად თავისი თამამი შეხედულებებისა, მაინც მოერიდა ალბათ გარეთ წაბლის ჭამა, მაგრამ შინ წაბლიც დაავიწყდა და თავიც. დედა-შვილის სტუმრობის ამბავი რომ შეიტყო, ჭერ მხრები აიჩეჩა მხოლოდ, ვითომ, იმათ რატომ არ უნდა მოითხოვონ, თუკი საერთოდ არსებობს ამგვარი ჭილდოო. მაგრამ როცა საბოლოოდ აღიქვა მოსმენილი, ისეთი დღე დააწია ბებიას, გუშინდელი ორთმტრიალი მოგონილი იყო — როგორ მოგივიდა და როგორ შემოუშვი შინ მკვლელების ოჯახიო; ან იმათ როგორ გაგვიბედეს და როგორ გავვრჩიეს ამ ბინძურ საქმეშიო. ვარდისფერი ატლასის ლიფისთვის ზედაც არ დაუხედავს, გალაკტიონის ლექსების კრებულიც არ გადმოუღია ეტაჟერიდან და, განრისხებულმა, შეიკეტა თავისი ოთახის კარი. თებერვალი კი კბილებს აკაჟაჟებს, ცინგლი ჩამოსდის — მთელს ჭვეყანაზეა გაგუნისებული, აღრენილი — ერთი იმდენი ძალა მომცა, დიდიან-პატარაინდ, ყველანი ყინულად ვაჭკიოთ. გულზეა გაბეთქილი, დღეები რომ ჩამოაჭრეს, დამოკლეს. ყველაზე ძალიან კი მარტზე ბრახობს მაინც, მარტს ვერ იტანს: მაშინვე მოშლის ჩემს კვალსო, ხელახლა გადაამწვანებს აქაურობასო. დიახაც! აბა, ტყუილად იბრძვის ქარი?! ჭერ გაზაფხული უნდა მოაბრძანოს, ვიდრე ჩადგება, ვიდრე მოკვდება, მართლაც, რალა დარჩა?! ცოტაც და, მობრძანდება გიყი მარტი. ჭერ ღინღლივით დააჩნდება ეზოებს მკრთალი, წყალწყალა, გაუბედავი სიმწვანე. გამოიღვიძებს ბუნება, სიცოცხლისკენ შემობრუნდება. მინდორი მოიხვნება, ვენახი გაისხე-

ლება. სახნისით ამობრუნებული მიწა შავად შემოგანათებს, სიღრმისეულ სურნელს შემოგაფრქვევს სხვანაირთაღლიან ბელტებზე ნახამთრალი ყვავები დასკუბებულან, დარბაისლურად საუბრობენ: ეს რა ზამთარი იყო, ყვავაა, ლამის გავთეთრდით, ყვავაა. თებერვალი ბერავსო, მარტი კაბას კერავსო. გამობრძანდება ახალ კაბაში, სიხარულისგან, სიამაყისგან სახეაღწილი, თვალბგაცისკროვნებული, დაბზრიალდება ადგილზე, აიფრიალებს კაბის კალთებს, დაგვანახვებს კოხტა წვივებს. მაგრამ იქამდე ჭერ კიდევ ბევრი წყალი ჩაივლის, მოლოდინის, იმედისა და ნატერის მთელი საუკუნე გათავდება, ვიდრე ხე აყვავდება ისევ, ვიდრე კვირტს გამოიტანს, ვიდრე ნაყოფს დაისხამს და ვიდრე ის ნაყოფი მოიწევა და მოილევა. თუმცა, ნიკოანთი არც ხეხილი უქნია ღმერთს. შეიძლება, სხვებს იმათზე დიდი ეზოები არცა ჰქონდეთ, მაგრამ მაისიდან ოქტომბრამდე სულ ნაირნაირი ხილი შემოსდით. ნიკოანთას კი მოწეულიც არ არის წესიერად, მაშინვე მოილევა ხოლმე. ვერც შემოსვლას იგებენ, ვერც მოლევას. იმათმა სინაფმა ორი-სამი ვაშლი თუ გამოიბა, ქვა უნდა გადააბრუნონ, კედელს ჩხირი უნდა ატაონ. იმათ შვინდი ჭინჭარზე უარესად ისუსება, ნაყოფი კი ისეთი წერტილი იცის, ცარიელი კურკაა, არაფერი დაგრჩებათ კბილზე. თუთაც უვარგისი უდგათ. სხვები ისე გასისინდებიან ხოლმე თავიანთ თუთებზე (მაგალითად, ვალო ბადალაშვილი), ძლივს მოლოდინ ძირს. იმათი თუთა კი, კენწეროზე, ისიც აქა-იქ თუ გამოისხამს, მართლა ხილად, და ჩიტმა თუ არ დაგასწროთ, ცხვირწინ თუ არ აგაცალათ, მერე კიდევ ხელი თუ მიაწვდინეთ როგორმე, ტოტი თუ არ მოგიტყდათ — ტუჩის გასასველებლადაც არ გეყოფად. მაგრამ მაინც ერთ რამედა ღირს, ათასფრად რომ გადაიპენტება აქაურობა. ნაყოფისა რა მოგახსენოთ, მაგრამ ასე ღამაზად არცერთი ხე არ ყვავის არსად, სხვის ეზოში. არაფერი სჯობს

აყვავებული ხის ცქერას. დარტიანებული დაბორილობს ხოლმე ნიკო ეზოში, ფეხებში ებლანდება ხეებს, როგორც მთვრალი ბავშვი უფროსებს. სუნით ძლება და სუნით თვრება. მართლაც, ისეთი მათრობელა სუნი დგას ჰაერში, მთელი ქვეყნის ფუტკრები აქვთ მოისწრაფვიან. რა ამბით ყურყუმალაობენ ბებიის სამურაბე ვარდებში — გარეთ დარჩენილ ფეხებს სიამოვნებისგან ჰაერში ასავსავენ, უფრო ღრმად უნდათ ჩაღწევა სურნელოვან წყვდიადში, ბოლომდე, ძირამდე. აღარაფერი აღარ არსებობს იმათთვის ამ ტკბილი და ბნელი წილის გარდა. მერე ჩინური ეკსიმინი ამოაფრქვევს თავის ბანგიან სურნელს და ახლა იქითკენ გაქანდებიან შექმნის დიადი სურვილით ახუზუნებული ფუტკრები. უფუტკრო გაზაფხული რაღა გაზაფხულია! მაგრამ, შეიძლება, ერთი ვიღაცა ველარ მოესწროს გაზაფხულის მობრძანებას. საინტერესოა, შესძლებს თუ ვერა, ამჯერად მაინც, ქეთო მასწავლებელი გამოსათხოვარი სიტყვის თქმას?! ალბათ, ვერა. რაც ამ ორი წლის წინ მოხდა, იგივე განმეორდება. ამ ორი წლის წინ ნიკოს თანასკოლელის დასაფლავებაზე დანით ვერ გააღებიან პირი, წამალი რომ დაეღვივებინათ. იმის მაგივრად, სიტყვით რომ მიემართა მოწაფის კუბოსთვის, ზედ გადაეშო კუბოს, გულშელონებული. დაუნდობელმასიკვილიმარაუდ როო სმიგლომახეგამოვაკლიამხანაგებსბნელმიწაშიდავიმარბე. ერთი საცოდავი, პატარა, წვრილთვალემა ქალია. თავგსაგავს რალაციით, განსაკუთრებით, როცა სკოლის დერეფანში მოცუბუხებს. შეიძლება, წიგნი ესროლოთ უცებ, გამოედევნოთ. არადა, სიკეთის განსახიერებაა. იმის გაკვეთილზე თუ მოითქვამენ სულს მოწაფეები — რაც უნდათ, იმას აკეთებენ. ის კი წიგნებს ეფარება, მოკუნტული, მობუზული, რცხენია (შეიძლება, ეშინია კიდევ) თავისი მოწაფეებისა, თითქოს იმის ბრალია, მინებჩალეწილი კარადის თავზე შემოდგმულ გლობუსს ძველისძვე-

ლი, გაძენძილი, ფრთიანი შლიაპა რომ ახურავს, გიცი ქალივით; უკასწავლო ჩონჩხისთვის მკლავი რამდენუწყვექთია ვიღაცას; დაფაზე მამაკაცის სასირცხვი რომ ხატია; საკლასო ოთახში მძაღე, ამაზრუნეი სუნი რომ დგას სიბინძურისა, სიღამპლისა, მუტუში მოკლული სიყვარულისა. მოწაფეები ჰქვითა, მაგრამ უკვე კაცები არიან, ოჯახებს ინახავენ, ზოგი მექუღეა, ზოგი ხარაზი, თითები დაჩხვლეთილი აქვთ ნემსითა და სადგისით. მანქანის ძველი საბურავებიდან წაღებს კერავენ (ნიკოსაც იმათი შეკერილი წაღები აცვია), კვირაობით ბოდბისხევის ბაზარში ყიდნიან, აღებული ფულის ნახევარს, თუ მთლიანად არა, წნორის ბარაკებში ტოვებენ და გუნებაგადაწმენდილი, მოისწრაფვიან სიღნაღისკენ, ორშაბათის გაკვეთილების მოსამზადებლად, მაგრამ იმდენი და იმდენნაირი გულისხეუქვა უნდა გამოიარონ შინამდე, ნასახიე არ ამოჰყვებთ ხოლმე წნორში განცილილი სიამოვნებისა; გაურკვეველი მოლოდინი ხომ სულ თავებდს აწყველინებთ, ერთი სიცოცხლე უნდა გაათავონ, ვიღრე დახედავენ, დაათვალიერებენ, განსაკუთრებით, მესამე, მეშვიდე და ოცდამეერთე დღეს, და ესეც თითქოს ქეთო მასწავლებლის ბრალი იყოს, დამფრთხალი, დარცხენილი ეფარება წიგნებს. მაგრამ განა შეიძლება, ცხოვრობდე და დამნაშავე არ იყო, რამეში მაინც?! შეიძლება, ვინც არაფერს აშავეს, ის უფრო დამნაშავე აღმოჩნდეს ბოლოს. მაგრამ ნიკოსთვის ყველაფერი სულერთია უკვე. განურჩევლობის, ფულგრილობის, უგრძობლობის წყვდიადშია ჩაკარგული. ისეა, როგორც მაისის ხოჭო — ასანთის კოლოფში. პატარაობისას ჯიბით დაატარებდა ასანთის კოლოფში დამწყვდეულ ხოჭოს და ძალიან ეამაყებოდა, ასეთი ძლევაშოსილი რომ იყო, ასეთი საუნჯის მფლობელი — მოწყალე ხელმწიფის უბრალოებით ანებებდა ყველას, ყურზე მიედო მისი ასანთის კოლოფი და მოესმინა, როგორ ფხაკუნობდა შიგ წყვდიადის ტუსაღი.



ის კი, ტუსალი, განუწყვეტლივ ფხაკუნობდა, ხმელი ბუსუსიანი ფეხებით ფხოჰინდა მუყაოს კედლებს, არ უნდოდა ბნელში ყოფნა. ის, თურმე, იტანჯებოდა, ნიკოს კი უხაროდა. მაგრამ მაშინ არაფერი გაეგებოდა ნიკოს ტანჯვისა. მაშინ ისიც არ იცოდა, წყვილიადი ასანთის კოლოფშიც რომ წყვილიადა. უვიცი იყო, ბატონებო, უვიცობისთვის მაინც შეეუწუნოთ! თუმცა, არა, სწორედ უვიცობის პატიება არ შეიძლება. გინდაც არცერთი წიგნი არ ჰქონდეს წაკითხული, იმდენი მაინც უნდა იცოდეს, წყვილიადი ასანთის კოლოფშიც რომ წყვილიადა. და კიდევ — ის ზოჰო მისი ძმა რომ იყო, ზოჰოდ შობილი, ანდა, დროისა და გარემოების გამო, ზოჰოდ გარდაჰმნილი. ამას არა აქვს მნიშვნელობა, მნიშვნელოვანია, თავიდანვე რომ არ იცოდა ეს და იქამდე ტანჯავდა ძმას, ვიდრე საერთოდ გაიგებდა, რა იყო ტანჯვა, ყველანაირი, ადამიანურიც, ცხოველურიც, ფრინველთა, მწერთა, ქვეწარმავალთა... იმიტომაც იტანჯება ახლა, უფრო სწორედ, იტანჯებოდა, ვიდრე მოკვდებოდა. ტანჯვით ამოხდა სული. დედამისს კი ეგონა, ტაშ-ფანდური ექნებოდათ აქ გამართული. თავისი ჭკუით, შვილი გადაარჩინა, სამშვიდობოს გაიყვანა, გავრიდა განსაცდელს. არადა, დააბლოვა, დააჩქარა აღსასრული შვილისა. ზედმეტი ტვირთი მოიშორა, მეორე ხელიც გაინთავისუფლა, უფრო მაგრად, ორივე ხელით რომ ჩასჭიდებოდა ქმრის საწოლს. შვილი კი, ნელნელა, თანდათანობით, ერთიდაიმავეს გამეორებით, შეაჩვია, დაარწმუნა, ზედმეტი რომ იყო, ხელის-შემშლელი, წასაცვლელი. სულ მარტო ხარო, შენთვის დროც აღარ მრჩებაო, უპატრონო ძაღლივითა ხარ ქუჩაში ჩავარდნილიო, ღმერთმა იცის, რას ჰქმნა და რას სვამო—სულ ასე ეჩიჩინებოდა, სულ ერთსა და იგივეს, რადგან ფიქრით მაინც იქ იყო ყოველთვის, საავადმყოფოში; აქ კი, შვილთან, მშობლის ვალს იხდიდა იძულებით; დაუფიქრებლად, გაუაზრებლად უმე-

ორებდა შვილს ერთხელ და სამუდამოდ აჩემებულ სიტყვებს, რომლებსაც ხშირი გამეორებისგანა შესერდოდ დაკარგული ჰქონდათ მისთვის ყოველგვარი აზრი და მნიშვნელობა. თან სლუკუნებდა, თავფეხიანად გაწუწული, წვიმაში მოყოლილი, თითქოს გაუბედავად ჩამოჰქდარი სკამის კიდეზე, თითქოს გასაქცევად გამზადებული, თითქოს ერთი წამით, რალაცის სათბონელად შემოსულა მეზობელთანო, პალტოც არ გაეხადა ჯერ, ჯერ ისევ ასდიოდა საავადმყოფოს სუნი, უსიამო, შემაშფოთებელი, დამთრგუნველი, გამაბითურებელი, ყველაფერთან შემრიგებელი და ყველაფრის გამაუფასურებელი. ის კი სლუკუნებდა, საკუთარ სახლში სტუმარივით ჩამოჰქდარი სკამის კიდეზე; ჭუჭყიანი ჭურჭლით სავსე ჩანთა ჯერ ისევ კალთაში ედო და სლუკუნებდა, ტიროდა, ტიროდა თავის უბედურებას, უიღბლობას, ჩაშლილ დღესასწაულს, დანგრეულ ოჯახს, სასიკვდილოდ გადადებულ ქმარს, გადაჩვეულ, გაგარეულებულ შვილს... ტიროდა, ცხარე ცრემლით ტიროდა, მღუღარე, უწყვეტი ცრემლი გამმდარი ბროლივით ჩამოსდიოდა ლოყებზე. ეს მისი ოცნების ბროლის კოშკები დნებოდნენ, დნებოდნენ, რადგან ტყუილად იკავებდნენ უკვე ადგილს, ვიღას ეცალა ბროლის კოშკებისთვის, და ისინიც ეცემოდნენ, იმსხვრეოდნენ, ჯოჯოხეთურ ცეცხლზე ღვებოდნენ, დნებოდნენ და ცრემლად მიდიოდნენ, მირონად... გაბოროტებულ გულზე რომ მოცებოდნენ ქვეყანას, იქნებ... მაგრამ რა შეეძლო ერთ საბრალო ქალს?! არაფერი. ყოველშემთხვევაში, მეტი აღარ შეუძლია. ისიც ადამიანია, ბოლოს და ბოლოს. იმასაც ეშინია, იმასაც ტკივა, იმასაც ცივა, იმასაც შია. თუ რამე ჰქონდა, ბაზარში გაიტანა — ქმარს, პირველ რიგში, ქმარს რომ არ მოკვებოდა რამე; „მეორე არ გვინახავს ასეთი მოვლილი ავადმყოფიო“ — ასე რომ ვთქვათ ერთმანეთისთვის მკლავებდაკაპიწებულ დოსტაჭრებს. მაგრამ მეტი აღარ შეუძლია,

დაილაღა, ძილი ენატრება, სიკვდილივით ძილი, სიკვდილისხელა... გამგები კი არავინა ჰყავს, ამ ბინძური, ნიკაბდაჭმუჭნული ლეკვის მეტი, მაგრამ სწორედ იმას, ლეკვს, არ უნდა მისი გაგება — გატყუორდა, გადაგვარდა, თავს არიდებს დედის ხელს, აღიზიანებს მოფერება, მიაღერსება. მართლა ლეკვივით იღრინება, კბილებს კრეკს და მისდაუნებურად უჩვენებს დედას ველური წიწმებით ჩამწვანებულ ღრძილებს. „რა ჭამეო“ — უკვირს დედას. თუმცა, მაინც ტირის ჭერ, მაინც ვერ შეუკავებია სლუკუნი. ამიტომაც, ძალიან სასაცილოდ გამოსდის, თავისთავად სასაცილო შევითხვია. თვითონვე ეცილება. თან ტირის, თან სლუკუნებს, თან იცინის: რას გავხარ, რას დამსგავსებია, ბავშვი ხარ თუ ბოჩოლაო. იცინის, სლუკუნით იცინის და სიცილით სლუკუნებს. მართლაც რომ სასაცილოა — ბალახსა ძოვს მისი შვილი, სულმთლად გაპირუტყვებულა. ველარც მისი შვილი იკავებს თავს — ძლივს, ტანჯვის ფასად დამლეული ტირილი უცებ არაბუნებრივ, ამაზრუნ სიცილად იფეთქებს იმის გულ-მუცლიდან, თვალებიდან. ახლა ორივენი იცინიან. დედა ტყუპად ასწევს ხოლმე ფეხებს და ისევ ტყუპად დამკარავს იატაკს. ლეკვიც იცინის, კვდება სიცილით, ჯიბეებში ხელბეჩაწყობილი. მაგრამ მაინც მზადაა, დროულად აირიდოს დედის ხელი, მოსაფერებლად წამოღებული, ვითომ უნებურად, შემთხვევით. ძველისძველ ბუფეტში ჭურჭელი წკრიალებს. საკმლის მინები ზრიალებენ, როგორც საზენიტო ქვემეხების ხმაზე, თუმცა, ამ თვალსაზრისით, მშვიდი დღეა თითქოს, არცერთ თვითმფრინავს არ გადაუფრენია ქალაქის თავზე. კედლებიდან გაოცებულნი იყურებიან ნაცნობთა თუ უცნობთა, ცოცხალთა თუ გარდაცვლილთა სურათები. ისინი კი იცინიან, იცინიან, თან დაყურადებულნი არიან, თვალს წამითაც არ აშორებენ ერთმანეთს, ფიზილობენ, რადგან ამ მოულოდნელმა, ავადმყოფურმა, დამაჯინებელმა

სიცილმა არავითარ შემთხვევაში არ უნდა მოშალოს დედაშვილს. მორის ძლივს აღმართული ჯვებანი მღვდლთან შეგუებისა, არ უნდა დაუმსხვროს დედა-შვილს ძლივს მორგებულ ნიღბები სიმტკიცისა, გამძლეობისა, ამტანობისა... არცერთს აღარ ეყოფა ძალა, გამთიშავი, გადამჩრჩენელი ჭებირის აღსადგენად, ახალი ნიღბის გამოსაძერწად. სიცილს კი, რა უჭირს, რას აშავებს! კი ბატონო, იცინონ, რამდენიც უნდათ, ოღონდ სიცილით ნუ შენიღბავენ თავიანთ ჭვენა გრძნობებს. რა საჭიროა?! კარგს არაფერს მოუტანთ, დატანჯვით კი უარესად დაიტანჯებიან ერთდაც და ცალკალკაც, თვითავიანთ კოლოფებში. ჯობს, იცინონ უმიზნოთ, უაზროთ. იცინონ იმიტომ, რომ იცინონ, იმიტომ, რომ შეუძლიათ, იციან, რას ნიშნავს სიცილი, როგორ უნდა გაცინება. ფოტოგრაფი ხომ არავის არ ასწავლის, როგორ გაიცინოს, სამაგიეროდ, ყველას ერთნაირად ეუბნება, გაიცინეო, იმიტომ რომ, გაიცინების უნარიც თანდაყოლილია და ყველა ადამიანს ერთნაირად შეუძლია, როცა უნდა, მაშინ გამოიყენოს ეს უნარი, როგორც მოეპრიანება, ანუ, მასზეა დამოკიდებული, როდის და როგორ გაიცინოს. სიცილი კი, ღვთის წყალობით, ბევრნაირი არსებობს: უდროოც, ყალბიც, მწარეც, დამცინავიც, უაზროც, გიჟურიც, უმიზეზოც, უგულლოც, ცივიც... ასე რომ, სიცილის არჩევაც შეიძლება, თუკი, რა თქმა უნდა, საერთოდ შეიძლება რაიმეს არჩევა, ერთხელ და სამუდამოდ, ვიდრე ცოცხლობ, ვიდრე ხარ; ძნელი სათქმელია, რადგან ადამიანი განუწყვეტლივ ირჩევს რაღაცას, მაგრამ იმდენად მერყევია მისი ბუნება, ისე მალე ეცვლება აზრი, შეხედულება თუ სურვილი — ბოლოს აღარაფერი შერჩება ხოლმე ხელში.

8

— დედი, მგონი გაიღვიძა. — თქვა დეიდა.

— ძალიანაც კარგი. საცაა ეჭიმიც

მოვა. — უპასუხა ბებიაშ და იმავე წამს — როგორ გაოფლილბარო — ჩასჩურჩულა ნიკოს ყურში, თითქოს დეიდისგან დაფარულად, საიდუმლოდ, და ნიკომაც ჯერ ბებიის ხელის სუნი იგრძნო, მერე შეხება — ორივე ესიამოვნა, მაგრამ ჯერ მაინც იქ იყო, ძილბურანში, მტანჯველ ნეტარებაში, და, რაც მთავარია, სრულებითაც არ უნდოდა იქიდან გამოსვლა, გამოფხიზლება. „გაიღვიძე, გენაცვალოს ბებიაო“ — ისევე ჩასჩურჩულა ბებიაშ, შემპარავად, ვერაგულად, გამომაფხიზლებლად — უსაზღვრო სიყვარულითა და მზრუნველობით ხმაგამთბარმა, ხმაათრთოლებულმა.

ნიკომ ძლივს-ძლივობით, თანდათანობით გაახილა თვალი, მაგრამ, მისდა გასაოცრად, ბებიის მაგივრად დეიდა შერჩა ხელში — დეიდა დასდგომოდა თავზე და დამცინავი სიბრაღულით დასცქეროდა, როგორც სურათს დასცქერიან — აი, შე საბრალოვ, ვერცა მხედავ და ვერც გამოშვასუხებო — მაგრამ არც მთლად ასე იყო საქმე: ნიკო ხედავდა კიდეც და, საქირო თუ შეიქმნებოდა, არავის დატოვებდა უპასუხობად.

დეიდას თავისი „შვილიყო“ — განუყრელი გალაკტიონის ლექსების კრებული — ორივე ხელით მიეხუტებინა გულზე. თვითონ ეძახის ასე: ეს ჩემი შვილიყოაო. პაპა კი ნიშნს უგებს, რა თქმა უნდა, ქარაგმულად, ისევე ანდაზის დახმარებით: ქალმა თქვა, შვილი მინდა, ქმარი არაო — ვითომ, „შვილიყო“ კარგია, მაგრამ ქალს, პირველ რიგში, ქმარი უნდა ყავდესო. დეიდაც ზუსტად ისე იგებს პაპის ქარაგმას, როგორც უნდა გაიგოს და, გასცეცხლებული, შეუტევს ხოლმე: მე რომ გათხოვება მდომებოდა, აქამდე ათჯერ გათხოვდებოდიო.

ღიახაც, არ უნდა გათხოვება! და ეს თუ ვინმემ იცის, ნიკომ იცის მხოლოდ. ნიკოა იმის მესაიდუმლო, ნიკოა იმის უიღბლო, უცნაური სიყვარულის მოზიარეც და, ვინ იცის, თავიდანვე, სულაც ამ განზრახვით ჩამოიყვანეს ის

ბათუმიდან, რაკი, ერთ მშვენიერ დღეს, თვალი აეხილათ და ნათლად დაინახეს, უმწეონი, არაფრისმაქმნიელი რთმი კაცუნენ უმეგობროდ (უნიკოოდ) — ვერც საიდუმლოს დამალავდნენ და ვერც სიყვარულს აიტანდნენ. ამიტომ, ამ სამი წლის წინ, ჩამოადგეს თუ არა მატარებლიდან ფეხი, სიღნაღის ავტობუსს კი არ მიაშურეს იმან და დეიდა-მისმა, სადაც პაპაც დახვდებოდა ალბათ, არამედ — სოსოს სახლს, ორივესთვის სრულიად უცხოსა და მიუდგომელს, განსაყუთრებით კი ნიკოსთვის, რადგან ნიკომ იქამდე ისიც არ იცოდა, საერთოდ თუ არსებობდა მსგავსი სახლი ამ ქვეყანაზე. თუმცა, ბოლოს მაინც იმას დააკისრა ბედმა იმ სახლში შესვლა და სამუდამოდ დაამახსოვრა კიდეც, იქიდან მოყოლებული, როცა დეიდის ხათრით, ბრმად, ალაღბედზე აათავა იმ სახლის უმოაჩირო კიბე და იივნის იატაკმა ავად, სახიფათოდ, სისხლგამყინავად გაიჭრაქუნა ფეხქვეშ. მართალია, დეიდა, ბათუმიდან წინორამდე, მთელი ორი დღე, მხოლოდ ამაზე ელაპარაკებოდა მატარებელში, ათასნაირად უხსნიდა და ასწავლიდა, როგორ უნდა შესულიყო იქ და რა უნდა ეთქვა დამხდურისთვის, მაინც ყველაფერი გაუგებარი და უჩვეულო, საშიში და სახიფათო ეჩვენებოდა იმ დღეს და გრძნობამორეული იმეორებდა გუნებაში: მშვიდობით, მშვიდობით, მშვიდობითო, ოღონდ, თვითონაც არ იცოდა წესიერად, ვის ემშვიდობებოდა, რას ემშვიდობებოდა ასე თავგამოდებული, ასე მზურვალედ. ყოველ შემთხვევაში, არავის და არაფერს გაუჩენია მისთვის მისალმების სურვილი. დეიდა გაფაციცებული, აჩურჩულებული ექაჩებოდა მკლავზე და ლამის ბრმასავით მიაკვლევინებდა გზას დაფეთებულ, აჩოჩქოლებულ, მორევივით დატრიალებულ ხალხში. „ფხიზლად იყავი, პაპას არ გადავეყაროთ სადმეო“ — აფრთხილებდა წარამარა, რადგან ჯერ სხვა, უფრო მნიშვნელოვანი საქმე ჰქონდათ მოსაგვარებელი, პაპა არ ჭირდებოდათ, პაპა ხელს თუ

შეუშლიდათ მხოლოდ. ნიკოც უხმოდ ემორჩილებოდა დედის ხელს, სხვათა შორის, საკმაოდ მტკივნეულს, და ერთი სული ჰქონდა, ვიდრე აქედან გააღწევდნენ, ვიდრე სათითაოდ გადააბიჯებდნენ, ანდა გვერდს აუვლიდნენ, უხეშად, მაგრამ საიმედოდ, სანდოდ, თითქოს სამუდამოდ, შეკრულ, გაყოქილ, გადაბმულ ტომრებს, ხურჭინებს, ჩემოდნებსა თუ კალათებს — დარბეული ბარკადის ნარჩენებზე თითქოს მიმოფანტულიყო სადგურის იატაკზე. მიძკრებოდნენ, მიიპარებოდნენ, თითქოს გადასარჩენად კი არ ჩამოსულიყვნენ აქ, აქაურობისთვის უნდა დაეღწიათ როგორმე თავი. ნიკო მართლა ბრმასავით ემორჩილებოდა თავის ასმათს, დანდობილი მიჰყვებოდა წნორის უკუნეთში, გაურკვეველობის ჩახუთულსა და უკიდევანო მღვიმეში. მიდიოდნენ, მიიპარებოდნენ. ჰაერიც არ იძვროდა. აღარაფერი იყო ირგვლივ, გარდა მტერის სუნით გაყვანილი წყვილიადისა, თითქოს მართლა მიწისქვეშა მღვიმეში იყვნენ, იქ შეესწოთ გადაარჩენილებს გადამრჩენელისთვის — შაპისთვის. ნიკოს იმის გარკვევაც უჭირდა, ქუჩაში მიდიოდნენ თუ შარბზე. ფეხქვეშ ფაფუკ მტერებსა გრძნობდა მხოლოდ, ფეხი ლამის კოჭამდე ეფლობოდა მტერში, თითქოს დიდი ხნის წინ ჩამქრალ ვარსკვლავზე მიაბიჯებდნენ და სიცოცხლის არსებობა დასაშვებიც არ იყო ირგვლივ, თვალის საწიერზე. დეიდა კი იცინოდა, ვერაფრით ვერ დაეოკებინა ნერვიული სიცილი. ეტყობა, მაინც რცხვენოდა ნიკოსი — არც ისეთი დიდი იყო, როგორც დიდობდა. ნიკოსთან მოჰქონდა თავი, ნახე, რა ამბებში ვარ გარეულიო, მაგრამ ბოლომდე მაინც არ იყო დარწმუნებული, სწორედ რომ იქცეოდა, კარგ მაგალითს რომ აძლევდა უმცროსს. „ერთი ყლუპი წყალი რომ მომცა, მაშინვე გამივლისო“ — ამშვიდებდა და ებოდიშებოდა კიდევ ნიკოს. მაგრამ მტერის გაუფვალ უდაბნოში წყლის ნატამალიც არ არსებობდა, თუმცა, ქასაც გადააწყდნენ სიბნელე-

ში და ონკანსაც — ქის ოწინარი, ვედროიანად, მიწაში ჩადულაბეზულ რკინის რგოლზე იყო ჯაჭვით დაბმული, ჯაჭვს კი ქანგაიანი ბოჭლოში ეკიდებოდა. ხოლო, ონკანს ვერაფერი გამოსძალეს უსიამო ღრქილისა და გულგახეთქილი ობობის მეტი — გამწარებულმა ნიკომ წიხლი რომ უთავაზა მტერის ზვირთებიდან რკინის გველივით წამოყვლეულაბეზულ ონკანს, იმის სამუდამოდ გამომშრალი ტუჩიდან ობობა ჩამოვარდა და, გრძელ ფეხებზე აფოფრალი, მოუხერხებლად გაიქცა მტერადტყეულ მიწაზე.

ბოლოს, როგორც იქნა, ამოაღწიეს მიწისქვეშა მღვიმედან — უცებ ცა გამოჩნდა, ვარსკვლავებით გადაჭედილი — და ნიკომაც შვებით ამოისუნთქა, თითქოს იქამდე, ცის გამოჩენამდე, სუნთქვას ძალით იკავებდა. მაშინვე ნიკომაც დაუბერა და საიდანაც დამდგარი, დამყაყებელი წყლის სუნი მოიტანა. იმავე წამს, ვარსკვლავების შუქზე, მახუთის გუბებში გაბრწყინდნენ და ყურისწამლებად აყიყინდნენ ბაყაყები. წინ ლერწმის ტყე ირწყოდა — ხან აქეთ გადაწვებოდა, მთვრალი მხედარივით, ხან იქით. ლერწმები ჩხრილით ეხეთქებოდნენ ერთმანეთს. მთვარისა და ვარსკვლავების შუქში ოქროსფრად ბზინავდა მათი გაბურძნეული ქოჩრები.

დეიდა ლერწმებში შევიდა. ნიკოც შეჰყვია. ვერაფერს ხედავდა, ხმას მიჰყვებოდა. დეიდა კი ნადირის სითამამით მიიკვლევდა გზას. ეტყობოდა, პირველად არ იყო აქ. „მშვიდობით, მშვიდობითო“ — გაიმეორა ნიკომ გუნებაში, ოღონდ, ამჯერადაც არ იცოდა, ვის ან რას ემშვიდობებოდა. უბრალოდ, გადარჩენის (ალბათ) საამური შეგრძნების ნაცვლად, ჯერჯერობით, სევდა და სინანული ჰქონდა ზურგზე მოკიდებული, ქვევით სავსე ტომარასავით, უსახლო სევდა და ასევე უსახლო სინანული, თვითონაც რომ ვერ გაერკვია წესიერად, რისი და რის გამო“. „რასაც შენით დათმობ, ველარასოდეს დაიბრუნებო“ — გაახსენდა,

რატომდაც, მამის ნათქვამი და, ერთი წამით, დაინახა კიდევ მამა, თვალდახუჭული, სახეზე ოფლგადამსკდარი. ხელი აუქნია უნებურად, თითქოს ეს მტანჯველი, მაგრამ უკვე მოთხოვნილებად ქცეული ჩვენება, გარედან ეს-ხმოდა თავს და სამუდამოდ არ იყო ჩასახლებული მის გულსა და გონებაში.

უცებ დეიდას გადააწყდა. თითქოს დეიდა კი არ ელოდებოდა, გზას უკეტავდა, მტკიცედ გადაწყვიტა, არ დაეთმო გზა, არ მოეცვალა ფეხი და, მართლაც, მიუდგომელ ციხესავით აღმართულიყო ნიკოს წინ. მოქუფრული, დაძაბული, ხმამაღლა მსუნთქავი, სადავით დაოკებული ცხენივით... საიდანღაც ნიავს მთვრალი, არეული სიმღერის ნაგლეჯები მოჰქონდა. ირგვლივ ლერწმები ფაჩუნობდნენ, ჩხრიალებდნენ, აწყდებოდნენ ერთმანეთს. „ნიკო, ნიკო, რომ იცოდე, როგორ მეშინიაო“ — თქვა უცებ დეიდამ. ნიკომ კი მხრები აიჩეჩა მხოლოდ და მუშტები უფრო ღრმად ჩაიყო შარვლის ჯიბეებში. რასაკვირველია, იმასაც ეშინოდა. ყოველშემთხვევაში, ნამდვილად არ სიამოვნებდა იქ დგომა — მახუთის გუბეებში, ბაყაყების ყოყინში, დამაეჭვებლად აჩურჩულებულ, ცუდად ასისინებულ ლერწმებში. რალაცნაირად თრგუნავდა, აბეჩაყებდა იქაურობა და საფრთხის უსიამო წინათგარძნობა უხსენებელივით აცოცდებოდა ამაგაგებულ ფეხებზე. უხსენებელიც ბევრი იქნებოდა ალბათ იმ ლერწმებში, მაგრამ ნიკოს ესეც უნდა აეტანა, ყველაფრისთვის უნდა გაეძლო, რადგან მართო დისშვილი კი არ იყო დეიდისა, არამედ მეგობარიც. მეგობრობა კი, სწორედ ატანას, გაძლებას, მოთმენასა და შეუძლებელის შეძლებას ავალდებულებდა. „ერთი ამას დამიხედეთ, ჩაუწყვია ჯიბეში ხელები... ვითომც არაფერი“ — გაიცინა დეიდამ. ლერწმები კი ფაჩუნობდნენ, ჩხრიალებდნენ, ჩურჩულებდნენ. გრილსა და ხაოიან ფოთოლს, დარბილებული, დაუძლურებული მახვილივით, ხან დეიდას

ჩამოუსვამდნენ სახეზე, ხან ნიკოს ვითომ შემთხვევით, უნებურადვე სტებნელისა და სიეწროვან გზაზე გახრეხვარც არ მოხდებოდა — თქვა დეიდამ — იკითხავ და გამობრუნდები მაშინვე. რამე ზომ არ გაგიკიათ ახალი თქო. ჩამოდიან და ჩამოდიან თურმე მკვდრები... მკვდრები რომ ეგონათ თავისიანებს. ამხანაგის იმა ვარ თქო. მაშინვე გამობრუნდი. გესმის, ნიკო? გული მეუბნება, ცოცხალიაო. დარწმუნებული ვარ. დარწმუნებული ვარ“. უცებ ერთი ხელი ნიკოს ჩასჭიდა მხარში, მეორე ლერწმებში გაჰყო და თქვა: აგე, იმათი სახლიო. ნიკომაც იმავე წამს დაინახა საკმაოდ დიდი სახლი. სახლი კი არა, სახლის პირქუში ლანდი, ლამის ლერწმებზე წამომართული. „რისი უნდა მეშინოდესო“ — თქვა გუნებაში, უფრო თავის დასამშვიდებლად, რადგან მართლა შეაშინა სახლის პირქუშმა, ავად გარინდულმა ლანდმა, ზღაპრული მოულოდნელობით, ზღაპრული სისწრაფით გაჩენილმა მისთვის და ასევე ზღაპრული ილუმალეობით აღსავსემ ყველასთვის, ვინც კი შეხედავდა (მაშინ რას იფიქრებდა, სამი წლის მერე, ყველაზე დიდი განსაცდელის ეამს, მაინცდამაინც, ეს სახლი რომ გაახსენდებოდა, ეს სახლი რომ წარმოუდგებოდა თვალწინ, როგორც ყველაზე საიმედო თავშესაფარი). დეიდამ ლერწმას ფოთოლი ჩამოახია, კისერზე შემოიჭტო, თითქოს კაბის საყელოს ზომას იღებო, და ჰკითხა: მართალია, რასაც დედაშენი ამბობს შენზეო? „რას ამბობსო“ — შეცბა ნიკო და, უნებურად, ჯიბიდან ხელები ამოიღო, თითქოს უფროსს უნდა მისალმებოდა; გული კი ისე აუფრიალდა, თითქოს სკოლის საპირფარეოში პაპიროს ეწეოდა და დერეფანში დირექტორის ხმამ დაიგრგვინა მოულოდნელად. რატომღაც ელენიცას მკრთალმა აჩრდილმა გაიელვა, ერთი წამით, ლერწმებს შორის. არათუ სხვას, თავადაც გაუჭირდებოდა, რაიმე კავშირის გაბმა ამ აჩრდილსა და დეიდის შეკითხვას შორის. ლერწმებზე რალაცით დაფეთებულმა ჩიტმა

გადაიჭროლა. ლამის მკერდით წამოსდებოდა მთვარეში მობიზინე კენწეროებს. „დედაშენმა მითხრა, დარდიანიო, დაიდარდებო — თქვა დეიღამ. — ჩემსავით ყოფილხარ. მეც დარდიანი ვარ. ასეთი დავიბადე, თურმე, დარდიანი. — გააგრძელა უხალისოდ. აშკარად ეტყობოდა, ფეხს იორევდა, არ ჩქარობდა ნიკოს გაშვებას, თითქოს ბოლო წუთას დაეკვებულყო თავისი ჩანაფიქრის სისწორეში, ანდა, ნიკოს ერთგულებაში. — მამაჩემი ამბობს, დარდს მოგცემ, დარდს დაგავიწყებო — დაამატა სევდიანი, ფიქრიანი ხმით. — გაგივიათ, დარდის დარდით მკურნალობა? თქვენს საყურადღებოდ, დარდიანო მოქალაქენო! — გახალისდა ისევ. — ავადმყოფთა მიღება ყოველ დღე, გარდა შაბათისა და კვირისა. შაბათ-კვირას თვითონვე მიხედეთ თავს. — გაუბრაზდა ვილაყეებს. — მე არ მკვირდება მკურნალობა. დიდი მადლობა მომიხსენებია. დარდიანი მიიწინადა ვიყო. სხვათაშორის, ძალიან მიხდება დარდი. და, რაც მთავარია, ყველანი მამჩნევენ. უი, როგორი დარდიანი ხარ, გოგო... მე კი, ძალიან, ძალიან მომწონს ჩემი დარდიანი თავი“. — ისევ გადაეფარა ხმაზე ბრაზიანი სვედის ჩრდილი. ნიკოს კი თავისი შორეული, უკვე მწელად დასაჭერებელი ბავშვობა გაახსენდა, ჭერ კიდევ ომამდელი. იმასაც ზუსტად ასე ეუბნებოდა სადღაც, ბაკურიანსა თუ წალკერში, ქროლათვალეზა, პირთეთრა ქალი, მათი დიასახლისი, როცა ისა და დედამისი, ლამის უთენია, თავიანთი ჭიქებით მიადგებოდნენ ხოლმე რძისთვის. დიასახლისი დაბალ ჯოჯოხზე იჯდა ძროხის უკანა ფეხებთან, ძროხის კუდი საკუთარი ნაწნავივით გადაეგდო მხარზე და ისე ღონივრად წველიდა ჭიქას. ნიკოს უჯვირდა, როგორ უთმენდა, როგორ უჩერდებოდა ძროხა. ის კი, ძროხა, დიდი, წყლიანი თვალეზით შემოსკქეროდა ნიკოს თავისივე რძის ოხშივარიდან, დილის სიგრილიდან, თივისა და ფუნის სურნელიდან და, თითქოს იცნოო, თითქოს გაუხარ-

და იმის დანახვად, ფუნაშემხმარ კუდს ნახად, რბილად სცემდა უკმწევლად მობრილ ზურგს. ის კი, მწველად მობრილად პირ კიქაში ჩამოუწველიდა ხოლმე ნიკოს ჩხრიალა, ქაფიან რძეს და თეთრი, დასვრეტილი ქაფით თავმობმულ კიქას რომ მიაწვდიდა, აუცილებლად ეტყოდა: ალარ უნდა მოგივიდეს, ბიჭო, ფერი, რას დარდობ ამისთანასო. — „იცი, რატომ ვარ ასეთი? — ჰკითხა უკებ დეიღამ, მაგრამ ალარ დაუცდია პასუხისთვის. — გვიან გაჩნდი და იმითმ. — გააგრძელა თვითონვე. — დავაგვიანე მობრძანება. არა, მე კი არ დავაგვიანე, ჩემმა მშობლებმა ვერ გამოწირეს, არ დააყენეს საშველი. სხვა დროს გამაჩინეს. მაშინ კი არა, როცა წესითა და რიგით მეკუთვნოდა გაჩენა, არამედ, როცა ცოტათი მიიწინა დამშვიდეს თავად გული და კიდევ ერთი — სულ კი ორი — ბავშვის გაჩენა გაბედეს. დედაჩემს რომ ჰკითხოთ, ბევრი შვილი მიწოდოდაო. ნუ ამბობენ შინც! საღ ჰქონდათ ბავშვის გაჩენის თავი. ბავშვი რომ გააჩინო, გულადიც უნდა იყო. მე დედაშენზე, დიდი-დიდი, ერთი-ორი წლით უნდა ვყოფილიყავი უმცროსი, თუკი, საერთოდ, უნდა ვყოფილიყავი. სინამდვილეში კი ათი წლითა ვარ უმცროსი საკუთარ დაზე, ათით კი არა, თერთმეტით, დედად უფრო მეკუთვნის, ვიდრე დად. მეორე დედა — კი არ ესმის ჩემი, ჩემს მხარეზეა, ჩემია, გული შეისტკივა ჩემზე. — ბრაზიანად წაჰკრა ხელი გვერდზე მდგარ ლერწმას. ლერწამი ჩხრიალით მიაწყდა დანარჩენებს, ისინიც აჩხრიალდნენ, აფორი-ქდნენ და, იმავე წამს, თოვლივით წამოვიდა ზემოდან ლერწმის ქოჩრის ფაფუკი, ბრჭყვიალა მტვერი. — ვიდრე ქვეყანა არ დაწყნარებულა, ჩემს მშობლებს ვერ გაუბედავთ ჩემი გაჩენა, თითქოს უარესად ავრევდი ისედაც არეულ ქვეყანას. — გაიციინა ყალბი, ცარიელი სიცილით. თმასა და მხრებზე ლერწმის "თოვლი" დასდებოდა (ალბათ, ნიკოსაც). — ასე რომ, მე უკვე დაწყნარებული ქვეყნის პირ-

მშო ვარ. სხვათაშორის, შენც. წარმოგიდგენია? მე და შენ მეტი საერთო გვაქვს, ვიდრე მე და ჩემს დას. ის რევოლუციამდე განდა, ჩვენ — რევოლუციის შემდეგ. მე და შენ დაწყნარებული ქვეყნის ქვეშევრდომები ვართ, თუკი საერთოდ შეიძლება ქვეყნის დაწყნარება. მაშაჩემი ამბობს, კაცი მხოლოდ სამარეში დაწყნარდებაო. მართლაც, თუკი დაწყნარებული ქვეყნისა ვარ, რატომაა ჩემთვის ყველაფერი ასე არეული?! — მოაყოლა ფაცა-ფუციტ, სხაპასხუპით, თითქოს უჭირდა ამის თქმა, თითქოს დიდხანს იკავებდა თავს და რაკი ბოლოს მაინც გაებედა, ცდილობდა, აღარაფერი დაეტოვებინა. გულში, მეტი ეთქვა, ვიდრე იცოდა. უკეთესად — ვიდრე შეეძლო, უფრო გასაგებად — ვიდრე თავად ესმოდა. — არსებობს ქვეყნად დაგვიანება, მაგრამ ასეთი?! შენ გეუბნები, ნიკო, შეიძლება, ასეთი დაგვიანება არსებობდეს?! კი მაგრამ, რა იცოდა გალაკტიონმა, მე რომ დავიბადებოდი?! ჩვენ რომ დავიბადებოდით — დარდიანები?! მართლა იცი დარდი? ესეიგი, მართალია, რაც დედაშენმა მითხრა?! — იხახდა შეწუხებული, აღელვებული, აფორიაქებული, ხან ცნობისმოყვარეობას აყოლილი, ხან კი ექვებით გულგახლეჩილი ქალივით. ლერწმები კი შრიალებდნენ, ჩურჩულებდნენ, ფაჩუნობდნენ და, შიგადაშიგ, ჩხრიალით აწყდებოდნენ ერთმანეთს, გაცეკმებული ბავშვებივით, მთვრალეებივით, ბრმებივით. — მართალია, აბა, რაა, ამას რაღა კითხვა უნდა! — თვითონვე უპასუხა საკუთარ თავს. — მაგრამ შენ რომ მეტყვი, უფრო მართალი იქნება. — აღელდა უცებ. — მითხარი, გეხვეწები, ნუ დამიმალავ. ჩვენ ხომ ერთნი ვართ, ერთნაირები. — ჩააცივდა ნიკოს. თან სწრაფად, ფაცაფუციტ, დაუდევრად იხვევდა მაჯაზე ლერწმის ფოთოლს, თითქოს დაჭრილი იყო მაჯაში, როგორც ნიკო დაიჭრა, ცოტა ხნის მერე, იმავე წლის ზამთარში, წალდის წვეტიანი ბოლოთი. თითქოს სისხლისაგან იც-

ლობოდა და სასწრაფოდ, რამენაირად უნდა შეეჩერებინა სისხლის დენა. — ჩვენ ერთად უნდა ვიყუყუდებოდეთ — გააგრძელა შეთქმული თანამშრომელის გაიდუმალებული ხმით. — ჩვენ თუ გვეყვარება, სხვებსაც დაეარწმუნებთ, სხვებსაც გაეაჩუმებთ, თუ კიდევ გავვიბედეს და გვიოხრეს, არ არსებობს სიყვარულიო. — ახლა ცრემლიც გაერია ხმაში, საკუთარმა სიტყვებმა აუჩუყა გული. — შევიკერავ ლამაზ კაბას, სანატრელსა, ფრიალსა... — წიმიღერა ბრაზიანად, უმოტივოდ, თითქოს არ უნდოდა და ავალდებულებდნენ სიმიღერას. სინამდვილეში, მოულოდნელი ცრემლის შეკავება სცადა სიმიღერით და მაშინვე გააგრძელა — ჩვენებს რომ ჰკითხო, მე თურმე იმასაც ვერ ვარჩევ, გარეთ დღეა თუ ღამე, ზამთარი თუ ზაფხული. მარჯვენა მარცხენაში მეშლება, შავი — თეთრში. ის კი არა, უცხო კაცმა თითი რომ დამიჭნოს, მაშინვე უკან გავვიდები თურმე, უპატრონო ძაღლივით. ასეთი ვარ, ასეთები ვართ დაწყნარებული ქვეყნის შვილები“. — დაამატა ღიმილით, უკვე ჩვეულებრივი, დამშვიდებული ხმით, ვითომ, როგორ არ იცოდო, ანდა აქამდე როგორ ვერ შემატყე, სულელი რომ ვარო. „შენ ძალიან კარგი გოგო ხარ“ — თქვა უცებ ნიკომ და თვითონვე გაშრა, სრულებითაც არ აპირებდა ამის თქმას, საერთოდ, რამის თქმას, მაგრამ, ეტყობა, იმასაც გადასდებოდა დეიდის მღელვარება, დეიდის გამოუთქმელი სევდაწუხილი. ანდა, დეიდის ნალაპარაკებს საკუთარი სევდაწუხილი გაეღვიძებინა იმისთვის, საკუთარი გაეხსენებინა, თითქოს დეიდა იმის გულში იჭდა და იმის სათქმელსაც ამბობდა. ამიტომაც წამოსცდა: კარგი გოგო ხარო, მაგრამ დეიდამ მოუყრუა და, ვითომც არაფერიო, გააგრძელა: „რაც თავი მახსოვს, არაფერი არ შეიძლება ჩემთვის, ყველაფერი მეკრძალება. სულ ერთი და იგივე მესმის — შენ სულელი ხარ და ჩვენ უნდა მოგვისმინო, შენ რომ გვონია, ისე არ არისო, რაც

გინდა, არ უნდა გინდოდესო, ჩვენ უნდა მოგვისმინო, ჩვენ უნდა დაგვაცადო და ისე უნდა მოიქცე, როგორც ჩვენ გეტყვიან. მეც, რაც თავი მახსოვს, სულ იმას ვაკეთებ, რაც არ მინდა, მაგრამ იმათ მიახნიათ საჭიროდ! — ცხენივით დაჰყრა ფეხი მიწას. — რომელი სათამაშოც მომეწონა, საშენო არ არისო, რომელი წიგნიც ავიღე, ადრეაო, სადიდოაო. მე თურმე ისიც არ მცოდნია, რაზე ვოცნებობ, რა მტკივა და რა მიხარია. ფეხსადგილში რომ შემიშვან, ჯერ მარგალიტას უნდა ჰკითხოვნ, მართლა უნდა თუ იგონებსო. თუმცა, ამას არ უნდა გეუბნებოდე... — შეცბა თვითონვე. — მაგრამ მაინც ასე სჯობს. მეგობრებში არაფერი არ უნდა იყოს დაფარული. მეგობრობა მეგობრობად და, ჩემი სისხლი და ხორცი ხარ. დეიდა-დიშვილზე ახლობელი ვილა უნდა იყოს, მაგრამ ჩვენ კიდევ უფრო ახლობლებიც ვართ — სულიერი ტყულები ვართ, ერთი და იმავე დროს საშოდანა ვართ შობილნი, მე ცოტა ადრე, შენ ცოტა გვიან, მაგრამ მაინც ერთსა და იმავე დროს! თუმცა, შენ რადაც გინდა, იმად ჩამთვალე, ოლონდ, საერთოდ ჩამთვალე რამედ. — ახლა კბილით ძიძგინდა ლერწმის ფოთოლს. ფოთოლი გრძლად იხეოდა. — მაგრამ სიყვარული მაინც არსებობს! — შესძახა უცებ მგზნებარედ. — ხომ არსებობს?! — შეუღრინა ნიკოს. — შენ თვითონა ხარ ამის მავალითი. — ლამის სახეში ატაკა თითი. — ჩვენს სამსახურში ყველა ერთნაირად გაიძახის, რას მიქვიაო, რაღა დროს სიყვარულიაო, ეგ უკვე დიდი ხნის მოშორებული და დიდი ხნის დავიწყებული სენიაო, რაღა ეგ და რაღა ციებაო, თუ ჰკუთა ვაჭვს, დრო ატარე, გამოიყენე ეს ცხოვრება, სანამ შეგიძლიაო. მაგრამ როგორ უნდა ვიწამო იმათი, როცა სიყვარულს, არათუ ვგრძნობ. ვხედავ კიდევ. საკმარისია, მარტო დაერჩე, თვალი დაუხუჭო, მაშინვე დავიხახავ. ჰაერით გაბერილი ბუშტივით მოხტუნავს, მოთამაშობს კენწეროებზე. ხან ერთ ტოტს წამოე-

დება, ხან მეორეს. თითქოს აი, ახლა გასკდება და აი, ახლაო. ისევე მოხტუნობს კენწეროებზე, უშინოდ, ცრემლები, სასაცილო, მსუბუქი, თავისუფალი, თავქარიანი... მიწაზე კი ბავშვები მოსდევენ, ჩვენისთანა სულელი, ჩვენისთანა დარღიანი ბავშვები — მოსძახიან, ეპოტინებიან, მაგრამ ველარ წვდებიან. რა ბუშტის ბრალია, ბავშვებმა თუ ვერ მოუარეს?! ანდა, რა ბავშვების ბრალია, თუკი უფროსებს თავის დროზე არც გაუფრთხილებიან, შეიძლება, ასე მოხდესო?! მაგრამ, რა თქმა უნდა, ჩვენი ბრალიცაა, უკეთესად უნდა დაგვება, თოკის ერთი ბოლო გულზე უნდა მიგვენასკვა, ყელზე უნდა დაგვეხვია, უმალ უნდა დავმხრჩვალყავით, ვიდრე იმას გავუშვებდით, ვიდრე იმას დავკარგავდით. ახლა რაღა დროისია, ახლა ველარც კაუჭს გამოვლებთ, ველარც ქვით ჩამოვაგდებთ — მაშინვე გასკდება, მაშინვე ჩაიფუშება. თავისით უნდა დაბრუნდეს, როდისმე მაინც, სხვა გზა არ არსებობს. მაგრამ ვილადაც ხომ უნდა ელოდებოდეს მიწაზე, აზრი რომ ჰქონდეს დაბრუნებას?! — უცებ საკინძში ჩააფრინდა ნიკოს და ღონივრად შეაჯანჯლარა, თითქოს ნიკოს ზეზუერად დასძინებოდა და აღვიძებდა, ანდა, მთერალი იყო და აფხიზლბდა, გონზე მოჰყავდა. ნიკოს კი ისევ ელენიცა მოელანდა რატომღაც, მოწყენილი, გაცრეცილი, თითქოს სამუდამოდ ჩაქარგული მწვანედ ხავსოდებულ ეზოში, შემწვარი თევზის სუნში, ნედლი სალამურის გაუბედავ, დაქსაქსულ ხმებში. — გაიგე, რა გითხარი?! — შეჰყვირა სახეში. — ხოდა, მიდი, ჰკითხე უბედურ დედამისს, რამე ხომ არ გავიგიათ ახალი თქო“. — მერე მკერდში ხელი ჰკრა, მოიშორა და ღიმილით, უკვე მარტო თავისთვის, დაამატა: თუ უჩემოდ ველარ გასძლბს, თუ უჩემოდ თავისუფლება ტყვეობად მოეჩვენება, მაშინ მოვიდეს და წამიყვანოს, სადაც უნდაო. მაგრამ ნიკო უკვე სახლის პირქუში ლანდისკენ გარბოდა და აღარ გაუგია დეიდის ბოლო სიტყვები. ლერწმები



კი შრიალეზდენ, ჩურჩულეზდენ, ფა-  
ჩუნობდენ, ჩხრიალ-ჩხრიალით აწყდ-  
ბოდენ ერთმანეთს და მთვარის შუქ-  
ში ოქროსფრად უბზინავდათ გაფუე-  
ბული, გაფოფრილი ქოჩრები.

სახლი ახლოდანაც უკაცურსა ჰგავდა.  
ოღობდ, იძის რომელიღაც შორეულ კუხ-  
ტულში, აშკარად ცეცხლი ენთო ვიღა-  
ცას, ანდა სულაც კრაქი. და იძის  
მკრთალი, მოუსვენარი გამონაშუქი  
აივნამდეც აღწევდა. ნიკომ სუნთქვა-  
შეკრულმა გაიარა ავად აკრატუნებუ-  
ლი აივანი, სახლში შევიდა და ცოტა  
ხანს კართან შეყოვნდა, ვითომ, თვალი  
რომ შეეჩვია იქაურობისთვის, მაგრამ  
ყველა ოთახში (ნიკოს ეგონა, ლაბი-  
რინთში მოეხედით — ოთახს ოთახი  
ენაცვლებოდა, განუწყვეტლივ, ანდა,  
ისე იყო დაბნეული თავად ნიკო, ში-  
შისაგან ისე ჰქონდა თავგზა აბნეული,  
ერთსა და იმავე კარში გადი-გამოდი-  
ოდა სულ) ერთნაირად ჩახუთული  
სიცარიელე ხედებოდა, ანუ, ყველა  
ოთახი ერთნაირად იყო სავესე გულ-  
გრილი, უშფოთველი სიბნელითა და  
დაოკებული, დაუძლურებული სინათ-  
ლის უფერული, ძლივსლა მფეთქავი  
ნაფლეთებით.

გონს რომ მოეგო, ახლა უკვე აშკა-  
რად სხვა ოთახის ზღურბლზე იდგა და  
გაოცებისაგან პირდაღებული (არ სჯე-  
როდა, როდისმე თუ მიაგნებდა) შესც-  
ქეროდა მაგიდაზე აპარპარებულ, შა-  
ვად ახრჩოლებულ კრაქს. მაგიდასთან  
შაოსანი ქალი იჯდა, ცალი ხელი კალ-  
თაში ჩაედო, მეორე მაგიდაზე ჩამო-  
ესვენებინა და არანაყლებ გაოცებული  
ათვალეიერებდა მოულოდნელ სტუმარს  
სიმარტოვისგან, სიბნელისგან, სევდი-  
საგან გადიდებული თვლებით. ალბათ  
მოუთმენლად ელოდებოდა, როდის  
მეტყვის მოსვლის მიზეზსა და ვინაო-  
ბასო. მაგრამ ნიკოს ისეთი გრძნობა  
ჰქონდა, თითქოს უკვე ეთქვა თავისი  
მოულოდნელი სტუმრობის მიზეზი და  
ახლა თავად ელოდებოდა პასუხს დამზ-  
ღურისაგან. ასე დაბნეულები, დამფ-  
რთხლები შესცქეროდნენ ერთმანეთს.  
ოთახში, მთელ სივრცეზე, კედლიდან

კედლამდე, თოკი იყო გაბმული. ოო-  
კზე ახალი დაბანილი ყუყუყუე აქვდა  
თმით და ნელა ტრიატებდა. იქნებ, მ-  
ხან იქით. თოჯინის ქვეშ, იატაკზე, შა-  
ვად მბზინავი გუბე დამდგარიყო და  
ნიკომ, უნებურად, ტაშტს დაუწყო ძე-  
ბნა, რომელშიც თოჯინა გაებანათ. მა-  
გრამ ოთახში საერთოდ არაფერი იდ-  
გა, მაგიდისა და იმ ერთადერთი სკა-  
მის გარდა, რომელზედაც თავად მას-  
პინძელი იჯდა და უკვე კუშტად იყუ-  
რებოდა, უკვე ეპვი და უნდობლობა  
ჩასახლებოდა თვალეზში. ნიკოს ერთი  
სული ჰქონდა, როდის გააღწევდა აქე-  
დან, მაგრამ იძის დარდიც კლავდა, ასე  
უარაფროდ როგორ დავბრუნდე დეი-  
დასთანო. ქალი კი დუმდა. ჭიუტად,  
მყარად, ძველი ციხისა თუ ეკლესიის  
ნანგრევივით. მერე მაგიდას ხელით  
დაეჭინა და ნელნელა წამოდგა სკა-  
მიდან. ისე დიდხანს დგებოდა, ნიკომ  
გაიფიქრა, მთლიანად რომ გაიშართე-  
ბა, ალბათ ჰერს აარტყამს თავსო. მა-  
რთლაც მაღალი ქალი იყო, თუმცა,  
შავი, გამოხუნებული კაბა ცარიელი-  
ვით დასთრევდა, თითქოს არცა ჰქონ-  
და სხეული, თითქოს მარტო თავი და  
ხელები დარჩენილიყო იძისგან, მხო-  
ლოდ ის, რაც შვილის სურათის მისა-  
გნებლად და გასაწმენდად ჰორდებოდა  
— თავი და ხელები. რომელიღაც ზღა-  
პრულ არსებას გავდა, არც ბოროტს,  
არც კეთილს, მაგრამ ბოროტსაც და  
კეთილსაც ერთდროულად. მაგიდაზე  
დაგდებული კაბისავე ფერის ჩვარი  
თან წაიყოლა და კედლისკენ წაფარ-  
ფატდა, ჰაერის დინებამ წაიღო თით-  
ქოს. ნიკომაც პირველად მაშინ შეამ-  
ჩნია კედელზე დაკიდებული სურათი  
და, ცოტა არ იყოს, შეეცა — თითქოს  
ვილაც თავშიშველმა, საყულო გაღეღი-  
ლმა და სევდიანად მომღიმარმა ბიჭმა  
სწორედ იმ წუთას გამოიხედა საიჭი-  
ოს შავჩარჩოიან სარკმელში. უსხეუ-  
ლო ქალი კი დიდხანს შესცქეროდა  
სურათს, ხან მარჯვნივ გადახრიდა  
თავს, ხან მარცხნივ, თითქოს ვერ გა-  
ერკვია, საიდან უკეთესად გამოიყუ-  
რებოდა მისი შვილი. მერე რამდენჯე-

რმე შეგორთქლა სურათის მინას, რომელზედაც კრაქის მკრთალი ანარეკლი წითლად ლიცილიცებდა, და ნელა, აუჩქარებლად, მონდომებით დაუწყო წმენდა მტკში მოკმუტუნული ჩვრით. სრულებითაც არ აღარდებდა, ანდა აღარც ახსოვდა, ვინმე თუ იღვა იმის ზურგს უკან.

რა გასაკვირია, ამის მერე მართლა არ უნდოდეს დეიდას გათხოვება? ამიტომაცაა, ცეცხლი რომ წაეკიდება ხოლმე, როცა მის გულში ჩაუხედავად, თუნდაც იგივე მშობელი, ქალის გზასა და მოვალეობას შეახსენებს — ცოლობას, დედობას, დიასახლისობას... ეს ხომ ყველასათვის ისედაც ცნობილია. თუ ასეთი კეთილები და ყოვლისმყოფლები არიან, ის ასწავლონ, როგორ გააგებინოს მკვდას, რისი გავებაც ვერ მოასწრო სიცოცხლეში; როგორ გაუთნლოს სატანჯველი შვილმკვდას დედას; როგორ შეინარჩუნოს სითბო კარ-ფანჯრებჩამოხსნილ სახლში. თუმცა, ვიცა რომ თქვას, თავის მხრივ პაპაც მართალია. დრო კი იცვლება, მაგრამ ადამიანი მაინც ადამიანად რჩება და ძნელი გასაგებია, რატომ უნდა იყოს ცუდი დღეს და ხვალ, რაც გუშინ და გუშინწინ კარგად ითვლებოდა. ქალი უნდა გათხოვდეს, ქალმა შვილი უნდა გააჩინოს — რად უნდა ამას ჩხუბი და კამათი? მაგრამ პირდაპირ, „ადამიანურად“, არცერთი არ ამბობს თავის სათქმელს, არც მამა და არც შვილი, თუ იტყვიან. მხოლოდ ქარაგმულად და, თქვენ წარმოიდგინეთ, ასე უკეთესად აგებიანებენ ერთმანეთს. პაპას დამთავრებულად არა აქვს წესიერად საიტყვა, დეიდა რომ უკვე პირში ეცემა — არა ხარ მართალიო. სამაგიეროდ, ქალიშვილისგან განსხვავებით, ბებია მეტი გულისხმიერებითა და მეტი პატივისცემით ეკიდება პაპის ანდაზებს, თუნდაც მხოლოდ იმიტომ, ოჯახის უფროსის აზრი და შეხედულება რომ არის ჩადებული იმ ანდაზებში, ერთნაირად საინტერესოცა და სავალდებულოც ოჯახის ყველა დანარჩენი წევრისთვის.

ვის, რამდენადაც, რაც არ უნდა მოხდეს, რაც არ უნდა მოხდეს, არავინ არ უნდა ხელყოს ოჯახის უფროსის აზრი და შეხედულება, თუკი უნდათ, ოჯახი ერქვათ და არა თავკერძა, თავქეიფა, მარტო საკუთარ გულსა და მუცელს აყოლილი ხალხის თავშესაყარი ადგილი. ამიტომაც დაუყვირებს ხოლმე დეიდას, ქალიშვილს, — დააცადე, თქვასო. პაპაც ამბობს, რადგან ართქმას ოჯახის ღალატად თვლის, ოჯახის ღალატი კი, კიდევ უფრო დიდო, კიდევ უფრო მიუტყევებელი დანაშაულია მისთვის, ვიდრე... ვიდრე, ვთქვათ, სანგრის მიტოვება. ოღონდ, თავისი არაადამიანური გულკეთილობისა თუ უაღრესად ადამიანური შშიშრობის გამო, თამამად და შეუნიღბავად, საკუთარ ჰერქვეშაე ვერ გამოუთქვამს საკუთარი მოსაზრება ამა თუ იმ, მათი და მხოლოდ მათი ოჯახისთვის საჭირობორტო საკითხთან დაკავშირებით — ანდაზას უნდა ამოაფაროს, იგავსა თუ არაკს, ანდა სულაც, სახელდახლოდ, განსაკუთრებულად ამ შემთხვევისთვის გამოგონილ ზღაპრს — მაგრამ ვიდრე იტყოდეს, ვიდრე თქმას გაბედავდეს, ასჯერ უნდა მოკვდეს და გაცოცხლდეს თვითონ, სათითაოდ უნდა აწონოს ყოველი სიტყვა გუნებაში, შეარჩიოს, შეარბილოს, შეალამაზოს, მისი ზღაპრის მომავალი მსმენელისთვის ნაკლებად საწყენი, ნაკლებად მტკივნეული რომ გახადოს ჯერ კიდევ თქმამდე. თან, დატყვევებული ნადირივით წრიალებს ოთახში, წუხს, შფოთავს, განიცდის — ხან სკამს გასწევს გვერდზე, ვითომ, ფეხებში გებლანდებთო; ხან ლამპას ჩააჩოჩებს მაგიდის გულისკენ, ვითომ, წიკაზე დგას და, შეიძლება, გადმოვარდესო; ხან, ლუმელთან ჩაჩოჩილი, ცეცხლს „აღვივებს“, ებრძვის, ეჩხირკედელავება, ვიდრე თითს არ დაიწვავს და თითის ლოკვით არ წამოდგება ფეხზე. მოკლედ, იმდენს იზამს, მაინც გამოიყვანს ხოლმე მსმენელს მოთმინებიდან, მაინც იმას ათქმევინებს, დააყენე საშველი, მოყვე, თუ ყვებიო. მა-

გრამ საბოლოოდ აწონილსა და საიმედოდ შენიღბულ სათქმელსაც თავისებურად უნდა თქმა — თქმასაც დიდი ცოდნა უნდა, უარესად რომ არ გააფუჭო საქმე. შეიძლება, კიდევ უფრო მეტად გააღიზიანო და გადაიკიდო მსმენელი. ამიტომ, საქიროების შემთხვევაში, დროულად უნდა გადაისროლო ის საერთოდ არარსებულ ქვეყანაში, არარსებულ დროში უნდა გადაიტანო შენი ზღაპარი და ნებისმიერ ბრალდებისგან თავიდანვე დაიზღვიო თავი. ოღონდ, ზღაპრის მოყოლას კიდევ სხვა, დამატებითი, განსაკუთრებული ნიჭი და მომზადება სჭირდება, იმასაც კი მნიშვნელობა აქვს, როგორ დაჯდები, როგორ „მოკალათდები“ სკამზე და თავიდანვე როგორ განაწყობ მსმენელს შენს მიმართ. ამიტომაცაა ალბათ დიდ დროს რომ ანდომებს პაპა სკამზე „მოკალათებას“ — თითქოს ასე უნდა გამოიზამთროსო — არც ძალიან ახლოს დუმელთან, არც ძალიან შორს დუმელიდან, ოთახის ყველაზე ზომიერ სარტყელში „ბინადგება“ თავიდანვე, სიცივისა და სიცხის მიჯნაზე, არც ერთმა რომ შეაწუხოს მოყოლისას და არც მეორემ. პაპისთვის ყველაფერში ზომიერებაა მთავარი — ზომიერი სასარგებლოა, უზომო კი მავნებელი. განა ხელმოკლეა, ზომიერების გრძნობა აქვს მძაფრად განვითარებული, როგორც ბებია ამბობს ხოლმე, როცა გაბრაზებულია პაპაზე. უზომო უგემურიცააო — ამბობს პაპა და შეშის ქათქათა, ძარღვიან ნაპობს კალთაში იღებს, ლაპარაკისას ხელები დაკავებული რომ ჰქონდეს. თან შეშას ეფერება, თან ყვება: იყო და არა იყო რა, ღვთის უკეთესი რა იქნებოდა, იყო ერთი ხელმწიფე, ყავდა ერთი ქალიშვილიო. „ერთი თუ ორი?!“ — აწყვეტინებს დეიდა. „ერთი ქალიშვილი ყავდა, მზეთუნახავი. ხალხი იმის შუქზე პურსა ჰკამდაო“ — აგრძელებს პაპა, არ ეგება შვილის ანკესზე. „ისემც დაუმშვენდა ცხვირი, — იცინის დეიდა — როგორი ხელმწიფეც მამამისი იყო, თვითონაც ისე-

თივე მზეთუნახავი იქნებოდაო“. „დააცადე, გოგო, რატომ გისწრებს სულს“ — ლელავს ბებია, პაპის ზღაპარი, რასაკვირველია, შენიღბულად, მისთვისაც რაღაცის დავალებაა, რაღაცის მითითებაა. ამიტომ, არაფერი არ უნდა გამოჩინოს. პაპა კი ყვება, მშვიდად, აუღელვებლად — თუ აღელდა და აპყვა ქალიშვილს, ეს ბავშვივით გულუბრყვილო და ტიტანივით მომთმენი კაცი, იმავე წამს, ჩვეულებრივ, ქარაფშუტა, უსაქმურ და ბედოვლათ მეზღაპრედ გადაიქცევა. თან ზღაპარს ყვება, თან მუხლებზე დადებულ შეშის ნაჭერს ეფერება. იმ მზეთუნახავ გოგოს ერთი უცნაური სენი ჰქონდა თურმე: დღე ისე გავიდოდა, ორ სიტყვას არ იტყოდა გადაბმულად. თუ ძალით არ გამოგლეჯდნენ ხელიდან, იჭდა და წიგნს კითხულობდა. როგორც არ უნდა ეთვალთმაქცათ გაიძევა გაღივებს, წამლად ვერ წამოაცდევინებდნენ რამეს. მამასაც არ უმხელდა, რას ფიქრობდა, რა აწუხებდა, რა უნდოდა. „რადიო ხომ არა ვარ, გაუჩერებლად ვილაპარაკო დილიდან საღამომდეო“ — მხრებს იჩეჩავს დეიდა, დამცინავად წარბებაჭიმული, ღმილშეკვეთული, ვითომ, დიახაც რომ მიკვირს თქვენი ასეთი უსამართლო საყვედურიო. „ბალიშის ქვეშ წიგნი ედო სულ, წიგნით ათენ-ალამებდა“ — ყვება პაპა. დეიდა კი, კიდევ უარესად ჰიმავეს წარბებს: რა ვქნა, მომკალით და ვერ გავიგე, წიგნმა რაღა დაგიშავათო. „შენს თავზე რატომ იღებ ყველაფერს, შენ ხომ მსახურობ კიდევ“ — ამშვიდებს ბებია. პაპა კი ხელმწიფის ქალიშვილის მისამართით ამბობს: წიგნს იმიტომ კითხულობდა სულ, საქმე რომ არ გაეკეთებინაო. მაგრამ საქმეს ვინ გააკეთებინებდა ხელმწიფის ქალიშვილს?! პირიქით, ძიძა-გადეები სულ იმას ეხვეწებოდნენ ალბათ, იმდერე და იცეკვეო, თუ გინდა ყირაზე დადექი, ოღონდ ასე უბრად ნუ ზიხარო, სანამ დრო გაქვს, გამოიყენე ცხოვრებაო, დარდს ნუ მოეკვლევივინებო, სადარდელი უნდა თქვა, თუ გინდა რომ

ყოტა მოგეშვას გულიდანო. „მაგრამ, საქმეში ხართი — ყველა პაპა — კიდევ უფრო მეტად მუნჯდებოდა დღითიდღე. მთელ სასახლეს უფრთხობდა ძილს იმისი დუმილი. საგონებელში ჩავარდნილი ხელმწიფე ხან ერთ გვერდზე დაწებოდა, ხან მეორეზე. აღარ იყოდა, რა ელონა, როგორ ეშველა შვილისთვის, რა წყალში ჩავარდნილიყო. აღარც მეფობა უნდოდა, აღარც სიცოცხლე. დავიკრეფ გულზელს და ვიწვები ასე, ვიდრე მოვკვდებო — იმეორებდა გულში. მისი ქალიშვილი კი დუმდა. მთელ სასახლეს, მთელ სახელმწიფოს ძვალ-რბილში უვლიდა, აფორიაქებდა, თავზარს სცემდა იმის დუმილი. აგერ ნახავთ, რამე კიდევ უფრო დიდი უბედურება თუ არ დაგვატყდება თავზეო — ასე ლაპარაკობდა თურმე ხალხი იმ სახელმწიფოში. „ხა, ხა, — ნერვიულად იცინის დეიდა — თქვენ რისი გეშინიათ? პირველები თქვენ გაიქცევით. თუმცა, არა, თქვენ რატომ უნდა გაიქცეთ, თქვენ რა გპირთ გასაქცევი, მე წავალ, მე გადავიკარგები აქედან, თუკი ასე გაღიზიანებთ და გაუბედურებთ“. — იცინის, უკვე სიბრაზეშეპარული, მაგრამ ჭერ კიდევ უსმენს ზღაპარს, ჭერ კიდევ აინტერესებს, როგორ დამთავრდება მდუმარე გოგოს ზღაპარი. „ხელმწიფეს, რა თქმა უნდა, არ უნდოდა სასახლის ამბების გარეთ გატანა, მაგრამ უკვე დამალვასაც აღარ ჰქონდა აზრი, მთელმა სიღნაღმა... ჰმ, ჰმ... მთელმა სახელმწიფომ იყოდა ეს ამბავი — აგრძელებს პაპა — ხელმწიფეც ადგა და გამოაცხადა, ასე და ასეა ჩემი საქმე და ვისაც როგორ შეგიძლიათ, მომხმარებთო. რაც სახელმწიფოში ჯარა ექიმი, მაჯისშემტყობი, მკითხავი თუ მჩხიბავი იყო, სასახლეში მოუყარეს თავი“. „უიჲ, ექიმთან ხომ არ მიპირებთ წაყვანას?! — ისევ ვერ ითმენს დეიდა. — ან იქნებ, უკვე, უექიმოდ დამისვით დიაგნოზი?! — იღიმება ორჭოფულად — ვინ იცის, გიყი გგონივართ! — ხმას უწევს უნებურად, რადგან, მოულოდნელად, თვითონაც

რომ არ იცის, რატომ, გულისამაჩუფებელი თანაგრძნობა ეუფლებოდა საკუთლორი თავის მიმართ — არ უნდას რატომ გიყი იყოს, ეშინია გიჲობისა, გიყები-საც. გიყკოლა რომ ესტუმრებათ ხოლმე, შინიდან მიდის, ვერ უყურებს, არ შეუძლია, თუმცა, ის უბედური, სხვაზე მეტს არაფერს აშაგებს. ღმერთმა დაიფაროს. ღმერთმა ნუ ქნას. მაგრამ თვითონევე ყველაფერში დამნაშავე, თვითონ აზვიადებს ყველაფერს, ბუზს აქლემად ხდის და უარესად იღიზიანებს თავს, როცა სხვა, იმის ადგილას, საერთოდ არ მოიქცევა ყურადღებას არც ბუზსა და არც აქლემს. ძველს ახლის შიშით ითვალწუნებს, ახალს ძველის ჯიბრით ეკურკურება, სინამდვილეში კი არც ერთისა გაეგება რამე, არც მეორისა. თანაც, რაკი ასე ამბობს, ასედაც ფიქრობს ალბათ მალულად, გულის სიღრმეში. ასე რომ, მთლად უსაფუძვლოდ არ ამბობს, რასაც ამბობს. — გიყიც ვარ და გიყზე უარესიც. — აგრძელებს შემცბარი, შეწუხებული და კიდევ უფრო გაბრაზებული, ამჯერად, არა მარტო უფროსებზე, არამედ საკუთარ თავზეც. — თქვენს ჰქუაზე რომ დავდივარ აქამდე, თქვენ რომ გიფრთხილდებით... გაახილეთ თვალა, რა ხდება ჰქეყანაზე. ჩემი ტოლი გოგოები მაღალ ქუსლებზეც დგანან, ცეკვებზეც დადიან და ღამეებსაც ათენებენ სუფრაზე. ჩემთვის არ შეიძლება მხოლოდ. ჩემთვის არაფერი არ შეიძლება. მარტო საანგარიშოს ჩხაკუნია. იმიტომ რომ გიყი ვარ, გიყკოლას ამხანაგი. დედას არ ეწყინოს, მამას არ შეეშინდეს. გიყის მეტი ვილა ფიქრობს ასე! ჰუქულაშვილმა უშანგიმ არ გაიგოს, ცალტვინიანთ სერგომ არ დაინახოს, ევგენია დუგლაქიმ არ თქვას... ბარემ რაღა! ბარემ რაღა! კი მაგრამ, ვინ რა უნდა თქვას?! ვის მოუბრუნდება ენა სხვის გასამტყუნებლად, ერთმანეთზე უარესები არიან ყველანი. თქვენლა დარჩით ასეთი უ-უ-უ-უ — ვერ პოულობს უცებ საჭირო სიტყვას. — უ-უ-უნდილები. დი-ახ, სწორედაც რომ უნდილები თო-

რემ აქამდე თქვენც იმათნაირები ვახდებოდით. რაო, რა ვითხრათ თქვენმა მეგობარმა ექიმმა?! გიყიო?! სულით ავადმყოფიო?! თბილისში, კამოს ქუჩაზე თუ კიდევ უფრო შორს, სურამშიო?!" "ნინო, ნინო" — უყვირის, აფრთხილებს, აფხიზლებს ბებია. პაპა კი ისევ ზღაპარს ყვება, დაბნეულობისგან, ველარ მოუბამს თავი, ვერაფრით ვერ უთქვამს, რის გამოც დაიწყო საერთოდ ამ წყეული ზღაპრის მოყოლა. ქალიშვილის დასამშვიდებლად, ქალიშვილის გულის მოსაგებად, რაც შეუძლია „არბილებს“, „აშალაშინებს“ ზღაპარს — არაფერი სჭირდა საექიმო იმ გოგოსო — ამიტებს სასწრაფოდ — არც თვალი აკლდა, არც ტანი, ეგ იყო რომ, ღუმდა, გულს არ უხსნიდა არავისო. „ისე, შენზე ვერ იტყვის კაცი, უთქმელიაო, ლაპარაკს არ აცლი უფროსს“ — მაინც ბრაზდება უცებ, მაგრამ თვითონვე არაფრად აგდებს საკუთარ სიბრაზეს და აგრძელებს მოყოლას: შუალამისას საწოლში წამოგდებოდა თურმე და იჯდა ასე, გარინდებულ-გაოგნებულო. „მითვალთვალებთ?! ღამითაც მითვალთვალდებთ?!“ — გულს ასკდება დეიდა. მაგრამ აღარც პაპა უთმობს, არ ცალია იმისთვის, როგორმე უნდა მოამთავროს უკვე ყველასთვის უინტერესო ზღაპარი. „მაგრამ, სადაც ექიმი უძღურია, იქ მარჩიელია ძლიერი — ყვება ფაცაფუციო. — ერთი კი შეუხედავს მარჩიელს გოგოსთვის და უთქვამს...“ „აი, თურმე რა ყოფილა! ვაი, სირცხვილო! მარგალიტას უმკითხავია. უკეთესი ვერავინ ნახეთ?! გზა ამომივიდა თუ სიკვდილი?! — იციანის სიბრაზისგან ტუნებგადათურებულო. — აღარ მინდა, მადლობელი ვარ, ყელამდე ვარ თქვენი ზღაპრებით. — ყვირის უცებ. ბრაზიანი, დაუნდობელი წკიპურტით იშორებს შუბლზე ჩამოვარდნილ თმას, თითქოს თმას ეტყინება და ერთხელ და სამუდამოდ მოიშლის ამ უმსგავსო ჩვეულებას. — თვითონვე შოვეული ჩემს თავს, როგორმე — ამბობს უკვე ფეხზე წამომდგარი, თავის ოთახისკენ

დადრული, ორივე ხელით გულზე მიხუტებულ „შვილიკოსთან“ ერთად. მაგრამ პაპა რომ დაადგენუნებს სწრაფი ტერესებს მაინც, რა თქვა მარჩიელმაო, წამით შეყოვნდება გამოღებულ კარში, სანახევროდ უკვე თავის ოთახში შესული, მხარსზემოდან გამოშრიალი პაპისკენ, ხარბი, დაუოკებელი ცნობისმოყვარეობით თვალბანთებულო, მაგრამ წინასწარ უარმყოფელი, წინასწარ გამაყამტვრებელი მარჩიელის ნებისმიერი პასუხისა, და პაპა რომ მოაყოლებს, სულმოუთქმელად — მარჩიელმა თქვა, თქვენს ქალიშვილს გათხოვების დრო მოსვლიაო — გაცოფებული, გააფთრებული, გაცეცხლებული, ისეთი ძალით შეიჯახუნებს კარს, ღუმელზე შემოდგმულ ჩაიდანს ხუფი მოსძვრება და უღრიალ-უღრიალით დაბზრიალდება იატაკზე. ნიკოც მაშინვე დააწყეტს თვალს.

— რა იყო, ბიჭო, ძილად ხომ არ უნდა იქცე?! — უღიმიის დეიდა.

წიგნი ისევ ისე, ორივე ხელით მიხუტებია გულზე, ოღონდ, ახლა სხვა კაბა აცვია, სხვანაირად აცვია, რადგან მაშინ, როცა პაპა ამ ზღაპარს უყვებოდა, ზამთარი იწყებოდა მხოლოდ. ახლა კი იწურება, ზამთრის ბოლო თვეა, კაპარჩხინა თებერვალი. ნიკო, რა თქმა უნდა, სცნობს დეიდას, მაგრამ ძილს ვერ მორავნია, თვითონაც ვერ გაურკვევია, როდის ღვიძავს და როდის არა. უკულმართია და იმიტომ, იმისთვის ყველაფერი შებრუნებულადა, როცა სხვეებს ძინავთ, ის ფხიზლობს, უპატრონო ძაღლივით, ხოლო, როცა სხვეებს ღვიძავთ, თავისთავად ცხადია, ის ძილადა მივარდნილი.

— გაიღვიძე, გაიღვიძე. — დაჰყვირის დეიდა.

— გამანებე თავი, ხომ ხედავ, მღვიძავს... გავიღვიძე. — ლულულუმებს თვალზე ლიბრგადაკრული ნიკო. ძლივს ატრიალებს ენას, მთვრალივით.

— გაანებე, გოგო, თავი. ნუ დააფეთებ. — ექომავება ბებია ნიკოს.

— შენ არ მითხარი, გააღვიძეო?! თქვენ არ ბრძანეთ, ექიმი უნდა მოვი-

დესო! — უყვირის დეიდა ბებიას. წიგნი ახლა წინ გაწვდილი უქირავს, ორივე ხელით, ხატივით.


ღიახაც რომ ხატია. ერთ დღესაც ვერ გაძლებს უიმწიგნოდ. მარგალიტა მოგონილია. მარგალიტას დასცინის, მაგრამ თვითონ უარესი მარჩიელია — წიგნით მარჩიელობს — სულს ამოხდის ხოლმე ნიკოსაც, ბებიასაც და, თუ შინაა, რა თქმა უნდა პაპასაც, ვიდრე არ უმკითხავენს. თანაც, მარგალიტასგან განსხვავებით, ერთხელ კი არა, უთვალავჯერ, ვიდრე სტრიქონ-სტრიქონ არ ამოკენკავს მთელ წიგნს, ბოლომდე, ფსკერამდე. ამ წიგნში ყველა ჩვენგანის ბედი სწერილია — ამბობს მღელვარედ, რწმენით, ვიდრე თქვენგან დასახელებულ გვერდსა და სტრიქონს მონახავდეს. რაც მთავარია, თან თავაზიანად მიმართავს ყველას — დედასაც, მამასაც, ნიკოსაც — ზრდილობის განსახიერებაა პირდაპირ, ყურადღებიანი, მომთმენი, დამთბობი, და ვერ გაიგებთ, მართლა სერიოზულად ეკიდება ამ საქმეს, თუ სერიოზულად ხუმრობს. „ორასთექვსმეტი გვერდი ბრძანეთ, არა?! ზემოდან მეშვიდე სტრიქონი, არა?! ახლავე, ახლავე, ჩემო ბატონო. აი, ისიც! იქ ვილაც კენესის დიდი ხანია... ოჰო!“ „იქ ვილაც კენესის დიდი ხანია“ — ნიკოც იმეორებს თავისთვის და კედლისკენ გადაბრუნებული, თავზე საბანწაფარებული ავადმყოფის უსიამოდ გამოყვითლებული ფეხისგულეები ახსენდება რატომღაც — ჩაჩაჩული საცვალი, გაოფლილი დუნდულები...

— სიმარ-სირთლა-სინა-სიხე-სიის-სიკა-სიცი? — ეკითხება დეიდა.

— ვინ კაცი?! — უყვირს ნიკოს.

— სიმეტ-სივნა-სიხე-ხიმა-სიტრამ-სისა-სიხე-სიარ-სიუჩ-სიან-სიდა-სიცხე-სინზე-სიიყ-სიო-სიპირ-სირქვე-სიგა-სიდა-სიკი-სილუ-სილი — გამალებული ეჩურჩულება დეიდა, ალბათ ბებიაშ რომ არ გაიგოს.

— სად ნახე, როდის?! — უარესად უყვირს ნიკოს. გაოცებისგან ლოგინში წამომჯდარა.

— დაწეკი, დაწეკი, ახლავე! — უყვირის დეიდა და ცალი ხელოვნ. (მეორეთი წიგნი მიუხუტებთ: მამლუხე) ძლივს აწვენს უკანვე. — რამ გადაგარია?! როგორ იქცევი?! ხომ არ გგონია, ვინმე ვიშველის?!  


— აბა, რატომ გამაღვიძეთ?! — ბრახდება ნიკო.

— მთელი კვირაა გავღვიძებთ, ძილის გუდავ, გონში ვერ ჩაგვიგდინხარ. — იცინის დეიდა.

— ბებო, ბებო. — ეძახის ნიკო ბებიას. — უთხარი რა, თავი გამანებოს.

— გაიღვიძე, გენაცვალე, ექიმი უნდა მოვიდეს. — პასუხობს ბებია.

— ეგ ხომ ვიცი. ეგ ხომ უკვე ვთქვით. ეგ ხომ ყველასთვის ცნობილია. — ბუზღუნებს, ბურღღუნებს პირზე საბანწაფარებული ნიკო.

დეიდა იცინის, მაგრამ ყალბად, მხოლოდ ხმით, სახე დაძაბული აქვს, მოუთმენელი მოლოდინი აღბეჭდვია სახეზე. თვალსაც არ ახამხამებს, თვალგაშეშებული დასჩერებია ნიკოს და ნიკოში უკვე იცის, უფრო სწორედ, ზედება, გრძნობს, რას კითხავს, რისი გავება აინტერესებს დეიდამისს.

— მამაჩემს გავდა. მამა მეგონა უცებ. — ამბობს იქამდე, ვიდრე დეიდა კითხავდეს რამეს.

მაგრამ დეიდას აშკარად არ აქმაყოფილებს ნიკოს თითქოს ამომწურავი პასუხი, თითქოს უფრო მეტს მოელის ნიკოსაგან, თითქოს ნიკო უკეთესად თუ გაიხსენებს, თავს თუ ძალას დაატანს, უფრო თუ მოინდომებს, სწორედ იმას იტყვის, რის გაგონებასაც თავად ელოდება. გულზე წიგნმიხუტებული უჩოქებს საწოლთან და, რაკი მათი თავები უკვე ერთ სიბრტყეზე არიან, ლამის სახესთან მიუტანოს თავისი დაძაბული, რაღაცის მომლოდინე, რაღაცის მოიმედე სახე, თითქოს უნდა ემთხვეოსო, როგორც მორწმუნე — მისი რწმენის განსახიერებას, და იმდენად ძლიერია მორწმუნის მისწრაფება, მორწმუნის სურვილი, ნიკოც მთელი არსებითა გრძნობს ამ მისწრაფებასა და სურვილს. გრძნობს, ხედავს, ეს-

მის, როგორ მიიწვევენ მისკენ დედის გათოშლილი, გაშეშებული ტუჩები და უნებურად იძაბება, იბურძვინება, ეკალი აყრის ტანზე, თითქოს დიდი დანაშაული, ჯოჯობეთური ცოდვა იყოს დედის კოცნა, მაგრამ ეს ჩვეულებრივი ნათესაური კოცნა კი არ არის — ამას დიდი მიხვედრა არ უნდა — არამედ შორწმუნის ძღვენიცაა, მონის ხარკიცა და მლიქვნელის ქრთამიც, ერთდროულად. ნიკოს კი არცერთი მათგანი არ ეკუთვნის რადგან არც დაუმსახურებია, უფრო ზუსტად, ამჯერადაც უმწეოა, ამჯერადაც ვერაფერში გამოადგება დეიდას, ვერ გაუმართლებს იმედს, ვერ უშველის თავის ასმათს, რომელმაც თავიდანვე ალბათ სულაც ამ განზრახვით ჩამოიყვანა ბათუმიდან, რადგან ტანმა უგრძნო, ქალური ჭკუით განსჭვრიტა, სანთლითაც რომ ვერ იპოვიდა სხვაგან ნიკოსავით ერთგულ ადამიანს. ხოლო, იმდენად სჭირდებოდა სწორედ ასეთი ადამიანი, არც ომს მოერიდა, არც გზას, არც არაფერს... და როგორც კი მარტო დარჩნენ მატარებელში, ანუ, როგორც კი უცხო ხალხში აღმოჩნდნენ ერთმანეთის ამბრა, მაშინვე შველა თხოვა, მაგრამ ისე წყურთოდა გადარჩენა, ერთი წამითაც არ დაფიქრებულა, შეეძლო თუ არა ნიკოს საერთოდ ვინმეს შველა. მართალია, ისიც დიდობდა (სხვა რა გზა ჰქონდა?!), გაუქრობლად ჭაჩავდა პაპროსს, მაგრამ წესიერად ისიც ვერ გაიგო, რას თხოვდნენ, რას ავალუბდა დეიდა, რატომ უნდა ეკითხა ვიღაც შეილმეკედარი ქალისთვის — მკვდარი რომ გვეგონათ, შემთხვევით, ცოცხალი ხომ არ აღმოჩნდა თქვენი შვილიო. მაგრამ იმდენს მაინც ხედებოდა, თუ რა შემზარავად დიდი მნიშვნელობა ჰქონდა ამ აბდაუბდის გარკვევას დეიდა-მისისთვის. პირველად რომ გაიგო ვილაციგან, ომში ისევე სწრაფად იზრდებოდა ბავშვები, როგორც ზღაპარშიო, სიხარულისგან, მგონი, მართლა აიყარა ტანი, რადგან ბავშვობა (გამითურებელი ბავშვობა) უკვე ყელში ჰქონდა ამოსული, ტკბილივით მოყი-

რკბული კი არა, ამკავებული საქმელივით შეზიზღებული (და მთელს) არსებით, მთელი შეგნებობით მამისწრაფოდა დიდობისკენ, როგორც ქანცაწყვეტილი ცხენი — თავლისკენ. განსაკუთრებით კი იმ დღის მერე, პურის მალაზიის წინ, სიცივისგან გათოშლილი, ლამის გონდაკარგული, დეიდა რომ მოასულიერა, უფრო სწორედ, ხელმეორედ რომ გააჩინა ქუჩაში, ბათუმურ თოვლ-ჭყაპში, დაკეტილი მალაზიის კედელთან, უკვე სხვანაირი, გაუმჯობესებული, უფრო გამძლე და ამტანი ყველაფრისა, მაგრამ მაშინ, წნორში, შემაშფოთებლად აჩურჩულებულ ლერწმებში, მართლაც რომ სადიდო, მისი ძალღონის, მისი შესაძლებლობებისა და მისი გონებისთვის ყოვლად შეუფერებელ საქმეში ჩათრეულს, სრულებითაც აღარ უნდოდა, დიდი ყოფილიყო, იმის იმედით, ანდა, კიდევ უარესი, იმის მეშვეობით გაერკვია ვინმეს, თუნდაც დეიდას, თავისი ყოფნა-ყოფნის საკითხი. არადა, სწორედ იქ, ცუდად, უსიამოდ აჩურჩულებულ ლერწმებში იგრძნო, ერთბაშად შეიგნო როგორღაც, ამიტომ რომ იყო საგანგებოდ ჩამოყვანილი ბათუმიდან, იქამდე რომ დაევალებინა მისთვის დეიდას ამ საქმის აღსრულება, ვიდრე თავად ჩაქდებოდა მატარებელში, ორ მატარებელს გამოიკვლიდა და, ბათუმში ჩასული, მაშინვე უკან გამობრუნდებოდა, უკვე ნიკოსთან ერთად, რადგან სხვა, უკეთესი, უფრო სანდო, არავინ ეგულებოდა, თავისი გიჟური განზრახვა, თუნდაც უინი, აჩემება გაენდო და არა მარტო გაენდო, აღსრულებაც იმისთვის დაევალებინა. თან ისე ჩქარობდა, ისე ლელავდა და განიცდიდა, თითქოს ერთი დღით რომ შეყოვნებულიყვნენ სადმე, აღარც ის ავად ასისინებული ლერწმები დახვდებოდათ ძველ ადგილას, აღარც მალუთის გუბებები, აღარც მალუთის გუბებებში აყიყინებული ბაყაყები და, რაც მთავარია, აღარც ის პირქუში, გულმუცელ გამოცლილი სახლი. მაგრამ მაშინ ნიკომ თავი შეიერცხინა,

ვერ გაუმართლა დეიდას, თუმცა, კაცმა რომ თქვას, არც დეიდის ჩანაფიქრი იმსახურებდა უკეთეს დასასრულს და, ბოლოს და ბოლოს, გინდაც გაებედა ნიკოს შვილმკვდარ დედასთან გამოლაპარაკება, ბევრი არაფერი შეიკვლებოდა ამით — ის, შვილზე უფრო მკვდარი, სიტყვით იმდენს ვერც იტყოდა ალბათ, რაც უსიტყვოდ თქვა — ასე რომ, ლერწმებში მომლოდინე დეიდას ნიკო შიანც ხელცარიელი და უბრუნდებოდა და ვერაფრით განუმტკიცებდა თითიდან გამოწოვილ იმედსა და ვარაუდს.

ახლაც იგივე მეორდება, ახლაც ვერ შველის დეიდას და ახლაც იმავე მიზეზით: არ იცის და არც შეიძლება იცოდეს, რის ცოდნასაც დეიდა ავალდებულებს. მართალია, ერთი წამით, მოჰკრა იმის სურათს თვალი, მაგრამ ისეთი გაურკვეველი ბინდბუნდი იდგა ოთახში და ისე იყო გაოგნებული თავად, ერთნაირი უსინდისობა იქნება მისგან უარყოფაცა და დადასტურებაც იმისა, რაც მტკიცედ, საფუძვლიანად არ იცის. მართლაც, როგორ უთხრას დეიდას, ნასაყდრალთან მოკლული კაცი, ნამდვილად იყო ანდა ნამდვილად არ იყო შენი შეყვარებული — ომის პირველსავე წელს დაღუპული თუ უგზო-უკვლოდ დაკარგული წნორელი სოსო, იგივე ზღაპრული მზეკაბუკი, რომელიც, ერთ მშვენიერ დღეს, სიღნაღში უნდა ამოვიდეს ვითომ და, მაინცდამაინც, დეიდას ჰკითხოს: სად არის, ქალიშვილო, სასტუმრო ამ დასაქცევ ქალაქშიო.

თავისი ერთდღიანი სიყვარულის ამბავიც მატარებელშივე გაანდო დეიდამ ნიკოს, თავისი ყველაზე დიდი საიდუმლო, როგორც თვითონვე უწოდებს — „თავისი ცხოვრების აზრი“ — და, თუმცა, იმის მერე ბევრი უთანხმოება მოსვლიათ ერთმანეთში, ბევრჯერ წაჰკიდებიათ ერთმანეთს, არ ყოფილა შემთხვევა, როცა ერთს სინანულით ეკბინოს თითზე, ვის ვანდე ჩემი საიდუმლოო, მეორეს კი, „მტრის“ საიდუმლოს ცოდნა ბორო-

ტად გამოეყენებინოს იმავე „მტრის“ წინააღმდეგ. ამიტომაცაა, ეფერებოდნენ ბული, შეწუხებული, იქამდე, ვინც ბნება დეიდას — მე ზომ იმას არ ვიცნობდიო — ვიდრე დეიდა აკოცებდეს.

დეიდა მაშინვე ფეხზე დგება, კაბის კალთას იფერთხავს მუხლებთან, მერე წიგნს ისევ ორივე ხელით იხუტებს გულში და ამბობს: მე კი ღრმად ვარ დარწმუნებული, თქვენ რომ ნასაყდრალთან კაცი მოკალით, სოსო იყოო.

— კარგი, გოგო, აღარ დაიღალე?! — ეძახის ბებია.

— სოსო იყო. ჩემთან მოდიოდა. — ჭიუტად იმეორებს დეიდა.

— კარგი, — ეხვეწება ბებია. — რაღა შენი გადარევა უნდა, ისედაც შეშინებულია.

— დარწმუნებული ვარ, დარწმუნებული ვარ! — ყვირის დეიდა, როგორც მაშინ ყვიროდა, წნორში, ლეკვმებში, მაგრამ მაშინ, ცოცხალიაო, ამტკიცებდა ჭიუტად, ახლა კი, გინდათ თუ არა, ის მოკლეს, ის ამოატარეს ცხნოე პირქვე გადაკიდებულიო.

— ის გირჩევნია, პირი დაბანინო ბიქს. ექიმი უნდა მოვიდეს. — მშვიდად ამბობს ბებია. მოგონილი, ნაძალადევი სიმშვიდით შვილის მრისხანების განელებას ცდილობს, როგორც ექიმს უნელებს ხოლმე წყალს ხელის დასაბანად.

— მკვდარიც არ მაჩვენეს! — ბობოქრობს დეიდა.

(როგორც მერე შეიტყო ნიკომ, დეიდამისი ლამარასთან მისულა და უთხოვია, შენს ქმართან მიშუამდგომლე, იქნება, გვამი მაჩვენოს ერთი წამითო. მაგრამ მილიციის გვამი აღარ დახვედრიათ, უკვე თბილისში ყოფილა გადაგზავნილი. ლეიტენანტი, ლამარას ქმარი, ძალიან შეწუხებულია, უკვე ველარაფრით დაგეხმარებითო, და ალბათ დეიდის დასამშვიდებლად, დაუმატებია: ჩემი აზრით, ის კაცი აქაური არ უნდა ყოფილიყოო. ისე, როგორც დეიდას მოსჩვენებია, აშკარად უხაროდა თურმე და არც მალავდა თავის სიზარულს, რამდენჯერმე უთქვამს კი-



დევ, დიდი ტვირთი მომეხსნა მხრე-ბიდანო, რადგან გვამი, თბილისში გადაგზავნამდე (ესეც იმას მოუყოლია დეიდასთვის), ვიკოლას მოუპარავს და ჩუმად დაუმარხავს, დაკარგული მამის სანაცლოდ, მაგრამ მილიციას, რასაკვირველია, მაინც მიუგნია და, ბოლოს და ბოლოს, მშვიდობით გადაუგზავნია თბილისში).

— სოსო იყო, რა თქმა უნდა, სოსო იყო. — შფოთავს, წუხს, იტანჯება დეიდა. — მაშინვე მიგარძო ტანმა. ქალაქზე არც ამოეტარებინათ ჭერ, მე რომ უკვე ვიცოდი. ხელები გამიშეშდა უცებ, წიგნიც ვეღარ გადავფურცლე, ვერაფრით ვერ დავძარი ფურცელი ადგილიდან და სულელივით ვიმეორებდი, ო, არ ველოდი ქალბატონო მე თქვენგან ღალატს მეთქი, თითქოს მე კი არ ვამბობდი, ის მეუბნებოდა მე, მე მდებდა ბრალს ღალატში და აღარ ვიცოდი, როგორ, რანაირად მეშართლებინა თავი, როგორ გამეგებინებინა, არასოდეს, არასოდეს, ფიქრშიაც რომ არ მიღალატია იმისთვის. ვეგდე ასე, წიგნით ხელში, საწოლზე, წელშიწყვეტილი, მეც იმის სიკედილით მოვკვდი თითქოს, და მოშლილი პატეფონით ვიმეორებდი, ო, არ ველოდი, ო, არ ველოდი, ო, არ ველოდი მეთქი. მაგრამ მარგალიტამ რომ დამიძახა, წამო, შეებედოთ, უაჩალი მოუტლავთო, გიჟვით წამოვვარდი საწოლიდან, წინდა არ ამომიციამს ფეხზე, თავშალი არ მომიხვევია, გამოძევებული ცოლივით, თავშიშველი, ფეხშიშველი გამოვვარდი ქუჩაში. რას მოჩანჩალებ, გამოადგი ფეხიო — მეძახდა მარგალიტა, მე კი სირბილისგან გული ამოვარდნაზე მქონდა, სულს ვეღარ ვითქვამდი. რომ არ წაექცეულიყავი, კედლებს ვებჯინებოდი, კედლებს ვეჩურჩულებოდი, სოსო მოკლეს, სოსო მოკლეს მეთქი — ამბობს დეიდა, აღგზნებული, სახეარეული, გულში წიგნჩახუტებული, თითქოს წიგნი კი არა, მართლა შვილიყო იყოს, უჩანონო შვილიყო, სოსოსი, მორტოციკლზე ჩასახული, თავბრუდამხვევი ქროლისას, უკიდევანო ცაში,

და ამიტომაც, ერთი წამითაც არ შეიძლება იმისთვის ხელჯახვამეხემაშინვე გაფრინდება, რაღებანსეცწამისკი არა, უსასარულო სივრცეში გადაეცეთილი ორი ოცნების, ორი სურვილის, ორი იმედის პირშოა და საფრენადაა საერთოდ გაჩენილი, უფრო ზუსტად, ფრენა იცის, ფრენა შეუძლია მხოლოდ.

დეიდას ერთი დობილი ჰყოლია წნორში და როგორც იმ ასაკის გოგონებს ახასიათებთ საერთოდ, ერთმანეთზე ამოსდიოდათ თურმე მზე და მთვარე. ვიღრე ტექნიკუმს დაამთავრებდნენ, იმასაც სიღნაღში უცხოვრია, ოთახი ჰქონია ნაქირავეები, მერე კი, ხან ის ამოდიოდა დეიდასთან სტუმრად, ხან დეიდა ჩადიოდა იმასთან — დილის ავტობუსს ჩაჰყვებოდა, საღამოსას ამოჰყვებოდა — და ეს, არცთუ ისე შორეული და რთული მგზავრობა (ავტობუსში ყველანი ცნობდნენ და, რასაკვირველია, ისიც მშვენიერად იცოდნენ, ვისთან მიდიოდა წნორში, ანდა, ვისგან ბრუნდებოდა წნორიდან, უფროს დასავით, კეფაზე თმაგადაგარგნილი და, შეძლებისდაგვარად, დიდურად ჩაცმული), სავსებით აკმაყოფილებდა მის პატივმოყვარეობას, ანუ, საქმარისზე მეტი იყო, თავისი დიდობა და დამოუკიდებლობა რომ დამეტკიცებინა მშობლებისთვის. უფრო ზუსტად, ჭერ საკუთარი თავისთვის, მერე კი მშობლებისთვის და საერთოდ ყველასთვის, სხვებისთვის. მაშინ ჭერ კიდევ იმ ასაკში იყო (ახლა ამბობს, ბებერი ვარო), როცა დობილზე ძვირფასი, ახლობელი, სანდო და საიმედო არავინაა ქვეყანაზე, როცა ისაა, არა მარტო შენი ფიქრის, არამედ მთელი შენი იმეამინდელი ცხოვრების წარმართველი, ცხოვრებისა, რომელიც ჭერ არც მშობლების მეთვალყურეობიდან გამოსულა მთლიანად და ჭერ არც მომავალი თანამგზავრის ჩრდილში შეყუქულა სამუდამოდ. ამიტომაცაა, მშობლის არსებობა ისევე რომ გაღიზიანებს, როგორც წყალს — ჭებირისა, ტუსალს — ბორკილისა, გა-

რისკაცს — ტრიბუნალისა, ხოლო მომავალ თანამგზავრზე ფიჭრი, პირველ რიგში, სწორედ იმ ჯებირის დანვრეცას, იმ ბორკილის გაწყვეტასა და იმ ტრიბუნალის გაუქმებას გავალდებულებს, ანუ, ბავშვური, სამარცხვინო ჩვევების (დედასთან ძილი, ქუხილის დროს თავზე საბნის წაფარება, უცხო ხალხში დამუნჯება) დროულად მოშორებასა და ყველაფრისთვის (რალა არ შეიძლება შემთხვევას ჩვენს დროში ქალიშვილ ქალს) მზად ყოფნას. შენც, როგორც ერთი რიგითი მონა ბუნებისა და დროისა, გააფთრებული ანგრევ ჯებირს, ეჭაჭურები ბორკილს, ეურჩები ტრიბუნალს, ანუ, მშობლების ავად თუ კარგად გაკვალულ გზაზე კი არ მიდიხარ, ამ გზიდან გადასვლას ცდილობ ვანუწყვეტლივ, განზე მიიწევ, წუმპეჩამდგარ თბრილებში, ვაუვალ ეკალბარდებში, ნახნავსა და უხნავში — ზუსტად იმ სულელი ბურჯავით, პაპად და ნიკომ ძლივს რომ ამოიყვანეს ბოდბისხევის ბაზრიდან და იმის დევნაში, თვითონაც თავფეხიანად ამოიგანგლნენ ტალახში, ერთმანეთზე უარესად დაბლორტინილ-დალილავებულნი. ამ დღეში არიან შენი მშობლებიც, რადგან იმათი ღრმა რწმენით, გასათხოვარი ქალი შინ უნდა იჯდეს, შინ უნდა დაელოდოს ბედს, ერთი კი არა, ათი დიპლომი რომ ედოს უჭრაში, იმატომ რომ... „იმიტომ რომ — მაინც გაცხარდებოდნენ ხოლმე ისინი — იმიტომ რომ, მერე გინდაც მოედანზე იყვრო, ველარავის გააგებინებ, მართალი თქვეს შენზე, რაცა თქვეს, თუ მოგიგონესო“. შენც, დაახლოებით, იგივე აზრისა ხარ გულის სიღრმეში, მაგრამ ასაკისა და დროის მოთხოვნილებათა შესაბამისად, იძულებული ხდები, საწინააღმდეგო აზრი გამოთქვა, შეახსენო, შეაგნებინო „შეუგნებლებს“, სხვა დრო რომაა ახლა, სხვანაირად რომ ფიქრობს ხალხი და, უბრალოდ, შეუძლებელიცაა იმათი (მშობლების) ადამაწესებით ცხოვრება, თუნდაც იმიტომ... „თუნდაც იმიტომ — არანაქლებ ცხარდებოდი შენც

— თუნდაც იმიტომ, აღარავის რომ აღარ სჯერა ხვალინდელი დღისა, ყველას რომ დღეს უნდა ყველაფერი თავისი წილი. დღეს. დღეს. დღეს. ხვალ. ეშმაკმა იცის, რა იქნება“. — ბორგავ, გულს ასკდები, ომობ და ამ მიძიმე, დროისაგან თავს მოხვეულ ომში, მხოლოდ დობილია შენი გამგები, შენი ერთადერთი მოკავშირე. არადა, უბრალოდ, ისიც შენს დღეშია, იმასაც ისევე ჰირდები შენ, როგორც შენ გჰირდება ის, ისიც შენსავით ბრმად, ჭიუტად, შიშნარევი ნეტარებით მიისწრაფის იღუმალისკენ და თუნდაც მარტო ამის გამო, ყოვლად მიუტყვევებელი დანაშაულია, არ გააცილო დობილის ნათესავი ბიჭი, რომელიც, არც მეტი, არც ნაკლები, ომში მიდის და ადგილი შესაძლებელია, ველარასოდეს დაბრუნდეს უკან, გაუთხოვრად დააქვრივოს თავისი შეყვარებული (ომში მიმავალ ბიჭს, არ შეიძლება, შეყვარებულნი არ ყავდეს), ასე რომ, დობილის ნათესავიც რომ არ იყოს იგი, მაინც უნდა გააცილო, გულისხმიერება უნდა გამოიჩინო იმის მიმართ, თანაგრძნობა გამოუცხადო წინასწარ, როგორც ზოგადად გოგომ ზოგადად ბიჭს.

ამიტომაც იყო ალბათ, ასე ახლოს რომ მიიტანა დეიდამ გულთან დობილის ლამის ჩვეულებრივი შემონათვალი: ამა და ამ დღეს, ნათესავ ბიჭს ომში ვაცილებ და, თუ მოახერხებ, ჩამოდიო. დეიდა ამბობს — არ შემეძლო არ ჩავსულიყავი, რადგან უკვე ვიცოდი, იმ დღეს რომ უნდა გადაწყვეტილიყო ჩემი ბედით. ამდგარა და დანიშნულ დღეს მართლაც ჩასულა წნორში, რათა იქ, მტვრისა და კოლოს საბუღარში, მშვიდად და უღრტვინეულად შეჭებებოდა თავის ბედსა თუ ბედისწერას. თუმცა, მაშინ, ჯერ კიდევ საკუთარი არსება უფრო ინტერესებდა, ვიდრე სხვა ვინმე, ანდა, სხვა რამე. ჯერ კიდევ იმ ასაკში იყო, როცა სული და გონება უჩვეულო, შემაწუნებელი, შემამფთოთებელი და თანაც, რა დასამალია, სირცხვილის გრძნობის აღმძვრელი ფიქრებითაა გა-

მოტენილი, ხოლო ამ ფიქრების გამხე-  
ლა ისევე ძნელია, როგორც არგამ-  
ხელა, რადგან გამხელა მკვლელობის  
თანაფარდია, არგამხელა კი — თვით-  
მკვლელობისა; გამხელის შემთხვევაში  
ყველაფერ იმას უპირისპირდება, რი-  
თაც იქამდე გიჟოვრია, არგამხელის  
შემთხვევაში კი — საკუთარ თავს, სა-  
კუთარ არსებას, საკუთარ ბუნებას.  
აქედან გამომდინარე, ამგვარი ფიქრე-  
ბის არსებობა, უკვე თავისთავად გაი-  
ძულებს, გულჩათხრობილი იყო სწო-  
რედ იმათთან, ვინც ნამდვილად შენი-  
ანია, ვისიც გაჩენის დღიდან გჯეროდა  
და დაუფიქრებლად ენდობოდი; სამა-  
გიეროდ, გულახდილობისა და ნდო-  
ბის სურვილს გიჩენს იმის მიმართ,  
ვისაც შემთხვევით უნდა გადაეყარო  
საერთოდ და ადვილი შესაძლებელია,  
სულ სხვა ვინმე აღმოჩენილიყო ის,  
მაინცდამაინც, წნორში რომ არ ჩა-  
სულიყავი, მაინცდამაინც, იმ დღეს.  
მშობელს იღუმალების ბურუსი უკვე  
მოშორებული აქვს, უკვე კარგახნის  
გამოსულია იმ ასაკიდან, რომელშიაც  
შენ იმყოფები ახლა და, ამიტომაც,  
ალარ გჯერა იმისი, ალარ ენდობი, რა-  
დგან იმისთვის დამთავრებულია, რაც  
შენთვის ჯერ არც დაწყებულია.

დაახლოებით ასე ფიქრობდა დეი-  
დაც, როცა წნორისკენ მიისწრაფოდა,  
ვიღაც, მისთვის სრულიად უცნობი  
ბიჭის გასაცილებლად და, შეიძლება,  
უკვე უყვარდა კიდევ ის ბიჭი, მაგრამ  
მაშინ, ავტობუსში, არცკი დაფიქრე-  
ბულა ამაზე, ამაზე მერე ფიქრობდა,  
როცა ბიჭი უკვე მკვდარი იყო, ის კი,  
ღამღამობით, საწოლში მოკუნტული  
(წამომჯდარი კი არა, როგორც პაპის  
ზღაპარში, არამედ — მოკუნტული,  
შეციებული, უპატრონო ლეკვივით),  
ვინ იცის, მერამდენედ, მისხალ-მისხალ  
იხსენებდა იმ ერთადერთ საღამოს და  
ყველაფერს, რაცკი, რამეთი მაინც, და-  
კავშირებული იყო იმ ერთადერთ სა-  
ღამოსთან, რამეთი მაინც განაპირობებ-  
და და ადასტურებდა იმ ძნელად და-  
საჯერებელი საღამოს არსებობას, რო-  
ცა, თურმე, უყვარდა და არ იცოდა,

მაგრამ საიდან უნდა სცოდნოდა, რო-  
ცა საერთოდ არაფერი გაუგებროდა ჯერ  
სიყვარულისა და თუქამ მინცკი ფიქრო-  
ბდა სიყვარულზე, ისიც თავისი უფ-  
როსი დის ჯიბრით, რადგან თვითონაც  
უნდოდა, მაინცდამაინც, ისეთივე სა-  
ხელოვანი კაცი შეპყვარებოდა, რო-  
გორც მის უფროს დას უყვარდა,  
იმასაც, მაინცდამაინც, ნიკოსნაირი ბი-  
ჭი გაეჩინა და, რაც მთავარია, აქედან,  
ამ ქვის ბუდიდან, რაც შეიძლება შორს  
წაეყვანა ისიც ქმარს, ნებისმიერ სხვა  
ქალაქში, თუკი ბათუმში არ შეიძლე-  
ბოდა ორივე დის ცხოვრება — უფ-  
როს დასავით, მხოლოდ და მხოლოდ,  
სტუმრად რომ ჩამოსულიყო მშობლე-  
ბთან, თანაც, ათასში ერთხელ, ისიც  
ზადებულობით, უფროსი და, არა მარტო  
უყვარდა, მოწონდა კიდევ, ცდილობ-  
და, ყველაფერში იმას დამსავსებოდა,  
თმასაც იმასავით ატარებდა, მაგრამ  
როცა დაზე ფიქრობდა, რატომაც,  
ყოველთვის იბოღმებოდა კიდევ, თი-  
თქოს ის იყო მისი მთავარი მეტოქე,  
მთავარი კი არა, ერთადერთი, თითქოს  
ასე, უფროს დასავით, ერთერთს უნდა  
ეცხოვრა მხოლოდ და, რაკი მისი უფ-  
როსი და უკვე „ასე“ ცხოვრობდა,  
ალარ შეიძლებოდა იმასაც გაემეორე-  
ბინა იგივე, თუნდაც, ცოტა მოგვიანე-  
ბით. მერე კი, როცა მისი უფროსი  
დის შესაშური ბედნიერება, ყველასა-  
თვის მოულოდნელად, ჩვეულებრივ  
უბედურებაში გადაიზარდა (არც ეს და-  
სულაღვს, ნიკოსთვის: მთელი თვე ბა-  
ლიშის ქვეშ ვმაღავდი ძია სანდროს  
დაგრებილ თოქსო), რადგან ეჭვიც არ  
ეპარებოდა, მისი სულმოკლეობისა და  
შურიანობის ბრალი რომ იყო სიძის  
ავადმყოფობაცა და ომიც. ამას რომ  
ეგონა, სამოთხეშიაო, მისი უფროსი  
და შუაგულ ჯოჯოხეთში იდგა თურ-  
მე; ეს რომ იცინოდა, ჩემი ლამაზი და  
ნებიერი დაიკო თითის თითზე დამკა-  
რებელი არ არისო, გააფთრებული იბ-  
რძოდა თურმე ორი ადამიანის სიცოც-  
ხლის გადასარჩენად: ერთი ხელი მო-  
მაცვდავი ქმრის საწოლისთვის ჩაევლო.

არავინ გაათრიოს განწირულთა, გადადებულითა პალატაშიო, მეორეთი კი წვილის გამოტყუებას ცდილობდა შინის, შიმშილის, სიცივის, უიმედობისა და უპატრონობის ელდიდან. სულს ცოდვილი და, დეიდას უსეც შურდა. მშვიერის მოუთმენლობით ელოდებოდა და ექვედა ბათუმიდან მოსულ წერისს, ეტეშას, ნებისმიერ ცნობას, რადგან აღფრთოვანების, მოწიწებისა და სიამაყის აღმძვრელი შურით შურდა უფროსი დისა და თვითონაც უნდოდა, ყოლოდა ვინმე, ვისთვისაც იომებდა, დამდაბლებოდა და ამაღლებოდა კიდევ, ახალგაზრდობაზეც, ქალობაზეც აიღებდა ხელს, მოურჩენელი სენის ჯაჭვსაც აულოკავდა და მსხვერპლადაც შეეწირებოდა დაუფიქრებლად. ასე რომ, ვიდრე დობილის ნათესავ ბიჭს გაიცნობდა, დასა და სიტუხე ლაპარაკი საესებით უქმყოფილებდა საერთოდ სიყვარულზე, როგორც ზოგად გრძნობაზე, ლაპარაკის ძნელად მოსარევ სურვილს. „ნუ გამოიწყალე გოგო, გული შენი დითა და სიძითო“ — ეტყოდა ხოლმე მოსმენილით აფორიაქებული დობილი, მაგრამ დეიდას არ შეეძლო არ ელაპარაკა, ისევე როგორც დობილს არ შეეძლო, არ მოესმინა მისთვის. ისინიც უკვე ქალები იყვნენ თითქმის, უფროსწორედ, მზად იყვნენ დასაქალბელად და იმასაც გრძნობდნენ, ყოველ წუთას შესაძლებელი რომ იყო, მათ გულზეშიც ეფეთქა სიყვარულს, ხოლო, რაკი წინასწარ არ იცოდნენ, რა სისულელეებს ჩაადენინებდათ სიყვარული, სიყვარულის ძალასა და სიღიადებზე გაუთავებელი ლაპარაკით, თითქოს მათ მიერ ჯერ კიდევ ჩაუდენელი, მაგრამ აღუცილებლად ჩასადენი სისულელეების გამართლებასაც ცდილობდნენ იმათ წინაშე, ვისაც მომავალში, სიყვარულის სახელით ჩადენილი სისულელეების გამო, შეეძლო, გაეკიცხა ისინი. უფროსი დის წამხედურობით, უფროსი დის ჯიბრით, უფროსი დის მომხიბვლელი ბედნიერებისა და არანაკლებ მომხიბვლელი უბედურების

ზემოქმედებით, კიდევ უფრო თავგანწირული, შლეგი, დაუდგარი და ღვთაებრივად ყველაფრის მომცველი ვნება მწიფდებოდა მის არსებაში, მაგრამ თვითონ ჯერ არაფერი გაეგებოდა იმ ვნებისა, რადგან ჯერ არც დობილის ნათესავ ბიჭს იცნობდა, თუმცა, დობილის ნათესავ ბიჭის გაცნობაც არ იყო საკმარისი, მთლიანად რომ ჩაწვედნოდა იმ ვნების საიდუმლოს, სიღიადეს, ძლიერებას — საამისოდ უფრო მეტი იყო საჭირო, გაცილებით მეტი: დობილის ნათესავი ბიჭის სიკვდილი — ყველა ოცნების ჩამყვრელი, ყველა გზის ჩამკეტავი, ყველა იმედის გამწვინდელი და მიხეც პატვისსაცემი, მოსარიდებელი, მოსაფერებელი, რამდენადაც ცოცხლისთვის სიკვდილი ძვირფასი მკვდრის განსახიერება და მეტი არაფერი. ადვილი შესაძლებელია, მსგავსიც არაფერი განეცადა დეიდას, დობილს რომ არ დაეპატიუნა იმ დღეს, ხმა რომ ვერ მიეწვდინა შემთხვევით. რასაკვირველია, დეიდა თავიდანვე ელაგდა, რაღაცნაირად აფრთხობდა კიდევ ჯერ კიდევ უცნობ ბიჭთან შეხვედრა, რომელსაც მაშინვე უნდა გამოთხოვებოდა და, როგორც მალე გამოირკვა, სამუდამოდაც. ავტობუსშიც ძირითადად თავს იმშვიდებდა, მე იმ ბიჭთან რა შესაქმება, მე ჩემს დობილს ვცემ პატივს, ჩემს დობილთან მივდივარ სტუმრად ჩვეულებრივად. მაგრამ ტანი უგრძნობდა, ჩვეულებრივი სტუმრობა რომ არ გამოუვიდოდა ამჯერად. რაღაცის, გაურკვეველის მოლოდინი გულის კოვზთან ადგა, გადაცდენილ კურკასავით, სულის მოთქმა უჭირდა ფარღალაღა, ბრუნენტის სახურავიან ავტობუსში, მაგრამ რაც მერე გადახდა თავს, ბევრად აღემატებოდა ყოველგვარ მოლოდინს, ყოველგვარ ვარაუდს. ავტობუსი კი მშვიდად, მართლაც რომ ჩვეულებისამებრ მიუყვებოდა სპირალივით დაბვეულ გზას, საკუთარი სუნთ გაბრუებულ კაკლის ხეებს, კუნელის, ბროწეულის, ასკილისა და მყვლის ბუჩქებით გადაჭრელებულ ფერდო-

ბებს და არაფერი ხდებოდა უჩვეულო, მოულოდნელი, განსაკუთრებული არც ავტობუსში და არც ავტობუსს გარეთ. მხოლოდ ის იყო სხვანაირად აფორი-აქებული, თუმცა, გარეგნულად ალბათ არაფერი შეტყობია — ჩვეულებრივად იჯდა, წელგამართული, ქარისათვის სახეშიშვერილი. ქარიც ჩვეულებრივად უწეწავდა თმას, ყელ-კისერზე ებუზუნებოდა და კიდევ უფრო მჭიდროდ ატმასნიდა კაბას სხეულზე, თითქოს ავტობუსის დანარჩენი მგზავრების დასანახად: აი, შეხედეთ, დარწმუნდით, როგორ დაქალბულა, თვალსა და ხელს შუაო. დეიდას კი ერთნაირად ერიდებოდა, როგორც დამალვა, ისევე გამოჩენა საკუთარი სიმწიფისა და რალაცის, ჯერ კიდევ გაურკვეველის, რაც მთავარია, მისთვის უალრესად მნიშვნელოვნის მოლოდინით დამფრთხალი, ვერაფრით მორეოდა თავს, ვერაფრით დაემშვიდებინა გული, თმა, ხელები... ხან მეკრძრზე შემოტმასნილ კაბას ისწორებდა, ხან აწეწილ თმას. ეგონა, ყველანი იმას უყურებდნენ და ერთი სული ჰქონდა, როდის გადავიდოდა ავტობუსიდან. ასე გულაფრიალებული მიადგა თავის დობილს. მაგრამ იქ კიდევ უფრო დარია ხელი მღელვარებამ. კრიჭანსკარული იჭდა მაგიდასთან, ყუყაროსავით სახეებრივადებული, გულაბაგუნებული და თვითონვე გიჟდებოდა გულში: რა ჰირი მეცა; როგორ ვიქცევიო. ვერც დაილაპარაკა, ვერც პირი დააკარა რამეს, თითქოს ჰირის სუფრაზე მოეწვიათ. «განა ტყუიან ჩვენები, არა ვარ ხალხში გამოსაჩენიო» — ასკდებოდა გულს, საკუთარ უხასიათობაზე აღრენილი. განა არ უნდოდა, არ გამოსდიოდა ადამიანურად მოტყევა. ვერ ახერხებდა, ჩვეულებრივად, უბრალოდ, თავისუფლად და, რაც მთავარია, გულისაუჩუყებლად, შეეხედა თავგადახორტილი, სევდიანად მომღიმარი ბიჭისთვის. ამიტომაც, კიდევ უფრო მეტად იქცევიდა სხვათა ყურადღებას. რაკი თავიდან ქათმის ფეხიც არ გადაილო, ზრდილობისთვის მაინც, ახლა, რაც რამე

იყო სუფრაზე, იმას სთავაზობდნენ; რაკი ტუჩიც არ დააკარა, ტუჩქას უნდა დაცალო, აძალეზდნენ, აქვეყნებდნენ, წამსვლელის სადღეგრძელო მაინც უნდა დაილიოს ბოლომდეო; და რაკი კრინტიც ვერ დაძრა, ვერც სალამი თქვა და ვერც მადლობა, გალაკტიონის ლექსის წაკითხვას თხოვდნენ, გაგებული გვაქვს (ალბათ დობილისგან, რა თქმა უნდა, დობილისგან. სულ იმის სიცილი ედგა ყურებში), კარგად კითხულობთ თურმეო. მოკლედ, აღარ ეგონა, როდისმე თუ მოედებოდა ბოლო ამ უაზრო, სამარცხვინო ტანჯვა-წვალებას. მაგრამ ყველაზე მეტად, თავგადახორტილ ბიჭზე მეტადაც, ალბათ დობილის სიცილი აფრთხობდა მაინც (დეიდა ამბობს: იმ დღეს დამთავრდა ჩვენი დობილობაო, რალაცანიად, თავისთავად, უმტკივნეულოდ ამომივარდა გულიდანო), რადგან იქამდე არ გაუგონია, ასე ხმააღლა, ასე არასასიამოვნოდ, ასე ყალბად და, ამავე დროს, ასე გამომწვევად გაეცინოს ვინმეს. «შეხედეთ, შეხედეთ, როგორ შეიფერა ქათინაურიო» — იცინოდა დობილი და დამფრთხალი, გავეირვებული დეიდა, ერთი წამით, რომ შეხედავდა ხოლმე სახეში, გაქვავებულ, დაძაბულ, არაბუნებრივად გაბრწყინებულ თვალებს აწყდებოდა თურმე, ლამის სიძულელით საესეს, თითქოს რალაცისათვის უწყრებოდნენ, ანდა რალაცას ავალდებულებდნენ. დეიდა კი წუხდა, შფოთავდა, უარესად აღიზიანებდა საკუთარი მიუხევედრელობა, ვიდრე მაგიდაზე ჩამოდებული ხელი არ აუძაგდაგდებოდა ისევე, ალბათ დამბულობისგან, და უარესად დამფრთხალი, რა მემართება, რა ამბავია ჩემს თავსო, აძაგდაგებულ ხელს მაგიდის ქვეშ არ დამალავდა სასწრაფოდ. მუხლებს შორის იმწყვედევდა თურმე, კიდევ რომ არ ჩაედინა რამე იმას, ხელს, მასთან შეუთანხმებლად, უზრდელი და გაუგონარი ბავშვივით.

მერე, თვითონაც რომ აღარ ახსოვს, როგორ მოხდა, ისა და დობილის ნათესავი ბიჭი მარტო მისიერობდნენ

შუკაში. ჭერ აკაციის ყვავილის მძაფრი სუნის იგრძნო, თურმე, და მერედა აღმოაჩინა საკუთარი თავი უცხო ბიჭის გვერდით. „რა დროს სიცივეა, ამ გაგანია ზაფხულშიო“ — ეუბნებოდა ბიჭი, თუმცა, დეიდას არ იცოდა და, რამდენადაც ახსოვს, არც ბიჭისთვის შეუჩივლია, მცივო. დაბინდულ შუკას აკაციის ხეები მოუყვებოდნენ ორივე მხარეს. ბინდში უფრო მძიმე და უფრო ხორციანიც ჩანდნენ აკაციის ყვავილის თეთრი მტევნები. დეიდა კარგად იცნობდა წნორს, მაგრამ უცებ ვერ მოუსაზრებია, სად იყვნენ, სად გაიყვანდათ ეს დაბინდული და დაბანგული შუკა, ღობესთან ძალი იდგა და, კბილებდაკრეკილი, ბრაზიანად იღრინებოდა. მართალია, ამათყენ არც იყურებოდა, თითქოს შეგნებულად არიდებდა თვალს, მაგრამ აშკარად ამათზე ბრაზობდა, ამათი მოულოდნელი გამოჩენა არ სიამოვნებდა. „რა იყო, მურა, რა დავგიბევეთ, რატომ გვიბრაზდებიო“ — დაუძახნია ბიჭს და ძაღლისკენ წასულა. დეიდა კი, შიშისაგან, ადგილზე გაშეშებულა. ვერც ახლა ამოუღია ხმა, ბიჭი რომ გაეჩერებინა. ბიჭი კი ავად აღრენილ ძაღლთან მისულა, მუხლებზე ხელებმობჯენილი, მისკენ დახრილა და ძველი ნაცნობივით მოუკითხავს — რას შვრები, როგორა ხარ, რა ხდება ქვეყანაზეო. მერე ცხვირწინ ჩასცუცკებია და რამდენჯერმე თავზე ხელი გადაუსვამს. ძალი მაინც იღრინებოდა თურმე, მაგრამ ძნელი სათქმელია, ისევ სიბრაზისგან, თუ ახლა უკვე სიამოვნებისგან. დეიდა კი ისევ იქ მდგარა, სადაც შიშს გაუშეშებია, მომუწული ხელებიც ისევ პირზე ჰქონია მიჭერილი, მაგრამ ბიჭს რომ დაუძახნია, მოდი, გაიცანიო, მაშინვე იმათყენ წასულა, თითქოს დაძახებას ელოდებოდა მხოლოდ. ბიჭს ძალით გაუღებინებია ძაღლისთვის პირი, ლამის შუაზე გაუხევია, და დეიდისთვის უთქვამს: თუ გინდა, ჩაუყავი პირში ხელიო. დეიდას ჭერ კიდევ მომუწული ხელები მაშინვე ზურგს უკან დაუშალავს, თითქოს ძალით ჩააყოფი-

ნებდნენ ძაღლის ხახაში. „ეს რა სულელი ბიჭი ყოფილაო“ — გასციენებია თან გუნებაში საომრად მემგავალთქნებია ნამეგზურზე. ბიჭს კი ძაღლისთვის თავი გაუწებებია და წამომდგარა. მაგრამ ძაღლს ახლა თავისით დაუღია პირი, ღონივრად, მთელი ტანით გაწვართულა, ერთი გრძლად დაუწკმუტუნებია და, დამცხრალი და დასველიანებული, ღობის ძირში მიგდებულა თავისთვის. ჩიტები ყვილ-ხვილით იბუღებდნენ ხეებზე. აქა-იქ ისევ თეთრად კრთოდნენ აკაციის ყვავილის მძიმე, ხორციანი მტევნები. სადღაც ორთქლმავალს შეუჩივლია, რაღაცნაირად, სუსტად, გაუბედავად, თითქოს ორთქლმავალი კი არ იყო მართლა, ორთქლმავალს ბაძავდა, ორთქლმავლობდა. „ისედაც დამაგვიანდა, ახლაცე სიღნაღში უნდა ავიდეთო“ — უთქვამს უცებ დეიდას. ეტყობა, ორთქლმავლის ხმამ გზა გაახსენა, იმის გზა კი, ჭერჭერობით, მხოლოდ სიღნაღისკენ მიდიოდა. „სულ რომ ფეხით მომიწიოს ასვლაო“ — დაუმატებია გუნებაში, ალბათ თავის გასაქმებლად. სიღნაღის ავტობუსი დიდი ხნის წასული იყო უკვე, მაგრამ ღრეჯვის ხიდან გავიდოდა და რამე გამოჩნდებოდა, ანდა, მართლა ფეხით წავიდოდა, ბოლოს და ბოლოს, მოკლზე, ნასაყდრაღზე გავლით. საშიში კი იყო ღამე მარტო სიარული (ფიქრშიაც არ დაუშვია, თავგადაბორილი ბიჭი რომ გააცილებდა, თუნდაც იმიტომ, იმის გასაცილებლად რომ იყო ჩამოსული თვითონ წნორში), თანაც ტყე-ღრეებზე, მაგრამ, რახან თქვა, თქვა, და საერთოდაც წასვლა ერჩია, ისე ჰქონდა თავგზა აბნეული, იმდენად უჩვეულო იყო ყველაფერი, რაც მის გარშემო ხდებოდა. უფრო სწორედ, რაც ხდებოდა, არაბუნებრივად ხდებოდა. მართალია, რაღაცნაირად ამშვიდებდა, ეიმედებოდა კიდევ ამ უცხო ბიჭის სიახლოვე, მაგრამ უსიამო ეჭვსაც უჩენდა — თითქოს ისე არ იქცეოდა ის, როგორც უნდა მოქცეულიყო — თუმცა არ იცოდა, როგორ იქცეოდნენ, საერთოდ, ასეთ

დროს კაცები, ყველანი ასეთები იყვნენ, თუ ეს გამოირჩეოდა სხვებისგან. ერთხელ კი უთხრა დობრიმა, ყველანი ერთნაირად მშობრები და მატყუარები არიანო, მაგრამ ეს არც მშისარა ჩანდა — ძაღლებს ძალით ალებინებდა პირს — და არც — მატყუარა — ზრდილობის გამოც არ უთქვამს დეიდისთვის, მომწონხარო, ცოლად უნდა შეგირთოო, შენი გულისთვის ციდან მზეს ჩამოვხსნი და ქვიდან წყალს გამოვადუნო. თუმცა, მთლად გულგრილი არ იყო ალბათ დეიდის მიმართ, რადგან დეიდას რომ უთქვამს, სიღნაღში უნდა ავიდე სასწრაფოდო, რატომღაც ისიც აჩქარებულა, აღელვებულა (დეიდა ამბობს: ერთბაშად ფერი დაეკარგაო, თითქოს შიგნით, გულ-მუცელში, ძალიან ეტკინა რაღაცაო), უცებ წინ გადასდგომია და ორივე ხელი მკლავებში, იდაყვებს ზემოთ ჩაუვლია. თითქოს ასე თუ არ შეაჩერებდა, დეიდა იმავე წამს სირბილით შეუდგებოდა სიღნაღის აღმართს. კარგა ხანს მდგარან ასე, ენაჩავარდნილები, დაზაფრულები (დეიდა ამბობს: თითქოს ერთი სოკვილით მოვკვდიოთ ორივენი, ერთსა და იმავე დროსო). სხვათაშორის, დეიდას არც ის სცოდნია, თვითონ როგორ უნდა დაეჭირა თავი, როგორ იქცევიან ასეთ დროს ქალები, ხელს აშვებინებენ კაცს, თუ იცდიან, კიდევ რას მოიბოქმედებს ის, ანდა, რას იტყვის მაინც. ჩუმად შესტკეროდა თურმე, ერთიანად დაძაბული, გაქვავებული, უნებურად წელში გაზნექილი. ვერაფრით ვერ მიმხვდარა, ეს ის დიადი წამი რომ იყო, რომელსაც ლამის გაჩენისთანავე ელოდება ყველა გოგო და. ფიქრში, ოცნებასა თუ სიზმარში, ათასჯერ, ათასნაირად წარმოდგენილი, მხოლოდ და მხოლოდ, ერთხელ დგება სიციცხლეში. ვერ მიმხვდარა, კოცნას რომ უპირებდა ბიჭი, მაგრამ მაინც მაინც მოუსწრია თავის გვერდზე გაწევა და თავგადაბოტრილი ბიჭის გათოშილი, ათრთოლებული ტუჩების გაუბედავი, გულისამაჩუყებელი ბრმა, მოულოდნელი შეხება ჯერ ნიკაპზე

უგრძენია, მერე კი ყელზე (ასე სულელურად ჩაგვემტერა... ხელში... პირველი და უკანასკნელი კოცნაო... უუამბობს დეიდა). „გამიშვი... გამიშვიოთ ხელიო“ — გაბრაზებულა უცებ, მაგრამ თავგადაბოტრილ ბიჭზე კი არა, ისევ საკუთარ უხასიათობაზე, ბიჭს კი უფიქრია, მე მიბრაზდებაო და მაშინვე გაუშვია ხელი, შეტრიალებულა და გაქცეულა, მაგრამ გაქცევამდე, ყელაწეული შეხვეწნია, არ წახვიდე, ახლავე მოვალ. მე თვითონ ავიყვან სიღნაღში მოტოციკლითო.

მერე ყველაფერი მართლა სიზმარს გავდა, თავბრუდამხვევე, სულისშემბუთავ სიზმარს. დეიდას ახლაც კი უჭირს, მშვიდად, თანამიმდევრულად გაიხსენოს ყველაფერი, რა რას მოჰყვია, როდის რა ითქვა და რატომ, რადგან არაფერს არაფერი არ მოჰყოლია და არაფერი არ თქმულა არაფრის გამო, უბრალოდ, არსებობდა უსასარულო სამყარო და იმ სამყაროში არსებობდნენ ისინი, ორნი, ორნი, ერთარსებულ ქცეულნი, ერთი ძალით გასარსებულნი სამყაროს უსასარულობაში. ამიტომ, ყველაფერი იმდენად ბუნებრივად გამოიყურებოდა, თითქოს არავითარ შემთხვევაში არ შეიძლებოდა, სხვანაირად მომხდარიყო, ანდა, თქმულიყო რამე. ყველაფერი სიზმრისეული აუცილებლობითა და დამაჯერებლობით იყო გაელენთილი და ექვსაც არ ბადებდა, ახსნა და გამართლება თუ დასჭირდებოდა როდისმე, არა სხვათა, არამედ თავად დეიდის თვალში: ისეთი შეგრძნება ჰქონია, თითქოს ისა და თავგადაბოტრილი ბიჭი არასოდეს არარსებულ საერთო ბუდისაკენ მიფრინავდნენ არარსებულ ცაში. მდღელვარებისგან სუნთქვაშეკრულს, გული გამოუთქმელი, გამოაგნებელი ნეტარებით ებერებოდა თურმე. ხან თითქოს ფსკუნჯი იყო და ეს თავგადაბოტრილი, განწირული ბიჭი ქვესკნელიდან ამოჰყავდა, ოლონდ, ზურგზე კი არ შემოესვა, როგორც წესია, როგორც ზღაპრებში წერია, ზურგში ჩაფრენოდა ბრქვალეებით, რადგან ბიჭს კი არ ეთ-

ხოვა, მიშველეო, როგორც ზღაპრებში ხდება, იმას მოეტაცა ბიჭი, რადგან მართო იმან იცოდა, გადასარჩენად რომ ჰქონდა იმ ბიჭს საქმე. ბიჭი კი პირიქით ფიჭრობდა, თუნდაც იმიტომ, ბიჭი რომ იყო, თვითონ რომ მართავდა მოტოციკლს და, რაც მთავარია, იქამდე განუცდელი, ჭეშმარიტი მამაკაცური სიამაყით გრძობდა, როგორ უსაზღვროდ ენდობოდა ეს შემთხვევითი თანამგზავრი, როგორი რწმენითა და იმედით ეტმასნებოდა მორკალულ ზურგზე და ისიც, თითქოს ზურგზე ცეცხლი წამიკლებიაო, კუდიანი ვარსკვლავით მიჰქროდა ზაფხულის დაბანგულ ბინდბუნდში, ნაპერწკლების ფრქვევითა და ყურისწამლები ღრიალით, თუხთუხით, ტაკა-ტაკით. დედისა კი, თბილი, უჩინარი ქარი სუნთქვას უკრავდა, თმას უწეწავდა, კაბაში უძვრებოდა და რალაცის, ისევ გაურკვეველის მოლოდინით დაძაბულ სხეულზე ელამუნებოდა, თამბი, თავხედი, სამური — აიძულებდა, აღეჭვა საყუთარი სხეულის სისავსე, სრულყოფილება, სილამაზე, შემადრწუნებელი სიცხადით ეგრძნო საყუთარი ბუნების იდუმალება და სიძლიერე, არამთლიანად, არასაიმედოდ დაფარული თხელი, მსუბუქი, ქარისათვის ადვილად ასაფრიალებელი, ადვილად შენადწევი ქსოვილით. „სოსო, სოსო, სოსო“ — ზედიზედ იმეორებდა ბიჭის სახელს გუნებაში, აღტაცებული, გაკვირებული, დამფრთხალი და მოხიზლული ამ სახელის ქღერადობით, უბრალოებით, სიზუსტით — თითქოს სახელი კი არ იყო, არამედ, ზედმეტი სახელი, დაკრძეული კი არა — შერქმეული, გარეგნობის, ხასიათის, ჩვევებისა და თვისებების საფუძველზე, შინ კი არა, გარეთ, სკოლაში, ქუჩაში. თავგადაბოტრილს, კისრისა და კეფის შესაყართან, უფრო გარკვევით ეტყობოდა პატარა ღრმული და რამდენი თვალში მოხედებოდა დეიდას, სიბრალულით გული მოეწეებოდა თურმე. ერთი სული ჰქონია, სახელი დაეძახა ბიჭისთვის, რადგან მთელი არსებითა

გრძნობდა, ამ სახელით სამუდამოდ დასაბედისწეროდ რომ იყო უკვე დაკავშირებული იმასთან, როგორც ხუფთია მეთევზესთან დაკავშირებული გადაყლაპული ანკესით. ამ უცნაური შეგრძნებით შეცბუნებულსა და გაოგნებულს, უნდოდა, თვალნათლივ დაწმუნებულიყო, მართლა რომ არსებობდა მათ შორის ამგვარი კავშირი, მაგრამ ეს ტკივილისწინა შეცბუნება და გაოგნება იყო, ტკივილი ჯერ არ დაწყებულიყო, და როგორც მოულოდნელად ჰვალგამჭდარ კაცს ეშინია ღრმად ამოსუნთქვისა, დეიდასაც ისე ეშინოდა თავგადაბოტრილი ბიჭის სახელის ხმამალა წარმოთქმა, თითქოს, როგორცკი პირიდან ამოუშვებდა, მაშინვე ურჩხულად გადაიქცეოდა და პირველ რიგში მას შთანთქავდა. ეშინოდა, უჭირდა, უძნელდებოდა, როგორც ბავშვს პირველი ნაბიჯის გადადგმა, ანდა, თვალნატყვის — თვალის გახელა. მოტოციკლი კი მიჰქროდა, მიტაკუნობდა, მიღრიალებდა. თავგადაბოტრილი ბიჭი ხანდახან უკან იხედებოდა და რალაცას უყვიროდა დეიდას, მაგრამ დეიდას არაფერი ესმოდა და ყრუმუნჯივით უღიმოდა პასუხად, ბიჭს კი არა, ბიჭის ზურგს, ბიჭის კეფას, გულისამაჩუყებელ ღრმულს კეფისა და კისრის შესაყართან. მოტოციკლის გრძელი სინათლის მეორე, შორეული ბოლო ჰერში ირწეოდა, თავს ახლიდა უკაცურსა და ჩათვლემილ გზას, ნაწილ-ნაწილ აღვიძებდა და ნაწილ-ნაწილ გამოჰყავდა წყვილიადიდან ჩამოღარული ფლატეები, მტვერშეფრქვეული ბუჩქები თუ გარინდებული კაკლის ხეები. მოტოციკლი კი მიჰქროდა, მიღრიალებდა, მიტაკუნობდა — თამბი, თავხედი, გამომწევევი, ხმაურიანი, დაუდგრომელი — მოსახვევი მოსახვევს ენაცვლებოდა და, სამწუხაროდ, ყოველ წუთას ახოვდებოდა სიღნაღი, ქვის ბუდე, ოღონდ, მათი საერთო ბუდე კი არა, მათი გამთიშავი, რადგან ყველაზე ნაკლებად სწორედ იმ ბუდეში შეეძლოთ ერთად ყოფნა. იმ ბუდის ბინადრებს თავისი სა-



კუთარი, ერთხელ და სამუდამოდ დაკანონებული წარმოდგენა ჰქონდათ ყველაფერზე და რაც დედისთვის იმ წუთის სულის გამოღვიძება, ვნებათა ჰიდილი და უღიადეს გრძობათა მარადიულობის კიდევ ერთი დადასტურება იყო, იმათ, შეიძლება, სასაცილოდაც არ ყოფნოდათ, ანდა, კიდევ უარესი, წარმოდგენელ უწყისობად, მომაკვდინებელ ცოდვად ჩაეთვალათ იმავე დედისთვის. ამიტომაც იყო ალბათ, ისევე შიშმა რომ წამოუარა, როგორცკი გალენის თაღში შეგრიადლა მოტოციკლი და ისე ღონივრად, გამეტებით ჩამოქაჩა ხალათის სახელო თავის თავგადაბოტრილ რაინდს, ლამის ჩამოაბია — გამიჩერე... გამიჩერეთ, უკვე მოვედიო — ჩასძახა ყურში და იქამდე გადმოხტა მოტოციკლიდან, ვიდრე მოტოციკლი საბოლოოდ გაჩერდებოდა. — დიდი მადლობელი ვარ თქვენიო — თქვა მშვიდად, უგულოდ, ხაზგასმული, თვალშისაცემი და ამიტომაც, დამცინავი თავაზიანობით. მაგრამ, ერთი წამით, მაინც შეყოვნდა უცებ, რადგან სწორედ ამდროს, ქუჩის ნათურის შუქზე შავად გაიელვა მოტოციკლის კრიალა, გაფუფულმა ბავშვმა და გაუაზრებლად დაწყდა რაღაცაზე გული, რაღაცა დაენანა, რაღაცა ეწყინა, თითქოს ძალით გადმოეცვათ მოტოციკლიდან. „თქვენბ თუ შენიო — უკითხავს ბიჭს. — ჩვენი მადლობელი ხარ, თუ ჩემიო“ — და დეიდას ახლა იმისთვის შეუხედავს სახეში, იმისთვისაც ერთი წამით, დაბნეულს, გაკვირვებულს, თითქოს ვერ მიმხვდარიყო, რას ეკითხებოდა ბიჭი, ანდა, თითქოს საერთოდ პირველად ხედავდა იმ ბიჭს. „ჩვენ ხომ უკვე ძველი მეგობრები ვართო“ — გაუღიმა ბიჭს სევდიანი, გულისამაჩუყებელი ღიმილით და დეიდაც მაშინვე, ელდანაცემივით, შეტრიალებულა, ლამის სირბილით დაშვებულა ცარიელ ქუჩაზე. „ნახვამდისო“ — დაუძახნია ბიჭს. „ნახვამდისო“ — გაუმეორებია დეიდასაც, ოღონდ, თავისთვის, გუნებაში, არც უკან მოუხედავს და არც ფეხი შეუწე-

ლებია. შავად მბზინავი მოტოციკლი კი ადგილზე თუხთუხებდა. ბურჯავდა და, ხანდახან, შეიღრუნდა: ცოდვითი თქოს ერთი სული ჰქონდა, როდის მოწყდებოდა მიწას...

## 9

ნასაყდრალთან მოკლული ყაჩაღის დამარხვა გიეკოლამ ჯერ კიდევ მოედანზე გადაწყვიტა, როცა ის (მოკლული), ცხენზე პირქვე გადაკიდებული ამოატარეს ქალაქზე, თავად კი, მხარზე ბარგადებული, ხალხის აღელვებულ, ატოტრმანებულ ზღვაში იდგა და მოულოდნელად მიღებული გადაწყვეტილებით გახარებული, გულუბრყვილოდ ფიქრობდა: მაშინვე თუ ვერ ვპოულობ, ამის მადლს მაინც ხომ მოვიკიდებო.

იმდენად იყო საკუთარი განზრახვით მოხიბლული, არც მისი აღსრულება მოსჩვენებია ძნელად, მით უფრო, იქ, მოედანზე, ხალხის ზღვაში ჩაქარგულს, როცა გარშემო ყველას ერთნაირად ეცოდებოდა ცხენის ზურგზე პირქვე გადაკიდებული ყაჩაღი და ყველა ერთნაირად განიცდიდა, დედამისისაც რომ არ ეცოდინებოდა იმისი საფლავი, თუკი, რასაკვირველია, საერთოდ ყავდა დედა.

გიეკოლა, პირველ რიგში, თავისთავად ცხადია, მილიციაში მივიდოდა და ყაჩაღის დამარხვის ნებართვას ითხოვდა, რაზედაც, მისი ღრმა რწმენით, მილიცია სიამოვნებითაც დათანხმდებოდა. თუნდაც იმიტომ, ზედმეტ საზრუნავს რომ აიცილებდა თავიდან. კაცის მოკვლა პატარა საქმე არ არის, მაგრამ კაცის დამარხვასაც ბევრი უნდა, გაცილებით ბევრი, ვიდრე ერთი შეხედვით შეიძლება მოეჩვენოს ამ საქმეში გამოუცდელ კაცს. გიეკოლამ კი, ღვთის წყალობით, ეს მაინც იცოდა, სხვა თუ არაფერი, ჯერ მარტო იმდენი საფლავი გაეთხარა საკუთარი ხელით, ერთ სიღნაღს დამარხავდა თავისუფლად.

მამის ძებნაზე, რა თქმა უნდა, არც მომავალში აიღებდა ხელს, მაგრამ მა-

მის მონახვამდე, ამ უცხო კაცს მიხედვად მამის სახელზე და მამამისსაც უფრო მიუვლიდა მისასვლელი. მაგრამ მოედანზე, აღელვებული, აფორიაქებული, აყაყანებული ხალხის ზღვაში დაწყობილი გეგმის განხორციელება არც ისეთი იოლი აღმოჩნდა ბოლოს — იმდენნაირი დაბრკოლების გადალახვა დასჭირდა, თავიდანვე რომ სცოდნოდა, იქვე, მოედანზევე აიღებდა ხელს ამ „გიჟურ“ განზრახვაზე — არ ყოფილა ჩემი საქმეო — იტყოდა თავიდანვე და, ბედსშეგუებული, დამშვიდებული დაბრუნდებოდა შინ. არადა, იმ საღამოს სული ამოართვა ცოლს — მე ასე ვადაწყვეტიე და შენც უნდა მომეხმარო — ეჩიჩინებოდა თავგამოდებული, რადგან მართლა სჭეროდა, უპატრონო მკვდრის ვაპატროსნება სამუდამოდ რომ ამოიყვანდა ორივეს ცოდვიდან და, რაც მთავარია, სხვებიც აღარ წაწყმდებოდნენ მათი მიზეზით. იმდენად იყო დარწმუნებული თავად ღმერთისგან რომ ჰქონდა ჩაგონებული ამის ვაკეთება, ბოლოს ცოლიც დაარწმუნა (თუკი, ჩვეულებისამებრ, არ თვალთმაქცობდა ის, ასე არ იშორებდა თავიდან), ცოლიც დაიყაბულა, ჭირისუფლად რომ დაუდგებოდა უპატრონო მკვდარს და იმას მიაგებდა, რაც უგულობისა და უხასიათობის, კი ბატონო, გინდაც, ახალგაზრდობისა და გამოუცდლობის გამო, ვერ მიეგო მამამთილისთვის. და მანაც უფოთვასა და ღელვაში გაატარა ის ღამე. ცოლს რომ ეგონა, როგორც იქნა ჩაეძინაო, სწორედ მაშინ წამოვდებოდა ხოლმე საწოლში, რათა ბედნიერი მიჯნურის მგზნებარებით, ვინ იცის მერამდენედ ეთქვა: აბა, მეტი რა ვართ, მეტი რა შეგვიძლია, ხორცი არ იჭმევა ჩვენი და ძვლიო.

წესიერად არც იყო გათენებული, მხარზე ბარგადებულმა და სახეგაბადრულმა, მილიციის კარი რომ შეაღო, მაგრამ, სამწუხაროდ, ლეიტენანტი ადგილზე არ დაუხვდა, ხოლო ულეიტენანტოდ ამ საკითხს, რასაკვირველია,

ვერავინ გადაწყვეტდა. „ერთი ფენით გაგასწრო“ — უთხრა მორიგე მილიციელმა. მაგრამ მეტიმაც რომ გაეხსწრო იმას, გიჟოლა მანაც უნდა დაწეოდა — რაკი ეთქვა, ბოლომდეც უნდა მიეყვანა საქმე, გადადება არ ივარგებდა, მით უფრო რომ, საქმე მკვდარს ეხებოდა და, არათუ ყოველდღეს, ყოველ საათსაც განსაკუთრებული მნიშვნელობა ჰქონდა. „საით წავიდაო“ — ჰკითხა მორიგე მილიციელს, თუმცა, საითაც არ უნდა წასულიყო ლეიტენანტი, მანაც უნდა ვაპკიდებოდა. „შინ წავიდაო“ — უთხრა მორიგე მილიციელმა. მერე უფრო დაკვირვებით შეხედა სახეში და დაამატა: თუ ცეცხლი არ გიკიღია, იქნება, აცალო გამოძინება, მთელი ღამე თვალი არ მოუხუჭავსო. „სწორედაც რომ ცეცხლი მიკიღიაო“ — რატომღაც გაიციინა გიჟოლამ. ოდნავადაც არ შეუფერხებია მორიგე მილიციელის გაფრთხილებას, პირიქით, გაუხარდა კიდევ, საქმეხარი და სადევარი რომ არ გაუხდა ლეიტენანტი, შინ რომ იყო, აქვე, ექვსიოდე სახლის იქით. ცოცხალი ადამიანი ნახევარი საათით ადრე დაიძინებდა თუ გვიან, არაფერი დაშავდებოდა, მკვდრის უპატრონოდ დაგდება კი, ერთი წუთითაც არ შეიძლებოდა. გარდა ამისა, ექვციც არ ებარებოდა, განზრახვას რომ მოუწონებდა ლეიტენანტი და, როგორი უძინარიც არ უნდა ყოფილიყო, უმაღლესაქმედა — გული გქონია, ადამიანი ყოფილხარო — ვიდრე უსაყვედურებდა — შინ რას მომივარდი, ძილი მანაც დაგეცლია, მკვდარი სად გაიქცეოდაო. თუ უსაყვედურებდა, შეიძლება, ის ესაყვედურებინა, წუხელვე რომ არ გაუმხილა თავისი გადაწყვეტილება, რის გამოც, იმ უპატრონო მკვდარმა თავისი სიკვდილის პირველივე ღამე ალბათ მართლმად გაატარა მილიციის გათოშის სარდაფში. ეს კი, გიჟოლას თვალსაზრისით, დიდი ცოდვა იყო და არა მარტო მისთვის, არამედ ყველასთვის, ცოცხლებისთვის საერთოდ. ასე ფიქრობდა გიჟოლა და ასე იმიტომ ფი-

ქრობდა, ცოტა სხვაზე მეტი რომ იყო-  
და მკვდრისა, მკვდრისგან რომ ჰქონდა  
გამწარებული მთელი ცხოვრება და,  
უპირველეს ყოვლისა, სწორედ მის  
მიმართ გამოჩენილი, თუნდაც უნებ-  
ლიე, უყურადღებობისა თუ გულგრი-  
ლობის გამო. ვინც არ უნდა ყოფი-  
ლიყო ნასაყდრალთან მოკლული კაცი,  
პირველ რიგში, ადამიანი იყო და,  
თუნდაც მხოლოდ ამიტომ, ასევე პი-  
რველ რიგში, ადამიანურად დამარხვას  
იმსახურებდა. აი, ასეთი ფიქრები უტ-  
რიალებდა ლეიტენანტის სახლისკენ  
მიმავალ გიეკოლას და, ამიტომაც, არც  
დროს დაგიღვედათ, არც გარემოებას,  
ანუ, სრულებითაც არ ერიდებოდა  
ძლივს ჩაძინებული კაცის ლოგინიდან  
წამოყენება. მაგრამ, საბედნიეროდ,  
ლეიტენანტი ეზოში დაუხვდა და, რაც  
მთავარია, არაფერი ეტყობოდა უძინა-  
რობისა და დაღლილობისა. წელსზე-  
მთ გაშიშვლებულიყო და კიბის  
უკან, მოფარებულში, შეშას აპობდა.  
კედლის გამწვრივ ლამაზად დაწყობილ  
შეშაზე მიკვდილი მისი ხალათი ცა-  
რიელ სახელოებს აფრიალებდა. ეზო  
თეთრი ნაფოტებით იყო მოფენილი.

ორივეს გულწრფელად გაუკვირდა  
ერთმანეთის დანახვა: გიეკოლას ლეი-  
ტენანტი ლოგინში ეგულებოდა, ხო-  
ლო ლეიტენანტი ეკვდაც ვერ იაზრებ-  
და, რა საქმე შეიძლებოდა ჰქონოდა  
იმასთან გიეკოლას, თანაც ასე საჩქა-  
რო, ასე გადაუღებელი.

— გამარჯობა, კოლა, საით გაგიწე-  
ვია?! — დაასწრო სალაში, უნებლიედ  
აღელვებულმა, და, ცულის ტარზე და-  
ბჯენილი, დაკვირვებით მიაჩერდა მხა-  
რზე ბარგადებულ, ქარისაგან უშნოდ  
გაჩეჩილსა და მაინც ხალისიანად თავ-  
აღერილ გიეკოლას, გამაღებელი რომ  
მოაბიჯებდა მისკენ.

— შენთან მოვდივარ, როლანდ, გა-  
გიმარჯოს, შენი კარგი გულის ამბავი  
რომ ვიცი. — თქვა გიეკოლამ და შო-  
რიახლოს გაჩერდა.

— მობრძანდი... კი ბატონო... შინ  
შევიდეთ... — კიდევ უფრო აღელდა

ლეიტენანტი და შეშაზე დაგდებულ  
ხალათს დაწვდა.

— არა, კაცო, შინ რა გგინდება აქვე  
გეტყვი. — გაიცინა გიეკოლამ, ვითომ,  
ამდენ შეწყუბებად არ ღირს ჩემი სათ-  
ხოვარიო.

— ბრძანე, კოლა, ბრძანე. — იო-  
ლად დაყაბულდა ლეიტენანტი, რად-  
გან, თვითონაც რომ არ ელოდებოდა,  
ისე გააკვირვა და აღელვა გიეკოლას  
გამოცხადებამ. თავიდანვე არ ესიამო-  
ვნა იმის დანახვა, მართალია, ბრძანდ,  
გაუაზრებლად, უსაფუძვლოდ, მაგრამ  
მაინც გუშინდელი ამბავი გაახსენდა  
რატომღაც და — ესეც გამოკითხვას  
დამიწყებსო — წინასწარ შეიშინა თა-  
ვი. გარდა ამისა, გუშინდელი დღისა  
და წუბანდელი ღამის შემდეგ, ალარა-  
ფრად ვარგოდა — არც მასპინძლად,  
არც მჩრეველად, არც მშველელად —  
ნერგები ისედაც დაწყვეტაზე ჰქონდა  
და, ადვილი შესაძლებელი იყო, იოლად  
დაეკარგა წონასწორობა, უხეშად მო-  
ეშორებინა თავიდან დაუპატიებელი  
სტუმარი, ანდა, კიდევ უარესი, ლამა-  
რაკში აპყოლოდა. მაგრამ არც ის იყო  
გამორიცხული, გიეკოლას რაღაც სცო-  
დნოდა, მისთვის საინტერესო, გუშინ-  
დელთან დაკავშირებული, სულაც ვი-  
ნაობა ნასაყდრალთან მოკლული კა-  
ცისა. ასე რომ, თვითონ კი უკვირდა,  
რა მალეღვებო, მაგრამ სრულებითაც  
არ იყო გასაკვირი ეს ამბავი, რამდენ-  
ნადაც საქმარისზე მეტი მიზეზი არსე-  
ბობდა ერთი კაცის ასაღელვებლად.

— აი, კაცო, გუშინდელი ამბავი...  
— დაიწყო გიეკოლამ და შეყოვნდა,  
შეფერხდა, შებორძიკდა, ველარ გაა-  
გრძელა სათქმელი, თუმცა, გუშინდ-  
ლიდან, იმდენჯერ გაემეორებინა გუ-  
ნებაში, იმდენაირად გადაეღაგ-გად-  
მოელაგებინა, ეგონა, უთქმელადაც გა-  
უგებდნენ, პირველსავე სიტყვაზე ყვე-  
ლასათვის ნათელი გახდებოდა, თუ რა  
ღვთისნიერი საქმე განეზრახა. ახლა  
კი გაოგნებული იდგა, პირზელიმილ-  
შეყინული, და აღარ ახსოვდა, რისთვის  
რა მოეყოლებინა.

— ხო, ცუდი ამბავი მოხდა, მართა-

ლი ხარ. — მიეხმარა უარესად გულ-  
აფრიალებული ლეიტენანტი. ცულის  
ტარი ბარძაყზე მიიყუდა, შეშებზე მი-  
გდებული ხალათი აფრიალებული სა-  
ხელოთი დაითრია და სწრაფად გადა-  
იცვა.

— რას იზამ, მოხდა. — თქვა გიჟ-  
კოლამ ფიქრიანად. — უარესიც ხდება  
ამ დალოცვილ დედამიწაზე. — დაამა-  
ტა ცოტა ხნის მერე, გეგონებოდათ,  
სამძიმრის სათქმელადაა მოსულიო.

ერთი წამით, ასე იფიქრა ლეიტე-  
ნანტმაც და მხოლოდ მაშინდა გაახსენ-  
და, ამ თმაწვერგაჩეჩილ, ზურგზე პე-  
რანგგამობერილსა და მხარზე ბარგა-  
დებულ კაცს მთელი ქალაქი გიჟს რომ  
ეძახდა. რასაკვირველია, გიჟსაც შეიძ-  
ლებოდა სცნობოდა ყაჩაღი, მაგრამ  
იმის სიგიჟე ერთი წამითაც არ უნდა  
გამორჩენოდა მხედველობიდან თავად.  
ამიტომაც იყო, გაწბილების მაგვარი  
გრძნობა რომ დაეუფლა უცებ და პი-  
რველად შეხედა სტუმარს მშვიდი, გა-  
ნურჩეველი ცნობისმოყვარეობით.

მისი სტუმარი კი მარადიულ მგზავ-  
რსა გავდა, რაღაცის საკითხავად თუ  
რაღაცის სათხოვნელად შეყოვნებულს  
ერთი წუთით, თვითონაც რომ აღარ  
ახსოვს, საიდან მოდის და საით გაუ-  
წევია, უკვე სულერთი რომაა იმისთ-  
ვის, სად აღმოჩნდება ხვალ, ანდა, თუ-  
ნდაც, ერთი საათის შემდეგ, და თუკი  
მაინც არ ანებებს თავს ამ უაზრო,  
უმიზნო ხეტიალს, მხოლოდ იმიტომ,  
უკვე ცხოვრებაც რომ აღარ შეუძლია  
სხვანაირად — ინათებს თუ არა, დაუ-  
ნანებლად მიატოვებს ერთი ღამის თავ-  
შესაფარს — ნესტიან თბრილსა თუ  
ეკლიან ბუჩქნარს, დამპალი თივის  
ზეინსა თუ აქოთებულ ნასაყდრალს —  
და მხარზე ბარგადებული, თმაწვერგა-  
ჩეჩილი, თავისთვის აბუზლუნებულნი,  
სამოთხიდან გამოძეგებული ღმერთი-  
ვით, მიდის, მიდის, ვიდრე შეუძლია,  
ვიდრე ერთხელ კიდევ დაუღამდებო-  
დეს.

გიჟს კი იმიტომ ეძახიან, მამის საფ-  
ლავს რომ დიქძებს სულ. აჩემებული  
აქვს თუ ვერ ვიპოვე, ყველანი წაეწყმ-

დებითო. ღამის მთელი კახეთი გადა-  
თხარა უკვე, მაგრამ, ჭერჭერობით,  
უშედგოდ, მამის კუბოს ნასახსაც ვერ  
მიაკვლია ვერსად. ამბობენ, ცოლმა  
დაუმალაო. ვითომ, უეჭვიანია მკვდარ  
მამამთილზე, იმას მეტ ყურადღებას  
აქცევს ჩემი ქმარი, ვიდრე მეო, და  
საერთოდ მოუსპია, გაუქრია იმისი  
კვალი. ჭერ საფლავეზე გასვლას უშლი-  
და თურმე ქმარს — მკვდარს თავი გა-  
ანებე, ცოცხლებს მოგვხედე, თუ რამე  
შეგიძლიაო. ჩვენში რომ ვთქვათ, არა-  
ფერს ამბობდა ახალსა და უჩვეულოს,  
რასაც სხვა ცოლები არ იტყოდნენ, და  
გიჟკოლსაც, ძალაუნებურად, ცოტათი  
მოუკლია მკვდარი მამისთვის ყურად-  
ღება: ერთხელ მართლა არ გასულა სა-  
ფლავეზე, მეორედ სანთელი არ აუნთია,  
მესამედ საკურთხი დავიწყანია — უფი-  
ქრია, მაინც მამაა, გამოიგებს, მამატი-  
ებსო, მაგრამ, ერთ მშვენიერ ღამეს,  
თავად მკვდარი მამა დასდგომია თავ-  
ზე: კი აილე ჩემზე ხელი, მაგრამ ად-  
გილი მაინც გამომიცვალე, აღარ შემი-  
ძლია, წყალში ვწევარო. გიჟკოლა, და-  
ფეთებული, გაოგნებული წამომქდარა  
საწოლში და ცოლი გაუღვიძებია: ადე,  
კრაქი წამოიდე, მამაჩემი უნდა ამოვ-  
თხაროო. პირველად მაშინ უფიქრია  
ცოლს, ხომ არ ვაგიჟდაო, რადგან იჭა-  
მდე საესებით ჩვეულებრივი ადამიანი  
ყოფილა — დამქერი, თვინიერი,  
მშრომელი და, რაღა თქმა უნდა, არც  
გიჟს ეძახდა ცინმე. ის კი არა, ხატვაც  
ებერხებოდა თურმე — დააყენებდნენ  
კედელთან, აუხვევდნენ თვალს, ხელ-  
ში ცარცის ანდა ნახშირის ნატეხს ჩა-  
უღებდნენ და იმასაც ხან სააღდგომო  
ბატკანი გამოჰყავდა კედელზე, ხან  
კლდაპრეხილი ქალთევზა, ხან კი, ნის-  
კარტებით გადაბმული, წყვილი მტრე-  
დი (ერთს მიმატების ნიშანს დაუსვამ-  
და თურმე, მეორეს — გამოკლებისას,  
ვითომ, ერთი დედალია, მეორე კი მა-  
მალიო). ვერაფრით რომ ვერ დაუმშ-  
ვიდებია სიზმრით შეშინებული ქმარი,  
ცოლს უფიქრია, წაეყვები და სანამ სა-  
საფლაოზე გავალოთ, გადაუკლის, აბა,  
რა იქნებაო, სულთა ჰაერი მაშინვე გა-

მოაფხიზლებსო. გასულან სასაფლაო-ზე. ცოლს ჭრაქი სჭერია ხელში, ქმარს — ბარი (მერე აღარც გაუგდია ის ბარი ხელიდან). ცოლი ყვება, შიშისაგან ლამის სული ფეხებში გამპარვოდაო. მართლაც, როგორი საქმეა, შუალამისას სასაფლაოზე გასვლა, თანაც გიეკოლას თანხლებით?! ზოგ საფლაოზე თურმე ცეცხლი ენთო და საფლავიდან ამოსული მკვდარი ზედ ხელებს ითბობდა, მაგრამ იმათ ფეხის ხმაზე, უსიამოდ იმზირებოდა და, ცეცხლიანად, ისევ საფლაოში იმალებოდა. ვირთხასავით, თავით ხტებოდა შავად პირდაღებულ საფლაოში — ყვება გიეკოლას ცოლი. მოკლედ, ერთი სიკვდილი გაუთავებია, ვიდრე მამისა და მამათილის საფლაოთან მისულან. თვითონაც მკვდარი ყოფილა, ოღონდ, დაუშვარხავი, დამარხვალა ჰკლებია მხოლოდ (რა ცოტა რამე ჰკლებია იმასაც! დამარხვავა სწორედ ძნელი, თორემ, სიკვდილს რა უნდა, ტყაპა-ტყუპით იხოცება ხალხი). გიეკოლას მამის საფლავი გაუთხრია, თან თხრიდა, თან ტირიდა თურმე, მამი, მოვდივარ, ნუ გეშინიაო. ცოლი ჭრაქს უნათებდა და, რასაკვირველია, ისიც ტირიდა: რას სჩადი, აღამიანო, გონს მოდი, სად გაგონილა მკვდრის შეწუხებაო. არც მკვდრის დაიწყება გაგონილაო — აფთარივით უდრენდა თურმე, ბარზე დახრილი გიეკოლა ქვემოდან. თავზე მთვარე დანათოდათ, ვარსკვლავები გაფაციცებულნი ჩამოსცქეროდნენ თავიანთი მიუწვდომელი, წაუბილწავი სიმაღლიდან. ქვეყანას კი ეძინა, არავის ეცალა იმათთვის. გაუთხრიათ საფლავი და კუბო, მართლაც, სანახევროდ წყალში მდგარა. აგე, დარწმუნდი, ნახე შენი თვალთო — ამოუძახნია გიეკოლას ცოლისთვის მამის საფლავიდან. მაგრამ ვერც ახალ საფლავს შესჩევია მამამისი, ისევ გამოსცხადებია სიზმარში შვილს და ისევ შეუჩივლია: ცოლიც კარგია, ოჯახიც, მაგრამ მეც მომხედეთ ხანდახანო; მზე არ მადგება სრულებით, ყინულის ლოდთა ვარქცეულიო. გიეკოლასაც ისევ წამოუტ-

დია ლოგინიდან აბუზღუნებული ცოლი, ისევ უტაცნია ბარისთვის ხელი და ისევ გადაუსვენებია მამის ჭირვეული ცხედარი. მაგრამ ერთი თვეც არ ყოფილა გასული ამ ამბიდან, ისევ რომ დასდგომია თავზე მკვდარი მამა და უსაყვედურებია: ასე როგორ უნდა დაგიმონოს ცოლმაო, რა დაგიშავეთ ასეთი, ამ სატანჯველში რომ ჩამადგეთო. რა სატანჯველი, რის სატანჯველიო — დაბნეულა, დამფრთხალა გიეკოლა. რა სატანჯველიო და, შენმა ცოლმა გველის ბუდეში ჩაგადგმევინა ჩემი კუბოო, გველები მჭამენო. საწყალ გიეკოლას ერთი ისეთი დაუბღავლია ძილში (კიდევ კარგი, მაშინ ჭერ ისევ ბათუმში იყო ნიკო), მთელი სიღნაღი გარეთ გამოფენილა. გიეცი იმ დამეს შეურქმევითა, თუმცა, ცოლის გარდა, სხვებსაც დაუფრთხვებიათ (ამჭერად, სხვების წაჭყოლიან სასაფლაოზე). გიეკოლას მამის კუბო მართლა გველებში რომ მდგარა. ნახევარიც ვერ დაუხრცავათ. ასისინებულნი, ჯაგარაშლილნი (განა გველს ჯაგარი აქვს?!), კბილებდაკრეჭილნი ამოცვენილან საფლავიდან. მერე ომი დაწყებულა და გიეკოლაც გაუწვევიათ. იქ მოგიყვანენ ჭკუაზეო — მისძახოდა თურმე ცოლი. მაგრამ ომიდან კიდევ უფრო გაგიყებულა დაბარუნებულა — მამა დამეკარგაო — მოთქვამდა თურმე ხმით, მოტირალი ქალივით. მართლაც, გაუთხრიათ საფლავი და აღარაფერი დახვედრიათ შიგ — არც ფერფლი, არც ნაცარი. მას მერე ასე დადის, მხარზე ბარგადებული, მამის ერთგული, დაუზარელი, მარადიული მესაფლავე. ბარის განუწყვეტელი ხმარებისგან, ხელისგულებზე კოვრები აქვს გაჩენილი. თუ ვერ ვიპოვე, წაეწყდებით ყველანი, დაილუბება ქვეყანაო — ჩივის საგონებელში ჩავარდნილი, სულის ძირამდე შეწუხებული. დაინახვენ თუ არა, აუცილებლად უნდა ჰკითხონ სიღნაღელმა ლაზლანდარებმა, იპოვე თუ ვერაო. აჰამბულბენ, დასცინიან, თავს ირთობენ: როგორც გინდა იპოვე, შენს

გამო, ჩვენც რატომ უნდა ჩაეცივდეთ ჯოჯობეთში — საყვედურობენ, ტუქსავენ ყასიდად. ის კი გულწრფელად განიცდის, შფოთავს, იტანჯება, ერიდება ხალხისა, მართლაც, რატომ უნდა დაისაჯონ ჩემი უყურადღებობის გამო და, როგორც შეუძლია, ებოდიშება, ამწვილებს, პირობას აძლევს თანამოქალაქეებს და, თქვენ წარმოიდგინეთ, (რა თქმა უნდა, კეთილი განზრახვით), ატყუებთ კიდევ — არხეინად იყავით, დედამიწაში გავივლი და მაინც ვიპოვიო; მამაა, ბოლოს და ბოლოს, ჭინძისთავი ხომ არ არისო. აძლევთ გალაზღანდარების საშუალებას და ისინიც ალაზღანდარებენ. ზამთარ-ზაფხულ თავშიშველი, გულგაღვლილი დადის. ჯერ კეთილია, მაგრამ გულმუცელზე მაინც გაუქადარავდა ბალანი, გაუბედავად შეაყოცდა თითქოს სიბერე. ვაი, შენ ჩემო თავო — მუშტს მიირტყამს ხოლმე საფეთქელზე. რომც არ იცნობდეთ, მაინც იტყვიან გოგიაო. ერთდროულად, გლახასავით საცოდავიცაა და ავაზაკვით საშიშიც. სიგჟე აღონიერებს — სულ აღვზნებულა, ცმუკავს, წრივალეებს... მაგრამ კარგად თუ დააკვირდებით, ღრმად შიგნით, ამღვრეული თვალების ფსკერზე, სხვა კილოცაა — დაქანცული, მოტეხილი, დასვედიანებული, გაბითურებული, დამფრთხალი, სასოწარკვეთილი. თვითონ ამბობს, გიყი კი არა ვარ, ჯოჯობეთის მეშინიაო, მამის დამკარგავს, ღმერთი არ შემიწყალებსო, არადა, სიკვდილშიც თუ არ დაისვენა ადამიანმა, როგორ უნდა გასძლოს, ანდა როდემდე გასძლებსო. ნიკონათს განსაკუთრებულად უყვარს მისვლა. კარგად მღებულობენ იქაო — იტყვის ხოლმე ამაყად. თუმცა, იმის მოსვლა და დედის შინიდან გაქცევა ერთია, ოღონდ, თვითონაც ვერ გაურკვევია, რა მიარბენინებს, შიში თუ სიბრალული, რადგან გიყკოლას, თავის დღეში არავისთვის არაფერი დაუშავებია (თუმცა, ერთხელ ნიკოც დაფრინა პარკის აუზიდან — პარკის დარაჯად მუშაობს შეთავ-

სებით — მაგრამ პარკსა და აუზს კი არ უფრობილდება, ბევრებმა არ აუტეხონ რამე თავსო). მიიჩნევენ სუკამს აივნის მოაჯირთან, მოაჯირზე მკლავს ჩამოდებს და იჯდება ასე, თვალგამტერებული, რალაცას მიჩერებული ეზოს სიღრმეში. ზის და ფიქრობს თავისთვის. მერე ადგება, მადლობას გადაუხდის მასპინძლებს, „კარგი მიღებისთვის“, თავის პირაპირალებულ ბარს ისევ მხარზე გაიდებს და წავა, დაკარგება კარგახნით. მშრალი ოფლისა და გამოფიტული მიწის სუნს დატოვებს აივანზე. ეგ არის და ეგ, მთელი მისი სტუმრობა. უჯანასკნელად, სადღაც, უკრიანსა თუ ბელორუსიაში, სანგრის ფსკერზე ჩათვლემილს გამოსცხადებია მამა და უთქვამს: შენ აქ ომობ, მე კი უპატრონობით გავმწარდიო; რაც წახვედი, არც ჰქია ამგებია და არც ჯამიო; სანთელი რომ სანთელია, ისიც აღარავის აუნთია ჩემს სახელზეო; დამადლებულ ლუკმას მიჩვენია, აქ მსახურად დაუუდგე ვინმეს, მაგრამ ჩემი დავიწყება ხეირს არც თქვენ დაგაყრითო, აგერ ნახავთ, უჩემოდ, რა შორს წასწევთ ცხოვრებასო. გიყკოლას მაშინვე დაუპირებია დაბრუნება, უთქვამს კიდევ თავისი უფროსისთვის, ასე და ასეა ჩემი საქმე და უნდა გამიშვა, მერე გვიან იქნებო, მაგრამ ვინ გამოუშვებდა იმ გაგანია ომიდან. ნელზიაო, გიყს დაგიძახებენო — აუხსნია უფროსს. გიყს ისედაც მეაზიანო — გასცინებია გიყკოლას მწარედ. მაინც ნელზიაო, ესეიგი, არ შეიძლებო, დაეტიე სადაცა ხარ, თორემ, საგიეთი სანატრელი გავიხდებო — გაბრახებულა უფროსი. ომის დამთავრებამდე გიყკოლას თვალს ძინელი აღარ მიჰკარებია თურმე, მაგრამ ტრიბუნალზე შეტად, მამის გამოცხადებისა შინებია, რა ვუთხრა, რა პირით შევხედოო, და, მართლაც, როგორ ეთქვა მკვდრისთვის, ახლა ისეთი დროა, შენთვის აღარავის სცალიაო, ჩვენ თუ ვითმენთ, შენც როგორმე მოითმინე უწყლობაც, უქმელობაც და უსინათლობაცო. დაბრუნებულა თუ

არა ომიდან, ცოლი მიუსიკვდილებია — ასე რამ გაგიქვავა გული, მკვდარი როგორ გამოიქცე, შე არაადამიანო. იმის შერე, ასე მხარზე ბარგადებული დადის და დაეძებს მამის ცხედარს...

ლეიტენანტი. გამალებული იკრავდა ხალათის ღილებს. წელან, ვიდრე შეშას აპობდა, სცხელოდა კიდევ, ახლა კი ერთიანად აეტანა სიცივეს. ცალ მუხლზე ჩაიჩოქა და დაპობილ შეშას დაუწყო მოგროვება, იქნება, ასე მაინც ეგრძნობინებინა გიეკოლასთვის, მთლად უსაქმოდ რომ არ იდგა დილაუთენია ეზოში და იმასაც, გიეკოლასაც, თუკი მართლა ჰქონდა რამე სათქმელი, დროულად გამოეწერა. მაგრამ მოთმინება არ ეყო, მკლავზე დაწყობილი შეშა ისევ მიწაზე დაჰყარა, წამოდგა და ჰკითხა: რა იყო, კოლა, რა გაგვირევიებო?! —

— როლანდ, ჩვენი ბიჭი ხარ, ნუ გამაწბილებ... — აღელდა უცებ გიეკოლა.

— ჯერ თქვი, შე დალოცვილო. — ნაძალადევად გაუღიმა ლეიტენანტი.

— ის კაცი უნდა დამითმო. — მიხალა გიეკოლამ პირდაპირ. — დავმარხავ, მოვეუღლი. რაც მამაჩემს დავაკელი, იმას გავუქეთებ. კაცი არ ვიყო, თუ სანიმუშოდ არ მოვეუარო. იქნება, მოდიოდეთ და ცქერით ტუბებოდეთ... — დაამთავრა ფაცა-ფუცით, ბედნიერების ღიმილით სახეგაბადარულმა.

ლეიტენანტი მამინვე მოეშვა გულიდან გაურკვევლობის ბასრი ბრჭყალეები. ერთბაშად დაცხრა და დამშვიდდა. მაგრამ, მეორე წუთას, თვითონაც რომ აღარ ელოდებოდა, ისე გაღიზიანდა უცებ, ალბათ მოლოდინის გაწბილებისთვის, არასწორი ვარაუდისთვის და, ცოტა არ იყოს, უხეშად შეუყვია სათხოვნელად მოსულ გიეს: გეკადრება, ამხნის კაცსაო?! —

— ჯარში მაინც არ იყო ნამყოფი. — დაამატა გაგულისებულმა.

— რა ვთქვი, კაცო, ამისთანა?! — დაფრთხა, დამბნა გიეკოლა და, რატომღაც, ბარი შეათამაშა მხარზე, თითქოს სწორედ არ ედო და გაისწორა.

თან, დაეჭვებული ნადირის სიმარტით, ეზო მოათვალეირა, თითქოს მის ნათქვამს კი არა, ვილაცის მოულოდნელ გამოჩენას გაელიზიანებინა ლეიტენანტი და თვითონაც იმ ვილაცის აღმოჩენას ცდილობდა.

— არც იფიქრო. — მოუჭრა ლეიტენანტი მკაცრად. — არ შეიძლება. — დაამატა ცოტა ხნის შემდეგ, უფრო რბილად, შემრიგებლურად. — ჩვენს ნებაზე ხომ არ არის... სახელმწიფო სწყვეტს ამ ამბავს. — განუმარტა, შეძლებისდაგვარად, ნაკლებად რომ სტკენოდა გიეკოლას გული და, რაც მთავარია, ნაკლებად დაედანაშაულებინა იგი. — შემო, თითო რალაცა გადაეკრათ... დილისა. — დაამატა გულწრფელად, მაგრამ ისევ მოულოდნელად გაღიზიანებულმა, რადგან ფეხშიმე ცოლის შეწუხებული სახე დაუდგა უცებ თვალწინ და იმის ძალად განაზებული ხმაც ჩაესმა: სადა მაქვს, როლანდ, სტუმრის თავი, ამ დილაუთენია?! იქითა ვარ მისახედი...

მაგრამ გიეკოლას არც გაუგია ლეიტენანტის დაპატიებება — თავადერილი იდგა და კას ასცქეროდა. ჭარსაც არ აქცევდა ყურადღებას. ჭარი კი, ხან თმას უჩჩავდა, ხან მხარზე გადებულ ბარზე ეკონწიალებოდა, ეთამაშებოდა, გაცეკვებული ბავშვივით. ის კი, გაოგნებული იდგა და კას ასცქეროდა, თითქოს ციდან ელოდებოდა ახსნა-განმარტებას და, მართლაც, ცაში თუ არა, სადღა გააკვევდა, რატომ უხდებოდა ნებისმიერ ღვთისნიერ საქმეს ამდენი წინააღმდეგობის გადალახვა მიწაზე.

— ეგ რა მითხარ, კაცო. — თქვა ბოლოს. — წავწყდებით, მე და ჩემმა ღმერთმა, და ახიც იქნება ჩვენზე. — მუშტი გამეტებით მიირტყა საფეთქელზე. — დამარხულისთვის ვერ მოგვივლია, დასამარხი ვერ დაგვიმარხავს. — ჩაიბურტყუნა თავისთვის, თითქოს უცებ დამცხრაღმა, ფარ-ხმალ დაყრილმა.

ეზოდან ისე გადავიდა, არცკი დამშვიდობებია ლეიტენანტი, იმიტომ კი

არა, გაბრაზებული რომ იყო იმაზე, უბრალოდ, აღარ ახსოვდა იგი, უფრო სწორედ, აღარ ჰქირდებოდა. პირიქით, ლეიტენანტი ზედმეტად იყო უკვე მისთვის და, ამდენად, ხელისშემშლელიც, რადგან ლეიტენანტთან საუბარმა განზრახვებზე კი არ აღებინა ხელი, მოედანზე, ხალხის ყაყანში ნაჩქარევად შედგენილი გეგმის შეცვლა აიძულა მხოლოდ. ახლა კიდევ უფრო მტკიცედ ჰქონდა გადაწყვეტილი, არ დაეხია უკან და, რაკი წესიერი, კანონიერი გზით არ ხერხდებოდა მისი ღვთისნიერი განზრახვის აღსრულება, თუნდაც, უწესო, უკანონო გზით აღესრულებინა იგი. მთელი ის დღე მხოლოდ ამაზე ფიქრობდა, მაგრამ მარტო გადაწყვეტილების მიღება, რა თქმა უნდა, არ კმაროდა, მთავარი მაინც ის იყო, თუ რამდენად შესაბამებოდა გადაწყვეტილება მის შესაძლებლობებს, ანდა, პირიქით, ანუ, მარტო, სხვათა დაუხმარებლად, უფრო ზუსტად კი, მიუხედავად სხვათა წინააღმდეგობისა, მოახერხებდა თუ ვერა, ამ გადაწყვეტილების აღსრულებას. მილიციიდან, გვამის კი არა, ქალაქის სამაგრის მოპარეაც წარმოუდგენელი სიძნელე იყო და, არათუ მარტო მისთვის, გამოცდილი, თავზეხელაღებული ქურდისთვისაც, მაგრამ სხვა გზა ნამდვილად არ არსებობდა, ვერც ჩიტად იქცეოდა, გისოსებიანი სარკმლიდან რომ ჩაფრენილიყო მილიციის სარდაფში და ვერც მიწისქვეშა ხერხელის გათხრას მოასწრებდა, რადგან, რაც არ უნდა დაოსტატებული ყოფილიყო ამ საქმეში, ხერხელის გაყვანამდე, მკვდარს ათჯერ მაინც გადაგზავნიდნენ თბილისში. მოკლედ, ამგვარი, ყოვლად უჩვეულო და ყველანაირად შემადრწუნებელი ფიქრებისგან, ლამის თავი ვახეთქვოდა. ცოლის ხილბანდიც წაიჭირა თავზე, მაგრამ შეება მაინც არ უგრძენია. ცოლიც, რაც შეეძლო, ამშვიდებდა, აფხიზლებდა, აბრუნებდა მიწაზე, მაგრამ უშედეგოდ, აღარაფერი აღარ არსებობდა იმისთვის, გარდა მილიციის სარდაფში ჩაყვანილი გვამისა და საყუ-

თარი განზრახვისა: როგორმე ჩაეგდო ის გვამი ხელში და ადამიანურად დაემარხა, როგორმე კი არა, უსრკელილოდ, რადაც არ უნდა დასჯდომოდა.

ასე, გაუნელებელ შფოთვისა და გულსხეტქვაში, გაიარა დღემ. მაგრამ ღამე კიდევ უფრო ძნელი გასაძლები აღმოჩნდა. ლოგინში კი ჩაწვა, მაგრამ უნებლიედ, ჩვეულების, წესის გამო, როგორც ქათამი იბუღებს ხოლმე საქათმეში, დაღამებისთანავე. დაძინება არც უცდია და თვალს თუ ხუჭავდა, მხოლოდ იმიტომ, უკეთესად რომ ეფიქრა. „სხვა გზა არა მაქვსო“ — შესჩიოდა ხშირ-ხშირად ცოლს, თითქოს ცოლი განზრახვას თუ მოუწონებდა და მხარში ამოუდგებოდა, არათუ შეჩბილდებოდა ჩასადენი დანაშაული, ჩასადენიდაც უფრო ადვილი გახდებოდა. მაგრამ ცოლს იმის ხმის ვაგონებაც აღარ უნდოდა, აღარაფერი აღარ უნდოდა, თავს თუ გაანებებდა საერთოდ. შამფურით ტრიალებდა აწეწილ, გაუხეშებულ, გაუგებურებულ ლოგინში და თავებდს იწყველიდა.

შუალამე გადასული იყო, დაფეთებული რომ წამოვარდა გიეკოლა საწოლიდან, საგუშაგოზე ჩაძინებული ჯარისკაცივით, და მგზნებარედ შესძახა: თუ ღმერთს უნდა, ვერაფერი დამიდგება წინაო. მის ცოლს, ეტყობა, მაინც მოეხერხებინა დაძინება და, ამჯერად, ქმრის ხმა ჩაესმა მხოლოდ, უაზრო და უშინაარსო, ნებისმიერ ღამეულ ხმასავით. პირი გააწყლაპუნა და ნელნელა, ოხვრითა და კრუსუნით, იცვალა გვერდი ლოგინში. გიეკოლა კი უკვე მილიციისკენ მიამიჯებდა, მხარზე ბარგადებული და თმაწვერგაჩვილი. ცარიელ ქუჩებში ქარი დამლიგინებდა მხოლოდ. ქალაქს რახანა ეძინა, თავის ბავშვებიან-ბებრებიან-სნეულებიანად.

უცებ, გიეკოლას ზურგს უკან ვიღაცამ გადაიხარხარა და გიეკოლა ელდინაცემი შემობრუნდა. ქარმა კი, ამასობაში, დრო იხელთა და, მოუხერხებლად გაჩერებულს, ბარი გადაუგდო



მხრიდან. ბარის პირზე უსიამოდ გაიწკრიალა ქვაფენილზე და ნაპერწკალი გაჰყარა. გიეკოლამ შეიგინა და ბარი ისევ მხარზე გაიღო. ქუჩა ცარიელი იყო, მხოლოდ ქუჩის ხეები ყრუმუნჯებით უხმოდ სცემდნენ ერთმანეთს შიშველი, გაფშვილი ტოტებით. მაგრამ გააგრძელა თუ არა გიეკოლამ გზა, ზურგს უკან ისევ გადაიხარბარა ვილაცამ და დაუყვირა: სად მიიპარები, შე მართლა გიეკოო. მალე იმ ვილაცას სხვებიც აჰყვნენ და ახლა მთელი ქალაქი მოჰყვიროდა თითქოს: დაიჭირეთ, არ გაუშვათ, გიეკოო. გიეკოლაც, უნებურად, ფეხს უჩქარებდა, თითქოს მართლა მოსდევდა ვილაც, და მილიციასთან უკვე გულამოვარდნილმა მიიჩინა, ფეხიც არ შეუწელებია, არც დაფიქრებულა, როგორ ვქნა, როგორ შევიპარო უფრო შეუძნეველადო და, კი არ შევიდა, შევარდა მილიციაში, დევნილი ნადირი რომ შევარდებდა სოროში, და როგორც მალე გამოირკვა, არც არაფერი სჭირდა თურმე საჭოჭმანო — მორიგე მილიციელი (ან გრძელო, ან ნესვა, ან არამინდარა, თუ ისევ უფარაანთ გიორგი არა), მაგიდაზე გადამხობილიყო, სახე საკუთარ ხელზე დაედო და ეძინა. თავით ტელეფონი ედგა, ლოდივით კუშტი და მღუმარე, და ერთი შეხედვით, ძნელი დასაჭერბელიც იყო, ის ტელეფონი ზარივით რომ წკრიალებდა და კაცივით ლაპარაკობდა.

გიეკოლამ ცოტა ხანს უყურა მორიგე მილიციელს, აბა, გაიღვიძებს თუ არა, მერე კი შებრუნდა და სარდაფსკენ წავიდა, თამამად თავადერილმა გაიარა საკმაოდ გრძელი დერეფანი და უშეცდომოდ მიადგა საჭირო კარს, თითქოს, სულ ცოტა, კვირაში ერთხელ მაინც უწევდა იქ ჩასვლა. სარდაფის კარს დიდი ბოქლომი ეკიდა, მაგრამ ლამის თავისთავად გაიხსნა და გიეკოლას რომ არ ემარჯვნა, ძირს დავარდებოდა, გიეკოლამ ბოქლომი ჰაერშივე დაიჭირა, ფრთხილად დადო კედლის ძირში და კარს მიაწვა. კარი ღრჭილით გაიღო. ალბათ ყველას შეაერთებდა

ეს მოულოდნელი და უსიამო ზმა, კიდევ უფრო გაიდუმალბებულ-გაჩვიადებული ლამის სიჩუმისგან. მაგრამ გიეკოლას წარბიც არ შეუხრია და დაუფიქრებლად, ალაღებდნე, გუმანს მინდობილი დაეშვა აგურის კიბეზე. მხარზე გადებული ბარი წარამარა უხვდებოდა გაუჩინარებულ კედელზე. სარდაფში, რასაკვირველია, ბნელოდა, მაგრამ რაღაცას მაინც გააჩრევდა კაცი — სუსტი, აკონწიალებული შუქი ჩამოდიოდა ქუჩიდან — ასე რომ, არც გიეკოლას გასჭირვებია ბრეზენტგადაფარებული გვამის პოვნა. პირველ რიგში, ბარიანი ხელი გაინთავისუფლა, გვამს ბრეზენტი გადახადა, სარდაფის იატაკზე გაფინა და გვამი ზედ გადაიტანა. ისე ფრთხილად ირჩებოდა, თითქოს შიშობდა, გვამმა არ გაიღვიძოსო. მერე გვამი რამდენჯერმე მჭიდროდ გადაახვია ბრეზენტში, ბართან ერთად, მხარზე გაიღო და სარდაფიდან ამოვიდა. სარდაფის კარმა ისევ უსიამოდ გაიღრჭილა, მაგრამ არც ამჯერად მიუჭიკევია გიეკოლას იმისთვის ყურადღება, რადგან ახლა უფრო ღრმად იყო დარწმუნებული, ღმერთის ნებას რომ ასრულებდა და ვერაფერი აღუდგებოდა წინ. მართლაც, მორიგე მილიციელისგან ჩამოიჩუმიც არ ისმოდა, მაგიდაზე თავჩამოდებულს ეძინა თავისთვის, მშვიდად. გიეკოლა კი უკვე ქუჩაში იყო და გამალბებული, გახარებული, გამაყებული მიბიჯებდა სასაფლაოსკენ, თავის ტვირთიანად. ვილაცები ისევ მოჰყვიროდნენ, რალს არ ეძახდნენ, რანაირად აღარ აგინებდნენ და წყევლიდნენ, დასცინოდნენ და ემუქრებოდნენ, მაგრამ მოხედვის ღირსადაც არ თვლიდა იმათ და უდრტვინველად მიბიჯებდა. უფრო სწორედ, არაფერი აღარდებდა, ქარის გარდა. ქარი უშლიდა მხოლოდ. ხან წინიდან დაეძვრებოდა და ნაპერწკლებს გააყრევინებდა თვალებიდან, ხან კი ტვირთს გლეჯდა ხელიდან, ტვირთს ეჭაგურებოდა, არ ანებებდა თითქოს, და გიეკოლაც, გაცოფებული, ჭარასავით ტრიალებდა ადგილზე, თავიდან

რომ მოეშორებინა როგორმე ეს თავ-  
ხედი მაიმუნების ჯოგი და მშვიტი ძა-  
ლლების ხროვა.

ასე, ტანჯვა-წვალებით, გააღწია ქა-  
ლაქიდან. მაგრამ ქალაქგარეთ კიდევ  
უფრო გალალდა და გათავხედდა ქა-  
რი, კიდევ უფრო ძნელი მოსაშორე-  
ბელი შეიქნა — სულის მოთქმასაც  
აღარ აცლიდა, ზურგში აწევბოდა, აკი-  
ვლებულ-ახარხარებული, და ტვირთი-  
ანად მიაძუნძულებდა თავდაღმართში.  
„დასწყევლოს ღმერთმაო“ — შფოთა-  
ვდა, ბრაზობდა, ოფლად ვაღვრილი,  
გულამოვარდნილი, აქოშინებული გიყ-  
კოლა და გარბოდა, ბრმად, ალაღბედ-  
ზე, ქარის უხეშ ძალას დამორჩილე-  
ბული. იმასლა ფიქრობდა, არ წაიფო-  
რბილო, გვამი არ დამივიარდესო. სასა-  
ფლაო ისე გაიარა, ფეხი არ შეუწეულე-  
ბია, თუმცა, გინდაც სლომებოდა, ვერ  
მოახერხებდა ფეხის შეწელებას აღ-  
ბათ. ქარი, ერთდროულად, იმასაც მი-  
ერეკებოდა და ვააფთრებული დაძღ-  
მუოდა ყველა საფლავს. მკვდრები,  
ვინ იცის, გასუსულები იწვნენ და გუ-  
ლის ფრიალით ელოდებოდნენ, როდის  
გადაივლიდა, როდის დაცხრებოდა,  
როდის მიეცემოდათ კიდევ საფლავე-  
ბიდან ამოსვლისა და ცეცხლის დანთე-  
ბის შესაძლებლობა. ქარი კი სრულე-  
ბითაც არ აპირებდა ჩაღვომას, გამწა-  
რებული ეჭაჭვრებოდა რკინის ღო-  
ბეებს, არყევდა ქვის ჯვრებს, თავს მი-  
წაზე ახლევიანებდა გაგოცებულ კვი-  
პაროსებს და ისინიც (კვიპაროსები)  
ამაოდ ცდილობდნენ საკუთარი ფესვე-  
ბის დაწყვეტას, მიწის მარადიული  
ტყვეობიდან განთავისუფლებას. ამა-  
ოდ. ამაოდ. ამაოდ. გიყკოლამ კი წი-  
ნასწარ იცოდა, სადაც უნდა დაემარხა  
თავისი მკვდარი და ახლა ყველანაი-  
რად ცდილობდა, იქითკენ გადაეხვია,  
როგორმე, ხელიდან გამოსკლოდა (თა-  
ვის ტვირთიანად) თავაშვებულ ქარს.  
ადგილი დიდი ხნის წინ ჰქონდა შერ-  
ჩეული, სასაფლაოს ქვემოთ, მთის ფე-  
რღობზე, ხევის მხარეს, სადაც არავის  
მოუყიდოდა აზრად დაკარგული გვამის  
ძებნა; ის ადგილი თავიდან მაიმისთვის

შეერჩია, მაიმისთვის უნდოდა, მაგრამ  
მამა ჯერ მოსანახი ყავდა და ისიც სა-  
კითხავი იყო, მოსახავდა თუ არა სა-  
რთოდ.

გიყკოლამ ბრეზენტში გახვეული  
გვამი მიწაზე რომ დაასვენა, მერღლა  
იგარძო, როგორ დაღლილიყო, მაგრამ  
დასასვენებლად სად ეცალა, მაშინვე  
ბარს დასწვდა და საფლავის თხრას შე-  
უდგა.

ქარი აქაც კარგად უბერავდა. ისეთი  
ძალით დაედგვრებოდა ხოლმე, მუშაო-  
ბით გართულს, დროულად რომ არ  
ჩაეუნცხულიყო და მიწაში ჩასობილი  
ბარის ტარს არ ჩასკიდებოდა, ხევში  
გადაჩხავდა აღბათ. მაგრამ ქარი, აღ-  
რე თუ გვიან, ჩაღვებოდა, დაწყნარ-  
დებოდა და ქვეყანაც თვალში გამოი-  
ხედავდა ისევ. ძალიან ლამაზი საანახ-  
ვი იყო აქაურობა კარგ ამინდში, დღი-  
სით. რამდენჯერ გამოსულა გიყკოლა  
და, წარმოდგენილი საფლავის გვერ-  
დით წამოწოლილს, რამდენჯერ უოც-  
ნებია იმ ბედნიერ დღეზე, როცა, ბო-  
ლოს და ბოლოს, მიაგნებდა შემომწ-  
ყრალი მშობლის კუბოს და ახლა უკვე  
საშუადამოდ დააბინავებდა ამ ლამაზ  
ფერღობზე. აქედან ხევი არ ჩანდა და  
ისეთი შთაბეჭდილება იქმნებოდა,  
განსაკუთრებით კი ზაფხულობით, რო-  
ცა ირგვლივ ყველაფერი მწვანეში  
აცურდებოდა ხოლმე, თითქოს ნახევარ-  
კუნძულის უკიდურეს ქიმზე იდგნით  
და, გადადგამდით თუ არა ნაბიჯს, მზით  
აბრკვევიალებულ უსასრულო სივრცე-  
ში ატივტივდებოდით მაშინვე.

ახლა კი თვალთან თითს ვერ მიიტა-  
ნდა კაცი. ქარი გიყკოლას სახეში მი-  
წას აყრიდა და ბარს სტაცებდა ხელი-  
დან. არასოდეს გასჭირვებია ასე საფ-  
ლავის გათხრა. არათუ ეხერხებოდა,  
ძვლარბილში ჰქონდა უკვე გამჭდარი  
ეს საქმე, მაგრამ ამ უკუნეთში და თა-  
ნაც ასეთ ქარში, მართლაც რომ უაზ-  
რო თავგამოდებას ვაედა მისი შრომა.  
სიცოცხისგან გამკვრივებული მიწა წარა-  
მარა ისხლეტდა ბარის პირს. ის კი, მა-  
ინც ჯიუტად ებრძოდა მიწასაც და  
წყვიდაღსაც. გონების თვლით შემო-

ხატულ ფართობზე იდგა და ყველანაირად ცდილობდა, არ გაემრუდებინა კვალი, რადგან, ორმოსგან განსხვავებით, საფლავს თავისი განსაკუთრებული სახე აქვს და, ვინც არ უნდა შეხედოს, მაშინვე უნდა მიხედეს, ჩვეულებრივი ორმო რომ არ არის. გიგჟოლაც საფლავს თხრიდა და არა ორმოს, რაც, მოჩვენებითი სიმარტივის მიუხედავად, არც ისეთი ადვილი მისაღწევი იყო ამ ყოიამეთში. დამაბულობისგან ოფლი ღვარად ჩამოსდიოდა, მკლავები დაწყვეტაზე ჰქონდა, ბარის ტარი მიწის კედლებზე უხვდებოდა მოულოდნელად და ხელისგულებზე ტყავი ეყვლიფებოდა. „იცი მაინც, ვის უთხრი საფლავს ასე თავგამოდებულად“ — ჩამოსძახოდნენ ზემოდან ვილაყეები, ის კი, უკვე წელამდე იდგა საფლავში, ნიკოს ექიმივით აქოშინებული, და ჯიუტად თხრიდა მიწას, არავის არ უსმენდა, რადგან მარტო მან იცოდა, ვისთვის თხრიდა სამარეს, ვისი დაუმარხაობა იყო ყველაზე დიდი ცოდვა. ისიც იცოდა, მადლს რომ შერებოდა — ბოლოს და ბოლოს, მამის საფლავს უთმობდა უპატრონო მკვდარს, დაუმარხავი რომ არ დარჩენილიყო, და კმაყოფილებისგან თვითონვე ეღიმებოდა. ასე გაღიმებული თხრიდა მიწას. ხანდახან, ბრუნებში გახვეული გვაშისკენაც გააპარებდა ხოლმე თვალს, ღრმად დარწმუნებული, კმაყოფილი რომ იყო ისიც. ასე რომ, მიუხედავად ქარისა და სიბნელისა, კეთილი, ნათელი გრძნობები ბატონობდნენ გიგჟოლას გულსა და გონებაზე, რის გამოც, კიდევ უფრო აუცილებელიცა და მომხიბვლელიც ხდებოდა ის, რასაც აკეთებდა, ანუ, ქვადქვეული მიწის თხრა, ბრძაღ, ალაღებდზე, გადატყაული ხელებით... გათოშრილი ქარი მახვილის პირივით გაუვლიდა ხოლმე გაოფლილ ბეჭებში იმას კი ისეთი გრძნობა ჰქონდა, თითქოს მზე აცხუნებდა, ფუტკრები დაბზუოდნენ და ჭრელი პებლები დაჰფარფატებდნენ თავზე. ყველა სიკეთესთან ერთად, დასამარხიც (ტანით გრძნობდა), ძალიან მადლობელი

იყო მისი, დამმარხველისა, ხოლო დამმარხველი (ანუ, თვითონ), თავის მხრივ, ასევე ძალიან მადლობელი იყო ბედისა, მაინცდამაინც, მაინცდამაინც, იმისთვის რომ დაევალებინა ამ კეთილშობილი საქმის აღსრულება. არათუ იცოდა, მთელი არსებითა გრძნობდა, სიკეთეს რომ სჩადიოდა, სავალდებულო, აუცილებელ ნაბიჯს რომ დგამდა აღამიანობისკენ მიმავალ გზაზე და, რაღა თქმა უნდა, ძალიან ეამაყებოდა ისიც, მისი მადლობელი რომ იყო დასამარხავი. ეს უჩვეულო გაცდები და შეგრძნებები, უნდოდა თუ არა, ისევ სიცოცხლისაკენ შემობრუნებას ავალდებულებდნენ — მკვდრის დაბნაგება თავისთავად უკვე სიცოცხლის სამსახური იყო, რადგან შრომას, დაღლას, ოფლის მოდენას მოითხოვდა მისგან, საკუთარი სხეულის აღქმასა და შეგრძნებას აძულებდა, იმის შეგრძნებასაც და შეგნებასაც, რისი მომრევი იყო და რისი არა, რა შეეძლო საერთოდ. გარდა ამისა, ის თუ საფლავს უთხრიდა მკვდარს, მკვდარი ვიდაცას ადგილს უთავისუფლებდა მიწაზე და თუკი ვიდაცა სხვას ვერაფერს მოიპოვებდა ცხოვრებაში, უკიდურეს შემთხვევაში, ყოველთვის შეეძლებოდა მკვდრის დანატოვარ სიცარიელეში ჩადგომა. საფლავის გაჭრა, მართალია, უჭირდა, მკლავები აწყდებოდა, ხელისგულებზე ბებერები ასხდა, მაგრამ მაინც მხნედ და ხალისიანად გრძნობდა თავს. უკვირდა კიდევ, რატომა ვარ ასე კარგადო, ხომ არ ვკვდებიო, რადგან ამ ორიოდვე საათის წინ, არ ეგონა თავი თუ არ გაუსკდებოდა, არ ეგონა კიდევ თუ შესძლებდა ფეხზე წამოდგომას. ახლა კი, ენით გამოუთქმელი შევებით ავსილს, ეამაყებოდა, მოსწონდა საკუთარი ხელით გათხრილ საფლავში დგომა. იმის შესამოწმებლად, თუ რამდენად სწორედ ვთხრიო, ერთიორჯერ ჩაწვა კიდევ შიგ, გულზელდაკრეფილი, და თუმცა ქარი ზემოდან მიწას აყრიდა, სიამოვნებდა ასე წოლაც, თითქოს ცივი, ფხვიერი მიწა კი არ ეყრებოდა, მზე უჭყიტინებდა თვალებ-

ში, სინათლის თავხედი, მოუშორებელი ლეკვები ზედ აბობლდებოდნენ, სახეს ულოკავდნენ, ეთამაშებოდნენ და ადამიანის ეს სამარადისო სამყოფელი მათი მძაფრი სუნით იყო გაელენთილი. გარდა ამისა, ჭრელი, ფრთამოხატული პეპლებიც დაფარფატებდნენ შიგ, ხმელ ფოთლებთან ერთად. ყველას და ყველაფერს აქეთ მოუწევდა თითქოს გული, იმიტომ რომ, უანგაროდ იყო გაჰკრილი, იმისთვის იყო გაჰკრილი, ვისაც ყველაზე მეტად ჭირდებოდა და, რაც მთავარია, იმის ხელით — ვისთვისაც საფლავის გაჭრა არსებობის გამართლება იყო და არა საარსებო საშუალება. ამიტომაც რჩებოდა ყველას, მაინცადამაინც, ამ საფლავზე თვალი, ყველას თავისთვის უნდოდა, არა მე უნდა ჩაეწვე შიგ და არა მეო — ეჩხუბებოდნენ ერთმანეთს. ლამის მთელი სიღნაღი ჩაბეულიყო ამ პატარა ღრმულში და, მართლაც, განა მხოლოდ ერთი კაცი ეტევა სამარეში? რამდენნაირი სიყვარული და სიძულვილი, რამდენნაირი გამოვლილი გზა, ქალაქი და სოფელი, ხმა და სახე ჩაყვება ხოლმე თან იმ ერთ ადამიანს, რადგან ერთი ადამიანი არასოდეს არ არის ერთი, უფრო სწორედ, ერთი უთვალავი რაღაცის ჭამია. ასე რომ, იმ საფლავში გიეკოლაც სამუდამოდ ჩარჩებოდა, რამდენადაც იმასაც ეკავა გარკვეული ადგილი, თუნდაც უმნიშვნელო, დასამარხის ხსოვნაში; ბოლოს და ბოლოს, ის იყო მისი ერთადერთი ჭირისუფალი, ის უნდა გამოთხოვებოდა უკანასკნელად (და სამუდამოდ) ცხოვრების სისასტიკისა თუ ადამიანური გულგრილობის ამ შორივ მსხვერპლს, და ვინც არ უნდა ყოფილიყო იგი, მაინც უნდა დაერწმუნებინა, არავითარი წვლილი რომ არ მიუძღვოდა თავად ამ სისასტიკესა და გულგრილობაში, გაემხნეებინა — არ შეგეშინდესო, ჭკუა დაერიგებინა — ასე და ასე მოიქეცო, დაეუნტეებინა — ყველანი სიკვდილის შვილები ვართ, ყველანი მანდ მოვალთ ბოლოსო. აი, რა მძიმე, ძნელი, მაგრამ სპატიო ვალდებულება ეკისრა

გიეკოლას და, საცა სამართალია, ნაკისრ ვალდებულებას, ჭერჭერობით, კარგადაც ასრულებდა გიეკოს მოვალეობაზე.

მთელი ღამე ხალისიანად შრომობდა, მაგრამ ცოტათი რომ ინათა, ელდა ეცა — უშნოდ პირმორღვეული ორმო ამოეთხარა, საფლავის მაგივრად. ღრმად კი ჩასულიყო მიწაში, მაგრამ მთლად სწორედ ვერ გაეჭრა გონების თვალთ შემოხაზული საფლავი, კიდევები დაკლაკნილი და არათანაბარი გამოსვლოდა. სამაგიეროდ, ქარისაგან საიმედოდ იყო დაცული, ზემოდან თუ გადაურბენდა და მიწას თუ წაყრიდა თავზე. მაგრამ ამის ატანა უსასრულოდ შეიძლებოდა. თავზე მიწის დაყრას სანგრებში იყო მიჩვეული და ახლაც, თითქოს სანგარში ჩაუსვამთო, უდრტინეგლად მიგდებულყო საფლავის კუთხეში. ქანცაწყვეტილს, თვალები თავისთავად ეხუჭებოდა. მართალია, საფლავი გასაწორებელი იყო, მაგრამ ამასაც მოეღებოდა. მთავარი საქმე უკან მოეტოვებინა და აღარაფერი ჰქონდა ასაჩქარებელი, ეკუთვნოდა, დაემსახურებინა ერთი-ორი წუთით დასვენება, ოღონდ, არაფრის დიდებით არ უნდა დასძინებოდა აქ, თორემ, ადვილი შესაძლებელი იყო, ვინმე დასდგომოდა თავზე და ამდენი ნაშრომანღვაწი წყალში ჩაჰყროდა. დაცინვა კიდევ ცალკე — ქვეყანას შეუყრიდნენ სიღნაღელი ლაზღანდარები: ამ მართლა გიემა, მკვდარი მალა დატოვა, საფლავში კი თვითონ ჩაწვაო: მართლაც, თვითონ მშვენივრად მოკალათებულყო საფლავში, მკვდარი კი ქარისთვის მიეგდო. ერთხელაც არ დაუხედავს, ერთხელაც არ გამოლაპარაკებია, არადა, მთელი ღამე იმისთვის იღვწოდა თითქოს. ვინ იცის, თავბედს იწყევლიდა ის უბედური, ეს ვის გადავეყარეთ. იმიტომ რომ, მადლს თუ შერები, მარილიც უნდა მოაყარო — ცოტახნით, საერთოდ უნდა დაივიწყო შენი თავი, არ არსებობ ვითომ, როგორც არ უნდა გეძინებოდეს და როგორც არ უნ-

და გტებდეს გაშეშებული, გათოშილი სხეული. „აი, სამამდე დავთვლი და წამოვდგები მაშინვეო“ — თავს იტყუებდა საკუთარი მიუხედავლობითა თუ უნებლიე უყურადღებობით შეწუხებული გიეკოლა, მაგრამ, როგორც მოსალოდნელი იყო, ბოლოს მაინც ჩაეძინა და საკმაოდ გრძელი სიზმარიც ნახა.

ვითომ, ქელეხს უხდიდა უპატრონო მკვდარს. რადგან დამამარხინეთ, ბარემ ბოლომდე კეცით პატივიო — გახარებული ეპატიებოდა თანამოქალაქეებს. თან, გაცოფებული ცოლი გვერდზე გაჰყავდა და არწმუნებდა, ასე უფრო იოლად რომ გამოვიდოდნენ, უფრო იაფი რომ დაუჯდებოდათ, რაჟი სიღნაღში მაინც არაფერი დაიმალებოდა და უქმელხოდ დამარხულ მკვდარს არაფერს გაუჩერებდათ საფლავში. თვითონაც ესლა ადარდებდა ვითომ სიზმარში და ამიტომაც იყო, თვალშისაცემი, გადამეტებული თავგამოდებით რომ ეპატიებოდა ყველას. თან გული შიშით უსკდებოდა, ვინმე არ გამოჩინებოდა, ცალტვიანანთ სერგო, ანდა, კიდევ უარესი — ნასყიდა. მთელ სიღნაღს იმათ ეზოში მოეყარა თავი. თავდაფასებულნი, აჭაოდა, მართლაც დიდი პატივია ჩვენგანო, საუბარ-საუბრით მიედინებოდნენ სუფრისკენ. სუფრა კი, დიხაც, არნახული, არგაგონილი გაეშალა გიეკოლას — ამ გაჭირვების უამს, ნემსის ყუნწში გამძვრალიყო, ურიის ვალში ჩაგარდნილიყო, დაგირავებულიყო და გაუჩინარი გაეჩინა — ვერავის მოუბრუნდებოდა ენა იმის სათქმელად, ეს ჩვენი საკადრისი ქელეხი არ არისო. იმდენი პურმარული ეყარა სუფრაზე, ას წელიწადს რომ ეცოცხლა ნასაყდრალთან მოკლულ ყაჩაღს, თავზე გადაუფიდოდა, მაინც ვერ შექამდა ალბათ. თვალგამძვარი ხალხიც სიამოვნებისგან ზორხოცობდა — შეკრული შუბლი იხსნებოდა, შეჭმუხნული წარბი იშლებოდა, მოკუმული პირი ყურებამდე იხეოდა და სააშკარაოზე გამოდიოდა საომრად გამზადებული კბილთა მოელვარე მწკრივები.

ჭამა სირცხვილი არ არისო — თვითონვე უთქვამს კაცს, წინასწარვე მოუმარჯვებია ეს, დიხაც უთვალწუთას სახელმძღვანელო სიბრძნე და, ამჯერადაც, უსირცხვილოდ თქვლევდა ყველაფერს, დიდი ხვეწნა არ ჰქირდებოდა, იცოდა ჰირსუფლის პატივისცემა და, ამიტომ, არც თავპატიეს იღებდა. ერთმანეთზე ეხვავა თევში, მათლაფა და ლანგარი. კერძი კერძში იღვრებოდა, იზილებოდა, ითქვლიფებოდა. მაგრამ პირველი სიმძლრისგან გაოფლილი, ხელ-პირ გაპოხილი ხალხი მაინც განურჩევლად ნთქავდა, მუსრს ავლებდა პურმარლის სიმძიმისგან წელში ჩაზნექილ სუფრას — ქშენითა და ქსუტუნით, ტუჩების წკლავუნითა და კბილთა ღრჭილი. „თქვენ შეგემატოთ, რაც იმას დააკლდა, თქვენ იცოცხლეთ, თქვენ იხარეთ და თქვენ იმრავლეთო—ლოცავდა მადლიერი გიეკოლა. ისინი კი დასცინოდნენ, ალაზლანდარებდნენ და უზომო ჭამითა და სმით აღვზნებულნი, თან ერთმანეთშიც საუბრობდნენ „დარბაისლურად“, ვითომ, ტეტეები ხომ არა ვართ, უბრად ვისხდეთ სუფრასთანო. გიეკოლამ არ იცოდა, რომელ ერთისთვის დაეგდო ყური, თუმცა, ძალიანაც რომ მოენდომებინა, მაინც ვერ გაარჩევდა ვინ რას ამბობდა. მხარზე ბარგადებული, დაძაბულობისგან ლოყებს ბერავდა და გაგულისებული ფიქრობდა: ალბათ გიერი რომ ვარ, იმიტომ არ მესმის ამათი ლაპარაკიო. არადა, ყურთასმენა აღარ იყო, ყველა ერთად ლაპარაკობდა, ერთმანეთს არ აცლიდნენ თითქოს ლაპარაკს:

...ცოდო კია მაგრამა ვინ იცის ვინ ოხერია შენ ეგა თქვი აი ახლა ასეთი დროა შეილს ვერ ენდობა კაცი იცით რა მითხრა გუშინ ჩვენმა ვაჟიშვილმა ამ ოთახში თუ საქმე აღარა გაქვთ ნება მიბოძეთ ღამე ნებისა გისურვოთო გესმით თუ საქმე აღარა გაქვთო ნება მიბოძეთო ღამე ნებისა გისურვოთო არც მეტი არც ნაკლები გამომაპანლურა ზრდილობიანად აი როგორები არიან ახლანდელეები ჩემთვის რომ კარგი

მინდა დალოცვილო იმიტომა ვარ სხვისთვის ცუდი ჩემთვის ჩემთვის სულ შენს თავზე ხომ არ უნდა იფიქრო ცოტა გვერდზეც გაიხედე იქნებ კვდება ვიღაცა კვდება და მოკვდეს ძალი მიაკვდა სულში უპატრონო ჩემი თავიც მეყოფა სიღნაღში რა დამალულა ეგ რომ დამალულიყო აქლემს კითხეს კისერი მრუდე რატომ გაქვსო და იცით რა უბასუხა სხვა რა მაქვს სწორეო ბავშვობაში კეცს ძალათი აღეპვიანებდნენ თურმე და იმიტომა აქვს ასეთი თეთრი კბილები რას ამბობ კაცო კბილები სადღა აქვს ეტყობა მე სხვაზე ვამბობ იმიტომ ჭერ ჩიჩია გადაიღეთ და მერე ისაუბრეთ ეგეთი საწყალი ხალხი მეორე არ იქნება ქვეყანა რომ შემოიაროთ ერთხელ მკვდარი გაუცივდათ და სანამ დამარხავდნენ სამი დღე და ღამე ცინგლსა წმენდნენ რაც რამე ჰქონდათ შინ ჩასაცემელ-დასაგებ-დასახური ცხვირსახოცებად დაუხევიათ რას აწვალებ მაგ ბიჭს მეთქი ჰა რას აწვალებ მეთქი არ მომიყვანო მინდ მეთქი და აბა ბიჭიო სადა ხედავ შე ბრუციანო ბიჭსაო ეს ჩემი საცოლუაო იმის საცოლე კიდევ თურმე ბაყაყს უქნიდან ლერწამს შეურტობს გაბერავს და ქუჩა-ქუჩა ბურთივით დააგორებს ვინა და ქალაბიჭა ლეო აფსუს აფსუს ჰაპამისს ვაგონებით ჩაჰქონდა თბილისში ღვინო თოფიანი ჭარისკაცი უნდა გაეყოლებინათ თან ეგ არ დაგავიწყდეს და ვიღაცა ყოფილა ომიდან დაბრუნებული კარგად თუ გააძღობ უქნიდან სულ ღვეღვებს ისვრის თურმე ქვემეხოვით ჭეჭს და ქუხს აბა ესაა საპართალი კაცი ტრაკიდან ცეცხლს აფრქვევდეს და მშვიერი დადიოღეს ეს გუი რომ დაგვძახის იხარეთ და იმრავლეთო როგორ უნდა გავმრავლდე ჩემი ცოლი ატკაზხევა გამრავლება ორი გზითა ხდება ვერან ორნაირია სქესობრივი და ვეგეტატიური გაიგე ვერაფერიც ვერ გაიგე სახეზე გაწერია დაახამხამე ბიჭო თვალი რა იყო ძვალი ხომ არ გაგეჩხირა აი მაგალითად მარგალიტას ყვავილი ვეგეტატიურად მრავლდება პატარა რამე რომ მოაკიცქნო და

დათესო ისეთივე ყვავილი ამოვა ჩემი თუ არ გჯერა აგე სანდროს კეცოტე უნდა ჰქვია სანდრო მარგალიტას ყვავილეს მთლიან ვერან სირცხვილია რახან ბრმაა განა ყურშიც არ ესმის ცუდს რას ვამბობ ვითომ ყვავილის სახელს გკითხულობ უკულტუროები ხართ უკულტუროები ქალბატონო ევგენია პატივემულო ევგენია ამხანაგო ევგენია იქნებ თქვენ მაინც შეგვაწიოთ ერთი სიტყვა არა ძმამო მაგარი ქალია მცოდნეც ვაჟაკურიც არავის შეეშალოს რამე შენ ძვირფასო ჩვენო მამავ ჩვენთვის არ ხარ ჭერაც მკვდარი იმიტომ რომ პატიოსნად შეასრულე შენი ვალი მამა კი არა ის არ გინდა ბიჭი იყო ახალგაზრდა მე მამაჩემზე ვამბობ და საერთოდ ეს სათითო ვინ დამიდგა საბნის შესაკერად ხომ არ მომიყვანეთ აქ დიღაცა კაცო ქელეხში ხარ ცოტა პოუჭი ბროქსა ხოდა ქელეხში თუ ვარ მით უფრო მეტი არ უნდა დაელოთ დარდი ხომ უნდა გავიქარვოთ ღვინითა იმის ცოლი ამბობს მე არაფერში მარგიაო თავისი საოხრე მკვდარი გველივით უღვეს მუტელებო მე ჩემი ძმამო სხვისი არაფერი მინდა ჩემი სუნი დამმარხავს როცა შეწუხდებით მომაყრით მიწას აბა რა იქნება მაჩვენე რას წერ მაგ რვეულში თქვა და მომირბენინებდა მაშინვე იმისთანა ლექსები ჰქონდა რომე თქვენი მოწონებული უნდა გვასახელო თქვა და უხაროდა ნამეტანი ჩეიცინებდა ხოლმე ასე ა მიირთვი ძვირფასო მიირთვი თავის შეკავებას აზრი აღარა აქვს სწორედ წინა ჭიქაში ჩაგეყარე დარიშხანი ოჰ დედაკაცო არა-რაობა უნდა გერქვას შენ ჯოჯოხეთის კარიბჭეც ძმათა საფლავო აჰა ძმამო გიგუშა ეძახე რითია უშანგიზე ნაკლები ძმათა საფლავზე გამახსენდა იცოდი უფარაანთ მდგმური საფლავიდან რომ ამომქვარაა ერთი უნდა მოგასმენინო რეებს ყვება პიტლერი იცით რას ამბობდა ხალხის მოსპობა თუ გინდათ პირველ რიგში ოჯახი მოუსპეთო აქ მაინც დაისვენე აღამიანო სულ ჩხუბი გაგონილა აბა გამოიცანით რა უნდა მოისპოს პირველად მსხალი

თუ მატლი ნუ აჩქარდებით იცოდეთ ბევრმა სახელოვანმა კაცმა წაიტეხა კისერი ვერაგული შეკითხვაა სიღნაღმა რა ცოტა სახელოვანი კაცი მისცა ქვეყანას ამიტომ ჩვენც შევიკავოთ თავი ნაადრევი დასკვნებისგან სხვა თუ არაფერი ერთ სუფრაზე ვსტეღვართ რად უნდოდით ამდენი მწვანილი საბალახოდ დაგვიძახეს რათა მწვანილი სუფრის ბოზიოთ ესეიგი აღამაზებს სუფრასო მომაწოდე თუ ძმა ხარ ერთი ბლუჯა ნიახური აქეთ რაც იყო გადავძოვე დაგვიანებული ხომ არ არის მეტი აფსუს ბიჭო განა ჩემი კაცობა ნიახურზე ჰკიდია ხალხი უნდა გაირყვნასო მეტი რაღა უნდა გაირყვნას შემამაცხონებულო კიდევ იცით რას ამბობდა პიტლერი ხალხს უნდა დაუმალოთ საბოლოო მიზანიო წინ იყურე თუ კაცი ხარ შეირგე სასმელ-საჭმელი ხალხი მაინც ვერ გაიგებს ვინდაც არ დაუმალო აბა თუ იცით ყველაზე ძნელი რა არის რა არის და დაკეცილი ქოლგა ჩაყლაპო გახსნილი კი გამოიღო არა რათა ჩვენშიც იყო ოჯახი სტუმარიც იყო-დნენ მტერიც და მოყვარეც ერთხელ პატარაობისას აღარც მახსოვს როდის ვიყავი პატარა დიდდემ წამიყვანა ვილაცასთან იმდენი ქოლგა და კალოში ეწყო იმათ აივანზე გვეგონებოდით იარმუკა გაუხსნიათო დალიე და დადგი თასი გატყუებენ მოგპარავენ არ დადგა სმა თუა სმა იყოს ვისაც რა უჭირავს ხელი არ გაუშვას ბრმა შემთხვევას რა ვუთხარი თორემ ახლაც იქ ვიქნებოდი ჩემს ფაშფაშასთან იმისი ქმარი რომ დაგვადგა თავზე მეორე სართულიდან ვისკუპე დედაშობილა თირკმელები ახლაც დაწეული მაქვს შემთხვევით არ კვდებიან ძმარ შემთხვევით იბადებიან ამიტომ ხერხი უნდა იცოდე ტყუილად ხომ არ არის ნათქვამი დროულად უკან დახევა გამარჯვების საწინდარიო მოდი ონან შენს დიდ სეხნიას გაუმარჯოს ის რომ არა ერთმანეთს დაეკამდით და თუ თქვენს შორის კიდევ დარჩება ვინმე პატიოსანი იმას უკვე თქვენ თვითონაც მოუვლით უჩემოდაცო რა ტყუილად იშლი ნერ-

ვეებს რაღა დროს პიტლერიო თავი დაგვიკრა რახანია ბენზინი მიუხსამო და დაუწვიათ როგორც ეკადრებოდა ვინც არაფერს არ აშეგებს ის უფრო დამნაშავეაო კარგი ადამიანო აქ მაინც დასვენე ტვინი აქამდე სად იყავი ხალხმა ომი რომ მოათავა შენ მერე მოახტი ბედაურს ჯერ სადა ხართ ჯერ სადა ხართ კიდევ ბევრჯერ გამიხსენებთ ქვეყანასთან ომი აღვილია ერთ კაცთან გადი დასარტყმელად თუ ბიჭი ხარ ევა გოგო შენ გეუბნები ევა მეტი ბატონო ბრძანეთ ვისმენთ რა ფეხებს მომკამს ვითომ შენი აცა-ბაცა ქმარი მეხიკი დაგაყარეთ ტლინკებს არ დამაყრი რამე იყოს კომში კომში კომარი გავგოროთ ყომარი სამართალი თუ არ არის კამათელი ხომ არ არის არა ძმარ ჩვენს დროში კაცს თუ ფული აქვს სიმართლე არ დაეკარგება ონან ძველო აბა მოიხედე ეგრე უნდა დიიბ ჩემო ბატონო ეგრე ეგრე თან იმის სახელი უნდა იძაბო ვინც გულითა გწადია ევგენია ევგენია დუგლაქე არცა ვსწავლობ არცა ვშრომობ ვეკითხები გუნებასა თუ რის გადაბრუნება სჯობს თუ რის გადაბრუნებასა დალიე და დადგი თასი ოღონდ ხელი არ გაუშვა აღარ დაგიბრუნებენ ის კი არა შევი პილიპლი მომპარა ვილაცამ სპეციალურად ქლეხისთვის გამომიგზავნა დისწულმა თბილისიდან მარტო ბოთლი რაღა დიდარდა თავი ეხუფებოდა ცეცხლად შხამად ჯიბეში ჩაეპნას მომპარავსა თასი რას მიქვია გობს დაეწაფები ისეთ გუნებაზე ვარ გობში ჩამისხით ეგ შაბიამინიან ლვინო და ჩემი თეფშიც შიგ ჩაცალეთ არა უშავს მუცელშიც ერთად არ იქნებიან შენც კარგა მსხვილად ფქვამ აი მოდით ყაჩაღსაც გაუმარჯოს და იმის დამმარხველსაც კარგა ხანია ასე არ მისიამოვნებია მე ვუთხარი ამ პატრონს რომ უსმენ დღედღამე მეტი რუსული მაინც გესმოდეს მეტი რუსული თუ არ მესმის იმის ხმა ხომ მესმისო ასე არა თქვა ასე არ ამბობს მართალია ასე ამბობს მაგრამ ცოტა მეც მაცალეთ ძლივს ტვინიანი ძვალი შემხვდა ცოტა ზრდილობა იქონიეთ

ნომარ კაცს მეტი პატივისცემა უნდა  
 კი მაგრამ შენ ხომ გერმანიაში არ ყო-  
 ფილხარ ვინა მევე მა სად ვიყავი  
 თქვენი პატივით არა თქვა ახლა მეც გე-  
 რმანელ ქალსა ვყავდი დამალულიო  
 ვახახახა ხოხოხოხო ხიხიხიხი ხე-  
 ხეხეხე დაეიხოცე ხალხნო სიცილით  
 მარგალიტა სილნალსკაია აქაც რომ  
 ჩადგა ერთი მათლაფა განა ღმერთი  
 გიწყენს ხელი დამიგრძელდა ამდენი  
 გადმოწოდებით ნეტა ის გერმანელი  
 დედაბერი ძალიან დედაბერი იყო აი  
 ჩვენი მასწავლებელი რომ შეუფარე-  
 ბია რატომ არა გჯერათ ხალხო ასე  
 როგორ უნდა იცხოვროთ იქნებ ჯერ  
 არ ილუპება ქვეყანა ფუი დასწყევ-  
 ლოს ღმერთმა ალალ კაცს გესმით  
 ალალ კაცს თურმე თავითი სანთელი  
 უნთია ფერხითი კი ცხვარი უბია ეგ  
 საკენკი სხვას დაუყარე ალალი კაცი  
 რას მიქვია ყველა ერთნაირია ააფრინე  
 ალალიო რაც არ არის არ არიო შენ  
 კი ღმერთს ტყუილად სცოდავ იოსებ  
 ცხენები გყავს დროგი გაქვს თვლა კი-  
 დევ თავლად დასამარხადაც გეყოფა და  
 ოხრადაც დაგრჩება ხოდა მასწავლებე-  
 ლი თუ ხარ ონანისა არ იყოს რაღაცა  
 უნდა ასწავლო ბავშვსა რაღა გაგიყება  
 უნდათ ისედაც დასამბელები არიან ვე-  
 ლარ გველაპარაკებთიართ მაშინვე პი-  
 რში დვეცემიან ხოლმე ასე თუ ხდებო-  
 და თქვენ სად იყავითო თქვენ ის მი-  
 თხარით ცეცხლწყვილებული ფარა თუ  
 გინახავთ როდისმე უბრალო ვინმე არ  
 გეგონოთ ერეკლეს ეკიპატი კართან მე-  
 ლოდება აბა წასულიც არ გვეგონები  
 უკანვე რომ მობრუნდები აქ ამდენი  
 მუქთი საჭმელი ეყაროს შინ მშვიდად  
 რა დაგაძინებს რაო რას ამბობდი  
 ცეცხლწყვილებული ფარაო ვერაფერს  
 ნახავთ უკეთესს მით უფრო ღამით ახ-  
 ლა მთაში ასე უსწორებენ თურმე ერ-  
 თმანეთს ანგარიშებს ბენზინს მიახხა-  
 მენ ფარას და ცეცხლს წაუტილებენ  
 ცხვარი კი არ გაიფანტება, ამდენი  
 ტვინი ვინ მისცა კიდევ უფრო შეიკ-  
 ვრება და ბრუნავს ბრუნავს გაგიყე-  
 ბული ცეცხლის მორვეი ბევე ბევე  
 ბევე ნავთის პერანგი მაცვია ცეცხლის

ლილებიანი გეხვეწებით აღარ შემოიძ-  
 ლია მეც თუ მოვკვდი რაღა ქელები  
 ხალხნო...

რაც უნდათ, ის ილაპარაკონო —  
 ფიქრობდა გიეკოლა, მაგრამ იმასაც  
 ვაძნობდა, დიდხანს რომ ვეღარ აიტა-  
 ნდა იმ ხალხის ცქერას, იმათ უაზრო  
 ლაპარაკს, იმათ ღორმუცელობას. არა-  
 და, ასე კარგად თავმობბული საქმე მა-  
 რთლაც წყალში ჩაეყრებოდა, თავს  
 თუ ვერ მოთოკავდა როგორმე. თუმ-  
 ცა, ჯერ მაინც ეფერებოდა, ელაქუცე-  
 ბოდა ნათქვლეფით გასისინებულ სტუ-  
 მრებს და ისინიც, ჩვეულებისამებრ,  
 დასცინოდნენ, ალაზღანდარებდნენ,  
 იმის პურმარლით გამძღრები, ახლა  
 იმის სიგიჟით ირთობდნენ თავს და ესეც  
 ჩვეულებრივი ამბავი იყო იმათთვის,  
 ყველაფრიდან, თუნდაც სხვისი ჭირი-  
 დან, რაღაცას უნდა გამორჩენოდნენ  
 თავიანთთვის სასარგებლოს, რადგან ეს  
 ის ხალხი არ იყო (შეიძლება, აღარ იყო  
 — ომმა შეცვალა), სხვისი სადარდელი  
 ეღარდა და სხვისი უბედურებით მი-  
 ლი დაეფრთხო. რაკი გაჩენილიყვნენ  
 და მეორედ აღარ გაჩნდებოდნენ, მოს-  
 წრებაზე იყვნენ, ყველაფერი ერთად  
 უნდოდნათ, მამა, ჩემო ბატონო, ჩემთ-  
 ვის რომ კარგი მინდა, იმიტომა ვარ  
 სხვისთვის ცუდი. მაგრამ გიეკოლას  
 მაინც კვერცხი უნდა ეგორებინა იმა-  
 თთვის, თუკი უნდოდა, საფლავში  
 მშვიდად დაეყენებინათ მისი მკვდარი.  
 ორ ცეცხლს შუა იყო მოჭეული, ვი-  
 ლაციის სახედარივით, და ვერ გადაეწ-  
 ყვიტა, რომელში ჩამწვარიყო, ჩაფერ-  
 ფლილიყო მთლიანად — ყველაფერი  
 ბოლომდე მოეთმინა, უპატრონო  
 მკვდრის ხაბრით, თუ საერთოდ, ზო-  
 გადად აღამიანობის სახელით, ყველა-  
 ნი დაეფრინა, ლეშით გამძღარი სვა-  
 ვებივით. „იციოდე, მეტის მოთმენა  
 აღარ შემიძლიაო“ — გადაუჩურჩულე-  
 ბდა ხოლმე ცოლს. ცოლი კი უარესად  
 ასკდებოდა გულს — ან რას ეპატიე-  
 ბოდი, ან რას ერჩი ამ პატიოსან ხალ-  
 ხსო.

ასეთ განცდებში იყო ჩავარდნილი  
 საფლავის ფსკერზე ჩაძინებული, სი-



ცივისგან მოკუნტული გიეკოლა. რაც შეეძლო, თავს ძალას ატანდა, ყველაფერი უკვიანურად რომ გაეკეთებინა, მაგრამ ბოლოს მაინც მისმა სიგიემ სძლია მის სიუკვიანეს — ახორბოცებულ, ახრიალებულ სუფრას პირაპრი-ალეზული ბარი მოუდერა და იყვირა: აბა, გამასწავროთ, სიცოცხლე თუ არ მოგებზრებიათო. თან თვითონვე განიცდიდა გულში, რა ამბავია ჩემს თავს, რა მართლა გიევივით ვიქცევითო. შიშისაგან გაქვავებული სუფრა თვალეზდაყვლებილი, ჩაუყლაპავი ლუქით ლოყაგამომბერილი შესცქეროდა ბარამოპრ-ჩებულ მასპინძელს, ხოლო, სუფრასა და მასპინძელს შუა ჩამდგარი ცოლი ხან სტუმრებს ებოდიშებოდა — გვაპატიეთ, არ გეწყინოთ, ხომ იცით, რომ გიეიაო — ხან კი ქმარს აფრქვევდა დორბლს — დღესვე წაგიყვანონ და დაგაბან, აღარა მაქვს შენი თავიო. სწორედ ამ დროს გამოეღვიძა, მაგრამ, სიცივისგან მოკუნტული, ცოტა ხანს კიდევ ეგდო საფლავის ფსკერზე, ვიდრე საბოლოოდ გამოეხიზლდებოდა, ვიდრე ვითომ მექელეხეთა ხმები ისევ ქარის მომბაზრებელ, უკვე ყელში ამოსულ ხმად არ გაერთიანდებოდა.

საფლავიდან რომ ამოვიდა, უკვე კარგად იყო გათენებული. ქარმა მაშინვე მიწა შეაყარა სახეში და იმანაც ბუზლუნ-გინებითა და თმაწვერის ფერთხვა-ფერთხვით შეაქცია ზურგი ქარს.

ბრეზენტში გახვეული გვამი მშვიდად იდო მურაკის ბუჩქებთან. გაფარჩხულ, ხორკლიან ტოტებს აქა-იქ კიდევ შეჩინებოდა თითო-ოროლა გამოზამთრებული, ნადირს გადაჩინილი, სიმწიფისგან ჩაშავებულ-ჩაბადაგებული ნაყოფი და გიეკოლას მაშინვე ნერწყვი მთადგა პირზე, ძალიან მოუნდა უკებ პირის გასველება. მაგრამ დიდხანს იწვალა და კარგადაც დაიბლორტხა ხელეში, ვიდრე საწადელს აისრულებდა. სათითაოდ იწოდებდა ქარისაგან აწრიალებულ ტოტებს, მაგრამ ნაყოფი შეხებისთანავე წყდებოდა ყუნწს და უიმედოდ იკარგებოდა ჩამქვარ, ჩაყვითლებულ ბალახსა და ნეშოში. ბოლოს,

როგორც იქნა, მაინც ჩაიგდო ხელში სანატრელი ხილი და ვიდრე ქირში ჩაიღებდა, თითქოს ეფერებოდა ხელისგული ფრთხილად გადაუსვა თეთრად დამტვერილსა თუ დაორთქილ ნაყოფს. ველური ხილის წვენმა მაშინვე უხეზად დაუშუშა ტუჩები, მაგრამ გიეკოლას მაინც ესიამოვნა და, გამოცოცხლებულმა, მხარსზემოდან გასძახა ბრეზენტში გახვეულ გვამს: არ გეწყინოს, ცოტა მრუდე რომ გამომივიდა შენი საფლავიო. თუმცა, გვამისთვის, რასაკვირველია, სულერთი იყო, როგორ გამოიყურებოდა მისი საფლავი. ანდა, გიეკოლაზე უკეთ იყო და, დიდხანს მაინც რომ არ გააჩერებდნენ იქ.

გიეკოლამ მურაკის კურკა საფლავში ჩააგდო, ისევ ბარს დასწვდა და, რამდენადაც შესძლო, ჩაასწორა საფლავის კიდეები. ქარისაგან თმაწვერგაჩენილი, მიწაში ამოგანგლული, ხალისიანად აკეთებდა, რასაც აკეთებდა და ამდენად, სრულებითაც არ შესესაბამებოდა მისი შესახედაობა მის გუნება-განწყობილებას. ქარი კი ძველებურად უბერავდა, გიეკოლასაც ძველებურად უპირებდა ხევში გადაჩეხვას, მაგრამ გიეკოლა დროულად ჩაუკუნცხდებოდა ხოლმე და ერთხელ კიდევ ხელმოცარული ქარი ხეგვალმა მიბუზუნებდა, სულის მოსათქმელად, ძალ-ლონის მოსაკრებად, უკან გამოსაბრუნებლად. ხოლო, მუშაობით გართულ გიეკოლას ისევ ჩაესმოდა წუხანდელი არეული, აღელვებული ხმები — კვილი, ყვირილი, ხარხარი — მაგრამ როგორც კი გაილურსებოდა და სუნთქვაშეკრული მიაყურადებდა, მხოლოდ ქარის ზუზუნის ისმოდა ისევ. ქარი კი ნამდვილად იყო და, თანაც, ყველგან — ხან ერთ ფერდობს მიასკდებოდა, გაგულისებული, ხან მეორეს და, იმავე დროს, ერთდროულად ედგა ფეხი ხევს გაღმაც და ხევს გამოღმაც. გიეკოლა კი შრომობდა, არც ქარს ეპუებოდა, არც დალილობას. ერთხელაც არ შეკითხვია თავს, ისევ ამაო ხომ არ არის ჩემი შრომაო. დაწმუნებული იყო, ღვთისნიერ საქმეს რომ აკეთებდა, მა-

გრამ, ეტყობა, არ ეწერა უპატრონო მკედრის მადლის მოკიდება, რამდენადაც, როგორც ლეიტენანტმა უთხრა, ის გვამი სახელმწიფოს საკუთრება იყო და თვითნებურად ვერავინ მიითვისებდა, ვერავინ დამარხავდა თავის ჰკუაზე, მით უფრო, ასე საიდუმლოდ, ასე უჩუმრად. მაგრამ გიგოლა არც ფიქრობდა ამაზე, მისთვის მთავარი იყო, რაც შეიძლება კარგად მოეხდინებოდა თავი საქმისთვის და საამისოდ ძალ-ღონეს არ იშურებდა. მერე საღალატ ვირი აყროყინდა, საიდანლაც ბოლის სუნი მოიტანა ქარმა, მაგრამ ის მაინც შრომობდა და საფლავის ბორცვი ლამაზად რომ შემოკვევრცხა, უკვე ისე იყო გათოშლილი, თითები ერთმანეთთან ველარ მიჰქონდა. ბარი ძლივს ამოიღო ილიაში და წამოვიდა, უკან აღარც მოუხედავს, თითქოს არც არაფერი ეგულეობდა უკან. შინ კი ისეთი სახით შევიდა, თითქოს დიდგორიდან ბრუნდებოდა, ნაალფარით დატვირთული. „ექებონ ახლა, რამდენიც უნდათ“ — ამაყად უთხრა ცოლს, ბარი კუთხეში ააყუდა და ღუმელის მილს შემოხვია გათოშილი ხელები. მაგრამ მილი ჯერ კიდევ ცივი იყო, მისი ცოლი ახლა ანთებდა ცეცხლს და, ღუმელის წინ ჩაცუკჭულმა, ისე, სხვათაშორის ჰკითხა — სად ბრძანდებოდით — რადგან დიდი შეტყობა არ უნდოდა, აშკარად ცის ქვეშ რომ ჰქონდა გათენებული ღამე — გაბურძნული თმა-წვერიდან მშრალი მიწა სცვიოდა.

გიგოლამ აღარ იცოდა, რანაირად გაბლენძილიყო — ძალიან მოსწონდა თავი და ძალიანაც ეამაყებოდა, გამარჯვებული რომ დაბრუნებულყო, ერთი კაცისთვის არც თუ ისე იოლი ომიდან. ჯერ მარტო მილიციიდან გვამის გამოპარება რად ღირდა ხოდა, ისიც ამაყობდა, საფუძელიანად, სამართლიანად — გათოშულ თითებს ღუმელის ცივ მრლზე ათამაშებდა და სასაცილოდ ბერავდა ლოყებს. „გინდაც ვამა დამეპარხოსო“ — ეუბნებოდა ცოლს. „სანამ ვირის აბანოში არ ამო-

გაყოფინებენ თავს, იქამდე არ მოისვენებო“ — პასუხობდა ცოლი.

ღუმელი ნელნელა აგუგუნდა. ჰკერის თბილმა ნაკადმა ღუმელის მილში დაგროვილი ძველი ჰვარტლი შეარხია, შეაწრიალა. გამოღვიძებული თუნუქი რამდენიმე ადგილას გატაკუნდა.

— რათა, ქალო, რას ვაშავებ ამისთანას?! — კიდევ უფრო გაიღიმა გიგოლამ და მაშინვე, სულგრძელი კაცის თავმდაბლობით, დაამატა: მე არაფერი მეკითხება, მე მხოლოდ ღმერთის ნება-სურვილს ვასრულებო.

— წადი, დაწე, გიესა გაეხარ. — უთხრა ცოლმა.

გიგოლას საფლავში კი ეძინა ცოტა, მაგრამ ერთი კარგი გამოძინება ნამდვილად მოუხდებოდა. ამიტომაც, უხმოდ დაეთანხმა ცოლს და ჩადენილით კმაყოფილი, მიღწეულით ბედნიერი, დასაძინებლად გავიდა მეორე ოთახში.

ცოლი ღორის სალაფავს ამხადებდა და რაღაცას ბურტყუნებდა თავისთვის. ალბათ, ჩვეულებისამებრ, თავის ბედისმწერალს წყევლიდა, მაინცდამაინც, გიგოლას რომ გადაჰყარა და სხვა ვერავინ გამოიმეტა იმისთვის. მაგრამ ბალიშზე თავმიდებულ გიგოლას ცოლის ბუზღუნზე ტბილად ელიმებოდა, თვალემა თავისთავად ეხუჭებოდა და მთელი არსებითა გრძნობდა, როგორ მიითრევედა ძილი თავის უფსკერო, უკედლებო ბუნავში. ისიც სიამოვნებით მიჰყვებოდა, მოსაჩვენებლადაც არ უძალიანდებოდა, იოტის ოდენადაც არ ცდილობდა წინააღმდეგობის გაწევას, რადგან, იმ წუთას, მართლა აღარაფერი უნდოდა ძილის მეტი. პირველად გრძნობდა თავს ვალმობილად და, აქედან გამომდინარე, თავისთავად ცხადია, ბედნიერადაც, მაგრამ, სამწუხაროდ, დიდხანს არ გარძნებულა მისი ბედნიერება — მოულოდნელად მოვლენილი, მოულოდნელადვე გაუქრა. მაგრამ იმ წუთას ისეთი შეგრძნება ჰქონდა, თითქოს სილის სათი იყო, ჯერ კიდევ შორეული ბავშვობიდან დამახსოვრებული,

და მისი არსების მოაზროვნე და მგრძობიარე ნაწილი, საგანგებოდ არწყულ სილასავით, უხმოდ, შეუფერხებლად ვადადიოდა შუშის ერთი ბურთულიდან მეორეში. ის იყო, მთლიანად უნდა ჩაცლილიყო ქვედა ბურთულაში, ლეიტენანტის ხმა რომ შემოესმა და კი არ შეეშინდა, გული დაწყდა, იმდენად ხანმოკლე ეჩვენა ბედნიერების განცდა, ამ განცდის მოლოდინთან შედარებით. „მოვიდა აღსასრულიო“ — გაიფიქრა, რატომღაც, ძილ-ღვიძილში მყოფმა, და ახლა უკვე ძალით დახუჭა თვალი, როგორმე რომ შეეკავებინა მოულოდნელად დამფრთხალი და გასაქცევად გამზადებული ძილი. გულდაწყვეტილი, უფრო ზუსტად კი, გაწბილებული იწვა და გაღვიძებას, გამოფხიზლებას სიკვდილი ერჩია. კი ესმოდა ცოლისა და ლეიტენანტის ლაპარაკი, მაგრამ სანახევროდ ჯერ იქ იყო მინც, ძილის ნეტარ სამეფოში, აქაური, ცხადში ჩასმენილი ხმებით აღძრულ ჩვენებებში, და, ჯერჯერობით, თვითონაც ვერ გაარჩევდა წესიერად, რა უფრო შესაბამებოდა სინამდვილეს, რაც ესმოდა თუ რაც ეჩვენებოდა.

„სად ბრძანდება შენი ქმარიო“ — ჰკითხა ლეიტენანტმა მის ცოლს. „სად უნდა ბრძანდებოდეს, ძინავსო“ — უპასუხა მისმა ცოლმა. „რა დროს ძილია, ღამე რას მიკეთებდაო“ — არ მოეშვა ლეიტენანტი. „ღამე შინ არ გახლდათო“ — წამოსცდა მის ცოლს. „აბა, სად იყო — აღელდა ლეიტენანტი — ცოლმა არ უნდა იცოდე, სად დადის შენი ქმარი ღამღამობითო?!“ მაგრამ მის ცოლს აღარ უპასუხია, ეტყობა, თავისით მიხვდა, ზედმეტი რომ თქვა და ახლა ენას კბილს აჭერდა.

— სამაგიეროდ, ჩვენ ვიცით, სად იყო და რას აკეთებდა! — ხმას აუწვია ლეიტენანტმა, ალბათ გიეკოლას გასაგონად, თავისი ნებით რომ გაეღვიძა იმას, ვიდრე ძალით გააღვიძებდნენ. — ის კაცი, მკვდარია თუ ცოცხალი, სახელმწიფოს საკუთრებაა. — იყვი-

რა, კიდევ უფრო ხმამალა. — ხომ ვუთხარი?! ხომ აუხსენიქ! ახლა ადგეს და აგოს პასუხი. — მოსტრამკაცურად.

— როლანდ, შენი ჰირიმი, — დაიბნა, დაფრთხა გიეკოლას ცოლი. — ეგ ხომ გიყია. სად გაგონილა, გიყის დაქერა..

— გიყია თუ ჰკვიანი, მკვდარი დააბრუნოს. — მოლბა ლეიტენანტი.

გიეკოლას ესმოდა იმათი ლაპარაკი, მაგრამ ძილბურანში იყო ისე და ვერ გამოფხიზლებულიყო ბოლომდე. მაგრამ იქ, ქვედა ბურთულაში, თავისი არსების საუკეთესო ნახევარში, ვითომ, ლეიტენანტის ხმის გაგონებისთანავე, სხარტად წამოხტა საწოლიდან, დაუპატიებელ სტუმარს გამოხედა და გადაჭრით უთხრა: გინდაც მომკლა, მინც ვეღარ დაგიბრუნებ მკვდარსო. ძლივს სიკეთე დამითესავს ამ ქვეყანაზე და ჩემივე ნებით როგორღა უარყოფო — შესცინა ვითომ სახეში. კი მაგრამ, ის ხომ ჩემი მკვდარიაო — უსიღობად გაიციინა ვითომ ლეიტენანტმა. აბა, რას ამბობ, შენი მკვდარი კი არ არის, მამაჩემია და, როგორც მომესურვება, ისე დაემარხებ მამაჩემსო — უსვიდნისოდ იცრუა ვითომ გიეკოლამ. რას მიედ-მოედები, რამ გაამამაშენაო — სიმწრისაგან სახე დაეღრიჯა ვითომ ლეიტენანტს. დიახაც, მამაჩემიაო — არ გატყდა ვითომ გიეკოლა. აბა, დაადეთ ამ ცრუბენტელას ბორკილიო — იყვირა ვითომ, მოთმინებიდან გამოსულმა ლეიტენანტმა. გრძელომ და ნესვამ, ვითომ, აქეთ-იქიდან მაშინვე ხელები გაუკავეს გიეკოლას, არამინდარამ კი ძველი, ეანგით შექმული ბორკილი შეაბა. გიეკოლა ბორკილის სიძველემ უფრო გააკვირვა ვითომ, სად გამოჩნრიკესო, ალბათ ამირანი თუ ყავდა ღმერთს ამ ჯაჭვით დაბმულიო. რასა შერებით, სად გაგონილა, გიყის დაქერაო — გამოენთო ვითომ გიეკოლას ცოლი. გიეკოლა კი ვითომ ეხვეწებოდა: გაჩუმდი, თავს ნუ იმცირებ, შავათ იყითხონ, თორემ, ჩვენ მართლები ვართ ღმერთის წინაშეო. მაგრამ

ცოლს ვითომ არ ესმოდა მისი და კიდევ უფრო გააფთრებულ იცავდა ქმარს: რას ერჩით, რა დავიშავათ, ნახეთ, რას უგავს ხელებიო. დაახბე, კაცო, დაინახონო — მუჭლუგანს კრავდა ვითომ გიეკოლასაც, მაგრამ გიეკოლას, რატომღაც, რცხვენოდა თავისი დაკოყრილი, ჭუჭყიანი, მურაკის ბუჩქებზე დაკაწრული ხელების გამოჩენა და, რაც შეეძლო, მალავდა, მუცელზე იჭერდა, ბორკილებიანად. მისი ცოლი კი, სიბრაზისგან, ვითომ უკვე ცეცხლებს ყრიდა თვალებიდან და მთელი ხმით გაჰყვიროდა: ჩვენს ქვეყანაში გიეკი ხელშეუხებელიაო. თან, თმაგაწეწილი, კბამოჩაჩული, შავსა და მზეზე გამოხუნებულ თავსაფარს მაღლივ ააფრიალებდა ხოლმე, მეკობრეების დროშისავით. რა დიდ საქმეს კიდევ ეგ მიკეთებსო — უარესად ბრახდებოდა ვითომ ლეიტენანტი — მე შენ გეტყვი, ვენახის ბარჯითა აქვს ხელები გადატყაპულიო. გიეკოლა კი ბორკილებს აჩხრიალებდა და მწარედ ეცინებოდა. და მართლაც, თუკი თავად არ ესმოდათ, როგორ აუხსნიდა, როგორ გააგებინებდა, მამის კუბოს ძებნა ვენახის ბარჯაზე იოლი საქმე რომ არ არის და, რასაკვირველია, არაფერი სცხია თამაშისა, როგორც იმათ ჰგონიათ, არამედ, უწმინდესი და უკეთილშობილესი ვალია, როგორც ყველასთვის ერთად, ისევე ყველა მათგანისთვის ცალცალკე. მაგრამ იმათ ან არ ესმოდათ, ან არ უნდოდათ ამის გაგება — წაიყვანეს და ჩააგდეს მილიციის სარდაფში. სარდაფი კი ვირთხებით იყო ვითომ-საესე და ახლა იმათ არ მისცეს გიეკოლას დამინების საშუალება — როგორც კი ჩათვლემდა, მაშინვე საბუხე შეაკოცდებოდნენ ვითომ და ნესტოებში უყოფდნენ პატარა, გათოშილ დრუნჩებს. „რა ვქნა, მამაჩემო, აღარ შემიძლია მეტიო“ — უნდოდა ებღავლა გიეკოლას, მაგრამ სწორედ ამ დროს, ვიღაცამ საჩქერ დაუძახა ვითომ: კოლა, კოლა, კოლაო. გიეკოლა მოულოდნელობისაგან ვითომ გაშტერდა, გაოგნდა და სარდაფის თაღს

მიაჩერდა, რადგან ხმა აშკარად ზემოდან მოესმა. დიდხანს იყრასტევაშტევაშტე რებულ-გაოგნებული, მაგრამ მარტინს მაინც ვერ მოითმინა ვითომ და სარდაფის გათოშილ წყვლიადში გაუბედავად იკითხა: რომელი ხარო.

— მე ვარ, მამაშენი. — უპასუხა ვითომ ხმამ.

— მამაჩემი? მამი! — დაიბნა ვითომ გიეკოლა უარესად. — სადა ხარ, კაცო, დამენახე!

— აბა, როგორ დავენახო, როცა მე ცაში ვარ, შენ კი ქვესკნელში. — დაუძახა ვითომ ხმამ.

— ცაში რას აკეთებ? — გაუკვირდა ვითომ გიეკოლას.

— კაცს რომ მიწაზე აღარ დაედგომება, მკვდარი იყოს და ცოცხალი, იმის ადგილი ცაშია, — უპასუხა ვითომ ხმამ.

— შენც აქ უნდა ამოხვიდე, რადგან მიწაზე აღარც შენ დაგედგომება. ხომ ხედავ, რაც არ უნდა გააკეთო, შენი ყველაფერი მაინც გიუბნა ჰგონია ხალხს. — დაამატა ვითომ ბოლოს.

— კი მაგრამ, ფრთები ხომ არა მაქვს, ამოვფრინდე, — გაიცინა ვითომ გიეკოლამ.

— ვინ გითხრა, რომ არა გაქვს? — ჰკითხა ვითომ ხმამ.

გიეკოლამ, უნებურად, ხელი მოისვა ვითომ ბეჭებზე, ამ სიბერეში, მართლა ხომ არ ამომივიდა ფრთებიო, მაგრამ რაკი ვერაფერი აღმოაჩინა იქ, გაელიმა. „შენც მე მატყუებო“ — თავი გადაუქნია გუნებაში მამას, წყენით კი არ სწყენია, რადგან მამა იმითმაცაა მამა, ყველაფრის უფლება რომ აქვს და თავისი შეიღს, უნდა გააპაბუტლებს, უნდა ერთს კარგად გატყუავეს.

— რატომ არა გჯერა, რასაც გელაპარაკები, — დაუძახა ვითომ ხმამ. — დაიქნე ხელები და ამოფრინდები.

გიეკოლამაც ვითომ დაიქნია ხელები და, ღმერთო დიდებულო, ვითომ მართლა აფრინდა ჰაერში, მაგრამ გამოუტდელობისაგან, მანძილი კარგად ვერ გამოზომა თვალით და სარდაფის თაღს აარტყა თავი. დარეტიანებულმა,

კარგახანს იტრიალა თალის ქვეშ, გი-  
სოსიანი სარკმლის ძებნაში. მაგრამ,  
სამწუხაროდ, ამჯერადაც უმტყუნა  
თვალის ზომამ და იმდენი იწვალა და  
იფართხალა ამოდ, ვიდრე ფრთა არ  
გაეხლართა შიგ. ასე, სარკმლის გისოს-  
ში ფრთაგახლართული და დასაკლავ  
ჭათამივით ამოდ აფართხალებული,  
იპოვეს ვითომ ბოლოს.

განრისხდა, მაგრამ რას განრისხდა  
ვითომ ლეიტენანტი — გიჟობა გიჟო-  
ბად, მაგრამ ფრენაც თუ დამიწყო ახ-  
ლა, სადა ვსდიო, სადა მაქვს მაგის  
თავიო — უყვიროდა ვითომ თავის ბი-  
ჭებს. ხოლო, ყვირილით რომ გული  
იჭერა, მოედანზე (ყველას დასანახად,  
სხვასაც რომ არ გასჩენოდა მსგავსი  
სურვილი), რკინის პალო ჩაასობინა  
ვითომ იმათ და გიჟოლა უანგინა ბო-  
რკილის ჭაჭვით ზედ დააბმევინა —  
ახლა იფრინოს და იფრთხილოს რამ-  
დენიც უნდაო. ასე დააბეს ვითომ გიჟ-  
კოლა მოედანზე, მთელი ქალაქის და-  
სანახად. მაგრამ ქალაქს რა უჭირდა!  
ხმა რომ გავარდა, გიჟკოლას ფრენა  
დაუწყია და დაუბამთო, მთელი ქვე-  
ყანა მოაწყდა ვითომ სიღნაღს. ყველას  
აინტერესებდა მფრინავი კაცის ნახვა.  
სიღნაღელი ლაზღანდარები ხომ ფეხ-  
მოუკვლელად იდგნენ მოედანზე და  
იქამდე არ შეეშვებოდნენ ხოლმე გიჟ-  
კოლას, ვიდრე, პალოს გარშემო სირ-  
ბილით, საბოლოოდ არ გამოაცლიდნენ  
ქანცს. რაც მთავარია, ვითომ ერთი-  
ორი დღე კი არ გრძელდებოდა ეს ამ-  
ბავი, არამედ — წლობის მანძილზე, და  
ზამთარ-ზაფხულ ცის ქვეშ ეგდო ვი-  
თომ, საბრალო, გიჟკოლა, ნადირივით  
შიშველი (როდემდე გაუძლებდა ტან-  
საცმელი, ანდა, ვიღა მოუტანდა ძვე-  
ლის მაგიერს), თამაყერგაბურძენული,  
და მნახველები რასაც გადმოუგდებდ-  
ნენ, იმით ედგა სული. ცოლი მარტო  
იმიტომ თუ მოდიოდა, ერთხელ კიდევ  
რომ გაეთათხა, ერთხელ კიდევ რომ  
მოგეო იმისთვის ნიშნი — აი, რა გი-  
ყო მამის კუბოს ძებნაო; მკვდარი კი  
არა, ცოცხალი მშობელი აღარ უნდა  
არავისო — იცინოდა ღვარძლიანად.

ის კი, გიჟკოლა, ძალღივით დანაშაული  
და ძალღივით მოწყენილი იჯდა პალო-  
სთან, საკუთარ მუხლზეში პირბარგუ-  
ლი, რადგან სხვანაირად ვერც ცოლს  
დაემალებოდა და ვერც ქვეყანას. მა-  
გრამ დრო ვითომ გადიოდა და ვითომ  
ისიც ეჩვეოდა ასეთ ცხოვრებას. მალე  
აღარც სირცხვილის გრძობა აწუხებ-  
და, აღარც თავმოყვარეობა — ძალღუ-  
რი მოუთმენლობით, ფაცა-ფუცით  
ნთქავდა დაობებული პურისა თუ სუნ-  
დაკრული ხორცის ნაჭრებს, ძღვნად  
რომ მოქონდათ მისთვის ცნობისმოყ-  
ვარე მნახველებს, თუმა, ბევრი არა-  
ფერი რჩებოდა იმ ძღვენიდან, რადგან  
იქამდე, ვიდრე ის, მნახველების ხათ-  
რით, კიდევ ერთხელ „მიფრინავდა“,  
ხოლო, მნახველები თვალგაფაციცებუ-  
ლნი და პირდაღებულნი შესცქეროდ-  
ნენ იმის მორიგ „გაფრენას“, სიღნაღ-  
ელი ლაზღანდარები ძღვენის უმეტეს  
ნაწილს (რამდენსაც, ამასობაში, მოას-  
წრებდნენ), უკან-უკან აჩოჩებდნენ ფე-  
ხებით, არც თვალში საცემად შორს  
რკინის პალოდან, მაგრამ ზუსტად იმ-  
დენი მანძილით, პალოზე გამობმულს,  
ხელი რომ ვერ მიეწვდინა, და როცა  
შიმშილით შეწუხებული, მაგრამ თვა-  
ლის ზომით ერთხელ კიდევ მოტყუებუ-  
ლი გიჟკოლა ამოდ წაეტანებოდა ხოლ-  
მე, ამპარზენი მანქვა-გრეხითა და ხი-  
თბითით აწყდებოდნენ ერთმანეთს. მა-  
გრამ რაც უფრო მეტი დრო გადიოდა,  
მით უფრო მატულობდა მნახველთა  
რიცხვი და, თავისთავად ცხადია, იმა-  
საც მეტი საჭმელი რჩებოდა, ყოველ-  
შემთხვევაში, შიმშილით არ მოკვდე-  
ბოდა. მოდიოდნენ და მოდიოდნენ  
ცნობისმოყვარეთა ლეგიონები, მოის-  
წრაფოდნენ მფრინავი კაცის სანახა-  
ვად და რაკი მფრინავი კაცი პალოზე  
ჩაჭვით გამობმული ხვდებოდათ, კი-  
დევ უფრო უმტყიდებოდათ რწმენა,  
ნამდვილად რომ ფრინავდა იგი. „აბა,  
გვაჩვენე ერთი, როგორ დაფრინავო“  
— ეძახდნენ აქეთ-იქიდან ალყაში მო-  
ქცეულ გიჟკოლას და ისიც ჭერ ძუნ-  
ძულით შემოურბენდა ვითომ პალოს,  
თითქოს ქანის ასაღებად, მერე, ხელე-

ბის გამაღებული ფართუნით, პერ-  
შიც შეხტებოდა, თითქოს მართლა უნ-  
და აფრინდესო, მაგრამ მიწაზე დაგ-  
რავნილი ჯაჭვი ვითომ უღრიალ-უღრი-  
ალით გამოედევნებოდა უკან, ბებერი  
ქოფაყის სიზანტით, თანდათან გაიშ-  
ლებოდა, გაიქიმებოდა, ერთს ღონივ-  
რად მოქაჩავდა და ისევ მიწაზე ჩამო-  
ავდებდა ვითომ. ხალხიც ვითომ იცი-  
ნოდა, ერთობოდა და დაეინებით მო-  
ითხოვდა, ერთხელ კიდევ, თავიდან გა-  
ემეორებინა გიგოლას ყველაფერი,  
ანუ, ერთხელ კიდევ გაფრენილიყო და  
ისიც ერთხელ კიდევ „მიფრინავდა“,  
ერთხელ კიდევ ენარცხებოდა მიწაზე  
და, ძაღლური სულსწრაფობით, ერთ-  
ხელ კიდევ ნთქავდა „გაფრენის“ საზ-  
ღაურს — დაიბებულ პურსა და აყ-  
როლებულ ხორცს. დამლაშობით კი,  
მარტო დარჩენილი, ისევ ძაღლივით  
შეჭყმუოდა ცას — აღარ შემიძლია,  
ამყვანე, როგორმე, შენთანო. მაგრამ  
ცლდან აღარავინ პასუხობდა. ეტყობა,  
მამამისმა ასე იყარა ჯავრი მშობლის-  
დამკარგავ შვილზე და ახლა, ვითომ,  
აღარაფერი აინტერესებდა იმისი. ის  
კი ცას შეჭყმუოდა ჩოუტად და ჯაჭვს  
აჩხრიალებდა (ამის წარმოდგენაზე,  
გიგოლას ცრემლმა მოუღიტინა ყელში  
და ძალიან შეეცოდა თავი). ვითომ,  
იმის ყმული და უანგინი ჯაჭვის გა-  
ნუწყვეტელი ჩხრიალი ხალხს ძილს  
უფრთხობდა და, ვითომ, ბუზღუნ-ბუ-  
ზღუნით გამოედევნებოდნენ ხოლმე  
აივნებზე — რით ველარ ჩაძაღლდა ეგ  
ოხერიო. მაგრამ, საბედნიეროდ, დრო  
ვითომ გადიოდა და გიგოლაც ვითომ  
დღოთიღლე ბერდებოდა, სუსტდებო-  
და, ბრმავდებოდა, ზეზეურად ლპებო-  
და, ილიას მკვლელებით, და მალე, არა-  
თუ გაფრენა, ოდნავი განძრევაც აუტა-  
ნელ ტყვილს აყენებდა, თვითონაც  
ვერ იგებდა, როდის კარგავდა და რო-  
დის იბრუნებდა გონს მნახველთა ხორ-  
ხოსა და გნასში. მნახველებს ესეც  
ართობდათ, მფრინავი კაცის უძღურო-  
ბაც თავისებურად საინტერესო სანა-  
ხაობა იყო. გიგოლას კი, ვითომ, ერ-  
თი სული ჰქონდა, როდის მოკვდებოდა

და მობუზული, მოწყენილი, იმასღა გა-  
ნიცდიდა, მამამისივით, ისიც უპატრო-  
ნო მკვდარი რომ იქნებოდნენ. კნუთუქ  
მკვდარსაც არ მომხედავს ჩემი ცოლიო,  
— ვითომ, გაჰკარავდა ხოლმე გულში  
მწარედ. — ბოლოს და ბოლოს, მეც  
ხომ მამამთილი არა ვარ იმისთვისო“.  
და, ვითომ, ამ მწარე ფიქრში დანთქ-  
მულს აღმოხდა კიდევ ბოლოს სული.  
მნახველები გაწბილებულნი გაბრუნდ-  
ნენ ვითომ უკან, რაკი, ერთ მშვენიერ  
დღეს, მფრინავი კაცი მკვდარი დაუხ-  
ვდათ. მოკუნტული ეგდო პალოსთან,  
უშნოდ გაბურძნული, დაიარებულ-  
დალიღავებული, ამაზრუნეცა და სა-  
ცოდავიც ერთსა და იმავე დროს. თუ-  
მცა, მნახველები მაშინვე არ გაბრუ-  
ნებულან, ჯერ იფიქრეს, დასძინებიაო,  
და, თავიანთი ჭკუით გაღვიძება დაუ-  
პირეს, პურისა და ხორცის ნაჭრებს  
ესროდნენ ვითომ, აგინებდნენ, დასცი-  
ნოდნენ, ემუქრებოდნენ — გაბრაზდე-  
ბა და გაბრაზებულს უფრო აღარ და-  
ეზარება წამოდგომაო, მაგრამ მკვდარს  
რალა წამოაყენებდა, ისინი კი, წინას-  
წარვე ასე განწყობილიყვნენ გასართო-  
ბად, სალაზღანდაროდ, არც დაეკვებუ-  
ლან, ხომ არ მოკვდაო, და „ძღვენიო“  
რომ ვერაფერს გახდნენ, ახლა ქვა  
დაუშინეს გვამს, მაგრამ ქვაც უძღური  
იყო სიკვდილთან, ვერც ქვა გამოიყ-  
ვანდა გიგოლას საუკუნო ძილიდან.  
მნახველებმაც, როგორც კი დარწმუნ-  
დნენ, მართლა მომკვდარაო, მაშინვე  
განებეს თავი, მაშინვე ამოიგდეს გუ-  
ლიდან და მალე მოედანზე მარტო მი-  
სი ცოლიდა დარჩა, მოშორებით ჩა-  
ცუქქული, თვალებზე თავსაფარჩამო-  
ჩაჩული და გულისგამაწვრილებლად აზ-  
მუვლებული. „აი, რა გიყო შენმა სი-  
გიყემო“ — ამოიძახებდა ხოლმე ათა-  
სში ერთხელ. ის კი მოკუნტული ეგ-  
დო საკუთარი შარდით ატალახებულ  
მიწაზე და, ხრწნავამკვდარს, ნაწილ-ნა-  
წილ ჩამოსდიოდა, ვითომ, ხორცი (ამის  
წარმოდგენაზე, გიგოლამ ხენეშითა  
და ოხერით იცვალა საწოლში გვერდი.  
ხოლო, მეორე გვერდზე გადაბრუნე-  
ბულს, აღარც აზმუვლებული ცოლი

დაუხვდა მოედანზე). ასე დარჩა ვითომ გიეკოლა სრულიად მარტო მთელს ქვეყანაზე, რადგან ასეთია სამართალი მშობლისა, უფრო გასაგებად რომ ვთქვათ, მშობლის საფლავის მომშლელი თავადაც ვერ ეღიროს და მარხვისას, იმიტომ, რომ მშობლის საფლავი თავისებური, შეიძლება, უცნაური განძთსაცავიცაა შთამომავლისთვის, რამდენადაც განძი, ამ შემთხვევაში, სხვა არაფერია, თუ არა მიწიერი სიმშვიდე და მარადიული სასუფეველი. ასე რომ, მიწამ მისაღები მიიღო, დრომ განსაკურნი განკურნა, მაგრამ (იმდენად არ უნდოდა გამოფხიზლება), ამით მაინც არ დამთავრებულა გიეკოლას თავგადსაყალი: ახლა, ვითომ იმისმა ჩონჩხმა დაიწყო ფრენა და ცნობისმოყვარულნიც ისევ მოაწყდნენ, ვითომ, აქაურობას. განსაკუთრებით, ვითომ ქარიან ამინდში იყრიდა ბევრი ხალხი თავს, რადგან ქარს ვითომ იოლად აჰქონდა იმის ჩონჩხი ჰაერში და აგუგუნებულს, აჩხრიალებულს, დააფრენდა ბალოს გარშემო, ვიდრე ისევ მიწაზე არ დაანარცხებდა ბოლოს, რის გამოც, რასაკვირველია, ჩონჩხიც ირყეოდა ნელნელა, იშლებოდა და ყოველი გაფრენის შემდეგ სულ უფრო ნაკლებად გაედა ჩონჩხს. ბოლოს კი, ბორკილის ენგვიან რგოლში ჩარჩენილ წვივის ძვალსა არაკუნებდა, ვითომ, ქარი.

„აღე, გვაჩვენე, სად დამარხებ ყარაილი“ — სწორედ ამ დროს წაჰკრა ხელი ლეიტენანტი და გიეკოლა დაფეთებული წამოჯდა საწოლში.

— გესმის, კოლა?! — დაიხარა მისკენ ლეიტენანტი. — იცოდე, თბილისში წაგიყვან, კამოზე... მერე შენს თავს დააბრალე ყველაფერი. — დამეუჭრა არადამაჯერებელი სიმტკიცით. უძილობისგან თვალეზი ამოლაშვებოდა. წვერმოშვებული კიდევ უფრო გამხდარი ჩანდა. ერთი გამოძინება ალბათ სოცოცხლეს ერჩია იმასაც.

— ახლავე, ახლავე. — დაფაცურდა გიეკოლა. საწოლიდან წამოხტა და გა-

რისკაცური სიმარლით გაუყარა შარკლის ტოტში ფეხი.

— სად მიგყავთ, გეგა უჩემდღურებამ ხომ გიყია... არ შეიძლება მაგის დაქერა — შემოვიდა ოთახში მისი ცოლი.

— არც არავინ იჭერს, ქალო, დამშვიდდი. საფლავს გვაჩვენებს და მობრუნდება. — უთხრა ლეიტენანტი. — ხომ, კოლა?! ხომ გვაჩვენებ? — ჩაკეთხა გიეკოლას ბავშვური უნდობლობითა და მოუთმენლობით.

— ახლავე, ახლავე. — ბურღულუნებდა გიეკოლა, რაღაცნაირად ჩამქრალი, მოტეხილი, გადასხვაფერებული.

ცოტა ხნის მერე, როცა ბრეზენტში გახვეული გვამი მილიციელებს ამოაწოდა ხელმეორედ გათხრილი საფლავიდან, თვითონ საფლავის ფსკერზე ჩაჯდა და გულამოსკენილი აზლუქუნდა. თან ტიროდა, თან ერთი ხელით მიწას ბოკავდა და მეორის პეშეზე იყრიდა. გეგონებოდათ, თამაშობს, ერთობარ. იმის ჯამფილასავით პეშეზე სწრაფად იზრდებოდა ფხვიერი მიწის უფერული ბორკვი, მაგრამ მალევე ჩამოიქცეოდა ხოლმე, რათა ხელახლა ამოხრდილიყო. ხოლო, ზევით, მიწაზე, მის მიმლოდინე მილიციელებს გაანჩხლებული ქარი ძვალბილში უვლიდათ და წამი საუკუნედ ეჩვენებოდათ უკვე. „აღე, კოლა, სირცხვილია, მივდივართ“ — გაუბედავად ჩასძახა საფლავს გიეკოლას საქციელით, ცოტა არ იყოს, შემცბარმა ლეიტენანტი, მაგრამ გიეკოლას აღარც სირცხვილი ახსოვდა, აღარც ქვეყანა, საკუთარი ხელით გათხრილ საფლავში იჯდა და ტიროდა, რადგან ძლივს ნაპოვნსა და ძლივს დაბინავებულ „მშობელს“ ისევ კარგავდა და, ვინ იცის, რამდენი ხნით, თუკი სამუდამოდ არა. ცოტაც და მართლაც სიგიჟედ იქცეოდა ყველას თვალში მისი ერთი უთქმელი ბედნიერებაც, უანგარო სიკეთეც, ცოდვიდან ამოსვლის იმედიც, ქარში გვამიანად სირბილიცა და სიბნელეში მიწის თხრაც — ყველაფერი რაც არც ისე დიდი ხნის წინ განეცადა და რისი შემამოფრთხილებელი

შეგრძნებაც ჭერ კიდევ არ გამოსულყო მთლიანად მისი არსებიდან. მისი ამო ბედნიერება, ამო სიკეთე, ამო იმედი, ამო შიშა და შრომასთან ერთად, ბრეზენტში გახვეული, უკვე მილიციელებს გაედოთ მხარზე და ვედარასოდეს დაბრუნდებოდა საგანგებოდ მისთვის და, რაც მთავარია, სიყვარულით გათხრილ სამარეში. ამიტომაც, ტროდა ასე გულამოსკვნილი, მთელი ხმითა და მთელი გულით. ქვეყანაზე განრისხებულს, საკუთარი თავი ებრალებოდა და ერთი თვალისა და ერთი მისხანების ცრემლი სდიოდა, მეორედან — სიბრაღისა. „შეგვიცოდე, კოლა, ჩვენც ხალხნი ვართო“ — ეძახდნენ ზემოდან ვათოშოილი მილიციელები, მაგრამ იმას არ შეეძლო სხვანაირად, ვინ იცის, რამდენი ხნის დაგროვილ ცრემლს, რაი გზა ეპოვნა, ველარაფერი შეაჩერებდა, ვიდრე უკანასკნელ წვეთამდე არ ჩამოცილებოდა. „დამაყარეთ მიწა, ხალხნი არა ხართ, ცოდო-მადლი ადარა გაქვთო“ — შეპლმოდა ქვემოდან მილიციელებს და, მართლაც, რაღა იყო მისი სიცოცხლე, თუკი ერთი ჩვეულებრივი, თუნდაც სავალდებულო სიკეთის ჩადენაც არ შეეძლებოდა. „ოი, მამაჩემო — მოთქვამდა თავლია საფლავში ჩაქარგული. — თი, რა მწარე ყოფილა ამო შრომა და იმედო“. ზევით კი, მიწაზე, მხარზე გვამგადებული მილიციელები დაბნეულები შეპყურებდნენ ერთმანეთს. სიცივე სიცივედ, მაგრამ აღარ იცოდნენ, რა ელონათ, როგორ მოქცეულიყვნენ, სიგიჟედ ჩაეთვალათ გიჟკოლას ეს უცნაური გამოხდომა და ძალით ამოეთრიათ საფლავიდან, თუ — გიჟკოლას გულკეთილობისა და აღმინაშრობის არანაგლებ უცნაურ გამოხატულებად, და, მიუხედავად აუტანელი სიცივისა, დაეცლიათ იმისთვის გლოვა. ქარსაც უარესად აღიზიანებდა თითქოს აღამინის ტირილი და თავგზააბნეული აწყდებოდა აქეთ-იქით, აკივლებული, აწივლებული აბტებოდა პირლია საფლავს, რის გამოც, კიდევ უფრო შორიდან, ლამის მიწის

გულიდან მოისმოდა ეს მართლაც რომ შემაქრობელი, შემამარწყუნებელი ხმა, ბოლოს, მოთმინებიდან გამოსულმა ლეიტენანტმა საფლავიდან ამოღებულ მიწის ბორცვზე ჩაიმუხლა, ლამის ჩაეკიდა საფლავში და მღელვარებისგან ხმაგაუხეშებულმა, დაუტატანა: ძალით ამოგიყვანოთ, თუ როგორაა შენი საქმეო. გიჟკოლაც მაშინვე წამოხტა, რადგან, ერთი წამით, ისევე ცხადად დაუდგა თვალწინ, როგორ სასაცილოდ ფართხლებდა მილიციის სარდაფის გისოსიან სარკმელში ფრთავახლართული. ის კი არა, შეშფოთებულმა, ხელიც ამოაწოდა ლეიტენანტს, მომეხმარე ამოსვლაშიო. მეორე ხელით კი ცრემლიან სახეს იხოცავდა. „რა იყო, კოლა, რას გვერჩი, უნდა დაგვაციო, მაინცდამაინცო“ — დაუძახა არამინდარამ. გრძელოსა და ნესვის ბრეზენტში გახვეული გვამი ეჭირათ და, ამიტომაც, პირველები ისინი დაიძრნენ. იმათ არამინდარამ მიჰყვა, ხელი რომ შეეშველებინა ამხანაგებისთვის, საჭიროების შემთხვევაში. აქსუტუნებული, ცრემლითა და მიწით პირმოთხუპნული გიჟკოლა ლეიტენანტმა წინ გაუშვა და თვითონ ბოლოში მოექცა ამ უცნაურ პროცესიას. მიდიოდა და ფიქრობდა: მართლაც, რა უცნაურია ცხოვრება, რამდენაირი ადამიანია ამ ქვეყანაზეო. გიჟკოლას კი თავისი დილანდელი ჩვენება ახსენდებოდა ისევე, მამამ რომ ჩამოსძახა, ვითომ, ციდან, დაიქნე ხელები და ამოფრინდებო. ისიც გაახსენდა, როგორ ალივლივდა უცებ ჰაერში, როგორ აარტყა სარდაფის თაღს თავი... მაგრამ ხომ შეიძლებოდა, იგივე მომხდარიყო ცხადშიც, თუკი ყველაფერს ზუსტად ისე შეასრულებდა, როგორც მამამ დაარიგა ჩვენებაში? რატომ არ შეიძლებოდა ვითომ, ცხადშიც გაფრენილიყო, თუკი ჩვენებაში ფრინავდა? განა ჩვენებაში თვითონ იცვლებოდა? განა ისეთივე გიჟკოლა არ იყო, როგორიც ცხადშია? ოღონდ, რაც მართალია, მართალია, ჩვენებაში გამბედაობაც მეტი ჰქონდა და თავსაც მეტს



ავალდებულებდა. მაგრამ მთავარი და გადამწყვეტი ალბათ მაინც ის იყო, მამის სიტყვისა რომ სჯეროდა და მამის მითითებას რომ ასრულებდა დაუფიქრებლად. ხოდა, წესიერად დამთავრებულიც არ ჰქონდა ეს ფიქრი, ხელები ფრთებივით რომ დაიქნია, რამდენჯერმე, ზედიზედ, და ისე იოლად, ისე მსუბუქად მოსწყდა მიწას, აღარც გაჰკვირვებია, თითქოს ასე ფრენა-

ფრენაში გაეტარებინა მთელი სიცოცხლე. ერთი წუთის წინაც ცხლად იმარხავდა თავს, ქვეყანას იკლებდა მოთქმებით, ახლაც, ხელემაფართხუნებული და სუნთქვაშეკრული, არარსებულ ცაში დალივლივებდა, რომელიც უშნოდ გაბურჰნული და მოუქნელი ფრინველივით. „მოკითხეთ ახლამას ჰკუაო“ — გაეცინა გუნებაში უკან მომავალ ლეიტენანტს.

□ ბ ა ზ რ ძ ი ლ ბ ა ი ა ნ ბ ა □

### წერან...

თავდადიბაზე წერენ,  
ერთგულეობაზე წერენ,  
გულამოსკვნილნი წერენ.  
წერენ ძალიან კარგად...

მაგრამ რატომღაც მერე  
შენი კოცონის ნაცვლად  
შინ აღვივებენ კერას...

შენც, საყვარელო, ალბათ  
აღარავისი გჯერას!

### ახლა ნისლეპი ტირიან

ნოემბრის შიშველ ტყეებში  
ფოთოლი ჩამოილია.  
ახლა საქორის ქედებზე  
ნისლები ჩამოივლიან,  
ნელინელ ჩამოჰყვებიან,

მინდვრებს ჭირხლიან-რთვლიანს,  
ისე შემოვლენ, თითქოსდა  
სოფელი გარდაცვლილია...  
აღარ ჩანს დამტირებელი,  
მხოლოდ ნისლები ტირიან.

### ხეგრე და დიდაყანა

ჩამოდგა, ჩამოათეთრა  
ხეგრე და დიდაყანა!  
ნეტავ რამდენი წელია,  
ეს მთები ასე დგანან?  
სულ მულამ თოვლში, წვიმაში...  
აღარ მოსწყინდათ, განა?  
აღარ მოსწყინდათ გულმკერდის

თოვლით და წვიმით ბანა?  
ყორანთა ფრთების შრიალი,  
ცივი ქარების ნანა?  
რაღაცას მიგანიშნებენ,  
განა ტყუილად დგანან...  
გაზაფხულს ელოდებიან  
ხეგრე და დიდაყანა.

## მხოლოდ გულში



ქართული  
ნაციონალური  
ბიბლიოთეკა

ქარმა კვამლი წაიღო,  
სოფელს გადააშალა.  
ზამთრის ქამი დაიწყო,  
ატალახდა გზა-შარა.

ცამ დაბლა დაიწია,  
ჯანღი იქცა ზეცადა.  
ყველაფერი ისეა,  
როგორც ზამთარს ეწადა.

მწვანე უკვე დააზრო  
რთვილმა დასაზრობელი.  
ცდილობს, ზამთარს დასწროს.  
დაფუსფუსებს სოფელი.

მთებზე ჩამოეფინა,  
ცას ჩამოჰყვა ბინდიანს...  
მხოლოდ გულში ფოფინობს  
გაზაფხულის იდეა.

## მიტოვებული კალაპის გამო

გულში ჩარჩენილ ათას  
მოუნელებელ ბალამს  
თუ კიდევ რამე აკლდა,  
თქვენ ემატებით ახლა.

დამადლებული ტყვია,  
დამადლებული ლუკმა...  
გადაუარა წყვილად  
წყვილი სინათლის შუქმა...

სადღაც გარბიან გზები,  
გზები მარყუტებს კეცავს...  
დაღვრილი სისხლის შხეფი,  
მზე — მიხმობია ზეცას.

თქვენით სავსეა გზები,  
გზები მარყუტებს კეცავს.  
დაღვრილი სისხლის შხეფი,  
მზე — მიხმობია ზეცას.

• • •

სულ გაზაფხულის მაკეერალს  
წამომეპარა ზამთარი,  
რალა მაქვს მოსაწონები,

აწ თავს ვიწონებ ჭაღარით...  
მაინც არ სჯერა გონებას  
დრო-ქამის ნაყაჩაღარი!

• • •

ცკლიდან „სიმღერები უამირზე“.

ჩემო დავიწყებულო,  
თურმე დაუეიწყარო,  
დამშრალი რომ მეგონა,  
არ დამშრალა ის წყარო.

გზაზე, სადაც აქამდის  
ჩაიარა ათასმა...  
ვის ეღირსა, ნეტავი,  
თავზე ხელის გადასმა?

ჩამქრალი რომ მეგონა,  
ციცხლი იგი კვლავ ღვივის,  
კვლავ შენს კვალზე მოვრბივარ  
მიტოვებულ ძაღლივით...

საოცნებო ედემში  
ჯერ ვერავინ მისულა.  
მე რად შეიმედება,  
რაც სხვამ ვერ აისრულა?



რად დამჩემდა მუდმივი  
მირაჟების ყურება?  
წყარო მაცოცხლებელი,  
გულს რად არ ესხურება?  
თუმცა ისე ახლოა  
სპეტაკი და ლივლივა,

რომ ამ სიახლოვისგან  
გული გადაილია...  
ჩემო დავიწყებულო,  
თურმე დაუვიწყარო,  
წყურვილი რომ მოგვიკლას,  
ვინ დააშრო ის წყარო?

• • •

ქალაქის ხმაურს გარიდებული  
მიისწრაფოდი შინ გამალებ:თ,  
ნაზი, ამაყი და დიდებული...  
ნაგაცილებდა ჩემი თვალები.

ტყვილი მძიმე, გულდამთუტველი,  
ეჭვები — სულის ამომდაღველი...

ყველას აქვს თავის თავშესაფარი,  
უცხო მზერისთვის — მძიმე კარები,  
ან — წახურული თავზე საბანი,  
ბალიში — ცრემლის გამზიარები.

რადგან ვერასდროს იგრძნობს სოფელი  
მშვენიერებას უცხოდ დაფერილს —  
ხელთუქმნელი და ხელთუყოფელი  
ჩვენი განძია ეს ყველაფერი.

ყველას აქვს რაღაც, სხვისთვის  
უთქმელი,  
თავის გოლგოთა დაუნახველი,

სანამ მაღალი კოშკი არსებობს,  
ბალიშიც, — ცრემლის გამზიარები —  
კოშკს ჩემი ფიქრი უვლის გარშემო,  
და დაგეძებენ ჩემი თვალები!

• • •

წარწერა ნიკო ლორთქიფანიძის ნოველაზე  
„იუილება საქართველო“.

ბატარა თუ დიდი  
სათითაოდ გყიდის,  
ალარ დაგელთა

მზაკვარი და ფლიდი...  
შენ კი, მშვენიერო,  
რად ხარ ასე მშვიდი?

### ჩვენი ლექსი — შაირია

სონეტი თუ ტრიოლეტი,  
ხმები ხმებში აირია...  
ვერლიბრი და თეთრი ლექსი,  
ლექსი ნაირნაირია.  
მაგრამ მათში უმთავრესი  
ჩემი აზრით — შაირია!  
გვაქვს პანგებიც უცხო მოდის,

როგორ ალარ უწერიათ...  
უამი მიდის, უამი მოდის,  
ზოგნი ცერად უცქერიან...  
მაგრამ იგი მაინც სუნთქავს,  
გულის ფეთქვა უცვლელია...  
სხვა დასტური რაღად უნდა —  
მოშაირე — რუსთველია!

## ქველავური სიმღერა



წუთისოფელი იღვება,  
წუთისოფელი ბნელობს.  
უღბლო მონადირეო,  
მოსაჩვენებლად ჭველობ...

საით გიხმობდა გუმანი,  
საითკენ უნდა გველო,  
ამ წუთისოფლის სტუმარო,  
წარმავლობის მძევლო?..

ან სული როგორ ვიცხონო,  
ან წიგნი როგორ ვწერო?  
ან შენთან როგორ ვიცხოვრო,  
ჩემო ძვირფასო მტერო?

რალაცა უნდა ვიღონო,  
მახვილი უნდა ვკვერო,  
უნდა ბოროტთან ვიბრძოლო,  
დროშები უნდა ვკერო...  
რომ არ დამეჭყე უდროოდ  
ზეცის მალალო ჭერო!

• • •

სულის პეპელა სანთელს გარს უვლის,  
ავსებულია ღამე პეპლებით...  
შენა ხარ ჩემი აწმყოც, წარსულიც,  
შენს მხურვალ აღზე დავიფერფლები.

არაფერია დასაეჭვები,  
შენსკენ მოვილტვი დაუფიქრებლივ...  
თავს შემოგველოს სიცოცხლე ჩემი,  
ოღონდ შენ ენთე, ნუ ჩამიჭრები!

— — —

## რამდენი სიტბო უნდა დავზოგოთ

გრძელი ღამე  
მოდის ჩვენსკენ  
ატომური კრატერებიდან...

ხოლო  
მე და შენ  
რამდენი სიტბო უნდა დავზოგოთ —  
იმ გრძელ ღამეს  
სუყველას რომ ვუწილადოთ,  
ყველა ობოლს,  
ყველა სულდგმულს, მიტოვებულს  
ამქვეყანაზე...

რამდენი ცეცხლი უნდა დავზოგოთ,  
რამდენი სიტყვა ნუგეშისა —  
იმ გრძელ ღამეს  
ყველა ვარსკვლავს რომ მივაწვდინოთ,  
საყვარელო,  
ყველა ფოთოლს,  
უნუგეშოდ გადმოვარდნილს  
დედამიწაზე...

## ლოცვა გულის გადასარჩენად

ჩემი სიტყვები: რადიქტიური ბალახი...  
ფურტურო ენა...

წვეთავს სტრიქონებს შორის...  
ფერფლად ცვივა სუფთა ქალაღდზე.  
ფებს იკიდებს  
სიყვარულის გაწალდულ გზაზე.

ჩემო კარგო,  
მოდის, გული გადავარჩინოთ...

გულს ემუქრება რადიქტიური სიტყვა.  
გულს ემუქრება რადიქტიური ბალახი.  
გულს ემუქრება  
ქალაღდში გახვეული ცეცხლი...

ჩემო კარგო,  
მოდის, გული გადავარჩინოთ...  
სიტყვაში გული გადავარჩინოთ,  
ლექსში გული გადავარჩინოთ,  
გულში გული გადავარჩინოთ!



გაზაფხულის ველების ორთქლმა,  
 ღვართქაფის სულმა, ღრუბელში რომ  
 ცეცხლი ანთებს ხოლმე,  
 შემოდგომის ხანძრების კვამლმა,  
 მთების ბინდბუნდმა,  
 წვეთწვეთობით დაღვრილმა სისხლმა,  
 გუთნისდედის მწარე სიმღერამ

და ქვითინმა ჩვენი დედების —  
 შენ დაგზაბა ამ მთაგორებზე,  
 ამ ამღვრეულ მდინარეთა ნაპირებზე,  
 გადაგვალულ გორაკებზე...  
 და სუყველას  
 გულისფიცარზე  
 წაგვაწერა შენი საბელი..

• • •

მერე რა, რომ თქვენ ერთურთი ვერ  
 გაგახსენეთ.

ის ძველისძველი სიყვარული,  
 მთლად ქარივით დედიშობილა,  
 რომ ვერ დავსვი  
 თქვენს დიდ ნადიმზე!

მერე რა, რომ ძველისძველი  
 სიყვარული ვერ გაგახსენეთ...  
 ხომ ვუბრუნებდი მე გამძლე ჯაჭვს  
 მაგ გულების გადასაბმელად,  
 და ერთურთის სახელებსაც ხომ  
 ჩაგძახოდი,  
 როგორც ლოცვებს,  
 საღვთო სიტყვებს — მთელი  
 სიცოცხლე...

### დალესტნის მთები

მთა წარსულში დგას და დღეს რაც  
 არი —  
 გულს რომ უსიებს — ძველი შხამია...  
 თითქოს ფერფლია, ნავლი, ნაცარი...  
 და ნაცარში წვეს ლანდი შამილის.

თქვენ მოგაქვთ, მთებო, ხსოვნის  
 მარილი —  
 ჩვენ უნდა ვლოკოთ ცეცხლით,  
 ხურვებით...  
 დროს გარკობია ხერხემალივით  
 იმამის მზერა გაუღუნველი..

2-6  
 ღმრ



• • •

ჩემო გულუხვო მასპინძელო,  
 ის გლახაკი ვარ,  
 ოდესღაც შენ რომ კარი გაულე...

ჩემი ცხოვრება ძველი ცოდვით  
 აიწონება...

დღეს კი  
 შავეთის გზას ვლორღავ,  
 მუხლჩაბრილი...  
 შენს კალთაზე თავმიდებული...  
 კეთილშობილ ტყეს ვაშორებ ეკლებს.

• • •

ერთი ყვავილი მიყვარდა მე —  
 თავის მოკლე წუთისოფელში  
 ის მიამბობდა ჭერაც უცხო სიზმრის  
 მიწაზე.

ენტო ის  
 პირქუშ გზაჯვარედინთან...  
 ანგელოსის ფრთით  
 წარწერილი ერთი სტრიქონი.

გზას მიჩვენებდა  
 ის წარწერა  
 სამოთხისაკენ!

• • •

ფოთლების წიგნი მეუბნება,  
 რომ დამთავრდა მდინარეთა  
 მოუთმენლობა,  
 რომ ტყეებს ტანზე გამოაყრის ყვითელი  
 კორფლი,  
 ფრთებს აწურავენ სამხრეთისკენ  
 მერცხლები მალე...  
 და ქალებსაც.  
 ზაფხულის მზით გადალოკილებს,

შემოდგომის ნათელი ხმა  
 დაუბრუნდებათ...  
 და იმათ თვალებს შეერევა  
 ყინვის შუქი, მიუჯარები...  
 აწ შენ დაგრჩება მარტო ერთი:  
 განდევილის მოსასხამი...  
 და არგანი...  
 და ჭყანტი გზა შემოდგომისა.





• • •

ის შეურიგდა ზამთრებს წინათვე.  
თოვლმა დაფარა სული ლანდურნი.  
ვერ შემოაღლო მზემ და სინათლემ  
ყინული, გულზე შემოსალტული.

ცა დაჰყურებდა ცივი ჭიატით,  
მიუჯარები, გადამინული.  
უხვარდა, მაგრამ ვერც ამ დიადი  
ცეცხლით გააღლო სულის ყინული...

აღსაველთანაც ყინვა იგივე,  
ლოგინი, ლოდის ჩამონათალი...  
იგრძნო უძრავი მიწის სიგრილე  
და მიემატა ზამთარს ზამთარი.

— — —

### ყინვის

შენ შეგემატოს ამ სანთლის ცვარი,  
ვინც იცის, ახლა რა ტვირთი გაწევს,  
როგორ შეგეყურებს ბრბო უმეცარი,  
ვისაც ურემი დასწვია საძნე.

შენ ხომ ზურგიდან ჩაგცეს მახვილი,  
ვისთვის მიგიკრავს გულზე ხატები,  
რად იწეის შენი თონე-სახშილი,  
ვის ესიზმრები, ვის ელანდები.

ამოდის სული აკლდამებიდან  
და მიყუჩებულ სევდას მიღვიძებს,

ეს ლანდი რალად გადაშეკიდა,  
ან რად გადაჰკრა სანთელს სიფითრემ.

ვინ ამოქოლა აღსავლის კარი,  
ან რად ელოცულობ თავჩაქინდრული,  
შენთვის ვაზარე სანთლების ზვარი  
და შესაყელი ვაზივით ვუვლი.

აი, ინათა მტრედისფრად ტყეში,  
გუმბათს დაეცა ყვავილი ნუშის,  
შენი თვალების მიმაქვს ნუგეში  
და ღეთის ნათელი როინებს გულში.

### დასასრული

ნუ განრისხდები, მაღალო ღმერთო,  
რომ ხატის ნაცვლად კლდის ნაპრალს  
ვკოცნი,  
შენი სახება ღველფივით მენთო  
და მეცხრე ტალღად იმედის ბორცვი.

შეძახილით ხომ ხეებიც ხმება,  
ვინ შემატოვა ამ ცრიატ კერას,  
არავინ რჩება ჩემს შეინახედ,  
ოცნებას ჩემსას ქარმა დაჰბერა.

გაეჩენილიყავ თუნდაც ზღვის კენჭად,  
თუ ფრთაშესხმულიც შეგებოვდი  
შეელას,  
ზღვა ქარიშხლების ლაგამსა ღეჭავს,  
ისმენს ჩემს ღიღინს—სევდიან ჩელას.

ნუ განრისხდები, მაღალო ღმერთო,  
რომ ხატის ნაცვლად კლდის ნაპრალს  
ვკოცნი,  
შენი სახება ღველფივით მენთო  
და მეცხრე ტალღად იმედის ბორცვი.

### დაყვედრებული, როგორც მზითავი...

ჩემს სიზმრებს ვჩხრეკავ მწარეს  
და ვერაგს,  
ოცნება ტირის დედიშობილა,  
არდაღამებულ ღამეებს ვფერავ,  
სად ქარი ქართან გადაჰქდობილა.

დაყვედრებული, როგორც მზითვეი  
გამომყოლია ეს ერთგულება,  
ქალური ფიჭვი — მიიმე კირთები,  
ფერი ღრუბლისა, ვით შეთქმულება.

## დავით ბარჯი

ამოდ დაშრა ბერთა ბაგენი,  
ვერ მიალწია ლოცვამ ლმერთამდე,  
გულს ეშინია კვლავ გაავდრების  
და ქარი ჰკეცავს ნისლის ეტრატებს.  
დათხრილი თვალი უჩანს სენაკებს  
და კუნძაპეტში დღეები მიჰქრის,  
როგორ ველოდი აქეთ ვენახებს,  
გალაღებულებს ცხრათვალა ცისკრით.  
ვგავარ მზეში მდგარ შიშველ დარიალს,  
ღრუბელს უხდება პერანგი ხამის,  
ან ეს სიჩუმე რამ გადარია,  
ანდა რამდენი გამოხდა ხანი.

დამშრალი ღელე ისე მიცქერის,  
თითქოს სიზმარში დასწვოდეს მკერდი  
და დგანან, როგორც მედავითენნი  
ქვის აჩრდილები სენაკის გვერდით.  
გველმა მომაპურო თვალები მწყურალი,  
მსურს ცრემლის ღვარი მიწას ვახარჯო,  
მომაბრუნებდა მხოლოდ მთის წყალი  
და გადმომდგარი კლდეზე ყაყაჩო.  
ბერთა ტყვილზე ხეებს მაფიქრალს  
თავზე ემზობა ღრუბლების ქვაბი,  
ველის ყვავილებს, ვით ღვინის ჭიქას,  
წამოუქტეო საფლავეზე თავი.

## სააჭვო სიჩუმე

დადლილი სულის ორწოხებში ქარბუქი დაჰქრის,  
უამურ სიზმრებს არ ეღირსათ მთვარის ვარაყი,  
ღმერთსაც და კაცსაც ავიწყდება, რომ ვგავარ აპრილს  
და ლოდინია ჩემი ფარი და იარალი.  
მე გავცქეროდი ჩამავალ მზეს, სხივებს რომ ფენდა,  
და დღესაც მომდევს დაშრეტილი ნუგეში მისი,  
წყნარი მიდამო შეუღებავს ეანგისფერ სევდას  
და ჩემს წარსულსაც ჩასდგომია კედლებში ნისლი.  
ღუბე გადახსნეს და მე უფრო დამიფრთხა ნდობა,  
შიშისგან შინდებს დააყარა ტანზე ბუსუსი,  
მეცნობა ძილში ქარის სახე და არც მეცნობა,  
როს მიაქანებს თალებს შორის ლანდებს უსუსურს.  
გაცრუებული იმედების მეჩეჩზე ვდგავარ,  
ჭრელი ნიღბები უთავებოლოდ ბუდიდან ცვივა,  
წელს დაიჭირა ჩემს თვალეში ამგვარი გვალვა,  
თორემ ფარულად მოდიოდა უფერო წვიმა.  
არ მსურს ვიციოდე, საუკუნემ რაც დამაძალა,  
მე შეამება ხეტიალი წარაფებს შორის,  
ჩემი ფიქრისგან აგებული სუსტი ტაძარი,  
ცოტა ღიმილი, ცოტა სიბზო და ცოტაც ჭორი...  
ახლა საეჭვო სიჩუმეა დარაჯი ხვალის;  
ახლა ჭეშმარიტ თანაგრძნობას ვიპოვი ძნელად.  
აღმოსავლეთის სარკმელს ახსოვს ნათელი მთვარის  
ჭვარტლავენ კედელს სანთლის წვეთი — წარსულის მძევლად.

**მეცხეთა**

საკვირველია უხსოვარი წარსულის შუქი,  
უხილავია, არ ჩანს, მაგრამ სულს ეფერება,  
თითქოს შე ხმა ვარ წინაპრისა ან მისი ბუკის,  
ბებერ ქალაქში გაბნეული ხსოვნის ბგერებად.

კი, ამ ყვავილებს და ამ ბალებს, მეტადრე ბალახს —  
მარად თანმდევი ეფინება შუქი სიძველის,  
როცა გუმბათთა სიდიადე შემმატებს ძალას,  
როცა ახლოა დედა-მტკვარი ვარსკვლავთმრიცხველი.

საკვირველია სვეტიცხოვლის კედლების ფერი,  
წარსულის შუქი მარადისი სულს ეფერება  
და ღრუბლის ჩრდილი, როგორც თვალწინ ჩავლილი ბერი,  
მხოლოდ ბალახებს და ყვავილებს ესმით ბგერებად.

საით მახედებს უეცარი გუგუნე ზარის,  
თითქოს ზარის ხმა წარსულიდან ჩემკენ მოცურავს,  
თითქოს ექო ვარ ათასწლოვან მოხუცი მგზავრის  
და ჩემი გზები ფიქრის ნისლით გარემოცულა.

დაღვრემილ ხეებს შეეზარდა სიბნელის ხავსი,  
მტკვრის და არაგვის კვლავ გრძელდება ძველი  
მგზავრული,  
მოლურჯო სივრცეს უწმინდესი სიძველით ავსებს  
ჩამუქებული მთა-გორების ასომთავრული.

• • •

დროს განუყოფელს, დაუსაბამოს,  
ჩვენ ვაჭუცმაცებით და ვჭუცმაცდებით,  
ასე დავდივართ დილა-საღამო —  
იმავე წრეში, სადაც ვმარცხდებით.

ვარკმევთ სიკეთეს ან სიბოროტეს,  
მარად წარმავალ დროის ნამცეცებს,  
ყოველდღიურად ვიწყებთ მოლოდინს  
და მომავლისკენ თვალებს ვაყეცებთ.

მომავალი კი ლურჯი ნისლია,  
წარსულის ასლი. მკრთალი კონტური,

ვინც წინაპრისა არ შეისმინა —  
მიწის ლამეში წევს მოცუნტულად.  
გინგლინიშევა

• • •

ალარავინ მეძახის და  
ალარავის ვუხმობ,  
ჩავარდნილი კლავიშოვით  
ჩემთვის ვცხოვრობ უხმოდ.

საყვარელი სიჩუმეა  
ბალი მარადმწვანე,  
ყველაფერი გავწირე და  
ღუმელს ვანაცვალე.

ვუმზერ დოქზე უძველეს ჯვარს  
რწმენით ამოკაწრულს,  
მხოლოდ ფურცელს თუ გავუმხელ  
სათქმელს გულში დაძრულს.

აწ სურვილი აღარა მაქვს  
ჩხუბისა და შფოთის,  
გართობის და ლხინის ნაცვლად  
დაფიქრება მოდის.

სხვამ იყვიროს, მე კი მქონდეს  
დრო განსჯის და ფიქრის,  
ღვარძლის მთესველს ღვარძლი მოჰყავს,  
დარდი არ აქვს იფქლის.

მე მივხედავ ჩემს ბუნებას,  
ჩემს ხნულსა და მარცვალს,  
ყველაფერი აყვავდება,  
რაც დღეს განიძარცვა.

შენ, დიადო მღუმარებავ,  
ყოვლისმხედო სიერცევე,  
შენ, სამშობლოვ, შენ ხომ იცი  
გული როგორ მიცემს.

ყოველივეს მოვევლება,  
დრო დაადებს წამალს,  
აქედან რომ თითო-თითო  
ფეხბაყრფით წავალთ.

## ფურცელი

გაბმულა ნისლის აბლაბუდაში,  
წაშლილა ბალი, აღარ მიზიდავს,  
დღეა უსივრცო და ოცნებითაც  
ვერ გავალწიე მრუმე ნისლიდან.

აღარც ვარსკვლავი მოვა საღამოს,  
მიწაც ჩანაცრდა, გამოიფიტა,  
მხოლოდ წიგნების დიდი ქვეყანა  
და სამასი წლის ბახის ფირფიტა.

შენ მუსიკიდან აღმოცენდები,  
სხვა რაღა დამრჩა?! აღარაფერი!

გაიფაჩუნებს გულში სურვილი —  
ფრთების გაშლის და საღმე გაფრენის.

გადავიხედავ ქვევით ფანჯრიდან,  
თანაც იმედით ვუმზერ ტელეფონს,  
საღლაც მღერიან ხმაშეწყობილად,  
მშურს: ნეტავი თქვენ, უღარდელეზო.

დღეა უსივრცო, ნისლში ჩამბრჩვალი,  
ჩვეულებრივად ვარ მოუცლელი,  
როგორც ღრუბელში ზეცის  
სარკმელი —  
საღლაც მახედებს თეთრი ფურცელი.

1.

შუალამისას ჩურჩულებენ ძველი საგნები,  
შეორთქლილია მათი თბილი სუნთქვით მინები,  
საგნებში ცოცხლობს გარდასული დროის ნანგრევები,  
გაქვავებული ანაბეჭდი ძველი დინების.

მღუმარებაში შრილებენ თითქოს წიგნები,  
ზოგჯერ ჰაერიც იელინთება მათი სიძველით,  
თანდათანობით მეც წიგნებად გარდავიქმნები,  
სიცოცხლის ლექსად გადამწერი და ამკინძველი.

მერთალ სინათლეში სისხლისფერი ყვავილი ჭკნება,  
მისი სურნელი ჩაგუბებულ ჰაერს ალაგზნებს,  
ჭკნება თანდათან. უბილავის მიეყვები ნებას,  
ჭკნობის სურნელი ჩამაფიქრებს მკვდარ ამხანაგზე.

ღმერთო, ყვავილში სილამაზე და სინანული  
ვინ შეაერთა, ანდა იქით ვინ გამახედა,  
შუალამისას ვინ მაჩვენა თვალმინავლული  
სანთლების კრთომა და ცრემლები მოცახცახეთა.

მთვრალი ჰაერი, სურნელებით მთვრალი საგნები,  
უსასრულობის ნაყოფია დარდი ბებერი,  
იგია სუნთქვა გარდასული დროის ნანგრევის,  
ჩვენი მარადი წილბვედრი და მისაგებელი.

თაროზე დოქი — ცარიელი და ყელგამშრალი,  
იგი საესება ბნელი ღამით, ღამის ნაფლეთით,  
მინდა დოქიდან ამოვზაპო ბიზნდი ფრთაშავი,  
შევაესო შუქით, ელვარებით აღმოსავლეთის.

ანათებს ჭვარი დოქის მკერდზე ამონატვიფრი,  
გადაარჩინა ჭვარმა დოქი, დოქმა მავანი  
და უძველესი დროის შუქი და სინატიფე  
გამოჩნდა, როგორც დილის სხივი ამომავალი.

2.

მე ვაგროვებდი ვარსკვლავების ნექტარს მომწაროს,  
ფიჭრის ფუტკრებით ვივსებოდი ძველი სკასავით,  
ჩემი ღიღინი, ჩემი სწრაფვა და მიმოწერა,  
იყო მარტოდენ გაბრძოლება, ხელის საესავი.

მაგრამ სიზარულს, აღტაცებას რა შეედრება,  
მიოწმდომლობით შობილ რწმენას და მოკრძალებას,  
მე უუერთდები სიყვარულის მბორგავ შადრევანს,  
საქართველოში ელვარე მზის ამობრძანებას.



• • •

ღრუბლები ზანტად გადაივლიან,  
ნალვლიანდება წყნარი ამინდი,  
შემკრთალი ვუმზერ გორაკს თრიმლიანს —  
შემოსილს, თითქოს, წითელ ქლამინდით.

სადაც ფოთოლი წყდება კენწეროს,  
იქიდან ცისკენ მზერა გაფონავს,  
ვინ ჩამჩურჩულებს: ჯვარი გეწეროს!  
ან ღვარძლის მთესველს ვინ ამაშორა?!

თითქოს პაერიც შენით სავსეა,  
ვარ განწმენდილი გულით მლოცველი,  
ბალის სიღრმეში ჩრდილი სავსავებს,  
ადევნებული სხივებს მოცელილს.

გზად მომღიმარი მხვდება ასკილი  
და მოწყენილი უცხო საფლავი,  
როგორც მზის სხივი უკანასკნელი,  
საღდაც გამოკრთის ფერი ზაფრანის.

შეერთვის სივრცეს ხმა დამზაფრავი,  
ჯვარცმულის კენესა, — ექო მარადი,  
ვინ აღარ გაჭრა თავის საფლავი  
ფარისეველობით, შურით, ლალატით.

იმათ, ვინც „შეთხზეს ეკლის გვირგვინი“,  
შემართეს შუბი ანდა ლერწამი,  
მოესმათ ციდან ჭექა და გრგვინვა,  
იზილეს ელვა დაცამლეწავი.

და უმეცარნი მყისვე შეშინდნენ,  
ჩვენც შიში გვიპყრობს მათ შთამომავლებს,  
როცა ვიხსენებთ ბეჭედს მეშვიდეს  
და დროს გარდასულს მზერას მოვავლებთ.

მზის ნაფერები მიწა თბილია,  
ნალვლიანდება წყნარი ამინდი,  
შეშინებული ვუმზერ თრიმლიანს,  
შრიალი მესმის წითელ ქლამინდის.

## უხმარი თოფი

მოთხრობა

ბატონი სანდრო ნერვიულობდა. კომპიუტერების მოედანზე ამოსულს, № 6 ავტობუსი არ დახვდა. ეს-ესაა წაიდაო, უთხრა პატარა ჯიხურში მჯდარმა დისპეტჩერმა და ბატონი სანდრო გაჩერებაზე დადგა. ჯერ მარტო იყო, ასე ვთქვათ, რიგში — პირველი, მაგრამ ავტობუსი არა და არ ჩანდა და ნელ-ნელა ხალხი მოგროვდა. ხელცარიელი რომ ყოფილიყო, ბატონი სანდრო არ ინერვიულებდა, ავტობუსში დასადგომ ადგილსაც იკმარებდა. ვინ იცის, ზაფხულობით რამდენჯერ უმგზავრია ოქროყანამდე ხალხით გატენილი, გახურებული ავტობუსით, სამსახურის შემდეგ, როცა № 6-ში დაჯდომა კი არა, შიგ შეძრომაც დიდი ბედნიერებაა. ახლა ბატონ სანდროს თან ჰქონდა მოხუცებული, ოჯახის კაცი ერთგული თანამგზავრი — ყავისფერი საოჯახო ხელჩანთა, და თხელ საბანში გამოხვეული რაღაც მოგრძო ნივთი: საკმაოდ მძიმე. ბატონ სანდროს ერთი სული ჰქონდა სხვა მგზავრებისთვის მოესწრო, ადრე ასულიყო ავტობუსში, ადგილი დაეკავებინა, ფეხებზეა ჩაედგა ის მოგრძო ნივთი, მუხლებზე — ხელჩანთა და მერე... მერე აღარაფერი. მერე მზად იყო მინდობოდა დახუთულ ავტობუსს, დროის დინებას, საერთოდ ყველაფერს, რაც

უნდა შემთხვევოდა, ანუ ბედისწერას. ამ ნივთსა და ამ თავის მგზავრობას ბატონი სანდრო განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებდა.

ვინ მოსთვლის, რამდენჯერ ასულა ოქროყანაში, ასჯერ, ათასჯერ? საქმე საქმეზე რომ მიდგეს, ამის გამოთვლაც შეიძლება. აი, უკვე ოცდაათი წელიწადი იქნება, რაც ქალაქის საბჭომ ოქროყანაში მიწის პატარა ნაკვეთი გამოიყუო. შრომით დაიმსახურა, როგორც რესპუბლიკის ერთ-ერთმა წამყვანმა ენერგეტიკოსმა, ნომენკლატურულმა მუშაგმა, პატროსანმა, ჭიანჭველასავით გამრჩე ადამიანმა. ბატონმა სანდრომ ამ ნაკვეთზე ბეხილის ნერგები გაახარა, ამხანაგებისა და თანამშრომლების დახმარებით დადგა ერთოთახიანი მუშაბანდიანი კოტეჯი, სადაც ცხოვრება შეიძლებოდა, მას შემდეგ ყოველ ზაფხულს სამსახურში ოქროყანიდან დადიოდა, შევებულებას ხომ თავისთავად ოქროყანაში ატარებდა. საგანაფხულო საშუაოები, ბაღის მორწყვა, შემოდგომით ჭირნახულის მოვლა-დაბინავება... შეიძლება ითქვას, რომ ბოლო წლებში სამი-ოთხი თვე ოქროყანაში ცხოვრობდა.

ახლა, სექტემბრის მიწურულს, მისი გამგზავრების მიზანი სულ სხვა იყო, ერთის შეხედვით უცნაური, მაგრამ,



კარგა ხნის ჩაფიქრებული, გააზრებული და ბატონი სანდროს სულიერი სიმშვიდისათვის აუცილებელი. ბატონი სანდროს რწმენით, ახლა, ამ თვეში უნდა გადაწყვეტილიყო მისთვის უალერესად მნიშვნელოვანი რამ, თუმცა განა მხოლოდ მისთვის? ნორმალურ ადამიანს, განსაკუთრებით კი კაცს, გვარიშვილს, განვლილი სიცოცხლის შეფასებისას უნდა ჰქონდეს რწმენა იმისა, რომ მემკვიდრეები, გვარის გამგრძელებლები, არამც თუ კეთილი სიტყვით, სიყვარულით და პატივისცემით მოიხსენიებენ, არამედ იამაყებენ კიდევ მისი სახელით, თაობიდან თაობებში გადასცემენ მის ამბებს, მიბაძავენ. ცხადია სიკეთე, პატიოსნება, შრომისმოყვარეობა და სხვა მშვენიერი, ადამიანის შემამკობელი მშვიდი თვისებები დასაფასებელი, პატივსაცემი და საამაყოა, მაგრამ ჩვენში, საქართველოში, კაცი თუ ხარ, ერთხელ მაინც ცხოვრებაში საგმირო, ვაჟკაცური საქციელი უნდა ჩაიღინო. რაინდობას ისევ ძველებურად აფასებენ ჩვენში და ამ თვისებას განსაკუთრებულ საქმედ გვითვლიან ახალგაზრდა მემკვიდრენი, ვაჟები, შვილები და შვილთაშვილები.

ბატონი სანდრო ამ ზაფხულამდე მშვიდად ცხოვრობდა. როგორც უკვე ვთქვით, ჭიანჭველის, ან თუ გნებავთ ფუტკრის საღარი ცხოვრება ჰქონდა. რაინდობასა და ვაჟკაცობაზე ადრე არც უფიქრია, ამგვარ საქმეზე არასდროს გამოუღვია თავი.

ჰოდა, ამ ზაფხულს, ნასადილევს თავის პატარა ოთახში იყო ტახტზე წამოწოლილი, გაზეთს კითხულობდა. მეორე ოთახში შვილიშვილი და მისი ამხანაგები ისხდნენ. კარი ღია იყო და ბატონ სანდროს ესმოდა მათი საუბარი.

თექვსმეტი-ჩვიდმეტი წლისანი იყვნენ. ზამბალა, გადაჭარბებული მზიარულებით იცინოდნენ, კვიცებივით ჭიხინებდნენ. ზოგჯერ, იშვიათად, ხმას დაუწყევდნენ ხოლმე, ვითომ რაღაც საიდუმლო ჰქონოდათ გასამხელი. ბატონი

სანდრო არ უსმენდა მათ საუბარს, რა უნდა ეთქვათ ისეთი? დღევანდელი თვეების, წლების განმავლობაში უკანასკნადა იმავს უტრიალებდნენ: ვინ ვინ დაიბარა, ვინ ვის ეჩხუბა, ფეხბურთელებმა რა თქვეს... ფიზკულტურა და სპორტი, ასე ვთქვათ... ბატონ სანდროს უკვირდა, რომ მის შვილიშვილს სხვა არაფერი აინტერესებდა, თითქოს უძრავი ტბის ზედაპირიაო, სულ ერთ ადგილზე იდგა პატარა სანდროსა და მისი ამხანაგების ინტერესები. მხოლოდ ფიზიკური საწყისი: ძალა და ძალასთან დაკავშირებული ეგრეთწოდებული სამართლიანობა სწამდათ, სხვა არაფერი... ბატონი სანდრო პატარა სანდროს „გაადამიანურებას“, „გასულიერებას“ ცდილობდა, მაგრამ ამაოდ. თითქოს ამ ახალგაზრდებში, დიდი, ნამდვილი, მაგრამ ყოველდღიური ცხოვრებისათვის გამოუსადეგარი, მხოლოდ განსაკუთრებული, ცხოვრებაში ერთხელ მომხდარი უდიდეს გასაჭირში მოსახმარი სიკეთე იგრძნობოდა.

„ნეტავი და მართლაც ასე იყოსო“, — გაიფიქრა ბატონმა სანდრომ და შვილიშვილის ხმა მოესმა:

— აზრზე მოდი! ჭკუიდან აიწევი, თოფი აქვს დამალული, ერთხელ არ უსვრია...

— სანადირო? — ჰკითხა ამხანაგმა.

— სანადირო არა ისა! „გეკოსავითა“, მაგრამ „გეკოს“ ჯობია. „მაუზერია“, ხუთი ტყვია ჩადის. ცალკე ტყვიები გატენილი სამი კოლოფი აქვს.

— რად უნდა?

— თვითონაც არ იცის.

— ეოშკობს?

— არაა მაგის კაცი.

— აბა, რის კაცია?

— ვითომ არ იცი... — თქვა პატარა სანდრომ, — ვაჟკაცური გაგების საქმეში სუფთა ნოლია. მამაჩემიც ჰგავს დაემსგავსა.

ბატონი სანდრო ტახტს რომ არ გვეკრილა, იდაყუს დაეყრდნო და წამოიწია. მეორე ოთახში არც ფიქრობდნენ ხმის დაწევას, აღარც ახსოვდათ ექ

რომ იყო, არც ის აღარდებდათ, სანდრო ბაბუამ შეიძლება გაიგონო ჩვენი საუბარიო.

„რა სისულელეა ვის უნდა ესრ-ლო, რას, რატომ? მხოლოდ იმიტომ, რომ თოფი გაქვს?!..“

— მაშ, მაგარ სახელს დაგიტოვებს. — სახელი — ჩემი, მყუთი და სახლი — მაგათი...

იქით გულიანად გადაიჭიხინეს. „რაებს როშავსო“, — გაუკვირდა ბატონ სანდროს. გაუკვირდა და შერე გაბრაზდა.

„პატარა გარეწარი, — კიდევ უფრო აგულიანებდა თავს, — პარაზიტი, უქნარა და თავხედი... ვის დაემსგავსა, საიდან, რატომ?“ წამოდგომაც დააპირა, იმ ლაწირაკების ვათახვა და გაყრა, მაგრამ თავი შეიკავა, თანდათან გულისცემაც მიიწყნარა და გაიხუტა.

რამდენიმე დღე შვილიშვილისთვის ზედაც არ შეუხედავს, მაგრამ საოცარი ის იყო, რომ ამისთვის არავის მიუქცევია ყურადღება: არც პატარა სანდროს, არც მის დედ-მამას, ჰოდა, რა გამოკის? არავინ არაფრად ავლებს... მას კი ეგონა... არაფრად ავლებენ და უთუოდ აქვთ კიდევ ამის მიზეზი.

უძილობა დაჩემდა. გრძელი ღამეების განმავლობაში ჩვეული გულმოდგინებითა და მონდომებით ნაწყვეტ-ნაწყვეტ აღადგინა მეხსიერებაში მთელი თავისი ცხოვრება. ზოგჯერ უჭირდა, წარსულს სქელი გაუმტარი საფარი გადაფაროდა. მაშინ წვლობდა, თავის ტკივილამდე ძაბავდა გონებას და თუ კი წყვედიადის გარღვევას მოახერხებდა, გათენებისას კმაყოფილი, თითქმის ბედნიერი გემრიელად, კარგად ნამუშევარი კაცივით იძინებდა. ეს მოგონებები ერთგვარ სიამოვნებად გადაექცა — თითქოს უსასრულო მრავალსერიან სატელევიზიო ფილმს უყურებდნო. ამ ფილმის გმირი თვითონ იყო: პატარა სანდრო, ალექსანდრე, ბატონი სანდრო. ბავშვი, კბაუკი, კაცი, მოხუცი და მერე სიბერეში შესული, მაგრამ პატიოსანი, სიკეთისმკმნელი, გაცრეხებული და მამარე, უხმაურო და

თავმდაბალი. გაიხსენა სამიოდე შენ-სევეა, როცა წესით უნდა ეჩქებე კიდეც. დიახ, მუშტი ექნია და ლაწირაკები გინებით მოეოხებინა გული. სხვა, მასზე უფრო გაბედული და თავშეუყავებელი, იჩხუბებდა, იყვირებდა, ცხვირპირს დაამტვრევდა შეურაცხყოფელს. ახსენდებოდა, ერთხელ როგორ დაამციირეს, საჩხუბრად გამოიწვიეს, მაგრამ თავი შეიკავა, არც შეიმჩნია, გადგა, თითქოს მას არ ეხებოდა ეს შეურაცხყოფა. მერე თავი იმით ინუგეშა, ყველას თავი როგორ უნდა გაუყადროო, სულთ მდამბის რად უნდა გაუტოლდეო, მასზე მალა უნდა დადგე და ფიზიკურ ძალას, სისაძაგლეს გონება და თავშეკავება უნდა დაუპირისპიროო. ყველა თავისი იარაღით იბრძვის, რაც გააჩნია, იმით...

ბატონი სანდრო დღესაც იგივე აზრისა იყო, მაგრამ სადღაც, გულის რომელიღაც ღრმა კუნჭულში გრძობდა ამ ინტელიგენტური მსჯელობის ხელოვნურობას. მართალი უნდა იყო ადა არა გამართლებული. სჯობს უბრალოდ და მარტივად მართალი იყო, ვიდრე ბრძნულად გამართლებული. წესიერება და ნამდვილი ვაყაყობა ის არის, როცა ბვის ქმნის უნარი შეგწევს და არ აკეთებ. თუ არ შეგიძლია და არ აკეთებ, ეგ ვერაფერი პატიოსნება და სიკეთეა. სისუსტეს, ან სიმბდალეს, რაც უნდა გამართლება მოუგონო, არაფერი შეიცვლება. გამართლებული სუსტი და მბდალი, ისევე ისე სუსტი იქნება და მბდალი.

ადამიანთათვის დიდი ხნის წინათ ცნობილ, ყოფით დასკვნამდე მისულმა ბატონმა სანდრომ გადაწყვიტა მკვეთრად შეეცვალა ცხოვრების წესი და ახლა მაინც, სიცოცხლის ბოლო, მონაკვეთზე გასულს, საკუთარი გამბედობა გამოეცადა. სახელის დასამკვიდრებლად პრიმიტიული უხეში ვაყაყობაა საჭირო? კი, ბატონო, თუ საჭიროა ტკვიანი ადამიანი მაგასაც შესძლებს!.. ბატონმა სანდრომ გეგმა შეიმუშავა. სწორედ ამ გეგმის შესასრულებლად წამოსული, კოლმეურნეობის მოედან-

ზე იდგა და ელოდებოდა № 6 მარშ-რუტის ავტობუსს. მოგრობო შეკვრაში დაშლილი თოფი ჰქონდა გახვეული. მცირე კალობრის „მალხერი“, იმ დღეს შეილიშვილმა რომ ახსენა. იქ, ოქრო-ყანაში, თავის პატარა სახლში ჩაიკე-ტება და ააწყობს თოფს. ააწყობს, გა-ტენის და თუ მოვლენები გეგმის მი-ხედვით განვითარდა, ისურის კიდევაც-ადამიანს ესერის, ადამიანს! ამაში არა-ფერი იქნება უსამართლო, უკანონო, თუ გნებავთ არაქრისტიანული. ბატო-ნი სანდროს გეგმა სწორედ იმას ით-ვალისწინებდა, რომ ის ადამიანი ტყვი-ის ღირსი უნდა ყოფილიყო. ჩანაფიქ-რი. ბოლომდე კარგად თუ წაეღოდა. ტყვიის ღირსი ადამიანიც უნდა გადა-რჩენილიყო, ცხადია, სამაგალიათოდ დასჯილი, დაჭრილი და შერცხვენილი. თავისთავად, ბატონ სანდროს საკად-რისი უნდა მიეღო, გნებავთ სისხლის სამართლისა და გნებავთ ზნეობრივი კოდექსის თვალსაზრისით. ბატონი სა-ნდრო მზად იყო პასუხი ეგო ყოველ გადადგმულ ნაბიჯზე. ყველაფრისათ-ვის იყო მზად, ოღონდ იმ გაუგებარი, უხეში ბავშვის პატივისცემა მოეპოვე-ბინა, ოჯახის ბურჯის ურყევი ავტორი-ტეტი აღედგინა.

ავტობუსის გამოჩენამდე იმდენი ხა-ლბი მოგროვდა, რომ ბატონი სანდრო იძულებული გახდა ხელსაყრელი პო-ზიცია დაეთმო. ავტობუსი მოვიდა თუ არა, უფრო ყოჩაღები კარის გაღების-თანავე მიაწყდნენ, შეცვიდნენ, ადგი-ლები დაიკავეს და ყველაზე ადრე მო-სული მოხუცები, მათ შორის ჩვენი ბატონი სანდრო, ძლივსლა შეძვრნენ, შეიჭყლიტნენ და საცალღებო სადგო-მები დაისაკუთრეს.

გაგახსენებთ, რომ ბატონ სანდროს ხელიც დაკავებული ჰქონდა იმ გრძე-ლი შეკვრითა და სამეურნეო ჩანთით და მგზავრების მიმოქცევას აყოლილი, ირწეოდა გახურებულ, გაოფლილ, ქანცგამოღებულ მასაში. ძალზე შეწუ-ხდა...

კიდევ კარგი, რომ სამი გაჩერების შემდეგ, დაეთიშვილის ქუჩის ბო-

ლოს, ავტობუსი თითქმის დაკარგელ-და. ბატონმა სანდრომ, ფანჯარასთან მოახერხა დაჯდომა და მოსვენება ამ წამიდან უკვე შეიძლებოდა ზრუნვა დასახული გეგმის განხორციელებაზე.

ბატონმა სანდრომ მგზავრებს გადა-ხედა. ნაცნობი თითქოს არავენ ჩანდა. არაუშავს, გამოჩნდებიან, რა ეჩქარე-ბა, დრო ბევრი აქვს, — თითქმის ერთი თვე.

გაჩერებიდან ფეხით სავალი ცოტა ჰქონდა, ისიც თავდაღმართი. უკვე ოდესღაც მწვანედ შეღებილ, შეყანგე-ბულ ჰიშკართან იყო მისული, როცა კაცის ხმა მოესმა.

— სანდროს გაუმარჯოს, სანდროს! მიტო იყო, ბატონი სანდროს მეზო-ბელი, უკვე ხანში შესული კაცი, ყო-ფილი მილიციელი.

— გამარჯობა, მიტო!

— დაგიგვიანდა წელს, აღარ გამო-ჩნდი.

— ახლა ვიწყებ, ჩემო მიტო.

— რა უჭირს, ეხლაც კარგად დაი-სვენებ, კარგ დარს გვირდებიან.

— დვისევენებ კი არა! — თქვა სან-დრომ და დააყოვნა, შეკითხვას დაე-ლოდა.

— რაო, რაშია საქმე?

— რაშია და მშენებლობას ვიწყებ.

— რა მშენებლობას?

— ახალი სახლი უნდა ავაშენო, — თქვა ბატონმა სანდრომ და ხელჩანთა აათამაშა.

მიტომაც მის ჩანთას გახედა. „ჩანს საბუთები აქვს თან“, — გაიფიქრა, მაგრამ აქ ბატონმა სანდრომ დაამატა და ყვითელი ხელჩანთა აიქნია:

— დანაზოგი რაცა მქონდა, ჩამოვი-ტანე და უნდა შეეუღდე.

— გვიანი არაა? ბარემ, გაზაფხულ-ზე დაგეწყო.

— გვიანი კი არა, სწორედ დროა. ერთ თვეში უნდა გადავხურო. ფულის საქმე არაა. მივაყრი!

— ჰო, — დაეთანხმა მიტო, — ეგ ეგერა...

— ჩემ გარშემო ყველას ორსარ-

თულიანები გაქვთ წამოკიმიული, მეც გავიმართები!...

— ღმერთმა ხელი მოგიმართოს!

ბატონმა სანდრომ გაჭირვებით მოხსნა ჭიშკარს ბოქლომი და თავის ნავეთში შევიდა. როგორც ყოველთვის, გული სიამოვნებით აუძგერდა. ბალახი გახუნიებული იყო, გვალვით დამწვარი, ხეხილის ხეებს ფოთლები უკვე გაყვიოთლებოდა.

„ადრე მოუვიდათ“, — გაიფიქრა ბატონმა სანდრომ.

კლდიან ნაკვეთზე ხეები ფესვებს ღრმად ვერ იკეთებდნენ, სიმალეში არ იზრდებოდნენ, მაგრამ ნაყოფი კარგი და ტბილი ჰქონდათ, და მათი გაკრეფაც იოლი იყო.

სხვა დროს ბატონი სანდრო კოტეჯში შესვლამდე თავის ბაღს დაათვალიერებდა, კარგა ხნის უნახავი მეგობარივით მივიდოდა ყოველ ხესთან... ახლა ნაჩქარევად გააღო კარი, ხელჩანთა წინკარში დააგდო, ოთახის კარი მიიკეტა, შეკვრა გახსნა და თოფის აწყობას შეუდგა. ააწყო, გატენა, სამიზნეს გახედა... მერე ლოგინზე წამოწვა და ისე დაიდგა თოფი, რომ დაწოლილს ადვილად შესძლებოდა აღება. გაივარჯიშა: რამდენიმეჯერ დაავლო ხელი თოფს, საწოლზე ჩამოჭდა და ლულა შემოსასვლელ კარს მიუშვირა. საკმაოდ მოუხერხებლად აკეთებდა ყოველივე ამას, — საწოლის ბაღე ჩაზნექილი იყო და ლოგინიდან წამოწვეა უჭირდა. თვითონვე გაეღიმა თავის მოუქნელობაზე, წაიბურღლუნა:

— „წამოხტა კაკო ლომივით ზეზე...“

ერთი საათის შემდეგ ბატონი სანდრო სოფლის შალაზიაში მივიდა, ვითომდა პურის საყიდლად. ის ეღვა მოშლილი ხელჩანთა თან ჰქონდა, თუმცა კი ნაყიდი პური ცალკე ცელოფანის პარკში ჩაღო.

— სახლის აშენება დაეპაირო ამ სიბერეში, — უთხრა ნოქარს, — მთელი ჩემი ცხოვრების მანძილზე კაპიკ-კაპიკ შეგროვილი ფული წამოვიღე, — ხელჩანთა აიქნია, — და მასალას როგორც კი მოვაქუჩებ, შეუდგები, და-

მკვრელური ტემპებით, ასე ვთქვათ...

— დიდს აპირებთ? — თავაზიანობის გამო ჰკითხა ნოქარმა.

— ჩვეულებრივს, როგორც თულიანს, თავისი სარდაფით.

— სამი გამოგსვლიათ, აბა...

— ასე ვთქვათ.

— ხელოსანი ჰქირს, — თქვა ნოქარმა.

— თუ ფული გაქვს, ეგ არაა გასაკირი...

— მართალი ბრძანდებით. მუშა დღეს ფინგანში უნდა იყოს გატარებული, უშრომელი შემოსავალი არ შეიძლება... მკაცრად მიუდგნენ ამ საქმეს...

— აბა, აბა! წესსა და კანონს ჩვენ არ დავარღვევთ... ისე გაკეთდება ყველაფერი, რომ კაციშვილმა ხმა ვერ გაგვეცეს.

— კი ბატონო, კაც საქმეა, — თქვა ნოქარმა.

მათ გარდა შალაზიაში არავინ იყო. ბატონი სანდროს გეგმით, მისი ამბავი, ე. ი. შენება, ხელჩანთით ჩამოტანილი ფული, პირველ დღესვე უნდა მოსდებოდა მთელ სოფელს.

— მეგობარო, ძალიან დამაველებ, თუ გაიკითხ-გამოიკითხავ ხელოსნების ამბავს, — მონახა გამოსავალი ბატონმა სანდრომ, — ყველა აქ მოდის და არაა ეგ შენთვის ძნელი. კალატოზი იქნება, დურგალი... ვჩქარობ და ფასზე მოვრიგდებით. შრომის ანაზღაურება პრემიალური სისტემით, ასე ვთქვათ...

— თუ ვნახე ვინმე, — უხალისოდ გამოეპასუხა ნოქარი.

„ნახავს, ნახავს! სოფლის ნოქრებს უყვართ კლიენტებთან ჭორაობა, მით უმეტეს ფულზე. საერთოდ, აღამიანებს უყვართ ფულზე საუბარი, განსაკუთრებით ბევრ ფულზე...“

ასე დამთავრდა ის დღე. საღამოხანს, ბატონმა სანდრომ შინიდან ორლიტრიანი ქილით წამოღებული კერძი გაიკხელა, ჩაი აიღულა და ივახშმა. ცხრა საათი იყო, მაგრამ უკვე ბნელოდა, სოფლის ხმაურიც მიწყდა.

ამდამ არავის ელოდა. ბატონმა სანდრომ ჭიშკარი ჩაეკეტა, ეზოში დაბალო სკამი გამოიტანა, ჩამოჯდა და განცხრომას მიეცა. ისვენებდა... ისეთი განწყობა ჰქონდა, თითქოს დღეს რამე სასარგებლო და სანაქებო გაეკეთებინა.

იმ დამეს მშვიდად ეძინა.

მეორე დღეს და მომდევნო დღეებში, თითქმის ორი კვირის განმავლობაში, ბატონი სანდრო მრავალგვარ მიზეზს პოულობდა იმისთვის, რომ სახლიდან გასულიყო და სხვადასხვა ჯურის ხალხი ენახა. ხან ვითომ ხახვი დასჭირდა და მეზობლებთან გავიდა სასესხებლად, ხან ასანთის საყიდლად მივიდა მალაზიაში, ხან წყალსადენის ოსტატები მოინახულა, ფოსტიდან ტელეფონით ელაპარაკა თბილისს, ერთ ნაცნობ კალატოზს მიაკითხა. მივიდა ორსამი მშენებარე სახლის პატრონთან... ყველგან თან დაჰქონდა ყვითელი ხელჩანთა, ყველგან სახლის შენებაზე იწყებდა საუბარს, ყველა მოსაუბრეს აგრძობინებდა, რომ ბევრი ფული აქვს ჩამოტანილი. ზოგჯერ იმასაც ამბობდა, ამდენი ფულის პატრონი მარტოდ-მარტო ვარ და არავინ გამჭურდოს ბერიკაცყო.

ოქროყანელები ლაპარაკის დიდი მოყვარული ხალხი არაა, მაგრამ სახლი ყველას აშენებული ჰქონდა, ან ასაშენებელი, ეს თემა მათთვის ნაცნობი და მნიშვნელოვანი იყო და ამიტომ ზოგი რას ურჩევდა ბატონ სანდროს და ზოგი რას. თავთავიანთ გამოცდილებას უზიარებდნენ. აკვირდებოდა მოსაუბრეთა სახეებს ბატონი სანდრო და ფიქრობდა, აბა რომელი, ნეტა რომელი მომავითხავს ბნელი დამით, ან რომელი „მისცემს“ ჭურდებს ჩემს „საქმეს“. ზოგს ეშმაკური, თაღლითური, ან ბოროტი გამოხედვა ჰქონდა, ზოგი უნდოდ უსმენდა, ზოგი რაღაც სათქმელს ინახავდა, არ უმხელდა, მაგრამ თითქოს ვერც ერთი ვერ გასწირავდა ბატონ სანდროს, ვერც ერთზე წინასწარ ეჭვს ვერ მიიტანდა კაცი. ჩვეულებრივი ხალხი იყო, უფრო

კეთილი, ან გულგრილი, საკუთარი საქმით და გასაჭირით დაკავებულნი. ვინემ ბოროტის მქნელი დაინახაულის ჩამდენი...

• • •

ბატონი სანდრო მაინც დასახულ გემას მიჰყვებოდა. მეორე ღამის შემდეგ ჭიშკარი და კოტეჯის კარი არ დაუკეტავს, საბნის ქვეშ ჩაქმული იწვა და გატენილი თოფი მოსახერხებელ ადგილზე ედგა. მაშინდა იძინებდა, კარგად რომ გათენდებოდა, რვა საათის შემდეგ, შუადღემდე, შუადღეს კი ისევ სოფელში ვადიოდა თავისი ლეგენდის გასავრცელებლად. პირველი ღამეები სულ რაღაც ელანდებოდა, ხმაური ესმოდა. ზოგ ხმაურს ფეხის ხმას ამსგავსებდა, ზოგს — ადამიანთა ჩურჩულს... ჩამდენჯერმე წამოდგა კიდევ, გულამოვარდნილი, აღელვებული, სუნთქვა შეკრული. თოფს დაავლებდა ხელს, ლოგინზე წამოჯდებოდა, კარის მიმართულებით მიუშვებდა ლულას და ელოდა. ნელ-ნელა გაერკვეოდა ხმაურში, მის ჭეშმარიტ მიზეზს არკვევდა, მშვიდდებოდა და ისევ საბნის ქვეშ შეწევებოდა ნამდვილი თავდასხმისთვის გამზადებული.

ზოგჯერ მომხვედურთან, ან მომხვედურებთან გასაბმელ დიალოგს იგონებდა. ორი ვარიანტი გამოსდიოდა: პირველი — შემტევი, სხარტი, აქტიური. დიალოგი კი არა, მონოლოგი, საკუთარი მონოლოგი. დაახლოებით ამდაგვარი: „ხელები მალა, დაყარე იარაღი მიბრუნდი კედლისკენ! ხელი ასწიე-მეთქი! არ გაინძრე, სულს გაგაფრთხობინებ! აბა, მიჰყევით ახლა ერთმანეთს! გატყევა არ გაბედო, თორემ ადგილზე გაგათავებ!“

„ვახ, მოხვედი? სალამი! გვიან მოგივიდათ, აი!.. რაღა დავიძალოთ, ადრე გელოდით... რაზე ხართ შეწუხებული? ფულზე ხომ არა? ფული გპირდება? მაინცდამაინც ჩემი?.. რაცა მაქვს სულ გინდა?.. პა, წაიღე, თუ შეგიძლია, შენი იყოს, ოღონდ არ გეწყინოს თოფი თუ გამივარდება... ისე, რომ იცოდე, ეჭვს კაცს ეყოფა: ერთი

ვაზნა ლულაშია, ხუთიც მალაზიაში... არ გინდა? მაშ მე მომისმინე..." თუ საქმე ისე წავიდოდა, რომ ყაჩაღები მოსასმენად განეწყობოდნენ, ბატონი სანდრო აუხსნიდა მათ, რომ ნამდვილი ვაქცაცი, უსაზღვროდ გაბედული ადამიანი არ შეიძლება ბნელი, გაუნათლებელი არსება იყოს, რომ მხოლოდ ნამდვილ ინტელიგენტს შეუძლია ყველაფერი „—ა“-დან „ჰ“-ემდე. რომ ნებისმიერ საქმეს, ყველაზე კეთილშობილურს, თუ ყველაზე დიდ სისასაგულეს ჰკვირანი და განვითარებული ინტელიქტუალი უკეთ გააკეთებს, ვიდრე უგუნური მდაბიო. აი, ამის დამადასტურებელი მაგალითიც, „ხელები მაღლა...“ ისინი სთხოვენ — „შევცდიოთ, ბიძაჩვენო—ეს ერთი გვაპატიე, გაგვიშვიო“. მაგრამ არა. ჩააბარებს სადაც საჭიროა. ერთი იმ ჰიზინა კვიცებმა უყურონ ამ დროს... მისი შვილიშვილის მეგობრებმა.

მაგრამ ხანდახან, ღამის ფიქრებსა და წარმოდგენებში, ბატონი სანდრო, სამწუხაროდ, მარცხდებოდა. სხვა თუ არაფერი, გამკაცრებულ პროფესიონალებთან ჰქონდა საქმე. იმათ რა იცოდნენ მეტი? ბატონ სანდროს აბრკოლებდა ხოლმე თოფი. სანადირო თოფი რომ ყოფილიყო, ჯობდა: სანადირო თოფით მიზანს ვერ ააცილებ. ეს „მაუზერი“ კი სანდო არ არის, თუ არ დაუმიზნე, ვერ გაართყამ და ამ სიბნელეში როგორ გინდა დაუმიზნო, სამიზნე არ ჩანს... შესაძლებელია მომხდურებსაც ჰქონდეთ იარაღი, პისტოლეტები. პისტოლეტი, ცხადია, ბევრად უფრო კარგი სახმარია ახლო მანძილზე.

ბატონი სანდრო ხანდახან იმასაც წარმოიდგენდა თავში როგორ ხედებოდა ტყვია. უცებ განათდებოდა სიბნელე და საზარელი ხმაურით ეხეთქებოდა რაღაც თავის კოლოფს, ეღვა გაიკლაკნებოდა საფეთქლებს შორის და ნაქერწყლებივით გამოცვივდებოდა სიცოცხლე... სწორედ მაშინ ესროდნენ, როცა თავად მიზანში ამოიღებდა ოთახში შემოსულს.

უფრო ამაზრზენი იყო იმის წარმო-

დგენა, რომ ბატონ სანდროს არა ჰქონდა ვდნენ. შიშით მონუსხული, ვერც ფიქრის ალებას ახერხებდა და ვერც ტყვის თქმას, ყაჩაღები ესხმოდნენ თავს, ართმევდნენ იარაღს და სცემდნენ. ჯერ სცემდნენ, რათა დაემორჩილებინათ და დაეშინებინათ, მერე სცემდნენ, რათა გამოეტეხათ, ფულს სად ინახავდა. და რადგან ბატონ სანდროს ფული არ ჰქონდა, მისი ცემა-წამება იალზე დიდხანს გრძელდებოდა. ბატონი სანდრო გაჭირვებით იცილებდა თავიდან ამ უსაზღვრო დამცირების სურათებს.

ასეთი ზმანებებისა, თუ წარმოდგენების შემდეგ მართლა ნაცემივით გრძნობდა თავს და მთელი დღე გუნებაგაფუჭებული, დათრგუნული დადიოდა.

ცხადში არაფერი იცვლებოდა, არაფერი ხდებოდა ახალი: კვლავ ერთფეროვნება, საუზმედ და სადილად დაკონსერვებული ზორცი და პაშტეტი, ცივი წყლით თეფშების რეცხვა და მოლოდინი, მოლოდინი...

მხოლოდ ერთმა უსიამოვნო შემთხვევამ ოდნავ შეცვალა ბატონი სანდროს ერთფეროვანი ცხოვრება და მოაგონა რომ ყურადღება და სიფრთხილე მართებდა.

იმ დღეს ნასადილევს გავიდა სახლიდან, რათა საღმე მაწონი ეყიდა. და თან, ცხადია, თავისი ძირითადი გეგმის განხორციელებაც განეგრძო. მაწონი ვერ იშოვა, მხოლოდ ერთგან ხვალ დილისათვის დაპირდნენ.

სახლთან მოახლოებულმა დაინახა, რომ შესასვლელი კარი ღია იყო. გული შეეკუმშა და ნაბიჯს უმატა. შინ შესულმა თვალი მოჰკრა, შუა ოთახში დამჯდარ კაცს, რომელსაც მუხლებზე მისი თოფი ედო და ზუსტად ისეთი პოზიცია ეკავა, როგორსაც ბატონი სანდრო თავის წარმოდგენებში ირჩევდა.

ბატონი სანდრო კარის ზღურბლზე გაშეშდა. კაცი კი ვალიმებული წამოღდა და როგორც არასასიამოვნო ნაც-

ნობებმა იციან, განსაკუთრებული გულთაღობით წამოიძახა:

— სანდროს სიცოცხლე, სანდროს! ბატონი სანდრო შეიშმუშნა, სტუმარი იცნო. ეს იყო არჩილ ბართაია, მისი სამინისტროს სარევიზიო სამმართველოს უფროსი, შეიძლება ითქვას ერთადერთი ადამიანი მთელ დაწესებულებაში, რომელიც ბატონ სანდროს არ უყვარდა. მისთვის კი არაფერი დაუშავებია, მაგრამ თაღლითი იყო და მექრთამე, თუმცა ხამალა ხალხში უყვარდა თქმა: „ჩემზე პატიოსანი კაცი, აღარავინ არისო, თავის დროზე იმდენი მაქვს შეჭმული, რომ ჩემს შეილთაშვილებს ეყოფა და აწი კანონს რაღად დავარღვევო“... ბატონ სანდროს არა სჯეროდა ამ სიტყვების, სწამდა, რომ ჭურდი ჭურდობას არ მოიშლიდა. ბატონი სანდრო კავად უღარესად პატიოსანი კაცი იყო, მაგრამ გაიძვერების ყველა ხრიკი და ილეთი მშვენივრად იცოდა.

— კაცო, მითხრეს აქ არისო და გამოვექანე შენკენ. ასე უნდა? ორი კვირა აქ ვარ და აქამდე ვერ შევხვდით ერთმანეთს. აქეთ თუ მოდიოდნენ ვერ მითხარი? — ეს ყველაფერი მიაყარა და ხელის ჩამოსართმევად წამოვიდა, თოფი ისევ ისე ეჭირა ხელში, — გამარჯობა შენი!

— გაგიმარჯოს! — უპასუხა სანდრომ.

— რამ დაგამეავა, შე კაცო, ჩემი ნახვა თუ გეწყინა, წავალ, — და გაიცივნა, ვითომდა როგორ შეიძლება რომ ჩემი ნახვა ვინმეს ეწყინოსო.

— არ მოგელოდი, — ცივად მიუგო ბატონმა სანდრომ.

— საგზური ავიღე, პანსიონატში. გადავიღალე, სამი წელიწადია შეებულება არ ამიღია, შენც კი იცი...

— ეგ როგორ არ ვიცი, — ჩაუბრაო ბატონმა სანდრომ, მაგრამ არჩილს მის ნათქვამში ირონია არ უგრძობია.

— ერთი დღეც რომ შემუშავა, ვავთავდებოდი ნამდვილად. ერთხელ მეც ცოტას დავისვენებ მეთქი, ნერვებს

დავიწყნარებ... ოცდაათი დღით ვარ. თუ გავძელი.

— დაღე ეგ თოფი [თქმა] ხარჯ გატენილია.

— ვნახე, ვნახე რომ გატენილია. დამცველზეც არ გქონდა დაყენებული და რაშია საქმე, მოკვლას ხომ არ უპირებ ვინმეს?

— როგორ შემოხვედი?

— კარებიდან, ჩემო სანდრო, კარებიდან ვიცი მე შემოსვლა.

— ღია იყო?

— აბა, მე ხომ არ მაქვს შენი კარის გასაღები. თუ მომცემ აწი, კარგს იზამ. მართლა, მართლა, ძმურად გთხოვ, ისეთი ქალია ერთი-ორი, ნერწყვი მოვივა...

ბატონმა სანდრომ კარში ჩარჩინილ გასაღებს შეხედა. ეს როგორ მომივიდაო, იფიქრა, უცხო რომ შემოსულიყო ვინმე, ან ბავშვი, თოფს დაინახავდა და წაიღებდა კიდეც. კარგი კიდეც, რომ ეს არჩილ ბართაია მობრძანდა და არა სხვა ვინმე. და ბატონმა სანდრომ გულთაღად შესთავაზა:

— დაღე ეგ თოფი, დაბრძანდი. ყავას მოგიხარშავ. მაგარ ყავას.

არჩილი თოფს არ იცილებდა.

— აჰ, ჩემს გულს ყავა უნდა კიდეც? საქმელი რა გავქს?

— საშენი არაფერია: კონსერვები, ყველი, პური...

— ბიტოჩკებით ვარ გატენილი, აღარ შემიძლია სულ კატლეტი-ბიტოჩკი, ბიტოჩკი-კატლეტი... ფაქტიურად — პური. ხალხს არა უშავს, ინტელიგენციაა და მათი ოჯახები... რა ვქნათ იცი, აგერ ფუნიაკულიორზე გავიდეთ და ადამიანურად ვისადილოთ ერთი. დამპატივე, როგორც ადგილობრივმა კაცმა.

— ერთ საათს მოითმენ?

— კი, მაგრამ რა ვაკეთოთ ერთი საათი ტყუილად?

— სოკოზე წავიდეთ.

— სოკოზე? არის აქ სოკო?

— რამდენიც გინდა.

— იცი შენ მერე სოკოს ცნობა?

— რა თქმა უნდა.

-- მეც მასწავლი?

-- გასწავლი, აბა რას ვიზამ. მოვაგროვოთ სოკო. შეგწავთ და გვაპოთ, -- როგორც კი მოიფიქრა, როგორ დაეხსნა თავი არჩილისაგან, ბატონი სანდრო გამხიარულდა.

-- რად გინდა შენ ეს თოფი? -- ჰკითხა არჩილმა და როგორც იქნა თოფი ოთახის კუთხეში მიიყუდა.

-- სილამაზისთვის.

-- კია ლამაზი, მაგრამ თუ არ იხმარე, რად გინდა? მჩაუქე მე.

-- შენ როგორ მოიხმარ?

-- მე ჩემს სიძეს ვაჩუქებ.

ბატონმა სანდრომ კალათი და ცულოფანის პარკი მოამზადა, ორი დანა ამოიღო.

-- არა, მართლა, მომყიდე ეს თოფი. ორასი მანეთი ეღირება და მე სამასს მოგცემ.

-- მაგას ნებართვა უნდა.

-- შენ გაქვს მერე ნებართვა?

-- მე მაქვს.

-- ჰოდა, ჩემს სიძესაც აქვს, პროკურორია, კაი კაცური კაცი. მომყიდე და ფულს ხელად მოგცემ, ნისიად კი არ მიწდა.

-- არ ვყიდი, ნაჩუქარი.

-- ჰოდა, შენც მჩაუქე მაშინ. ნამეტანი მომეწონა.

-- დროზე წაივით, თორემ მოგშვიდება ძალიან.

-- ვინ გაჩუქა, თუ კაცი ხარ?

-- ვოროშილოვმა.

-- კაი ერთი, სეროიოზულად გეკითხები.

-- კარს ვკეტავ, გამოდი...

არჩილმა ვერ მოისვენა და გზაზე კიდევ რამდენჯერმე ჩამოაგდო თოფზე საუბარი. ზუთას მანეთამდე ასწია ფასი და იქვე დასძინა, ფულს სიძეს გამოვართმევ, თვითონ საიდან შეიძლება ამხელა თანხა მქონდესო. ბატონ სანდროს გაახსენდა, რომ არჩილ ბართაიას აქვს აგარაკი წყნეთში, თავისი ქალიშვილის სახელზე გაფორმებული, მანქანა ვაყის სახელზე ნაყიდი, და კიდევ ბევრი რამ, სულ სხვებზე, სხვის სახელზე... თავად არაფერი არ ჰქონ-

და, არავითარი კერძო საკუთრება... „თოფსაც კი სიძის სახელზე ვაღდექო ლობს“...

შევიდნენ პატარა ფიჭვნარში. ბატონმა სანდრომ მოიჩქნა ჯოხით ხეების ფესვებთან მოგროვილი ხმელი წიწვი და „მკადა“ სოკო იპოვნა. არჩილი ამ მონაპოვარმა აღაფრთოვანა. თვითონაც დაიწყო წიწვის ჩიჩქნა და რამდენიმე სოკო იპოვა. ყოველი სოკო ბატონ სანდროსთან მიჰქონდა და ეკითხებოდა, „ეს როგორია, შხამიანი ხომ არ არისო“... შერე, ბატონმა სანდრომ დრო იხელთა და დაიმალა. არჩილმა სოკოს ძებნას თავი მიანება, დიდხანს ეძახა ბატონ სანდროს, ეძება, მეგრული გინებით რამდენჯერმე ჩაუარა მის საფარს და პასუხი რომ ვერ მიიღო, გასცილდა იჭაურებას. ბატონ სანდროსაც ეს უნდოდა... ჯაყვა შესწირა ამ საქმეს, სამაგიეროდ ფუნჯულიორსაც გადაურჩა და იარაღით ეპრობასაც.

• • •

გვიან საღამოს დაბრუნდა შინ, კალათი სოკოთი ჰქონდა საცხე. სინათლე არ აუნთია, არჩილის სტუმრობისა ეშინოდა. ზვალ დილით დაარჩევს სოკოს და ჩაამარჩილებს. ჩამწნილებული მკადა-სოკო მწვანდება, შეუხედავი ხდება, გეგონება ნამდვილად მოგწამლავსო, მაგრამ მოხარულ კარტოფილთან და რამე მაგარ სასმელთან იმის ჭამას არაფერი სჯობს. ბატონმა სანდრომ სოკოს ცნობაც იცოდა და დამზადებაც.

დაწოლას აპირებდა, როცა გარედან დაუძახეს. ღობესთან მიტო დაინახა და გავიდა.

-- ხო არ გაგაღვიძე? მომერიდა კია, სინათლე რომ არ გენთო, არ ეძინოს შეთქი.

-- არა მძინებია, მიტო, მობრძანდი.

-- აქეთ გამოდი, ორი ს-ტუვა მაქვს სათქმელ. -- და ბატონი სანდრო რომ მიუახლოვდა, დაამატა, -- კაი ვაშარჯობა, შენი.



— გაგიმარჯოს! — ლობის იქით გადააწოდა ხელი ბატონმა სანდრომ.

— ჩემმა ბიჭმა გამოგზავნა, მიდიო, უთხარიო... — გაქიმა მიტომ.

— რაო, რა უთხარიო? — მიეშველა ბატონი სანდრო.

— ჰო იცი მძღოლია, ჩემი ბიჭი, შუათანა... ჰოდა, სილა თუ დასჭირდესო, ან ხრეში, ან ქვაო... ცემენტს და არმატურას ვერაო... ბლოკიც აღარ შემიძლიაო. და ის რაც ვითხარი სხვას აღარ მოაწიკინო, მაგან ბარაჭიანი რეისები იციო, სხვასავით ნახევარ კოვშს კი არ მოგიტანს, კაცო...

— კარგი, მიტო, გადაეცი შენს შუათანას, რომ სილას, ხრეშს და რიყის ქვას მხოლოდ მას ამოვატანიებ, სხვას არავის.

— ეგ უნდა მეთქვა და სულ ეგა, — თქვა მიტომ და ამოისუნთქა, — მაინც როდის აპირებ?

— დაპირებით კი ვაპირებ, მაგრამ გამიჯანჯლა საქმე.

— მაგათ ეგრე იციან, — თქვა მიტომ, ის კი აღარ უთქვამს ვინ „იცის ეგრე“...

\* \* \*

გავიდა კიდევ რამოდენიმე დღე. ბატონი სანდრო მიეჩვია ღამის თევასა და მოლოდინს. შიშის გრძნობა გაუქრა. ღამით, ყაჩაღები რომ მოსულიყვნენ, ბატონი სანდრო ალბათ მართლაც გამოელაპარაკებოდა, შესაძლოა, სიტყვაში მოუგებდა და მშვიდად, სროლისა და აყალ-მყალის გარეშე მოიცილებდა თავიდან. თოფი საჭირო იყო როგორც იმედი, ან არგუმენტი შეკამათების შემთხვევაში...

ამ დღეების განმავლობაში საყურადღებო არაფერი მომხდარა. ერთხელ ფოსტაში ჩავიდა და შინ დარეკა. ყურმილი რძალმა აიღო, „სადა ხართ ამდენ ხანს, ხმას რატომ არ გვაწვდით. ძალიან ვღელავთო... რა უწყურადღებობაა ეს, ბოდიში და ბავშვი ხომ აღარა ხართო... ან ცხელი საკმელი არ გნებავთ, ან ტანის დაბანა, ან სარეცხს ვინ გირეც-

ხათო“... — ყველაფერი ერთად თქვა, სულმოუთქმელად.

ბატონი სანდრო <sup>გამოხედა</sup> ~~გამოხედა~~ უსმენდა და ელიმებოდა. „შე დალოცვილო, — ფიქრობდა, — აქ ამოსვლას რაღა უნდა, ბევრი-ბევრი ნახევარი საათი, ცხელი საკმელი თუ მინდა, გააკეთე და ამომიტანეო“. მაგრამ, ცხადია, საყვედური არ უთქვამს, რძალს ეტყობოდა, რომ მართლა აღელვებული იყო და ეს თავისთავად ესიამოვნა ბატონ სანდროს. „ყველაფერი რიგზეა, ჩემზე ნუ ღელავთ, ამ დღეებში ჩამოვალო“, — შეაწყვეტინა რძალს და ყურმილი დაკიდა. შვილი-შვილის ამბავი არ უყითხავს, რას გვიგებდა ახალს, სწავლას უმატა, წიგნების კითხვა შეიყვარაო? ისე არაა ჩვენი მტერი...

სალამოხანს კიდევ ერთმა სტუმარმა მოაკითხა, მიხეილა. მოხუცი კაცი იყო, ცალთვალა. ადრე მიხეილი მილიციაში მუშაობდა, ფუნეკულიორის ტერიტორიაზე და თაღარიგში გასვლის შემდეგ ოჭროყანაში დასახლდა. მისი სახლი ბატონი სანდროს ნაკვეთიდან შორს არ იდგა, უკვე ორი ათეული წელიწადი იცნობდნენ ერთმანეთს, მაგრამ დღემდე ერთმანეთს არ სტუმრებინან.

მიხეილი შინ შეჰყვა ბატონ სანდროს სკამის კიდებზე ჩამოჯდა, მილიციელის გაბუნებული ქუდი მოიხადა, მუხლებზე დაიდო და ხანგრძლივ, არეული მობოდიშების შემდეგ თქვა:

— ხელი უნდა გამიმართო, პატივცემულო სანდრო, ამ ზამთარს რომ არ გადავხურო, დამიღებოდა ეგ არასამეხობელი, მესამე წელია ეგრე მიდგას... არ გეტყოდო, მაგრამ სხვას ვერავის ვთხოვ, კიდევაც რომ ვთხოვო რას მოგცემს თუ არა აქვს...

— კარგად გამაგებინე რა გინდა?

— შიფერია მოსული, რუსეთის... საწყობში რო ყრია ის კასპისა და არ ვარგა. რუსეთისა დიდიცაა და ოც წელიწადს მაინც ძლებსო... შიფერის ლურსმანი ვიშოვე.

— მერე?

— ხელოსანმა მიტხრა 50 ცალი მაინც გინდაო.

— ლურსმანი?

— არა, კაცო, შიფერი.

— შენ გინდა შიფერი იყიდო და ფული არა გაქვს, ასეა?

— დიახ, პატივეცმულო სანდრო, ხელი გამიმართე და გაის ამ დროს მოგართმევ. მოზეერს დავკლავ და მოგართმევ... 50 თუმანს ახლაც მომცემენ, მაგრამ, რათაო ერთ წელიწადში ას კილოს მაინც მოიმატებს წონაში, სულ ცოტა..

— გინდა რომ ფული გასესხო?

— დიახ, 50 თუმანი, გაის ამ დრომდე. მოზეერს დავკლავ და უკლებლივ მოგართმევ, კარგ ხაზზეც დაგპატიეებ.

— ხაში კარგია, მაგრამ ფული თვითონ მჭირდება, გაიგებდი, სახლის აწელებას ვაპირებ.

— რალა დროის სახლია, ახლა, პატივეცმულო სანდრო. საცაა წვინები დაიწყება, ტალახში რა მუშაობაა. შენც გაზაფხულზე დაიწყე და გადახურვის დრო რომ მოვა, იმ შენს 50 თუმანსაც მოგართმევ. ხელი გამიმართე და ჩემზე იყოს... მშენებლობა რომ გექნება, ორი-სამი დღე ისე გამოვალ, არაფერს არ გამოგართმევ. ცოტას კიდევ მოგეხმარები, ზო იცი, ხანდახან...

რომ ჰქონოდა, ნამდვილად მისცემდა. დაუყოვნებლივ, უყოყმანოდ, მაგრამ რა მიეცა?.. ბატონი სანდრო დაფიქრა.

— კარგი, მიხეილ, ფულს გასესხებ. ოღონდ რამდენიმე დღე უნდა მაცალო. თბილისში ჩავალ და ამოგიტან.

— ის შიფერი სულ იქ კი არ იდება, პატივეცმულო.

— რას გეტყვი, იცი... მოელაპარაკე, სთხოვე შეგინახოს და ფულს ამოგიტან უსათუოდ. დღეს რა დღეა? ხუთშაბათი... იმ სამშაბათს არ გადავაცილებ, გასაგებია?

— აი, ახლა რომ მოდის იმ სამშაბათს?

— ჰო, ხუთი დღე მაცალე.

— კარგი, ეგრე იყოს, — უკმაყოფილოდ.

8. „მნათობი“, № 2.

ფილოდ თქვა მიხეილმა და წამოდგა/ ნაწყენი ჩანდა.

„ახლა ეს მოძებნის სადღაც...“  
 ხულ თავის ძველ ნაგანს, გასწმენდს, გატენის და ამაღამ მომპაიკთხავს“. — გაიფიქრა ბატონმა სანდრომ და გაეღიმა, — „ღირსი ვარ...“

\*\*\*

ბატონი სანდროს შვებულების ვადა ამოიწურა. უკანასკნელ, ერთ ღამეს კიდევ გაათევდა ოქროყანაში, მეორე დღით კი, კვირას, თბილისში უნდა დაბრუნებულიყო.

ჩანდა, რომ ბატონ სანდროს გეგმას განხორციელება არ ეწერა.

„რალა უკანასკნელ ღამეს? — ფიქრობდა, — ოთხი კვირაა აქა ვარ და არაფერი მომხდარა. ტყუილად ვიწვავლე და ვიტყუე ამდენი...“

მაგრამ ბატონი სანდრო გრძობდა, რომ მთლად ტყუილად არ უწვავლია, ფათერაკის მოლოდინმა, საიდუმლოდ და მზადყოფნამ რალაც შესცვალა, თითქოს ნაწილობრივ მაინც ჩაედინოს განზრახული. ამ უკანასკნელ ღამეს ნორმალურად დაიძინებს, ტანთ გაიხდის, გემრიელად შეწვება ლოგინში.

დაწვა, მაგრამ ვერ დაიძინა. იწრიალა, იწრიალა, მერე გაახსენდა, რომ კარადაში კონიაკის ნარჩენი ჰქონდა. ადგა, ბოთლიდან ორიოდღე დიდი ყლუში მოსვა და ჭერ სითბოშერჩენილ ლოგინში შეწვა.

შუალამე იყო, როცა მოულოდნელად გააღვიძა რალაც ხმამ. უცბად გამოფხიზლდა, საწოლზე წამოჭდა. მანქანის ბრავის ხმა იყო. სულ ახლოს, მის ჭიშკართან ისმოდა. ძრავა დაბალ ბრუნვებზე მუშაობდა, ეტყობა მანქანა ახლახანს გააჩერეს და ძრავა არ გამოურთავთ. სატვირთო მანქანა უნდა ყოფილიყო. ბატონმა სანდრომ თოფს დააელო ხელი და ფეხაკრეფით გავიდა წინკარში. მანქანის ფარები მის ჭიშკარს ანათებდნენ და ლობის ჩრდილი ფართოდ გადმოწოლილიყო ეზოში.

ბატონმა სანდრომ „მაუზერი“ შეამზადა და გაიტრუნა. რალა მაინცდამა-

რც დღეს გაიხადა ტანთ, — სასაცილოდ გამოიყურებოდა, გრძელ სატინის ტრუსებში. ტრიკოტაჟის ლურჯ მაისურში, ფეხშიშველი და თოფით ხელში. საკმაოდ ციოდა კიდეც.

იქითა მხრიდან ვილაც დაეჯავღურა ჭიშკარს, შეანჯღრია, გაალო და ეზოში შემოვიდა. ახალგაზრდა კაცი იყო, ჯმუხი, ჭიშკარის განათებულ ჩაჩროში შავად უჩანდა აბურძგნული თმა, წვერ-მოშვეებულიც უნდა ყოფილიყო.

„შუა ეზომდე რომ მოვა, შევაჩერებ“, — გაიფიქრა ბატონმა სანდრომ, — „ასე ფეხშიშველი გარეთ ვერც გავალ“...

კაცი ჭიშკარს არ გასცილებია. ათვალეირ-ჩაათვალეირა ეზო და შემდეგ რიხიანად დაიძახა:

— მაინძელო!

ბატონმა სანდრომ არ უპასუხა. იქნებ გამოტყუება უნდა, თავდასხმის და ძალადობის მილიონი ხერხი არსებობს... ბოროტმოქმედი თუ არ არის, მაინც მოცდა სჯობს, ახლავე რომ გარეთ გავარდეს, ცხადი იქნება, რომ კარგა ხანია უთვალთვალეზს.

— მაინძელო! — გაიმეორა ლამის სტუმარმა.

ავაზაკს არ ჰგავდა, იდგა ერთ ადგილზე და ჩაბნელებული სახლის მიმართულლებით იცქირებოდა.

ბატონი სანდრო ოთახში შეტყაპუნდა, თოფი კუთხეში დადო, სპორტული შარვალი ჩაიცვა და „მაინძელოს“ მესამე დაძახებაზე გარეთ გავიდა.

— რომელი ხარ?

— რომანა ვარ, ხაზეინ, მამაჩემმა რომ ვითხრა. ხრეში მოგიტანე.

— რა დროს ხრეშია? — გულწრფელად გაუკვირდა ბატონ სანდროს.

— ახლა ჯობია, ხაზეინ, აბა დღისით მე უფრო ძვირი დამიჯდება.

— უცნაურია, — თავისთვის ჩაილაპარაკა ბატონმა სანდრომ — ხრეში...

— სად დავეყარო?

— აქ დაყარე, სადმე, — უნებურად უპასუხა ბატონმა სანდრომ.

კაცი გაბრუნდა, ჭიშკარი გამოალო, საჭეს მიუჯდა და თვითმკლულს სანდროს ნაკვეთზე შემოაგორა. შემთხვევით, უკან დაძრა, რომელიღაც ხეს მიაღდა.

— აქა? — დაიძახა კაბინიდან.

— ცოტა წინ წადი.

მანქანა ოდნავ წინ წავიდა, მერე ისევ უკან დაგორდა და გაჩერდა. საბარგული აიწია და ხრეში ჩხრიალით ჩამოყარა მიწაზე.

ბიტოს შუათანა ვაეი გადმოხტა მანქანიდან, ძარის უკანა მხარე გადასწია.

— ისეთი ხრეშია, ბიძაჩემო, ნამდვილი. გინდა ბალავარში გამოიყენებ გინდა ცოკოლზე, გინდა სარტყელად. სხვას ექვს თუმანს ვართმევ, შენ როგორც მეზობელ კაცს, ხუთად მოგიტანე. კიდეც რამდენი რეისი გინდა?

— ჯერ მეტი არ მინდა, ნუ შეწუხდებით, — უთხრა ბატონმა სანდრომ, — ჯერ პროექტი არ დამიმტკიცეს.

— მაგათ ეგრე იციან, — მამამისივით თქვა მძღოლმა და საჭეს მიუჯდა.

— ფული სამშაბათს რომ იყოს? — გაუბედავად მიაძახა ბატონ სანდრომ.

— როცა გავგებარდება. ხუთი თუმანი არც ამაშენებს, არც დამაქცევს, ნისიად იყოს.

— ჰო, გმადლობთ, — თქვა ბატონმა სანდრომ და ხელი გაყინულ მკლავებზე მოიხვია.

მანქანა უკანა სვლით გავიდა ეზოდან, მძღავრმა ფარებმა წამით გაანათეს ბატონი სანდროს ფიგურა. მძღოლი მანქანიდან აღარ გადმოსულა, გზა გააგრძელა, ჭიშკარი ღია დარჩა. ბატონი სანდრო ხრეშის გორაკზე გადაძვრა, ჭიშკარი დაკეტა და ძუნძულით გასწია ჩაბნელებული კოტეჯისაკენ.

\*\*\*

მეორე დღით ბატონმა სანდრომ თავისი „მაუზერი“ გარეთ გამოიტანა. ასწია, ცას დაუმზინა და ექვსჯერ ზედოხედ ესროლა. მერე დაშალა თოფი, შეაბჯია, გუშინდელი სადილის ნარ-

ჩენებით ისაუბმა და საათს დახედა. რვა საათი იყო.

„პანსიონატებში ალბათ ცხრა საათიდან იწყება ცხოვრება“, — გაიფიქრა ბატონმა სანდრომ, დასაყვი სკამი ეზოში გამოიტანა და დაჯდა. არაფერი გაუკეთებია სროლისა და ჭამის მეტი, მაგრამ დაღლილი იყო. ხრეშის გორაკს გასასვლელი გზა გადაეკეტა. თოხი უნდა აეღო და გადაეწმინდა, მაგრამ ახლა არ ჰქონდა მაგის თავი.

ცხრა საათამდე იჯდა, მერე კოტეჯიდან გულდასმით გახვეული თოფი გამოიტანა და პანსიონატისკენ გასწია.

არჩილი საუზმის შემდეგ სკვერში მოსიერნე დამსვენებლებს შორის დაინახა. ნახევარი ნახევით უკან მიჰყვებოდა ვიღაც წარმოსადგე, სათვლიან, „ადიდასის“ კოსტუმში გამოწყობილ კაცს.

ბატონ სანდროს მზად ჰქონდა სათქმელი.

— სად დამეკარგე, ბიჭო, ასე უნდა?! — დაიწყო მან მიახლოებისას, — დაღამებამდე გეძებე, მერე „ფუნიკულიორზე“ გავარდი, რა იყო, როგორ გაჭრი?

არჩილი გავგებული მისჩერებოდა, მერე „ადიდასებიან“ კაცს ბოდიში მოუხადა და ბატონ სანდროს გაჰყვა.

— შენგან არ მოველოდი! — განაგრძობდა ბატონი სანდრო, — სულ სხვა კაცად გთვლიდი, ძალიან დამწყვიტე გული.

— კარგი, სანდრო! — თქვა არჩილ ბართაიამ, რომელიც მშვენივრად ერკვეოდა სიტუაციაში, — მითხარი, რამ მოგიყვანა აქ დღილადრიან?

— თოფი მინდა მოგყიდო, — მოკლედ მიუგო ბატონმა სანდრომ.

— ოთხასად? — შეეკითხა არჩილი.

— რა ამბავია?

— მშვიდობა.

— მაგდენი ფული სადა მაქვს, ჩემო ძმაო?

— კარგად მენახე! — უთხრა ბატონმა სანდრომ და წასასვლელად შეტრიალდა.

— მოიცა, ხო! ჩვენ ხუთასზე შევთანხმდით.

— არაფერზე არ შევთანხმებულვართ. გინდა — წაიღე!

არჩილმა გაიხედ-გამოიხედა, ხომ არაეინ გვიყურებს, ხელი ამოსდო იდაყვის ქვეშ ბატონ სანდროს და მყუდრო ბილიცზე გადაახვევინა. ბილიცის ბოლოს ლურჯად შეღებილი მერხი იდგა. არჩილ ბართაია იმ მერხზე ჩამოჯდა, ხელი უბის გიბეში ჩაიყო, ფულის დასტა ამოიღო, ზურგი შეაქცია ბატონ სანდროს და თვლას შეუდგა.

— დათვალე! — გაუწოდა ბატონ სანდროს დასტა.

ბატონმა სანდრომ გადათვალა ფული, შეკერა მერხზე დაღო და წავიდა.

— გამაგებინე, რა მოხდა? — მიამახა არჩილმა, — ხომ არაფერი შემძლია?

ბატონ სანდროს პასუხი არ გაუცია, უკან მოუხედავად აუწია ხელი, ერქარებოდა. მიდიოდა ავტობუსის გაჩერებისკენ, მიამანავებდა მოშლილულიან ყავისფერ ხელჩანთას...

• • •

ავტობუსი თითქმის ცარიელი იყო. ბატონი სანდრო მარტო იჯდა მეორე სავარძელში და სიამოვნებით ფიქრობდა ცხელ აბაზანაზე, თეთრ პერანგზე, ტელევიზორსა და გემრიელ სადილზე. „დღეს კვირადღეა, რამე ექნებათ“... თითქოს არ ყოფილა ის ოთხი კვირა, უძილო ღამეები, რაღაც დამთავრდა და გაჭრა.

გამოსცილდნენ სვეტს წარწრით „თბილისი“ და თითქმის ბოტანიკის ინსტიტუტის ყოფილ შენობასთან იყვნენ მისული, როცა მოსახვევიდან იმავე № 6 მარშრუტის ავტობუსი გამოჩნდა. ისიც თითქმის ცარიელი.

ბატონმა სანდრომ უნებლიედ გახედა ავტობუსს და მის უკანა ფანჯარაში შვილიშვილი დაინახა. უმცროსი სანდრო ნახევარი ტანით გადმოხრილიყო ავტობუსიდან და ხელებს იჭნევდა.

„ნეტა ვინ დაინახაო“, — წამით გაიფიქრა ბატონმა სანდრომ და მიხვდა, რომ შვილიშვილი მას უჭნევს ხელებს.

— ე-ე-ე-ე! — მოესმა ბიჭის შეძახილი.

ბატონი სანდრო წამოხტა სავარძლიდან.

— გააჩერე! — დაუყვირა მძღოლს, მაგრამ იმას არ გაუგია.

ავტობუსი თავდაღმართში გიგორავდა „კომკავშირის ხეივანსკენ“.

— გააჩერე, თორემ ვესვრები! — ღვილზე გაგათაყებ! — სრულიად მოულოდნელად წამოიძახა ბატონმა სანდრომ და მძღოლმა მკვეთრად დამუხრუჭა. ბატონი სანდრო მარდად ჩამოხტა ავტობუსიდან.

— გიჟია ეს ოხერი! — თქვა მძღოლმა და კარი დახურა.

ბატონი სანდრო მოსახვევს ასცდა და ძუნძულით აუყვა აღმართს.

ზემოთ მიმავალი № 6 მარშრუტის ავტობუსიც გაჩერდა...

ალექსანდრე დუმონტი

„შენი საქმეები და ღვაწლი თავისთავად ილაღლებენ“

ამ სიტყვებით გამოთხოვა აკაკი წერეთელი ვერაჯი შტრის ხელით განგმირულ ერის მოციქულს და მისი წინაწარმეტყველება ახდა. ილია ჭავჭავაძის საქმეები და ღვაწლი დღეს თავისთავად ღაღადებენ ჩვენი ცხოვრების ყველა სფეროში. ილიას ანდერძი სწავლება თითქმის ყველაფერს, რაც ხალხის მიერაა შექმნილი, რაც ეროვნული სულის განსხვავდება; სწავლება ჩვენს ისტორიასა და არქეოლოგიას, ლიტერატურის-მცოდნეობასა და ენათმეცნიერებას, ფოლკლორსა და ეთნოგრაფიას, რუსთაველსა და ბარათაშვილს, პოეზიასა და პროზას, კულტურასა და მეცნიერებას, პურსა და ვაზს, უწინარეს ყოვლისა, ჩვენს დედაენას, მის ლექსიკასა და სტრუქტურას. ილიამ ღრმად ჩაიხედა დედაენის ხელთუქმნიელ საგანძურში და შთაბამაველობას გაუმხილა სიმაართე მისი აუწონავი და დაუყასიბილი სიმდიდრის შესახებ. სწორედ ეს არის მწერლის უდიდესი საქმეები და ღვაწლი, თავისთავად რომ ღაღადებენ.

მცირე წერილში შეუძლებელია ილიას ქართულ ენასთან დამოკიდებულების საკითხის ამოჭურავად გაშუქება, ან ჭერ ართქმულის თქმა მასზე.

ილია ქართული სალიტერატურო ენის არა მარტო კომპიუტერი და ფიზიკალი ვეშაგია, არამედ კრემარტიკი გულთამბილველიცაა. იგი ჩვენში იყო პირველი ფართო დიპლომატიის მოახრავნი, რომელიც ღრმად იცნობდა თავისდროინდელ ენის ფილოსოფიას და მის შესახებ ავტორიტეტულად მსჯელობდა. კარგად იცოდა ფანი და რძლი ენისა ერის კულტურის განვითარებასა და საერთო ცივილიზაციაში. თავისი ზოგადი თვალსაზრისით ენის ფერომწენე, რაც განვითარებულია მის ლიტერატურულ-ფილოსოფიურსა და პუბლიცისტურ წერილებში, ილია გვერდში უდგას XIX ს. მეორე ნახევრის განმანათლებ-

ლებს, ენის ბუნებასა და ფილოსოფიას რომ ეკლავდნენ. ენა მან სიბრძნის ღაღადებელი შესახველად გასაღებად მიიჩნია. თუ კაცი ენის ბუნებას იცნობს, შეძლებს სინამდვილის საიდუმლოს ამოცნობას და წუთისოფლის ნაყოფიერ სამსახურსო: „ენა, — ამბობს ილია, — როგორც გასაღები დაკეტილისა, ყველაზედ უფრო შეძლებელია და ყველაზედ სანდო მოწა. მთა ცივილიზაციის ისტორიისათვის, რადგანაც უფროს—ერთის შემთხვევაში ერთობა ენისა მოასწავებს ერთობას კულტურისას“ (თხზ., IV, გვ. 20). ერთობა ენისა, რაც კულტურის ერთობასაც გულსხმობს, კაცობრიობისათვის განუზომლად დიდი ღონეა და ამიტომაც ენათმეცნიერების თეორეტიკოსი, თუ მკვლევარი ცალკე ენისა, გრამატიკოსი, მისი აზრით, ერს დიდ სამსახურს გაუწევს, რომ წინ წაწიოს კულტურა და განუვითაროს აზროვნების მორიგონტი.

ილიამ XIX ს. მეორე ნახევარში ამ ამოსავალი პოლიციიდან კრიტიკული თვლით შეხედა იმდროინდელი შედარებითი ენათმეცნიერების მიღწევებს და უადრესად მაღალი შეფასება მისცა მას. „აქედამა სჩანს, ენის გამოკვლევა რა დიდი ღონეა ადამიანის გონებისათვის და ფილოლოგია, როგორც ენის მკვლევარი მეცნიერება, რა სამსახურს უწევს ისტორიასა მის წინადროთა აღსადგენად და საცნობელად. ეს ღონე გამოიჩინა ფილოლოგიამ უფრო მაშინ, რაცა ადამიანის გონებამ მთავრო ერთგვარს ღვას კვლევისას, რომელსაც „შედარებითი მეთოდი“ ჰქვია. ამ მეთოდმა, სიფრთხილითა და ცოდნით ხმარებულმა, ისეთი უტყუარობა, ისეთი ზედმიწევნილობა აღმოიჩინა, ისეთი სახელი დაიგდო, რომ არ არის მეცნიერება, რომელიც, საცა საჭიროა, ამ მეთოდს არ ხმარობდეს. ამ მეთოდით ბევრს წყვედა და ხნელს ნათელი

მოიფინა, ბევრი დაფარული გამოშვებდა" (იქვე).

მწერალი გუმანით ზედება, რომ ქართული ენის მასალა წოგადი კონსერვაციის საფუძველ-  
ნაც იქლება, ქართული ენის ლექსიკასა და  
სტრუქტურაში გამოსკვევის ენათა ოდენიდანდრ-  
ლი კონტაქტების ანარკელი. ცალკე აღებული  
ერთი ფაქტები ფართო განზოგადების შე-  
საძლებლობას არ იძლევა, მაგრამ, როცა მსგავ-  
სი ფაქტობრივი მასალა ერთად თავს იურის, მა-  
შინ ასეთი დასკვნების გამოტანას ის მხარს უჭე-  
რის.

ილიამ აწონ-დაწონა XIX საუკუნის მეცნიე-  
რების ეს მიღწევები და მოიწინა ენათა კონტა-  
ქტების, დაახლოებისა და ნათესაობის შესახებ  
შედარების ენათმეცნიერებაში გამოყოფილი  
თეორიული პოსტულატები. ცხადია, მწერალს  
აქ არ შეუქმნია რაიმე ახალი ლინგვისტური  
ტრაქტატები, რომელთაც შეეწაშებდით რასკი-  
სა და გრაძის, ბოპისა და ჰუმბოლტის, პეტისა  
და შლიხტის გამოკვლევებს, მაგრამ შეტად  
ჩაუღია და მწვავე პრობლემებზე მისი კომპე-  
ტენტური მსჯელობა ნათლად მოქმობს, რომ  
ის საფუძვლიანად იცნობდა და, შესაძლებლობის  
ფარგლებში, პრაქტიკულად იყენებდა შედარე-  
ბითი ენათმეცნიერების იმდროინდელ მიღწე-  
ვებს, თვლიდა მათ პროგრესულად, აქტიურად  
ენათმეცნიერებაში ინტერესობულ ენათა და ინდოევ-  
როპელ ხალხთა მდგომარეობის შესახებ ამ მე-  
ცნიერების მიერ გამოქვეყნულ საყოფხებს, რომ-  
ლებიც მასწავლებლობა ინტერესის საგანს  
წარმოადგენდნენ.

ენის ფენომენში ილია ზედებს განვითარების  
შინაგან ტენდენციებსა და კანონზომიერ რაო-  
დენობრივსა და ხარისხობრივ ცვლილებებს. გო-  
ნებაშეხილურად მიუთითებს იგი: „ვგონებთ,  
თავსაინიოდ და სწრაფად უნდა იცვლებოდეს  
მარტო ქარ-დადუღებულ, არ-დასრულებულ-  
ღი, არ-დაშთარებული ენა, როგორც ვეღლა-  
ფერი, რაც-კი ორგანებურ წრდას ექვემდებარე-  
ბა. ბავშვი უფრო სწრაფად იცვლება, ვიდრე  
დავამტყებელი ადამიანი, ხოლო იგი ენება,  
რომელთაც უკვე მიუღწევიათ აქამდე, რომ თა-  
ვისი ლიტერატურა აქვს, თავისი მწიგნობრობა,  
უფრო ძლიერ უნდა ეურჩებოდნენ ცვლილებას,  
ესე იგი ახლის რისაზე შეშინდება, რადგანაც  
ლიტერატურა, მწიგნობრობა, ანუ, როგორც ტე-  
ლიორი ამბობს, სკოლის მასწავლებლები და სტა-  
შხა ძლიერ იმსხვენ სიტყვებს და ერთიად დად-  
გნადა ფორმებს. ვედურთა ენა უფრო უღონო  
უნდა იყოს ამ შემთხვევაში. იგი უფრო ადვი-  
ლად მოძრაობა, რადგანაც უკვე ცალკე თაო-  
ბის ხელთ არის. მას მარტო საყოველღეო ლა-  
პარკი ინახავს და მარტო იგი შერჩება ხოლმე,  
რაც განუწვევტივდ მხარებაშია. ამისთანა უო-  
ფაში ენა მარტო უფროს ანაზარად არის დაგდ-  
ებული. ხან ვერც მოქმედი იტყვის სიტყვას რი-  
გიანად, ხან ვერც მსმენელი დაიბნობებს გაგო-

ნის უცვლელად და ამიტომაც სიტყვა გადი-  
ცვლება ხოლმე წოგაქრ იმდენად, რომ ვერც  
კი აღადგენს კაცი მის პირველსავე მასეს“  
(იქვე, გვ. 85-88).

ის ცალკე განხილავს და მაღალ შეფასებას  
აძლევს ჩვენს უნკალურ ანბანს, რომელიც „ქა-  
რთული ენის დიდი წარმატების“ ერთ-ერთ მთა-  
ვარ მარჯენებლად მიიჩნია: „...თუ ენის წარმატე-  
ბას რაიმე დამოკიდებულება აქვს ანბანის მტე-  
ნაკლებობაზე, რა თქმა უნდა, სავსეობა და სი-  
სრულე ანბანისა უძველესი ნიშანი უნდა იყოს  
ენის წარმატებისა და განვითარებისა“ (იქვე, გვ-  
81); ქართული ანბანი სრულყოფილია და მხო-  
ფილოში მას მაღალი ცოტა მოეპოვებაო.

ქართული ენის შინაგანი სტრუქტურის ღრმად  
კვლამ და ჩინებულმა ინტელექტმა ილიას სა-  
შუალება მისცა, სწორად განეჭვრეტა ჩვენი ენ-  
ის თითქმის ვეღლა ძირითადი ელემენტები და  
მტიყვად დედუცა მათი სიწმინდე. უწინარეს უო-  
ვლისა, მან შეიცნო ქართული ზმნის რთული  
ფენომენი და პროფესიულად წარმოაჩინა მისი  
თვითმყოფი სტრუქტურა. ილია იყო პირველი  
ქართველი მოაზროვნე, რომელმაც შეძლო მრ-  
ვალელენტოვანი ქართული ზმნის ბუნების სა-  
იშლელის უტყუარად ამოცნობა ქერ კიდვე მა-  
შინ, როდესაც ის დიდებული იყო პრაქტიკულ  
ცხოვრებაში და არა მეცნიერებაში. ქართული  
ზმნის საშუარო და კატეგორიათა სისტემა მე-  
ცნიერებისათვის გაკლებით გვიან გახდა ცნო-  
ბილი, ვიდრე ილია იტყვდა მათ შესახებ თავის  
სიტყვას. შედეგობაში მაქვს ნ. მარის „ძველი  
ქართული ენის გრამატიკის ძირითადი ტაბუ-  
ლები“ (1908 წ.), ა. შანიძის „სუბიექტური პრე-  
ფიქსი მეორე პირისა და ობიექტური პრეფიქ-  
სი მესამე პირისა ქართულ ზმნებში“ (1920 წ.)  
და „ქართული გრამატიკა“ (1930 წ.), გ. დემბე-  
რის „ქართული ზმნა“ (1930 წ.) და სხვ.,  
რომელთაც ებოჯა შექმნენ ქართული ენის შეს-  
წავლაში. ილიამ ბევრად ადრე გონებით განჭე-  
რიტა ის, რაც მოგვიანებით მეცნიერებამ დასა-  
ბოთა.

ზმნის ილია საშარტლიანად თვლის ენის ქვა-  
კუთხედად, სულად და გულად. ზმნის სიუხვე  
ქართული ენის უპირველესი ღირსებააო. ვანგ-  
მოუღებელია მისი დებულებები: „...და რაფერი გა-  
ნმარტება უნდა იმას, თუ რა დიდი ღირსე-  
ბა უნდა იყოს ენისა, როცა მრავალფერობა ზმნე-  
ბის ფორმებისა შესაძლებელია მხდის მოქმედებისა  
და მდგომარეობის საგნისა, რომ ბევრგვარი გა-  
რემობა გამოუთქვამს სხვა სიტყვების დაუბმა-  
რებლად. არ ვიციო, სხვა რას იტყვის და ჩვენ კი  
გეტყრა, რომ მრავალფერად მიმობრა და, მას-  
სადავ, მრავალ შემთხვევაში გამოუენება იმ სი-  
ტყვისა, რომელიც სული და გულია მტყველი-  
ბისა, სიზღიდრეს ენისას უნდა მოასწავებდეს.  
ზმნების ფორმების სიუხვეთ ბევრი სხვა ენა წინ  
ვერ წაუვა ჩვენს ენას. თუ, კარბერბისა და  
ჰუმბოლტისა არ იყოს, მტყველების ღონე და

დღიერება ზნა არის, მაშ, ქართული ენა ზედგამოჭრილი ყოფილა ამ ნათქვამზედ, იმიტომ რომ ქართველი უფრო ზნებით ლაპარაკობს, ზნეებით მკვიტველობს, ვიდრე სხვა სიტყვის ნაწილებში“ (იქვე, გვ. 58-59).

რუსთაველის ენის მხატვრული ძალა და მადალი ღირსება ილიამ ზნური ფორმების სიუხვესა და ნაირფეროვნებაში დაინახა: „მოყოფანთ რუსთაველს, რომლის ფრაზეოლოგია გასაოცარს სიუხვეს ზნების ხმარებისას წარმოგადგენს. დიდ ღირსებად ვუთვლით რუსთაველს, რომ დედა-ძარღვს ჩვენის მკვიტველებისას ასეთი განიერტი გზა და აჯალღ მისცა და თითქმის არც ერთხელ არ უშტუნა“ (იქვე).

სავსებით მართებულიად აღნიშნავს მწერალი ჩვენი ენის იმ დიდმნიშვნელოვან თავისებურებას, რომ მას შეუძლია ბრუნება არამარტო სახელისა, არამედ მეტყველების უველა ნაწილისა, მათ შორის, ბრუნება ზნისა, ზნისწედისა, შთე-ლი ფრაზისაჲც და ეს ვარგისობა ზნს ქართული ბრუნების უნივერსალურ ღირსებად მიანიხა.

ილიას ზოგადი კონცეფცია ენისა და, საკუთრივ, ქართული ენის ბუნებისა და თვისებებისა შესახებ რეალიზებულია მის მხატვრულ თხზულებებში. იგი ლაღი გაჭვრელებებით იმ ტრადიციებისა, რომლებიც ქართულ სალიტერატურო ენაში შოთა რუსთაველმა და მისე ზონედმა, „ქართლის ცხოვრების“ ავტორებმა და „კოსტომანის“ მთარგმნელმა, სახა ორბელიანმა, დავით გურამიშვილმა და ნიკოლოზ ბარათაშვილმა დაამყარეს. „ილია ჭავჭავაძის უდიდესი დამსახურება ისაა, — ამბობს შ. ძიძიგური, — რომ ხალხური მეტყველება გამოაცხადა სალიტერატურო ენის საყრდენად და ამით რადიკალურად დემოკრატიზირდა ტრადიციულ თვალსაზრისს“ („ლიტერატურულ-ენათმეცნიერებულ ნაკრევები, თბ., 1974, გვ. 76-77). ილიამ მწერლობაში კარს გაუღო მანამდის დავიწყებულ სახალხრო მეტყველებას.

იღ. ჭავჭავაძემ, როგორც ვიცი, შესრულა ისტორიული მისია, ქერ თეორიულად დასაბუთო ბელოვინური ენის უფარვისობა, შემდეგ კი პრაქტიკულად უზრუნველყო სახალხრო ენის დამკვიდრება მწერლობაში. ილია თამაშად გამოვიდა ბრძოლის ველზე, გაბედულად დემოკრატიზირდა „ოფიციალურ საწერლო ენას“, რომელსაც „ციცკარი“ და მის ირგვლივ შემოკრებილი „არქაიკოსთა ჭგუფი“ თავგამოდებით იცავდა; ამ საშეღიშვილო საქმეში მას შთეილი თერგდალეულობა ახუე. ა. ჩიქობავა სამართლანად ამბობდა: „მეცნიერულად წყორი, საზოგადოებრივად პროგრესული, აბტორული თვალსაზრისით საბუთიანი იყო ილია ჭავჭავაძის პოლიცია ამ ბრძოლაში“ („ქართული ენის განმარტებით ლექსიკონი“, I, თბ., 1950, გვ. 625).

ილიამ „დაღარულა თავისი ვაღი“ ერის წინ-

აშე. ამიტომ უწოდეს მას ქართული სალიტერატურო ენის რეფორმატორი. ილიას, რა თქმაუნდა, არც ერთი ახალი გრამატიკული მხატვრობა, არც ერთი ფონეტიკური მხატვრობა ური თუ სინტაქსური კანონი არ შეუქმნია და ენისათვის ძალად თავს არ მოუხვევია. მისი უდიდესი დამსახურება ერის წინაშე ის არის, რომ გამოიკომა „არქაიკოსთა მიერ ჩაწეზილულ“ სახალხრო ენას და წართმეული ტრადიუცა დაუბრუნა იმ წესებსა და კანონებს, რომლებიც ხანგრძლივ განვითარების გზა-ქვარედინებზე იყო შემუშავებული, მაგრამ XVIII ს. მეორე ნახევრიდან მოყოლებული ვანდენილი და დავიწყებას მიცემული. ილიას რუდუნება ისტორიამ სავსებით ვაამარა.

ილიას ღვაწლი ენის ზოგადი ბუნებისა და საკუთრივ ქართული ენის განვითარების ტენდენციების დადგენაში ფართოდაა გამოქმეული სამეცნიერო ლიტერატურაში. კერძოდ, აჰ საკითხებს ეძღვნება ა. შანიძის ნაშრომი „ილია ჭავჭავაძე, როგორც მებრძოლი ახალი სალიტერატურო ქართულს დამკვიდრებისათვის“ (1888 წ.), ა. ჩიქობავას — „ილია ჭავჭავაძე ენის შესახებ“ (1888 წ.), ვ. ბერიძის — „ილია ჭავჭავაძე — ახალი სალიტერატურო ენის უფემდეგელი და დამცველი“ (1957 წ.), შ. ძიძიგურის — „ილია ჭავჭავაძე და ქართული ენა“ (1965 წ.), გ. შალაშვიტის — „ილია ჭავჭავაძის ენა“ (1988 წ.), ა. ჭავთარაძის — „ილიას ქართული“ (1957 წ.) და სხვ. მის გამო ბუნებულ პრობლემაზე საუბრის ვაგარტლება საპირი აღარ არის. მაგრამ ერთ ვარგისობას მაინც უნდა ვაცხვას ხაზი.

მოსაზრებანი სახალხრო ენის თავის უფლებებში დადგენის საკითხზე ჩვენს მეცნიერებაში ადრეც გამოთქმულია, მაგრამ გამოთქმულა ვაუღებდავად. ერთ-ერთი ასეთი მოღვაწე, რომელსაც ეს ვარგისობა და ქართული ანბანის „ზედმეტი ასოებისაგან ვანტარითვის“ აუყოლებლობა აწუხებდა, იყო ნიკო ჩუბინაშვილი (1790-1845). ის ჩვენი სალიტერატურო ენის ვანვითარებში იცავდა არა ანტონის, არამედ ს.ს. ორბელიანის პოლიციას. მან სალიტერატურო ენას მოხსნა ანტონის მიერ შემორტყმული არქაულობის მძიმე ჭავჭანი და ხალხურ ენას დაუთმო ანბარეში. ხალხური ენის საყრდენებს ეფუძნება მისი ცნობილი „ქართული ლექსიკონი რუსული თარგმანითურთ“ (1815-1825) და თეორიული ტრაქტატი, ამ ლექსიკონს შესავლის სახით რომ ერტვის. ნ. ჩუბინაშვილი იცავდა სალიტერატურო ენის ორთოგრაფიის რეფორმის იდეას, მოითხოვდა ჩვენი ანბანის განმარტებებს არასაპირი ასო-ნიშნების ამოღების გზით. სამწუხაროდ, ამ იდეის ვანხორციელებას მაშინ წინ მრავალი დაბრკოლება ეღობებოდა და ვერც ვანხორციელდა. შთაშობაულობისათვის ავტორის ნაშრომიც კი უცნობი დაარჩა (გამოიცა 1961 წ.). მხოლოდ ილიამ შეძლო



ამ იდეის გამარჯვებით დაგვირგვინება: „მეხა-  
მოცე წლებში ვარაღებული ბრძოლა ახალი კა-  
რთულსათვის ობიექტურად იყო ბრძოლა არა  
ახალი ენის შექმნისათვის, არამედ შექმნილისა  
და უკვე არსებულის გამოყენებისათვის ლიტერა-  
ტურაში“ (ა. ჩიქობავა, „ილია ჭავჭავაძე ენ-  
ის შესახებ“, თბ., 1988, გვ. 7).

ილიას გამოსვლა ხალხის სასაუბრო ენის და-  
საცავად შეაშადა იმ პირობებში, რომლებიც  
დიდი გარდატეხის მიჯნაზე აღმოცენდა. ეს ში-  
შე ეპოქა იყო. დაქროლა ახალმა სიომ, მაგრამ  
საემარისი არ იყო ერთეულ მოღვაწეთა მხო-  
ლოდ წუხილი. ამით უნდა აიხსნას ის გარემო-  
ება, რომ ჩვენი იმდროინდელი სამწერლო ენ-  
ისა და წერის ნაკლოვანებათა გამო გამოთქმულ-  
ი წუხილი ოხვრის იქით არ მიდოდა, რადი-  
კალში კი საოცნებოდ ჩრებოდა.

ილიას ამხედრება ენის დემოკრატიზაციის და-  
საცავად, ხალხური ენის გამოქომაგება და ორ-  
თოვრადიის რეფორმის რეალობად ქცევა კა-  
ნონოპიტივი მოვლენა იყო. ამისათვის ვახდა  
თეხისა: „ხალხია ენის კანონის დაშვებით“.  
ილიას გახედულმა გამოსვლამ შთილი ერის  
სული შეძრა და ააფორიაქა, მწვანე შუქი მის-  
ცა ახალ შეხედულებებს, დიდი მოვლენების  
საწყისად რომ შეიქმნა. ამასთან, უნდა ვახსო-  
ვდეს, რომ ხალხური ენის ლიტერატურაში და-  
შვიდრების მოთხოვნა სრულიად არ ნიშნავდა  
ერთი რომელიმე დიალექტის, ან დიალექტთა  
ჩგუფის, წინ წამოწევის და სხვების მასზე უუ-  
ფლებოდ დაქვემდებარებას. ილიამ კარგად იც-  
ოდა, რომ ხალხური ენა არ უდრდა დიალექ-  
ტურ შეტყველებათა უბრალო ქაშს, არც „ქალ-  
აქურ ფარგონს“, რომელიც იმ პერიოდში ასე  
იყო მიღებული თბილისსა და ზოგიერთ სხვა  
რეგიონში. ხალხური ენის ცნებაში ილია გულ-  
ისმობდა საზოგადოების ყველა ფენისათვის  
ვასაგებ და ხელმისაწვდომ, ბუნებრივ შეტყვე-  
ლებას, საერთო ლექსიკასა და დახვეწილ, არა  
ხელოვნურ, გრამატიკულ წყობას. ილიამ კარ-  
გად იცოდა, რომ ყველაფერის ის, რაც მწიფ-  
ნობრობის საშუალებით ვერცდიდებოდა, ლიტ-  
ერატურული არ იყო, ხალხური ენაც ისეთი  
ფენომენი არ უყოფოდა, რომ ერთბაშად სრულ-  
ყოფილ სალიტერატურო ენად გამოცხადებუ-  
ლიყო. ამიტომ მან დასაბამი დაუდო ამ ენის  
აღდგენასა და შევსებას უყოფიერ იმით, რაც  
ხალხისა და სუფთა, ძვირფასი და სასარგებლოა  
ქუჩაბიტი ხალხური ენის განვითარებისათვის.  
მისაღები არ არის შეხედულება, თითქოს ახა-  
ლი ქართული სალიტერატურო ენა ეფუძნებ-  
ოდეს ერთი რეგიონის, მხოლოდ აღმოსავლეთი  
საქართველოს ბარს შეტყველებას. არა. ინტ-  
ორიული და ფაქტობრივი ეთარება ამ დებუ-  
ლებას არ ამართლებს. პირიქით. ახალი ქარ-  
თული სალიტერატურო ენა დაფუძნებულია არა  
მარტო ერთ კუთხურ შეტყველებაზე, არამედ  
სამწერლო ენის მრავალსაუკუნოვან ტრადიცი-

აზე, შეტყველებად ყველა კილოს, პირისა და  
მთის რეგიონების, მესხურის, ქართლურის, კა-  
ხურის, თუშ-ფშავ-ეცხურულის, შიშხურის,  
გუდამაურულის, იმერულის, ვარულის, რაჭულ-  
ლებხუმურის, აჭარულის, ყველა იმ მასულდა-  
მულდად, ძართმული ხალხის ერთიან სა-  
საუბრო მიმტკუნებაზე, რომელიც მთლიან-  
ობაზე, ერთიანი სალიტერატურო ენის არ-  
სნაალები მიმტკუნებდა და ზოგიერთ უნაზღვრა  
მთლიანად ძართმული ხალხის ენობრივ  
პოტენციალი, საერთო ენობრივი ნორმები,  
სოფლურიცა და ქალაქურიც. ეს არის სწო-  
რიდ ილიას ქართული, აკაკის ქართული, ვაჟის  
ქართული, ერთად შედგობილი ჩვენი ლიტერა-  
ტურის კლასიკოსთა ქართული, რომელიც შთა-  
თქმავალია მამადღარა ლექსიკური საფუძ-  
რით და რომელიც მოთხოვება მოქნილი, დახ-  
ვეწილი სტრუქტურა, ერთიანი გრამატიკული  
ფორმები, თანამედროვე ქართული სალიტერა-  
ტურო ენა კანონოპიტივი გაგრძელება დიდი  
ტრადიციებისა. ამისათვის იბრძოდა ილია და  
ჩვენი, უწინარეს უყოფისა, ეს უნდა მივიჩნიოთ  
ილიას უდიდეს დამსახურებად ქართველი ერის-  
სა და ქართული ენის წინაშე. ილია აქ ტრადი-  
ციის ერთგულიცაა და ნოვატორიც.

ამ ადამიანებს, რომლებიც ფიქრობენ, თით-  
ქოს ქართულ სალიტერატურო ენას ანაზღო-  
ებს ერთი რეგიონის შეტყველება, შევვიძლია  
კვათხოვთ: ვანა შეეძლო ილიას, რომელიც სინა-  
შვილეს ფართო ფარგლიდან უცქეროდა, ასე  
ვიწრო პუტრუტანიდან შევხედოდა ქართული სა-  
ლიტერატურო ენის საუფენების, მავსიტრა-  
ლებისა და პოტენციებისათვის? ხად მოხედებ-  
ოდა მაშინ აკაკის ქართული ან ვაჟის ქართუ-  
ლი? მაშინ ილიასთან ერთად ერთიან სალიტე-  
რატურო ენას კი არ შევხებდნენ, არამედ ერ-  
ოთობის დაუპირისპირებოდნენ იაკობ ვაგნე-  
ზაილისა და გიორგი წერეთლის, ივანე ნინ-  
ოშვილისა და შიო არაგვისპირელის, დავით  
კლდიაშვილისა და თედო რაზიკაშვილის, რაფ-  
იელ ერისთავისა და დეტო მეგრელის, ნიკო  
ლოპორისა და ბარნას, ეკატერინე ვახაშვი-  
ლისა და ნინო ნაკაშიძის, მიხეილ ქავთაშვილისა  
და კონსტანტინე გამსახურდიას, ვალაკიონ ტა-  
ხიძისა და გიორგი ლეონიძის, სანდრო შანთა-  
შვილისა და დემნა შენგელიას ენობრივი შე-  
შვიდრებოდა, რაც არ მომზდარა და არც შეიძ-  
ლება მომზდარაყო.

მატერული სიტყვის ამ კოლორიტულ ოს-  
ტატებს ზვერი რამ, თანაც სრულიად ბრძან-  
ში, აქვთ შემოტანილი ქართულ სამწერლო ენ-  
აში. აქ ორი აზრი არ არსებობს. მართალია,  
ყველაფერის ის, რაც მათ თხზულებებში ვცხ-  
დება, ლიტერატურულად არ მიიჩნევა, სამწერ-  
ლო ენა და სალიტერატურო ენაც ერთი და  
იგივე არ არის, მაგრამ ქართული სალიტერატ-  
ურო ენა მაინც მათი თხზულებებით სულდავუ-  
ლობს, აქა დახუდრებული, ჩამოუალიბებული

და ჩვენს წინაშე გადმოვიდეთ. ჩვენ არ გვეო-  
ლია მწერალი, რომელსაც თავისი თხზულებები  
მხოლოდ ერთ დღილივით ვაფიქრობდით. პი-  
რამით, ჩვენი მწერლობა მუდამ შტაკად იცა-  
ვდა ერთიანი სალიტერატურო ქართულს გან-  
ვითარების გენერალურ ხაზს. ცალკეულ მწერ-  
ალთა კმნაობებში, კეთილად აღსანიშნავებშიც,  
ბუნებრივად, მენტაკობად გამოხატვის დიალ-  
ექტიურა მასალა, რომლის ერთი ნაწილი სალი-  
ტერატურო ენის საკუთრებად იქცა, მეორე  
ნაწილი კი დიალექტიზმებად დარჩა. ეს კანონ-  
ზომიერება.

ერთი დიალექტი ან მცირე რეგიონის დია-  
ლექტთა ჭკუფის მითხველება დასაწყისში შე-  
იძლება სათავედ დაედოს სამწერლო ენას,  
ამის ფაქტები კარგად იყის ენათმეცნიერების  
ისტორიამ, მაგრამ ეს საქმის ერთი მხარეა. მე-  
ორე მხარე კი ის ვაზლავთ, რომ საერთო სა-  
ლიტერატურო ენის განვითარება დიალექტთა  
ერთობლივი მონაწილეობის გარეშე შეუძლებ-  
ელია. ცალკე დიალექტების აუვნა საერთო  
ენის რანგში კი დაარღვევს ენის ერთობას, რო-  
გორც ერის საფუძველია საფუძველს. დიალექ-  
ტი კუთხური განშტოება ენისა და თანდათან-  
ობით ერწყმის მას. დიალექტთა უნიფიკაციის  
პროცესი, რაც ადრეა დაწყებული, ნაშინდობ-  
ლივია ჩვენი საზოგადოებისათვისაც, ოღონდ  
იგი, უნდა ვიფიქროთ, მეტად ხანგრძლივი იქ-  
ნება და ადრე არ დასრულდება. ენის ისტორია  
ვეფუძნება, რომ დიალექტი იყო და კვლავ დი-  
დხანს დარჩება ენის, უპირატესად მისი ლექ-  
სიკის, გამოდრების უშტაკ წყაროდ.

ამასთან ერთად ცნობილია, რომ ქართული  
სალიტერატურო ენა ისტორიულად არ შემო-  
ღვდოლა მხოლოდ ერთი სამეტყველო რეგი-  
ონით და მუდამ ივსებოდა კილო-თქმათა შემ-  
ონატანით; საზრდოობდა მთელი ზღვის საერ-  
თო სასაუბრო მეტყველების ლექსიურ-გრაფი-  
კული საგანძურით და არა ერთი კუთხის  
მასალით. ილია კარგად ზედავდა ამ ბუნებრივ  
პროცესს, რომ ღწყობდა სასიკეთო ტენდ-  
ენციების ინტენსიურად განვითარებას, თავისი  
დიდი წვლილი შექმნოდა მასში.

ჩვენი წინაპრების აზრით, ძველ ქართულს  
ამიტომ მოაკლდა მომხმარებელი, რომ ის, რო-  
გორც სამწერლო ენა, ადარ ივსებოდა დიალექ-  
ტური ინოვაციებით, ვაჭრდა ერთ წერტილზე,  
ხოლო ენის სიცოცხლისა და განვითარების ქვა-  
კუთხედად დიალექტები იყო მიჩნეული. აი,  
როგორ იცავდა ამ შებედილებას, ეჭრად, გ.  
გორისელი (ე. წერეთელი) თავის ნაშრომში  
„ფილოლოგიური განხილვა ქართული ენისა“,  
რომელიც 1872 წ. გამოქვეყნდა „კრებულში“  
(№ 7, გვ. 1-48) და ასახავდა მეცნიერების გან-  
ვითარების მაშინდელ დონეს, ესმუერებოდა ილი-  
ას მიერ მშ-იანი წლების დასაწყისში გამოქ-  
მულ აზრებს, „როგორც ზედა მდინარეებით და  
ხვედებით ირთავს ახალ ენებს, — ამბობდა გ.

გორისელი, — ისე ლიტერატურული ენა და-  
დავ უნდა სარგებლობდეს უველად შექმნილ  
თი და ამ სახით ლიტერატურულ ენას შეეძლო  
თვის კავშირი უნდა მქონდეს თავის დიალექ-  
ტებთან, მუდამ თვისებდეს ამისგან ახალს გა-  
მოთქმებს, სიტყვებს და ლექსთა წყობას“ (იქ-  
ვე, გვ. 41). როდესაც „დიალექტებისაგან აღ-  
იქნეს ეს ლიტერატურული ენა ახალ-ახალ სა-  
იტყვებს, — დასძინეს ავტორი, — დავბა ერთ  
დონეზე“; „ძველი ენა ჩვენი ძალიან შეფუძ-  
ებული ენაა, მაგრამ იმაზე აღარაფერ დასარა-  
ობს. ეს ენა ადრედავანე აღარ აქცევდა ურად-  
დებას სხვადასხვა თემების სიტყვიერებას, არ  
სარგებლობდა იმ დიალექტებით, რომლითაც  
ლაპარაკობდნენ ქართლში, კახეთში, იმერეთში,  
გურიაში, ქაჯახეთში“; „ახლა არსდება ახალი  
ენა, რომელშიაც შერთულია უველა მარის  
კილო, ე. ი. ქართლის კილოც, კახეთისა და იმ-  
ერეთისაცა. აი ეს ენა უველას ესმის და ჩქა-  
რაც იზრდება; როდესაც ლიტერატურულად  
კარგად შემუშავდება ეს ახალი ენა (ლაპარაკია  
ახალი სალიტერატურო ქართული ჩამოუაღ-  
უნდა-გავრცელებაზე, ა. დ.), ის არასოდეს არ  
უნდა დაეცემალით ჩვენს სათემო კილოებს ანუ  
დიალექტებს, თუ რომ გვიანდა, მუდამ ცოცხა-  
ლი ლიტერატურული ენა გვექნედეს და ისე არ  
მოკედეს, როგორც ძველი ლიტერატურული  
ენა მოკვდა“ (იქვე, გვ. 38-41).

მეფი უშედილებდა მოგვიანებით კიდევ  
უფრო მყოფოდ განავითარა მ. ჩანაშვილმა.  
„ქართულ ენად, — სამართლიანად ამბობდა  
მ. ჩანაშვილი, — ჩვენ მივგანანა, ვამი ამ სიტყვიერ  
და სამეტყველო საუნქისა, რომელიც, დროთა  
განაშლილობაში, შეუქმნა და შემუშავებია არა  
ქართულით ანუ კახლს, არა იმერელს ანუ  
მესსს, არა სვანს ანუ მეგრელს, არა აჭარა-  
ელაჩქელს ანუ ვანს, არამედ მთელს ქართვე-  
ლობას, ქართველთა გუარტომს“. „ეინც არ  
იყის ქართული მის წარსულსა და აწმუშო,  
არსება, პირობანი და კანონები მისი და მისის  
კილოცაებისა, მას ვეპობთ, ესმოდეს შენი-  
ერება იმ დიად მეთხველებისა, რომელიც არის  
საეროვოდ, საგუარტომო ენა, გადუშლილი და  
გადაფურცვნილი მრავალ ტოტებად“. „კილო-  
ცაების უფლებებდყოფად, კარჩაკეტილობა მით  
შესწავლაში მავნებელია იმ მხარეც, რომ  
წორად ამ კილოცაებში, ვით ზეღუბლებელს  
საღაროში, შენახულა მრავალი, ძველისძველ-  
თაგანვე ქართველებისაგან შექმნილი, სიტყუ-  
ერი საუნქი, რომელიც საჭარაა გამოშუე-  
დეს და მიემატოს საერთო ქართულს, გაუერ-  
თიანდეს სრულიად საქართველოს სამწერლო-  
საეროვოდ ენას“ („ქართული გრაფიკის“, თბ.,  
1906, წინასიტყვაობა, გვ. 1-2).

ერის უპირველესი ნიშანი მართინი ენაა და  
არა მისი ერთი რომელიმე რეგიონის კუთხური  
მეტყველება. კუთხური მეთხველება, კილო-  
თქმები კი არ თიხვენ, არამედ, როგორც იქი-

ვა, ამდღერბენ და ავებენ ერთიან ენას. ქართული ენის ატორია გვერბენბა, რომ ეს პროცესი ერთიანად ვითარდებოდა წარსულის გზაჯვარედინებზე და შრავალი სკოლის, სალიტერატურო ცენტრების აღმოცენებისა და მიზანთუღებების, მწერლობაში სხვადასხვა კუთხის წარმოადგენელთა შემოსვლის, ფეოდალური დაქუცმაცების მიუხედავად, ენობრივი ერთიანობა არასოდეს დარღვეულა, ხოლო თუ ეს სკოლები და ცენტრები თავიანთ სიახლეებს ან ადგილობრივ მასალას შემოუღებებდნენ ხოლმე უნა, ეს ე. წ. დიალექტური შრებები კიდევ უფრო ამგარბდნენ ერთიან ენის საყრდენებს. ამდღერბდნენ მის ელემენტებს, ლექსიკას, ხეუნდნენ გრამატიკულ წყობას. უველაზე მკაფიოდ ეს იგრძნობოდა გარეთიანებული საქართველოს, განსაკუთრებით დავით აღმაშენებლის ეპოქაში, როცა, დიდი ეროვნული მოღვაწის ხელმძღვანელობით, თურქ-სელჯუკთაგან ქვეყნის გათავისუფლებისა და ერთიანი სამეფოს განმტკიცების შედეგად, უდადესი ასპარეზი მიეცა ერთან ქართულ სალიტერატურო ენას, რომლის გვირგვინი XII საუკუნეში შოთა რუსთაველის უქნობი „ვეფხისტყაოსანი“ გახდა.

სულ სხვა ვითარება გვაქვს ამჟამად. თანამედროვე ქართული ენის ქვაკუთხედს დღეს შეადგენს არა ხალხურ კლას-თქმათა სამყარო თავისი წინანდელი მდგომარეობის მიხედვით, არამედ თბილისის წარმოება-დაწესებულებათა კოლექტივების, მუშების, ინტელიგენციის (იგულისხმება მეცნიერების, კულტურის, მწერლობის, თეატრის, ვეზალესი და საშუალო სკოლების, უფროან-გაზეთების, ტელევიზიისა და რადიოს, გამომცემლობების, მასობრივი ინფორმაციის სხვა ორგანოთა მუშაკების) უყანასკნელ ხანებში აღმოცენებული სასაუბრო მეტყველება, მთელი ქართველი ერის უველა სოციალური ფენის საერთო ენა, რომელიც სულ უფრო და უფრო საგრძნობი ძალა ხდება. მასში, ბუნებრივია, თვალსაჩინო როლს ასრულებს უველა ქართული კლას-თქმის შემონახვანი. ამ ენობრივი ფენის შენისათვის ნიადაგი თანდათანობით მზადდებოდა, მაგრამ დიდი საშაბლო ომის შემდეგ მომხდარმა ცერნობებმა, პოლიტიკურმა და კულტურულმა ძვრებმა, განსაკუთრებით ურბანოზაციის პროცესის მოძალებამ და რესპუბლიკის უველა კუთხიდან, გამოვლბლვ უველა დიალექტური რეგიონიდან ტალღად წამოსული მოხალღეობის კონცენტრაციამ თბილისში, უყანასკნელი ორი-სამი ათღლი წლის განმავლობაში, ქალაქური (თბილისური) მეტყველება უფრო რეალურ ენობრივ მთლიანობად გამოკეთა. თბილისური ამჟამად შედღაბნულა აღმოსავლური და დასავლური ხალხური დიალექტების ზგერათწარმოების, სიტყვისა და წინადადების ინტონაციის, აქცენტუაციის, ლექსიკის, რამდენადმე უნიფიცირებული

გრამატიკული წყობის ერთიანი ნორმები. სხვადასხვა კლას-თქმაზე მოლაპარკვე მოსახლეობის თავმოყრამ თბილისში, ერთობლივად უქნარად ერთეტიკვემ თანაცხოვრებამ და მჭიდრო ურთიერთობამ სათავე დაუდო დიალექტთა შედღაბებას. დიალექტთა იტგერაციის ეს რთული (ამავე დროს მტედა ზანგარღივი) პროცესი ჩვენს თვალწინ მიმდინარეობს. მას ხელს უწყობს ხალხის სოციალურ ყოფასა და სულიერ ცხოვრებაში მიმდინარე გარდატეხები, რასაც შეუძლებელია თავისი რეალური ასახვა არ ეამოს როგორც სასაუბრო, ისე ლიტერატურულ მტეტყველებაში, და იმუნა კიდევ. ეს გარემოება შეუძნეველად არ დარჩენილა. აქა-იქ, როგორც მეცნიერთა, ისე მწერალთა, კულტურის მოღვაწეთა წრებში ამის შესახებ გასმის საუბარი, მაგრამ მწვავე პრობლემა ენათმეცნიერული თვალსაზრისით გერ-გერობის წარმოდგინილი მაინც არ არის, მისი მოვლა-განვითარების გზების განმარგადებელი დასკვნები, რომლებიც ეპიარიული მასალის შეგერების საფუძველზე იქნებოდა მიღებული, სამწუხაროდ, არა გვაქვს.

საკვლევი ენის დამკვიდრებას მწერლობაში, სკოლაში, ყოფაში ილიამ მთელი თავისი სიცოცხლე შესწრაა. ამ ეროვნულ საქმეს ემსახურებოდნენ ილიას თაოსნობით შექმნილი ორგანოები, „საქართველოს მოამბე“, „ივერია“; გამკვემები, ხოლო ილიას მუდამ გვერდში იდგა აკაკი. მათ გენერალურ ხაზს იყადნენ თეატრალუღები, ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოება, თეატრები, სკოლები. ეს პრობლემა ფართოდაა გაშუქებული ჩვენს სამეცნიერო ლიტერატურაში. ამ თემზეც ცნობილია ი. მუნერაძის, ივ. ჭავჭავიშვილის, კ. აბაშიძის, არჩ. ჭორჭორის, ს. გორგაძის, ა. შანიძის, პ. ინგოროვას, ს. ხუნდაძის, მ. ზანდუკელის, ვ. კოტეტაშვილის, გ. ჭიბლაძის, ა. ჩიქოვანის, ვ. ბერიძის, ი. ქავთარაძის, შ. ნიმიერის, ვ. თოფურაძის, გ. შალამბერიძის, ა. მახარაძისა და მეცნიერთა მთელი მომღვეროთაობების წარმოამდგენელთა შროგრაფიები და გამოკვლევები. ჩემი ეს მკირე წერილც ამ ნაშრომებსა და პირად დაკვირვებებს ეურდობა.

ილიას სწამდა, რომ ენის კანონის დამდები ხალხია და მისი მტეტყველება უნდა იყოს საფუძველი სალიტერატურო ენისა: „უნა საღვთო რამ არისო“; „სიტყვა არის პირდაპირი გამოთქმისი“; „სწორი მდგომარეობისაო“. ენა, სიტყვა, ილიას უფრო, აკვირებებს დამიანებს, უხილავ ხდის ხილულად; სიტყვისა და წინადადების შეგერობით ენა აუალიბებს აზრს, ხატოვან სახეში განსაორციღლებს იდეას. კერძოდ, „ხილავრება ამის განსაორციღლება სახეში იდეას, აზრისა; მისეცა, მხატვრობა, პოეზია — ესენი სულ სახეში გამოსტკვამენ იდეას, მხოლოდ იმით გამოვრებინან, რომ თავის ადების გამოსათქმულ-

ად სხვადასხვა მასალებსა ზმარობენ, როგორც მუსიკა — ხმასა, მხატვრობა — ხაზსა, პოეზია — სიტყვასა. სიტყვიერებითი ბელოვნება პოეზიასა ჰქვიათ, რადგანაც სიტყვისა საშუალებით და შემწევობით აღასრულებს ბელოვნების მნიშვნელობას“ (თხ., III, გვ. 30); „სიტყვა გარეჲანი ზამოსელთა აზრისაო“ (იქვე, გვ. 35). უკეთესად თქმა ძნელია სიტყვა მიწნეულია აზრის სამოსლად, სიტყვა აზრისაო. „სადაც აზრი არ არი, იქ ენა, რაც უნდა გამოვი იყოს, სულ უნძია; მერე შე არსად არ ვამბო, რომ უაზრო ენა იყოს სადმე, აზრი და მხოლოდ ერთი აზრი ამდევს ენას ენის მნიშვნელობას“ (იქვე, გვ. 35). ილიამ ასოცია წლის წინათ იქადაგა ენისა და აზრის მთლიანობის იდეა და ზმნა მიიჩნია გამოანთქვაში აზრის გადმოცემის ძირითად საშუალებად. დღესაც შენარჩუნებული აქვს ელვარება ილიას ამ მსჯელობაზე: „იქ აზრი არაჲ თუ ცხადია, სადაც ზმნა აკლია, იქ თვით აზრიც არ არის, იმიტომ რომ სხვათა სიტყვის ნაწილებს შორის მართო ზმნა არის აზრის გამოამატველი. სადაც ზმნა არ არის, იქ ხომ წინადადებაჲ არ არი, წინასადადე, არც აზრია, რადგან წინადადება გადმოცემაჲ აზრისა“ (იქვე, გვ. 52).

ილიას უტყუარმა აღღომ იმთავითვე სწორად განჭერტა ქართული ენის გრამატიკული აგებულების სპეციფიკური ნიშნები. ჩანს, სასურველთანად იყოფა ქართული გრამატიკა. გრამატიკული კატეგორიების ღრმად ცოდნის მაჲწუებელია ილიას კომპეტენტური მსჯელობა ქართული ზმნის ბუნებასა და კატეგორიათა შეხებაზე. მან სწორად გამოჲყო და ახსნა კაუზატის სპეციფიკური ფორმები: წყაღებინებ, წამოვადებინებ, ვადააზომინა, ვადმოაზომინა და მისთ., რომლებშიაც მისმა მახვილმა თვაღმა სამი პირის გამოხატეაც შეინიშნა, გამოყო სუბიექტური და შემსრულებელი პირები. ცნობილია, რომ შემდეგ ასეთი ფორმები საგანგებოდ შეინიშნავდა ა. შანიძემ და მათ კონტაქტის კატეგორია უწოდა. დიდ მწერალს სხვა გრამატიკული პროცესების პროფესიულად აქვს განხილული და თითოეული მათგანი დახასიათებულია გრამატიკის ცოდნით. ა. შანიძე სამართლიანად ამბობდა: „ილიას რომ მივხედომებინა, თუთოდ კარგ გრამატიკასაც დავეწერდით“ (დასახ. ნაშრ., გვ. 11).

ილია ხმალოწვდილი იყავდა დედაენის სახელს, სიწმინდესა და ღირსებას. ზალბის სახელით გამოდიოდა და გზას უღობავდა იმ „უნიკო მწერლებს“, რომლებიც „თავიანთ ნაქდაბნით“ ანაგვიანებდენ ენას. ცნობილია, თუ როგორ სასტიკად დაგმო მან რვეაჲ ტრისთავის თარგმანის „უენო ენა“ და შთამომავლობის მოუწოდა დედაენის დაცვისაჲ. „მეც იმტომ ესე პირდაპირ ვლაპარაკობ, რომ ვინც წინდაუხედებად ბღაჲნის, აღარა ბღაჲნოს, რადგანაც იგინი თავას ბღაჲნითა ამბაღლებენ ჩვენს ენას.

მე იმისთვის ვლაპარაკობ ეგრე სასტიკად პირმოუფერებლად, რომ უნიკონი და ანასთან უხწყაღღლით თავის ოთახიდან უნებს წუ გა მოდგამენ გარეთ, ლიტერატურაჲ; ამაჲ უსოფო ზალბის სახელითა, ზალბისვე სახელის დაცვისათვის“ (იქვე, გვ. 87).

ფორიზმებადაა ქვეული ილიას შეგონებანი, რომლებითაც შეაფასა მან მამების პოეზია მამათა და შეიღთა ცნობილი პოლემიკის დროს: „მტრობა ენის არს მტრობა ქვეენის — მაგ აზრისა ვართ თანახმა ჩვენა, მგარამა გომბა, ენისა მტრობა ბრალად ვის დაედვათ, ჩენა თუ თქვენა?“... „ენა მდიდარი, თქვენს ბელში მკედარი, ჩვენ მიგვოღია გასაცოცლებლად“...

ილია მოციქულის აღსარება დღესაც მაღალი სამტკლოდან გვეხმის. შთამომავლობამ ილიას სიტყვები თავის საბრძოლო დროშას ლოწუნვად დააწერა. ამჲთამად ლიტერატურის საქმე, დედაენის მოვლა და სიწმინდის დაცვა მთელი საზოგადოების, საბელმწიფოს მზარუნველობის საგანადაა აღიარებული. დედაენის შეწავლა, მისი ასპარეზის ყველა რგოლში სასოთხად მოვლა ჩენი უწყაღღესი მოვალეობაა. თანამედროვეობა ღირსეულად ასრულებს წინასწარმეტყველის ანდერძს.

ილია სამწერლო მოღვაწეობის დაწყებისთანავე შეუდგა სალიტერატურო ენის შევსებას ახალი სიტყვებითა და გამოთქმებით, რის აუცილებლობასაც გარდუვლად მოითხოვდა ცხოვრების პროგრესი, საზოგადოების ეკონომიკური და კულტურული განვითარება. მისი მხატვრული, ფილოსოფიური, პუბლიცისტიკური თხზულებები სავსეა ცოცხალი სიტყვებითა და გამოთქმებით, ხალხური იერის მხედვით შედგენილი ნეოლოგიზმებით, ცნება-ტერმინებით, საყოველთაო გავრცელების ანტირაციონალური ლექსიკის ნიშნებით. ილიამ გაამდიდრა ჩენი სალიტერატურო ენის ლექსიკური საგანძური, შექმნა არა მარტო ლიტერატურისათვის, არამედ ცოდნის მრავალი დარგისათვის საჭირო ტერმინები. ა. შანიძე სამართლიანად ამბობდა: „ბევრმა შეიჭრება არც კი იცოდეს დღეს, რომ ჩვენ მიერ ხმარებული მრავალი სიტყვა და გამოთქმა პირველად ილიას მიერ არის მოკვებული და, უშუალოდ თუ შუაგობით, ამ დიდი მწერლისა და საზოგადო მოღვაწის ნაწერებიდან მომდინარეობს“ (დასახ. ნაშრ., გვ. 2).

სატერმინოლოგიო მუშაობაში ილია იმყარებოდა სამ ძირითად წინამძღვარს:

ა. ახალი ცნების ეტიმოლოგის ის, უწინარეს ყოვლისა, ეძებდა სალიტერატურო ენის ქველებსა და ხალხურ მეტყველებაში. ამ გზით შექმნა მრავალი ტერმინი, რომელიც სწრაფად გავრცელდა. რუსული ეკონომიკური ტერმინის ტრავრის შესატყვისად 1882 წ. („შინაური მიზიხილა“) შეიკვლიდა იმპარა სპონანლი და ცნობილ სიტყვას მისცა სრულიად ახალი, დატუბითი მნიშვნელობა. ტერმინი დამკვრედა



## ზოგი რამ დღევანდელი ქართული ლიტერატურულ-კრიტიკული აზროვნების გამო

ზოგ კრიტიკოსს მიაჩნია, სალიტერატურო კრიტიკას ჩვენში ვერ ექნება წარმმართველი ძალა, რადგან მწერლობასაც და კრიტიკასაც ერთიანი მსოფლმხედველობრივი საფუძველი აქვსო. ზოგი ამ აზრს გამოთქვამს, არ უნდა გვხვდებოდეს ერთი და იმავე მხატვრული ნაწარმოების ურთიერთსაპირისპირო შეფასების ფაქტი, და თუ მაინც ვაწყდებით ხოლმე ასეთ შემთხვევას, ეს იმისი ბრალია, შემფასებელთაგან ერთ-ერთს პროფესიონალიზმი სკდება და სწორი მეთოდოლოგია ვერ მოუმარტვებიაო (იგულისხმება, რომ ორივე შემფასებელი გულწრფელია, რაიმე პიარად მიერძობებას არ იჩენს). ერთი შეხედვით, ეს დებულება მართი და შეუვალი ჩანს, სინამდვილეში კი ცოტა უფრო რთულად არის საქმე. გვმოყვანებასთან ერთად, რაიღ ფრიად სუბიექტურია რამ არის, პროფესიული ცოდნა და დახედოვნება უფროდ საკითხა მხატვრული ქმნილების გაგებისა და სწორი შეფასებისათვის, მაგრამ ამა თუ იმ კრიტიკისეული მეთოდის ან კრიტიკისეული მომარტვება ურველთვის რადია უფროდ პროფესიონალიზმზე დამოკიდებული. მეთოდისა თუ შეფასების საზომის არჩევა სწორად კრიტიკოსის პოზიციით არის ხოლმე ნაკარნახევი, იმ თვალსაზრისით, რაც ლიტერატურასა და ხელოვნებაზე, მათს რაობასა და დანიშნულებაზე შექმნიდა. ხოლო ამ თვალსაზრისის სათავე, საბოლოო ანგარიშით, არსებულ სინამდვილესთან ცნობიერ თუ გაუცნობიერებელ მიმართებაშია ხშირად სამიხედელი. აგერ ახლამან ჩვენი სალიტერატურო პარტის ფურცლებზე კამათი გაიმართა უბედის ქართულ პოეზიაში ე. წ. „ირონიულ-პარადიული“

ნაკადის გამო. გამოხდენდა მყაფიოდ განსხვავებული დამოკიდებულება როგორც ამ პოეზიის ცალკეული ნიმუშისადმი, ისე მთლიანად ნაკადისადმი. ის, რაც ერთისთვის „კომიკური ლექსია“ და „მოქალაქეობრივი ლირიკის შესანიშნავი ნიმუშია“, მეორისთვის უბრალოდ კომიქიაა. რაც ერთისთვის პოეზიაა, მეორისთვის ანტიპოეზიაა. თუ ირონიულ-პარადიული პოეზიის ნაკადს ერთი იღებს „აქედან — აქამდე“, მეორე მხარისთვის იგი მთლიანად მისაღებია, საზღვრისა თუ ნაპირის დაუწყისებლად. აჩადა, მოაქტრეებს ვერ დავწამებთ პროფესიონალიზმისა და კრიტიკული ადღოს უქონლობას. აქ სწორედ პოზიციის, თვალსაზრისის განსხვავება მდევანდება. კამათისას იწყვევა, რომ „ირონიულ-პარადიული ნაკადის“ გულმწურავად დამცველი, ნებისთ თუ უნებლიეთ, ფორმას ანიჭებს უპირატესობას, შინაარსს მეორეხარისხოვან რამედ მიაჩნევს. ოპონენტისათვის კი თანაბრად მნიშვნელოვანია ფორმაცა და შინაარსიც, როგორც „ჩა“, ისე „როგორ“. თვალსაზრისთა სხვადასხვაობა, რა თქმა უნდა, იმას არ ნიშნავს, ურველგვარი შეხედულება, თუნდაც გულწრფელად და პროფესიულ დონეზე გამოთქმული, განაზიარებელი იყოს. ვინ არ იცის, რომ ლიტერატურა და ხელოვნება თავშეცდვის, ფუფუნების საგანი არ არის და ვერც იქნება, ისიც ჩვენში, და ისიც დღეს.

აზრთა სხვადასხვაობა თან სდევს ჩვენი საბჭოთა ლიტერატურის განვითარებას. ავიდით თუნდაც ასეთი კარდინალური საკითხი, როგორცაა სოციალისტური რეალიზმის საზღვრების საკითხი. შეხედულების გაფართოება

სოციალისტურ რელიწზე, შეხედულებისა, რაც ვარკვეული წლების მანძილზე ნორმატულად იყო ქვეული, ახლა კიდილის შეიხებით ზედბოდა. ამ რაზდენიე წლის წინათ „ლიტერატურაშია ვარკეტას“ ფორკვლებზე დიკუსხია ვარკელა თანამედროვე საბჭოურ ლიტერატურაში მოთოსისა და „მოთოსქმნადობის“ გამოყენების თაობაზე. აქაც კოზიკოთა, თვალსაზრისთა ვანსხვაება გამოვლინდა. და ჩ. აით. მათოვს, ვინც თვის შემოქმედებაში ამა თუ იმ ზომით მოთოსს და ფოკლორის აუენებს, თავისი ლიტერატურული კოზიკოს დაქვა მოუხდა. ცენტრალურ სალიტერატურო პრესაში ბოლო ხანს მიმდინარეობს თეორიული კამათი ე. წ. „იდეალური გმირის“ შესახებ. კრიტიკოსთა შორის ქერაც არ არის მიღწეული აზროთა ერთიანობა იმის თაობაზე, თუ როგორი უნდა იყოს დღევანდელი ლიტერატურის იდეალური გმირი, რა თვისებებით უნდა იყოს აღჭურვილი და რა უნდა აკეთოს; ან ვის შეიძლება ეწოდოს ეს სახელი უახლესი საბჭოურია კაროს გმირთაგან. ერთს ე. წ. „საქმიანი პირო“ მიაჩნია „ნომერ პარკველ გმირად“, მეორე უარყოფს ამ თვალსაზრისს და ავჯარ გმირად „მიმდებელ გმირს“ სახავს. ბუნებრივია, რომ თვალსაზრისთა ვანსხვაება „ნომერ პარკველი გმირის“ გამო ამა თუ იმ კონკრეტულ ნაწარმოების განხილვისას ვარკვეულ გავლენას მოახდენს ნაწარმოების მიწვენილობის შესახებაზეც. ერთხელ და საშუალოდ მოცემული ნორმატივებით მხოლოდ იმ ლიტერატურის ნიმუშები შეიძლება ვანსაქოთ, რომელიც ერთ ადგილზე დგას. თუ ლიტერატურა განსაზღვრა და ვითარდება, კოზიკოთა თუ თვალსაზრისთა სხვადასხვაობა უფოლდ იჩენს ბოლმე თავს ტრადიციისა და ნოვატორიზმის მარადმოქმედი კანონის გამო.

ჩვენს სალიტერატურო კრიტიკაში ბოლო წლების მანძილზე გამართული კამათი უპირატესად ფორმას, ფორმასთან დაკავშირებულ საკითხებს შეეხებოდა (შეხედულებაში მაქვს პოლემიკა როგორც ირონიულ-პაროდიული ნაკადის, ისე ე. წ. „შატარული გაუცხოების“ პრინციპით შემწილი ვ. დონანაშვილის ნაწარმოების, აგრეთვე ვერლიბრისა და ტრადიციული დექის გამო). თუმცა, უშთაქვანად ფორმის გამო წამოწეებული კამათი ზოგჯერ შინაარსობრივ მხარესაც სწვდებოდა, ცალკეულ ნაწარმოებში გამოხატული კონცეფციაც შეიქნა დღის სავანად. და ეს არც არის ვანსაკუთარი, რადგან ფორმა, როგორც ცნობილია, არამარტო განუყოფელია შინაარსისგან, ვადიდის კიდევ შინაარსში. თანამედროვე ქართულ მწერლობაში ისეთი რთული და მნიშვნელოვანი პრობლემებია წამოჭრილი და ზოგჯერ თავისებურად ვადწვავდებიც, რომ მათზე ვაკერმულ პასუხს არ არის ბოლმე ერთიანობა. ეს არის, უწინარეს უოვლისა, ზენობრავი პრო-

გრესის, ბოროტების დაძლევის, მუქანიწიხისა და ჭუმანაშთან დაკავშირებით რადიკალების მიწანწერილობის პრობლემები, ქართულმა კრიტიკამ თავისი დამოკიდებულება გამოავლინა ამ პრობლემებისადმი შესაბამის ქმნილებათა განხილვა-შეფასებისას. ამ წერალის მოთვარი მისანიც ის არის, შეტლებისდავარად ვარკვენოთ, რაოდენ სრულად ვწვდებით ბოლმე კერმარტებას ზემოსწეებულ პრობლემებზე მსკელობისას, და, იმ შემთხვევაში, როცა წვდომა ნაწილობრივია, არასრულია, რამდენად არის ეს პრობლემებული კრიტიკოსის აზროვნების თვისებურებით. აზროვნების სტილით. აქვე მინდა შევანწო, რომ აუცილებლად არ მიმარჩია ამა თუ იმ ლიტერატორის სახედლებით მოხსენიება რაიმე თვალსაზრისის განხილვისას, რადგან ვანსაზღვრული თვალსაზრისი და მასთან დაკავშირებული აზროვნების სტილი ერთი რომელიმე კრიტიკოსისათვის კი არ არის დამახასიათებელი, არამედ კრიტიკოსთა ვარკვეული ნაწილისათვის; თანაც, შეიძლება ამან ისეთი შთაბეჭდილება შექმნას, თითქმის წერალის მოთვარი მისანიც ამა თუ იმ ლიტერატორთან პოლემიკის გამართვა იყოს. ოღონდ, ვიდრე უშთაქვს სათქმელზე ვადავიდოდე, მინდა შევებო ზოგ ისეთ რამეს, რაც თითქმის ლიტერატურულ ჩვევად გვკვეთა და რისი ინერციის დაძლევაც ვადარავებდა კრიტიკულ აზრს, ვადართებდა მის ფარკვლებს.

უახლეს ჩვენს კოზიკასა და პროზაზე დანერკლ წერალებში ხშირად არის ბოლმე დანარაკი ვაუცხოებაზე, შეტწილად ამავე ფილოსოფიურ-ფსიქოლოგიური ცნების მნიშვნელობათაა, არსებობად, ნახშირი „მარტობა“ ან „სულიერი დიკომოდრტაზიკა“. მსკელობა ამ სავანზე ბოლო დროს სულ უფრო მოხშირდა. არც ისე დიდი ხნის წინათ სიტყვა „ვაუცხოება“ იშვიათად თუ ვამოცეროდა ჩვენს ლიტერატორის ლექსიკონში. თავდაპირველად, ვიდრე შემოვკვერევიდა, ერთგვარი სიფრთხილზე შეინიშნებოდა მისი ხმარებისას, შეიჩინეოდა ერთგვარი ეჭვი, ეს სიტყვა ჩვენს სინამდვილეს რამდენად შეეფერებოა. მაგარამ, რაკი ნავსი ვატყდა, მერე უფრო იოლად წავიდა საქმიანემად ეს სიტყვა მოვიმინაურეთ და მოვითვინეირეთ, თითქმის დავუცარკვეთ შინაარსობრივი სიმამრტე. ღამის მოდურ სიტყვად ვაკცეით. თანაც გლობალურ მოვლენად ვავსახეთ. გლობალურად — არამარტო სიერციის, დროის თვალსაზრისითაც. მეტი სიცხადისათვის უნდა ითქვას, რომ ვაუცხოების ცნებამ ვარკვეული შინაარსობრივი ევოლუცია ვანიცადა დასავლეთის თეორიულ ნაზრევში და დღეს ამ ცნებას, ჩვეულებრივ, იყენებენ იმ მნიშვნელობით, რა მნიშვნელობაც თანამედროვე ევროპულ ფილოსოფიაში, კერპოდ, ეგზისტენციალისტურ მიმართულებაში შეიქმნა (იმ ვაგებით, რის ახსნაც ჩვენში, უწი-

ნარეს უყოღისა, ზურაბ კაკაბაძის ნაწერებში (კოლხობი). გაუცხოებაზე მხედლობისას ხალიტერატურო კრიტიკაში შეტწილად ფაქტის კონსტრუქციის წერადებთან. ზოგჯერ ვხვდებით მიწვლით ახნის ცდასც. მაგალითად, მიუთითებენ, ადამიანთა გათიშულობას ქალქთა ჩიცვისა და მოსახლეობის ზრდა იწვევსო. მაგრამ რაოდენ დამაკმაყოფილებელია ამგვარი ახნა? მოსახლეობის ზრდა დემოგრაფიული საკითხია, ხოლო ადამიანთა ურთიერთდამოკიდებულების, შათი გათიშულობისა თუ გაუთიშობის საკითხი სოციალოგიისა და ფსიქოლოგიის სფეროა. ამის ორი მაგური ცნება, რომელთა შეხიბებითაც ბევრი სულიერო პრობლემის ახსნა წერხდება, უწინარესად კი იმავე გაუცხოების პრობლემისა. ეს ცნებებია ე. წ. „ურბანიზაცია“, ქალაქური ყოფის განვითარება, და სამეცნიერო-ტექნიკური გავრულცია. სტრ. ი შინც ნამდვილ „განტეების ვაჟად“, იქცა. რა სულიერ-წევობრივი სატყავარი აღარ არის მისი ბრალი. შარათლი, სტრ. ი დიდი საყრდისთან ერთად ამჟარად უარყოფითი შედეგებაც არ სდევს, მაგრამ, როგორც იტყვიან ხოლმე, საყოთარი ცოდებაც ეყოფა, სხეებისაც რომ არ ავადოთ. ვისაც ურბანიზაციასა და სამეცნიერო-ტექნიკურ რევოლუციასზე შითთება საქარისად მიანია: რამე სულიერო შევირცების, ვთქვათ, იმავე გაუცხოების ასახვებლად, შან ერთ ასეთ მარტივ კობხას შინც უნდა ვასცეს პასუხი: სამეცნიერო-ტექნიკური რევოლუციის ხანის არსებითი განსხვავება ინდუსტრიალიზაციის პერიოდისაგან ის არის, რომ ინდუსტრიალიზაცია — განვითარებული ფიზიკურ შრომის, სტრ. ი კი — გენერირებს. ტექნიკის ამგვარი პროგრესი, ე. ა. შრომის შემსუბუქება, ბუნებაზე ბატონობის უფრო მაღალი დონის მიღწევა, გააღვილება ცხოვრების მატერიალური პარობების წარმოებისა და, შინახდამე, გააღვილება საერთოდ ცხოვრებისა, რატომ უნდა იწვევდეს ადამიანთა გათიშვას, მარტობას? ვანა ცხოვრების სიმძიმის შემსუბუქება ხასიყეთოდ არ უნდა მოქმედებდეს ადამიანთა ურთიერთდამოკიდებულებაზე? ვანა გათიშულობა, ინტერესთა დაპირისპარებაულობა, ადამიანთა ურთიერთობათა რღვევა არსებობისათვის ბრძოლის გამწკავების არ უნდა მოსდევდეს: აქ, აღმათ, იტყვიან — გაუცხოება, წავთის გაფეცოშება, სულიერი ღირებულებათა გაუფასურება და სხვა ამდაგვარი „სიკეთე“ წარმოების გარკვეულ წესთან არის დაკავშირებული, სერიოზული მოპროცენი წარმოების წესსა და ამ წევობრივ-ფსიქოლოგიური რაგის მოკლებებს შორის დრმა შინაგან კავშირს ხედავენო. შარათლი შენიშვნა. ზემოხსენებულ წევობრივ-ფსიქოლოგიური რაგის მოკლებებს, რაც ასე ფართოდ და მშფრად ასახება დესავულების თანამედროვე ლიტერატურაში, დასავლურა წა-

ამოების წესს უკავშირებენ. მაგრამ რით ვხსნათ, ამგვარივე მოკლებები ჩვენშიც რომ არის ფეხმოკიდებული, თუცა გავყოღისწინებით ჩვენებური წარმოების შინაშე პრინციპულ განსხვავებას დასავლურისაგან? ორში იტყვიან: ამ წარმოების შინაშე ტრანსფორმაცია განიცდა, რაც თეროიულად ჭერ არ გავციწობიერება, და რისი გაცნობიერებაც აუცილებელიც გეშარობებს, ანდა გაუცხოების თემის ასახვა უხბლოცს ქართულ შწერლობაში გავლენის, შინაძვის, ლიტერატურული მოღვის ნაყოფია. ამ უყანასწენლი მოხაზრების მტყეება უნიდავო და მყდარი იქნებოდა, რადგან გაუცხოების, მარტობის მოტივი არაერთ ისეთ მხატვრულ ნაწარმოებს მსჭვალავს, რომელთა ავტორებს ნიქისა და ორიგინალურობის უქონლობას ვერ დაეწამებთ. ხელის შეწმენდა ლიტერატურული მოღვისათვის ფუტყოდ ჩაივლიდა. ესეც არ იყოს, გაუცხოების თემამ მარტო ქართულ კი არა, საერთოდ, საბჭოურ ლიტერატურაშიც მოაციდა ფეხი. ეს იოქმის, უწინარეს ყოღისა, თანამედროვე რუსულ შწერლობაზე. საქარისა ამ მხრივ თუნდც ი. ტრიფონოვის შემოქმედებაც მიუთითოთ. იქნება ზოგმა თქვას, ხალიტერატურო კრიტიკის თავისი სპეციფიცა, განსაზღვრული ფარგლები აქვს, ლიტერატურულ საკითხებზე მსწელობისა, კრიტიკოსი იმ ფარგლებს არ უნდა ვასდევსო. ამგვარი სადემარკაციო ხაზის გაღება, შემოფარგვლა მარტოოდენ ესთეტიკისა და ლიტერატურაში მოკდენობის სფეროებში, შეწუღუდავდა კრიტიკის შესაძლებლობას, დაყინებდა შის შინწეწელობას. დღეს ლიტერატურული კრიტიკოსის პარაფსისა მოცობილება როგორც სპეციალიზება, ისე ინტერარება, მოციხოვება ცოდნის მოსაზღვრე დარგების — სოციოლოგიის, ფსიქოლოგიის, ფილოსოფიის, ისტორიის, გენეტიკის... — შინაშე მოვართა შეწელებისდაგვარად გათვალისწინება და გარწელება. თუ რამე საპრობორტო, ცხოვრებასთან უშუალად დაკავშირებული ლიტერატურული საკითხის კლდეხას საქარია, ვთქვათ, სოციოლოგიის სფეროში გადანაცვლება, კრიტიკოსი არ უნდა მოერიდოს ამას. დღევანდელი ქართული კრიტიკული პროცენების ერთი მოვართი საყლი წწორედ ის არის, რომ ამა თუ იმ წევობრივ-ფსიქოლოგიურ პრობლემაზე მსწელობისას ხშირად მორალის სფეროშივე ტრიალებს, არ ცდილობს შინი ფარგლებიდან ვახვლას.

კამერული მიღვომა შშირად იჩენს თავს ე. წ. „მითოლოგიზებული“, მითოსურ მოდელზე აგებული ნაწარმოებების განხილვისას მითოლოგიზებშისა თუ არქეტიპების დაძებნა, შათი ასავალ-დასავლის ვადმოცემა არცთუ იშვიათად თვითმიწწერი ხდება. ოთ. ჩხეიძე მწვენიერად გაყლით კიდევ, პაროდულიად წარმოკვისება ამგვარი ტენდენცია წერილ



„ღვინაა გადაიხება ანუ შიოსი და შიოსი-  
რი მოდლები ლიტერატურაში“. ზოგჯერ ლი-  
ტერატორი სწორად გასაფრავს ამა თუ იმ ში-  
თოლოგებს, მაიკვლეებს აქტივობას, მსჯელობას  
დაშავებულად, მაგრამ შუა გზაზე ჩერდება.  
დაადგენს, ამა და ამ პერსონაჟის აქტიუბი-  
ვტაჟით, კრიხტე არისო, ანდა — წმინდა გი-  
ორგი, ან კიდევ — ბიბლიური მოსტ, და ხა-  
თქმელსაც თითქმის ამით ამოწურავს. რისთვის  
გამოიყენა მწერალმა შიოსი, რა მიზნით ში-  
მართა შიოთლოგისთვის ფორმას, რა აზრი გა-  
მობატა და რამდენად აუცილებელი იყო ამ  
აზრის სწორედ ამ ფორმით გამოხატვა. რა-  
ოდენ ახალი და უახსული კონცეფცია გაიშ-  
დენა, ნაწარმოებში, როგორ ეხმარება თავად  
ნაწარმოებთ თანადროლოლობას და რა პასუხს  
იძლევა ცხოვრების მიერ წამოჭრილ მწკვივე  
კითხვებზე, ეს ყოველივე რეცენზიისა თუ  
წერილის ავტორს სჭირად თითქმის არ აინტე-  
რესებს, ყოველივე ამის მიზნით მტკნოლად  
გულჯრიალია. როცა ამგვარ წერილმა ან რე-  
ცენზიამ კითხვობ, ისეთი შთაბეჭდილება გე-  
ქმნება, თითქმის შიოსის, ფოლკლორის, ფა-  
ნტასტიკის, სიმბოლიკის გამოყენება თავისთა-  
ვად რაიმე ღირსებას ანიჭებდეს ნაწარმოებს.  
იტყობა, საკითხა იმ ანანურთა კუმარატების  
განმეორება, რომ მხატვრული ნაწარმოების  
ღირსებას უწინარესად და უშთავრესად ავ-  
ტორის ნიჭიერება განსაზღვრავს და არა ხა-  
კუთრივ ფორმის არჩევანი. შართალია, „ში-  
თოლოგისთვის“ ტენდენციას ჩვენს ლიტერა-  
ტურაში მხატვრული აზროვნების გარკვეული  
სიხადე და მნიშვნელოვან ნაწარმოებთა შექ-  
მნა მოსყვა, მაგრამ ვაჩნდა იმის საშისრავ-  
ბაც, ხიბლედ ლიტერატურულ შოდად არ გა-  
დაიქცეს. ამის თაობაზე იოქვა კიდევ გარკვე-  
ვით ჩვენს კრიტიკაში (გ. გვერდწიფილის მი-  
ერ). შიოსისა თუ ფოლკლორის დემონსტრე-  
ბის წარმოჩენასა და მხატვრულ ხანეთა სის-  
ტემაზე მსჯელობას მაშინ აქვს აზრი, თუ ნა-  
წარმოებს კუმარატი მწერლის ნიჭი და ში-  
ლი სცნია.

ერთი არასასურველი თვისებურებაჟ შეი-  
ჩნება „შიოთლოგისებულ“ და იგაურს. პარაბო-  
ლურ ნაწარმოებთა განხილვისას. ლაპარაკია  
ბოლმე ზოგადად ბოროტებასა და ზოგადად  
სიკეთებზე, თან ის აზრია გატარებული, ბორო-  
ტებაჟცა და სიკეთედ მარადიული კატეგორი-  
ბია და შიოთი კვილილი ადამიანთა ყოფის და-  
შახანაობებელი ჩვეულებრივი ამბავისა. აშ-  
ვარი მსჯელობა, ამგვარი თვალსაზრისის სულაც  
არ არის დამაკმაყოფილებელი. ყოველი დრო  
მისთვის ნიშნულდ ძირითად წინააღმდეგობასა  
და პრობლემას წარმოაჩენს, და კრიტიკამაც  
ამ კონკრეტულ წინააღმდეგობებზე უნდა გა-  
ამხვილოს ყურადღება, ხოლო ამგვარი ყოიდას  
ნაწარმოებთა განხილვისას, სადაც სოციალუ-  
რი სკიოთებში განუხელებელი ზნეობრივი პრო-

ბლემატყით არის შეცვლილი, მწერლის პოე-  
ციის ეს სუსტი მხარე უნდა უჩვენოს. არ კმა-  
რა მარტოდენ შიოთობეჟ კონკრეტულ ბორო-  
ტებაზე, უნდა ვაანალიზებდეთ მას, ვაშუარა-  
ვებდეთ მასაზრადობებულ ფესვებს, უჩვენებ-  
დეთ, როგორია მოძრაობის მრულდი, განეთა-  
რების დინამიკა. ზოგჯერ არის კიდევ შიო-  
თებული სოციალური ფაქტორი, მაგრამ ზედა-  
პირულად, ვაკერთ, ისე, რომ ქერბვანა შე-  
ფახება არ ეძლევა. სხვათა შორის, ეს არ არის  
მხოლოდ ქართული კრიტიკის ნაკლი. ნათქვა-  
მის დანადარებულად ერთ მაგალითზე შეე-  
ჩერდები.

ცნობილი თანამედროვე რუსი საბჭოთა კრი-  
ტიკოსის, ბორის პანკინის ლიტერატურულ-  
კრიტიკული წერილების კრებულში „მეკრი-  
ტიკატურა“ („სოვეტსკი პისხატლი“, 1982)  
არის ერთი წერილი — „განა მე ჩემ სახლში  
არა ვარ?“ აქ ავტორი განიხილავს ჩ. აიშათო-  
ვის მოთხრობებს, შათ შორის, „თეთრ გეშ-  
საც“. ბ. პანკინი წერისა და აზროვნების კუ-  
ლტურით გამოარჩევა, მისა წერილები რესი-  
ტური უიადისა და ბევრი შათგანის სიბე-  
თითქმის მხატვრული ნაწარმოების ხადალ ხი-  
ამოვნებას განიჭებს. „თეთრ გეშუ“ მსჯელო-  
ბისას იგი ერთ-ერთ პერსონაჟს, ოროზულს,  
ებება. ოროზული ნაქრალი ტვის ზედაშედე-  
ველად შუგომბს, თანამედრობას ბოროტად  
იყენებს: ხეებს კრის მალულად და ევრო  
მუშტარზე უიადს სახლის საშენ მასალად; ქი-  
ბებს ისქელებს. ამასთანავე, ერთი აქამო კაცია,  
დაბეჩავებული ჰუავს ცოლი და სიამარა, შო-  
ბუთი მოშენი, ვინაც დაშხარე მუშუად ჰუავს  
აუვინალი სამუშაოზე. ერთსაც და მეორესაც  
არადამიანურად იქცევა. ბ. პანკინი ხაზს უს-  
ვამს პერსონაჟის პირად თვისებებს, მაგრამ იგი  
სერიოზული კრიტიკოსია და გვერდს ვერ უღლის  
ამ სოციალურ ბოროტებას, რასაც ეს პერსო-  
ნაჟი ავანსაბიერებს. ოღონდ, აი, რა შეფახე-  
ბას აძლევს ამ ბოროტებას:

«Подобно скопленным антивещества  
в пространствах Галактики, — წერს კრი-  
ტიკოსი, — могут и в наших земных об-  
стоятельствах образовываться, так ска-  
зать, сгустки зла, доживающего свой  
век.

Рядом с новым руслом мощной ре-  
ки на месте прежнего ее ложа долго  
еще продолжают существовать озера-  
старичьи, постепенно затягиваясь илом,  
застая камышом и осокой. Так и на  
далеком лесном кордоне случилось, что  
в силу стечения многих разнородных  
обстоятельств один злой, жестокий,  
темный человек получил возможность  
издеваться над подчиненными ему лю-  
дьми, и без того обиженными судьбой.  
И делает это нагло, беззащитно, уве-

რეჟისორი в своей безжалостности здесь — за семью горами, вдали от большой жизни».

თავი დავალებით იმ ამბავს, რომ ფიზიკურ მოკლებითან ანალოგიის გავლება ბევრს ახადფერის გვეუბნება ხოლმე სოციალური სინამდვილის განხილვისას; იმასაც, რომ საზოგადოებრივ ურთიერთობას, ცხოვრების გარკვეული წების არსებობისას, როდეს განსაზღვრავს ქალაქიდან, „ცენტრიდან“ ტერიტორიული სიშორე თუ მასთან სახალფოვე. თუ ცხოვრების ის წესი, რასაც ოროზუელი მისდევს, ქალაქშიც ფესვგადგმულია პერიფერიის მსგავსად, ქალაქელი ოროზუელი ისევე დაჩაგრავს ქალაქელ მოზუნს, როგორც ეს შორედ სოფელში ხდება. უფრო მთავარია აქ გამოყვანილი დამოკიდებულება იმ საზოგადოებრივი მანიერებისადმი, რისი მატარებელიც ოროზუელია. ადვილად შეინიშნავთ, რომ ეს არის საკმაოდ ზერტლე, თათქმის გულდაშვებულებული დამოკიდებულება, ისეთ წარმოდგენას გაქმნიან, თითქოს ხსენებულ მანიერებისა წიწვ აუცილებლად ამოწმებული იქნება („დღეობისათვის სვია ვეა“), სულს დაუფრავს და ისღა დაგრჩენოდეს, არხენად უცქირო, როდის ამოხდება საბოლოოდ სული. ამგვარი დამოკიდებულება ავტორის სოციალური პოზიციის ინდიფერენტულობის ბრალი კი არ არის, არამედ იმ შეხედულებებისა, რაც ბევრ ჩვენგანს დღემ ზანა ცნობიერებაში გასჭდომია და რასაც აგრე ვასაგებ, უწყინარ სახელს—„წარსულის გადმონაშთის“ ვუწოდებთ. ეს ის თავისებური, ძალზე მოხაზვრებული იარაღია, რომელსაც, თავი ზედმეტად რომ არ შევიწყობთ და ავტოკორო, მივაკრავთ ხოლმე ჩაიშვ საზოგადოებრივ მოვლენას და ამით ხელადავ უვლადფერს ავხსნით, თავის ადგილს მოვუჩინებთ. ამ იარაღისას საკვირველი ძალის ზეგავლენას, იარაღისას, რომელიც დიდხანს გვიწურობდა ხელს, ჩვენი თავისთვის გვენანავებინა, თანდათან ვალწევთ თავს მას შეზდებს, რაც ოროზუელის მხატვრული სხივით გამოხატულ ბოროტებას თავისი სახელი — „უშრომელი შემოსავალი“ ეწოდება რევიონადურ კი ადარა, საერთო ხენად იქნა მჩინებული, საერთო ბრძოლის საგად გასოცხადდა, ზემოხსენებულ შეხედულებას წინადაგი შეერტა, საფუძველი გამოცედა. ცხოვრებამ არ გამოართლა ეს თვალსაზრისი, მეტიც, იგი საზიანო შეერტა. ვინც თვალს ადევნებს ცენტრალურ სალიტერატურო პრესას, უფოოდ დაინახავდა, რომ ლიტერატორთა თუ მწერალთა გამოხვლებში პარტიის ურადობის შემდეგ აშკარად ვლადდება შეგნება იმისა, ბოროტების მიჩქმალვა ბოროტებისავე წისკვილზე ასახვს წყალს, სიმართლის თქმას საჩვებლესა ბევრად მეტი მოაქვს, ვიდრე ვნებო. თავისთავად იმ მოთხოვნა, მწერალი ვლდეს კი არ უნდა უტებდეს ადამიანს, უნდა ამხნე-

ვებდესო, სწორია. მაგრამ გამხნევებაცა და გამხნევებაც, ვლდის ვატებუცა და ვლდის ვატებაც. მწერლობის წმინდა კალი სწორედ ის არის, უწყინარსად სიმართლეს აშახბდეს, მკაცრი სიმართლეს თქმასაც არ ერიდებოდეს, თუ უნდა ტექნიკურებას მსახურებდეს. დიდა ლიტერატურის ერთ-ერთი მშვენიება, დოსტოევსკი, ვისზედაც ვერავინ უტევის, ზუზუნისტი არ იყო, აცხადებდა «Я убожливый не мастер» არის ხოლმე ისეთი დრო, ვანსაუთრებით კი — გარდატეხის ეამი, როცა მწერალი ზადახლა ან მოიარებით კი არ იტევის სათქმელს, არამედ მთელი ხმით, ნანას კი არ უშდერებს საზოგადოებას, საუვირს ჩახებრავს. დღეს რუსულ სალიტერატურო კრიტიკაში ცხოველი კამათია ვამართული ამ ბოლო ორი წლის მანძილზე გამოქვეყნებული ზოგიერთი, სოციალურ-რევიუერი თვალსაზრისით ერთობ მძაფრი, მხატვრული ნაწარმოების გამო. აღნიშნავენ, რომ მათი ავტორები „ეკრილით“ ამბობენ სათქმელს, „ხეფათის სიგნალს“ აღლდენენ. კრიტიკოსთა უმრავლესობა დადებით ლიტერატურულ უტკბედ მიიჩნევს ამ ნაწარმოებებს, თუმცა მათში მწერე სიმართლეს ვამოთქმული, რაც მრავალიცხოვანი მკითხველის სხვადასხვაგვარ რეაქციას იწვევს.

კვათა ამირეების რომანის „დათა თუთაშხია“-ს განხილვისას მტკწილად ურადლებას ამხვლებდეს თავად დათას პაროვნების ზნეობრივ სრულყოფილებასზე. მაგრამ დათას ამქვეყნად მოკვინების უშოაერესი დანიშნულება — იგი ხომ ღვთისშვილად არის მოაზრებული რომანში — აღმანიანა შორის ბორტების აღმოუტრა, დედაჩინაზე სიყვითისა და სმართლისანობის დამყარებაა. ამ უშოაერესი მისიის ვანსოცვილებას რომანის ვმირი ვერ ახერხებს. აშკარა მარცხს ვანიცდის ამ მხრავ. მიუთითებენ, რომ სასიყვდილოდ დამკრდი დათას ვაუზინარება ზღვაში სიმბოლურად მიანიშნებს მის უვერტოთი აღდგომას, რადგან წყალი მითოლოგიაში ვანახლებინა და სიცოცხლის სიმბოლოა. ეს დავკირებება საჩწმუნთა. ოდნოდ ისიც უეველად უნდა ითქვას, რომ ვინდაც ვივლდისზემით დათა თუთაშხიას კვლავ მოვლინება, მისი მისია იწვე ვანუბორცილებული დარჩება, რადგან ის მეფოდი, რა მეფოდიდაც სინამდვილის შეცნობას უდგება და მის ვარდაქმნას ლამობს, რაიმე რადურს, ხელშეისახებ შედებს ვერ გამოიღებს. წერტილში „სიყვითისათვის ბრძოლის ვაკეთილი“ შეცეცადე, ვამრტკია ამის მიზეზი და იქ მოშველებულ არგუმენტაციას ნდარ ვავიპერებ. დათა თუთაშხიას შევადინებთა ადამიანთა ვაკეთილშობილებისათვის რჩება თავად დათას კეთილშობილად და ვულწრფელი, ოდნოდვე უტკბიერ ცდაა. რომანში აღწერილი საზოგადოების ზნეობა დათას ამქვეყნიდან წასვლის დროსაც არსებითად ისეთივეა, რო-

გორიც მანამდე, ამჟვეინად მის მოხელამდე იყო. ხოლო როგორ არის გავებული და შეფასებული რომანში დასული ესოდენ მნიშვნელოვანი პარობლემა წევობრთვი პარობრესიას, ამაზე ნათელ წარმოდგენას ვვადევნებ ერთ-ერთი კრიტიკული წერალი. მისი ატორი წერს: „სულს განვითარება არ განიცდის სოციალური და ტექნიკური პროგრესის შედეგად. მას განვითარების საკუთარი კანონები აქვს და მხოლოდ მას მორჩილებს“. სული მანაც არ კანონდება ლაპარაკი? ეს საკმაოდ გასაკვირი ჩანს იმ შეხედულებიდან, რასაც იგივე კრიტიკოსი გამოიყვამს რომანის ერთ-ერთი პერსონაჟის, მეწისქვილე ბონიას, საქციელზე მსჯელობისას. ბონია ხუთას მანეთად მოიხსილდეს, ახარავ თუთაშხიას დაქვრახი უნდა და მამარბობა ხელისუფლებას. ბონია ასე იმართლებს თავს დროს წინაშე: „დათა ბატონო, შემაცდინებს, გაკირებამ მაქომა... გაკირებამ და უბედურობამ... გასულ წაშობარს სახადი იყო. რაი მიცვალებული ვავიბანდ ფაციხიდან. წლისთავი მოდის აგერ და ქვა არ დამივლია საფლავზე ჭერ... ჩემი სიძინდი და მოსაღვლიო ორ თვეს ყოფნის ჩემს ოჯახს. ოთხი შვილი მუყავს, გავგობია ყველა. გარდა თუ მოხერხდა შაიი, ვინ წაუყვანს უშნათოდ“. კრიტიკოსი ამგვარ აზრს ავითარებს მეწისქვილის საქციელის გამო: „ბონიას დანაშაული ის არის, რომ ბორცის სამსახურს მდგომარეობით ამართლებს. თუ ადამიანის საქციელი მხოლოდ მდგომარეობით გააზომა, ამჟვეინად არ აღმოჩნდება დანაშაული (ბორცისა), რომლის გამართლება არ მოხერხდეს. ამიტომ ადამიანის საქციელი ყოველთვის წევობრთვი კრიტიკიუმით უნდა გაიზომოს. ადამიანმა ყოველგვარ პირობებში უნდა შეინარჩუნოს ადამიანური. ეს მოსახერხებელია, ოღონდ წევობრთვი სიწმინდე სიცოცხლეზე მეტად უნდა გიღირდეს. ბორცმა არ უნდა სძლიოს სულს“.

მართალია, სულმა უნდა სძლიოს ბორცს. ადამიანის უმაღლესი მოვალეობა თუ დანაშაულებია ეს არის. ისიც მართალია, რომ მხოლოდ ადამიანს აქვს მონიჭებული წევობრთვი არჩევანის უნარი. მასზეა დამოკიდებული, საკეთილს გზას დაადევნე თუ ბორცობისას. აქ შედარდება მისი ნების თავისუფლება. მაგრამ, რამდენადაც ნების თავისუფლებაა, ღია ლაპარაკი, შეუძლებელია ამ საკითხის გადაწყვეტა აუცილებლობის ცნებასთან დაუკავშირებლად. კრიტიკოსის მსჯელობაში კი სწორედ „აუცილებლობის სფეროა“ უფლებდებულია. „გადაღებული“ კი არ არის, უბრალოდ უკუგდებულია. ვნახოთ ეს იმავე ბონია მეწისქვილის მაგალითზე. თავისთავად იფიქრისმება, ბონის საქციელის გამართლებას კი არა, მხოლოდ ახსნას ვაიარებს. ბონია გარკვეული დიდიმის წინაშე დგას: ან სხვა ად-

მიანს (თუთაშხიას) უნდა უფრო ბორცობა, ანდა საკუთარი ოჯახი, თავისი შვილები და თავისი თავი დაწარალოს არჩევნის მასზე დამოკიდებული ამგვარი განუცნობელი აზრით მისი ნება მართლაც თავისუფალია. შეუძლია, უკუთრება კი არ ჩიიდანის, წევობრთვი კარნახით მოიქცეს. მაგრამ, აქვს კი საიზისო წევობრთვი-სარწმუნოებრივი საყრდენი, სულს ხორცი დააძლევინოს? რომელიმე აგოგრაფული ნაწარმოების გმირისთვის, შუა საუკუნეთა დროინდელი მარტვილისათვის შეუდარებლად უფრო ადვილი იყო ხორციას დათარგუნვა, უწუნავის არწმენა და სიუარული ანიჭება ძალას. იდეალად მოჩნდა, ღვთაებრივი ნების შესაფერისად ეცხოვრა, წევობრთვი თვით-სრულყოფისათვის მიედგინა და ამ გზით საზღვრდელი დაემკვიდრებინა ამჟვეინად, სამარადისო ნეტარებას ღირსებოდა. მის მართლაც შექმლო, ყოველგვარ პირობებში დაეძლია ხორცი. მაგრამ ბონია მეწისქვილე ხელს სხვა დროში ცხოვრობს, მეცხრამეტე-მეოცე საუკუნეთა მიწაზე, ისეთ საზოგადოებაში, სადაც ის არწმენა შერყეულია, ბეგრწილად კიდევ დაქარგულია, და წინადა მოწამის თავგანწირვას ვერ მოვობოვო; მით უმეტეს, თუ გარშემო იმას ხედავს, ერთი მეორის წაყვმდითი ცხინდებაო. რაი მოშლიდა ეს უმთავრესი წევობრთვი შემაკავშირებელი საწყისი (აღარ არის არწმენა სამაჟვეინო ნაცვალგების იდრისა; აღარც ნუგეშია ერთი-წევობრთვიად განვილი ცხოვრებისათვის და არც საუკუნო სასქელის შიში უკუთრების ჩადენის გამო), ბონიას წინაშეც საკითხი შედარებით მარტვილად დგას: რა უფრო მაღლა დააუწოს, საკუთარი შეიძლება და საკუთარი თავის ინტერესი თუ ინტერესი სხვა ადამიანისა. იქნება თუ არა დოგმატური და ბუნებრივი, „სულს კანონების“ შესატყვისი, ბონია მეწისქვილეს მოვობოვოთ, თავის შეილებაზე და თავის თავზე უფრო მეტად სხვა უუარაღეს, სხვა ერთი-წევობრთვი საკუთარ თავს? ამ კითხვის დასმა ინიტომ არის საქმეო, რომ, თუ ნამდვილად გვინდა, ბონიას საქციელი არ გაუპართლოთ (ე. ი. თავიდან ავიცილოთ), მიუხედავად მარტვილად პიროვნულ უნებაში კი არა, „აუცილებლობის სფეროშიც“ უნდა ვეძებოთ. ბონიას, ცხადია, პირად დანაშაულად ვერ ჩავუთვლით, რომ მორალურ-არწმენითი საყრდენი მისდროინდელ საზოგადოებაში შერყეულია და მოშლილია. ეს მომბ. დარია მისი ნების ჩაურევლად, მის გარეშე და მისსომამდე, რაც შეეძება ბორცობას და ყოველგვარი საქციელის წევობრთვი კრიტიკიუმით განწყას, ჭერ კიდევ საკითხავია, რა უფრო დიდი ბორცობაა, შამას შვილები გაკირებამში დაუფლადებს და მოშლით დაეხატოს თუ მანად ადამიანს (თუნდაც ეს ადამიანი დათა თუთაშხიასთანა პიროვნება იყოს) პასუხი აეგზინონ გარკვეული კანონმანინად.

მდეგ მოქმედების გამო. მაგრამ მიუყვებით კრიტიკოსის თვალსაზრისს ბლოკადე. თუ ზნეობას პაროვენული ნება განსაზღვრავს, მაშინ ზნეობრივი პროგრესი ინდივიდუალურ ნებაზე უფლებია დამოკიდებული. სწორად ამ აზრს ავთორებს იგივე კრიტიკოსი ჰამი ტილდის რომანისადმი — „უკვლამან ზემან მპოვინლმან“ — მიძღვნილ წერილში. აქ ვკითხულობთ: „ახა, დააკვირდით, ადამიანს ეუბნებოდა:

- არ კაც ქალი და შინც კლავს.
- არ იქურდოო და შინც ქურდობს.
- არ იმრუშოო და შინც მრუშობს.

მას შერე, რაც ეს სიტყვები ითქვა, ადამიანმა ზუთი სოციალური ფორმაცია გაიარა, ბრძანად კოსმოსურ ხომალდამდე მივადა, უძრავი წიგნების მთები დაგვა, მაგრამ ათ მცნებაში მოხსენიებული მანკიერებიდან ვერც ერთი ვერ მოიცილა. ოთარ ტილდემ, ერთი შეხედვით, ამ უცნაური მოვლენის ზუსტ პასუხს იძლევა: „ათი მცნება რომ სხვა არაფერია, თუ არა ათი ძირითადი ადამიანური თვისების აღმოჩენა, ხოლო ადამიანობა — ამ ათი, ერთმანეთზე ძლიერი და ერთმანეთზე ძნელად მოსარევი დათრგუნვისა თუ მიტქმალვის ცდა“. მაშასადამე, ათი მცნებები დაგვმობილი მანკიერებანი მანამდე იარსებებენ, სანამ ადამიანი იქნება, რამეთუ ადამიანი საკუთარ თვისებას ვერსად გაექცევა (ხაზგასმა ჩემია. — თ. რ.). ოღონდ აქ პრობლემა დგას — ეს მანკიერებანი უნდა დაითრგუნოს თუ მიიტქმალოს? ესეც ადამიანზეა დამოკიდებული. ერთს შეუძლია ისინი დათრგუნოს, მეორეს — მიტქმალოს. ის, ვინც თრგუნავს, სულიერ თავისუფლებას აღწევს. ის, ვინც ტქმალავს, სულიერი მონობის შესვერსლია“.

ამ ამონაწერს და ცოტა უფრო ზემოთ მოტანდით ორ ციტატას ერთმანეთს თუ დავუკავშირებთ, ლოგიკური მსჯელობის მათი ასე წარმოგვიდგება: ზნეობრივი პროგრესი დამოკიდებულია არა სოციალურ პროგრესზე, არამედ ადამიანის ინდივიდუალურ ნებაზე, ინდივიდუალური ნება კი თავის შიდა დამოკიდებულება ადამიანის „შინისებაზე“, სხვაგვარად რომ ეთქვას, მის ბუნებაზე. ხოლო გამოთქმული შეხედულების დასტურად მითითებულია კაცობრიობის ისტორიულ გამოცდალებაზე.

როგორც ვხედავთ, აქ მთელი კონცეფციაა მოცემული. ეს კონცეფცია სავანებო განილვის ღირსია.

ჭერ ერთი, არ არის მართალი, თითქმის ათი მცნებას წარმოაქმის შემდეგ ზუთ სოციალურ ფორმაციას გაველოს. თავი დავანებოთ იმას, რომ მებუთე ფორმაცია, რა თქმა უნდა, გაცილილი არ არის. უმთავრესი მინც ახა, რომ ათი მცნება „ახალი აღქმის“ კუთვნილებაა, რ. ი. კრიტიკოსის მიერ ნაგულისხმევია.

გან რიგით მეორე საზოგადოებრივი ფორმაციისა. ეს არ არის უბრალო არითმეტიკის ამბავი. ამას პრინციპული მნიშვნელობა აქვს განსახილველ საკითხზე მსჯელობისას. შეიძლება ვინმე ითქვას, სახარებისეული ათი მცნება ნაწილობრვ „ძველი აღთქმისა“ მომდინარეობს, ხოლო, თუ სათავეებს გავეყვებით, უფრო შორსაც მოგვიხდება წასვლა: ხამურების ხაზილონურ კოდექსამდე და ძველიგვაბტურ კანონებამდე მივალოთ. ადამიანის უმთავრესი ზნეობრივი მანკიერებანი, კაცისკვლა თუ ქურდობა, უყვე იქ იხსენიება და სასქელიც მათ გამო ამ შორეულ წარსულშივე დაუწევსებიათ. ამგვარი არგუმენტი უდავლო იქნებოდა, რადგან ის კანონები მეორე სოციალური ფორმაციის პირობებში წარმოიშვა. ხოლო შორს განისუღლა „ძველი საზოგადოების“ წევრს, ანუ გვაროვნული წყობილების დროინდელ ადამიანს, არ სჭირდებოდა მონათმფლობელისა და მონის, მქონებელისა და არასმქონეს ურთიერთობის მომწესრიგებელი კანონები, ზნეობრივი იგი მკვეთრად განსხვავდებოდა მომწვენიო ფორმაციის ადამიანისაგან. ამაში დასაწმუნებლად ქართველი მკითხველისთვის, აღბათ, აუცილებელი არ იქნებოდა შინცდამშინც ჩრდილოამერიკელი ირაციების ვაჟკაცობასა და სულიერ კეთილშობილებებზე მითითება, ვაჟკაცობა და უაზრებო მხატვრობა სამკურსაგანსებნება იმარებდა, იმ პერსონაჟებსა ვახებნება, ვინც თემის არსებობის პირობებში ცხოვრობდა, და ამით, ვისაც უყვე დაახვა დალო თემის რღვევისა და დაშლის პროცესმა, როცა იქ „უფლის ძლიერობისა მსულელობა“ შეაღწია (ხოლო ვეას სიტყვებით თუ ვიტყვით, როცა ქვეყანა დუნად იქცა).

ზნეობრივი პროგრესი რომ უშუალოდ სოციალურ პროგრესზეა დამოკიდებული, ეს იხივით უდავლო კვშმარტობა, არა მგონია დღესდღეობით ამის საგანგებოდ მტკიცება იუოს ჩვენში საჭირო. ზნეობის არსებული მდგომარეობა ის ბარომეტრია, უტყუარად რომ გვაჩვენებს, რას შიადწია სინამდვილეში ამა თუ იმ საზოგადოებამ სოციალური პროგრესის გზაზე. კამათი ამ საკითხზე, სულ ცოტა, ორ საუფუნეზე მეტი ხნით დაგვაბენენება უყან და ხელახლა მოგვიხდებოდა იმის აღმოჩენა, რაც თავის დროზე აღმოჩინა და დაასაბუთა რუსომ ცნობილ ტრაქტატში: „მსქელობა ადამიანთა შორის უთანასწორობას წარმოშობისა და საფუძვლების შესახებ“. არადა, რუსოს შემდეგ საზოგადოებრივი მენკიერებამ უზარმაზარი ნაბიჯი გადადგა წინ. კრიტიკულ აზრს მაშინ აქვს კვშმარტობა ღირებულება, თუ რაიმე ახალ, საფუძვლიან არგუმენტაციას უპირობისადად უყვე მონამკურს ცოდნას, თორემ ისე ავტორის პირად თვალსაზრისად დარტყმა და მახასიათებელია, რომ აზროვნების იმ სტილის მქონე ლიტერატორათვის, რომელთა

ნაარესსაც ჩემ წერილში ვუხეობი, „ადამიანის ბუნება“ ის უოლისმოპყველი მიზეზია, ის უმაღლესი ინსტანციაა, რისი მეშვეობითაც შეგვიძლია თითქმის ნებისმიერი საზოგადოებრივი მოვლენა ავხსნათ. შესაძლოა არც ღირებულყო საწინააღმდეგო აზრის მტკიცება, აგრე დახვედებით რომ არ გვარწმუნებდნენ, ის წინგობრივი მანკიერებანი, რაც კაცს სჭირს და რაც ჭერ კიდევთ მცენებაში მოხსენიება, თანდაყოლილი თვისებების ბრალია, ადამიანის ბუნებით, ამ ბუნების უცვლელიობით არის გამოწვეული. რამდენად საფუძვლიანია ამგვარი თვალსაზრისი, ამის განსასკრელები ორიგინალ მარტივ მაგალითზე მითითებას დავსჭერდები ლიტერატურის ისტორიაში კარგად ცნობილი მრავალი მაგალითიდან.

ე. დობინი წიგნში „ცხრა სიუეტის ისტორია“ მთავარი თემატის ამბავს კატორღელ პიერ მორენისას, რომელიც მიუგოს ვანოქმული რომანის „განწირულის“ მთავარი გმირის ვან ვალდენის პროტოტიპია. დობინი გვაუწყებს: „ოცა წლის მორენმა იჭურდა. სასოწარკვეთილებამ აძლუდა — საყოთარი დაი და შვიდი დღისშეილი შიმშილით ეტოცებოდა. პიერმა საფუნთუშის ფანჯარას გისოსი გამოგლიჯა და პური მოიპარა.“

სასკრელი სასტიკი იყო — ხუთი წლით კატორღა მიუსაქეს. ის ხუთწლიანი სასკრელი მორენმა გაღერებზე მოხადა“. ამ ფაქტს, რომ იტყვიან, კომენტარი არ სჭირდება. მაგრამ, იქნება, თქვან, ეს მეცხრამეტე საუკუნის ამბავია, მეცდენი სულ სხვაგვარი ვითარებააო. მაშინ მივმართოთ ჩვენი საუკუნის შვერალს, ამასთან, მაღალგანვითარებული ქვეყნისას და ისეთს, რომლის კეთილმინდისიერებაში ეტვი არავის გვეპარება — მაგალითად, ბემინგუვის. მისი რომანის — „ქონა თუ არქონა“ — გმირი მარი მორგანი ამბობს: „არ ვიცი, კანონებს ვინ აწესებს, ის კი ვიცი, კაცმა იმიშვილსო, ამისთანა კანონი არ გავგონილაო“. ცოდნული როგორზე რომ არჩინოს, მარი მორგანი იძულებულია, კანონი დაარღვიოს, კონტრანანდისტობას მიხყოს ხელი და მკვლელობაც ჩაიდინოს, თუმცა ბუნებით უბოროტო კაცია. თუკი მარი მორგანის პრობლემა (პრობლემა შიმშილის შიშისა და დანაშაულის) აქტუალურია მაღალგანვითარებული ქვეყნისთვის, მით უფრო აქტუალური უნდა იყოს ისეთი ქვეყნებისათვის, სადაც ცხოვრების დონე ბევრად დაბალია.

ადამიანის ბუნება რომ უცვლელი იყოს, სხვადასხვა ისტორიული ეპოქის ადამიანები ესოდენ განსხვავებულნი არ იქნებოდნენ ერთმანეთისაგან. გაიხსენოთ, თუნდაც, რუსთაველის ხანის საზოგადოება და იგივე ქართველობა, მისი წინ-ჩვეულება, აღწერილი იოანე ბატალიშვილის „კალმასობაში“. მეთორმეტე საუკუნის ქართველის ეთიკური დევიზია „მეც

გლახაჟთა საჭურჭლუ, ათავისუფლდ შონებო“. მეთრამეტე საუკუნის დამლევს კი იგივე ქართველისთვის ლამის წინგობრივ ნარკად ქვეულთა თანამომდის ტყვედ გაუადვა და ამ გზით ფულს შოვანა.

არამცთუ სხვადასხვა ისტორიული ხანის, ზოგჯერ ერთი და იმავე ეპოქის სხვადასხვა პერიოდის ადამიანებიც გარკვეულწილად განსხვავდებიან ერთმანეთისაგან. ერთ მაგალითს მოვიტან, თითქმისა უბრალოს, მაგრამ საყმაოდ საკვლელებს სოციალური ფსიქოლოგიის თვალსაზრისით. ჩვენი კონკრეტული ზოგადერთი ვეტერანის მოკონება, ოციან-ოცდაათიანი წლების მიწანს რომ ეხება, შეხედებით ამდროინდელი წინ-ჩვეულების ამგვარ თავისებურებაზე მითითებას. სკოლის მოწვევლეს, თუ ჩაცმულობით სხვის გამოერჩეოდა, აღმაცვრად დაუწუებდნენ ხოლმე უტრებას. შესაძლოა ზოგიერთ მშობელს, შედარებით უფრო შეძლებულს, საშუალება ჰქონდა შეილი-სთვის, ვთქვათ, ახალი კალოშები ეყიდა სკოლაში სახაარლოდ, მაგრამ ბავშვს რაოდებოდა მათი ჩაცმა, რადგან მისი თანაკლასელები, მისი ამხანაგები, დაგლდნენ ფეხსაცმლით დადიოდნენ წვიმისა თუ კუაში და შიგ წყალი შესდიოდათ. ბავშვი იზიტომ კი არ ერიდებოდა ახალი კალოშების ჩაცმას, ვითრე თანატოლებს შორისა და სიძულვილის გრძობა აღუძმარო, უფრო ის პირკავდა, რომ სათავილოდ მოახინდა, ერცხვენებოდა. ეს ცუდ ტონად ათვლებოდა. ამით იგი თავისებურ სლიდარობას უტყვადებდა ტოლ-მეგობრებს, მათს მღვთმარებობას იზიარებდა. მოეჩვენებოთ თუ არა ბუნებრივად ეს ამბავი იმ თაობის ჩამოხადალთ, იმ ბავშვების დღეობადედი შეილიშვილებს? ალბათ, არა. ბევრ მათგანს უთუოდ გაუკვირდება კიდევ გაუკვირდება, რადგან ახლა სხვაგვარი ტენდენციაა მომძლავრებული. ახლა, პირიქით, საშაუოდ ის მიჩინათ, სხვებზე უფროსად თუ აცვიათ და ახურავთ. მაგრამ რატომ არის, რომ შეილიშვილის დროს თავმოსწონია ის, რაც ბავშვისობას საძრახისად ითვლებოდა? რატომ იყო ბავშვის დროს უფრო ძლიერი კოლექტივიზტური შეგნება და რატომ არის ინდივიდუალური შეგნება უფრო ძლიერი შეილიშვილის დროს? რად განსხვავდებიან ბავშვა და შეილიშვილი ასერეგად ერთიმეორისაგან ან რა ცვლილებები მოხდა სულ რადაც ორი თაობის მანძილზე? თანდაყოლილ თვისებებზე ლამარაკი და მჩქელმობის შროლად მორალის სფეროში შემოფარგვლა ბევრს ვერაფერს ავკისნინდა. ამგვარი ვითარების სახსნინლად სოციალოლოგიის სფეროში გადანაცვლება და საზოგადოებრივ ურთიერთობათა ანალიზი იქნებოდა საჭირო.

როგორც ცნობილია, ფილოსოფიის განვითარების ისტორიაში იყო პერიოდი, როცა ე. წ. „ადამიანის ბუნება“ მიჩინეოდა სწორედ იმ

ქვაყუბუღად, ჩასაც საბოლოო ანგარიშით ემყარებოდა საზოგადოებრივი ცხოვრების სხვადასხვა მხარის ახსნა, მათ შორის წინა-მისაც და ფსიქოლოგიასაც. ამგვარი ვაზლად, ერთდ, მე-18 საუკუნის ფრანგული მატერიალიზმი, რომლის წარმომადგენელიც ადამიანის ბუნების უცვლელადნე რეგორც უცვლელ, ერთდ და სამუდამოდ დადგენილ რაიმეს. ეს იყო მატერიალისტური შეხედულება, რაც შემდგომ უტოპისტებმა იმეგობდრევეს. ცნობილია ისიც, რომ ფრანგული მატერიალიზმი-სათვის დამახასიათებელი ამ ნაკლის გამო-წერია წინააღმდეგ ვერმანულ კლასიკურ ფილოსოფიას, პირველ ყოვლისა, მის დამაგვირგვინებელს, მეგელს, რომელმაც დიალიქტიკის თეორია განავითარა და ახალ სიმაღლეზე აიყვანა. ადამიანის ბუნებაც, სინამდვილის სხვა მოვლენების მსგავსად, დიალიქტიკური თვალსაზრისით იქნა გააზრებული და მანამდე არსებული წარმოდგენა დაძლეულ იქნა. ასე რომ, თუ საკითხს თეორიული თვალსაზრისით განვსვით, მატერიალისტური შეხედულება ადამიანის ბუნებაზე არცაა ხნის განვლილი ეტაპია ფილოსოფიის ისტორიისა, და თუ ჩვენს ლიტერატურულ-კრიტიკულ ნაწარვეში თავს იჩენს ხოლმე, მას შეიძლება მხოლოდ სუბიექტივიზტური თვალთახედვის წინაშეწელობა მიენიჭოს.

ჩვენა ლიტერატურულ-კრიტიკული აზროვნების თავისებურება გარკვევით ჩანს რეზოკუიშვილას მოთხრობის მიხედვით გადარებული ფილმისადმი — „ცისფერი შთებისადმი“ მიძღვნილი ზოგიერთი წერილიდანაც. ჩვეულებრივ, ზუსტად არის ხოლმე დახასიათებული უზღუდულობის, უკონტაქტობისა და მორვენებითი საქმიანობის ის ატმოსფერო, რაც მოთხრობასა და ფილმში ნაჩვენებ დაწეებულბედაში გამეფებულია. გამოხატულია მევეთრად უარყოფითი დამოკიდებულება (სხვაგვარი წარმოდგენილიცაა) ასახული ვითარებინ-სადმი. მაგრამ კრიტიკული აზრი მტყნილად ფაქტის კონსტატაციას სწერდება. უგვანი ვითარების მიზეზთა კვლევის ნაცვლად, არსებითად ფილმის დიალიქტიკური მნიშვნელობის აღნიშვნით იფარება. ყველა არცაა ვყოფი, რომ რეალისტური ლიტერატურის, განსაუთონების კი ჩვენს საბჭოური ლიტერატურისა და ხელკვების ერთი უმთავრესი დანიშნულება ისაა, გარდაშქმენილი ძალა მქონდეს, გარდაშქმენილი — ადამიანისაც და სინამდვილისაც, მით უმეტეს, რაცა ლამარაკია „ცისფერი შთებისადმი“ მთავრ სატირულ ქმნებებაზე, სადაც ჩვენი საზოგადოებრივი წინაგობის მახინჯი წარმომჩენილი. სატირული ნაწარმოების პათოსი ცალმხრეად არ უნდა ვავიგოთ, ისე, თითქოს სემპარისი იყოს კაცს სარკეში ჩაახედო და მისი ნამდვილი სახე დაანახო, რომ ხელად ფერცვალბეა მოხდეს. თუ სატირული

ნაწარმოები კენშარტი მხატვრული ლიტერატურების მქონეა, მისი კრიტიკული პათოსის ისარი მეორე მხრისკენაც არის მიმართული, სოციალური გარემოსკენ, და იმ ისარს აქითა უნდა ვავიგოთ შერა, რათა დავინახოთ, რა მხრივ არის სატირო საზოგადოებრივი ყოვერების სრულყოფა, რომ შეხამდებელი იყოს წინაგობაზე სასურველი შეგავლენის მოხდენა. გვხვდება ისეთი წერილიც, სადაც არის კიდევ ამის საურთადებო ცდა. ოღონდ მხატვრული სინამდვილის ანალიზის შემდეგ დასკვნის გამოწვევისას თავს იჩენს ის სუბტი მხარე კრიტიკოსის აზროვნების მანერისა, რა-ზედაც ამ წერილში ვამხვებლებ ყურადღებას. სანიშნოდ შევჩერდებო ამ კრიტიკულ ნაწარვეზე.

დახასიათებელია ფილმში ნაჩვენებ ადამიანთა უზადრუა ყოფა და შედარებულია საყურობილეს:

„ამ ადამიანთა ბედი ყოფილა ეს საყურობილი!

მაგრამ ვანა შეიძლება მხოლოდ „ბედით ცხოვრება“? ვანა შეიძლება მთელი სიცოცხლედ ანომალიური მექანიზმის ერთ-ერთი დეტალის როლს თამაშობდენ და მთელი ცხოვრება ემსახურებოდენ ამ მექანიზმს“

მართლაც რომ არ შეიძლება. სავსებით მართებულიად არის დასმული საკითხი, ადამიანებს ამ „საყურობილიდან“ თავის დაღწევა მართებო:

„ამ ადამიანთა ზრალიც ყოფილა ამ საყურობილეს ყოფნა!

რადგანაც არა მარტო გარემო კმნის ადამიანს, არამედ ადამიანიც კმნის გარემოს, უბიკველესად საყურთარ თავს, საყურთარ გარემოს კმნის. მეტიც, ადამიანს უნდა შეეძლოს გარდღეოს საყურთარი თავიც და შეზღუდული გარემოც, რომელშიც უბედა ცხოვრება, გარდღეოს და ამოიგებზე მაღლა ავიდეს“ (თუ დადგანს — თ. ჩ.).

საკითხავიც სწორედ ისაა, როგორ უნდა შეეძლოს ეს ადამიანს?

ამ მხრივ საყურადღებოა ატორისიული მსჭელობის ერთი ადგილი, სადაც ნათქვამია: „ადამიანიც და უყოფაც ერთიანად არაა (ნაზგანსა ატორისაა. — თ. ჩ.) დამწამავ, როცა განვითარება ჩერდება. ელდარ შენგეღიას ფილმების — „არაჩვეულებრივი გამოფენის“, „შერეკილების“, „სამანიშვილის დენინაცვალის“ კვლევისას გვიჩვენებენ ადინიშნავდა: „სამივე ფილმში ელდარ შენგეღიას დაუინებით ამვიდრებს აზრს, რომ ადამიანი ვერ აართდებს თავიდან თავისი ყოფის მისუტაბებს, თუ თვით ყოფას არ ვაჩინა თავისი თვიდან გარეთ განვლის საშუალება“. („სამ-კოთა ბერლოვნება“, 1988, № 5, გვ. 98). მაგრამ ვერც ყოფა შედლებს განთავისუფლდებს პარკინციული კარჩეკტილობისაგან, თუ ადა-

მანა არ გახსნა საკუთარი თავის საწლები, არ გახსნა ველი სხვა ადამიანებისთვის, კემ-მარტი ადამიანური ურთიერთობისთვის.

ეს ფრთხილ სიმპტომატური მსჯელობაა, რაც მარტოოდენ აქ მოხმობილი სტრატეგიების ავტორის აქილეისის ქუსლი რქალი დააკვირ-დით ამ ციტატაში მოტანილ გვი ორჯონიძე-ძისეულ აზრს და შემდეგ წერაღის ავტორის კონტრამონარებს. ის აზრი, რომ „ადამიანი ვერ აპირებს თავიდან თავისი ყოფის მასშტაბებს, თუ თითო ყოფას არ გააჩნია თავისი თავიდან გარეთ გასვლის საშუალება“, სავსებით მართებული აზრია, რაიც, სამწუხაროდ, ხშირად უფლებებელყოფილია ბოლშე. სხვათა შორის, თავად წერაღის ავტორი ერთგან ახლოს იყო კემმარტივასთან, როცა აღნიშნა: „რედაქციის თანამშრომლების უყონტაქტობის ემატება მათი გაუცხოება საკუთარი საქმისგან, თითოეულ მათგანს თითქმის დაეწებულ აქვს თავისი საქმე, რის გამოც „სიცარიელში ექცევა“. აქ გარკვეული კორექტივია საქმრო: რედაქციის თანამშრომელთა უყონტაქტობას ეს არ ემატება მათი გაუცხოება საკუთარი საქმისაგან, არამედ საქმისაგან გაუცხოება თანამშრომელთა უყონტაქტობისა და ავტორებთან გულგრაღი დამოკიდებულების უმთავრესი მიზეზი. კემმარტივის ეს მარცვალი რომ გაღვივებინა, კრიტიკოსს ადარ გუპირდებოდა სწორი დასკვნის გამოტანა, თავისთავად მიაღებოდა პირველმიზეზს, მთავარ სატივარს, ძირითად საკითხს — შრომის მდგომარეობის საკითხს. მაგრამ ეს ნაპოვნი ადვილად გაუშვა ხელიდან და შემდეგ, მიხედა შეზღწივლადეც, წინააღმდეგობაში ახლართა მართლაც, რას გვეუბნება მისი კონტრამონარება? იმას, რომ გარემო ქმნის ადამიანს, ბოლო ადამიანი თავის მხრივ ქმნის გარემოს. ეს, მართალია, ელემენტარული კემმარტივბაა, მაგრამ ადასტურებს მხოლოდ ურთიერთქმედების ფაქტს ორი სიდიდისას — ა-ს და ბ-ს. ა მოქმედებს ბ-ზე, ბ ცი მოქმედებს ა-ზე. რა ქმნის ადამიანს? გარემო. გარემოს რაღა ქმნის? ადამიანი. შეიკვრა მოჭადღებული წრეჭაგრამ რა არის ის შესაშე, უყნობი სიდიდე X, რაც ა-სა და ბ-ს ურთიერთქმედებას განსაზღვრავს? სწორად ვერ არის ბოლშე სამი-ნებელი ამა თუ იმ კონკრეტულ შემთხვევაში. ბოლო, ვინც წემოსხსენებელი ორი ფაქტორის მხოლოდ ურთიერთქმედებას ხედავს, რამდენიც უნდა იმჭედლოს, თავს ვერ დააღწევს ამ ანტიომიანს. სხვათა შორის, ეს ის ცნობილი ანტინომიაა, ის წინააღმდეგობაა, რამე-ბი თავის დროზე მოექცენენ ფრანგი განმანათლებლები და რასაც თავი ვერახვზით დააღწიეს მაგრამ ფრანგი განმანათლებლების შემდეგ საზოგადოებათმოდინება დიდად განვითარდა და დღეს შეგვიძლია ამკვარი აზროვნებისეული ნაკლი თავიდან ავიცილოთ.

იმისთვის, რათა უფრო ნათლად დავინახოთ განხვევებული მიდგომა ჩვენს საზოგადოებ-რის ცხოვრების ავ-კარგის კულევსკიშეუ შო. გვიხდება ზოგადრთი მწერლის პუბლიცისტური ნააზრევეც მოვიშველიოთ, მთი უმეტეს, რომ მწერლებიცა და ლიტერატორებიც ამ ბოლო დროს აქტიურად იყენებენ პუბლიცისტური ნააზრის თაყინა შეხედულებათა გამოსაქმე-ლადა. ერთს ქართული მწერლის აზრს შო. ვიტანთ, ციტატას ტრახუნედან წარმოთქმული სიტყვისას, შემდეგ „ლიტერატურულ საქარ-თველოში“ რომ დაიხვედა, მეორეს კი — ნა-წვევებს ცნობილი თანამედროვე რუსი მწერ-ლის ანატოლი ანანიევსას, სტატიისას, რომე-ლიც „ლიტერატურნაია ვაწეტაში“ გამოქვე-ნდა. ორივე მწერლის შეხედულება იმითიც არის საგულისხმო, რომ გამოთქმულია თმა-მად პარტიის ოცდაშვეიდე ურლილის შემ-დეგ შექმნილ გულახდილობის აღმოსაფეროში. ორივე მწერალი ჩვენი საზოგადოებრივი წე-ობისა და სოციალური ფსიქოლოგიის ერთმოს საქობაროტო საკითხებს ეხება, არსებული ვითარების მიზეზებს იყვლევს, მიზეზებს იმ ნაკლავანებებსა, რომელთა დაძლევა ურე-ლი ჩვენგანის საზრუნავია. ქართველი მწერლის ნააზრევი პრობლემატკიას სიფართოვითა და მწვევე საკითხების დასმით გამოირჩევა, თუმ-ცა პასუხები წამოჭრილ კითხვებზე შეტ-ნა-კილად დამკამყოფილებულია, ბოლო ზოგადრთ კითხვაზე — აკვარად რადაამკამყოფილებელი. რუსი მწერალი მსჯელობისას ნაკლებ მასშტა-ბურობას იჩენს, ის უფრო მარტივი გზით მი-დის, მაგრამ აქვს ერთი უპირატეობა: იგი ხე-დავს, რომ იტყვიან, სად მარბია ძაღლის თე-ვი.

მოვუშინოთ ქარ ქართველ მწერალს. ცი-ტატა, შესაძლოა, ცოტა გრძელი იყოს, მაგრამ იმდენად მნიშვნელოვანი საკითხებია აღძრული, რბს მთლიანად მოვტანოთ, ავტორისეული აზრი სრულად, წარმოვანინოთ. აა, იმიც: „...ჩვენმა სოციალურ-ცრომობურმა ფორმა-ციამ სულ რაღაც სამოკდაათ წელიწადში შე-ძლო იმდენი, რამდენსაც, რომელმაც გნებავთ სხვამ, ორი-სამი საუკუნე მოახლოა. ნახევრად კოლონიური, აგრარული ქვეუანა, ამ ისტორი-ულად მოკლე დროში, პლანეტის მრამევა სა-დემწიფოდა იქცა და ასეთივე მრამეოტროსა განიცადა ხალხის მატერიალური უზრუნველ-ყოფის დონემ. ყველა ჩვენი პრობლემა წარ-სული განვითარების უმაღლესი ტემპის ნეგა-ტიური შედეგია. სხვათა და სხვათა მიზეზთა გამო ჩვენ ვკანტიტრესებდა ტემპი და რაოდენ-ობა, და ამდენად, როგორმე გაკეთებულია სა-ქონელი და როგორმე მოხდელი საზოგადოე-ბრივი მოვალეობა წარმატებად, გამარჯვებად ითვლებოდა. ურედივე ამან საქმისადმი ე-თილსინდისიერი დამოკიდებულების დედალ-ვაცია გამოიწვია, ბოლო მატერიალური საც-

დურის შეუფერებებელმა ზრდამ — ეგოიზმი და მომხვეჭელობა.

ჩვენ უდიდეს შეცდომაში შეგვაყვანა იმ შეხედულებამ, რომ საქმარისია მოსიპოს კერძო საკუთრება და აქედან გამომდინარე ფაქტიური უფლებრივი განსხვავება და ზნეობა თავისთავად ამაღლებდა, ადამიანი ვაკეთილშობილდება, სულიერი პრიმიტივიზმის პრობლემა შექანისურად მოიხსნება. ამ ამეღით, რევოლუციამეღით სასწავლო პროგრამებიდან ამოვიღეთ ისეთი აუცილებელი საგანი, როგორც არის ეთიკა. რელიგიისმეტი ზნეობრივი პრობანანა უარყვავით. უკველივე ეს სწორი და მართებული იყო, მაგრამ სამაგიერო არაფერი შექმენით, ზნეობას აღარ ვასწავლით. მიგვაყვანს ბავშვი სკოლაში, შემდეგ უმაღლესში, უმაღლეს შრომასა და სახსრებს ვხარჯავთ, რომ საზოგადოებას მალავი ზნეობითა და მოქალაქეობრივი ღირსებით აღჭურვილი შევსება მივწოდოთ. უკუღმა გამოდის. ერთობ საგარძნობი რაოდენობითა შემოხვევები, როცა ვაწყოლი დავწავა საზოგადოებასივე წინააღმდეგ ტრიალებს. შოლის ცოდნით, მარტოულობით, ნდობით შეიარაღებული პირი და ფაქრობს და მოქმედებს მხოლოდ იმ მამართლებით, რომ მიიღოს საზოგადოებისაგან უველუფერი და არაფერი გაიღოს მისთვის. სწორედ აქედან იწყება, ამით იხსნება უველა ზემოჩამოთვლილი ნაყოფი, ხარვეზი და სიმამინევი. როგორც ჩანს, ადამიანის სულიერი ჩამოყალიბების პრობლემას მარტო ლიტერატურა და ზღალოვნება ვერ აუეიდა. მე თუ მეოთხემა რაიმე, ათი, თორმეტი წლის ასაკამდე ბავშვს ადამიანობა უნდა ვასწავლოთ, თორმეტწუნიანი განტოლებების სწავლებას შემდეგში წლებისათვის გადატანის ხარჯზე და ამაზე დაუცხრომელ მუშაობისთან ერთად საზოგადოების ზნეობრივი გაქანალებზე უნდა ვიზრუნოთ, რომ ასე თუ ისე საღად აღსრული შევსება მოქმედება სიმამინევი არ გადამიხოს".

ამ ციტატაში პირუთენელად არის აღნიშნული ჩვენი საზოგადოებრივი ზნეობის არასახარბილო მდგომარეობა.

რა არის ამ მდგომარეობის მიზეზები ავტორის აზრით? ერთი გასაღავთ შედარებითი უფრო ზოგადი ხასიათის წინამძღვარი, თეორიის ნაკლოვანება, მკდარი წარმოდგენა — თითქოს საქმარისია იუოს კერძო საკუთრების მოსაპობა, რომ ადამიანები მაშინვე თანასწორნი გახდნენ და თავისთავად ვაკეთილშობილდნენ, შექანისურად დადილობის მათი სულიერი სიღატაკე. მეორე მნიშვნელოვანი მიზეზია წარმოების ზრდის გაუმართლებლად სწრაფი ტემპი, რასაც მოჰყოლიდა „საქმისადმი კეთილსინდისიერი დამოკიდებულების დეგლაცია“, ე. ი. შრომის გაუფასურება. ცალკეა გამოყოფილი ისეთი შორადურ-სოციალური მანკიერება, როგორც ეგოიზმი და მომხვეჭელობა, რაც

ავტორის შეხედულებით, „მატერიალური საცდურის შეუფერებელი ზრდას“ ბრალია. რამდენად სარწმუნოდ უნდა მივიჩნიოთ ეს მიზეზები? ის მოსაზრება, თითქოს სოციალიზმის თეორია ამბობდეს, საქმარისია კერძო საკუთრება მოსიპოს, რომ ადამიანთა შორის მაშინვე ფაქტიური თანასწორობა დაშვარდეს და მათი შეგნებაც თავისთავად გარდაიქმნასო, ისეთი გაუგებრობაა, რაზედაც უჭრადლებს ჰაგანებოდ შეგნება არც კი ღირს. მაგრამ, მიუხედავად ამ არასწორი პასუხისა, თავისთავად ეს კოხვა ფაქტულია, რამდენადაც ორიენტაცია გააძლევს, პასუხი გარკვეული თეორიული წინამძღვარისა და მისი პრაქტიკული განხორციელების ურთიერთშესაბამისობაში ვეძიოთ.

ძნელია რაიმეს გადაჭრით თქმა წარმოების ზრდის ტემპის ესოდენ მაყენ შედგენის გამო, თუმცა ცხადად ვხედავთ, სიჩქარე და შრავალგზის დაგამოხილი „იერაშოთან“ რა აშკარა დაღს ასეაშს სამაშულო პროდუქციის ხასიხს. ავტორისეული აზრის სისწორის გასაგებად სათანადო სტატისტიკური მონაცემებისა და ეკონომიკური მაჩვენებლების ანალიზია საჭირო. ეს ანალიზი დაგვანახებდა, რაოდენ მაქსიმალურად ვიყენებთ ჩვენს ეკონომიკურ პროტენციას, როგორია საწარმოთა საპროდუქტო და რეალური სიმძლავრე და მათი თანაფარდობა; რამდენად შეესაბამება ფაქტიური შრომის ნაკუთრება საწარმოო ძალების დონეს, სხვაგვარად რომ ვთქვათ, იმაზე მეტის მალეზა გვიანდა ჩვენს ზელთ არსებული ტექნიკიდან, რისი მოცემაც შეუძლია თუ, პარტიით, იმასაც ვერ ვიღებთ სრულად, რასაც მოგვეცემა, თუ რომ უფროსად ვაუენებდეთ. ზოლო, თუ ასეა, რა წილი უდევს ამაში ე. წ. „ადამიანის ფაქტორს“ (კულიფიკაცია, შრომის სწორი ორგანიზაცია, შრომისადმი შეგნებულ დამოკიდებულება, მართვის სისტემისა და მუშაობის სტილის სრულყოფა). მაგრამ საერთოდ ეს კრიტიკა ჩვენებური დაგვემის სისტემისა მანც ფრიად უჭრადსალებითა, რადგან დაგვემის არსებული სისტემა იმდენად დაუხვეწავია და ნაკლოვანია, შრომის წახალისების მაგერი ზოგჯერ სტიმულს უარგავს ადამიანს ანდა რაიმე სიუალებისა თუ თავლის ახვევისაკენ უბიძგებს ძალაუნებურად. რაც შეეება იმას, თითქოს მომხვეჭელობისთანა მანკიერება იმატერიალურა საცდურის შეუფერებელი ზრდის შედეგი იუოს, ეს აშკარად მკდარი შეხედულებაა. ზრდამატერიალური მოთხოვნისებებისა, რასაც ავტორი შეუფერებელ სიტყვას „საცდურს“ უწოდებს, თავისთავად ჭერ კიდევ როდია უარყოფითი რაში. პარტიით, სავსებით კანონომიერი მოვლენაა ცოველი განვითარებად საზოგადოების, მათ ფშეტებს, სოციალისტურისა მეტოცის ფაქტორია, რაც წინ სწევს წარმოებასა და ცხოვრების საზოგადო-



ების მატერიალური მოთხოვნილებები რომ არ მატულობდეს, უკეთესია და უფრო მეტის სურვილი რომ არ ღვიოდეს, ადამიანს რომ მიღწეული აქაუროფილებდეს, წარმოება და ცხოვრება ერთ წერტილზე გაიყინებოდა. სხვა საკითხია, რომ მატერიალურ მოთხოვნილებათა ზრდას შეიძლება არასასურველი შედეგიც მოჰყვებ, ეს მაშინ, თუ წარმოების ზრდა მნიშვნელოვნად ჩამორჩება მას და მათ შორის აშკარა დისპროპორცია იქმნება. ამ მხრივ წარმოების ნელ ზრდაზე უფრო ძლიერ ზეგავლენას განაწილებითი ურთიერთობა ახდენს, ტყუილად როდია, რომ პარტიის თეორიულ ნააზრევში დღეს ასე გამახვილებულია უკრადღება განაწილებითი ურთიერთობის სრულყოფის საპრობლემაზე და ზოგიერთი პრაქტიკული ნაბიჯიც გადაიდგა ამ მიმართულებით.

ჩა არის გამოსავალი, ავტორის აზრით, ასეული ვითარებიდან?

გამოსავალი ის არის, რომ თორმეტი წლის ასაკამდე ბავშვებს ეთიკის სახელმძღვანელო უნდა შევეუქმნათ. როცა ამას შეიტყობ კაცი, ძნელია გულწრფელი სინანულის გარძნობა არ შეეპყროს. აფსუს, რომ დროზე ვერ მოვიფიქრეთ, ან განსვენებულ გელა ბანძელაძის „ეთიკა“, გათვალისწინებული უმაღლესი სასწავლებელია სტუდენტებისათვის, სასკოლო სახელმძღვანელოდ გადაგვეკეთებინა და თორმეტი წლის ასაკამდე ბავშვებისთვის გვესწავლებინა. ტყუილად დავაარგეთ ძვირფასი დრო, თორემ ახლა ზნეობრივად სიტყვი, „სიღად აღზრდილი შევხება“ გვეყოლებოდა!

„ლიტერატურაშია გაზეტას“ 1986 წლის 16 აპრილის ნომერში დაიბეჭდა ა. ანანიევის სტატია „მწერალი და ცხოვრება“. მოვიტან ციტატას ამ სტატიიდან უკომენტაროდ; გულისხმიერა მკითხველი თავადვე გაიგებს ნათქვამის აზრს და სადღეისოდ მტკიანეული ბევრი კითხვის პასუხსაც იპოვის, მართალია, ერთმნიშვნელოვან პასუხს, მაგრამ ამ შემთხვევაში ეს მწერლის ნააზრევის ნაკლად კი არა, ღირსებად უნდა ჩათვალოს. ანანიევი წერს:

«Ведь мы превратили агронома (вот я когда начинал) в переписчика и собирателя неких сведений. Мы превратили инженера в незаинтересованного работника — получает он мало и

бегжит продавать яблоки или пиво торговать, потому что там он заработает. Мы не учитываем то обстоятельство, что человек рождается утвердить себя на земле: утвердить в высшем смысле — добром, работой.

Первой ячейкой, где происходит это самоутверждение, я бы назвал семью. Но как может утвердить себя инженер, который получает так мало, что не чувствует себя хозяином в семье и поэтому не удовлетворен жизнью? Раньше мужик, самый простой, обыкновенный мужик, зная, что от его трудолюбия зависит благосостояние семьи, встанет пораньше, пораньше выйдет в поле — он утверждался в глазах семьи, в глазах окружающих его людей, а семья, как известно, первая ячейка государства, и благополучие семьи есть благополучие страны.

Теперь же работа много колхозника или рабочего настолько регламентирована, что он и не может больше зарабатывать, чем ему определено; он приходит в семью, которую не может вполне обеспечить, и его охватывает чувство беспомощности. И тогда он бросается во всевозможные и невозможные стихии, в любые отдушники, в том числе и в пьянство. Начинает «забывать козла», начинает хулиганить. А глядя на него, и дети. А ведь истары известно: дочь по матери, сын по отцу. Мы почему-то совершенно упустили это из виду и думаем, что только ясли, детский сад могут дать все».

ნათქვამია, როცა მგელი ჩანს, კვალს რაღა ძებნა უნდაო. ანანიევი ხედავს მგელს და პარადიარ ამბობს ამას. ზოგი ახლომხედველია და ვერ ხედავს ანდა ხელსაყრელ პოზას ამ ქობინებს — ვითომ ვერ ვხედავო. ზოგიც შინა კვლის მიგნების განზრახვით წამოსულა, მაგრამ უფრო ტყვეში სიარულს უნდება, ღამაში სანახაობის ცქერით ერთობა. მაგრამ, ვინავე მგლის კვლის მიგნება სურს, ის კვლი უნდა ეძიოს, ტყვეში სეირნობა კი ნაკლებად უნდა იტაცებდეს.

## აკადემიკოსი აკაკი შანიძე 100 წლისაა!

მგონი, მთელ ჩვენს პლანეტაზე არ ყოფილა ჯერ შემთხვევა, რომელიმე ქვეყნის საზოგადოებას აღნიშნოს ასეთი მრავალუამიერი დაბადების დღე, ასეთი თარიღი, იუბილარის, მეცნიერის სიცოცხლეშივე.

მეცნიერის სიცოცხლეშივე!

მით უფრო ისეთი მეცნიერისა, როგორც აკადემიკოსი აკაკი შანიძეა, მთელი ამ დღეგრძელი სიცოცხლის მანძილზე თავაუღებელ შრომაში რომ იყო და არის ჩაბმული.

შეიძლება სწორედ ამ, დღედაღამ თავაუღებელმა, განუწყვეტელმა შრომამ, თავისი ერთადერთი უსაყვარლესი საქმით უსაზღვრო, უნაპირო გატაცება? განსაზღვრა კიდევ სიცოცხლის ეს ხანგრძლივობა. ჩვენ ხომ ვიცით, რომ ყველა დიდ მეცნიერს, ყველა დიდ შემოქმედსაც გააჩნია ხოლმე რაღაც სხვა, თუნდაც დროებითი გატაცება, თუნდაც მცირედი „ხობი“; აკადემიკოსი აკაკი შანიძის მთელი სიცოცხლის აზრი და მიზანი, მისი არსებობის საგანი. ძირითადიც და დროებითიც, მხოლოდ მეცნიერებაა და სხვა არაფერი. მხოლოდ მისი საყვარელი მეცნიერება. ასე თავდადებულად კოცხლობს იგი მთელ თავის ცხოვრებაში.

...და კიდევ ერთი საკვირველება: აკადემიკოს აკაკი შანიძეს ზეგარდმო ბუნებამ მთელი ამ სიცოცხლის გრძელ მანძილზე დაანათლა ამოუწურავი ნიჭი და შემოქმედებითი ენერჯია, შრომის საოცარი უნარი და ჩაუქრობელი ხალისი, სათქმელის უსასრულობა. აკაკი შანიძე დღესაც ამ უნარითა და ენერჯიით განაგრძობს თავის მეცნიერულ საქმიანობას.

მე იგი ამ სამოცი წლის წინ მასწავლიდა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში, ჯერ კიდევ ახალგაზრდა კაცი, ახალგაზრდა მეცნიერი. ახლაც თვალწინ მიდგას იგი კათედრაზე და დაფასთან. შემდეგ კი წარუშლელად ჩამრჩა ხსოვნაში იგი პალესტინის ქართულ მონასტერში, რუსთაველის ნაქვალევზე, იურესულომში. მაშინ იგი სამოცდაათ წელს იყო კარგა გადაცილებული და ჩვენც მისი ხანდაზმა გვაფიქრებდა, ეუფროსილდებოლით კიდევ მოხუც მეცნიერს, იგი კი ამ წლებს აინუნშიაც არ აგდებდა და თავს არ ზოგავდა, რას წარმოვიდგენდით, რომ ეს წლები მისი სიცოცხლის მხოლოდ ერთი რაღაც ნაწილი იყო და მას წინ კიდევ გრძელი გზა ჰქონდა გასავლელი.

ქართულ ენათმეცნიერებასთან, ქართულ ფილოლოგიურ დიდ კვლევებთან ერთად აკადემიკოსმა აკაკი შანიძემ უდიდესი ღვაწლი დასდო რუსთველოლოგიურ მეცნიერებასაც; ეს კი განსაკუთრებული აღნიშვნის და მადლობის ღირსია მის ასწლოვან საიუბილეო დღესასწაულზე.

## სიცოცხლეშივე ხალხის გულში კვლადღებულნი

დიდად პატივცემული, ბატონო აკაკი, თქვენი სიცოცხლის ასი წლის-თავზე უძველესი, უღამაზესი ქართული მხარის, აჭარის მთელი კულტურული საზოგადოებრიობა, უსაზღვრო პატივით, სიამაყით, სიყვარულით მოგესალმებით.

ჩვენ, ქართული მწერლობის აჭარის ორგანიზაციის წევრებს, განსაკუთრებული ახლობლობა გვაკავშირებს თქვენთან.

თქვენი ჩვენი დროის უდიდესი ქართველი კაცი ხართ. სწორუპოვარი მეცნიერი, ჩვენი უშრეტო საუნჯის, უმშვენიერესი ქართული ენის მადლიანი მებაღე და ჩვენი გამხრდელი ტყბილქართული სიტყვის ბრძენი ქურუმი ბრძანდებით.

თქვენ შესანიშნავად იცით, რომ ქართული ენის გამძლეობის, ცხოველ-მყოფელობის, გაუტეხლობის, მისი დაუცხრომელი ბრძოლისუნარიანობის, მისი გადარჩენა-გამარჯვების, უკვდავების ერთი თვალსაჩინო და ცოცხალი მაგალითი სწორედ ჩვენი საყვარელი კუთხე, თქვენს მიერ ბევრგზის დალოცვილი აჭარა გახლავთ.

როცა თქვენ, ჯერ კიდევ ახალგაზრდა, მაგრამ უკვე აღიარებული მეცნიერი იყავით, მაშინ აჭარაში, სამწუხაროდ, მშობლიურ ენაზე სიტყვის გამართულად წამკითხველი, მით უმეტეს, დამწერი მხოლოდ ერთი ან ორი თუ მოიძებნებოდა.

დღეს ჩვენი მრავალნაწამები მხარე ასე რომ ეროვნულად აძლდა, განააღდა და სხვა ქართულ კუთხეებს ყოველმხრივ გაუტოლდა, ეს უწინარესად მშობლიური ენის დამსახურებაა.

ისტორიული ფაქტი, რომ ქართული ენა მჭორთხის ხეობაში დაიბადა, მთელ სამხრეთ საქართველოს და, რაღა თქმა უნდა, აჭარას, კიდევ უფრო მაღალ პატივითულ მისიას და პასუხისმგებლობას აკისრებს.

პატივცემული ბატონო აკაკი, თქვენ, ქართველობის უკვდავი საუნჯის, ქართული ენის ურთულეს კანონთა უდიდეს ხუროთმოძღვარს, სამაგალითო ერისკაცს, დიდ მოქალაქეს, ბრძენკაცს, ძლიერს, მართალს, სიცოცხლეშივე ხალხის გულში კვლადღებულს, კვლავაც მადლიერებით, სიყვარულით გლოცავთ და ბედნიერ სიცოცხლეს გისურვებთ.

## ქართველოლოგიის ბურჯი

აკაკი შანიძე დიდ ქართველ მეცნიერთა შო-
 რის ერთადერთია, რომელიც 100 წლის ასაკ-
 ში მზნედ ვგებნება თავის საბელოვან იუბილეს,
 ეგებება გაუნელებელი შემოქმედებითი ინერ-
 ვითა და მისთვის ჩვეული უხვი ნაყოფიერე-
 ბით. დიდი ივანე ჭავჭავაძის შემდეგ, ქარ-
 თველოლოგიის უღლის სიმაღლე ყველაზე მე-
 ტად ა. შანიძეს დააწვა და მან უღრტვანე-
 ლად და ხანგრძლივად ზიდა იგი. ქართველო-
 ლოგიის რა უბანსაც გადახწვდა, ყველაგან ფუ-
 ძემდებლად ან ტკაპის შემქმნელად მოგვევლი-
 ნა. ა. შანიძის ცხოვრების გზა იმდენად ღრმა.
 შინაარსიანია, მეცნიერული მემკვიდრეობა იმ-
 დენად კლასიკური და შთამბეჭდავი, რომ
 მისი მოკლედ გადმოცემაც კი ერთ წერტილში
 ერთბაშად მწელია.

აკაკი გაბრიელის ძე შანიძე დაიბადა 1887
 წლის 28 თებერვალს სოფელ ნოღაში. სოფ-
 ლის სამრევლო სკოლის დამთავრების შემდეგ,
 1897 წელს შევიდა ქუთაისის სასულიერო სა-
 სწავლებელში. 1904 წელს კი ჩაირიცხა ქუ-
 თაისის კლასიკურ გიმნაზიაში, რომელიც 1907
 წელს წარმატებით (ვერცხლის მედალზე) და-
 ამთავრა და სწავლა გააგრძელა პეტერბურგის
 უნივერსიტეტის აღმოსავლურ ენათა ფაკულ-
 ტეტზე, სადაც ის ისმენდა შარის, ბართოლდის,
 ბოლუნენ-დუ კურტენეს, შნერკას, კრაჩკოვსკის,
 ჭავჭავაძისა და სხვა სახელმწიფო მეც-
 ნიერთა ლექციებს. 1918 წელს კურსდამთავ-
 რებული ა. შანიძე ნ. შარის შუამდგომლობით
 დატოვეს კათედრაზე პროფესორობისათვის
 მოსამზადებლად. 1915 წ. მან ჩააბარა ზეპირი
 სამაგისტრო გამოცდები; 1917 წელს საშუა-
 ოდ გადმოიღის თბილისში და მხურვალედ მო-
 ნაწილეობს ი. ჭავჭავაძის თავაყოფით წა-
 მოწვებულ თბილისის უნივერსიტეტის დაარ-

სებაში. 1919 წლიდან განაგებს უნივერსიტეტ-
 ში ქართული ენის კათედრას, ხოლო 1945
 წლიდან (კათედრის ორად გაყოფის შემდეგ)
 დღემდე — ძველი ქართული ენის კათედრას.
 ახლადდაარსებულ უნივერსიტეტში ა. შანიძეს
 მძიმე ტვირთი დააწვა ახალი სასწავლო საგნე-
 ბის მოწოდება. მას მოუხდა მრავალი საუნე-
 ვერსიტეტო კურსის შექმნა და წაკითხვა —
 ძველი ქართული, ახალი ქართულის მორფო-
 ლოგია-სინტაქსის, არაბულის, სომხურის, სვა-
 ნურის, ქართული დიალექტოლოგიის, ქართვე-
 ლურ ენათა შედარებითი გრამატიკისა და სხვ.
 1920 წელს ა. შანიძე პირველი იცავს სადოქ-
 ტორო დისერტაციას თბილისის ახალგაზრდა
 უნივერსიტეტში. 1929 წ. მას სსრკ მეცნიერე-
 ბათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტად ირჩე-
 ვენ, 1941 წლიდან საქართველოს მეცნიერე-
 ბათა აკადემიის აკადემიკოსია, 1964 წლიდან ამა-
 ვე აკადემიაში განაგებს საზოგადოებრივ მეც-
 ნიერებათა განყოფილებას, 1948-50 წლებში
 აკადემიის ვიცე-პრეზიდენტია, ფართო კვლე-
 ვითი მოღვაწეობის აღიარების ნიშნად სხვა-
 დასხვა წლებში მას ირჩევენ პრადის აღმოსავ-
 ლეთმცოდნეობის ინსტიტუტის წევრ-კორეს-
 პონდენტად (1987 წელს), სომხეთის სსრ მეცნ.
 აკადემიის ისტორიკოსა და ლიტერატურის ინს-
 ტიტუტის სამეცნიერო საბჭოს წევრად (1988
 წელს), ფრანგიის შილერის საბელონის იენის
 უნივერსიტეტის სამატიო დოქტორად (1986
 წელს), 1967 წელს მას მიენიჭა სომხეთის სსრ
 მეცნიერების დამსახურებული მოღვაწის წო-
 დება. ახლანდს დიდი ბრატანეთის ფილოლო-
 გიური საზოგადოების წევრად აირჩიეს.

სხვადასხვა დროს ა. შანიძე არჩეული იყო
 თბილისის კიროვის სახელობის რაიონის მშრო-
 მელთა დეპუტატების საბჭოს დეპუტატად

(1988 წ.), ამავე რაიონის აღმასკომის წევრად (1941-1944 წწ.), მშრომელთა დემუტატების თბილისის საქალაქო საბჭოს დემუტატად (შეიღწერა, 1950-1988 წლებში), საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დემუტატად (1971 წ.), დაწილდებულთა ორდენებით: „სამატო ნიშნისა“ (1941 წ.), „შრომის წიელი დროშისა“ (1945 წ.), ლენინისა სამგის (1958, 1967, 1971 წწ.), „სახლთა მეგობრობისა“ (1975 წ.), „ოქტომბრის რევოლუციისა“ (1981 წ.), მედლებით: „მამაცური შრომისათვის“ (სამგისი: 1945, 1960, 1970 წწ.), „შრომის ვეტერანი“ (1983 წ.).

ა. შანიძის სხვადასხვა დროს მიწვებული აქვს პრემიები: 1958 წელს — თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პირველი სამეცნიერო პრემია ნაშრომისათვის „ქართული გრამატიკის საფუძვლები“, 1971 წელს — თბილისის უნივერსიტეტის ავ. ჭავჭავაძის სახელობის სამეცნიერო პრემია მონოგრაფიისათვის „ქართველთა მონასტერი ბულგარეთში და მისი ტიპიკონი“, 1977 წელს — საუნივერსიტეტო სამეცნიერო პრემია შრომისათვის „ძველი ქართული ენის გრამატიკა“.

მრავალმხრივი და მასშტაბური აკად. შანიძის სამეცნიერო პრობლემატიკის სფერო, მაგრამ მის სამეცნიერო მოღვაწეობაში უპირველესი ადგილი ქართველურ ენათა გრამატიკული სტრუქტურისა და ისტორიის საკითხების კვლევას უჭირავს. ამ დარგში მისი შრომები ჰერმეტიკად ფუძემდებურია.

ა. შანიძემ პირველად დაძლია წინამორბედ მკვლევართათვის შეტ-ნაკლებად დამახასიათებელი ორი ძირითადი მეთოდოლოგიური ნაკლი: 1. მან უყრიტყავი კი არ მიიღო უცხო (ბერძნულ-ლათინურ თუ რუსულ) ენათა გრამატიკებში გრამატიკული თვალსაზრისი, არამედ დღეაენის სტრუქტურული სპეციფიკის გათვალისწინებაზე დამყარებული საკუთარი კონსტრუქცია შეიმუშავა. 2. შანიძე არ ცდილა, უცხოელ ენათმეცნიერთაგან ბრმად გადმოეღო საბუთისონება ქართული ენობრივი მახალის ანალიზისთვის, მას „ინტერესებდა არა მარტო ენის ფილოსოფიის მონაპოვართა გამოყენება ქართულისათვის, არამედ ქართული ენის მოვლენათა სწორი შეფასების გზით მოცივით შედობა დემუტატებისა ვახაილდება ზოგად საკითხებში და მათ ნაკლებად ჰერმეტიკის წამოყენება“... [ქართული გრამატიკის საფუძვლები, 1973, გვ. 14]. 2. ენობრივი მოვლენების ანალიზისა ა. შანიძემ თანმიმდევრულად ვახატარა ისტორიზმის პრინციპი, აჩვენა არა მარტო ის, თუ როგორია ამა თუ იმ ენობრივი მოვლენის გამოხატულება, შექანიზმი, არამედ რატომა ის ასე ძველი ქართული ენის წერილობითი ძეგლების, ცოცხალ კოლოთა და მონათესავე მეგრულ-ჭანურ, სვანურ ენათა მონაცემების შესწავლამ გარკვეულ ქრონოლოგი-

ურ დონეზე და შედეგად ასეთ სტრუქტურულ დონეთა ურთიერთშედარებამ მკვლევარს შეაძლებინა ენობრივი მოვლენების სტრუქტურული ასპექტი შეფასებისა. 3. შესამე ფაქტორი, რამაც განაპირობა ა. შანიძის ლინგვისტური კვლევა-ძიების დიდი შედეგიანობა, ესაა ინტელექტუალური თვალსაწიერის დიდი მასშტაბობა. ქართველური ენების რომელიმე კონკრეტული საკითხის ახლებური გაგების ნათესაურად საჭირო შემთხვევაში გაბედულად არის პარალელი გაკლებული სხვადასხვაგვარი სტრუქტურის ენებთან სპარსულთან, თურქულთან, არაბულთან, ბერძნულთან, სომხურსა თუ სლავურთან. კვლევა-ძიების ამ მეთოდში, რომელიც ა. შანიძემ საკუთრე შეიმუშავა, მკვლევარს შეაძლებინა ნათელი მოცივინა მანამდე ბურუსით მოცული საკითხებისათვის. ნაშრომებში „წელიწადის ტიპოლოგიისათვის“ და „უძლიერ სვანურში“, რომლებიც თითქოს არ კონკრეტულ საკითხს ეხება, მეცნიერმა ცხადყო, თუ როგორ აუცილებელია ფონეტიკური მოვლენების სწორი შეფასება და გათვალისწინება ენის გრამატიკული სტრუქტურის მართებელი ინტერპრეტაციისათვის.

სწორედ აკად. შანიძე არის პირველი მკვლევარი, რომელმაც დაინახა და სხვებსაც დაინახა ქართული ენის სისტემა. ენა, საზოგადოდ, და ქართული, კერძოდ, არის სისტემა — ამ აზრითაა გამსკვლეული ა. შანიძის ნაშრომები. უნდა ითქვას, რომ XVIII-XIX საუტუნთა ქართველ გრამატიკოსებს, მიუხედავად მათი დიდი დამახატურებისა ქართული ენის შესწავლის საქმეში, არ შეეძლოთ დაენახათ და ვერც დაინახეს ენობრივი მოცივინათა სისტემათა ხასიათი. ამ მხრე ნიშნადობლივია პლატონ ოსენლიანის გამოთქვამი ქართული წმინდის შესახებ: „ქართულისა ყოცივლის წმინა აჩიან უყანონონი“. ამ სიტყვების ავტორი გულისხმობდა ქართული წმინდის მეტისმეტ სირთულეს და მისი სისტემის შეუცნობლობას.

განსაკუთრებით აღსანიშნავია ის, რომ ა. შანიძემ ენის სისტემათა გააყრცხლა დაქრონოზურ თანამდროვე ქართულში მეორე სუბიექტური პირის ნიშნად სამ ძირთან ხ — პრეფიქსი გამოაცივინა: ხ.პრ, მრ.ხ.პმლ, მრ.ხ.პმლ. ეს მოცივინა შენიშნული კი იყო, ოღონდ ახსნილი არა. ა. შანიძემ მიაცივინა ურჩადღება ბოლისისა და მცხეთის წარწერების დადასტურებულ რამდენიმე წმნურ ფორმას, სადაც სუბიექტური მესამე პირის ნიშნად ხ. პრეფიქსი იხმარება, და ივარაუდა, რომ ქართული ენის ისტორიის უფრო ადრეულ საფეხურზე სუბიექტური მეორე და ობიექტური მესამე პირის ნიშნად ხ იხმარებოდა. ა. შანიძის ვარაუდი მალე დადასტურდა. 1922 წლის ბოლოს ა. ჭავჭავაძელმა ამოაცივინა VI საუტუნის ძველი ქართული ხელნაწერები, სადაც სუბიექტური მეორე და ობიექტური მესამე

პირის ნიშნად სისტემატურად იხმარება ხ. პრეფიქსი.

უძველესი ქართული ხელნაწერების ამოკითხვა და მათი შესწავლა, რაშიც ა. შანიძემაც დიდი წვლილი შეიტანა, განსაკუთრებული მოწოდება იყო ქართული კულტურის ისტორიის აღდგენის წესრიგში დადგა მათი უკვე აღმოჩენილი ანალიზის საკითხი. იგი ქავახიშვილი ფიქრობდა, რომ თავდაპირველად ქართულ ენაში ბ-პრეფიქსი იყო, რომელიც შემდეგ ბ-პრეფიქსით შეიცვალა. ა. შანიძემ მოუთხოვა, რომ ფიქვ ბ > ბ-ფონეტიკურა ცვლილება მოხდა, იგი უველა შემთხვევაში უნდა მომხდარიყო და არ უნდა შეთავაზდებოდა თავდაპირველი ხისტი ძირებში, როგორც: ბ უთ ბ ედუ ა, ს ა ხ სხვ. ამის გამო, რომ ამ ძირებში ბ > ბ არ მოხდა, ა. შანიძემ არ იწიარებდა იგი ქავახიშვილის თვალსაზრისს. მისი აზრით, ბ-პრეფიქსი ამასათებდა გარკვეულ დიალექტურ არეალს, ხოლო ბ სხვა დიალექტურ არეალს. ამ შემთხვევაშიც კარგად ჩანს ა. შანიძის მიდგომა ენობრივი ფაქტების მიხედვით.

1920 წელს გამოქვეყნდა ა. შანიძის მონოგრაფია: „სუბიექტური პრეფიქსი მეორე პირისა და ობიექტური პრეფიქსი მესამე პირისა ქართულ ზნებაში“. მასში დაწვრილებით არის განხილული ქართული ზნის პირის ნიშნითა საკითხი. ცხადია, ავტორი მარტო პირის ნიშნებით არ იფარგლება და ანალიზებს ქართული ზნის მრავალ არსებით საკითხს. აქვარად ჩვენ გვინტერესებს ა. შანიძის კვლევის მეთოდოლოგია. ავტორი ჭარ განიხილავს ძველი ქართულის ვითარებას, შემდეგ განალიზებულა სუბიექტური მეორე და ობიექტური მესამე პირის გამოხატვა საშუალო ქართულში (XII-XVIII სს.). ამის შემდეგ იგი გადადის ახალი ქართული ენის (XIX ს-დან XX ს-ის 20-იან წლებამდე) მონაცემებზე. სალიტერატურო ენის ვითარების განიხილვის შემდეგ განალიზებულია ქართული დიალექტების ფაქტები ცალ-ცალკე.

ავტორი ყველგან მაქსიმალურ სიმკაცრეს იჩენს. არსად არ გვხვდება დონეებისა და სისტემების აღრევა. ძველი ქართული ა. შანიძისათვის ერთი კრონოლოგიური პერიოდი; საშუალო ქართული — სხვა, ახალი ქართული — სხვა. უკველი დიალექტი ცალკე სისტემა, ისე როგორც სალიტერატურო ენაც ცალკე სისტემის ქმნის. ასეთი ანალიზი თვითნიშნა არ არის. მისი შედეგი ისაა, რომ ა. შანიძემ წარმოვიდგინა მეორე სუბიექტური და ობიექტური მესამე პირის ნიშნითა ევოლუციის ნათელ სურათს ქართული ენის სხვადასხვა ქრონოლოგიური პერიოდისა და სისტემათა მონაცემების შეხარისხარების შედეგად.

განსაკუთრებით საზრასხილელია ის, რომ ა. შანიძემ ეს მეთოდოლოგია კონკრეტული პრობლემის კვლევისას პრაქტიკულად გამოი-

ყენა ჭერ კიდევ XX საუკუნის 10-იან წლებში (ა. შანიძის ნაშრომის რუსული ვარიანტის ბეჭდვა დაიწყო 1915 წელს „სტრუქტურაში“, რუსეთის მეცნიერებათა აკადემიის წევრმა: ვა. მწუხაროდ, მასზე დაიბეჭდა მხოლოდ ნაწილი. სხვადასხვა დაბრკოლების გამო წიგნის სრულად დაბეჭდვა ვერ მოხერხდა).

ა. შანიძემ თავისი კვლევა-ძიებისას რომ შეგნებულად მიმართავს სხვადასხვა ქრონოლოგიურ დონეებს გამოყენას, ეს კარგად ჩანს 1930 წელს გამოქვეყნებული წიგნის (ქართული გრამატიკა, I, მორფოლოგია) წინასიტყვაობიდან. იგი წერს: „წინამდებარე წიგნი წარმოადგენს მოკლე სახელმძღვანელოს, რომელშიც მოცემულია ცდა, ნათელი მომთხროს ქართული ენის მორფოლოგიურ აღნაგობას განვითარების იმ საფეხურზე, რომელზედაც იგი იმყოფება ამჟამად სალიტერატურო ძეგლების მიხედვით. იგი აღწერილობითი ხასიათისაა და, მაშასადამე, ფაქტები იმგვარადაა გაშუქებული, როგორც შეიძლება შეფასებულ იქნეს იდე-ვანდელი სალიტერატურო ენის ნორმითა მიხედვით. ავტორი საზოგადოდ ცდილობდა, არ დასცილებოდა ახალი სამწერლო ენის ნიდაგს და შესადაარბელი მასალები ძველი ქართულიდან და ცოცხალი კილოებიდან იმდენად შემოქმნა, რამდენადაც საჭირო იყო სალიტერატურო ენაში შეიტანული მოვლენების გასათვალისწინებლად“ (გვ. VII). აქვე შევნიშნავთ რომ ძველი ქართულისა და დიალექტების მონაცემები არასდროს არ არის შერეული თანამედროვე ქართული ენის ფაქტებთან.

ამავე პრინციპს ატარებს ა. შანიძემ თავის ფუნდამენტურ ნაშრომში „ქართული ენის გრამატიკის საფუძვლები“ (I გამოცემა, 1942 წ., უკანასკნელი გამოცემა, 1948 წ.).

ა. შანიძისათვის სინქრონული და დიაქრონული კრიტერი მკვეთრად განსხვავებულია, ამასთან, მათ შორის გადაულახავი დაბრკოლება არ არსებობს. დიაქრონული კვლევის შედეგები გვეხმარება თანამედროვე ენის არაერთი ფაქტის სწორად შეფასებაში.

ა. შანიძის უდიდესი დამსახურება ქართული ენის მორფოლოგიურ კატეგორიათა აღმოჩენა და მათი სისტემის შექმნა, როგორც ესმის ა. შანიძის გრამატიკული კატეგორია? იგი წერს: „ცნება, რომლის გამოსახატვად ენას მოუპოვება გარკვეული გრამატიკული საშუალება, წარმოადგენს გრამატიკულ კატეგორიას. გრამატიკული კატეგორია შეიძლება იყოს მორფოლოგიური ან სინტაქსური“.

მორფოლოგიური კატეგორია, ა. შანიძის აზრით, უნდა იქნება თანაზომიან ფორმათა დამხარისხარების გზით. ქართულში ამ პროცედურის შედეგად გამოიყოფა სახელის ორი გრამატიკული კატეგორია: ბრუნვა და რიცხვი. ქართულ ზნას მოუპოვება შემდეგი მორფოლოგიური კატეგორიები: პირი, რიცხვი, დრო,

კილო, მწკრივი, ასპექტი და სხვ. თვითნებულ ხაზირისპირად ფორმა კატეგორიის წარმოადგენს. მაგ., თავის მხრივ, რიცხვის გრამატიკული კატეგორია მოიცავს მხოლობითსა და მრავლობითს (მხოლობითსა და მრავლობითს შეიძლება ვუწოდოთ ქვეკატეგორია, ხოლო რიცხვს წყატიკატეგორია) და ა. შ.

ამრიგად, გრამატიკული კატეგორია უაღბდემა ისეთ ფორმათა შეპირისპირების გზით, რომლებიც ერთმანეთისაგან მინიმალურად განსხვავდებიან როგორც გამოხატულებით, ისე მნიშვნელობით. ეს ამახსენებს, რომ შესაძარბებელი ერთეულები ერთმანეთს მხოლოდ ერთი ნიშნის მიხედვით უპირისპირდებიან.

ა. შანიძის მიერ ჩატარებული ანალიზის არსი ისაა, რომ თუ ფორმის მინიმალურ შეცვლას მოჰყვება გრამატიკული მნიშვნელობის შეცვლა, მაშინ უფლება გვაქვს მოვუწოდოთ ფორმა მის საპირისპირო ფორმასთან (ფორმუბთან) ერთად ოპოზიციის ცალკეად ჩავთვადლოთ და გამოვყოთ გარკვეული გრამატიკული კატეგორია.

როგორც მართებულად შენიშნა გ. მაკუვარაძემ, „ა. შანიძისთვის — „ფორმა“ ვიწრო მნიშვნელობით გულისხმობს სიტყვის ბგერით მხარეს (ანუ გამოხატულებას), ხოლო „ფორმა“ ფართო გაგებით — როგორც გამოხატულებას, ისე მნიშვნელობა-დანიშნულებასაც. უწყობს „ფორმა“ ა. შანიძის ესმის როგორც მნიშვნელობა, შინაარსი, ან მნიშვნელობა-დანიშნულება, ან მხოლოდ დანიშნულება“. ა. შანიძემ ქერ კოდვ XX საუკუნის 20-იან წლებში შექმნა თავისი არსებითად მთლიანი მოძღვრება ენის შესახებ; შეიმუშავა და პრაქტიკულ კვლევა-ძიებაში დაწერა მეთოდია, რომელსაც მაშინ მორფოლოგიის საკითხთა შესწავლისას თითქმის არავინ იყენებდა. გ. მაკუვარაძის წერს: „ა. შანიძის გრამატიკული მოძღვრება ძირითად მომენტებში შეიძლება განვსაზღვროთ როგორც ერთ-ერთი აღნიშნული ნაარსებობა სტრუქტურალიზმისა მორფოლოგიის სფეროში. ... ა. შანიძის მიერ შემუშავებული პროცედურა მორფოლოგიური ანალიზისა ნათლად გამოხატულ „სტრუქტურალისტიკურ“ ხასიათს ატარებს“. განსაკუთრებით აღსანიშნავია, ის, რომ ა. შანიძე, უპირველეს ყოვლისა, ენის მორფოლოგიური სისტემის მკვლევარია. მორფოლოგიური პრობლემების კვლევისას მან გამოიყენა ის მეთოდები, რომელთაც იყენებდნენ ფონოლოგიის კვლევისას ვროსასა და აშერაჟაში.

ა. შანიძემ პირველმა შენიშნა მთელი რიგი მოვლენები, რომლებიც შემდგომში ქართველოლოგთა ყურადღების ცენტრში მოექცა. სვანური ენის ვოკალიზმის ერთ-ერთი ძირითადი დამახასიათებელი მოვლენაა უშლაუტია. ა. შანიძემ დაწერა რამდენიმე აღწერა ეს მოვლენა და ახსნა მისი შექანიზმიც („უშლაუტის სვანური“; არილი, ტფ. 1925). ამ გამოკვლევაში, რომელიც საუბრეთა ქართველურ ენათმეცნიერებაში, პირველად არის განხილული უშლაუტის თანამედროვე ენათმეცნიერების ერთ-ერთი ძირითადი მეთოდოლოგიური მოთხოვნა — შედარებით უფრო მაშალი ენობრივი დონის — ფონოლოგიის — მონაცემთა გამოყენების აუცილებლობა იერარქიულად უფრო მაშალი დონის — მორფოლოგიის — საკითხთა კვლევის დროს. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ უშლაუტის სისტემის აღწერის შემდეგ ა. შანიძე გადადის მოვლენის დიქტიონულ ანალიზზე, რის შედეგადაც ირკვევა არა მარტო სვანურის, არამედ სხვა ქართველური ენების სტორიის მრავალი საკითხი.

ა. შანიძე პირველი მკვლევარია, რომელმაც გარკვევით მიუთითა ქართულში აბლაუტის არსებობის შესახებ ისეთ ფორმებში, როგორცაა: ბ ა გ ა ბ უ გ ი, ფ ა ე ა უ ე ც ი, რ ა მ ე რ უ მ ე, უ რ თ ი ე რ თ ა ს, კ უ რ - კ ე რ ი და სხვ. ა. შანიძე წერს: „ქართულში გვაქვს ფუძის ხმოვანთა მონაცვლეობა (აბლაუტი), მაგრამ იგი სუსტად არის გამოხატული. ყველაზე მეტად მნიშვნელოვანია ე და ი ხმოვანთა მონაცვლეობის სერიების მიხედვით შინებში (ვგრებ-ვგრისებ, რასაც გარკვეული გრამატიკული მნიშვნელობა აქვს მოპოვებული) თუმცა გარკვეულ ხმოვან მონაცვლეობაზე დამუარებული“ („ქართული ენის გრამატიკის საფუძვლები, I, თბ., 1981, გვ. 587).

აბლაუტი ქართულსა და ქართველურ ენებში საფუძვლიანად შეისწავლეს თ. გამყრელიძემ და გ. მაკუვარაძემ, რომელთაც ეს მოვლენა საერთოქართველური ფუძე-ენის ერთ-ერთი ძირითად სტრუქტურულ ნიშნად მიიჩნიეს. ა. შანიძემ პირველმა შეიქცია ყურადღება ე. წ. „ნომლიურ შესატყვისობებს“ ქართველურ ენათა სობილანტურ სპირანტებსა და აფრიკატებს შორის, კერძოდ, გამოიქვა მისაზრება საერთოქართველურში „ორი ს“-ს არსებობის შესახებ (იგულისხმება ისეთი შემთხვევები, როცა ქართულ /ს/ ფონემას სხვა ქართველურ ენებში შეესაბავისება, ერთი მხრივ, /შ/, მეორე მხრივ /ს/). ა. შანიძის ვარაუდმა მისცა გარკვეული იმპულსი თეორიას სობილანტურ სპირანტთა და აფრიკატთა ზამი რიგის არსებობის შესახებ საერთოქართველურ ფუძე-ენაში, რომელიც თანამედროვე ქართველისტიკის ერთ-ერთ მიღწევად უნდა ჩაითვალოს.

1980 წელს გამოსულ ქართული ენის პირველ მეცნიერულ გრამატიკას წინ უძღოდა ავტორის შრომები მორფოლოგიის ცალკეულ საკითხებზე: „სუბ. პრეფიქსი მეორე პირისა და ობ. პრეფიქსი შესამე პირისა ქართულ ზმნებში“ (1920), „ნასახელარი ზმნები ქართულში“ (1919), „ქართული ზმის საქვენი“ (1928) და

სხვ. ოცდაათი წლის დამახული შრომის შედეგად ა. შანიძემ 1958 წელს გამოცა ფუძემდებლური შრომა „ქართული გრამატიკის საფუძვლები“, რომლის გადაქარბებით შეფასება შეუძლებელია.

ა. შანიძემ შეძლო არა მარტო სწორად ამოცნო ქართული ენის რთული ბუნება, არამედ პრინციპული ხასიათის შესწორებანი შეიტანა საერთოდ ენათმეცნიერებაში მრავალჯგონის და მუსავებული ზოგადი საკითხების გაშუქებაშიც. დადასახულებთ რამდენიმე შავალით: 1. ქცევის კატეგორიის დადგენა ქართულში ა. შანიძეს საფუძველი მისცა ამ კატეგორიის არსებობის საკითხი დაესვა ინფორმირებულ ენეზელიც, კერძოდ, ევარუდენა, რომ ძველ ბერძნულში გვარის სახეობად მიჩნეული ერთობლი ფორმა (მედიუმში) სათავისო ქცევის გამოხატველი უნდა უფილიყო. ეს დაკვირვება ბერძნული ენის სპეციალისტებს (ს. უაბიჩივილი, ა. ურუშაძე და სხვებს) გასაჩიარებლად მიაჩნიათ. 2. აღრევე, ქართულის გარდა, ბევრ სხვა ენაში (არაბულ, სპარსულ, თურქულში) გამოყოფილი იყო შუალობითი კონტაქტი (ე. წ. გარდასვლითი, კაუზატივი), მაგრამ არ იყო გამოყოფილი საბოლოო კალი. ამიტომაც არ იყო წყატიკორიის (კონტაქტის) ცნება და კაუზატივი გვარის სახეობად მიიჩნეოდა. ა. შანიძემ კონტაქტის კატეგორიის დადგენით, ქერ ერთი, გვარისგან გამოქნა, გამოკალკვა მედიანი (შუალობითი) და იმედიანი (უშუალ) ფორმები და, მეორეც, უყუადგო ქართული და უცხო ენათა გრამატიკებში დაყვიდრებულთ ე. წ. ორმხვი ვარდასახულობის ცნება. 3. ა. შანიძემ მწკრივის კატეგორიის გამოყოფით ქართულში არა მარტო შეძლო შანიძე უცხოში კატეგორიების (ქერობის, აქტის, თანამდევრობის) დადგენა, არამედ დაწესებდა შეიტანა კარგად ცნობილ დროის და კალის ცნებებში, მყვიორად გამოქნა ისინი სხვა კატეგორიებისაგან. შანი დასახუთა, რომ გრამატიკული დრო ქართულში შეიძლება იოს მხოლოდ სამი და არა რვა (წ. შარი) ან თერთმეტი (ს. ხუნდაძე). ასევე, არც ევროპულ ენებშია გრამატიკული დრო სამხე შეტა, მაგრამ თუ შეტს გამოყოფენ, ეს იწატომ, რომ სხვა კატეგორიაშია აღრეული დროის ცნება. დიდი ენათმეცნიერის ვანდრიების დეზულებას, რომ ფრანგულს მოეპოვება გრამატიკული დროების მრავალფეროვანი, გამა და „მას შეუძლია გამოხატოს მომავალი წარსულში და წარსული მომავალში“, ა. შანიძე მდებარად თვლის და კატეგორიულად აცხადებს: „არ ქმნილა და არ შეიძლება იქმნეს, რომ წარსულში მომავალი გამოხატოს და მომავალში — წარსულში... დაყვიდით ერთმანეთს დრო და თანამდევრობა და შანიძე „მომავალი წარსულში“ ისევე წარსული იქნება (და არა მომავალი) და „წარსული მომავალ-

ში“ მაინც მომავალი გამოვა (და არა წარსული). მაშასადამე, დროისა და თანამდევრობის გამოქვნით გამოც დაიკარგება, და დასკვრება არა მარტო ფრანგულში, არამედ სხვა ენებშიც და აღარც საქიორ იქნება საუბარი დროთა მთავარ დაყოფასა და დაქვემდებარებულ დაყოფაზე, რომელსაც დანიელი ენათმეცნიერის ო. იესპერსენის ნაშრომში უხვდებიო.

ა. შანიძემ მყარი საფუძველი ჩაუყარა ქართულ დიალექტოლოგიას. შანი ბრწყინვალედ გააჩრქვეა ცხრასათიან წლებში წ. შარის მიერ დადგენილი და დაწესებული საქმე ქართულის ცოცხალი კლოების საფუძველიანი შესწავლისა. 1911 წელს პეტერბურგის უნივერსიტეტის მეცილინებთ ა. შანიძემ შეისწავლა ბევსურული და ფშურა, ხოლო 1913 წელს შესასწავლი რეგიონი გააჩრქადა, იგი გაიცნო შთიულურს, მიხევერს, თუმურს და ამავე წლებზე რუსეთის მეცილინებთა აკადემიის მოამბეში გამოქვეყნდა მუშაობის შედეგებზე წინასწარი ანგარიში, ხოლო 1915 წელს დაიბედა „ქართული კლოები მთაში“. ამავე წელს რუსეთის არქეოლოგიური საზოგადოების ორგანიში გამოქვეყნდა ა. შანიძის ვრცელი რეცენზია შ. ქანაშვილის „საინფილივი“. რეცენზიაში 400-მდე ინფილორი სიტყვის ქანაშრტება მოცემული, თითქმის ყველა ქართული კლოს მოხაცემება გათვალისწინებული ა. შანიძის ცნობილ მონოგრაფიაში „სუბიექტური პრეფიქსი მეორე პირისა და ობიექტური პრეფიქსი მესამე პირის ქართულ ზმებში“. მეტად მნიშვნელოვანი ისტორიული და დიალექტოლოგიის თვალსაჩინოთ მკვლევრის შრომა „ევ კლოს კვალი საქართველოს გეოგრაფიულ სახლებში“ (1941). გადაუქარბებლად შეიძლება ითქვას, რომ დიალექტურ ტექსტების შანიძის ნოტიო პუბლიკაცია სანი. მუშა და მუდამ სერიის მნიშვნელობას შეინარჩუნებს. ამ შხრივ უაღრესად ფასეულია შის შიერ გამოცემული ბესარიონ გაბურის „ბევსურული მასალები“ (1924), რომელსაც ამშვენებს ა. შანიძის გამოკლევა და დიქსიკონი. დიალექტოლოგიური შრომების ოქროს ფონდს მიეყოფნება ა. შანიძის წიგნი „ქართული ხალხური პოეზია, I, ბევსურული“ (1931), რომელიც ტექსტების ნაწერის სარუსტისა და მეციურული აპარატის სისრულით დღემდე მიულწველ დონედ რჩება. მაგრამ ა. შანიძე ხალხურ მეტყველებასა და მეტყველებას მხოლოდ ენათმეცნიერის თვლით არ უყურებს. დიალექტოლოგიურ-ფოლორულ ტექსტებში ა. შანიძე კარგად ხედავს ხალხის პოეტური გენიის გამოკლინებას და ამ შხრივ შის დაკვირვებებში უღრუდება არა მარტო ფილოლოგიური ინტერესების შეუზღუდაობა, არამედ თვით მკვლევრის სულიერა სამუაროს სისხსვე და პოეტურობა. შანი გაბურის ტექსტისა და ბევსურული მასლის გამოცემით



ბერძენი აქტუალური საკითხი დასვა და გადაჭრა კიდევ, როგორცაა: ხალხური ნაწარმოების დეფინიცია, ინდივიდუალური და კოლექტიური საწყისობა ხალხურ შემოქმედებაში, ტექსტების ვარიაცია, ტრადიცია და ნოვატორობა, პოეტურ თანხა ვენეტური კავშირის, მტარაიის საკითხები ხალხურ პოეზიაში, პროსოდიული ხმოვნების გენეზისი და ფუნქცია. ლიტერატურისა და ზეპირსიტყვიერების ურთიერთობა („შა.ნაშვს“ ერთი ეპიკური ქართული ფორმის, 1985), ზოგადი ტერმინის კავშირი პოეტური შემოქმედების რაობასთან (შაქვაშვილი, შიქველი მუხარამ/შაქველი, შაქველასარი, შიქველი, შიქველი) და სხვ.

ა. შანიძემ, როგორც აღნიშნეთ, 1911-1918 წლებში მოაოვებული დიდიტორი მასალა-ბიდან გამოცხადდა „ხევისსული პოეზია“ (1981 წ.) დაწარგნი მასალა (ტექსტები და შიის კალთა ლექსიკონი) მხოლოდ 70 წლის შემდეგ (1984 წ.) დაბეჭდა თავის თხუთმეტობა თორმეტობის I ტომად. ეს შრომა ფასდაუდებელია იმით, რომ მასში შევიდა როგორც ადრე ჩაწერილი ფშავური, ხევისსული, გუდამაყური, მთიულური, შიქველური და თუშური ტექსტები, ასევე ვრცელი ლექსიკონი, რომელშიც ყოველ განსამარტავ ერთეულს ახლავს მითითება ამაზე, თუ რომელ კოლოში, რა ფორმითა და მნიშვნელობით არის ის ნაბარტი. შედარებითი ლექსიკონის შესადგენად საჭირო ზუსტი ცნობებით ასე დატვირთული სხვა დიდიტორი ლექსიკონი ქართულმა ლექსიკოგრაფიამ არც იცის.

ა. შანიძემ საფუძვლიანი კვლევის მიხედვით აქცია სვანური ენა და ზეპირსიტყვიერება, მან, ვ. თოფურიასთან ერთად, შეკრიბა და სანაშრომად გამოცხადდა 1989 წ. „სვანური პროზაული ტექსტები“, რომელშიც შევიდა 198 ნიმუში. ასევე წილებს, ვ. თოფურიასა და მ. გუჭეიანის თანავტორობით, გამოცხადდა „სვანური პოეზია“, სადაც შევიდა სვანური პოეტური შემოქმედების 150 ნიმუში ქართული თარგმანითურთ.

1978 წელს ა. შანიძისა და მ. ქაღანიის რედაქციით გამოცხადდა „სვანური ქრესტომათია“, მასში შეტანილია თითოეუ კოლოს ტექსტები და წარმოადგენს დამხმარე სახელმძღვანელოს უნივერსიტეტის ფილოლოგიის ფაკულტეტის ენის ჰიეტალოგიის სტუდენტობათვის.

ა. შანიძეს ჩაწერილი აქვს მეგრული ტექსტები, რომელთაგან შიქველი ნაწილია გამოკვეთილებული (იქვენი ქაღავიანი: ლიტ. ძიებანი, XI, 1954). იგი შეუნელებელი ინტერესით იკვლევს სვანური და მეგრულ-სვანური ენების სტრუქტურის საკითხებს. რად ღირს მარტო კლასიკური შრომა „უმლაური სვანური“. ნაშრომში თითქოს ერთ ფონეტიკურ მოვლენას — ხმოვანთა ასიმოლიაციას ეხება, მაგრამ სინამდვილეში კი არის პირველი წარმატებული

კვდა სვანურის რთულ მორფოლოგიურ სტრუქტურაში გაბედული შედეგისა. ქართულთან შედარებით სვანური და მეგრულ-სვანური ენების განვითარების ისტორიის გარკვევა რთულია, ვითარცა უმწერლო ენებისა. ამტომაც განსაკუთრებული ფასი აქვს ისეთ შრომებს, როგორცაა: „ბერძენული სიტყვა აქუზატივის ფორმით სვანურში“ (1925), „ზ. ბგერის წარმოშობის წყაროები ქართველურ ენებში“ (1960), „ნა პრეფიქსის მნიშვნელობისათვის სამეგრელოს გეოგრაფიულ სახელებში“ (1972), სვანური ელტის ტერმინი („ქ. გ. გ. ა. გ.“ (1978), „ეტიმოლოგიური შენიშვნები: „ქ. ა. კ. ნ. ი. ა. კ. რ.“ (1958), „თეოფორული სახელები ქართველურ ენებში (1967) და სხვ.

ა. შანიძე ძველი ქართული ენის გრამატიკული სტრუქტურისა და ენის ისტორიის სწორი უმჯობესი მკვლევარია. იგი ავტორია ისეთი დიდი მნიშვნელობის აღმოჩენებისა, რომელთაგან ერთიც კი უკვდავყოფდა მის სახელს. მახვილგონიერული ახსნა მოუძებნა ა. შანიძემ მე-11 საუკუნის შწერლის — გიორგი მთაწმიდლის მიერ ნახმარე ხანძერ ტერმინს, რომელიც ყველა მკვლევრისათვის ამოუხსნელ გამოცხადდა რჩებოდა და რომლის შანიძისებულ ახსნას კ. კვეციანიმ კუმშარტიად „სენსაციური ინტერპრეტაცია“ უწოდა. ან რად ღირდა 1923 წ. შიქველი პალიმფესტის აღმოჩენა, ამოკითხვა და ანალიზი. ასევე ნამდვილი აღმოჩენა იყო რუსთველოლოგიაში ის, რომ ა. შანიძემ უმკვეცილი საბუთიანობით ერთბაშად გადამწვება მკვლევართა შორის დიდი ხნის საკვლამბელი ერთი კარდინალური საკითხი — „ეტიმოლოგიის“ 1712 წლის ვახტანგისებული გამოცხადდა ხელნაწერისებული ტრადიციის უცვლელი გამოცხადდა იყო თუ რედაქტორის ჩარევით შეუზღვებული ტექსტი ვახტანგისებული ტექსტის აღდგენისას ა. შანიძის მახვილთვალს არ გამოშარგია, რომ ტექსტზე დარბოულ ვახტანგის „თარგმანება“ — კონსერტიბში ისეთი სტროფები იყო, რომლებიც თვით გამოცემულ ტექსტში არ მოაოვებოდა.

ა. შანიძის მიერ მიკვლეული, ამოკითხული და განაწილებული ხანძერი ტექსტების კორექტის ნაწილები, როგორცაა: ხანძერი შარვალთავი (1927), ხანძერი ლექციონარი (1928), ხანძერი იერემიას კუმშარტიული ნაწვევები (1988), შეიძლება ითქვას, მყარ საფუძვრებს წარმოადგენენ ამ კიბისას, რომელსაც საწვერლო ქართულის სათავესთან მიყვარბო. ენის ისტორიის კონსერტიული საკითხებია გადაწვეტილი ა. შანიძის ბრწინავლ ეტიმოლოგიურ შტულებებსა და ისეთ გამოკვლევებში, როგორცაა: „ავტო სუფიქსიანი ქაღის სახელები ძველ ქართულში“ (1988), „თეოფორული სახელები ქართველურ ენებში“ (1967), „ხედათა ცვალება ენის ისტორიული განვითარე-

ბის პროცესში და ორთოგრაფია“ (1972) და სხვ.

მწვეველ ფარსობობა ბოლო წლებში ძველ ქართულ ენის გრამატიკის უქონლობა. ორტყა დაკვირვებულ მკითხველს შეეძლო, ძველი ქართული ენის გრამატიკული სტრუქტურის არსებით მხარეებზე საკირო ცნობები მიეღო ა. შანიძის მოკლე მიმოხილვიდან „ძველი ქართული ენა“, რომელიც ერთვოდა VIII კლასის სახელმწიფანდლოს — „ძველი ქართული ენა და ლიტერატურა“ (1984-წწ წწ.), ანდა „ქართული გრამატიკის საფუძვლებიდან“, რომელშიც შევადგინე მიმოხილვილია ძვირფასი ცნობები ძველი ქართული ენის მონაცემებზე, მაგრამ ეს ვარაუდით მოთხოვნილებს ვერ აკმაყოფილებდა. და აი, 1976 წელს ა. შანიძემ გამოცა „ძველი ქართული ენის გრამატიკა“, რომელიც თითქოს მოკლე კურსია, მაგრამ ლაკონურადაა მოცემული ძველი ქართული ენის ფონეტიკის, მორფოლოგიისა და სინტაქსის ძირითადი საკითხების თეორიული გადმწვევა, ან, როგორც ავტორი ამბობს, ძველი ქართულიდან „რაც მთავარია და არსებითი, ამის შესახებ მკითხველი იპოვის შეგ სათანადო პასუხს“.

ეს წიგნი მაინც ფერხობის თარგმანით გერმანულ ენაზეც დაიბეჭდა 1976 წელს, ხოლო 1983 წელს სომხურ ენაზეც გამოცა ერთვან. ში ბ. მარგარიანისა და ბ. ნობანიანის თარგმანით. ამ შრომის II ნაწილი — „ძველი ქართული ენის ქრესტომათია“ ვადიკემულია და საბეჭდოდ, ხოლო III ნაწილი — „ქრესტომათიულ-ვარსაწილად ლექსიკონი“ მალე გადაეცემა გამოცემლობას.

ენის ისტორია ორგანულადაა დაკავშირებული ერთის ისტორიასთან. ამ თვალსაზრისით ა. შანიძის მიერ ამოკოხულ, შეწყვილად და გამოკვეთვებულ ენოგრაფიულ ძეგლებს თანაბრად დიდი ღირებულება აქვთ ენისა და ერთის ისტორიისათვის. მრავალი ძნელად წახსოვნი წარწერების ამოკოხვითა და ინტერპრეტაციით მან ქართულ ისტორიოგრაფიასაც სანტრატესო მასალები შექმნა. ასევე საურობადღეობა ა. შანიძის დაკვირვებანი ფეოდალური ხანის საისტორიო ძეგლების შერყვნილი თუ გუფეხარი ადგილების გასახეზებად.

ა. შანიძემ ახალ საფეხურზე აიყვანა ქართული ტექსტოლოგია. პეტერბურგში ნ. შარის მიერ დაარსებულ გამოცემოთა სტრეზბა ქართული ტექსტოლოგია მკვიდრ მეცნიერულ ნიდეგზე დაუყენა. ა. შანიძემ ბრწყინვალედ გაავრცელა მასწავლებლის საქმე თბილისში. როგორც ავნიშნეთ, ა. შანიძის მიერ გამოკვეთვებულმა ხანგრძობა და მკემტმა ტექსტებმა ახალი შესაძლებლობანი და პერსპექტივები გადაშალეს ქართული ენის ისტორიის კვლევის სფეროში. მკვლევარი კარგად ვარსობდა, რომ ქართული ენის ძვირფასი წერილობითი საუნ-

ბის გამოსაშერებულად საკირო იყო გვერანი, სისტემური და მიზანწარფული მუშაობა. ამ მიზნით მან აკადემიასა და უნივერსიტეტში დააარსა გამოცემა სერაებმა „მეცნიერქართული ენის ძეგლები“ (1944); „ძველი ქართული ენის კათედრის შრომები“ (1955) და ზუსტად განაზღვრა ამ სერაითა მიზნები და ამოცანები. მისი სიტყვებით, „მეცნიერულ-კრიტიკულად გამოცემული ძველი ტექსტები მკვიდრი საფუძვლია ისტორიულ-ფილოლოგიური მეცნიერების; სხვადასხვა ბნელი მოცული საკითხი ერთის ისტორიიდან, მისი ენისა და ლიტერატურის ისტორიიდან, ეკონომიკის ისტორიიდან და სხვა დარგადან მხოლოდ მისწოდებლა გაიკრეს, თუ სათანადო წერილობითი ძეგლები კრიტიკულად არის დაუშვებელი და გამოცემული“. თავიდანვე დაიგემა, რომ გამოცემოთა სერაებში დაბეჭდილყო როგორც მეცნიერულად დაგენილი ტექსტები, ასევე სიმფონიები, ლექსიკონები და სპეციალური განკვეთვები ლინგვისტურ-ფილოლოგური ხასიათისა. „ძველი ქართული ენის ძეგლების“ სერით დღემდე ა. შანიძემ გამოცემა 18 ტომი, რომელთაგან ხუთი უშუალოდ მანვე განაბრციელა, ხოლო დანარჩენი — მისივე რედაქციით მისმა მოწოდებებმა. „ძველი ქართული ენის კათედრის შრომების“ სერით კი გამოცემა 25 ტომი, რომელთაგან 5 უშუალოდ მან ეყუთუნის, ხოლო სხვა ტომების მონაწილე ან რედაქტორია. კოლმალური შრომა აქვს ვაწეული ა. შანიძეს ამ ტომების გამოცემაზე. უფელა ტომის მასალის არა თუ შეფახება, დასახელებაც კი შეუძლებელია ერთ წერილში. მაგრამ აღწინააყო რამდენიმეს მაინც, რომელთაც განსაუბრებული როლი შეასრულეს ქართული ენისა და ლიტერატურის შესწავლის საქმეში და ქართული ტექსტოლოგიის ქაუთობლდ წარმოადგენენ: „ქართული ოთხთავის ორი ძველი რედაქცია სამი შატბერდული ხელნაწერის მიხედვით“ (897, 898 და 878 წწ), „წიგნი ძუელისა აღიქმისანი (978 წ. ხელნაწერის მიხედვით)“, ტ. I, ნაყ. I, (1947), ნაყ. II (1948), „ვეფხისტყაოსნის სიმფონია“ (1950), „სინური მრავალთავი 864 წლისა“ (1959), „ქართველთა მონასტერი ბულგარეთში და მისი ტიპიკონი“ (1971), „ეტლთა და შუბდა მნათობათს“ (1975) და სხვ.

ა. შანიძის დაუღალავი მეცადინეობით, შეუპოვრობოთა და თვადებობით შესაძლებელი გახდა, რომ გამოცემულიყო მთელი ახალი აღიქმის უმთავრესი ძველი ქართული რედაქციები: საქმე მოცეულითა (გამოსცა ი. აბულაძემ 1930 წ.), კათოლიკე ეპისტოლენი (გამოსცა კ. ლორთქიფანიძემ 1956), იოანეს გამოცემა (გამოსცა ი. იმნაიშვილმა 1961 წ.), პავლეს ეპისტოლენი (გამოსცეს კ. ძონწინიძემ და კ. დანელიამ 1974 წ.). ძველი აღიქმიდან გამოცემა: ფხაღმუნის ძველი ქართული რედაქ-

ციები (გამოსცა შ. შანიძემ 1960 წ.). უდიდესი მნიშვნელობა ჰქონდა ა. შანიძის ხელმძღვანელობით ა. იშინაშვილის მიერ შედგენილ უზარმაზარ შრომას „ქართული ობიექტის ხაზონია. ლექსიკონი“ (1918-19), რომელიც ქართულ ლექსიკოგრაფიაში ახალ ეტაპს ქმნის. ცოტა ადრე, 1914 წელს, ხანძიტი ლექსიკონარის ფოტოგრაფი გაპოცებში ა. შანიძემ შექმნა სიმფონიის შედგენის პრინციპები: 1916 წელს მან გამოსცა ივ. ჯავახიშვილის მიერ გამოცემული გიორგი მთაწმიდლის თხზულება „იხორება იოვანესი და ეთელმეხი“, რომელსაც დაურთო ვრცელი ლექსიკონი, სადაც პირველად არის გატარებული მის მიერვე შექმნილი გრამატიკული ინდექსების სისტემა. არ შეიძლება ბენდიერ გამოკვლასთან არ ჩაუვადლოთ ის ვასაოცარი ფაქტი, რომ 90 წელს მთავრობებმა მეცნიერმა შეძლო ქართული ენისა და კულტურის ისტორიისათვის უდიდესი მნიშვნელობის ორი ძეგლის ხანძიშვილს პუბლიკაცია. „ქართულია მონასტერი ბულგარეთში და მისი ტიპიკონი. ტიპიკონის ქართული რედაქცია“ (1971) ისტორიულ-ფილოლოგიური და ლინგვისტური ხასიათის ვრცელი მონოგრაფიაა, რომელიც ახალ ფურცელს უდის ქართულ-ბაზანტიური ურთიერთობის შესწავლის საქმეში. ამ შრომამ ღირსებულად დაამსახურა ივ. ჯავახიშვილის სახელობის პრემია. მეორეა „ეტლთა და შუათა მნათობათს. ასტროლოგიური თხზულება XII საუკუნისა“ (1975). ეს არის 1158 წლის ერთადერთ ხელნაწილში დაცული საერო ხასიათის უნიკალური ძეგლი თამარის ეპოქისა, რომელიც დღე მნიშვნელობა აქვს ქართული ენის ისტორიისათვის, განსაკუთრებით ლექსიკონათვის. ამიტომაც არის, რომ ენობრივ მიმოხილვასთან ერთად, ამ შესანიშნავ ტექსტს ახლავს სრული ლექსიკონი, საიდანაც ყარგად ჩანს არახულ-სპარსული ლექსიკონის სიჭარბე.

ლიტერატურისა და ენის ისტორიის შესწავლა ლექსიკოლოგიის დაუმარებლად წარმოუდგენელია, ამიტომაც ა. შანიძემ საგანგებო ყურადღება დაუთმო როგორც ლექსიკოლოგია-ფილისოზოგია საკითხების კვლევას, ისე საერთო ქართული ლექსიკონის შესწავლას. ამ მხრივ შეტად ფასეულია ვიქსი თხზულებებზე, ბ. გაბუღიას ბევსურულ მასალასა და გიორგი მთაწმიდლისა და შოთა რუსთაველის თხზულებებზე დართული ლექსიკონები. მან წარმატებით დაასრულა ი. კოჭიშვილის მიერ დაწყებული საქმე და 1928 წელს მეცნიერულად გამოსცა ს.ს. ორბელიანის ფასდაუდებელი „ქართული ლექსიკონი“. უდაღესი სამსახური გაუწია რუსთაველოლოგიური საკითხების კვლევას ა. შანიძის მიერ 1956 წელს გამოცემულმა „ვეფხისტყაოსნის“ სიმფონიამ, რომელსაც კ. კეკელიძემ კაპიტალური შრომა უწოდა. ლექსიკოლოგიისა და ენის ისტორიის სა-

კითხვების კვლევამ ა. შანიძე ბევრი სატყვის მეცნიერული ეტაპოლოგიის მიღწევაზე მოყვანა. საინტერესოა მისი მშველგონიერული დავირებები იხეთ ლექსიკონ ურთულზეზე, როგორცაა ოჩხი (1960), პატროცავი (1969), არჩილის „სიტნა“ (1970), ოქროფორტლითა (1970), ტაშტ-პარავი (1971), მამასახლისი (1971) და სხვ.; ახნა ისეთი სიტყვებისა, როგორცაა ერთაწმინდა, წელიწადი, ნაჭირმაგარი, არტანუჯი, ბანა, ყარსი, ტოპადა, კეყელა-კაქლუცი, ავლა-დიღება, ოზორჯა, ჭაქონია, დარა, თითი, ჩავჯრა, ჯყო და სხვა, ცხადვლ ავღენს არა მარტო მეცნიერის უტყუარ ლინგვისტურ აღზღის, არამედ მის ფართო დიპლომის ქართული და მეზობელი მალბების კულტურისა და ისტორიის ღრმა ცოდნისა.

ა. შანიძემ ტიტანური შრომა გასწია „ვეფხისტყაოსნის“ ტექსტისა და ენის შესწავლასათვის. მარტო რად ღირს 1937 წელს განზორცილებული ვახტანგისული გამოცემის აღდგენა-გამოკრება. რა დღე შრომა გაწეული და როგორც სიფრთხილითა აღდგენილი პირველი ბეჭდური ტექსტის ქვემარტი სახე. თუ რა ბრწყინვალე შედეგების მიღება შეუძლია მკვლევარს ფილოლოგიური და ლინგვისტური ცოდნის შეზამებით, ეს ყარგად ჩანს შრომაში „ვეფხისტყაოსნის“ ენის საკითხები (1968), რომლით აღფრთოვანებული კ. გამსახურდია გამოცემას ვერ ფარავს და ამბობს: „როგორც სკრუპულოზობითაა შესრულებული ეს ტომი“

ა. შანიძემ (ა. ბარამიძისთან ერთად) 1966 წელს პირველმა განაზორციელა „ვეფხისტყაოსნის“ კრიტიკული გამოცემა ტექსტურალური ვარიანტების ჩვენება (ხელნაწერთა და სხვა მნიშვნელოვან გამოცემათა სხვაობების გათვალისწინებით), რითაც რუსთაველოლოგებს, შეიძლება ითქვას, ოქროს მასალა მიაწოდა.

ა. შანიძეს ათობით შრომა აქვს მიძღვნილი „ვეფხისტყაოსნის“ ტექსტის მეცნიერულად აღდგენის, განმარტებისა და ენის საკითხებისადმი. გადამწერთა მიერ პოემის ტექსტში დაშვებულ შეცდომებს ა. შანიძე უპირველესად ლინგვისტის თვლით ამჩნევს. შეიძლება სადავო იყოს პოემის ტექსტის გამოკვლას განსაკუთრებული პრინციპის პრამატობა, მაგრამ ისიც ცხადია, რომ ვასწორებთა საექვობის დროსაც კი მწელია შანიძისეული საბუთიანობის უარყოფა. ასევე ვატყობთ აკვლევს ა. შანიძე „ვეფხისტყაოსნის“ ლექსიკონის საკითხებს. მის ისეთ წერილებში, როგორცაა: „ბელის ზღა და ბელის ყრა“, „ასულთა და ჩემო ძეო“, „ამარი“, „ესეგვარი“, „ერთი ქსოვილის სახელი ვეფხისტყაოსანში“, „პარტაში თუ კაპარტი“, „ქმუნვა და ჩმუნვა ვეფხისტყაოსანში“ და სხვა, გარკვეულია არა მარტო პოემის ლექსიკონის ისტორიის საკითხი, არამედ საერთოდ ქართული სალიტერატურო ენის ისტორიის საკითხები. დიდად ფასეულია ა. შანიძის მიერ შედგენილი „ვეფხისტყაოს-

ნის" საქმოდ სრული ლექსიკონი. რა თქმა უნდა, ა. შანიძე საგანგებოდ იყვლევს პოემის ენის საკითხებს ისეთ შრომებში, როგორცაა "რუსთაველი თუ რუსთაველი?", "შინისწინის გამეორება ვეფხისტყაოსანში", "ივ ნაცვალაბელი პოემაში", "არა მგაზა", "ქმინობითი სახელები ვეფხისტყაოსანში", "სამეფარი შრახველობა" და სხვ.

ა. შანიძე მაღალი მოქალაქეობრივი პასუხისმგებლობის მორღველი ენერგიული პოეტაა ერთგულად შეცნობილია და კულტურის ფორმირებელს. ეს კარგად ჩანს დედაენის პრაქტიკული საკითხებზე მოგვარებისთვის მის შეუწყობელ ყურადღებაში. დედაენის სიწმინდის დაცვას უზრუნველ დარაჯად უღვას მშვიდვანი მეცნიერი დღესაც, რადგან ღრმად სჭერა, რომ ენის სიწმინდისათვის ბძროლა დიდი ეროვნული საქმეა. მისი ყოველი რეკომენდაცია ენაში არსებული საცდლობელი ფორმებიდან ერთ-ერთის მხარდასაჭერად ზუღამ იმეორება მოვლენის ისტორიის შესწავლას, ფორმის განვითარების გზა ძველს, საშუალოს და ახალ ქართულში, ცოცხალ კილხით მონაცემები, ენის ბუნებრივი განვითარების ტენდენციის დანახვა — აი, რა ფაქტორებია გათვალისწინებული რომელიმე ფორმის დუანონებისას. ა. შანიძე იყო თავმჯდომარე იმ ხარგანისაციო კომისიისა, რომელსაც 1920 წელს დაევალი ქართული ორთოგრაფიის რეფორმის პროექტის მოწმადება და მისივე თანაჯტორობით კიდევაც გამოვიდა 1921 წ. („სალიტერატურო ქართულისათვის. პროექტი ქართული ორთოგრაფიის სადგო საქითებების მოსაწერისგებლად"). ის კარგაბანს იყო „თანამედროვე ქართული სალიტერატურო ენის ნორმათა დამდგენი ზუღმივი სახელმწიფო კომისიის" თავმჯდომარე. მისივე თანხმობით 1950 წ. დაარსდა სერია „სალიტერატურო ქართულის ნორმათა საკითხები".

ა. შანიძეს რამდენიმე ათეული წერილი აქვს დაბეჭდილი ქართული სალიტერატურო ენის პრაქტიკულ საკითხებზე, რომელთა დიდი ნაწილი ცალკე წიგნის სახითაც გამოცდა (სალიტერატურო ქართულის საკრებოროტო საკითხები", თბ., 1979, 238 გვ.).

ა. შანიძეს ყურადღების გარეშე არ დარჩენია ჩვენი მეზობელი ხალხების — სომხებისა და აზერბაიჯანელების — ენისა და კულტურის საკითხებიც. მეცნიერული ობიექტურობის ნიშნულია მისი ვრცელი რეცენზიები ღარიბაიანისა და აკარაიანის შრომებზე, რომლებიც სომხეთის მეცნ. აკად. ორგანოებში დაიბეჭდა. ვანსაყუთრებით ფასეულია ა. შანიძის შრომები ალბანელთა ენისა და კულტურის შესახებ. ის სა-

მართლიანად ითვლება ახალგაზრდა სამეცნიერო დისციპლინის — ალბანოლოგიის ფუძის დამდებად. დღევანდელი აზერბაიჯანის ტერიტორიაზე ისტორიულად (V-XIII) ცხოვრობდა ხალხი, რომელსაც ქართველები მერებს ეძახდნენ, ხოლო სომხები ალანებს. ილ. აბულაძემ XV ს. ერთ-ერთ სომხურ ხელნაწერში მიუკვლია სხვადასხვა ენის ანბანთა ერთგვარ კრებულებს, რომელშიც, ა. შანიძის გამოკვლევის თანახმად, ალბანური უნდა ყოფილიყო.

1948 წ. მინგნაურში წარმოებული გათხრების შედეგად მოპოებული უცნოწარწერიანი ქვებისა და შედგვე თიხის კურტლებზე შეძენილი წარწერების შესწავლამ ა. შანიძეს შეაძლია, მახლობლი წარმოდგენა შეემუშავებინა ალბანური ენის ფონეტიკურ სისტემაზე, რამდენადმე გაერკვია გრამატურული სტრუქტურის ზოგი საკითხი და მიეჩნია ის კავკასიური ტიპის ენად.

ასეთი ძალზე ზოგადად ა. შანიძის უზარმაზარი დამახურება ჩვენი მეცნიერებისა და კულტურის წინაშე.

ა. შანიძის საზოგადოებრივ და მეცნიერულ ღვაწლს მოპოვებული აქვს არა მარტო სამამულო და საჯავშორო, არამედ მსოფლიო აღიარება. ჭერ კიდევ 1968 წელს ბელგაელი ლუვიენის უნივერსიტეტის პროფესორი ფერარ გაართი წერდა, რომ ა. შანიძის მოღვაწეობა არ იფარგლება მარტო ქართული ლინგვისტიკითა და ძველი ქართული ფილოლოგიით, „მისი მეცნიერული საქმიანობა უფრო შორს მიდის და სამართლიანად იმსახურებს მსოფლიო მნიშვნელობის მეცნიერის სახელს. 1985 წლის მათს ლეიგონს არა სლუარი ენების მეოთხე საერთაშორისო კონგრესზე მოეწყო საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია, კავკასიის კულტურათა და ენების შესახებ, რომელიც მიეძღვნა ა. შანიძის დაბადების 98-ე წლისთავს. ამასთან დაკავშირებით ა. შანიძემ მიიღო მილოციის ფურცელი, რომელშიც იყობის: კონფერენცია კავკასიის კულტურათა და კავკასიური ენების შესახებ საბჭოთა კავშირის არა სლუარი ენების მეოთხე საერთაშორისო კონგრესზე მოგვეძღვნათ თქვენ, როგორც ცდა, პატივი მოგვართ და მაღლობა მოგახსენოთ თქვენი მრავალრიცხოვანი და განთქმული ნაშრომებისათვის ქართულსა და ქართველურ ენათმეცნიერებასა და ფილოლოგიაში „მიიღეთ ჩვენი გულითადი მაღლობა თქვენი ზუღმივი წვლილისათვის მსოფლიოს მეცნიერებაში".

ცხადია: აკაკი შანიძის მეცნიერული ღვაწლის ასეთი აღიარება ქართველოლოგიის ზოგადსაკუბრობო მნიშვნელობის აღიარებაა და სწორედ ეს წარმოაჩენს მას, როგორც აღმატებულად დიდ ეროვნულ მეცნიერს.



## ნოდარ კანდელაკი, გურამ ცერცვაძე

უძველესი ქართული ლიტერატურის ძეგლი „ქება და დიდება ქართლისა ენისა“ ბოლო დროს ინტენსიური და მრავალმხრივი კვლევის საგანი გახდა. ამ თხზულებით დაინტერესდნენ სხვადასხვა დარგის მეცნიერებიც, რაც მნიშვნელოვან და საუერადღებო მოვლენად უნდა ჩაითვალოს. ამჯერად ვაქვეყნებთ წერილს, რომლის ავტორები არიან: საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ნ. მუსხელიშვილის სახელობის ინსტიტუტის ფუნქციონალურ განტოლებათა განყოფილების ხელმძღვანელი, ფიზიკა-მათემატიკურ მეცნიერებათა კანდიდატი, დოცენტი ნ. კანდელაკი და თბილისის უნივერსიტეტის კიბერნეტიკის პრობლემური ლაბორატორიის განყოფილების უფროსი, ფიზიკა-მათემატიკურ მეცნიერებათა კანდიდატი, დოცენტი გ. ცერცვაძე.

### კალენდარულ-ქრონოლოგიური მაჩვენებელი „94 წელი“ და ქართული წელთაღრიცხვა

ამ ბოლო დროს ქართულ სამეცნიერო ლიტერატურაში დიდი ადგილი ეთმობა ცნობილი თხზულების „ქება და დიდება ქართული ენისა“-ის ყოველმხრივ შესწავლას. განსაკუთრებულ ყურადღებას იქცევს ამ ნაწარმოების შემდეგი ფრაგმენტი: „და ესე ენაი შემკული და კურთხეული სახელითა უფლისაითა, მდაბალი და დაწუნებული მოელის დღესა მას მეორედ მოსვლასა უფლისასა და სასწაულად ესე აქუს ოთხმეოც და ოთხმეტი წელი უმეტეს სხუათა ენათა ქრისტეს მოსვლითგან ვიდრე დღესამომდე“.

როგორც ვხედავთ, 94-ზე განსაკუთრებული მახვილია დასმული და ამასთან დაკავშირებით სამეცნიერო ლიტერატურაში აღნიშნული მაჩვენებლის მიმართ მრავალი სხვადასხვა მოსაზრება არის გამოთქმული. ამ მიმართულებით მნიშვნელოვანია „მნათობი“-ს ფურცლებზე ბოლო წლებში გამოქვეყნებული ა. ბაქრაძის, რ. პატარაძისა და გ. ნარსიძის წერილები, რომლებშიც აღნიშნული მაჩვენებლის მიმართ კალენდარულ-ქრონოლოგიური შესწავლის მნიშვნელობაზეა ყურადღება გამახვილებული. სრულიად ნათელია, რომ ამ მიმართულებით კვლევა გვერდს ვერ აუვლის კალენდარულ ციკლებს იმის გამო, რომ ქართული წელთაღრიცხვა თავისი არსით ციკლური პროცესია.

ამ წერილში სწორედ ასეთი მიდგომა არის გატარებული და დადგენილია მთავარი მაჩვენებლის კალენდარულ-ქრონოლოგიური არსი: მაჩვენებელი „94 წელი“ უშუალოდ დაკავშირებულია და განსაზღვრავს ქრონიკონის მე-11 მოკეტევის 284 წელს.

მაჩვენებელ „94 წელთან“ დაკავშირებული დაშიფრული ინფორმაციის გახსნის პროცედურა აღწერილია §7-ში, რომელიც მოითხოვს კალენდარულ ციკლების საფუძვლიან ცოდნას. ამასთან დაკავშირებით, მოხერხებულობის მიზნით, წერილის §1-ში-6-ში მოცემულია კალენდარული ციკლების და მასთან დაკავშირებული საკითხების მოკლე მიმოხილვა. აღნიშნული საკითხების ირგვლივ სრული ინფორმაცია მკითხველს შეუძლია მოიძიოს კარგად ცნობილ მონოგრაფიებში [1], [2], [3].

**§1. იულიუსის კალენდარი**

როგორც ცნობილია, იულიუსის კალენდარისათვის  $365 \frac{1}{4}$  დღელამე = 1 წელიწადს. ეს დამოკიდებულება პრაქტიკულად ხორციელდება უმარტივესი 4 წლიანი კალენდარული ციკლით: სამი უნაკო 365 დღელამიანი და ერთი ნაკიხა 366 დღელამიანი წლებით, სულ 4 წელიწადში  $3 \cdot 365 + 366 = 1461$  დღელამე.

32 წელს ნიკეაში ჩატარდა პირველი საეკლესიო მსოფლიო კრება. კრებამ ქრისტიანული სამყაროსათვის სავალდებულო გახადა იულიუსის კალენდარი. ამ კალენდარს, გარდა იმისა, რომ იგი სამოქალაქო თვალსაზრისით მტკად მოხერხებულია, სხვა კალენდრებთან შედარებით ის უპირატესობა გააჩნია. რომ მისი სიზუსტის შემოწმება ყოველ 4 წელიწადში შეიძლება. მაგალითად, გაზაფხულის დღელამსწორობის დროს. ნიკეის კრებამ მისთვის 21 მარტი აღო. მართლაც, დღელამსწორობათა ცხრილების მიხედვით, ნიკეის კრების პერიოდისათვის დღელამსწორობა 21 მარტს ხდება (იხ. [1] გვ. 108).

დღეს ჩვენთვის ცნობილია, რომ ზუსტი კალენდარი არ არსებობს. ცდომილება გააჩნია იულიუსის კალენდარსაც, ამიტომ 21 მარტის დღელამსწორობა, ზეალურ დღელამსწორობასთან შედარებით, დროთა ვითარებაში განიცდის ძვრას. ნიკეის კრების დროს ეკლესიის მსახურთ იულიუსის კალენდარი ზუსტი, და აქედან გამომდინარე, 21 მარტის დღელამსწორობა უცვლელი ეგონათ. მართლმადიდებელურმა ეკლესიამ ეს მონაცემი შემდეგშიც უცვლელად გადაიტანა. ეს არის სწორედ ე. წ. „ძველი სტილი“. ქვემოთ განიხილება მხოლოდ ძველი სტილი. შესწორებები, რომლებიც ახალ სტილზე გადასვლამ გამოიწვია, ჩვენთვის ინტერესს არ წარმოადგენს.

**§2. მთვარის მოქცევა.**

ძველთაგანვე ცნობილი იყო, რომ ხანგრძლივობა ორ მომდევნო სრულმთვარობას (ამ ახალმთვარეობას) შორის, საშუალოდ  $29 \frac{1}{2}$  დღელამეს შეადგენს. 12 ასეთი „მთვარის თვე“, ანუ  $12 \cdot 29 \frac{1}{2} = 354$  დღელამე, საშუალოდ 11 დღელამით ჩამორჩება მზის წელიწადს. ძველთაგანვე ასევე ცნობილი იყო, რომ მოცემული თვის, მოცემული რიცხვის სრულმთვარეობა გამოვრდება ყოველ 19 წელიწადში ერთხელ.

ამრიგად, თუ მოხერხებულობის მიზნით „მთვარის თვეს“ 30 დღელამიანად ჩავთვლით, სრულმთვარეობათა გამოსათვლელად ჩვენ შეგვიძლია შემდეგნაირად ვიმოქმედოთ: მომავალი წლის სრულმთვარეობის გასაგებად, მიმდინარე წლის მონაცემს უნდა გამოვაკლოთ 11 (ანდა მივუმატოთ  $30 - 11 = 19$ ). ასეთნაირად უნდა ვიმოქმედოთ 19 წლის განმავლობაში და შემდეგ ყველაფერა თავიდან გავიმეოროთ. აღნიშნულ წესს ზედნადები ეწოდება, ხოლო ამ წესით მიღებულ 19 წლიან ციკლს, მთვარის მოქცევა.

ნიკეის კრებამ ქრისტიანული სამყაროსათვის სავალდებულო გახადა შემდეგი 19 წლიანი ციკლი (იხ. [1] გვ. 105).

1	2	3	4	5	6	7	8	9	10	11	12	13	14	15	16	17	18	19
25	13	2	22	10	30	18	7	27	15	4	24	12	1	21	9	29	17	5

## ცხრილი №1.

ცხრილის პირველი სტრიქონი წარმოადგენს თანამედროვე წელთაღრიცხვის წლების 19-ზე გაყოფის ნაშთებს, ხოლო მეორე სტრიქონის რიცხვები 21 მარტის (მისი ჩათვლით) მომდევნო სრულმთვარეობებია.

გამოვითვალთ, მაგალითად, მიმდინარე 1987 წლის სრულმთვარეობა. 1987 წლის 19-ზე გაყოფის ნაშთია 11. 11-ის ქვემოთ წერია 4 აპრილი. ამგვარად 1987 წელს (ძველი სტილით) 4 აპრილს სრულმთვარეობაა.

ცხადია, ზემოთმოყვანილი სრულმთვარეობები ასტრონომიულად სწორია მხოლოდ ნიკეის კრების პერიოდისათვის. დროთა ვითარებაში ეს მონაცემები განიცდიან ძვრას. ძველი სტილისათვის ისინი მუდმივია და ეკლესიის მსახურნი კალენდარს როგორც წინ, ისე უკან, მხოლოდ ამ მონაცემებით ამბრუნებდნენ.

## §3. მზის მოქცევა

როგორც ცნობილია, კვირაში 7 დღელამეა. 1461 7-ზე უნაშთოდ არ იყოფა, ამიტომ იულიუსის კალენდრის სრული გამეორება, კვირის დღეების გათვალისწინებით, მოხდება არა ყოველ ოთხ წელიწადში, არამედ ყოველ  $4.7 = 28$  წელიწადში ერთხელ. მართლაც, ქრონოლოგიური ცხრილების მიხედვით, იულიუსის კალენდრით ჩვ. წ-ის 1 წელს 10 აპრილს კვირა დღეა. 365 დღელამე 52 კვირასა და ერთ დღე-ღამეს შეიცავს:  $365 = 52.7 + 1$ , ამიტომ 2 წელს კვირა დღე ერთი დღით ადრე გვექნება, ე. ი. 9 აპრილს. მესამე წელს — 8 აპრილს, ხოლო იმის გამო, რომ მე-4 წელი ნაკიანია — 6 აპრილს. თუ იგივე მსჯელობას გავაგრძელებთ მივიღებთ, რომ 29 წელს, რომელიც იულიუსის კალენდრის მოკლე 4 წლიანი ციკლის პირველი უნაკო წელია, კვირა კვლავ 10 აპრილსაა, ამიტომ 28 წლიდან მოყოლებული კვირის დღეების მონაცვლეობა პერიოდულად გამეორდება. მიღებული 28 წლიანი პერიოდი წარმოადგენს სწორედ იულიუსის კალენდრის 28 წლიან ციკლს, რომელსაც მზის მოქცევა ეწოდება. ზემოთმოყვანილი მსჯელობის თანახმად მას აქვს სახე (პირველი სტრიქონი 28-ზე გაყოფის ნაშთებია, მეორე აპრილის კვირა დღეებია).

23	6	11	22	27	10	15	26	3	14	19	2	7	18
17	28	5	16	21	4	9	20	25	8	13	24	1	22
4		5		6		7		8		9		10	

## ცხრილი № 2.

მაგალითად: 1987-ის 28-ზე გაყოფის ნაშთი 27. 27-ის ქვემოთ წერია 6 აპრილი. ამრიგად 1987 წელს ძველი სტილის 6, 13, 20, და ა. შ. აპრილის კვირა დღეებია.

## §4. მოქცევა

ამრიგად, კალენდარული თვალსაზრისით ყოველი წელი გარკვეული მდგომარეობით ხასიათდება: თვეების მიხედვით სრულმთვარეობების განლა-

გებთ და ასევე თვეების მიხედვით კვირის დღეების მონაცვლეობით. ცხადია, საკმარისია, ვიცოდეთ კვირა დღე და სრულმთვარეობა რომელიმე თვეში, რომ შემდეგ, უბრალო გადათვლით, ყველაფერი მთელი წლისათვის დავიანგარიშოთ. მეტად მოხერხებულია (და ცხადია, საკმარისი) ორი ასეთი მონაცემი:

1. გაზაფხულის დღელამსწორების მომდევნო სრულმთვარეობა.

2. აღნიშნული სრულმთვარეობის შემდეგი უახლოესი კვირა დღე.

მონაცემთა ეს წყვილი არის სწორედ მოცემული წლის კალენდარული მდგომარეობა. მაგალითად, 1987 წლის კალენდარული მდგომარეობაა:

1. სრულმთვარეობა — 4 აპრილი

2. კვირა დღე — 6 აპრილი

მოკლედ (4 აპრილი; 6 აპრილი).

როგორც ზემოთ იყო აღნიშნული, სრულმთვარეობები და კვირა დღეები შესაბამისად მთვარისა და მზის მოქცევებით აღიწერება. რიცხვებს 19-სა და 28-ს საერთო გამყოფები არ გააჩნიათ, ამიტომ კალენდარულ მდგომარეობათა ახალი გამოვრება მოხდება ყოველ  $19 \cdot 28 = 532$  წელიწადში ერთხელ. მიიღება 532 წლიანი კალენდარული ციკლი, რომელსაც მოქცევა ეწოდება.

ამრიგად, ნებისმიერი წელთაღრიცხვა, რომელიც იულიუსის კალენდრით ფუნქციონირებს, კალენდარული თვალსაზრისით პერიოდულ პროცესს წარმოადგენს, პერიოდით 532 წელი. პერიოდული პროცესის ძირითადი ცნებებია ფაზა და მდგომარეობა.

წელთაღრიცხვის ფაზა სხვა არაფერია თუ არა მისი მოქცევის მოცემული წელი, ხოლო მდგომარეობა კი მისი კალენდარული მდგომარეობაა.

მოქცევის მოცემულ წელს ერთი კალენდარული მდგომარეობა შეესაბამება. მაგრამ 28 წლიანი ციკლის № 2 ცხრილიდან ჩანს, რომ ყოველ კალენდარულ მდგომარეობას მოქცევის წლების ოთხეული შეესაბამება. ეს კი იმას ნიშნავს, რომ კალენდარული მდგომარეობების მიხედვით მოქცევა ოთხეულედად იშლება. თითოეულ ოთხეულში ერთი ნაკიანი და შესაბამისად პირველი, მეორე, მესამე უნაკო წლებია. იგივე მდგომარეობათა ოთხეულის გამოთვლა უმარტივესი ხერხით ხდება: ნაკიან წელს თანმიმდევრულად აკლდება  $5 \cdot 19 = 95$  წელი. მაგალითად, 1988 წელი ნაკიანია. მისი შესაბამისი კალენდარული მდგომარეობები მოქცევის შიგნით გააჩნიათ მხოლოდ  $1988 - 95 = 1893$ ,  $1893 - 95 = 1798$ ,  $1798 - 95 = 1703$  წლებს. აქვე აღვნიშნოთ, რომ პერიოდი 95 წელი ცნობილია ე. წ. „მცირე პასკალური წრის“ სახელწოდებით (იხ. [1] გვ. 128).

ასეთია მოკლედ მოქცევის, ანუ 532 წლიანი ციკლის არსი. მოქცევის რესტრუქცია და კონტროლი იმ მონაცემებით, რომლებიც მისთვის ნიკეის კრებულ იყო დადგენილი, ხდება ე. წ. გაუსის ზუსტი მეთოდით (იხ. [1] გვ. 127). მონაცემები, რომლებიც ამ ნაშრომშია მოყვანილი, ჩვენს მიერ კიდევ ერთხელ იქნა გადაამოწმებული სწორედ აღნიშნული მეთოდით.

### §5. მთვარის ნახტომი.

თუ მთვარის მოქცევას (ცხრილი № 1) გულდასმით დავუკვირდებით, შევამჩნევთ, რომ ზედნადებში გამონაკლის შეადგენს მხოლოდ მე-19 წელი, რომლის მონაცემის — 5 აპრილის მისაღებად, წინა წლის მონაცემს — 17 აპრილს 11 კი არ აკლდება, არამედ 12. ამ ციკლურ ფენომენს, „მთვარის ნახტომი“ S. L. ეწოდება (იხ. [1] გვ. 105). როგორც ქვემოთ ვნა-



ხავთ, „მთვარის ნახტომს“ ქრონოლოგიაში მეტად დიდი მნიშვნელობა აქვს და მისი არსი შემდეგში მდგომარეობს:

ნაკეის კრების პერიოდში იულიუსის კალენდარი ჩართული იყო. დიოკლეტიანეს ერაში. ეს ერა წარმოადგენს წელთაღრიცხვას რომის იმპერატორის დიოკლეტიანეს გამეფების დღიდან. ამ ერის პირველი წელია 285 წელი ზ. წ.-ით. ამგვარად, ნიკეის კრება დიოკლეტიანეს ერთ ჩატარდა 325—284=41 წელს. არსებითია, რომ თანამედროვე წელთაღრიცხვა (ე. წ. ჩვენი წელთაღრიცხვა) მოგვიანებით, 525-532 წლებში შეიქმნა, ამიტომ ნიკეის კრების მიერ სინამდვილეში, დადგენილ იქნა ასეთი 19 წლიანი ციკლი:

1	2	3	4	5	6	7	8	9	10	11	12	13	14	15	16	17	18	19
5	25	13	2	22	10	30	18	7	27	15	4	24	12	1	21	9	29	17

### ცხრილი № 3.

ცხრილის პირველი სტრუქონი უკვე დიოკლეტიანეს ერის წლების 19-ზე გაყოფის ნაშთებია, მთ ნიკეის კრებისა და ალექსანდრიული ეკლესიის საპატრიარქოლოდ „ოქროს რიცხვები“ ეწოდათ, ხოლო მეორე სტრუქონი, ჩვენთვის ნაცნობი, სრულმთვარეობათა სვლაა. როგორც ვხედავთ, „მთვარის ნახტომი“ „ოქროს რიცხვებისათვის“ ბუნებრივად კეთდება: მაშინ როდესაც მთვარის მოქცევა იწყება, ანუ მაშინ, როდესაც ოქროს რიცხვი უდრის 1-ს.

ქრისტიანული საეკლესიო დღესასწაულები ორ ჯგუფად იყოფა: მოძრავი და უძრავი. მოძრავი დღესასწაული კალენდარული მდგომარეობით განისაზღვრება, უძრავი კი, დროის მუდმივია და ფიქსირებულ რიცხვში ხდება. მოძრავ დღესასწაულებს შორის განსაკუთრებული ადგილი უკავია აღდგომას, რომელიც გაზაფხულის დღელამსწორების მომდევნო სრულმთვარეობის შემდეგ უახლოეს კვირა დღეს ხდება, ე. ი. აღდგომა, კალენდარული მდგომარეობის ფუნქციაა. მაგალითად, 1987 წლის კალენდარული მდგომარეობა ასეთია: 4 აპრილი — სრულმთვარეობა, ხოლო მისი შემდეგი უახლოესი კვირა დღე — 6 აპრილი. ამრიგად, 1987 წელს ძველი სტილით აღდგომა ხდება 6 აპრილს.

ნიკეის კრებამ დაადგინა, რომ აღდგომა მთელმა ქრისტიანულმა სამყარომ ერთდროულად უნდა იხეიმოს. ეს კი მხოლოდ მაშინ არის შესაძლებელი. თუ სხვადასხვა წელთაღრიცხვებში „მთვარის ნახტომი“ ერთდროულად გაკეთდება — სწორედ მაშინ, როდესაც მთვარის მოქცევა იწყება, ანუ როდესაც ოქროს რიცხვი უდრის 1-ს. წინააღმდეგ შემთხვევაში ჩვენ სხვადასხვა წელთაღრიცხვებისათვის მივიღებთ სხვადასხვა სრულმთვარეობებს და აქედან გამომდინარე სხვადასხვა აღდგომა დღეებს.

თანამედროვე წელთაღრიცხვისათვის „მთვარის ნახტომი“ 19-ის ყოველ ჯერად წლებში კეთდება. ეს წლებია:

- 1 წ. ზ. წ.-მდე, 19, 38, 57, 76, 95, 114, 133, 152, 171, 190.  
209, 228, 247, 266, 285, 304, 323, 342  
361, 380, 399, 418, 437, 456, 475, 494,  
513, 532

### ცხრილი № 4

როგორც ამ ცხრილიდან ჩანს, პირველი რეალური მთვარის ნახტომი კეთდება 342 წელს იმის გამო, რომ ის არის პირველი მთვარის ნახტომი

325 წლის ნიკეის კრების შემდეგ. ამიტომ ჩვენი წელთაღრიცხვის 342 წელი ქრისტიანულ წელთაღრიცხვათა სინქრონიზაციის წელია. როგორც შემდგომში დაინახავთ, ამ წელს უდიდესი მნიშვნელობა აქვს ქართული ქრისტიანული წელთაღრიცხვის ორგანიზებისათვის.

### 26. სხვადასხვა წელთაღრიცხვები

ცნობილია, რომ საეკლესიო წელთაღრიცხვების დასაწყისი ე. წ. „ქვეყნის გაჩენით“ ანუ დასაბამით განისაზღვრება. დასაბამის გამოსავალი თარიღის მიმართ ერთიანი აზრი არ არსებობს. წელთაღრიცხვის დასაბამის გამოთვლისას ქრისტეს დაბადების სავარაუდო თარიღსაც ითვალისწინებდნენ: ქრისტე დაიბადა დასაბამიდან მეექვსე ათასწლეულში, დაახლოებით 5500 წლის მახლობლობაში (იხ. [1] გვ. 121). სწორედ ამ სქემით ჩ. წ.-ით 221 წელს ცნობილია ქრონოლოგმა იულიუს აფრიკანელმა შექმნა წელთაღრიცხვა. მან პირველმა, იულიუსის კალენდრით, დააღწა რა ისტორიული მოვლენები, სახარების მონაცემების საფუძველზე ქრისტეს დაბადების თარიღს შესაბამისი ადგილი მიუჩინა (თანამედროვე წელთაღრიცხვით ეს თარიღი მოდის 2 წელს. ჩ. წ.-მდე (იხ. [1] გვ. 121) და მას დასაბამიდან 5500 წელი შეუსაბამა. 5500 წლიანი ერა აკვიყოფრტებს საეკლესიო მოთხოვნებს, ითვლის რა წლებს დასაბამიდან, ანავე დროს აფიქსირებს ქრისტეს დაბადების შესაძლებელ თარიღსაც.

მოგვიანებით, ნიკეის კრების მოწვევის დროისათვის, სხვადასხვა მიზეზების გამო, მკაცრი შეზღუდვა 5500 წელთან დაკავშირებით მოიხსნა, რომლის შედეგად სხვადასხვა საეკლესიო წელთაღრიცხვები გაჩნდნენ. მათი რაოდენობა დაახლოებით 200-მდეა. არსებითია ის გარემოება, რომ ამ წელთაღრიცხვებში ერთიანი აზრი არ არსებობს როგორც დასაბამის გამოსავალი თარიღის, ასევე ქრისტეს დაბადების სავარაუდო თარიღის მიმართაც. საქმე ისაა, რომ სახარებაში კალენდარული მონაცემები ქრისტეს დაბადების შესახებ არ არსებობს. ამიტომ მისი დადგენა სახარების მონაცემებზე დაყრდნობით შეუძლებელია (იხ. [2] გვ. 22). შესაძლებელია მხოლოდ აღნიშნული თარიღისათვის სავარაუდო შუალედის დადგენა. ეს შუალედია 5 წ. ჩ. წ.-მდე — 1 წ. ჩ. წ. ზემოთქმულიდან გამომდინარეობს, რომ მოცემული ქრისტიანული წელთაღრიცხვის არსის გარკვევა მდგომარეობს ქრისტეს დაბადების იმ სავარაუდო თარიღის დადგენაში, რომელიც ამ წელთაღრიცხვაშია გათვალისწინებული; მას ქრონოლოგიაში ფუნდამენტური მნიშვნელობა აქვს.

ქრისტიანულ წელთაღრიცხვებს შორის განსაკუთრებული ადგილი უკავია თანამედროვე წელთაღრიცხვას, რომელიც 525-532 წლების პერიოდში შექმნა დიონისე მცირემ (იხ. [1] გვ. 128). დიონისეს წელთაღრიცხვა წლებს ითვლის ქრისტეს დაბადების მიხედვით, რომელიც მოდის 1 წლის 25 დეკემბერს. აღმოსავლური ქრისტიანული ეკლესია ქრისტეს დაბადების ამ თარიღს არ იზარებდა და ამასთან დაკავშირებით პრინციპული კამათი საუკუნეების განმავლობაში მიმდინარეობდა (იხ. [1] გვ. 131). საკამათო მართლაც იყო და აი რატომ:

სახარების მონაცემების მიხედვით ქრისტე ჯერას აცვეს პილატეს პროკურატორობისა და რომის იმპერატორის ტიბერიუსის მმართველობის მე-15 წელს. მეორეს მხრივ, ქრისტიანულ სამყაროში ფართოდ იყო გავრცელებული აზრი იმის შესახებ, რომ პირველი აღდგომა მოხდა 25 მარტს — ხარება დღეს (იხ. [1] გვ. 127). № 1 და № 2 ცხრილების საშუალებით, ჩვენ შეგვიძლია დავადგინოთ, რომ ჩვენი წელთაღრიცხვის პირველი მოქცევის

წელთაგან 25 მარტს აღდგომა ხდება მხოლოდ შემდეგ წლებში: 31, 41, 53, 26, 137, 148, 221, 232, 316, 395, 479, 490.

ამ წელთაგან 31 წელი ყველაზე კარგად ეთანხმება სახარების მოწვევებს. ეს კი იმას ნიშნავს, რომ პირველი აღდგომა მოხდა ჩ. წ.-ის 31 წლის 25 მარტს. ამრიგად, დიონისეს მიხედვით, ამ დროისათვის ქრისტეს, წინა წლის 25 დეკემბერს წესურულა 29 წელი და იგი გადამდგარი იყო 30-ში. ეს კი აშკარად ეწინააღმდეგება ქრისტეს ცხოვრების ხანგრძლივობის სახარებისეულ წერსებს: ქრისტე გახდა 30-ის (33-ის) და ჭვარს ეცვა მისი ცხოვრების 31-ე (34-ე) წელს.

ამრიგად, ქრისტე დაიბადა არა 1 წელს ჩ. წ.-ით, როგორც დიონისეს მიერ იყო გამოთვლილი (თუ გავითვალისწინებთ პირველ ვერსიას), არამედ 1 წელს ჩ. წ.-მდე. რა მოსაზრებებით სარგებლობდა დიონისე უცნობია. ამ პრობლემას საუკუნეების მანძილზე უამრავი ნაშრომი მიეძღვნა და ამ მიმართულებით დღესაც წარმოებს კვლევა (იხ. [5]).

ამრიგად, თუკი პირველი აღდგომა მოხდა ხარება დღეს, 25 მარტს, მაშინ როდესაც ქრისტე 31-ე წელში იყო გადამდგარი, მისი დაბადების თარიღი მოდის 1 წელს ჩ. წ.-მდე. აღსანიშნავია ის გარემოება, რომ ქრისტეს დაბადების ამ თარიღს ეყრდნობა კარგად ცნობილი „პასქალური ქრონიკა“.

ქრიტიანიულ წელთაღრიცხვებს მიეკუთვნება ქართული დასაბამითგანი და ქორონიკონი. ამჟამად, 1987 წელს, საეკლესიო კალენდრის მიხედვით ქართული დასაბამითგანის 7591 წელია, ხოლო ქორონიკონით მე-15 მოქცევის 143 წელი. თუ გავიხსენებთ, რომ მოქცევა 532 წელს შეიცავს, მივიღებთ, რომ ქორონიკონით გასულია  $14 \cdot 532 + 143 = 7591$  წელი.

ამრიგად, ქართული დასაბამითგანისა და ქორონიკონის ათვლის წერტილები ერთმანეთს ემთხვევა. ეს კი იმას ნიშნავს, რომ ქართული დასაბამითგანი ზუსტად ქორონიკონის მოქცევებისაგან შედგება. ქვემოთ ამ წელთაღრიცხვებს ჩვენ ერთმანეთისაგან არ გავარჩევთ და ქართული წელთაღრიცხვის ქვეშ მათ ერთობლიობას ვივლისებთ. მისთვის მოქცევას აქვს სახე:

28-ზე გაყოფის ნაშთები

	15 26	3 14	19 2	7 18	23 6	11 22	27 10
	9 20	25 8	13 24	1 12	17 28	5 16	21 4
14	22	23	24	25	26	27	28
3	29	28	24	25	26	27	28
11	29	30	31	26	26	27	28
19	29	30	31	1	26	27	28
8	29	30	31	1	2	3	28
16	5	20	31	1	2	3	4
5	5	6	21	1	2	3	4
13	5	6	7	8	2	3	4
2	5	6	7	8	9	2	4
10	6	6	7	8	9	10	11
18	12	6	7	8	9	10	11
7	12	13	14	8	9	10	11
15	12	13	14	15	16	10	11
4	12	13	14	15	16	17	11
12	19	18	14	15	16	17	18
1	19	20	14	15	16	17	18
9	19	20	21	22	16	17	18
17	19	20	21	22	23	24	18
6	19	20	21	22	23	24	25

19-ზე გაყოფის ნაშთები

მ ა რ ტ ი  
ე ბ ი დ ი

ეს ცხრილი ჩვენს მიერ კიდევ ერთხელ იქნა გადამოწმებული გაუსის ზუსტი მეთოდით.

მოხერხებულობის მიზნით მზისა და მთვარის ციკლები გამოტანა სრულმთვარეობები: ყოველ სტრიქონში პეტით დაბეჭდილი რიცხვი სრულმთვარეობის მომდევნო დღეა. 28-ზე გაყოფის ნაშთებით მოიძებნება კვირა დღეები: სვეტში კვირა დღეები წერია. სტრიქონისა და სვეტის გადაკვეთაში აღდგომა დღეა. მაგალითად, მიმდინარე წელს მოქცევის 143 წელია. 143-ის 19-ზე გაყოფის ნაშთია 10. 10-იანის სტრიქონში პეტით დაბეჭდილი 5, ე. ი. 4 აპრილს სრულმთვარეობაა. 143-ის 28-ზე გაყოფის ნაშთია 3. 3-ანის სვეტში წერია 23, 30 მარტი, 6, 13, 20 აპრილი — ეს კვირა დღეებია. და ბოლოს, 10-იანის სტრიქონისა და 3-იანის სვეტის გადაკვეთაში წერია: 6 აპრილი — აღდგომა.

**§7. მაჩვენებელი 94 წელი.**

ქვემოთჩატარებული მსჯელობა ეყრდნობა მხოლოდ ქართულ წელთაღრიცხვას. ამ მსჯელობის არსი მდგომარეობს შემდეგში: მაჩვენებელი 94 წელი ვანიხილება როგორც მონაცემი ქართული წელთაღრიცხვით.

ვინაიდან ქართული წელთაღრიცხვა მოქცევადად არის დაშლილი, ამიტომ ყოველი მაჩვენებელი, უპირველესად ყოვლისა, მოქცევის თვალსაზრისით უნდა იქნას დამუშავებული: უნდა გამოითვალოს მისი ნაშთები, კალენდარული მდგომარეობა, მისი ადგილი 19 წლიან ციკლში „მთვარის ნახტომთან“ დაკავშირებით და სხვა.

იმის გამო, რომ

$$94 = 4 \cdot 19 + 18,$$

$$94 = 3 \cdot 28 + 10,$$

ამიტომ 94-ის 19-სა და 28-ზე გაყოფის ნაშთები შესაბამისად არიან 18 და 10. მოქცევის 19 წლიან ციკლში (ცხრილი № 5) ეპოულობთ 18 და შესაბამის სტრიქონში ვკითხულობთ — 6 აპრილი, ე. ი. სრულმთვარეობა 5 აპრილს ხდება. ჩვენ ვიცით, რომ იგი „მთვარის ნახტომს“ შეესაბამება. ამრიგად ქართული ქრონოლოგიის 94 წელი „მთვარის ნახტომის“ წელია.

ასეთები მოქცევის შიგნით სულ 28 წელია:

18, . . . . . 94, . . . . . 284, . . . . . 531.

როგორც ვხედავთ, მოქცევა მაჩვენებელ „94 წელთან“ დაკავშირებული დაშიფრული ინფორმაციის განუსაზღვრელობას 532 წლამდე ამცირებს, ხოლო „მთვარის ნახტომს“ იგი 28-მდე დაჰყავს. ეს ფაქტი თავისთავად დიდი მნიშვნელობის ფაქტია. მართლაც, თუ მოვიშველიებთ რომელიმე ქრონოლოგიურ ცხრილს, ადვილად გავარკვევთ მიღებული 28-ეულის არსს.

ახლა ჩვენ დავინახავთ, რომ მაჩვენებელი „94 წელი“ მოქცევის თვალსაზრისით გარდა იმისა, რომ იგი „მთვარის ნახტომის“ წელია, გაცილებით მეტ ინფორმაციას შეიცავს:

94-ის 28-ზე გაყოფის ნაშთია 10. მოქცევის 28 წლიან ციკლში (ცხრილი № 5) ეპოულობთ 10-ს და შესაბამის სვეტში ვკითხულობთ: 28 მარტი, 4, 11, 18 აპრილი. ე. ი. აღნიშნულ რიცხვებში კვირა დღეა. 5 აპრილის მომდევნო უახლოესი კვირა დღეა 11 აპრილი.

ამრიგად, ქართული ქრონოლოგიის 94 წლის კალენდარული მდგომარეობაა

1. 5 აპრილი (სრულმთვარეობა)
2. 11 აპრილი (აღდგომა).

მოქცევის ცხრილიდან ჩანს, რომ ზუსტად იგივე კალენდარული მდგომარეობა

მარცხეა გააჩნიათ ისეთი „მთვარის ნახტომის“ წლებს, რომელთა 28-ზე გაყოფის ნაშთებია 4, 21, და 27. მიიღება ოთხეული განმსაზღვრელი ნაშთებით: (18, 10), (18, 21), (18, 4), (18, 27).

ეს წლებია: 94, 189, 284, 531. აქვე უნდა აღვნიშნოთ, რომ იგივე ოთხეული მიიღება „მცირე პასქალური“ წრეებითაც: 94 წელი მე-2 უნაყო წელია, ამიტომ.

$$94 + 95 = 189,$$

$$94 + 2.95 = 284,$$

$$94 + 95 = -1$$

ანუ მოქცევის თვალსაზრისით 531 წელს. ამრიგად კალენდარული მდგომარეობის მიხედვით 94 წელი განსაზღვრავს მოქცევის წლების ოთხეულს: 94, 189, 284, 531.

ამრიგად, მოქცევა დაშიფრული ინფორმაციის განუსაზღვრელობას 532 წლამდე ამცირებს, „მთვარის ნახტომს“ იგი 28-მდე დაჰყავს, ხოლო კალენდარულ მდგომარეობას — 4-მდე.

სინამდვილეში მაჩვენებელი „94 წელი“ ამ ოთხეულისათვის დაშიფრული ინფორმაციის ამოცნობის იმ გასაღებს წარმოადგენს, რომელიც მის არაპოზიციურ წარმოდგენაში წარმოჩინდება.

როგორც ცნობილია, ძველთაგანვე ქორონიკონის წლების აღსანიშნავად გამოიყენებოდა ასომთავრული ანბანის ასონიშნები. ყოველ ასონიშანს გააჩნია საკუთარი რიგი და სათვალავი. კალენდარული ციკლების განხილვის დროს გადამწყვეტი მნიშვნელობა ასონიშანთა რიგებსა და რიგითი ნომრების ჯამს ენიჭება. ეს უქანასკნელი განპირობებულია უძველესი, კლასიკური გაყოფათა პრინციპით, რომელიც შემდეგში მდგომარეობს: თვლის III ობით სისტემაში (როგორც პოზიციურში, ისე არაპოზიციურში) ნებისმიერ N რიცხვის m—1-ზე გაყოფის ნაშთი N-სა და მისი რიგითი ნომრების ჯამს ერთნაირი აქვთ. ეს კი იმას ნიშნავს, რომ რიგითი ნომრები და მათი ჯამები ინახავენ რიცხვებზე გაყოფის ნაშთებს. სწორედ ამიტომ ასონიშნებს ხშირად გარკვეული კალენდარული მნიშვნელობა და ფუნქცია ენიჭებოდათ. მაგალითისათვის საკმარისია დავსახელოთ კარგად ცნობილი „ოქროს რიცხვები“ (ასონიშნები რიგითი ნომრებით 1-დან 19-მდე), „ღმერთების რიცხვები“, გასაღები ასონიშნები და სხვა.

94-ს ათობით არაპოზიციურ სისტემაში ჩაწერს ასონიშანი „უანი“ სათვალავით 90 და ასონიშანი „დონი“ სათვალავით 4— „უდ“. „უანი“-სა და „დონის“ რიგითი ნომრებია შესაბამისად 18 და 4.

დაუბრუნდეთ ჩვენს ოთხეულს: 94, 189, 284, 531, რომელთა განმსაზღვრელი ნიშნებია შესაბამისად (18, 10), (18, 21), (18, 4), (18, 27). როგორც ვხედავთ, 18 და 4 ქორონიკონის 284 წლის განმსაზღვრელი ნაშთებია, ე. ი. 94-ის ანბანური ჩაწერა საკუთარი რიგითი ნომრების წყვილით (18, 4) ფაქტურად მოქცევის 284 წელს აფიქსირებს.

ამრიგად, მოქცევა დაშიფრული ინფორმაციის განუსაზღვრელობას 532 წლამდე ამცირებს, „მთვარის ნახტომს“ იგი 28-მდე დაჰყავს, კალენდარულ მდგომარეობას — 4-მდე, ხოლო 94-ის ანბანურ ჩაწერას ეს უქანასკნელი — ორეულამდე: 94, 284.

ზემოთჩატარებული მსჯელობა უფლებას გვაძლევს დავსაცვათ: ქორონიკონის 94 წელი უშუალოდ არის დაკავშირებული და განსაზღვრავს ქორონიკონის 284 წელს.

გავიხსენოთ, რომ ქართული წელთაღრიცხვით ამა თუ იმ თარიღის და

ფიქსირებას, მოქცევის წელთან ერთად, მოქცევის ნომერიც ესაჭიროება, რაც იმას ნიშნავს, რომ თარიღის ფიქსაცია დასაბამიდან ხდება.

ახლა ჩვენ ვნახავთ, რომ მაჩვენებელი 94 არათუ წარმოაჩენს მოქცევას 284 წელს, არამედ უშუალოდ განსაზღვრავს ამ თარიღის მოქცევის ნომერსაც.

აღვნიშნოთ L-ითა და S-ით შესაბამისად მთვარისა და მზის მოქცევათა რაოდენობა, ახლა უკვე ქართული დასაბამიდან. იმის გამო, რომ 284-ის 19-სა და 28-ზე გაყოფის ნაშთებია 18 და 4, ამიტომ დასაბამიდან მას შეესაბამება 19.L+18 წელი, რომელიც ცხადია, უდრის 28.s+4 წელს. ამრიგად, სამართლიანია შემდეგი ერთი ორუცნობიანი განტოლება: 19.L+18=28.s+4, რომელშიც ორი უცნობი L და s არის საძიებელი. მეორე განტოლებას ამ უცნობების მიმართ ერთბაშად იძლევა მაჩვენებელი 94; ვინაიდან მთვარის ბრუნვები წინ უსწრებს მზისას, ამიტომ ბუნებრივია სხვაობის L-s განხილვა. ეს სხვაობა სწორედ დაშიფრული მაჩვენებლით „94“ განისაზღვრება: L-s=94. ადვილად შეიძლება დავრწმუნდეთ, რომ სისტემას

$$\begin{aligned} 19L + 18 &= 28.s + 4, \\ L - s &= 94. \end{aligned}$$

აქვს ერთადერთი ამონახსენი: L=294, s=200. ე. ი. დასაბამიდან გასულია 2.200+4=19.294+18=5604 წელი ეს კი მე-11 მოქცევის 284 წელია: 10.532+284=5604.

ამრიგად, ქორონიკონის 94 წელი უშუალოდ არის დაკავშირებული და განსაზღვრავს მე-11 მოქცევის 284 წელს ანუ ქართული დასაბამითგანის 5604 წელს.

იგივე გავიხსენებთ, რომ ამჟამად მიდის 7591 წელი ქართული დასაბამითგან. ამიტომ წარმოაჩენილი თარიღიდან 7591—5604=1987 წელი გასულა, რაც ჩვენი წელთაღრიცხვის მიმდინარე წელია; ეს კი იმას ნიშნავს, რომ თარიღს — 5604 წელი დასაბამითგან შეესაბამება — 1 წელი ჩვენს წელთაღრიცხვამდე. ეს კი, როგორც 56-ში იყო აღნიშნული, ქრისტეს დაბადების წელია.

მოქცევის 94 და 284 წლები „მთვარის ნახტომის“ წლებია. ის გარემოება, რომ ქრისტეს დაბადების წელი და ნიკეის კრების მიერ მიღებული 19 წლიან ელექსანდრული ციკლის პირველი წელი (დასაწყისი, „მთვარის ნახტომი“) ერთმანეთს ემთხვევა, თავისთავად მეტად მნიშვნელოვანია: თარიღი და ციკლის დასაწყისი ერთდროულია, რაც ქრონოლოგიისათვის არსებითია. რადგან სასურველი თარიღი ციკლის სიზუსტით განისაზღვრება, იგი ციკლის საწყის წერტილებში უნდა ვეძიოთ. ზემოთქმულიდან გამომდინარეობს, რომ მე-11 მოქცევის 284 წლის წინა „მთვარის ნახტომის“ წლები ამ თვალსაზრისით, ინტერესს არ იწვევენ. ეს კი იმას ნიშნავს, რომ 94 წელი, როგორც საძიებელი თარიღი, მე-12 მოქცევასა და მის შემდგომ მოქცევებში უნდა მოვიძიოთ.

მე-12 მოქცევის 94 წელი ჩვენი წელთაღრიცხვის 342 წელია, რომელიც როგორც ჩვენ უკვე ვიცით, მთვარის ნახტომის პირველი რეალური ანუ ქრისტიანული წელთაღრიცხვების სინქრონიზაციის წელია.

წერილში მიღებული შედეგი უფლებას გვაძლევს დავასკვნათ, რომ ქართული წელთაღრიცხვა წარმოადგენს მკაცრად ორგანიზებულ კალენდარულ-ქრონოლოგიურ სისტემას, რომელსაც სხვა ქრისტიანულ წელთაღრიცხვებისა-

გან განსხვავებით თან ახლავს დიდი ინფორმაციის მატარებელი მაჩვენებელი 94.

### 58. დასკვნა.

როგორც ცნობილია, ქრონოლოგიისათვის არსებითი მნიშვნელობა აქვს წელთაღრიცხვებს შორის ურთიერთკავშირის დადგენასა და მათ დამოკიდებულებას იულიუსის კალენდართან [იხ. [2], გვ. 75-77]. პირველი წელთაღრიცხვა, რომელიც იულიუსის კალენდრით ფუნქციონირებს, არის ჩვენთვის კარგად ცნობილი დიოკლეთიანეს ერა, რომლის მიმართ ამა თუ იმ მოვლენის დათარიღებას პირდაპირი და არაპირდაპირი სინქრონიზმების საშუალებით პრინციპული მნიშვნელობა აქვს [იხ. [2], გვ. 77] არსებითია ამ ერის ამოსავალი თარიღი, რომელიც თანამედროვე წელთაღრიცხვას 284 წელზე შოდის და რომელიც, ცხადია, დიოკლეთიანეს ერის ნულოვანი მოქცევის 532-ე წელია. ამრიგად, სხვაობა  $532 - 284 = 248$  წ. ქრისტეს დაბადების თარიღს აფიქსირებს. ბუნებრივია, რომ სხვადასხვა წელთაღრიცხვებს შორის სინქრონიზმების დამყარება იულიუსის კალენდრით ამ თარიღს გვერდს ვერ აუვლის. პირდაპირი სინქრონიზმი ამ თარიღთან ქართული წელთაღრიცხვის მე-11 მოქცევა: 284 წელს იძლევა: დიოკლეთიანეს ერის ნულოვანი მოქცევის 284 წელი = ქართული წელთაღრიცხვის მე-11 მოქცევის 284 წელი.

ცხადია, რომ დამყარებული სინქრონიზმი პერიოდულად გამეორდება ყოველ 532 წელიწადში ერთხელ. მეორეს მხრივ  $248 + 284 = 532$ . ეს კი იმას ნიშნავს, რომ დიოკლეთიანეს ერის ნულოვანი მოქცევის 284 წელი და ქართული წელთაღრიცხვის მე-11 მოქცევის 284 წელი მოპირდაპირენი არიან. ამ ფაქტს გადატანითი მნიშვნელობაც გააჩნია: ცნობილია რომ დიოკლეთიანე ქრისტიანობას დევნიდა. აქვე აღვნიშნოთ რომ თანამედროვე წელთაღრიცხვის ავტორის დიონისე მცირეს დამსახურება ეკლესიის წინაშე გარდა იმისა, რომ მან საბოლოოდ დაამკვიდრა 532 წლიანი ციკლი, მდგომარეობს იმაში, რომ მან იულიუსის კალენდარი დიოკლეთიანეს ერიდან ახალ ერაში გადაიყვანა; ერაში რომლებიც წლებს უკვე „ქრისტეს დაბადების“ მიხედვით ითვლის (ე. წ. A. D. იხ. [1] გვ. 128, [2] გვ. 76).

ქართული წელთაღრიცხვის საბით ჩვენ გვაქვს სისტემა, რომელიც უპირატესია სხვა ქრისტიანულ წელთაღრიცხვებთან შედარებით.

1. იგი წლებს ითვლის დასაბამით და ამ აზრით აკმაყოფილებს ძირითად საეკლესიო მოთხოვნას.

2. იგი დაბარალბულია ქორონიკონული წელთაღრიცხვით, რითაც მზისა და მთვარის მოქცევებს ავტომატურად აკონტროლებს.

3. მას თან ახლავს მაჩვენებელი 94 წელი, რომელიც უშუალოდ დაკავშირებულია და განსაზღვრავს ქრისტეს დაბადების თარიღს: მე-11 მოქცევის 284 წელს, ანუ დასაბამით 5604 წელს: ჰ. ქ. დ.

ეს თარიღი უშუალოდ და ბუნებრივად შეესაბამება საეკლესიო მოთხოვნას: პირველი აღდგომა მოხდა 25 მარტს;

4. მე-12 მოქცევის 94 წელი ნიკეის კრების შემდგომი პირველი „მთვარის ნახტომის“ წელია ანუ ქრისტიანულ წელთაღრიცხვათა სინქრონიზაციის წელი (342 წ. ჩ. წ-ით).

5. ქრონოლოგიური სინქრონიზმი

284 ქარ. +248 დიოკლ.=532 წ.

ახორციელებს რა შებმას იულიუსის კალენდართან (დიოკლეტიანეს წესითა), გვიჩვენებს რომ ქართული წელთაღრიცხვა დიოკლეტიანეს წესითა პირდაპირე ვრცა.

6. ქართული წელთაღრიცხვის ძირითადი მაჩვენებლები „94 წელი“ და „284 წელი“ ინვარიანტულნი არიან იულიუსის წელიწადის საწყისი წერტილის მიწარათ. ეს კი იმას ნიშნავს, რომ ამ მაჩვენებლების ურთიერთშეხამისათვის წელიწადის დასაწყისს არავითარი მნიშვნელობა არა აქვს.

როგორც ზემოთ იყო აღნიშნული, იულიუსის კალენდარს ცდომილება გააჩნია და შეადგენს 24 საათს ყოველ 128 წელიწადში (იხ. [1] გვ. 107). ამრიგად, კალენდარული ციკლები ცდომილების გარეშე ფუნქციონირებენ მხოლოდ ნიკეის კრების უახლოეს პერიოდში. ქართული წელთაღრიცხვა სწორედ მოქცეებისაგან შედგება, რომელთა ფუნქციონირება ნიკეის კრების დადგენილებითაა განპირობებული. ამიტომ ქართული წელთაღრიცხვის ორგანიზება უნდა მომხდარიყო ნიკეის კრების უახლოეს პერიოდში, სწორედ თანამედროვე წელთაღრიცხვის 342 წლის მახლობლობაში, რომელიც მე-12 მოქცევის 94-წელზე მოდის.

#### მარჯვენაელი ლიტერატურა

1. И. А. Климишин. Календарь и хронология. М., «Наука», 1981.
2. Э. Бикерман. Хронология древнего мира. М., «Наука», 1975.
3. Ginzler F. K. Handbuch der mathematischen und technischen chronologie: III Band, Lpz. 1914.
4. А. В. Белов. Рождество Христово. М., Политиздат, 1974.
5. А. М. Эфросман. К вопросу о происхождении нашего летоисчисления. Историко-астрономические исследования. Вып. XVII, 1984.





## სარბი ღურმუშიძე

### გიორგი ღურთიყვანიძე

გიორგი ღურთიყვანიძის უკვე აღნიშნულ წარმოდგენაზე საბჭოთა მეცნიერებას უცხოეთში. მისი ერთ-ერთი ასეთი გამოხველა შესანიშნავად აქვს აღწერილი თავის მოგონებებში მწერალ ნიკოლოზ ტიხონოვს.

მოკუსმინით ნიკოლოზ ტიხონოვს:

„დიდი ხანია ეს არ მომხდარა: საბჭოთა მეცნიერი ბერძენში არაბულ ენაზე ლექციას კითხულობდა... გამხდარი, ბედნიერი წარმოსადგო, მაგრამ ნატიფი აქტებისა არაფერი. თანდათან საგრძობლად დღედაღამ. თავიდან ხმაც ხრინწიანი და ჩუმი ქმონდა, ჩქარობდა. თანდათან დამსწრეთა კეთილგანწყობა იგრძნო და უფრო დინჯად განაგრძო, მის საუბარს შებო დამაჭერებლობა დაეტყო და ხალხი ახლა უკვე დაუფარავი კმაყოფილებით, აღფრთოვანებითაც კი შეხუტებდა მეგობარ მეცნიერს, რომელიც ლაპარაკობდა არაბული კულტურის მსოფლიო მნიშვნელობაზე, იმ ლექციარულ ეპოქებზე, როდესაც სახელდობრ, არაბული კულტურა მეცნიერულ აღმოჩენათა თავშესაფარი იყო. იგი მრავალ დარგს აერთიანებდა და ზედს უწყობდა საკუთარი ცოდნის აუჯავახსა და ვაჭრებთან... საყვარელი მეცნიერების შესასწავლად მანაც მცირე ჯგუფი ჩამოვიდა. აქ დამსწრე არაბებმა სიამოვნებით შეიტყუეს, რომ საბჭოთა მეცნიერები ასე ზედმიწევნით სწავლობენ არაბულ ენას და მათ მეცნიერთათვის სრულად უცნობი მასალებიც კი მოუპოვებიათ. თვითონ მომხსენებელი არაბობზე სტუმრებთან შეუაზიველ არაბებს, ყოფილი ბუხარასა და კასა-დარინის ოლქში, სადაც რამდენიმე არაბული ზმნის ფორმათა წარმომომხსინელი თავისებურებანი აღმოუჩინია და გამოუკვლივია...“

უჩარხანარი აუდიტორია სწენად იყო ქცეულა: პროფესორი სავსებით უცნობ ფაქტებს გადმოხსენებდა. როცა მან თავისი არაჩვეულები-

რივი მოხსენება დამთავრა, ერთსულთვანადაც იმეფებოდა, მასთან სტუდენტები და ჰმარმაგი პროფესორები მიიჭრნენ და აღფრთოვანების, გაოცების, მაღლიერების გრძნობა დაუფარავად გამოხატეს, პროფესორს ყველა ულოცავდა... აუდიტორიის სიხარულს საზღვარი არ ქმონდა. პროფესორი გიორგი ღურთიყვანიძე მოხარული იყო, რომ არაბმა მეცნიერებმა მისი მოხსენება მოიწონეს. ამის მიღწევა დიხსაც ძნელი იყო... ასე ღრმავარაფრად, ასე გულთბილად ვერ ილაპარაკებ არაბულ კულტურაზე, თუ თავდადასწრებით არ გიყვარს მეცნიერება და მოყრდამებით არა ხარ გამსჭვალული არაბების მიმართ.

პროფესორთან მივიდა მიხილ ნუაიმე და მაგრად ჩამოართვა ზელი... დიხს, მიხილ ნუაიმე, აღიარებულა კლასიკოსი არაბული ლიტერატურისა...

ნუაიმე დაესწრო პროფესორ ღურთიყვანიძის ლექციას და დიდად ეამა, რომ იგი, დიდი მეცნიერი, არაბებს მათ მოშობილურ ენაზე ესაუბრა, ის რაც პროფესორმა ღურთიყვანიძემ ნათლების საინსტროს საკონფერენციო დარბაზში მყოფთ მოახსენა, არაბეთის ისტორიის, არაბი ხალხის სულიერი სამყაროს აქამდე უცნობი კეთილდება იყო, მაღლობა პროფესორს. თანაც იგი დაუფიქრია „რუსი განტუსის“ — კარაკოვსკის მოწაფეა.

ნუაიმე პროფესორ ღურთიყვანიძის მიხსალმა, როგორც ძველ და კეთილ მეგობარს ესალმებინა.<sup>1</sup>

1 ნიკოლოზ ტიხონოვი. აღკადრის ლამე „ცოსკარი“, 1967, № 8, 94 გვ. თარგმანი ჯემბურ თითმერიამ, ტექსტი მოყვანილია კლარკების მიხედვით.

გ. წერეთლის უძველესი მოხსენება საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიაში იყო მეცნიერული აზროვნების ტრიუმფი. მისი დამა, კომპლექსური მიდგომა პრობლემისადმი უკველათვის სახედა მეცნიერული კვლევის მასშტაბურ გვეგებს. აკადემიის არქივი და-ცულია მისი მოხსენების სტენოგრაფიული ან-გარიშები ავტორის მიერვე გასწორებული. აქედან ჩვენ მოგვყავს მისი მხოლოდ ორი მოხსენების დასკვნითი ნაწილი, რომ ნათლად წარმოვიდგინოთ მისი მეცნიერული მიდგომე-ბა.

1961 წლის 10 იანვარს საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის საერთო კრებაზე აკადემიკოსმა გ. წერეთელმა მოხსენება გააკეთა: „ქართული ჭვარის მონასტრის იერუსალიმში“. ექსპედიცია, რომელიც მოეწყო იერუსალიმში პოეტ-აკადემიკოს ა. აბაშიძის ინი-ციატივით და აკადემიკოსებს ა. შანიძესა და გ. წერეთლის მონაწილეობით, ადრე რამდენ-ქერზე წარსდგა საზოგადოების წინაშე შთა-ბეჭდილებების გასაზიარებლად. გ. წერეთლის ეს მოხსენება, კი, როგორც ავტორი აღნიშ-ნავს, იყო წინასწარი საანგარიშო მოხსენება ამის შესახებ, თუ რა გაკეთეს და რა შედეგი მოჰყვა მათ მოგზაურობას. მოხსენება ერთ ხა-ათს ვაგბქმლავს, უზნად იყო იგი ფოტორეპ-როდუქციით დემონსტრირებული. გ. წერეთლის მეცნიერული გამოკვლევებმა ქართული ჭვარის მონასტრზე იერუსალიმში აშუამად კარგად არის ცნობილი. გვიანდელით გ. წერეთლის მოხსენების სტენოგრაფიკადან მისი სიტყვის ბოლო, დასკვნითი ნაწილი შეკრეოვენი კუ-პირებით. უკველ შემთხვევაში ერთი დასკ-ვნა, რომელიც ჩვენ გამოვიტანეთ იერუსალი-ში მოგზაურობის შედეგად, ეს არის ის, რომ ჩვენ ძალიან ცუდად გავიწინა შესწავილი ჭვარის მონასტრი და რუსთაველი. იერუსალი-მში არის ისეთი ქალაქი, რომლის შესახებ უფრო მეტი დაწერილა, ვიდრე რომელიმე ქალაქზე მსოფლიოს 12 სხვადასხვა ენაზე და მთელი ამ პრობლემის შესწავლა აუცილებელი პირობაა ამისათვის, რომ ჩვენ გავერკვეთ ბევრ საკითხში დაკავშირებით არა მარტო შთა რუსთაველითა, არამედ ქართული კულ-ტურის მეტად მნიშვნელოვან საკითხებთან. შეიძლება თქვას, რომ არც ერთ ქრისტიან-ულ ერს პალესტინის კულტურულ ცხოვრე-ბაში არ უთამაშია ისეთი დიდი როლი, რო-გორც ქართველებს. მიუხედავად ამისა, ქარ-თველთა დავალი პალესტინის კულტურულ ცხოვრებაში შეუსწავლელია. გაცილებით ნაკლები აქვთ ეთიოპელებს დამახარებრა პალესტი-ნელთა წინაშე, მაგრამ მათი დავალიის შესახებ ვეებერთელა ლიტერატურა არსებობს... მომა-ვალი ჩვენი ამოცანაა, ამ მშობრთლებით წა-რგვართოთ მუშაობა და შე გგონია ჩვენ მო-გზაურობაში პირველი ნაბიჯია გადადგმული,

რათა შევისწავლოთ უველა მასალა, რომელიც ენება ქართველთა დავალი იერუსალიმში და პალესტინაში არა მარტო ქართველი ერის, არა-მედ ევროპულ, სომხურ, ეთიოპიურ; არამედ და სხვა მასალებში და ამის შემდეგ ჩვენ გვა-ქნება მუარის საუფქველი სათანადო დასკვნე-ბის გამოხატანად, როგორც ამ საკითხთან და-კავშირებით ისე ქართული საკითხის გარკვე-ვისათვის“.

ესე განსაზღვრა გ. წერეთელმა იერუსალიმ-ში მოგზაურობისთან დაკავშირებული მომავა-ლი კვლევების გეგმა 1961 წლის დასაწყისში. 1966 წლის 28 სექტემბერს გაიშართა საქა-რთველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის საე-რთო კრების საიუბილეო სესია მიძღვნილი შ. რუსთაველის დაბადების 800 წლისთავიან-დში. საერთო კრების სესიაზე შესავალი სიტ-ყვა წარმოთქვა აკადემიის პრეზიდენტმა აკად-ნ. მუსხელიშვილმა. მოხსენებები წაიკითხეს აკად. ა. ბარამიძემ — „რუსთაველის შემოქ-მედება“, აკად. გ. წერეთელმა — „ვეფხისტ-ყაოსნის კრიტიკულ-მეცნიერული გამოცემი-სათვის“ და აკად. გ. ჩუბინაშვილმა — „რუს-თაველის ეპოქის ძეგლები“. სმივე მოხსენება დიდი ინტერესით იქნა მოსმენილი.

აკად. გ. წერეთელმა მოხსენების დასასრულს კვლავ წარმოადგინა მომავალი კვლევების გე-გმები. „უველა ესა და მსგავსი მაგალითები ადასტურებენ იმას, რომ პოეზის ტექსტის სწორი გაგებისათვის საჭიროა ამ პერიოდის მთელი ქართული კულტურის უველა საკითხის კომპლექსურად შესწავლა. ეს ეპოქა, როდეს-საც ვეუხისტყაოსნაი იწერებოდა, იყო ეპოქა კულტურის უმაღლესი განვითარებისა. ამას მოწმობს ქართული კულტურისა და ხელოვნე-ბის ისეთი ძეგლები, როგორცაა გელათის დიდებული ტაძარი, დღისმშობლის ბრწყინვა-ლდე მონასტრი, რომლის თანხარის სპეციალიზ-ტები ვერ პოულობენ მთელს ქრისტიანულ არქიტექტურაში, ან შესანიშნავი უნიწვისის ანგელოზი, რომელსაც შეეძლო მეტოქეობა გა-ენწია აღორძინების ხანის იტალიურა ფერწე-რის საუკეთესო ნიმუშებისათვის; ან კიდევ ბრწყინვალე საოცრობა პოეტის ნიმუშები, რომელნიც ქებადიდებამს ასამდნენ შეფეთა-მეფის თამარისა და მისი მეუღლის დავით სო-სლანის სახელმწიფო მოღვაწეობას. და, და-სასრულ, ჩვენი კულტურის მწვერვალი — უყვადვი პოემა შთა რუსთაველისა, გამსჭ-ვალული ამ ეპოქის კულტურის სულით, რო-მელიც ყალიბდებოდა ათასეული წლებს მან-ძილზე, ის იქმნებოდა და ვითარდებოდა ქა-რთული კულტურის კონტაქტში სხვადასხვა

1 გ. წერეთელი. საქართველოს სსრ მეც-ნიერებათა აკადემიის 1961 წ. 10 იანვრის საერთო კრების სტენოგრაფიული ანგარიში გვ. 14.

კულტურასთან. პირველყოფილია ეს არის უძველესი ადგილობრივი ტრადიცია, რომელმაც შემოგვიანა ბელარუსის ბრწინვალე ნიშუშები, აღმოჩენილი არქეოლოგიური გათხრების დროს მცხეთა-აშაშისა და საქართველოს სხვა უძველეს კულტურულ ცენტრებში, აგრეთვე ეპიგრაფიული ძეგლებში, თავისი ბრწინვალე სტილით პოეტური აზროვნების მაღალ დონეს რომ მოწმობენ.

მეორე მხრივ — ეს იყო ქრისტიანული საჩრწინოება და ცივილიზაცია, რომელმაც ჩვენი წილადრიცხვის პირველადი საუწყებებში გავრცელდა საქართველოში.

ქრისტიანობის გავრცელების წყალობით საქართველო ადრევე ეწიარა არა მხოლოდ საშუალო საუწყებების ბიზანტიურ კულტურას, არამედ მისივე გზით, — ანტიკურ ფილოსოფიურ მემკვიდრეობასაც.

და დასასრულ, მესამე წერტი ამ ტრადიციას არის აღმოსავლური კულტურა, რომელთანაც ქართულს მჭიდრო კავშირი ჰქონდა უძველესი დროიდან მყოფიდან.

ამ სხვადასხვა ეპოქიდან და სხვადასხვა მხრიდან მომდინარე კულტურულ მომდინარეობებთან კონტაქტსა და ჰიდილში შეიქმნა საკუთარი, სრულებით თავისებური, განუმეორებელი ქართული კულტურა და ჩამოყალიბდა ორიგინალური მსოფლმხედველობა, რომელმაც ახასიათებდა აზრის თავისუფლება, ადამიანის ფიზიკურ და გონებრივ შესაძლებლობათა მტკიცე ჩრწინა და ჰუმანიტი მუშინაში.

კულტურულ ურთიერთობათა ეს მრავალფეროვნება სრულად არის ახსოვლი ვეფხისტყაოსანში, ამ ელემენტების გამოვლენა, რომლებისგანაც იქმნებოდა ეს კულტურა, ხელს შეუწყობს პოემის ტექსტის უკეთ გაგებას საკმეხ, ზოლო მისი ავტორი კიდევ უფრო მეტი დიდებით მოსილი წარსდება კაცობრიობის წინაშე“.

დღეს ყველასათვის ცნობილია, თუ რა შემატებობა და თავდადებით შრომობდა ბატონი გიორგი სიცოცხლის უანახკნელ წუთებამდე შოთა რუსთაველის ვეფხისტყაოსნის ამ პრობლემებზე.

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის საკმინაობაში ახალი ნამდვილი წევრებისა და წევრ-კორესპონდენტების არჩევნებს განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს. აკადემიის მომავალი დაკავშირებულა აშაშე, თუ როგორ შევებას მიიღებს იგი, კანდიდატის მეცნიერული დამსახურება და მისი საზოგადოებრივი ხაზე საფუძვლად უნდა დაედოს არჩევნებს. საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის არჩევნებში ყოველთვის ფართო მონაწილეობას იღებს საქართველოს მეცნიერული საზოგადოებრიობა. ზოგჯერ ეს მხარე ჩვენი არჩევნების პრაქტიკაში გადაკარბებულადაც კი არის წარ-

მოგვეწილი. ინსტიტუტები, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ნამდვილი წევრები, წევრ-კორესპონდენტები ვალდებული არიან გამოქვან თავისი მონაზრებები ჭერ იმის თაობაზე თუ რა დისციპლინებშია საქირო ვაკანტური ადგილების გახსნა და შემდეგ — თუ უფლაზე მეტად რომელი კანდიდატი იმსახურებს არჩევას. არჩევნები, როგორც ცნობილია, ორსაფეხურიანია. პირველად კანდიდატს შესაბამისი მეცნიერული დარგის განყოფილება ირჩევს, შემდეგ კი აკადემიის საერთო კრება. არჩევნები ორივე შემთხვევაში ყარული კენჭისუბრი ტარდება. აკადემიაში, როგორც წესი, არჩევნები 3-4 წელიწადში ერთხელ ინიშნება. ამ დროს არჩევნებში პირდაპირ და აბაპირდაპირ მონაწილეთა ტემპერამენტ ჩვეულებრივზე უფრო მაღლა აწეული.

აკადემიის პრეზიდენტი ნაკო მუსხელიშვილი თავისთან იწვევდა გამოჩენილ მეცნიერებს და მათგან იღებდა რჩევას, რომ რაიმე მეტად მნიშვნელოვანი არ გამოჩენოდა. საქმეს ისიც აბთულებდა, რომ ვაკანტურ ადგილებზე უკველებული შეზღუდული იყო აღდგომისთვისა და წევრ-კორესპონდენტების აკადემიის რიცხოვნება ზუსტად ისაზღვრებოდა. საკონსულტაციო საუბრებს მე ზშირად ვესწრებოდი. არჩევნების საერთო ხელმძღვანელობა პრაქტიკულად მე შევალბოდა.

გ წერეთელი კუთხოვოდა იმ მეცნიერთა რიცხ, რომელნიც არჩევნებს შესაბამის პრინციპულ შეფასებას აძლევენ და აქტიურად იბრძვიან მის მაღალ დონეზე ჩატარებისათვის. 1957 წლიდან 1978 წლამდე ჩატარებულ არჩევნებში გ. წერეთელი აქტიურად მონაწილეობდა. განსაკუთრებით დამამახსოვრდა ორი ცნობილი მეცნიერის პავლე ინგოროყვას და თამაზ გამურელიძის არჩევნების საკითხი. პირველი საბელმოხვეჭილი მეცნიერი იყო, მეორე კი ახლად გამოდიოდა ფართო მეცნიერულ ასპარეზეზე. ბატონმა გიორგიმ ორივე კანდიდატზე თავისი დადებითი შეხედულება მოახსენა პრეზიდენტს. თამაზ გამურელიძის კანდიდატურას ერთხმად დაუჭირეს მხარი, ყველას სტეროდა, რომ იგი ჩვენი დიდი მეცნიერული ტრადიციების გამგარბლებელი იქნებოდა. კამათი გამოიწვია პავლე ინგოროყვას კანდიდატურამ. ბატონი ნაკო უსაბუთებდა გიორგი წერეთელს, რომ არ გვაქვს უფლება ისეთი პირი წამოვაყენოთ აკადემიკოსის ვაკანტურ ადგილზე, რომელმაც იურიდიულად ამის უფლება არა აქვს, რომელმაც არ შეუძლია წარმოადგინოს არჩევნებისათვის საკირო ყველა ოფიციალური საბუთი. ბატონმა გიორგიმ ვრცლად გაარჩია პავლე ინგოროყვას მეცნიერული დამსახურება. იმ დროს ძალზე გახმაურებულ იყო „გიორგი მერჩულე“ და ისიც შეეხო პავლე ინგოროყვას ამ გამოკვლევას. კამათი ორ სხვადასხვა პარალელურ, სიბრტყე-

ში მიმდინარეობდა და მათი გადაყვითა, რა თქმა უნდა, არ მოხერხდა. ბატონი ნიკო არ იყო პავლე ინგოროვას არჩევის წინააღმდეგ, მაგრამ შემობდა, რომ ასეთმა ერთმა გამონაკლისმაჲც კი შემდეგში შეიძლება კარგი გაუღოს იურიდიულად შეუფერებელ პარტებს აჲადეშაშო.

გ. წერეთელი განაწინებულე წავიდა. თან მოგვახალა: „თქვენ ფორმალისტები ხართ, რა უნდა გვღაპარაკოთო“.

ორი დღის შემდეგ ჩემთან მოვიდა საქ. სსრ მეცნიერებათა აჲადეშის კართული ლიტერატურის ისტორიის ინსტიტუტის ერთი პროფესორი და განმარტადა:

ჩვენ შევადგინეთ პავლე ინგოროვას არჩევს ხაორგანიზაციო ქვეფი და იყოდეთ, ვრმოქმედებთ დაუნდობლად. თქვენ, ბატონო სერგი, თუ გადაჭრით არ დავაჭებთ მხარს და არ იმოქმედებთ ნიკო მუსხელიშვილზე, მაშინ თქვენს წინააღმდეგ გამოვაქვეყნებთ მამხილლებელ მასალას, ისეთ მასალას, რომ შეიძლება თქვენ თვით დატოვთ აჲადეშის პრეზიდენტობი.

ჩემს გაოცებას საზღვარი არ ჰქონდა, ვერ წარმომიდგინა აჲადეშისაში, აჲადეშის არჩევენებათ დაჲკავშირებათ ასეთი მეთოდების გამოყენებას „ხაორგანიზაციო ქვეფის“ წარმომადგენელი და მე საქმაოდ უსიამოდ დაჲწო-რდით ერთმანეთს.

მე ეს ამბავი, რა თქმა უნდა პრეზიდენტობათის არ განიშხელია, ისედაც გართულბუდული იყო მიგვამარტობა; ბატონ ნიკოს ვიღაც ურესიკადა: — გუერთა პრეზიდენტობა, ეს აბგილი პავლე ინგოროვას ეკუთვნისო, კეთილი ინებე და ვანთავისუფლეთო. აშუარა ვახდა, რომ პავლე ინგოროვას „დამხმარეთა“ შორის იყვნენ ისეთებიც, რომლებიც ცუდ სამსახურს უწყებდენ ბატონ პავლეს. პრეზიდენტი, რა თქმა უნდა შორს იყო იმ მოხაზრებიდან, რომ პავლე ინგოროვა ამას იჲადრებდა, მაგრამ მაინც წერეთელობდა.

რამდენიმე დღის შემდეგ ჩვენთან, პრეზდენტობში მოვიდა გ. წერეთელი და პრეზიდენტს მოახსენა:

— ბატონო ნიკო, იმ დღეს მე ალბათ თქვენზე ცუდი შობებუილება დაჲტოვე, ზედმეტად ვფიცობოდა, ეს უნდა მამატოთ. მას შემდეგ ბევრი ვიფიქრე და მაინც მივედი იმ დასკვნამდე, რომ პავლე ინგოროვას აურჩევლობა დანაშაული იქნება. ერთხელ კიდევ ვხოვოთ ამ საკითხზე იფიქროთ და თქვენს დიდ ბუნებას როგორც შეიფერება, ისე გადაწყვიტოთ. რაც შეეება საეჭვო დარტყვებს და სრებს მიმართ მუქარას, მიტობას ვაჲლეთ, რომ ენესი აღარ განმეორდება, მათ უკვე მიიღეს საჲაფრისი პასუხი. მათ მაჲვირე მე ვიხდა ბოდიშო.

გიორგი წერეთლის მხარეზე საქართველოს სსრ მეცნიერებათა აჲადეშის პეტრი ნამდვი-

ლი წევრი იღვა, მათ შორის მეც, მაგრამ ამან შედეგა არ მოჲუოლია: პრეზიდენტმა თავისი პოზიცია ბოლომდე დაიცვა.

უვლამ ვიცოდით, რომ გ. წერეთელი ფართო ინტერესების მკვლევარი იყო და მისი დიდი, ორმხრივ განსწლელი პორტფელი სხვადასხვა დროს სრულიად სხვადასხვა მასალებით და ფიქრებით იყო სავსე. ერთხელ დილით შედარებით ადრე მოვიდა პრეზიდენტობში. თვალის უბევბი დაწითლებოდა და სახე დაჲწყული უჩანდა. უსიტყვოდ დაჲო თავისი პორტფელი ჩემს მაგიდაზე და გადაშალა. ამოიღო ორი ფურცელი ბელანწერი და გადაშოშვა.

— სერგი, კარები ჩაკეტე და შეხედე წიკითხე, არაფერე ვაჲფირდეს, ცოცხალ კაცს უველაფერი შეხვდება. მისი სურვილი შევასრულე. ჩემს წინაშე იყო გ. წერეთლის ხელით დაწერილი „ანდერძი“. რამდენჯერმე ვაჲვიკითხე, „ანდერძი“ სინამდვილეში შეიცავდა მეცნიერული კვლევების გეგმებს, ჩამოწერილი იყო პრობლემები და მათი გადაწყვეტის გზები, მიღგომები.

— გიორგი ბატონო, ამ თქვენს ოხზულებას რატომ დაწერეთ „ანდერძი“, აჲ საანდერძო არაფერია. როგორც მე მესმის უველაფერი ეს თქვენში მომავალი კვლევის გეგმებია, შეუსრულებელი ოცნებებია.

— რატომ არ არის „ანდერძი“, ბოლო სამი ბწკარი აბა კვლავ წაიკითხე: მე ვთხოვ საქართველოს მეცნიერებათა აჲადეშის ამ საკითხებს განსაკუთრებული ყურადღება მიჲციოს, რადგანაც მოსალაჲწელია, რომ მალე მე ამ ქვეყნად აღარ ვიქნები.

ვიგრძენი, რომ ბატონი გიორგი დღეს ჩვეულებრივად გიორგი წერეთელი არ იყო, ეტყობოდა, რაღაც დიდი ტრავმა ჰქონდა მიღებული და ახლა მის მიმართ სულ სხვა მიდგომა იყო საჭირო. მოვიხადე ბოდიში და ცოტახნით ჩემს სამუშაო რთაშში მარტო დაჲტოვე. შევედი ბატონი ნიკოს კაბინეტში, პრეზიდენტი ჭრკ კიდევ არ იყო მოსული და საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივანს ამხ. ისიღორე დოლიძეს დაუტრევე. ვუამბე რაც ამ დილით მოხდა, და ვთხოვე დახმარება.

— სერგი, საიმოყენებით მაგრამ მე რა შემიძლია, ვერ წარმომიდგინა ჩემი რალი.

— ბატონო ისიღორე, მე ვიცნობ გიორგი წერეთელს. ახლა მისთვის საჭიროა რაიმე ისეთი დაჲალება, რომლის შესრულებამაც უარს ვერ ტყვეს. ის დაჲალების შესრულებას ახლავე შეუდგება და დღევანდელი განწყობილება შუაშობის პროცესში უკვალოდ გაუტრდება. შეუთანხმდით, რამდენიმე წუთში ის ჩემთან დარტყავა და გ. წერეთელს იკითხავდა... რამდენიმე წუთის შემდეგ ისიღორე დოლიძემ ჩემთან დარტყა, მხოვთა მომტებნა გიორგი წერეთელი, მასთან სასწრაფო საქმე მაქვს და

დამკავშირებელი ტელეფონის ურთიერთობის ბატონ გიორგის გადაცემა. საუბრის შემდეგ გიორგიმ ტელეფონის ურთიერთობა დატოვა. — რა ქნა ც.ში უნდა წავაძე, სასწრაფოდა საბასუბისმკვებლო დავალება აქვს, რომ არ შევასრულო აკადემიისათვის არ ივარგებსო. განმიმამარტა გიორგი წერეთელმა. წასვლისას ვთხოვე „ანდერძი“ ჩემთვის დაეტოვებია, დავიბრდი სეიფში შევიინახე მეთქი. უსიტყვოდ დამიტოვა.

რამდენიმე დღის შემდეგ შემოვიბარა, კარგ გუნებაზე იყო: ჩემი მოხსენებითი ბარათი მოეწონათ, ეტყობა უშედეგოდ არ მიმუშავებიაო. მივხვდი: „ანდერძი“ საუბარი მე უნდა დამეწყო და სეიფიდან მისი ხელნაწერი გამოვიღე. უტყობად ამოვიღე მაკრატელი და უსიტყვოდ მივაწოდე „ანდერძთან“ ერთად. ვაიცი, „ანდერძს“ რამდენიმე ბოლო ბეჭადი მოჭრა და მომწორდა. მე დავხიე და საქადალდეში ჩავუარე. რაც დარჩა მას დასათაურება წაუშალა და პარათელში შეინახა. „ანდერძის“ შესახებ მე არც ერთხელ არაფერი შეითანხმეს, ერთხელ თვითონ გაიხსენა. ზოგიერთი ლინგვისტი უსამართლოდ მომეტყვა და ამან გამაღიზიანა, თუმცა სანდერძო არაფერი იყო.

გიორგი წერეთელი უცხოეთიდან ყოველი დაბრუნების შემდეგ გვიზიარებდა ზოლზე თავის შთაბეჭდილებებს. განსაკუთრებით ეცოდებოდა უცხოეთში შემთხვევით მოხვედრილი ქართველები, რომლებიც იტანებოდნენ თავის სამშობლოს მწვევე დაუწყალოებელი სიყვარულით, ნოსტალგიით.

— სერგი, ფეხების საკითხი, რომლის შესახებაც შენ ვიყვარს ზოლზე საუბარი, მაგარი გენტიკური არტაბებია.

ერთხელ უცხოეთიდან ვბრუნდებოდი და თვითმფრინავში გავიცანი ჩვენი ცნობილი მოკვლევი მეტოქე. გამოვკითხე: ქართველებს ზომ არ შეხვედრისარ. მეთქი და აი რა მიაპოვა:

— ირანის ერთი ცნობილი ფაქიანი წავაქციე და, რაც ძალი და ღონე მქონდა, ზვიდიან დავაწეე, წების მიხედვით ხალიჩაზე ბეჭებით უნდა გამეკრა. არბატმა სასტენის ხმა მისცა, დამსწრეებს ჩემს გამარჯვებას ამცნობდა. ის იყო გახარებული ფეხზე უნდა წამოვარდნილიყავი, რომ ირანელმა მოკვლევამ ურთი ქართველად ჩამჭირებდა: მომილოცავსო. თქვენ ვერ წარმოიდგენთ, რა მომივიდა, ვეღარ წა-

მოვდექი... მე რომ მცოდნოდა, ჩემი მიწინააღმდეგე ირანელი ქართველი იყო. უაქველად დავმარცხდებოდი...

— სერგი, ზომ დიდებულთა შრობითი ქვეყნის გრძნობა!

ასპირანტურაში მისაღები გამოცდების დროს ერთხელ ჩემთან მოვიდა პროფესორი თინა წერეთელი, ეკონომიკისა და საპარტიის ინსტიტუტის საპარტიის სექტორის ხელმძღვანელი, აღმწვებული იყო, საბის კუნთები უფროსოდა, ლამაზი უჭირდა. — ბატონო სერგი, თქვენ ვალდებულნი ხართ, შეცნიერება დაიყვანო ვიგინდარი ხალხისაგან. ჩვენთან ინსტიტუტში შემოიტანეს ასპირანტურაში მისაღები გამოცდების ჩასამარებლად ვანცხადებები და საბუთები ისეთმა პარტებმა, რომლებსაც უნდა ვერსიტეტიდან მე კარგად ვიცნობ: არაფრის მცოდნე და არაფრის გამკეთებლები არიან. მე მოვითხოვე, რომ თქვენ ისინი არ დაუშვათ გამოცდებზე, როდესაც წინასწარ ვიცით მათი გონებრივი შესაძლებლობები, რა საჭიროა გამოცდები.

კადრებისა და ასპირანტურის განყოფილების კურატორობა მე შევაღებოდა და ამის გამო ასპირანტურაში ჩარიცხვასთან დაკავშირებული ყველა სადაო საკითხი ჩემი მონაწილეობით უნდა გადაწყვეტილიყო. ვალდებული ვიყავი, ქალბატონ თინასთვის ოფიციალური პასუხი გამეცა.

ქალბატონ თინას მოყრდამებით გავახსენე, რომ ვეტოს უფლება მის ხელში იყო, სავარისია მან ცოდნა სპეციალობაში საშუალოდ, სპონანზე შეუფასოს, რომ აკადემიის პრეზიდიუმის დადგენილების თანახმად ისინი ასპირანტურაში არ მიიღებან. ამ განმარტებამ ქალბატონი თინა დამშვიდა. წასვლის წინ მინც გამაფრთხილა: ისინი გვუღნიან წრეს ეკუთვნიან და იყოფიან, თქვენც მტკიცედ უნდა დაიყვანო აკადემიის პრეზიდიუმი, ტელეფონის ზარმა არ შეგცვალოთო.

რამდენიმე დღეში პარტიდენტს ისეთმა პარტებმა სთხოვეს დახმარება, რომ საქმე საკმაოდ გართულდა. დიდი ბეობის შემდეგ გადაწყვიტა: დახმარება გიორგი წერეთლისათვის უნდა გვეთხოვა, აქნებ მისთვის მინც გაეწია ანგარიში ქალბატონ თინას. ბოდიში მოვთხოვე და ბატონ გიორგის დაწერალებით ვუამბე ყველაფერი.

— ახლა, გიორგი ბატონო, პრეზიდენტ თქვენი იმედი აქვს, იქნებ თქვენ დაამშვიდოთ ქალბატონი თინა.

გიორგიმ გაიცინა და წუნარად განიზიარა:

— თქვენ, ეტუბა, თინა წერეთელს კარგად არ იცნობთ, ის უმალ აკადემიას დატოვებს, ვიდრე უღირს პირს გაუხსნის გზას ასპირანტურაში სწავლისათვის. ნუ გეწყინებათ და, სიმაართლე ვითხრათ, მეც თინას აზრს ვიზიარებ. ჩვენს დროში სამწუხაროდ მომრავლდა ისეთი პირები, რომლებიც მეცნიერებაში არა-პირდაპირი გზით აღწევენ და ნიჭიერ ახალგაზრდობას გზას უზღობენ, მეცნიერების მომავალი კითხვითი ნიშნის ქვეშ დგება. ჩვენ, მე, თინას, თქვენ გვევალება მათ წინააღმდეგ ბრძოლა, ვინც ჩემთან მოლაპარაკება დაგვაპლათ, გადაეცაო, რომ ორივე წერეთელი ერთი და იგივე მოსაზრების არიან-ოქო.

და...მა წერეთლების ცხოვრებაზე რა უფლებელი დარჩა.

თბილისის საზოგადოება ახლად გამოქვეყნებული ისტორიული რომანების გარჩევით იყო დაკავებული. კამათი ძირითადად ერთ ასპექტში მშდღინარეობდა: ისტორიულ რომანში ერის ისტორია ზუსტად უნდა იყოს თუ არა წარმოდგენილი, აქვს თუ არა მწერალს უფლებები ერის ისტორია გაამჟღავნოს ან შეაღამაზოს. საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის თანამშრომლებიც აქტიურ მონაწილეობასღებულობდნენ ისტორიული რომანების არხის განსჯაში.

ერთხელ ასეთი მსჯელობა ჩემს სამუშაო ოთახშიც გაიშარათა. პრეზიდენტი დადგინდების პროექტის შესათანხმებლად ჩემთან შემოვიდა გიორგი წერეთელი. რამდენიმე წუთში მას მოჰყვა ერთ-ერთი გახმაურებული ისტორიული რომანის ავტორი. მწერალი და მეცნიერი ერთმანეთს კარგად იცნობდნენ და მალე საინტერესო საუბარი გაიშარათა. გიორგი წერეთელმა მაღალი შეფასება მისცა მის ახალ რომანს, მაგრამ ზოგიერთი ანტილის ისტორიულ სინამდვილეში ეჭვი შეიტანა. ამის გამო რომანის ავტორი განაწყენდა და კამათი აკადემიურ სტილს ასცდა. ორივემ აწყენიანეს ერთმანეთს.

— რატომ ღამაპარობთ ასეთი ტონით, ქერ რამდენი რომანი დაგიწერიათ, რამ პირადი დასასურება ასე დიდად მიგონწევიათ, ბოლოს და ბოლოს ვინა ხართ თქვენ, რა გაგიკეთებიათ ასეთი თქვენი ქვეყნისათვის! — მიმართა გიორგი წერეთელმა მწერალს.

— არც თქვენი სქელტანიანი შრომები წევს ჩვენი ბიბლიოთეკების თაროებს, ბატონო გიორგი, იქნებ უფრო ზუსტად შეგიფიქვინდით თქვენს მეცნიერულ დასასურებას და უფრო შესაფერ პრეტენზიას წამოუყენებდით მწერლობას.

საუბარმა თანდათან უფრო არასასურველი ფორმა მიიღო. ორივენი გაცხარდნენ. ჩემს თხოვნას დაწინაურებულეყვენ, არავითარი შედეგი არ მოჰყვა. განაწყენებულმა მწერალმა მივჯატოვა, ბატონი გიორგი დიდხანს დარჩა ჩემთან. წუბხდა: როგორ პატივს ვცემ ამ მწერალს და როგორი საუბარი უნდა მოვიხადო მასთან, ისაც ჩემსავით ფიცხი უყოლიაო.

— სერგი, ერთი რამ კი სერიოზულად მაფიქრებს: განა შეიძლება მეცნიერული აზრის მნიშვნელობა იმ წიგნის მოცულობის მიხედვით შეაფასო, რომელშიაც იგია გახვეული რამდენი გვერდი იყო ლუი პასტერის მოხსენება, რომელშიაც სათავე დაუდო მიკრობიოლოგიურ მეცნიერებას? თუ სწორად მახსოვს მგონი 16 თუ 20 გვერდი ახალგაზრდობას თავიდანვე უნდა ჩაუწერგოთ მეცნიერული შრომების შეფასების სწორი მაგალი. ზუსტად უნდა ვიცოდეთ, თუ რა არის ამ სქელტანიან წიგნის ისეთი ორიგინალური აზრი, რომელიც აქამდე არავის გამოუთქვამს, რა არის ისეთი ახალი შეხედულებები, რომლებსაც მოჰყვება პრაქტიკული მნიშვნელობის ახალი შრომები, მეცნიერების შემდგომი განვითარება.

ჩვენი ერთად ზუსტობის პერიოდში (1957-1978) მეც ზნირად ვმოგზაურობდი უცხოეთში სხვადასხვა მსოფლიო სიმპოზიუმებზე და კონგრესებზე მონაწილეობის მისაღებად. ყველა ქვეყანაში ერთ-ერთ მთავარ სამუშაო ენად ინგლისური იყო მიჩნეული. მეც ყოველი მოხსენებისათვის სპეციალურად ვემზადებოდი, ინგლისურ ენაზე დაწერილ ტექსტს ვსწავლობდი. გიორგი წერეთელი მიხვდა ჩემს გაჭირვებას და შემოწმებდა ჩემს პირველი მოხსენება ინგლისურ ენაზე მის მეუღლესთან ქალბატონ ღორასთან მომეზადებაა. ამის გამო მათ ოჯახში უოფნა ზმირად მიხლებოდა. რამდენიმე ჩემს ვარჯიშს გიორგი დაესწრო, მაგრამ ჩემთვის არაფერი უთქვამს. ცდილობდი, სიტყვები რეღმწევნით სწორად გამოეთქვა, წინადადებებში ლოგიკური მახვილები არ შემშლოდა და ერთმანეთზე მიჭრათ სათქმელი სიტყვები ზედმეტად არ დაემშორებინა ერთმანეთისაგან. მოხლოდა ჩემი უცხოეთში წასვლის დრო. ჩემს „გამოცდას“ ბატონი გიორგიც დაესწრო. მომისმინეს, კითხვები მომცეს, მასუბნიც შეაფასეს და გზა დაგილოცეს. უცხოეთში მოხსენებამ ნორმალურად ჩაიარა, მოხსენებას კარგი შეფასება მისცეს, როგორც

მეცნიერულად, ისე ენობრივად. დაბრუნების შემდეგ ქალბატონ დორას და ბატონ გიორგის შინ ვესტმირ მაღლობის მოსახსენებლად, უველაფერი დაწვრილებით მომყოლეს. გაეხარა დათ რომ კმაყოფილი დაებრუნე.

— ახლა სერჯი, ერთი რჩევა მინდა მოგცე, ეს ადრეც შეიმეფლო შეთქვა, მაგრამ შენ კიდევ არ გქონდა რწმენა, რომ ინგლისურ ენაზე კარგად გამოხვიდოდი და მაშინ თავი ამიტომ შევსევადე. შენ დიდ დროს ხარჭავდი იმისათვის, რომ გამოთქმები წმინდა ინგლისური გქონოდა, ეს არ არის მეცნიერისათვის აუცილებელი, შენ ზომი ორნგეობტი არა ხარ, ჭერ ერთი ინგლისში იმდენი დალაქტია, რომ ახარამდენ იმათაგანს შეისწავლა, შეორე — სხვა ეროვნების კაცი და ისიც შენს ასაკში ამას ძნელად თუ დაძლევეს და, რაც მოაკარია, არა აუცილებელი. თუ იმას მიაღწევ, რომ უტხოვადი შეცნობები შენს აზრს გაიკებენ და შენც მათ გაუგებ, ეს სრულიად საკარგია. ალბათ მოაქცევდი უფრადლებას, რამდენააჩი ინგლისური ისმის კონტრესე!

თანდათან უფრო დავრწმუნდი, რომ ბატონი გიორგის დამომდევრია სრულიად სწორი იყო. ურველი ქვეყნიდან დაბრუნების შემდეგ გიორგი წერეთელი ზუმრობით შეკითხებოდა:

— ახლა როგორაა საქმე, ინგლისის სამეფოს რომელი დილაქტის მიხედვით გაეკეთე მოხსენება.

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდიუმის სხდომები ურველთვის ცოცხლად, საქმიანად მიმდინარეობდა. პრეზიდიუმის ისეთი წევრები, როგორც იყვნენ ალექსანდრე ქანდელი, ივანე ბერტაშვილი, არნოლდ ჩიქობავა, ნიკო კეცხოველი, გიორგი წერეთელი, გიორგი ძოწენიძე, რაფიელ დვალი, ირაკლი ტატოშვილი და სხვ. აქტიურ მონაწილეობას იღებდნენ საკითხების განხილვაში. ზვირად იმართებოდა აზრთა გაცვლა. გამოცვლა, კმათა. პრეზიდიუმის წევრები ჩვეულებრივ ერთმანეთს არაფერს არ „აპატებდნენ“ ზოლმე.

ჩემს მეორე ერთ-ერთი საკითხის მოხსენების დროს უფროდ თოქმის უველა პრეზიდიუმის წევრმა გაიცინა, არ იყინოდა მხოლოდ გ. წერეთელი. მე ვერ მივხვდი, რა მოხდა და ზოლო წინადადება კვლავ გავიმეორე. ახლა კიდევ უფრო გულანად გადაიხარხარეს... მე გავტეზიდი და არნოლდ ჩიქობავას შეეხვედი, რადგანაც უველაზე მეტად მისი სოცლი ისმოდა. ბატონი არნოლდი მიხვდა, რომ მე მას უსიტუვოდ ვეკითხებოდი: რა მოხდა, რაშია საქმე, სასაცილო რა ვთქვა. შეთქი.

— ბატონო სერჯი, არ შეფიქრიანდეთ, ისეთი არაფერი არ მომხდარა იმერელმა კაცმა ბრძანდა: „ეს საკითხი შეამიტანათ“, თანაც წმინდა კაბურაღ წარმოსთქვი.

მე შევბოთ ამოვიფიქრე, გ. წერეთელმა კნაწყენი კილოთი განაცხადა: „მე ვეფაფერს ვხედავ აქ სასაცილოს დეკლარაციას ჩვენ, დანარჩენები უველა სიტუვას ურველთვის დიტრატურულ ენაზე წარმოვთქვამთ! პრეზიდენტმა გიორგი დამშვიდა!

— ბატონო გიორგი, შემდეგში სერჯი, როგორც ნამდვილი იმერელი, ისე ილაპარაკებს და უველაფერი რიგზე იქნება.

გ. წერეთელი, როდესაც მეცნიერულ ძიებებში დამეხება ათენებდა, ამას ჩვენ, მის გვერდით მომუშავენი აუვლად ვეჭმობოდით. ამ დროს გიორგი აველადა აენთებოდა, აქლპილდებოდა ზოლმე, თუმცა ვინმეს საჩინო მოქმედება სრულიად გამოიტყულებოდა იყო, ერთ მაგალითს გავიხსენებ. ახლა მოხსენებელი თვით ბატონი გიორგი იყო. მოხსენების დროს ჩერდებოდა ზოლმე და პრეზიდიუმის წევრებს ავერდებოდა. შენაშნა, რომ პრეზიდიუმის ერთი წევრი კერს მისჩერებოდა. განერვიულდა: — „ჩემი მოხსენების რომელი დებულეზაა კერში დასტაბული, რაშია საქმეო“. და ზურა მოხსენების ტექსტი და დაქდა. შეიქნა უნებრული მდგომარეობა. პრეზიდიუმის იმ წევრმა, რომელიც კერს მისჩერებოდა ახლა ზელეში დაწყო მაგიაღზე და მათ დააჩერდა, ზმა არ ამოიღო. დამაბულობიდან ბატონმა ნაკომ გამოგვიყვანა:

— ბატონო გიორგი, მე ვითხოვ თქვენთან ბოდიშს, ეს ჩემი ბრალია, პრეზიდიუმის წევრები მე არასოდეს არ გამოფრთხილებია. თუ საით შეიძლება ცქერა მოხსენების დროს. დაბეჭითებით ვხოვთ, გააგრძელოთ მოხსენება, თქვენ შეტად სანტერესო მასალა წარმოადგინეთ. გიორგი წერეთელმა შეთანხმდა დუმილი არჩია, შემდეგ კი საუბარი შეტად ცოცხლად გააგრძელა.

ერთი ცხადი იყო: ასეთი გულფიცხოზა მას ერთ საათში აღარ ახსოვდა. მაინც მის ამ თანხილუტრებას აკადემიაში ურველთვის უწვევდით ანგარიშს.

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდიუმის სხდომები სულ მცირე ორ კვარში ერობოდ მაინც ეწეოდა. პრეზიდიუმის განსახლებულ საკითხთა როდენობა საშუალოდ 20 იყო ზოლმე, მუშაობის ხანგრძლიობა მ. ს. საათი. პრეზიდიუმის სხდომა ჩვეულებრივ მეცნიერული მოხსენებით იწეება, ერთ საათამდე დრო მანზედაც ახარქება. როგორც ვხედავთ, პრეზიდიუმის სხდომები გვარაიანი დატორთვით მიმდინარეობს. ბატონი ნიკო მუსხელიშვილი იუმორი ამ დამაბული მუშაობისას დრო და დრო დამატებას უწევდა პრეზიდიუმის წევრებს, რომ არ გადაქანცულიყვნენ. ზოგჯერ ამ ცდუნებას მეც აყუვებოდი. ზოლმე, მაგრამ არასე, რომ მუშაობის რიტმი დამერდებია. პრეზიდენტი, ვიცე-პრეზიდენტები, განყოფილება.

თა აკადემიკოსი-მდივანი, პრეზიდენტის სხვა წევრები ჩემს ზემოხსენებულ ღონისძიებას და არა მარტო არ ეტოვებოდნენ. მოხდა პრეზიდენტისა და წევრთა შემადგენლობაში ცვლილებები და ერთი მეცნიერი და ამავე დროს დიდი თანამდებობის პირი აირჩიეს პრეზიდენტის წევრად. ორი თუ სამი სხდომის შემდეგ იგი წავიდა პრეზიდენტის მსვლელობისას და ავტორიტეტულად განაცხადა: „საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტის სხდომა არის უადრესად სერიალური საქმე და ჩვენ არ უნდა დავუშვათ აქ ისეთი ვახუმორებები, რომელსაც ზოგჯერ აკადემიკოსი დურმინიძე მამართავს ხოლმე. ჩვენი მუშაობა უნდა გამოიჩინოს უმაღლესი და მკაცრი აკადემიციზმი. მე მოვიტხოვ, რომ ჩვენს შეკრებებზე ზემოხსენებული აღიკვეთოს“. ყველა გაკვირვებულად დარჩა, მაგრამ ვერაფერ ვერაფერი ვერ შეტყაობდა „ხელმძღვანელ ამბანას“. ნიკო მუსხელიშვილსაც კი არაფერი უთქვამს. სხდომის შემდეგ პრეზიდენტის წევრები მსჯელობდნენ: ეს განცხადება პირადად მას ეუფოვნოდა, თუ ზემოხსენებულ ორგანოების მათთვის გააკეთა. უკვლავ უხერხულ მდგომარეობაში მე ვიყავი: რა საჭირო იყო ოფიციალურად საკითხის დაყენება, ეტყობა და ხმასაც არ ამოვღებდი!

მოაღწია შემდეგი სხდომის დროს და დღიდანვე თავს ვაჭერებდი, რომ ისეთი არაფერი წამომცდენოდა, რომელიც სხდომას გაამსუბუქებდა. სხდომის დაწყების წინ გიორგი წერეთელი პირთველი გაშალა, წინა დღის

გაზეთი „ივესტია“ ამოიღო და ბატონ ნიკო მუსხელიშვილს მიაწოდა, თან ეთქვა: დაუდო, თუ რომელი სტატია უნდა წაეკეთებინა. რედაქტორ ბატონ ნიკოს თვლები გაუფართოვდა და დაიწყო ხმამაღლა კითხვა. „ივესტიის“ რედაქცია საქაბის აუენებდა ჩვენში კრებების ჩატარების ხასიათზე. იწუნებდა უსიკოცხლოდ, ხელოვნიერი სერიალულობით ჩატარებულ შეკრებებს. მოუწოდებდა ხელმძღვანელებს, რომ კრებებზე შექმნათ თავისუფალი საშუალო ატმოსფერო, ფართოდ გამოეყენებინათ იუმორი, რომ ხალხს დრო და დრო ამოესუნთქა კიდევ. წერილი დიდი იყო და ბატონმა ნიკომ ბოლომდე არ წაიკითხა. გაირკვა თუ არა „ივესტიის“ პოზიცია წმინდა და მკაცრი აკადემიციზმის მიმართ გამოვცხადდა: — „როგორც ხედავთ, ჩვენ უფლება გვაქვს სხდომების დროს, ზოგჯერ, საქმესთან დაკავშირებით ვიხუმროთ კიდევ. მე გირჩევთ სხდომის შემდეგ ყველამ წაიკითხოთ ეს სტატია. მე მომწონს მის მიერ საკითხის დაყენება“. პრეზიდენტის იმ წევრმა, ვინც წინა სხდომაზე ჩემი ვახუმორებები კანონგარეშე გამოაცხადა, აიღო ხელში გაზეთი, დარწმუნდა, რომ რასაც ბატონი ნიკო კითხულობდა, სარედაქციო წერილი იყო, და უკანვე მიაწოდა ნიკო მუსხელიშვილს.

იმ დღეს, პრეზიდენტის სხდომის შემდეგ ყველა მილოცავდა თავისუფლების კვლავ მოპოვებას. კიდევ ერთხელ გადამარჩინა „მკაცრი რედაქცია“ გიორგი წერეთელი.







## რისთვის ვფართ?

(წიგნიდან „რა ბრის ლიტერატურა“?)

ყოველი ადამიანური მცდელობა ორსაზოგანია: იგი ერთდროულად წარმატებაცაა და მარცხიც. ჩვენი, მწერლების საქმე და ადამიანური არსებობის საფუძველი წერაა. ჩვენ მთლიანად „წართლნი“ ვართ ჩვენს წაწერებში. მაგრამ ეს სრულიად არ გულისხმობს ამაზრზეენ პასიურობას: პაჩივით, ეს „წათრევა“ გააზრებული, ნებელიობითი აქტია, ჩვენი თავისუფალი არჩევანის უპირველესი და უმაღლესი გამოხატულებაა. მაშ, თუ ასეთი, დავეციოთთოთ საკუთარ თავს: „რისთვის ვწერთ“?

ყოველი ჩვენგანი საკუთარ ახსნას უძებნის ამ კითხვას: ერთისთვის ზელოვნება გაქცევა, მეორესთვის კი რაღაცის დაპყრობა, მოხელთება. მაგრამ გაქცევა, სამყაროს შფოთისგან თავის ვარკიდება განდეგოლის სენაქში, სიგუფეში ან სიკვდილშიც შეიძლება, დაპყრობა და დამორჩილება ახრადის მეშვეობით ხორციელდება. მაშ, რატომღა ვირჩევთ მწერლობას და წერას? რატომ მიიწე და მიიწე მისი დახმარებით ვაპირებთ ვარიდებას ან რაღაცის დაღამეჭვრას? იმიტომ, რომ მწერალია მისწრაფებებსა და მიზნებს საფუძვლად უდევს ყველაზეთვის საერთო და აუცილებელი ღრმა არჩევანი. მეც სწორედ ამ მიზნის წარმოჩენას ვაპირებ.

თითოეულ ჩვენს წარმოდგენას თუ აღქმას ადამიანური სინამდვილის „შეხილბედი“ ხასიათის შეცნობა ახლავს თან. ეს კი იმას ნიშნავს, რომ ყოფიერება ამ სინამდვილის წყალობით არსებობს, ანუ, სხვა სიტყვებით თუ გნებავთ, ადამიანი არის საშუალება, რომლის გამოიხიბობით ამა ქვეყნის საგნები შეღავანდებიან. სამყაროში ჩვენი არსებობა ამრავლებს კავშირებს — სწორედ ჩვენ ვამყარებთ მიმართულებას ამ ზესა და ზეცის ამ კიდეს შორის, ჩვენი დამახატურება, რომ საუკუნეების წინათ მინავ-

ლებული ეს ვარსკვლავი, ეს ნაკლები მოვარე და ბნელი მდინარე კონკრეტულ პეიზაჟში იყრის თავს. ყოველი ჩვენი აქტი სამყაროს ახალ სახეს წარმოაჩენს. მაგრამ თუ კი ვიცით, რომ ყოფიერების „აღმომჩენი“ ვართ, ისიც კარგად მოგვეხსენება, რომ „ყოფიერების მწარმოებლებად“ საკუთარ თავს ვერ ვიგულებთ. თუ კი ამ პეიზაჟს ზურგს მივუბრუნებთ, მოწმის ვარეშე შთინილი, იგი სიბნელეში შთაინთქმება. დაბ, ასეც იქნება, მაგრამ, აბა, ვინ ვიყო მოყვება იმის მტკიცებას, რომ იგი ერთხელ და სამუდამოდ გაქრება? შეიძლება ჩვენ ვაქცეთ არაფრად. მაშინ სამყარო საღათის ძილს მიეცემა, მანამ, სანამ არ გამოჩნდება სხვა ცნობიერება, რომელიც მას ამ ძილქუშიდან გამოიხსნის. ამრიგად, შეგრძნებას იმისა, რომ ვართ „ნიღბების ჩამოშლენი“, თან ახლავს „წარმოჩენილი საგნის“ მიმართ ჩვენივე საკუთარი არსებობის არახედალდებულ ხასიათის შეცნობაც.

შატბრული შემოქმედების ერთი ძირითადი ბიძგი სამყაროს მიმართ ჩემი საკუთარი აუცილებლობის, ჩემი ადამიანური არსებობის სავალდებულო ხასიათის შეგრძნების მოთხოვნილებაა: ე. ა. მუტრს შევიგრძნო, რომ ჩემი არსებობა, ამ თუ გნებავთ „პიროვნულობა“, აუცილებელია იმისთვის, რომ იარსებოს ამ სამყაროში, ყოველივემ, რაც ჩემს გარშემოა. როდესაც ვქმნი მავან ფორმას ამ მდებლობით თუ ამ ზღვისა, რომ ადამიანის სახეს ამა თუ იმ გამომეტყველებას ვანიჭებ, რომ წესრიგი შემიქვს იქ, სადაც იგი არ შეგულება, რომ სამყაროში განფიქრებულ საგნებს ერთიანობას შევქნე (ე. ა., რომ ჩემივე აქტით, ჩემი გონებისთვის ჩვეულ წესს შევიტან უწყესო, გონიერ წყობას მოკლებულ სამყაროში), მებედაება შეგრძნება, რომ თვით-

ვე ვარ ამ საგნების, მათი წესისა და რიგის შემოქმედელი, ე.ი. ვგარძნობ, რომ ვარ აუცილებელი, საჯაროდებელი ჩემი შემოქმედების მიმართ.

მაგრამ ჩემს მიერ „შექმნილი“ საგანი გამარბის: მე არ შემიძლია ერთდროულად „წარმოვაჩინო“ კიდევ და შევქმნა. შემოქმედება შემოქმედებით აქტიურობასთან მიმართებაში არააუცილებლად შეჩვენება: ის, რაც შევქმენი, რასაც სხორცი შევასხი, რაც ვაფაქეთი, არ არის დადგამებული აუცილებლობის ბეჭდით. თუ კი სხვებს ჩემს მიერ შექმნილი საგანი უკვე საბოლოოდ განსაზღვრულად, ჩამოყალიბებულად მიჩნეათ, მე ხომ ვიცი, რომ მან შეიძლება სახე იცვას; თვით მე შემიძლია სახე ვუცვალო მას, შევასწავრო ეს სახე, ეს სახე, ეს სიტყვა (ერთი შევუნაცვლო მეორეს) — ამრიგად, ჩემს მიერ შექმნილი ხატა სამართადავო არ არის. შეგარდი ეკითხება ოსტატს: „როდის შემიძლია ჩემი ნახატი დასრულებულად ჩავთვალო?“ ოსტატი უპასუხებს: „როდესაც შეძლებ გაოცებით შეხედო მას და საკუთარ თავს უთხრა: „ეს მე შევქმენი“. ეს კი იგივეა, რომ თქვა „აროდის“, რადგან, ასე რომ არ იყოს, მაშინ შენ სხვისი თვალთ უნდა შეხედო შენსავე ქმნილებას და წარმოაჩინო ის, რაც (თითქოსდა) სხვა შექმნა. ე. ი. უნდა დადგე იმ პოზიციებზე, რაზედაც შემოქმედებით აქამდე იდეტი, შემოქმედებით აქტიურობასა და ნაშრომდართი ჭერტას შორის დიდი მანძილია.

როცა თაბის ჭერტებულ ვერწავთ, ტრადიციულ წარმების ვერაქნობით და იყენებთ იმ იარაღებს, რომელთა მხარების წესი ერთბედა და სამუდამოდ დადგენილია. ამ შემთხვევაში ჩვენ შევკვლილი, დავიკვათ ობიექტურობა ჩვენივე შემოქმედების მიმართ, რადგანაც ჩვენი შრომის შედეგად ჩვენთვის საკმაოდ უცხოა. მაგრამ როცა შემოქმედების წესებს ჩვენივე ვადგენთ. კრიტიკიურობებსაც თვითვე ვაუღიბებთ. თუ კი ჩვენი შემოქმედებითი იპულსები გულის სიღრმეიდან მომდინარეობს, მაშინ შემოქმედებაში ჩვენ საკუთარ თავს ვხედვით და სხვას არავის: ეს ჩვენი, ეს ჩვენ ვართ. ის კანონების, რომელთა საფუძველზე უნდა ვიმსყელოთ ჩვენს შემოქმედებაზე, ჩვენივე შევქმნილი და ჩამოვაყალიბებთ. ჩვენს ნაწარმოებში ჩვენი ისტორია, ჩვენი სიყვარული და ჩვენი სიხარული ირცელება. უკველივე ამას ჩვენს ნაწარმოებში „კედლები“. შედეგად, რასაც ტილოზე ან ფურცელზე ვადწვთ, არავლად ვეჩვენება ობიექტური; ჩვენ კარგად ვვახსოვს, თუ რა ძალთახმევით შევქმენით ეს სურათი თუ ეს ნაწარმოები, რამდენი რამ „ჩაეაქსოვეთ“ მასში. ეს შეთოლები და ზრუნები სუბიექტური მიგნებანია: ისინი თვით ჩვენ ვართ, ჩვენი შეაგონება და ჩვენი ცხიერება; და თუ კი ნაწარმოების გააზრება მოვიხურვით, ეს ომს ნიშნავს, რომ ბელმეორედ ვქმნით მას, გონებაში ვიმე-

ორებთ იმ ობიექტებს, რომელთა წყალობით იგი ერთბედა უკვე შეიქმნა. უკველივე მისი ასპექტი, ჩვენთვის, იმთავითვე შედეგად მხარსა გადა, აღქმაში საგანი აუცილებლად იქნება, სუბიექტი კი საკუთარ არააუცილებლობას წარმოგვიჩენს. სხვები ჭერტენ და მსყელობენ — მათთვის აუცილებლად არსებული არის ის, რასაც ახლა ჭერტენ, ის, ვინც შექმნა, მეორე პლანზე გადადის, არაარსებითია. მაგრამ შემოქმედი თავისი შემოქმედებით სწორედ საკუთარი არსებითობის დამტკიცებასა და მოხვეჭას ესწრაფვის და ამ დროს შემოქმედი, ანუ სუბიექტის არსებობის ფონზე უკვე ობიექტი ხდება არაარსებითი.

ამრიგად, თუ კი აღქმაში არსებითია ობიექტი, სუბიექტი კი არარსებითი, შემოქმედებით აქტივი როდები იცვლება. ეს დააქტატოა ყველაზე აშკარად თავს იჩენს მწერლობაში, რამეთუ ლიტერატურის ობიექტი უცნაური ჩიკორის მსგავსი რამაა, რომელიც მხოლოდ მოძრაობაში და მოძრაობის გამოისობით არსებობს. ამ ობიექტის წარმოსაჩენად საჭიროა კონკრეტული აქტი, რომელსაც კითხვა ეწოდება და ობიექტი არსებობს ამ დროის მანძილზე, რა დროსაც იყავებს კითხვა. კითხვის გარეშე ბელთ შეგარჩება მხოლოდ გარძნა შევიმწეროთ თვით ფურცელზე. ასე რომ მწერალს არ ძალუბს წაეკობოს ის, რაც დაწერა, მაშინ, როცა მავანი მეწაღე საკუთარი ბელით შეცირილ ფუნსაცემელს იცვამს, მავანი არქიტექტორს კი მის მიერვე აგებულ სახლში ცხოვრობს. ეკითხვისა მუდამ რაღაცას ებოღებო, რადგანაც განჭერტი ფრაზის დასასრულს, მომდევნო წინადადებას, შემდეგ ვერდს; ელოდები, აღსრულებება თუ არა შენი წინაწარჭერტი, შენი მოლოდინი, კითხვა შედეგება მიპოვერებისაგან, ოცნებისა და უცეარი გამოფხილვებისაგან, იმედისა და გულგატბოლობისაგან. მკითხველი მუდმივ წინ უსწარებს ფრაზას, რომელსაც ახლა კითხულობს. იგი სავარაუდო მომავალშია გადასული, რომელსაც ან უწერია, ან არა საბოლოო განხორციელება. ეს მომავალი ნაბიჯ-ნაბიჯ უკან იბრებს და აღვეს ლიტერატურული ობიექტის შორიზონს. აი, ეს მოლოდინი, ეს მომავალი, ეს შეუცნობლობა იმისა, თუ რა იქნება, აუღიბებს სწორედ ნაწარმოების ობიექტურობას. ასე, რომ წერა გულისხმობს კითხვასაც, წერის ობიექტია, ერთდროულად კითხვაცაა. ეს კი ჭეშმარიტი კითხვის შეუღლებელს ხდის.

როცა სიტყვები იზადებიან და ფორმას იღებენ, რა თქმა უნდა, ავტორი მათ ხედავს. მაგრამ არამგვარად, როგორც მითხველი, რადგან, იგი (ავტორი) მათ ადრევე იცნობდა, მაშინ, სანამ დაწერდა. მისი ხედავს არ ისახავს მინადად სიტყვების „გაცოცხლებას“. მისი ვალია მოაწესრიგოს ნიშანთა მოხაზულობა და მათი მოწყობილობა. ეს მარტეულირებელი ფუნქციაა

სწორედ ის, რასაც ავტორი არ ამბობს. ეს არის ის, რისი გამოთქმაც არ შეიძლება, რასაც „გამოუთქმელი“ შეიძლება ეწოდოს. საქმე ის კი არ არის, რომ რაღაც არ არის გამოხატული, არამედ მთავარი ის გახლავთ, რომ არის რაღაც, რისი გამოხატვა და გამოთქმა შეუძლებელია, არ ზერხდება. ამიტომ კითხვისას მას, ამა თუ იმ გარკვეულ მომენტში და განსაზღვრულ ადგილზე ვერ ვიპოვნით. იგი უვლანაა და არსად არ არის. განა თვალში საცემია კაფკას მითოლოგიის, რეალობისა და ქვეშეპარტიტების დონე? მკითხველი თვით მიაგნებს ავტორისეულ დუმილს მხატვრული ნაწარმოების „გადანწრების“ წყალობით. სწორედ ეს გახლდათ მკითხველის მარადიული სწრაფვა: გასიღებს ნაწერის საზღვრებს. მკითხველი ის მოგზაურია, რომელიც ვაკეალებს გზას მიუყვება, მაგრამ თავისთვის ბევრ ახალს აღმოაჩენს. ავტორმა, რომელმაც უფრო ადრე გაიარა ეს გზა, გზის გამკვლევი სვეტები დასვა. მაგრამ ამ სვეტების შორის სიყარბილე დატოვა. მკითხველმა სწორედ ეს ცარიელი ადგილები უნდა გაიაროს (წაიკითხოს). ერთი სიტყვით კითხვა არის შემოქმედება, მაგრამ ისეთი, რომელსაც ვეღარც, ამ შემთხვევაში, ავტორი წარმართავს. ერთი მხრივ, ლიტერატურული ობიექტის სუბსტანციას მკითხველის სუბიექტურმა ადგილს: რასაკონკრეტის ლოდინი ჩემი ლოდინია, რომელსაც მე პერსონაჟს ვუწოდებ, ვაუთვნიებ. ზიზღი, რომელსაც იგი გამოძიებლისადმი განიცდის, ჩემი ზიზღია, რომელიც გამოხატულია იწმინდებით (სიტყვებით). ჩემი ზიზღი რომ არაა, რომელსაც მე რასაკონკრეტის საშუალებით, გამოძიებლისადმი მივმართავ, არც გამოძიებელი იარსებებდა. ჩემი ზიზღი შთაბერავს მას სულს, აგია მისი ზორცი, სხეული. მეორეს მხრივ, აქვეა სიტყვები, ვითარცა მხე. ისინი იწვევენ ჩვენს გრძნობებს და მათ ისევ და ისევ ჩვენსკენ ირტივებენ. უკველი სიტყვა არის გზა ტრანსცენდენციისა, იგი სახელს აუთვნიებს ჩვენს გრძნობებს და ემოციებს, გადააქვს ისინი პერსონაჟს, რომელიც აცოტბლებს ამ გრძნობებს ჩვენთვის. თუ არა ჩვენი გრძნობები, პერსონაჟი ვერ არსებებდა. ამრიგად, მკითხველისათვის უკველივე უკვე შექმნილია და უკველივე ხელმეორედ შესაქმნელია. ნაწარმოები მკითხველის აღქმის დონეზე არსებობს. იგი კითხულმას. კითხვისას ქმნის კიდევ და ნაწარმოები ამოუწურავი ეჩვენება. ასე და ამრიგად, შემოქმედება თავის დასასრულს და სრულყოფას კითხვაში მოიპოვებს. დაწყებული საქმის დასრულებას ხელოვანი სხვას ანდობს, რამეთუ იცის, რომ მხოლოდ მკითხველის ცნობიერების შემწევობით აღმოაჩენს საკუთარ თავს, ვითარცა არსებობსა და აუცილებელს თავისივე შემოქმედების მიმართ. ამიტომაც, უკველი ლიტერატურული ქმნილება ერთგვარი მოწოდებებაა, გადააძახებია. რის

ვწერ, მე ვეზიანები მკითხველს, მოეწოდებ მას ობიექტური არსებობა შესძინოს იმას, რაც მე ენის მემკვიდრებით წარმოვაჩინე. და აი, ახალი კითხვა: არ არის ის უნარი თუ ნიჭი მკითხველისა, რომელსაც მწერალი მიმართავს? მწერალი მკითხველს თავისუფლებას მიმართავს. წიგნში ძვეს ის წანამძღვრები, რომელთა საფუძველზე მკითხველმა უნდა გამოამწეროს ესთეტიკური ობიექტი. ავტორის სუბიექტურობას არ ძალუძს ობიექტური ხასიათი შესძინოს სიუეტეს. ამ ამოცანას მკითხველი ასრულებს. ამრიგად, ავტორი მიმართავს მკითხველის თავისუფლებას და შემოქმედებითი თანამშრომლობისკენ მოუბიძგებს მას. უკველი ხელნაწერი, თავის შორე, ჩვენს თავისუფლებას მიმართავს — ის ხომ საბოლოო ეპოქა ჩვენი შესაძლებელი მოქმედების იარაღია ასე რომ, ხელოვნების ნაწარმოები ამ მხრივ არაფრით გამოირჩევა. მაგრამ ხელნაწყო სხვადასხვანაირად გამოიყვანება: ჩაქუჩით ლურსმნის ჩაქვდებაც შეგიძლია და კაცის მოკლაც. ხელნაწყო ჩვენს თავისუფლებას და ჩვენს არტევას ემსახურება, მაგრამ ნაწარმოებზე ამას ვერ იტყვი: იგი არაფერს ემსახურება, იგი ჩვენს თავისუფლებას უბიძგებს. სხვის თავისუფლებას შიშით ან იძულებით თანამშრომელად ვერ გაახლი. მისი დაუნქების უნდაფრთხილ გზა არსებობს მხოლოდ: იგი უნდა აღიარო, მის უფლებებს პატივი უნდა მიაგო და ამასთან ერთად, აბოლტურტი ნდობა გამოუცხადო. მხოლოდ ამის შემდეგ და სწორედ ამ ნდობის სახელით, შეგიძლია მოსთხოვო მას საშესაბურო, ე. ი. აქტიურტი ქმედება. ამრიგად, წიგნი არც იარაღი არც ხელნაწყო, არც რაღაც მიზნის მიხედვით საშუალებაა. მკითხველის თავისუფლების პერსპექტივად იგი თვით წარმოიშობა, როგორც მიზანი. მკითხველის წარმოსახვა ადავგებს მწვენიერ საგანს ხელოვანის მიერ დატოვებულ ნაკვალევზე. ე. ი. სიტყვებზე. ადამიანის წარმოსახვა მუდამ საკუთარი თავის გარეთაა მიმართული, მუდამ „რეალშია ჩართული“. როცა საკითხი მწერლობას ეტება, ეს „არადაც“ გახლავთ სიტყვა, ფრაზა ან წიგნი. ერთია მწვენიერება ბუნებისა და სხვა მწვენიერება, რომელსაც ხელოვნება ეწარაფვის. ხელოვნების ნაწარმოებს არა აქვს მიზანი, იგი თვით არის მიზანი (უკველის სიღამაზე, ფორმათა სიმეტრიას და ფერადოვნებას რომ ეჭვტრტო, მუდამ ამ კითხვის უწყვეთ საკუთარ თავს: რისთვისაა უკველივე ეს, ან რა მიზანს ემსახურება? ჰოდა, ამ დროს რაღაც უმაღლეს, უკველის მიღმა არსებულ მიზანზე ვფიქრობთ. წიგნის შემთხვევაში კი ასე არ არის). უკველი ნახატის ან წიგნის ხილტმებიდან ისმის ძახილი, მოწოდება. კანტი ფიქრობს, რომ ნაწარმოები თავდაპირველად არსებობს, როგორც ფაქტი, შემდეგ კი ზდება „დანახული“ ან „წაკითხული“. ე. ი. წიგნის არსებობას წიგნის

და ზედვა ამ შემთხვევაში ახალ არაფერს ეუბნება შემოქმედს. იგი მხოლოდ ხელის მიერ დაშვებულ შეცდომებს აღწესსავს. მწერალი არ განჭვრტებს, არც არაფერს ექვიანობს, არც მიმოთვრებს გამოდევნება. იგი მხოლოდ გარკვეულ გეგმას ახორციელებს. ისეც ხდება, რომ მწერალი ელოდება შთავრინებას. შთავრინების ლოჯიკი კი საკუთარი თავის ლოჯიკისა და იგი არ მგავს იმ მხოლოდის, ვიდაც სხვას რომ ველოდებით. თუ კი მწერალი შეუპოვანდა, თუ კი ჭრკ იდევ არ იცის, რა მოვლას მის ვიძებს, ეს მხოლოდ იმას ნიშნავს, რომ ჭრკ იმაზე არ უფიქრია, საბოლოო გადაწყვეტილება ამ მიუღია. მისთვის მომავალი თეორი, სუფთა ფურცელია, მაშინ, როცა მკითხველისთვის. აი, ეს ორასი ან ოთხასი გვერდია, რომელიც მას წიგნის დასასრულს ახორციებს. ასე, რომ მწერალი უკვედ ნაბიჯზე ეხდება საკუთარ ცოდნას, საკუთარ ნებას, საკუთარ წაჩხვებს. ერთი სიტყვით, საკუთარ „მე“-ს, იგი უკვედგან საკუთარ სუბიექტურობას აწუდება. ობიექტი კი, რომელზეც იგი ქმნის, საჩინო არის ვარეთა, მოუხელთებელია. მწერალი ამ ობიექტს სხვისთვის არ ქმნის. მისივე საკუთარი ფრაზა, მის თვალში, ნივთად აროდეს იქცევა. მწერალი მიდის სუბიექტურობის წვდართან, მაგრამ არ კი გადაღლახვს მას. იგი აფხვებს ამა თუ იმ სიტყვათშეთანხმებისა თუ სენტენციის ეფექტს. მისწონს დროულად, სხარტად მომზობილი ზედსართავი და ა. შ. მაგრამ შევარინებანიც და ზედსართავი სახელბიცი ეფექტს სხვებზე, ამ შემთხვევაში, მკითხველზე ახდენენ. მწერალს, ემიერებ, ამ ეფექტის დაფასება, ამ თუ გვერვათ, შეფასება შეუძლია, მაგრამ მისი განცდა არ ძალუძს. პრუსტიანთვის მოლოდინელობა არ უყოფილა შარლიუს მამათმავლობა, რადგანაც შარლიუ პრუსტის თხზულების, „დაკარგული დროის ძიებაში“, ერთ-ერთი პერსონაჟია. ეს მისთვის ადრეც, რომანის შექმნამდეც, ცნობილი იყო. თუ კი მწერლის თვალში ნაწარმოებმა ოდესმე უმცირესი მაინც ობიექტური ხასიათი შეიძინა, ეს იმიტომ, ეტყობა, წლები გაუიდა და მან თავისი ნაწარმოები დაიყოფა (ასე დემარტა რუსოს, რომელმაც სიცოცხლის ბოლოს გადაიკითხა „საზოგადობრივი ზელშეყრულება“).

რა თქმა უნდა, უკვედგავარ საფუძველს მოკლებულია მტიციება იმისა, რომ მწერალი საკუთარი თავისთვის წერს: ეს უკველზე დიდი მარცხია იქნებოდა. შემოქმედებითი აქტი თავისთავად ერთი არასრული და ანსტრუქტული მომენტია ნაწარმოების შექმნის პაროცესში. მწერალი რომ მარტო იყოს ამქვეუნად. იგი შეიძლება ეწერა მანამ, სანამ მოხსურებდა, სანამ არ დაიღებოდა, ან იმედს არ დაჰკარგავდა. მაგრამ წერა გულსხმობს კითხვის ოპერაციასაც, როგორც თავის დაიღებუიერ კორელატს. მხოლოდ ავტორისა და მკითხველის

ერთიანი მდებლობა წარმოაჩენს იმ კონკრეტულ და წარმოსახვით ობიექტს, რომელსაც ჩვენ მხატვრულ ნაწარმოებს ვუწოდებო. ხელდებლობა არსებობს სხვისი გამოისონობა და სხვისთვის. ეს სხვა კი მკითხველი ვახლოთკითხვა არის აღქმისა და შემოქმედების სინთეზი: იგი ერთდროულად სუბიექტისა და ობიექტის არსებითობას, აუცილებლობას აფუძნებს. ობიექტი არის არსებითი, რამეთუ იგი არის მკაცრად ტრანსცენდენტური, რამეთუ მას საკუთარი სტრუქტურა ვაჩინა; სუბიექტი არსებითია არა მხოლოდ იმიტომ, რომ იგი წარმოაჩენს ობიექტს, არამედ იმიტომაც, რომ იგი მიწოდებულა, აბსოლუტური არსებობა შეძინოს ამ ობიექტს, ე. ი. მკითხველი ერთდროულად წარმოაჩენს და ქმნის: იგი შეიცნობს, რომ წარმოაჩენს ქმნადობის მეშვეობით და ქმნის წარმოჩენის წუღალობით. კითხვა არ არის შექანიეროი აქტი. თუ კი მკითხველი დაღლილია, თუ კი გონება გაუფრტა, ბევრი ურთიერთკავშირა მის ურრადღებას გაეციევა. ამ დროს ნაწარმოების შთიანა აღქმა ირღვევა და მკითხველიც ადგა-აღაგ თუ იგებს რასმე-მაგრამ თუ კი იგი „ფორმაშია“ და ურრადღებაც დაძაბული აქვს, მაშინ შესძლებს სიტყვების მიღმა აღმოაჩინოს სინთეტურა ფორმა, რომელთაში მიმართებაშიც თითოეული ფრაზა ნაწილობითი ფუნქციის მატარებელი შეიქმნება. შინაარსი და აზრი სიტყვებში კი არ უნდა ვეძიოთ, არამედ მათი მეშვეობით უნდა ჩაწვედეთ თითოეული სიტყვის მნიშვნელობას. ლიტერატურული ობიექტიც, მიუხედავად იმისა, რომ იგი ენაში იხსამს ბორცს, აროდება მოცემული ენაში. იგი, თავისი ბუნებით დუმილია და ენასთან პაექრობა. ამრიგად, შეიძლება წაიკითხო ათასობით სიტყვა, მაგრამ ნაწარმოების აზრს ვერ ჩაწვდა.

აზრი არ არის სიტყვათა კრებადობა; იგი მათი ორგანული ერთიანობაა. არაფერი გამოვა, თუ კი მკითხველი იმთავითვე არ ავიდა ამ დუმილის სიმაღლეზე. მან უნდა გამოიყნოს ეს დუმილი და მასში შოაკციოს სიტყვები და შთელი წინადადებება. რომელთაც მხოლოდ ამჯარად თუ შთაბერავს სიცოცხლეს. მე არ ვამტაკებ, რომ ეს ერთხელ კიდევ შექმნილის ხელმეორედ შექმნა. მაგრამ, თუ მაინც ასეა, მაშინ ეს აქტი, მართლაც, ხელმეორედ შექმნის ამჯარანება. ე. ი. მკითხველი თვით ხდება შემოქმედი.

თუ კი ვამბობ, რომ დუმილი არის უმაღლესი მიზანი, რომელსაც მწერალი ესწრაფვის, იმასაც ვგულისხმობ, რომ ეს დუმილი თვით ავტორს არ განუცდა. მისი დუმილი სუბიექტის დუმილი, რომელსაც მეორედ დააკონკრეტებს და სიტყვებს არყოფნა. ეს არის შთავრინების დუმილი, რომელსაც მერე დააკონკრეტებს სიტყვები. მკითხველისეული დუმილი კი ობიექტურია და ამ ობიექტის წიაღში შოაოფება

სწორედ ის, რასაც ავტორი არ ამბობს. ეს არის ის, რისი გამოთქმაც არ შეიძლება, რასაც „გამართლები“ შეიძლება ეწოდოს. საქმე ის კი არ არის, რომ რაღაც არ არის გამოხატული, არამედ მთავარი ის ვახლავთ, რომ არის რაღაც, რისი გამოხატვა და გამოთქმა შეუძლებელია, არ სურსებია. ამიტომ კიბვისას მას, ამა თუ იმ ვარკვეულ მომენტში და განსაზღვრულ ადგილზე ვერ ვიპოვნი. იგი უკვლავაა და არსად არ არის. განა თვალში საცემია კაცის მითოლოგიის, რეალობისა და ჭეშმარიტების დონე? მკითხველი თვით თავად ეტყობის ეტკობისეულ დღეში მხატვრული ნაწარმოების „დადასწრების“ წყალობით. სწორედ ეს გახლდათ მკითხველის შარადიული სწრაფვა: გასდეს ნაწერის საზღვრებს. მკითხველი ის მოგზაურია, რომელიც გაკვალულ გზას მიჰყვება, მაგრამ თავისთვის ბერს ახალს აღმოაჩენს. ავტორმა, რომელმაც უფრო ადრე გაიარა ეს გზა, გზის გამკვლევი სვეტები დასვა. მაგრამ ამ სვეტებს შორის სიცარიელე დატოვა. მკითხველმა სწორედ ეს ცარიელი ადგილები უნდა გაიაროს (წაიკითხოს). ერთი სიტყვით კითხვა არის შემოქმედება, მაგრამ ისეთი, რომელსაც ვიღაც, ამ შემთხვევაში, ავტორი წარმართავს. ერთის მხრივ, ლიტერატურული ობიექტის სუბსტანციას მკითხველის სუბიექტურობა ადგენს: რასკოლნიკების ლოდინი ჩემი ლოდინია, რომელსაც მე პერსონაჟს ვუწილავებ, ვაყოფებ. ზოლი, რომელსაც იგი გამოჰმეობისადაც ვანიცდის, ჩემი ზოლია, რომელიც გამოხატულია ნიშნებში (სიტყვებში). ჩემი ზოლი რომ არა, რომელსაც მე რასკოლნიკის საშუალებით, გამოძიებისადაც ვიწმინდავ, არც გამოჰმეობელი იარსებებდა. ჩემი ზოლი შთაბრძნის მას სულს, იგია მისი ხორცი, სხეული. მეორეს მხრივ, აქვეა სიტყვები, ვითარცა მახე. ისინი იწვევენ ჩვენს გრძნობებს და მათ ისევ და ისევ ჩვენსკენ ირყვალენ. უკველი სიტყვა არის გზა ტრანსცენდენტისა. იგი სახელს აუთენებს ჩვენს გრძნობებს და ემოციებს, გადააქვს ისინი პერსონაჟზე, რომელიც აცოცხლებს ამ გრძნობებს ჩვენივით. თუ არა ჩვენი გრძნობება, პერსონაჟი ვერ იარსებებდა. ამრიგად, მკითხველისთვის უკველივე უკვე შემქმნილია და უკველივე ხელშეკრულ შეხამებულია. ნაწარმოები მკითხველის აღქმის დონეზე არსებობს. იგი კითხულობს. კითხვისას ქმნის კიდევ და ნაწარმოები ამოუწერავი ეჩვენება. ახე და ამრიგად, შემოქმედება თავის დასასრულს და სრულყოფის კითხვაში მოიპოვებს. დაწვებული საქმის დასრულებას ზელოვანი სხვას ანდობს, რამეთუ იცის, რომ მხოლოდ მკითხველის ცნობიერების შემწეობით აღმოაჩენს საკუთარ თავს, ვითარცა არსებითსა და აუცილებელს თავისივე შემოქმედების მიმართ. ამიტომაც, უკველი ლიტერატურული ქმნილება ერთგვარი მოწოდებაა, გადააქვს ილია. არს

ვენერ, მე ვებმანები მკითხველს, მოვწოდებ მას ობიექტური არსებობა შესწინოს. იმის რაც მე ენის მეშვეობით წარმოვარჩინე და უკველი კითხვა: რა არის ის უნარი თუ ნიჭი მკითხველისა, რომელსაც მწერალი მიმართავს? მწერალი მკითხველის თავისუფლებას მიმართავს. წიგნში ძეგს ის წინამძღვრები, რომელთა საფუძველზე მკითხველმა უნდა გამოაშუქროს ესთეტიკური ობიექტი. ავტორის სუბიექტურობას არ ძალუძს ობიექტური ხასიათი შესძინოს სიუჟეტს. ამ მოცანას მკითხველი ასრულებს. ამრიგად, ავტორი მიმართავს მკითხველის თავისუფლებას და შემოქმედებითი თანამშრომლობისკენ მოუხმებს მას. უკველი ზელნაწერი, თავის მხრივ, ჩვენს თავისუფლებას მიმართავს — ის ხომ საბოლოო ქაში ჩვენი შეხამდებელი მოქმედების იარაღია ასე რომ, ზელოვანობის ნაწარმოები ამ მხრივ არაფრით გამოირჩევა. მაგრამ ზელნაწერ სხვადასხვანაირად გამოიყენება: ჩაქრით ლურსმნის ჩაქვდებაც შეგაძლია და კაცის მოკვაც, ზელნაწერ ჩვენს თავისუფლებას და ჩვენს აჩრევანს ემსახურება, მაგრამ ნაწარმოებზე ანს ვერ იტყვი: იგი არაფერს ემსახურება, იგი ჩვენს თავისუფლებას უხმობს. სხვის თავისუფლებას შიშით ან ძიულებით თანამშრომლებლად ვერ ვაიხიდი. მისი დაუნქების ერთადერთი გზა არსებობს მხოლოდ: იგი უნდა აღიარო, მის უფლებებს პატივი უნდა მიაგო და ამასთან ერთად, ამოღულტური ნდობა გამოუცხადო. მხოლოდ ამის შემდეგ და სწორედ ამ ნდობის სახელით, შეგაძლია მოსთხოვო მას სასახურა, ე. ი. აქტიური ქმედება. ამრიგად, წიგნი არც იარაღია არც ზელნაწერ, არც რაღაც მიზნის მიხაღწევი საშუალებაა. მკითხველის თავისუფლების მიმართის მდგარი, იგი თვით წარმოდება, რაც გორც მიზანი. მკითხველის წარმოსახვა ადღევენს მშვენიერ საგანს ზელოვანის მერ დატოვებულ ნაკვალევზე. ე. ი. სიტყვებზე. აღმაინის წარმოსახვა მუდამ საკუთარი თავის გარეთა მიმართული, მუდამ „რგოლშია ჩართული“. როცა საკითხი მწერლობას ეხება, ეს „რადაც“ გახლავთ სიტყვა, ფრაზა ან წიგნი. ერთია მშვენიერება ბუნებისა და სხვა მშვენიერება, რომელსაც ზელოვანი ესწრაფვის. ზელოვანების ნაწარმოებს არა აქვს მიზანი, იგი თვით არის მიზანი (უკვალის სიღამაზე, ფორმითა სიმეტრიას და ფერადღვენებას რომ ვკურტო, მუდამ ამ კითხვას ეუსვამო საკუთარ თავს: რისთვისაა უკველივე ეს, ან რა მიზანს ემსახურება? მოდა, ამ დროს რაღაც უმადული, უკვალის მიღმა არსებულ მიზანზე ვეიქრობო. წიგნის შემთხვევაში კი ისე არ არის). უკველი ნახატის ან წიგნის სიღრმევიდან ისმის ძახილი, მოწოდება. კანტე ფიქრობს, რომ ნაწარმოები თავდაპირველად არსებობს, რაც გორც ფაქტი, შემდეგ კი ხდება „დანახული“ ან „წარკითხული“. ე. ი. წიგნის არსებობას წიგნის

კითხვა არ განპირობებს. იგი, უპირველეს ყოვლით, არის წმინდა მოწოდება, არსებობის მოთხოვნა. წიგნი არ არის იარაღი, ზღვასწავრობის არსებობა აშკარაა, ხოლო მიზანი ერთობა და სამუდამოდ განსაზღვრული. იგი არის ამოცანა, ან თუ გვებავთ მიზანი, რომელიც უნდა განხორციელდეს. იგი კატეგორიული იმპერატივია. თქვენ შეგიძლიათ, დატოვოთ წიგნი მაგიდაზე, ზედიე არ ახლათ მას; დიახ, თქვენ გაკვეთ ამის უფლება. მაგრამ ვადაშლით თუ არა უდას, იმ წამიდანვე კანტულობთ პასუხისმგებლობას. თავისუფლება შემოქმედებით აქტივიზირდება, რამეთუ თავისუფლება გულისხმობს ქმედებას. სწორედ ადამიანური აქტივიზმით ხდება ადამიანური თავისუფლების განცდა. ერთი სიტყვით, თავისუფლება და ქმედება განუყოფელი ცნებებია. სწორედ თავისუფალ ქმედებაში ხდება რამიმე გარკვეული ღირებულების აღმოჩენა და დაფუძნება. ჩვენს შემთხვევაში ეს ღირებულება ხელოვნების ნაწარმოებია.

თუ კი მე შევშარბავ ჩემს მკითხველს და ვანდობ მას ჩემი დაწვებული საქმის გასრულებას, აშკარაა, რომ მე მას თავისუფალ შემოქმედებას ვთხოვ. მე არ ძალმიძს მას იმთავითვე ჩაუდუნებოთ შიში, სიძულვილი ან რისხვა. რაიან ავტორები, რომლებიც ამას ესწრაფვიან (ცერსიოდეს ბავშვები გამოჰყავდა სცენაზე). ვნებას როცა ეტება საქმი, ჩემი გრძობების აშკარა წარმოჩენა მკითხველის თავისუფლების გაუცხოებას იწვევს. ამ შემთხვევაში წიგნი ხდება რაღაც გარკვეული გრძობის გაღვივების საშუალება. მწერალი არ უნდა ესწრაფოდეს მკითხველის აღფრთხილებას ან შედარსუნებას. ამით იგი საკუთარ თავს და საკუთარ მოწოდებას ეწინააღმდეგება. მან მკითხველს უნდა დაუსაბამო ამოცანა, რომელიც თვით მკითხველმა უნდა გადაწყვიტოს. მე ამას „ესთეტიკურ უკუგებას“ ვუწოდებ. ეფენის ახრით სწორედ ამასი გამოიხატება „მკითხველის მიმართ მწერლის თავაზიანობა“.

კითხვა არის ნებას მინდობილი ოცნება ან სიშარბი. მე შემიძლია უკველ წაბს გამოფხიზლდე, მაგრამ არ კი მსურს. უკველი გრძობა, რომელიც კითხვისას მუდუდება, ჩემი თავისუფლების გამოვლენებაა. რასკლდნიკოვი მხოლოდ ჩრდილი იქნებოდა, რომ არა ის გულისტკივლი და თანაგრძნობა, რომელსაც მე მისდამი ვაწვდიდი. მაგრამ შთაგნის ის არის, რომ მისი ქცევა კი არ განპირობებს ჩემს გულისტკივალს და თანაგრძნობას, არამედ ჩემი აღფრთხილება და პატივისცემა შესძენენ ობიექტურობასა და სიმტკიცეს მის ქცევებს.

ავტორი ითხოვს მკითხველისაგან, რომ იგი

მთელი თავისი მგრძობილობით „ჩაერთოს“ კითხვაში, მოახლოს საკუთარი ტექსტისგან და შეფასებისას საკუთარი სწავლის აქტივობა ვაწვდოს. ადამიანი, კითხვისას, მალე შევერვალებს ლაშქრავს და კითხვაში სწრაფად აღმოჩანს იმ თავისუფლებას, რომელსაც აქამდე საკუთარ თავში ვერ ვკვებდა.

ამრიგად, ავტორი წერს, რათა მიმართოს მკითხველის თავისუფლებას, რამეთუ სურს სწორედ ამ თავისუფლების ქველობით არსებობა შევძინოს საკუთარ წმინდობას. მაგრამ იგი იმასაც ითხოვს, რომ მკითხველმა მისი თავისუფლებაც აღააროს, დაუბრუნოს მას ნდობა, რომელსაც თვითვე უცხადებს მკითხველს. და აქ წარმოჩენდება კიდევ ერთი დიალექტიკური პარადოქსი: რაც უფრო მჭიდროდ განვიცდით კითხვისას საკუთარ თავისუფლებას, მით უფრო მეტად ვაღიარებთ სხვისას. რაც უფრო მეტს ვვთხოვთ ავტორი, მით უფრო მეტს ვითხოვთ მისგან.

როცა რაღაც პეზუთი ვიხიბლები, ვეცი, რომ იგი მე არ შემიქმნია, მაგრამ ისიც ვეცი, რომ კავშირები, რომელიც შეარდება ჩემს თვალწინ ხეებს, ფოთლებს, მიწასა და ბაღებს შორის, ჩემს გარშე არ იარსებებდა.

კითხვა არის მკითხველსა და ავტორს შორის დადებული გულითადადობის, დიდსულოვნების პაქტი. თითოეული ნდობის უცხადებს მეორეს, ერთს მეორეს იმედი აქვს, ითხოვს მეორისგან იმდენს, რამდენსაც საკუთარ თავს მოსთხოვს. არც ერთი და არც მეორე, არ ბედადუფენ პარტიკორის თავისუფლებას. ამრიგად, მწერლისა და მკითხველს შორის შეარდება დიალექტიკური ურთიერთობა, რომლის საფუძველი თავისუფლებაა.

შმატკრული ნაწარმოები არ იფარგლება მხოლოდ იმ საგნით, რომელიც აღწერილი, დახატული ან გამოქმნილია. ისევე, როგორც ნებისმიერი ნივთი, ხელოვნების მიერ წარმოჩენილი საგანიც, სამუაროს ფონზე აღიქმება. ფაბრის დელ დონგოს თავადასაველის უკანა ზედი XVII საუკუნის ოციანი წლების იტალია, ავტორია და ხატრანტელი გახლავთ. შმატკრის მიერ შემოთავაზებული ეს მინდობი, თუ ეს უკვალობით სავსე ღარნაკი ის ხარკმელია, რომელიდანაც მთელ სამუაროს ეჭვრეტო. ვან-გოგის მიერ დახატულ, თავთავებით შემოფენილ მოწითალო ბილიეს შორს მიყვავართ. იგი სხვა მინდობრ-ველებს გადაჯვარტარებს, სხვა ღრულებს მოგვახილენებს და, საბოლოოდ, იმ მდინარესთან მიგვიყვანს, რომელიც უკიდურესო ზღვას ერთვის. ასე ვეზიარებთ უსასრულობას ხელოვანისას და მისი ხელოვნების საბოლოო მიზანიც სწორედ ეს არის. ამრიგად, ამ კონკრეტულ საგნებში, რომელთაც ხელოვანი წა-

<sup>1</sup> ეფენი ტან (1910-1986) — ფრანგი მწერალი.

<sup>1</sup> ფაბრის დელ დონგო — სტენდალის რომანის „პარმის საგანე“ გმირი.

რმოციდდენს, იგი შიფლი სამუაროს ჩაჭერას  
 ესწრაფვის: ყოველი ტილო თუ წიგნი ყოფიე-  
 რების ტოტალურობის მოხვედრის ცდაა. ამ ტო-  
 ტალურობას მწერალი მაყურებლის თუ მკითხ-  
 ველის თავისუფლების სამსჯავროზე გამოიტანს.  
 ხელოვნებაც ზომ, საბოლოო ჯამში, ამ მიზანს  
 ელტვის. მას სურს წარმოაჩინოს სამუარო თა-  
 ვისი ტემპარიტი სახით, მაგრამ იშვავებად,  
 თითქოსდა მისი საფუძველი ადამიანური თა-  
 ვისუფლება იყოს. ხელოვანის შემოქმედებას  
 მაყურებელი ან მკითხველი აქცევს ობიექტურ  
 სინამდვილედ. ამა თუ იმ ავტორის ქმნილება  
 მაშინ შეიძლება ჩაითვალოს სრულყოფილად,  
 მხოლოდ მაშინ შეიძლება ვამტკიცოთ, რომ მან  
 მიზანს მიაღწია, როცა იგი მკითხველს სიამოვნ-  
 ნებას მიანიჭებს. სიტყვა „სიამოვნებას“ შე  
 „სიხარულს“ შევუნაცვლებ. ამრიგად, ეს ეს-  
 თეტკური სიხარული, რომელსაც ვერ განიც-  
 დის შემოქმედებით პროცესში ჩართული ავ-  
 ტორი, უშუალოდ უკავშირდება მკითხველის  
 ესთეტკურ გრძნობას. ეს ერთობ რთული  
 გრძნობაა, მაგრამ მისი შემადგენელი სტრუქ-  
 ტურები ერთმანეთს განაპირობებენ და უერთ-  
 მანეთოდ ვერ იარსებებენ.

წერა ნიშნავს გაეპასუხო სხვის ცნობიერე-  
 ბას, რათა საკუთარი თავი შეიცნო. არსებითად  
 და აუცილებლად სამუაროს მიზართ, ტემპარიტი,  
 მწერალს, საკუთარი აუცილებლობის დასტუ-  
 რად, შუამავალი სჭირდება და ამ საპატიო მი-  
 სიას იგი მკითხველს აკისრებს. აქ კიდევ ერ-  
 თხელ ვუსვამ ზაზს იმას, რომ მწერალი მკით-  
 ხველში თავისუფალ არსებას ხედავს.

მოკლედ, მწერალს, თავისუფალ ადამიანს,  
 რომელიც მასავით თავისუფალ ადამიანებს მი-  
 შართავს, ერთადერთი სიუფეთი აქვს: ადამიან-  
 ნური თავისუფლება.

მაგრამ თავისუფლება ბრძოლით მოიხვეჭება  
 და მწერალიც თავისი ეპოქის ბრძოლებშია ჩა-  
 ბმული. როდესაც სიტყვა აღარ სჭრის, იგი  
 იარაღს აისხამს. მწერალი მხოლოდ იდეალური  
 თავისუფლების მცველი არ გახლავთ. იგი კონ-  
 კრეტული პიროვნების კონკრეტულ თავისუ-  
 ფლებზეც ზრუნავს. სწორედ ამიტომაც, რომ  
 იგი თანამედროვეობის პოლიტიკური თუ სა-  
 ზოგადოებრივი მოვლენების ორგანოა დასაც  
 არ ეპუება...

1948 წელი.

ფრანგულიდან თარგმნა გიორგი ეპიპაშვილმა



## „შვილთან საუბრები“

მეიხველმა მიიღო ვანო ჩხიკვაძის მოთხარბების კრებული, რომელსაც „ორი კაცი“ ჰქვია (ნაკადული, 1984). წიგნზე დართული ავტორისებური ანოტაცია გვაუწყებს, რომ მოთხარბების ძირითად ნაწილს, პირობითად „შვილთან საუბრები“ შეიძლება დაეტყვასო. ჩემის აზრით, „შვილთან საუბრები“, არც წიგნის საერთო სახელწოდებისათვის იქნებოდა ურიგო, რადგან, ის იდეური გამოხედვაა, რაც აქ წარმოდგენილ ნაწარმოებთა უმრავლესობაში გამოსჭვივის, — გარკვეული კუთხით ყველა მოთხარბაში იგრძნობა, როგორც მწერლის მკაფიო შინაგანი მოთხოვნების გამოხატულება.

ვანო ჩხიკვაძის პროზაულ თხზულებათა პერსონაჟების არსებობის არეალი ძირითადად სოფელია. სოფელი, რომლის ზოგადი სახე ერთი მოთხარბის მიხედვით, ასეა დაბატული: „წარმოიდგინე მყურებელი სოფელი, დათოვლილი სახურავებით, ავამღლებელი ბუჩქებით, ძიღლების დედავით და ღობის გასწვრივ, თეთრი შადრევანივით ქაერში გაქვევებული ალუბით. ყინულით აფიკრული ფანჯრის მიღმა ღამა ან სანთელი ბეჭტავს. ყორთი გადაქტილი კარის ხელმარცხნივ თუნქის დუშელი ქოთითებს. მარჯვნივ მოტყენილ მიწაზე, კედლის გასწვრივ დამზარული ფიკარი დევს. ზედ სიმაღლის მიხედვით ჩარუგბულან ნოტიო ხელაღები, მუცელგამობერილი კოყები“ და ა. შ.

ასე იწყება წიგნში დაბეჭდილი პირველივე მოთხარბა, „მთხარბელი“, სადაც არ არის მათითებული თუ სად მდებარეობს იდილიური მომხიბვლელობით შემკული „მყურებელი სოფელი“. წარმოიდგინეო, გვერდებზე ავტორი და ამით უფლებას გვაძლევს რათა ვიგველისმოთ ჩვენი სამშობლოს სხვადასხვა რეგიონში გაფანტული, ტექნიკური ცივილიზაციისაგან ჯერ კიდევ რამდენადმე ხელუხლებელი ადგილები. მხატვრული განზოგადების მიზნით, ვ. ჩხიკვაძე არც სხვა მოთხარბებში ისწრაფვის მისი პერსონაჟების იდეალსამყოფელის ზუსტი მისამართების მოსაყოფებლად, თუმცაღა ყოველთვის ვერ მალავს

„საიდუმლოს“, რადგან უხდება გარკვეული გეოგრაფიული ტოპონიმის დასახელება. მოთხარბებში იშვიათად ნახსენებია ადგილ-მდებარეობის აღმნიშვნელი მონაცემია მდინარე მუჭულა, რომელიც შიდა ქართლის ველზე მოედინება. ამ მდინარის ახლომხაზლო კი მდებარეობს ის სოფლები, სადაც ძირითადად სახლობენ ვ. ჩხიკვაძის მოთხარბათა მოქმედი გმირები.

მოთხარბაში, რომლის დასაწყის სტრიქონებს უკვე ვაგვეცანით, სოფელი ერთგვარი იდეალიზირებული სახით არის წარმოდგენილი. მწერალს თითქმის ყველაფერი ხიზლავს, რაც იქაურ ყოფმა, იქაურ სისხლსავსე ცხოვრებას ვკავშირდება. ქალაქთან კი ვანსხევებული მიმართება აქვს დამუარებული. ამგვარი შეხედულების საილუსტრაციოდ ნაწარმოებში ერთმანეთს არის შედარებული სოფელი და ქალაქელი ბიჭი. როგორია სოფელში გაზრდილი ბიჭი? იგი, ავტორის აზრით, შრომისმოყვარე და ამავე დროს, „ბურჩაბუტბუტებული, მაწენითა და ღობითით გამობრდილი ლოყებულადაია...“ ქალაქელთან დაეკვირებით კი, აი რა არის ნათქვამი: „შენ მაინც რადიკალირთან მიყუყული ქალაქელი ბიჭი ხარ... ყველაფერი მაღაზიამ მოგცა, წინდებიც და მაღალყვლიანი სვიტრიც, ვის დათანხმდები ან რაში გვირბევა, რომ დილაუთენია შეშის მოსატანად წახვიდე, შენთან ხომ ყველაფერი მიღებით მოდის: გათბობა, ცხელი წყალი, გზა“.

მწერალს, სოფლის ბუნებით გალაღებული და ფიზიკურ შრომას შეჩვეული ბიჭი უფრო მოსწონს, რადგან მიაზნია, რომ ქალაქის კომფორტით მოწონიერებულმა ბევრმა პრობლემა იქაური ბავშვის სხეურება უინტერესო გახადა. ავტორი არ მალავს თავის განწყობილებას და ქალაქში გაზრდილი ბიჭის გასაგონად ამბობს: „რაღა დავიმალო და უინტერესოდ ცხოვრობ. უკვე რვა წლის გაზდი, ჯერ ჩხარით არ გადავიბრუნებია, თუ არ ჩავთვლით, რომ მაღაზიაში ვაგვეტყუანები ან ძილის წინ სინათლეს გამორთავ... კაცმა რომ თქვას საშენის საქმე არც არის ოქაში. ზილია ჩამოსაკრეფი თუ ბზორებია მინდორში გასარაკეი, მარცვალს ვერ დაუყრი ქათმებს. და ნილა არ არის საქონელთან შესაბანი“.



თუ ქალაქელი ბავშვისადმი გამოხატული უკმაყოფილება კონკრეტულ ინდივიდს (ამ შემთხვევაში ავტორის შვილს) კი არა, მთელ ქალაქელ ბავშვებს ეხება, მაშინ ძალზე გაძნელებდა მწერლის მიერ გულისკრთილი ნაშრომის გაზიარება. მართალია, ქალაქელ ბავშვს არა აქვს განსაკუთრებული სოფლისათვის შესაფერისი პრაქტიკული საქმეები, მაგრამ ეს ხომ არ ნიშნავს, რომ მათ საზოგადოდ ვერაფრით დაეასაქმებთ და თავიდან ვერ ავიცილებთ „უინტერესო ცხოვრების“ თითქოსდა მოსალოდნელ საშიშროებას. რასაკვირველია, ავტორს არ სურდა ქალაქელი ბიჭის „გამეტება“, მაგრამ ასე კი გამოყოფიდა, სოფელში გაზრდილი და იქნურ შრომას შეჩვეული მოზარდი თაობისადმი მისი დიდი სიამაჟის მერყეობით. ყველაზე მთავარი კი აქ, ის არის, რომ კონკრეტულ მოვლენაზე დავიკრძვების შედეგად აღმოცენებულმა სტბიექტურმა შთაბეჭდილებამ, უფრო სწორად კი, ამ შთაბეჭდილების განზოგადებით მიღებულმა ლოგიკურმა დასკვნამ პარადოქსალური სახე მიიღო და ვერ შეიძინა მკითხველისათვის მისაღები აზრობრივი შინაარსი. სხვათაშორის ამ ვარკვევებამ ნაწარმოების ბოლო სტრიქონებშიც იჩინა თავი, რამაც მწერლის მიერ სოფლისადმი დიდი სიყვარული გააფერმკრთა. აი, როგორ მთავრდება მოთხრობაში წარმოჩენილი „შვილთან საუბრის“ ბოლო აკორდი: „მოკლედ, თუ ხედავ ამ ტყუაზე დაბრძო, ავიკრათ გულანაზადი და ეს ზამთარი მაინც სოფელში ვაგატაროთ... ქალაქში რა უშველებების ქარავსლები ჩვენი ვაჟებს რომ ვერ შეველიოთ“. აღნიშნული წინადადებადანი გამოშდინარე შინაარსი არც ამ შემთხვევაში იძლევა სასურველი ლოგიკური დასკვნის გამოტანის უფლებას. გამოდის, რომ თუ ქალაქში „უშველებელი ქარავსლები“ გაგვანია, მაშინ სოფლის უფლებველებყოფა რაიმედანაზე მაინც ყოფილა შესაძლებელი. აი, როგორ შეიძლება გაიგოს მკითხველმა მწერლის მიერ თითქოსდა უნებლიედ ნათქვამ სიტყვებს შიშამ მდებარე აზრი.

ასეთია, ამ ნაწარმოების, თუ შეიძლება ასე ითქვას, პუბლიცისტური მხარე, რომელიც კიდევ უფრო თვალსაშინის სახით წარმოვიდგება მოთხრობაში „ჰირანხული“. ამ ნაწარმოებში, განსაკუთრებით უხედა აქვს მოწოდებული ავტორის თავისი მორალისებრი დიქტირები შეხედულებანი, რაც კიდევ უფრო ზრდის „შვილთან საუბრების“ აზრობრივ დატვირთვას.

„ჰირანხულში“ მწერალი დაფიქრებულია ისეთ საკვირბოროტო საკითხზე, როგორც არის ურბანისუიის პრობლემა. ცნობილია, რომ ურბანისუიის პროცესმა საკმაოდ ბევრი საფიქრალი გაუჩინა კაცობრიობას. მისი შედეგი აღაშინაურტი ურთიერთობის სფეროშიც შეიჭრა, რაც სხვათა შორის, ცალკეულ ინ-

დივიდთა ურთიერთგაუცხოების გონივრულ ჩამოყალიბებაში განსახიერდა. ამ ფაქტორში, მწერლის აზრით, მომეტებული დანი ქალაქელი კაცს დაამჩნია, სოფელში კი „ქალაქურიზმის“ არ დგას ისეთი საშიშროების წინაშე. აღნიშნული მოსაზრების დასადასტურებლად მწერალს ასეთი მავალითი მოჰყავს: „სოფლის განაპირას, წისქვილის ეზოში გვხვდება კაცობრივად გაცნობის ცერამონილის გარეშე, მარჯვენას გამოგიწედის და აღალ ლიმიდს არ დაიშურებს, სხვა თუ არაფერი, მხოლოდ ის იკმარებს, რომ დიდი ქალაქის მკვიდრმა — ვისი დროც მისაღმება, ლიმილიც მკაცრად გაზომილია და კონკრეტული ადრესატები ჰყავს, — შენს სულს ჰკითხო — ძალიან ხომ არ ვაერთ, უთავბოლო ფუსფუსში მთავარი ხომ არ დაჰკარგო, ოდესღაც რომ გქონდა და მერე უპატრონო წყაროსავით ჩაშრა?“

ამ მოთხრობაში, ჩემს მიერ ამოწერილი მავალითი არ მთავრდება ყველაფერი, რასაც მსყლელობის სახით გვაწედის მწერალი. იგი ვეუღლაბარავება იმაზე, რომ ბევრს არ გაანია მურისადმი პატრივისციმის გრძობა. ეს იმიტომ, რომ მათ არ ესმით „იმი გულბრუნვლო რიტულის“ მადლი-დაგდებელი პური რომ უნდა აიღონ, სული შეუბერონ და ეამბორონ“. ჰირანხულის ცნებასთან დაკავშირებით კი უფრო შორს მიდის და ამბობს, რომ: „ჰირანხულის და სამშობლოს მცნება ერთ ძირზეა დამყნული. — ეს ჩვენი და ჩვენი წინაპრების მიწაა, — მის ასრებობას ხანდახან ასფალტის ნიღბი ვვაიწყებებს“ და სუფრანე ცრებლების ღვარღვარით, დიდი წინაპრების წმინდა ლანდებით თავმოწონების, მათი წარამარა შეწუხების ნაცვლად სჯობია, ჩვენ შეილებს ვასწავლოთ, აფხსნათ, ვინ არიან ისინი, რისი ბატონპატრონი იქნებთან მომავლში და რას უნდა გაუფრთხილდნენ ყველაზე მეტად“.

ყველაფერი ის რაც ამ ნაწარმოებში ზნობრივი მისწავის სფეროშია მოქცეული მწერლის მოწალეობრივი პოზიციის გამოტარებულას წარმოადგენს და მის თავისი ლიტერბულება გაანია. მაგრამ, საინტერესოა, ბავშვებისათვის განკუთვნილ ისედაც მკირე ზომის თხზულებანი იძლევა თუ არა იგი სასურველ შედეგს. ამ კითხვას რომ ვუპასუხოთ, საკვირა ვაიბსენათ თუ რას მოუწოდებდა რუსული ლიტერბურის მკაცრი მსაყული, ბ. ბელინსკი საბავშვო თხზულებების შექმნით დაინტერესებულ ავტორებს: „თქვენ გაქვთ ზნობრივი აზრი?“, ამბობდა იგი, „სათბობოვა; ნუ ეუბნებთ მათ ბავშვებს, მაგრამ აგრძობონთ იგი მოთხრობის ბოლოს. მისგან დასკვნას თქვენ ნუკი აეთებთ, არამედ დაე, თვითონ დაასკვნან. თუ მოთხრობა მოეწონათ მათ, ანდა თუ ისინი მას გატაცებით და სიამოვნებით კითხულობენ თქვენ თქვენი საქმე გააკეთებ“.

ვ. ჩხიკვაძის წიგნში, რასაკვირველია, არის მოთხრობები სადაც დატყუებულია დიდი რუსი კრიტიკოსის მიერ აღიარებული თეორიული პრინციპი. ასეთი ნაწარმოებებია, მაგალითად: „ცხენი“, „ქაფქიჩი“, „ახალწლის ღამეს“, „სახურჯი“, და სხვა. მოთხრობაში „ცხენი“, კარგად აქვს გადმოცემული მწერალს მოხუცი პაპის განწყობილება, რომელიც სიბერისაგან დაძვლებული პირუტყვის სიბრაღულში გამოხატება. კვდება ბებერი ცხენი, რომელსაც ყმაწვილი ვიო გასაყიდად იმეტებდა. მართალია, ცხენი მისი მიზეზით არ მომკვდარა, მაგრამ ვიომ მიიწი იწენია პაპის მიერ მოქმედი სახრის გეგმა. უცხო თვალმა ვერ შეამჩნია თუ რატომ დაისაჯა ბიჭი:

— გავივლი, კაცო! — ხელეშში ეცა ვეტყვი, ლურსმანი შეუვლოვებია, ვიო რა შეშა.

— მე ვიცი ჩემი საქმისა, — სახრე მოადლო პაპანემამ და ბავშვზე ჩამოვდა — წერს ავტორი. მკითხველი ამ ნაწარმოებში, მწერალს ახსნა-განმარტებისა და მორალის კითხვის გარეშე გრძობის პაპის სიმკაცრით გამოხედილი საქციელის შინაგან რაობას. მოთხრობაში „ქაფქიჩი“, კი ყოველგვარი თეორიული მსჯელობის დაუბნარებლად არის ნაჩვენები, თუ როგორია სიმდიდრისაგან გაყოფილი ბაღის სუღიერი და ზნეობრივი სახე. არ შეიძლება არ მოგვხიბლოს ამ ნაწარმოების ფინალმა, სადაც ბებერი რამ არის ნათქვამი კარგად მიგნებული ფსიქოლოგიური დეტალის გამოყენებით. „მამა იშვიათად ეწუოდა“, ამ სიტყვებით ამთავრებს ვ. ჩხიკვაძე თავის პატარა მოთხრობას და მკითხველი კარგად ზედება თუ რატომ გვიღია პატარა ნუგზარის მამა პაპიროსის მოსაწყვად, რომელიც თურმე „იშვიათად ეწუოდა“.

ვ. ჩხიკვაძის მრავალ მოთხრობაში ვაკოცხლებულია და აღდგენილი მწერლის ბავშვობის დროინდელი შთაბეჭდილებები. ჩვენს წინაშე პირველყოფილი ხიბლით იბადება ის საშუარო, რომელიც თავის დროზე კვებავდა

შემოქმედებითი სტიმულებით დამუხტულ მომავალ ეპოქებს. ავტორი მძაფრად გენიუდის ბავშვობის ბედნიერ ხანას, რელიეფურ კრასლაროს აღარ განმეორდება და მისი გახსენება შეიძლება მხოლოდ.

ვ. ჩხიკვაძის მოთხრობებში განსაზღვრებული მხატვრული სინამდვილე ჩვენს თვალწინ აცოცხლებს მოხუც ბებიებს და პაპებს, რომლებიც ახალგაზრდების მიმართ უსაზღვრო სიკეთითა და სიყვარულით არიან აღესილი, თამბაქო საპრობების შემთხვევაში არც მათი დატყუება ეწვევებოდათ. ეს ის მოხუცებია, რომლებიც ამწვევებენ ჩვენი სოფლების მომობელულ გარემოს. წაუღენ ისინი და სოფელში სხვა ხალხი აერიამულდება. მაგრამ ახლანდელ სოფელში ეს „სხვა ხალხი“ ნაელბად ჩერდება. ვიშ ვინ უნდა ჩაიბაროს ის ძველი კერა, რომლებიც ჩვენმა მამა-პაპებმა შექმნეს და რომელსაც ვ. ჩხიკვაძე თავის მოთხრობებში გვიხატავს? ავტორის შემოქმედებითი ინტერესები ამ სფეროსაც სწვდება და ამიტომ სოფლიდან ქალაქში ჩასახლებული ახალგაზრდების მიმართ წიგნში ბებერი რამ არის ნათქვამი.

ვ. ჩხიკვაძე არ ეყრდნობა რაიმე „სხვა სინამდვილიდან“ აღებულ მასალას, არსებითად საკუთარ ბავშვობის ხანას ამზერებს და ცდილობს, რომ თავისი მოთხრობით მკითხველისათვის სასარგებლო კუთხით იქნეს წარმოდგენილი. მის მოთხრობებში ზნორად ენაცვლება ერთმანეთს მწერალ-მხატვარი და მწერალ-პუბლიცისტი. ეს ვ. ჩხიკვაძის როგორც პროზაიკოსის პროზიკის გამოხატულებაა და იგი „შვილთან საუბრების“ სპეციფიკით არის განსაზღვრული. მართალია ვ. ჩხიკვაძის ზოგიერთ მოთხრობაში შიშვლად მოწოდებული ტენდენცია ამკოლებს მათი ეპოქური აღქმის შესაძლებლობას, მაგრამ იმ მოთხრობებს, სადაც დატყუებულია ამ მხრივ ზომიერება, ტენდენციურობა აღარ ენება.

ამირან ჩოხაძე.

**შპადომის განვრცობა**

გვ. 110, პირველი ხედიბ 7-8 სტრიქონი. წერია „**ოთხი წლის ბაღლი იყო**“, უნდა იყოს „**ოთხწლიანი ბაღლი იყო**“.

● რედაქციის მიხამართი: თბილისი, რუსთაველის პროსპექტი, № 12.

● ტელეფონები: რედაქტორის — 98-55-11, ზო რედ. მოადგილის — 98-55-18, პ/შ, მდივნისა და განყოფილებების — 98-55-15; 98-55-17.

გადაეცა ასაწყობად 22.12. 86 წ. ხელმოწერილია დასაბეჭდად 1. 02. 87 წ. ასაწყობის ზომი 7¼X12, ქალაღის ფორმატი 70X108, ფიზიკური ნაბეჭდი ფურცელი 11, პირობითი ნაბეჭდი ფურცელი 15,5. სააღრ.-სავამომცემლო თაბახი 16,58.

უე 09517. ტირაჟი 32.000. შეეე. 2930. საქართველოს კმ ცე-ის ვამომცემლობის სტამბა.

3360 80 333.

67/46

0620560

76135

საქართველოს  
საბჭოთავო მწიგნობრობა

«М Н А Т О Б И»

ЕЖЕМЕСЯЧНЫЙ ЛИТЕРАТУРНО-ХУДОЖЕСТВЕННЫЙ  
И ОБЩЕСТВЕННО-ПОЛИТИЧЕСКИЙ ЖУРНАЛ

ИЗДАТЕЛЬСТВО ЦК КП ГРУЗИИ